მამუკა ჯოლბორდი ნინო ლიპარტელიანი

ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში

(XIX საუკუნის დასაწყისი – XX საუკუნის I მეოთხედი)

I-II შევსებული და შესწორებული გამოცემა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2016

უაკ (UDC) 338.22(100)
ჯ-671

ნაშრომი საქართველოში კაპიტალისტური წარმოების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის განზოგადების ცდაა. მასში წარმოდგენილია ქართველი და საქართველოში მოღვაწე იმ უცხოელი მეწარმეების სამეურნეო და საქველმოქმედო საქმიანობა, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული მეწარმეობის ისტორიაში. ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება როგორც სტუდენტების, სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. *ვ. შუბითიძე*

© გამომცემლობა „მერიდიანი“

© მ. ჯოლბორდი, ნ. ლიპარტელიანი, 2016

ISBN 978-9941-25-238-9

რედაქტორისაგან

მამუკა ჯოლბორდისა და ნინო ლიპარტელიანის თქვენს წინაშე წარმოდგენილ ნაშრომში წყაროების, საარქივო მასალებისა და უკვე არსებული სამეცნიერო გამოკვლევების კრიტიკული განხილვის საფუძველზე, მათში მოცემული ემპირიული ფაქტების გამოყენებით, საფუძვლიანად და გამოწვლილვითაა ნაჩვენები საბაზრო ეკონომიკის ჩასახვისა და განვითარების ისტორია XIX საუკუნესა და XX საუკუნის I მეოთხედში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ორგანული ნაწილია და განსაკუთრებით აღნიშნული პერიოდის საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების თვალსაჩინო მატიანე.

კომუნისტურ პერიოდში და დღევანდელ საქართველოშიც ბევრს ჰგონია, რომ XIX საუკუნის საქართველოში თერგდალეულების მოღვაწეობის გარდა არაფერი გაკეთებულა, რომ თითქოს არავითარ ეკონომიკურ აქტივობას ადგილი არ ჰქონია. წიგნი ამ წარმოდგენას საფუძვლიანად ამსხვრევს და მკითხველსა და სტუდენტებს სთავაზობს მრავალი სამრეწველო დარგის ჩასახვისა და განვითარების ისტორიას, რომლებშიც ქართველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, თუმცა ხშირად გადამწყვეტ სიტყვას ამ სფეროებში სომხები, რუსები და ევროპელები ამბობდნენ. განსაკუთრებით დააინტერესებს მკითხველს ქართული არყისა და კონიაკის და მინის წარმოების განვითარება საქართველოში, რომელიც გადამწყვეტი სიტყვა თქვეს დიდმა ქართველებმა დავით სარაჯიშვილმა და ელიზბარ ერისთავმა. წიგნიდან იმდენ ახალს და მნიშვნელოვანს გაიგებთ, რომ ეს უთუოდ გაამდიდრებს თქვენს ცოდნას საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის სფეროში. წიგნში ასევე კარგადაა ნაჩვენები დიდი ქართველი მრეწველებისა და კომერსანტების ძმები ზუბალაშვილების, დავით სარაჯიშვილის, აკაკი ხოშტარიას და სხვათა ძალზე მნიშვნელოვანი საქველმოქმედო საქმიანობა, რომლის გარეშეც ვერ იარსებებდნენ უმთავრესი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და არ გვეყოლებოდნენ მომავალში ცნობილი ქართველი მეცნიერები, მხატვრები, მუსიკოსები, მწერლები და ა.შ.

ერთი სიტყვით, თქვენს წინაშეა დიდი შრომითა და რუდუნებით გაკეთებული ნაშრომი, რომლის შექმნას წლები დასჭირდა. იგი ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული მეცნიერებისათვის, რომელიც დიდად წაადგება სტუდენტებსაც და მკვლევარებსაც XIX-XX საუკუნის ქართული რეალობის შესასწავლად და გამოსაკვლევად.

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. *ვ.შუბითიძე*

„საქართველო დღე-და-ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველი მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორიათასი წელი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენ ქვეყანას არავითარი ვალი და ვახში არ დასდებია.

ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის-რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა, რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა, ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, – და საზოგადოებას ძალას ვინ აძლევდა და რა აძლევდა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიკურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა.“

ილია ჭავჭავაძე

საქართველოს ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნესა და XX საუკუნის I ოცწლეულში

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო წარმოადგენდა ჩამორჩენილ ფეოდალურ ქვეყანას. საქალაქო ცხოვრების დაქვეითება, საბაჟო სისტემისა და გზების მოუწესრიგებლობა აფერხებდა ეკონომიკური ცხოვრების წინსვლას. ერეკლე II-ის მიერ XVIII საუკუნის II ნახევარში დანყებული მცდელობები, გაეძლიერებინა თავისი სამეფოს ფინანსური შესაძლებლობები, არასაკმარისი აღმოჩნდა. აგრესიული მეზობლების პერმანენტული თავდასხმების პირობებში ქართლ-კახეთის სამეფოში ძირითადად საოჯახო მრეწველობა ვითარდებოდა. მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების პირველ წლებში-ქვეყნის მწირი ბიუჯეტი ვეღარ აკმაყოფილებდა იმპერიული ხელისუფლების მოხელეთა ზღვარსგადასულ მოთხოვნილებებს. რუსეთის მთავრობის მრავალი მცდელობის მიუხედავად XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაინყო კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა განვითარების ახალი ეტაპი.

XVIII საუკუნის II ნახევრიდან დაინყო რუსეთის იმპერიული ხელისუფლების დაზვერვითი სამუშაოები საქართველოში, როგორც ქართლ-კახეთის, ასევე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში. ემზადებოდა რა ქვეყნის დასაპყრობად, რუსეთი ცდილობდა სრული ინფორმაცია ჰქონოდა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ პოტენციალზე. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცარიზმის ბიუროკრატია ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში ახდენდა აღწერებს, აგროვებდა ცნობებს, სტატისტიკურ მასალას ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების, წარმოებისა და მოხმარების, ბუნებრივი სიმდიდრისა და ყოველივე იმის შესახებ, რაც შეიძლება აინტერესებდეს სავაჭრო კაპიტალს. კერძოდ პოლკოვნიკ დრენიაკინს დაევალა შეედგინა თბილისის, თელავის, გორისა და დუშეთის სწორი გეგმა, სადაც აღნიშნული იქნებოდა ეკლესიების, სახლების, დუქნების, ფაბრიკებისა და სხვა სარეწავთა რიცხვი, გაეგო როგორია ამ ქალაქებში ბაზრობები, საიდან მოაქვთ პროდუქტები, შესწავლილ იქნას მდინარეები, როგორც მიმოსვლის ისე მეთევზეობისა და ხე-ტყის დაცურებისათვის ვარგისიანობის თავლსაზრისით [279, 19-20].

1821 წელს ამიერკავკასიაში შეღავათიანი საგარეო-სავაჭრო ტარიფის დაწესებამ ამ რეგიონში დასავლეთ ევროპის კაპიტალს მოქმედების თითქმის სრული თავისუფლება მიანიჭა. საქართველო გადაიქცა სატრანზიტო გზად დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა სავაჭრო ურთიერთობის არტერიად. 1822-1826 საქართველოსა და თბილისის გავლით დასავლეთ ევროპიდან ირანში შევიდა 5,5 მლნ მანეთის, ხოლო 1827-1831 წლებში 11 მლნ მან. საქონელი. საგარეო სატრანზიტო ვაჭრობაში აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისელი, გორელი და ქუთაისელი ვაჭრები, რის შედეგადაც სავაჭრო მოგების ნაწილი საქართველოშიც რჩებოდა. ეს ხელს უწყობდა არა მარტო საშინაო სავაჭრო ბრუნვის გაფართოებას, არამედ ამზადებდა პირობებს სავაჭრო კაპიტალის წარმოებაში დაბადებისათვის. [16, 60-61]

რუსეთის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საინტერესოა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის 1826 წელს დაწერილი წერილი, სადაც იგი საუბრობს იმაზე, რომ ამიერკავკასია შეიძლება რუსეთის უმდიდრეს კოლონიად იქცეს. ამ ქვეყნის მართვა საჭიროა გონიერი კოლონიური სისტემის შესაბამისად ნარმოებდეს. ამიერკავკასიას შეუძლია მოგცეს ჩვენ დიდი რაოდენობით საუკეთესო ხარისხის აბრეშუმი, ბამბა, ბრინჯი, ინდიგო, გემთსაშენებელი ხე-ტყე და სხვა. იგი უნდა იქნეს ჩვენი ფაბრიკული ნაწარმის მომხმარებელი და რუსეთის სპარსეთთან ვაჭრობის შუამავალიო. ამგვარად ცარიზმის ბიუროკრატიამ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიისთანავე შეადგინა ვრცელი გეგმა ამ ქვეყნის შესნავლისა და ეკონომიკური დაპყრობისა-კოლონიური ძარცვისა და ექსპლოატაციისათვის [279, 27].

ბატონყმობის გაუქმებამ როგორც რუსეთში, ისე სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში ხელი შეუწყო სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას. ტრადიციული ამქრული, ნვრილი წარმოებების გვერდით გაჩნდა კაპიტალისტური მანუფაქტურები, სადაც ადგილი ჰქონდა შრომის დანაწილებას. ყოველნლიურად ხდებოდა წარმოების ტემპების დაჩქარება, რის შედეგადაც საქართველოში ყალიბდებოდა შედარებით მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები. ფეოდალიზმის ნიაღში ახალი ურთიერთობების ზრდა XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა, რაც იმ დროის კვალობაზე უდიდეს გარდატეხას მოასწავებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. [136, 7].

უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო მიხეილ ვორონცოვის საქმიანობა საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის მრეწველობა-ვაჭრობის გაძლიერების, ახალი საბაჟო პოლიტიკისა და სხვა ღონისძიებების გატარების სფეროში. იმპერატორი, რომელმაც მას სრული ნდობა გამოუცხადა და თავისუფალი მოქმედების უფლება მისცა, ბევრ ისეთ საკითხებში ეთანხმებოდა, რაც მანამდე იმპერიული ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თავად ვორონცოვი თავს უფლებას მისცემდა რაიმე ისეთი გაეკეთებინა, რაც ხელისუფლების საერთო გეგმას შეეწინააღმდეგებოდა. მისი ლიბერალური რეფორმები კულტურისა და ვაჭრობა-ეკონომიკის დარგში სწორედ იმპერიის მიზნების განმტკიცებას ემსახურებოდა [279, 29].

ზ.ჭიჭინაძე თავის ნაშრომში „მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში" საინტერესოდ აღწერს თბილისში არსებულ თითქმის ყველა სავაჭრო-სახელოსნო გაერთიანებას: **„მესაათის** მაღაზიები არსებობდა, მესაათედ იყო ნემენცი **გოტფლიდი.** ასევე იყვნენ სხვანიც ევროპიელნი და სტამბოლელი სომხებიც. **წამალხანები** (აფთიაქი)- იყო რამდენიმე. მის მართველნი იყვნენ ევროპიელნი, ადგილობრივ ქართველნიც. **ხმელი ხილის** მაღაზიები აქვნდათ სპარსეთიდამ შემოსულ თათარ ვაჭრებს. **მეხალიჩენი, მეფარდაგენი** და **მეჭილობენი** იყვნენ ქართველნიც და უცხო ტომისანიც.

ფეიქრები, მქსოვნელი ყველა ნაირი ნართულობისა და ბევრის ძვირფასის ნართისაც, უმეტესად იყვნენ ქართველნი და ნამეტურ დედაკაცები.

მესარკეები-იყვნენ უმეტესად ქართველნი, ამათ სარკეები შემოჰქონდათ კონსტანტინეპოლიდამ ესენივე აკეთებდნენ და ჰყიდდნენ სხვადასხვა ფერის

შუშებს: ლურჯს, წითელს, ყვითელს, შავს და სხვანი, შუშაბანდებისთვის.

ყაზაზები-ჰყიდდნენ ყველა ნაირ ძაფეულობას, ყაითნებს, ჩაფარიშებს და სხვათაც, მოგზაურობდნენ სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და სხვაგანაც, იქაც გაჰქონდათ თავიანთი საქონელი და იქიდამაც შემოჰქონდათ.

მებამბენი-ჰყიდდნენ ბამბას, მატყლს, ყაჭს, აბრეშუმს და ჯაგარსაც. ჯაგრის და მატყლის გატანა ქართველებმა რუსეთს, კონსტანტინეპოლს და ევროპასაც იცოდნენ.

მეშალენი-ჰყიდდნენ რიზაიშალებს, ქირმანიშალებს, ადგილობრივ შალებს, სხვა და სხვა ამგვარ შალეულობის ნართებს. ესენივე მგზავრობდნენ სპარსეთს, ინდოეთს, ოსმალეთს და რუსეთს.

ქურქჩნი-მათ კაი მოთხოვნილება აქვდათ, იგინი საქართველოს ყველა კუთხეში მგზავრობდნენ და სხვა და სხვა ცხოველთა ტყავებს სიამოვნებით იძენდნენ. ამათი ხელ-საქმე კარგად ჯილდოვდებოდა მყიდველთაგან. უცხო ქვეყნებიდამაც შემოჰქონდათ სხვა და სხვა ტყავეულობა.

დაბაღები-იყვნენ თფილისში მრავლად, იგინი შოულობდნენ ყველანაირ ტყავებს გასასყიდად და ჰყიდდნენ, აქვნდათ კაი ქარხნები და გასავალიც დიდი აქვნდათ.

ამათ ტყავები სხვა და სხვა ქვეყნებიდამაც შემოჰქონდათ.

ჭონები-თბილისში ჭონების მთელი ქარვასლა არსებობდა. ამ ხელობის ხელოსნები რამდენიმე ასის კაცისაგან შესდგებოდა. თფილისში მათ აქვნდათ დიდი საქმიანობა, დიდი გასავალი იყო მაშინ ქართული ქუდების.



ხარაზები, მეჩუსტე და მექოშენი-ესენი მრავლად იყვნენ თფილისში, ამათი რამდენიმე ქუჩა და ბაზრები არსებობდა.

დერციკები და თერძები-იყვნენ მრავლად და ჰკერავდნენ ქართველ მამაკაცთა კაბებს, ქულაჯებს, ჩოხებს, ჩერქესკებს და სხვათაც მრავალთ.

მექვაბენი-იყვნენ მრავლად. სპილენძს ქვაბებისთვის საქართველოშივე შოულობდნენ. საქართველოშივე იყო სპილენძის მადნები და ქარხნები.

სამართებლის ოსტატობა-სამართებლებს საქართველოში აკეთებდნენ ჩინებულად. ამ ხელოსნების ამქარიც იყო მაშინ თურმე.

მეშანდლენი-თფილისში იყვნენ მრავლად და აკეთებდნენ ყოველნაირ შანდლებს. შანდლის თითბერსა და სპილენძსაც საქართველოში შოულობდნენ.

ოქრომჭედლები-იყო თფილისში მთელი უბნები, სადაც სულ ოქრომჭედლები იყვნენ. მათ დიდი მოთხოვნილება აქვნდათ თფილისში. მათგან კაი დიდი ამქარიც არსებობდა.

კალატოზები-იყვნენ თფილისში მრავლად, უმეტეს ქართველ გვარის, აქვდათ ამქარიც.

დურგლების რიცხვიც დიდი იყო ქართველთაგან, მათი დიდი ამქარიც არსებობდა.

მეხანჯლენი, ხმლების გამკეთებელნი იყვნენ მრავლად, მემასრენი და სხვა ასეთნი.

ხურო და მხერხავნიც ბევრად უფრო მრავლად იყო, ვინემც დურგლები, უმეტეს რაჭველები იყვნენ.

ქვის მთლელთა რიცხვი საქართველოში ძველთაგანვე იყო აღორძინებული.

მექანდაკეთა და ჩუქურთმის მჭრელთა რიცხვი არსებობდა, მხოლოდ იმ ხელოვნებით და მხატვრობით კი არა, როგორც XII საუკუნეში არსებობდა.

მხატვრების რიცხვიც დიდი იყო, ხოლო მხატვრობა კი არ არსებობდა ხელოვნური სახით.

ზეინკლობაც არსებობდა თავის ზომიერებით (ლიტეინჩიკი), იგი ძველად უფრო აღორძინებული იყო.

სლესრები, მჭედლები და მენალბანდეთა რიცხვი ყოველთვის იყო. ესენი აკეთებდნენ ლურსმნებს, კოჭაკებს, რაზებს და სხვა და სხვა სახელოსნო იარაღებს. დიდი იყო ნალბანდობა.

მეჭურჭლენი. ესენი სწვავდნენ ყველა ნაირ ჭურჭელს, ჯამებს, მათარებს, თეფშებს და სხვა ამგვარს, ასევე ლიტრებს, დოქებს, კოკებს, ქვევრებს,

საღვინეებს და სხვანი.



მეკრამიტენი და მეაგურენი. ერთნიც და მეორენიც იყვნენ უმეტესად ქართველნი, ძველ მეკრამიტეთა კრამიტი მაგარ რკინის მსგავსებას წარმოადგენდა.

მესაპნეთა ქარხნები. საქართველოში საპნის ქარხნები ძველადგანს სჩანს. მის ცოდნა აქვნდათ ყველა კუთხის ქართველთ, თფილისში იყო რამდენიმე ქარხანა.

მესამთლეები. ამათი ქარხნები თფილისში იყო რამდენიმე, ასევე ქართლში, კახეთში და სხვაგანაც. ხშირად და მრავლად სამთელი და საპონი უცხო ქვეყნებშიაც გაჰქონდათ.

ლილახანები, ანუ სამღებროები თფილისში იყო მრავლად, მათში მოიპოვებოდნენ ყველა ფეროვნების და ხარისხის.

მერკინეთა რიცხვიც დიდი იყო, მათ მრავლათ უცხოეთში გაჰქონდათ და საქართველოში შემოჰქონდათ რკინეულობის იარაღი, ამისთვის აქვნდათ ქარხნებიც. სტამბოლის ერთ დიდ ქუჩაზედ, ახალციხელ ქართველ მერკინეთა მთელი გუნდი არსებობდა, თითქმის ქარვასლა აქვნდათ.

თუთიის (ცინკის) ხმარებაც იცოდნენ ჩვენში და იყო აქ ამის მადნებიც.

ზარაფნი არსებობდნენ საქართველოში ძველადგანვე. მათ აქვნდათ სპარსთ, ოსმალთა და სხვათა ფულებიც და ახურდავებდნენ ქართულს ფულებზედ, მათ იცოდნენ ოქრო-ვერცხლის ფასი, მაზანდა და სახანი. ძველი დროის ბანკები და ბანკირები ესენი იყვნენ. თფილისში ზარაფების რიცხვი მეტად დიდი იყო. აწინდელი ზარაფიშვილები და ზარაფოვები სულ ძველის დროის ზარაფთაგან მომდინარეობენ.

გიშრის ხელოსანნი ქართველთა შორის ძველათგან, ნამეტურ იმერეთში იცოდნენ. გიშრისაგან აკეთებდნენ კრიალოსნებს, ჯვრებს და სხვა და სხვა ნივთებს, სხვა ქვეყნებშიც გაჰქონდათ. მძივთა და თვალ მარგალიტთა ოსტატნი და ვაჭრები, ესენი პოულობდნენ, აკეთებდნენ და ჰყიდდნენ ყველანაირ თვალ-მარგალიტებს. მაგალითებრ ფირუზს, ქარვას, მარჯანს, ლალს, იაგუნდს, გოარს, მარმარილოს (დრუნგული) შესანიშნავ ნივთებს, მარგალიტს, ეს შემოდის ელადიდამაც, ზურმუხტს და ვინ იცის რადენ კიდევ სხვა ძვირფას თვალ მარგალიტებს.

მეთუთუნენი და მებურნუთენი. მეთუთუნეებს მრავლად მოჰყვანდათ თუთუნი და იგი მრავლადვე გაჰქონდათ რუსეთს, ოსმალეთს, სპარსეთს და სხვაგანაც. თფილისში მისი დუქნები იყო მრავლად, თვით ქარვასლაც კი არსებობდა.

სამეფო სამოსელთა მკერვალ-ნი, მოსავნი და მქარგავნი. ესენი იყვნენ შესანიშნავად მომზადებულ-ნი, ხელოვნურად, ესენი ჰკერავდნენ სამეფო შესამოსელებს, ზოგს რთავ-დნენ თვალ-მარგალიტებით, სხვა და სხვა ძვირფასი ნივთებით. იცოდ-ნენ გვირგვინების კერვა და ქარგვა, იცოდნენ სამღვდელმთავრო შესა-მოსლების შეკერვა, მორთვა, მოკა-ზმვა" [275, 12-17].

XIX საუკუნეში თბილისს სტუმ-რობდა 1899 წელს პარიზში გა-მოცემული წიგნის, „სანკტ-პეტერ-ბურგიდან არარატამდე" ავტორი, ქალბატონი სტანისლა მონიე, რომ-ლის მემუარებში საინტერესო მას-ალაა დაცული თბილისის შესახებ. მას მოუნახულებია თბილისის ბა-ზრები და ფარდულ-სახელოსნოე-ბი, სადაც უხვად ყოფილა ხილი, ბოსტნეული და ხორცი. ქალბატონი სტანისლა მონიე აღფრთოვანებული აღწერს ქართველების მიერ განსაკუთრე-ბული ოსტატობით ლავაშების ცხობას ორი მეტრის სიმაღლის ჭაში, რომელიც ნაკვერცხლებით ხურდება. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ღვინით ვაჭრობას, აღწერს ტრადიციული წესით მოწყობილ ღვინის სარდაფებს, ღვინის შესანახ ტყავის ჭურჭელს, რომელიც გარეგნულ ფორმას ინარჩუნებს, რადგან გაბერილია ღვინის სითხით. მისივე აღწერით, ბეწვეული თბილისის ვაჭრობის გავრცელებულ საგანს წარმოადგენდა, ხშირი იყო ასტრახანის ცხვრის ბეწვისა და მონღოლური თხის ბეწვის მასალა. მის თვალს არ გამოპარვია ულამაზესი ნოხების სიუხვე თბილისურ ბაზარში, აქ უნახავს სპარსული, დაღესტნური და კავკასიური ნოხები, ყოველი მათთაგანი ხელით შრომის შედეგს წარმოადგენ-და. უცხოელ მანდილოსანს ასევე მოსწონებია ქართული საიუველირო ნაწარმი. სპილენძის ვაზებით, თასებით, იარაღით და სხვა ნაკეთობებით აღფრთო-ვანებულნი დარჩენილან სხვა ფრანგი სტუმრებიც.

XIX საუკუნის 50-იან წლებში თბილისი განსაკუთრებით გალამაზდა. მ.ვო-რონცოვის წინადადებით „ერევნის მოედანზე" თეატრის შენობა აიგო ცნო-ბილი თბილისელი სოვდაგარის **გაბრიელ თამამშევის** სახსრებით. ეს შენობა ულამაზესი და საოცარი რამ ყოფილა. იგი აგებულ იქნა იტალიელი არქიტე-ქტორის სკუდიერის მიერ. თეატრის დარბაზი მოუხატავს გაგარინს მავრი-ტანულ ყაიდაზე, დარბაზში ეკიდა ათასთვლიანი ძვირფასი ჭაღი. 1859 წელს ალ.დიუმა სტუმრობა თეატრს და აღვფრთოვანებულს უთქვამს-ჩემი სიცოცხ-ლის მანძილზე თითქმის ყველა თეატრი მინახავს, მაგრამ თბილისის თეატრი

თავისი სილამაზით არცერთი ქვეყნისას არ შეედრებაო [63, 424].

1844 წელს ქ.ტფილისში 30 070 მცხოვრები ითვლებოდა, ხოლო ხელოსანთა რიცხვი 1845 წლისათვის 1926 შეადგენდა, ხელოსნობის დარგებიც ამ ხნისათვის საკმაოდ განვითარებული იყო. ხელოსანთა აღნიშნულ რიცხვში შემდეგი წარმომადგენლები ითვლებოდნენ: მესაათენი, მესპილენძენი, ეტლების შემკეთებლები, მენაღენი, ხელთათმანის და არტაშნის მოხელენი, სავარცხლის მოხელენი, პარიკმახერები, მოდისტები, ეპოლეტის მოხელენი, მებრილიანტენი, ქურქჩნი, მეტყავენი, ჭონები, მეჩუქურთმენი, ტიკების მოხელენი, ბეზუმენტის მქსოვნი, თოფ-იარაღის მოხელენი, ქვის მთლელნი, მჭედელნი, მექოშეები, სარაჯები, დურგლები, შპალერის გამკვრელნი, ხარაზები, თერძები, ქუდების მკერავნი, კალატოზები, ხუროები, ლამფის და ღუმელების მოხელენი, ხარატები [43, 26-27].

XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების აღორძინებას, რასაც განაპირობებდა უცხოეთიდან შემოტანილი გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები, უცხოელი სპეციალისტების დაქირავება და მათ მიერ ადგილობრივი კადრების მომზადება. ყალიბდებოდა კაპიტალისტურ ყაიდაზე მოწყობილი მანუფაქტურული ტიპის საწარმოები.

თვალსაჩინო ცვლილებები აღინიშნება **შინამრეწველობაში.** შინამრეწველობა, ანუ საოჯახო მრეწველობა, წარმოადგენს გადამამუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთ ფორმას. ამ დროს ხდება ნედლი მასალის გადამუშავება იმავე მეურნეობაში, რომელიც მას მოიპოვებს. წარმატებული მეწარმეობის განვითარების შემთხვევაში შინამრეწველი მალე გადის ბაზარზე, ანუ მუშაობს ბაზრისათვის და ყალიბდება კაპიტალისტური შინამრეწველობა.

XIX საუკუნის საქართველოში შინამრეწველობა ორი ფორმით ჩამოყალიბდა: ერთი მხრივ, მისი წარმომადგენლები იყვნენ უცხოეთიდან მოწვეული თუ საკუთარი სურვილით გადმოსახლებული წვრილი ხელოსნები და მეორეს მხრივ კი, ადგილობრივი, ქართველი შინამრეწველები.

სამხრეთ კავკასიაში შინამრეწველობის სხვადასხვა დარგს შორის ფართოდ იყო გავრცელებული **საფეიქრო მრეწველობა.** აწარმოებდნენ სხვადასხვაგვარ შალეულს, აბრეშუმს, ნოხებს, ფარდაგებს, ხალიჩებს, ყაბალახებს, ნაბდებს, ხურჯინებს, მაფრაშებს და სხვ. მეჯოგეობის მიმდევარ კავკასიელ ტომთა შორის განსაკუთრებით დაწინაურდა შინამრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი დარგი- **მეჩულეობა.** ამ დარგის ოსტატები აწარმოებდნენ ქეჩასა და ნაბადს, რომელიც კავკასიაში სამხედრო ტანსაცმლის ერთ-ერთ ატრიბუტს წარმოადგენდა. ჩულეულის წარმოებას, ძირითადად შესყიდული მატყლით, მისდევდნენ ქუთაისის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში.

მართალია, წარმოებულ საქონელს მოკრძალებული ადგილი ეკავა საექსპორტო ნაწარმში, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთში. საშუალოდ ერთი შინამრეწველი წელიწადში ამზადებდა 400-მდე ქუდს, რაც მას წლიურად 32 მანეთ მოგებას აძლევდა. რაჭის, ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ახალციხის, ახალქალაქის, გუმბრის, ნახიჭევანის, ყაზახის, შამახიის მაზრებში და ოსეთში განსაკუთრებით



გავრცელებული იყო **შალის შინამრეწველობა**. საისტორიო ცნობების თანახმად, 1912 წელს ქუთაისის მაზრაში ჩაუტარებიათ შალის შინამრეწველების პირველი საცდელი აღწერა, რომლის თანახმად, მთელს მაზრაში შალის წარმოებას მისდევდა 6 574 შინამრეწველი, რაც მაზრის მთელი მოსახლეობის 3,7% შეადგენდა. თიანეთის, გორის, ახალციხის მაზრებში იქსოვებოდა მრავალი წინდა, ხელთათმანი, პაიჭი, ზონარი, აპეური, ჩითა, ქალის მოსასხამი შალი, პირბადე, ყაბალახი, ტომარა. შალის შინამრეწველი წლიურად დაახლოებით 25 მანეთს გამოიმუშავებდა.

XIX საუკუნის ბოლოს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში განვითარებული ყოფილა **ნოხების დამამზადებელი შინამრეწველობა**, რომელიც გლეხს მისი ყოველწლიური შემოსავლის 40,9%-ით უზრუნველყოფდა. უხვტყიან რაიონებში გავრცელებული იყო **ხის დამუშავების შინამრეწველობა**. გლეხები ამზადებდნენ მრავალფეროვან სამეურნეო იარაღს: ცულებს, ნამგლის ტარებს, გუთნის ნაწილებს, სალეწებს, თითისტარებს, საჩეჩელებს, ვარცლებს, როფებს, გეჯებს, საწნახელებს, ურმებს, ნიჩბებს, ქოშებს, აკვნებს, კოვზებს, სხვადასხვა ავეჯეულობას და ჭურჭლეულს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, სათუთუნეებს, შალაშინის ბუდეებს, ჩიბუხებს და სხვ.

XIX საუკუნის ბოლოს საკმაოდ დაწინაურდა ხელოსნობის ერთ-ერთი დარგი **მეკასრეობა**, რაც განპირობებული იყო ღვინის ექსპორტის გაფართოებით. სოფლად მცხოვრები შინამრეწველები საღვინე კასრების დასამზადებლად მუხის, ხოლო ციმბირის კარაქისათვის წიფლის საკასრე ტკეჩებს ამუშავებდნენ.

ასეთ კასრებში მოთავსებული კარაქი საკმაოდ შორეულ ქვეყნებში-**ინგლისსა და დანიაშიც** იგზავნებოდა. საკასრე ტკეჩების დამამზადებელი ოსტატები მრავლად იყვნენ ნატანების, მარელისის, მოლითის, წიფის, სურამის, გომის, კასპის და სხვა რაიონებში. საისტორიო ცნობები ცხადყოფს, რომ 1909 წელს რკინიგზით საქართველოდან სხვა სახელმწიფოებში 200 000, ხოლო 1912-1913 წლებში კი 450 000 ფუთი საკასრე ტკეჩი გაიგზავნა.

XIX საუკუნის შუა წლებში საქართველოში ფართოდ განვითარდა **ლითონის შინამრეწველური დამუშავება,** კერძოდ რკინისა და სპილენძის მადნის მოპოვება-გადამუშავება, 1826 წელს რაჭაში ჩატარდა ლითონის შინამრეწველების პირველი საცდელი აღწერა, რომლის თანახმადაც, სოფელ წედისში მოქმედებდა რკინის გამოსადნობი 19 ბრძმედი. წედისური რკინისაგან ადგილობრივი მჭედელი გლეხები აკეთებდნენ ცელებს, დანებს, ცულებს, ნამგლებს, წალდებს, ხმლებს, სატევრებს, თოფებს, დამბაჩებს და რევოლვერებსაც კი. დასავლეთ საქართველოში, ჩხარში, ნალ-ლურსმნის წარმოება წარმოადგენდა კაპიტალისტური შინამრეწველობის ტიპიურ მაგალითს. ჩხარელი ნალბანდები მთელ დასავლეთ საქართველოს ამარაგებდნენ ნალ-ლურსმნით. ჩხარულ ნალ-ლურსმანს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხმარობდნენ ჭიათურის მარგანეცის გადაზიდვაზე მომუშავე მეურმეები. ასეთი წარმოება ჰქონდა ჩხარელ **ანტია ფანჩულიძეს**. ეს ჩხარელი ხელოსანი დიდი რაოდენობით ამზადებდა ნალ-ლურსმანს, რისთვისაც რკინა თბილისიდან და ქუთაისიდან მოჰქონდა.



მის სახელოსნოში მუდამ მუშაობდა 4-5 დაქირავებული მუშა. ხელოსანს ჰქონდა რკინის საჭრელი სპეციალური მანქანა, რომელიც ემსახურებოდა არა მარტო მის სახელოსნოს, არამედ სხვა ანალოგიურ სახელოსნოებსაც [187, 166].

ლითონის შინამრეწველური დამუშავება უცხო არ იყო მაღალმთიან აჭარაში. ხელოსნობა აჭარის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებით როლს თამაშობდა. ხელოსნობის წამყვან დარგებს წარმოადგენდა ხალხური მეტალურგია, მჭედლობა, ხისა და ქვის დამუშავება, თიხის ნაკეთობათა დამზადება და სხვ. სამჭედლო ხელოსნობა აჭარაში მხოლოდ შემოტანილი რკინისა და ფოლადის ბაზაზე ვითარდებოდა. სოფლად მომუშავე მჭედლები რკინას ყიდულობდნენ ბათუმში. ამ პერიოდში ბათუმი წარმოადგენდა ევროპიდან რკინის შემოტანისა და გასაღების მთავარ კავკასიურ ბაზარს. ბათუმში თავდაპირველად რკინა შემოჰქონდათ ინგლისიდან, ბელგიიდან, გერმანიიდან და შემდეგ-შვედეთიდან, ხოლო 90-იან წლებში სამხრეთიდან. ბათუმში ყოველწლიურად 16 ათასი ფუთი რკინა შემოჰქონდათ. 1000 ფუთი საკუთრივ ბათუმში იყიდებოდა, დანარჩენი კი კავკასიის სხვადასხვა მხარეში იგზავნებოდა. სამჭედლო სახელოსნო ცენტრები თავმოყრილი იყოხულოში, დიდაჭარაში, ჭვანაში, მარითის, უჩამბის, სხალთის, მაჭახელის ხეობებში [338, 380-381].

მაჭახელას ხეობაში კაჟ-ჩახმახიანი თოფებისა და ცივი საბრძოლო იარაღების წარმოებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. 1878 წელს მაჭახელაში სამხედრო იარაღის მკეთებელი 30 ოსტატი ყოფილა. თოფი მაჭახელა ცნობილი











იყო მთელ კავკასიაში და ყირიმული წარმოების თოფებზე წინ მდგარა. მაჭახელური თოფ-დამბაჩების ასეთი მოწონება და აღიარება მის მაღალმხატვრულ დამუშავებაშიც გამოიხატებოდა. საუკეთესო მეიარაღე ხელოსნის სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი **ქავთარაძეებს, ნაგერვაძეებს, კახიძეებს, გორგაძეებს, ძნელაძეებს, მიქელაძეებს, ქონიაძეებს, ტაკიძეებს, ქარცივაძეებს, გაბიტაძეებს** და სხვ. [199, 338].

XIX საუკუნის 30-იან წლებში უცხოელ მოგზაურებს **კ.კოხს და ა.პეტცოლდს** უმოგზაურიათ დასავლეთ საქართველოს სოფლებში, უნახავთ სოფ.წედისში მოქმედი რკინის საამქროები, დამზადებული ნაკეთობები და ისიც შეუტყვიათ, რომ რკინის წარმოების წესს ადგილობრივები საიდუმლოდ ინახავდნენ.

XIX საუკუნის საქართველოში დიდად იყო გავრცელებული **ოქრო-ვერცხლის შინამრეწველობა.** ამ ძვირფასი ლითონების დამამუშავებელი შინამრეწველები ამზადებდნენ ხმლის, სატევრის, თოფის, დამბაჩის, რევოლვერის, ქამრის და ცხენის მოკაზმულობას, ახდენდნენ მათ მოჭედვა-მოსევადებას ვერცხლით, ოქროთი, მინანქრით, ძვლითა და რქით. შინამრეწველები ასევე ამზადებდნენ კოვზებს, ჭიქაბუდეებს, საყურეებს, ბეჭდებს, საათის ძეწკვებს, კალმისტრის ბუდეებს, მუნდშტუკებს და სხვ.

IX საუკუნის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული **მეთუნეობა.** შროშაში, ხარაგაულში, მარტვილში, ძირულაში, მცხეთაში ამზადებდნენ ქვევრებს, კოკებს, დოქებს, ჯამებს, წყალსადენ მილებს, ქოთნებს, კეცებს, კრამიტს და ა. შ.

შინამრეწველობის ერთ-ერთი დარგი იყო **გიშრის ნაკეთობათა წარმოებაც.** 1870-1880-იან წლებში ქუთაისის მაზრაში წარმოებული გიშრის ნაკეთობები დიდი რაოდენობით იყიდებოდა საზღვარგარეთ.

შინამრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა **სამღებროები** და ღებვის საქმე. „სამღებრო სარეწავები ყველაზე ადრინდელი ფორმაა კაპიტალისტური შინამრეწველობისა. იგი XVIII საუკუნეშიც და უფრო ადრეც



საეკლესიო ან სამეფო ოჯახის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ღებვის წესები და სამღებრო მცენარეთა შერჩევა არაიშვიათად შეადგენდა საგვარეულო საიდუმლოებას. სამღებრო მცენარეების, მაგ: ენდროს მოყვანა დიდი ხნის წინათაც ცნობილი იყო ამიერკავკასიაში. XIX საუკუნის 60-იან წლებში სოფ. ლოჭინში ჩნდება უკვე ენდროს პლანტაციები, ამავე დროს იგი ექსპორტის საგანიც იყო. ღებვის სეზონი ჩვეულებრივ, რამდენადაც იგი დამოკიდებულია სამღებრო მცენარეთა დამწიფებაზეც, შემოდგომის გასულს იწყებოდა. სანამ შინამრეწველობა დამყარებული იყო მცენარეულ საღებავებზე, იგი მის სირთულეებთან ერთად, კარგი ხარისხის პროდუქციას იძლეოდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ენდროს და სხვა მცენარეულ საღებავებს ჩვენში სდევნის ქიმიური საღებავები და ამან უარყოფითად იმოქმედა მაგ: ნოხის კულტურაზე. სამღებროს შინასარეწავი თუმცა შრომის მეტისმეტად მძიმე და ანტიჰიგიენურ პირობებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ შედარებით შემოსავლიანი დარგი იყო. XIX საუკუნის საქართველოში იგი უფრო მეტად მემამულეთა და ვაჭარ-მრეწველთა ხელში იყო. 1890 წლებიდან ამ წარმოებამ ზოგიერთ მაზრებში მანუფაქტურული ხასიათი მიიღო [68, 45-65].

XIX საუკუნის შუა წლებში სამღებრო საქმე ქვეყნის შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ სადედოფლო და საუფლისწულო სამღებროები და უფრო გვიან საეკლესიოც ხაზინამ გადაიბარა და ამგვარად სახაზინო შემოსავლის წყაროდ იქცა. სახელმწიფო სამღებროებიდან შემოსავალს ხაზინა ორი გზით იღებდა: 1. სამღებროების იჯარა-შესყიდვის წესით გაცემა და 2. მათი სახაზინო მეურნეობრივ გამგებლობაში დატოვება განსაკუთრებული კომისრის მეთვალყურეობით. შემოსავლის მიღების პირველი წესი მასში მდგომარეობდა, რომ ხაზინა მოიჯარე-შემსყიდველს გადასცემდა ან თვით სამღებრო საწარმოს, ან მისი გამართვის უფლებას. უკანასკნელ შემთხვევაში მოიჯარე-შემსყიდველი საღებროს მოსაწყობად ქირაობდა დუქანს, მღებარსა და მღებავს. თავის ხარჯზე ყიდულობდა საღებავსა და სხვა საჭირო ნივთებს. მოიჯარე-შემსყიდველს ბაჟგადაუხდელი საქონლის ყიდვის უფლება არ ჰქონდა. ხელისუფლება აკონტროლებდა მიცემული პრივილეგიებით სარგებლობას. მოიჯარე-შემსყიდველების გარდა შეღებვის წარმოება ყველას მკაცრად ეკრძალებოდა-მათ ჩამოერთმეოდათ მასალები და შეღებილი ნივთები. ამასთანავე მღებარებს მოიჯარე-შემსყიდველის სასარგებლოდ ორმაგი საფასური გადაეხდევინებოდათ. ხელისუფლება ასევე მკაცრად აკონტროლებდა მომსახურებაზე გადახდილ ფასს-მოიჯარე-შემსყიდველს, ხაზინასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, უფლება არ ჰქონდა შემკვეთისათვის დაწესებულ საფასურზე მეტი გადაეხდევინებინა. მას არც იმის უფლება ჰქონდა, დაწესებულზე ნაკლები გადაეხდევინებინა, რომ ხაზინას ზარალი არ ენახა [245, 355].

იღებებოდა შალის, ნარმის და სხვა ქსოვილები. 1844 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში აღრიცხული იყო ბამბის, შალის და აბრეშუმის ქსოვილების დამამზადებელი 3 ათასზე მეტი დაზგა.

მოიჯარე-შემსყიდველს გირაოდ უნდა წარედგინა ხაზინაში საიჯარო-შესყიდვის თანხის ნახევარი. საიჯარო-შესყიდვის თანხა მას უნდა გადაეხადა სამ

ნაწილად: პირველი-მარტში, მეორე-ივლისში, მესამე-ნოემბერში. გადახდა უნდა მომხდარიყო რუსული ან ქართული ვერცხლით. თანხის ოდენობა სხვადასხვა იყო.

წელი	მდებარეობა	იჯარის თანხა (მან-ში)
1827	გორის სამღებრო არბოს სამღებრო ალის სამღებრო	1 000 80 მან 50 კაპ. 35 მან. 50 კაპ.
1830	მუღანლოს სამღებრო	150

გორისა და ცხინვალის სამღებროთა მოიჯარე-შემსყიდველნი შემკვეთებს ერთი ნაჭერი ბურმეტის შეღებვაში ახდევინებდნენ:

დამკვეთი	მომსახურების სახე	არშინზე
ვაჭრებს	ღია ლურჯად შეღებვაში	15 კაპ.
არამოვაჭრე მოსახლეობას	მეტად მუქ ლურჯად შეღებვაში	20 კაპ.
	ღიაფრად	10 კაპ.
	ცისფრად	4/5 კაპ.

ბამბის ძაფისა და აბრეშუმის შეღებვაში გირვანქაზე ახდევინებდნენ-50 კაპ;
თეთრი აბრეშუმის თბილისური თავთის შეღებვაში, არშინზე-20 თეთრს;
იმერულისაზე-10 კაპ;
ლეკური შალის თითოეული ნაჭრის მუქ ლურჯად შეღებვაში-1 მან. 40 კაპ;
ბაც ცისფრად-1 მან. 20 კაპ;
მთიულური ფშაური შალის ასეთსავე შეღებვაში, თითოეულ ცალში-1 მან. 20 კაპ. [245, 356].

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ სამღებროების სამართლებრივი და უფლებრივი მუხლები მთლიანად შეცვალა, ამიტომ მეფეთა სიგელებით გადასახადებისაგან ადრე თავისუფალი ეკლესიები და კერძო პირები სახაზინო მოსაკრებლიდან არ თავისუფლდებოდნენ.

წელი	ადგილმდებარეობა	შემოსავალი
1830	მუღანლოს სამღებრო	150 მან.
1830	კახეთის სამღებროები	3 651 მან.
1830	სურამის, არბოსა და ალის სამღებროები	146 მან.
1828	დუშეთის სამღებროები	120 მან.

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: ვასილ ჩანტლაძე „სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.)" საქ.სსრ.მეცნ. აკადემია-ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ V, 1951. გვ. 358

სამღებროების სახაზინო შემოსავალი 1801 წელს შეადგენდა მხოლოდ 490 მან. სადედოფლო და საუფლისწულო მამულების ხაზინის სასარგებლოდ ჩამორთმევის შემდეგ ამ დარგის შემოსავალმა იმატა.

წელი	თანხა
1810	10 876 მან.
1823	11 030 მან.
1827	10 204 მან.
1840	7 168 მან.

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: ვასილ ჩანტლაძე „სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.)" საქ.სსრ. მეცნ.აკადემია-ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ V, 1951. გვ. 358

ნ. ბერძენიშვილს მოჰყავს რამოდენიმე კონკრეტული საბუთი სამღებროების და მათი იჯარით გაცემის შესახებ. იგი მოგვითხრობს ჯავახეთში მოგზაურობის თაობაზე, სადაც სოფელ მურჯახეთში უნახავს მღებარის საფლავი, რომელზედაც გამოსახული ყოფილა მამაკაცი, ქვევრი და ჯამი, ანუ მისი სამუშაო ნივთები. სამღებროები ჯავახეთის სხვადასხვა სოფლებში სულ უკანასკნელ ხანამდე იყო. სამღებროში ქვევრი დგას. მოშორებით ცეცხლია გაჩაღებული. აქედან სითბო მილით მიჰყავთ ქვევრთან. ქვევრში წყალია, შიგ წამალია გახსნილი. წყალი ნელთბილია. შიგ ნართს ავლებენ, ღებავენ [25, 309-315].

(ნ.ბერძენიშვილი გვთავაზობს შალის ძაფის ღებვის რეცეპტს, რომელიც ალბათ მღებავთა რომელიმე ოჯახის საიდუმლოებას წარმოადგენდა.)*

გორის მაზრის უფროსის 1845 წლის ანგარიშის თანახმად, მაზრის მცხოვრებთაგან ზოგიერთნი შინაურ დაზგებზე ქსოვდნენ ხამს (ნარმას) და მაუდს,

* „XIX საუკუნის დამდეგი. შალის ძაფის ღებვის რეცეპტი. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული შრიფტით:
ნითელი შალის ძაფის შეღებვა ასე უნდა: ტყემლის ტყლაპი უნდა გამოჭყლიტოს, შაბი უყოს, კარგა აადუღოს, ჩადოს ძაფი, წამოადუღოს და დადგას რომ გაცივდეს, ამოიღოს, დააშროს და მშრალი გარეცხოს. ენდრო დანაყოს, იმ ღამეს დაალბოს თბილ წყალში, დილაზე ხამ წყალში ჩაყაროს, აადუღოს, ჩადოს ახალი გარეცხილი ძაფი, სამჯელ უნდა გაცივდეს და გააცხელოს. მას უკან ამოიღოს, გაამროს, ძროხის შარდში აადუღოს, იმაში გაავლოს, მალე, საჩქაროდ ცივ წყალში გაავლოს. . .
ნარინჯის შეღებვა:ნარინჯის ხე უნდა დაჩეჩქოს ცულის ყუით. ლამაზათ გაფხეკილი დაალბოს, ორი-სამი დღე დიდ ქვაბში მოხარშოს იმ წყალში, სხვა კი აღარ უნდა დაასხას. პირველათ უნდა ამოიღოს ნვენი, შაბი უნდა უყოს ბარაქიანად, იმაში ჩადოს, მას უკან მოუდგეს, დაასხოს ნვეილათ, მინა არ შეიღებოს. . .
ჯიგარი უნდა შეიღებოს: ლამი აადუღოს კარგად. თუ სქელი იყოს, ცოტა წყალი დაკრას, ჩადოს ძაფი და აყაყლიმოს, მშრალი არსად დარჩეს. შამი დღე ისე იდგეს, მეოთხე დღეს ამოიღე. გააშვრე, მასუკან გარეცხე. ენდრო დანაყე, წყალი აადუღე, ჩადე, ამოიღე, ენდრო ჩადე, გააცხელე, რომ გაცივდეს, მალე ამოიღე, გააშვრე. სეც ნარინჯის შარდში დაადედვინეთ, როგორც ნითელი დაედოს წყალში მალე უნდა გაავლოს შარდიანი. . .
მწვანე ასე უნდა შეიღებოს: ნაზი უნდა მოხარშო კარგად. იმაში უნდა დაშაბო, მერე ორჯელ-სამჯელ დაასხათ კარგათ, რომ დაიყვითლოს. მას უკან გააშროს და ლილაში გაავლოს. მწვანე მოვა. თუ კარგი ნაზია, კარგი ყვითელი მოვა და მწვანეც კარგი შეიღებება. . ."[ბერძენიშვილი ნ. „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის". ნიგნი III. თბ. 1955. გვ. 556]



რომელთაც ღარიბი მოსახლეობა იყენებდა სამეურნეო ყოფაში. სამაზრო ადმინისტრაციის არასრული ცნობებით, 1845 წელს საქართველოში გაიყიდა გორის მაზრაში დამზადებული სოფლის ნარმის დაახლოებით 30-60%-მდე, სულ 15 ათასი მანეთის ღირებულებისა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გორის მაზრა განთქმული იყო თივთიკის შალის დამზადებით. ასეთი შალები მზადდებოდა თხის რბილი თივთიკისაგან და ძვირადაც ფასობდა. თივთიკის შალის დამზადების დროს არსებობდა ერთგვარი სტანდარტი, შალი ზომით უნდა ყოფილიყო 15-5/8 არშინი. იგი 100 მანეთად და უფრო მეტად ფასობდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გორის მაზრის ბევრ სოფელში შინამრეწველები ამზადებდნენ ქვევრებს. ქვევრი ღვინის შენახვის საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა. გორის მაზრა ვერ აკმაყოფილებდა ქვევრებით საკუთარ წარმოებას და ისინი შემოჰქონდათ გორში ზემო იმერეთიდან. შინამრეწველობა უფრო მეტად გორის მაზრის ჩრდილოეთ მთიანეთში იყო გავრცელებული, აქ ის მო-

სახლეობისთვის მნიშვნელოვან საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ეს ითქმის ისეთ სოფლებზე, როგორიც იყო ზღუდერი, ხოჯა, შუა ერმანი და სხვ. ბარში ამ მხრივ ცნობილი იყო ვანათი (მატყლის დამზადებით), კარალეთი, ქვახვრელი, უფლისციხე (ჭილობის დამზადებით).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გორის მაზრაში ინტენსიურად მისდევდნენ **კირის შინამრეწველობას**. კირს ამზადებდნენ გორიჯვარში, კავთისხევში, თელათგორში, წინარეხსა და სხვა სოფლებში. კირი იყიდებოდა გორის მაზრაშიც და იგზავნებოდა თბილისშიც. კირის წარმოების ზრდა დაკავშირებული იყო ბინათმშენებლობის სწრაფ ზრდასთან. თუ ადრე გლეხები უმეტესწილად მიწურებში ცხოვრობდნენ, ახლა შეძლებული გლეხობა იშენებდა ქვისა და აგურის სახლებს. ინტენსიურად მისდევდნენ კირის შინამრეწველობას ქუთაისის ახლოს სოფელ ბანოჯაში. გამდიდრებულ გლეხებს **ნესტორ და მაქსიმე ჩოგოვაძეებს** ჰქონდათ კირის წარმოება. დაქირავებული ჰყავდათ იმავე სოფლის მოსახლეობა, ზოგი ქვას ტეხდა (1 ქურას უნდოდა 20 საჟენი ქვა), ზოგი შეშას ამზადებდა (1 ქურას სჭირდებოდა 100-120 საჟენი შეშა), ზოგი თვით საკირე ქურაზე მუშაობდა. 1 ქურაში 25 საჟენი კირი ამოდიოდა და იძლეოდა 700-800 მან. კირი გასაყიდად მიჰქონდათ ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, სვირში და სხვა ადგილებში [187, 167].

უცხოეთიდან გადმონერგილი და უმეტესად უცხოელთა კუთვნილი საფაბრიკო-საქარხნო საწარმოები მუშახელს საჭიროებდა, ასევე უცხოეთიდან შემოტანილი ხელოსნური წარმოების ახალი დარგები თავისუფალ განვითარებას და თავისუფალ ბაზარს მოითხოვდა. ამრიგად XIX საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოში მყარი ნიადაგი შემზადდა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისათვის. ჭარბი სავაჭრო კაპიტალი გზას იკაფავდა მრეწველობის ცალკეულ დარგებში, სამშენებლო საქმეში, სავახშო საკრედიტო სისტემაში, რადგან ფეულადი მეურნეობის განვითარების პირობებში კრედიტზე მოთხოვნა დიდად გაფართოვდა და სასესხო პროცენტმაც სწრაფად იწყო მატება. ქართველი თავადაზნაურობის უმეტესობა ძნელად შეეგუა ამ პროცესს, მხოლოდ ცალკეულმა მემამულეებმა შეძლეს ახალ ყაიდაზე გარდაექმნათ მეურნეობა და შეეცადნენ სასაქონლო საფუძველზე ეწარმოებინათ პროდუქცია. გლეხობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უმიწობისა და შემოსავლის უკმარისობის გამო ქალაქებს მიაშურებდა საარსებო საშუალებების მოპოვებისა და საბატონო გადასახადების დასაფარავად.

თბილისი იყო ერთგვარი საკვანძო ქალაქი იმ დროის ევროპასა და აზიას შორის განვითარებულ ეკონომიკურ ურთიერთობაში. თბილისს ხშირად ერთსა და იმავე დროს ეწვეოდნენ ნეგოციანტები პარიზიდან, მოსკოვიდან, ნიჟნი ნოვგოროდიდან, როსტოვიდან, ოდესიდან, ლაიპციგიდან, ფრანკფურტიდან, მარსელიდან, ლიონიდან და სხვ. შიკრიკები, სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეები პეტერბურგიდან, სოვდაგრები კონსტანტინეპოლიდან, თავრიზიდან, თეირანიდან, ინგლისიდან, კალკუტასა და მადრასიდან, სომეხი კომერსანტები სმირნასა და ეზდიდან და უზბეკელთა ქარავნები ბუხარიდან [65, 213].

XIX საუკუნის 40-იან წლებში თბილისი იქცა **ხელოსნური წარმოების ცენტრად**. 1845 წელს აქ საქმიანობდა 2 ათასზე მეტი ოსტატი, 4 ათასამდე ქა-

რგალი, შეგირდი და დაქირავებული მუშა. მკვიდრი თბილისელი ხელოსნები გაერთიანებული იყვნენ ამქრულ ორგანიზაციებში (არსებობდა 60-70 ამქარი). თანდათან იზრდებოდა ამქარგარეშე ხელოსანთა კონტინგენტი, რომლებსაც ძირითადად რუსეთიდან და უცხოეთიდან მოსული ოსტატები ქმნიდნენ [16, 63].

ყოველ ამქარს თავისი ხელმძღვანელი-უსტაბაში ჰყავდა. 1867 წელს საქართველოს ადგილობრივმა მმართველობამ არსებული სიტუაციის უკეთ კონტროლის მიზნით, გამოსცა ამქრების რეგისტრაციისა და დამტკიცების ახალი წესი. დებულებაში მითითებულნი იყვნენ ის ამქრები, რომლებიც რეგისტრაციაში გატარების შემდეგ კანონიერ ორგანიზაციებად იქნებოდნენ აღიარებულნი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ამქართა შორის იყვნენ: მეპურეები და „ბულოჩნიკები", ხარაზები და მეჩექმეები, სირაჯები, მეუნაგირეები, მენაბდეები და მატყლის მჩეჩელნი, ქურქჩები და მექუდეები (ჭონები), მკერვალები, დურგლები, კარეტნიკები, შპალების მკეთებელნი, მხატვრები და ჭერის დამხურავები, მესპილენძეები, მეთუნუქეები და მელამპეები, ვერცხლეულობის და ოქროულობის საქმის ოსტატები, დალაქები, მეხანჯლეები, მჭედლები, მღებრები, ოქრო-მკერდის მკერავნი, მეჭურჭლეები და მეაგურეები.

XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან თბილისელი ვაჭრები კარგად გაინაფნენ საბითუმო ვაჭრობასა და სავაჭრო კომპანიების შექმნაში. ისინი უკავშირდებოდნენ როგორც ევროპის, ისე რუსეთისა და ირან-ინდოეთის მდიდარ ბაზრებს და დგებოდნენ შუამავლებად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის სავაჭრო-სააღებმიცემო ურთიერთობებში. ამიერკავკასიის ვაჭრები კა-

პიტალით ჯერ კიდევ ღარიბნი იყვნენ და თანაც ევროპული ვაჭრობის პრაქ-ტიკული ცოდნა აკლდათ,... მათ არც ევროპული ენების ცოდნა ჰქონდათ და არც სავაჭრო კავშირი ევროპასთან, მაგრამ ისინი მაინც მიემგზავრებოდნენ საქონლის შესასყიდად ლაიფციგის ბაზრობაზე, ტრიესტში, მარსელში და ევ-როპის სხვა ქალაქებში. მათ მიერ შესყიდული საქონლის ნაწილი საღდებოდა ამიერკავკასიაში, ნაწილს ისინი სპარსეთში გზავნიდნენ. თბილისის ვაჭრებმა სპარსელებს პირველად გააცნეს ევროპის მანუფაქტურული მრეწველობის ის საგნები, რომლებიც ახლა სპარსულ ბაზრებს ავსებს და რომლებიც სახალხო მოთხოვნილების საგნებს წარმოადგენს [118, 185-186].

XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოდან საზღვარგარეთ გაუტანიათ:

პროდუქციის დასახელება	გატანილი პროდუქციის ღირებულება (მანეთებში)
აბრეშუმი	60 000
ცვილი	18 000
თაფლი	5 000
სიმინდი	24 000
ბეწვეული	25 000
კაკალი	10 000
დაფნის ფოთოლი	18 000
ნაბლი	5 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: ე.ორჯონიკიძე „ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში" თბ. 1974 გვ.61

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბაზრების დაკავშირებამ თბილისი მალე გადააქცია დიდ სატრანზიტო ცენტრად. თბილისში არსებობდა რუსული ფართლეულის დეპო და ვენური მაღაზია უცხოეთის მრავალგვარი საქონლით, მათ შორის ფრანგული ფუფუნების საგნებით.

1821 წელს სამხრეთ კავკასიაში შეღავათიანი საგარეო-სავაჭრო ტარი-ფის დაწესებამ ხელი შეუწყო უცხოელ მეწარმეთა მოზიდვასა და დასაქმე-ბას საქართველოში. მათ ხელოსნობის მრავალი ახალი დარგი განავითარეს, განსაკუთრებით აღსანიშნავია საკონდიტრო წარმოება, ძეხვის დამზადება, მე-თუნუქეობა, მეშუშეობა, მკინძაობა, ეტლების დამზადება, მეკასრეობა, საგა-ლანტერეო საქონლის დამზადება და სხვ. ამ პერიოდის საქართველოში გაჩნდა საქალაქო ტრანსპორტის ახალი სახეობები: კონკა და ტრამვაი.

ეტლის დამზადება სამ დამოუკიდებელ სამუშაოს წარმოადგენდა, ჯერ ხდებოდა ხის ნაწილების დამზადება, შემდეგ რკინის ნაწილების დამზადება, შემდეგ შეღებვა. ამისდა მიხედვით ეტლების მკეთებელ ხელოსანთა სამი კატ-ეგორია არსებობდა: ხეზე მომუშავე, მჭედელი და მღებვარი ეტლის მკეთებელ-ნი. პირველი მათგანი ბორბლებს, კეხს, რკალს და ხის სხვა ნაწილებს ამზადებ-და, მჭედელი-ხის ნაწილების რკინით დაკავშირებას, ბორბლების სალტეებით შემორტყმას და სხვა რკინის სამუშაოს ასრულებდა, გარდა რესორებისა, რო-

მელსაც გამზადებულ ბაზარზე იძენდნენ, ხოლო მღებვარი-უკვე გამართულ და გამზადებულ ეტლს ღებავდა. ეტლის მკეთებელ ხელოსანთა სამივე სახე საფასო მოხელეობას ეწეოდა, თუმცა ეტლებს მხოლოდ შეკვეთით ამზადებენ-შემკვეთისაგან ბეს მიღების შემდეგ [43, 64-65].

1828 წელს ა.ს.გრიბოედოვი მთავარმართებელ პასკევიჩს სწერდა: „ამიერკავკასიის ბუნებრივი ნაწარმოები იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარია, რომ ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ამოვირჩიოთ ისეთნი, რომელთა დამუშავება ყველაზე სასარგებლო იქნება. მათგან უმრავლესს შეადგენენ: ღვინო, აბრეშუმი, ბამბა, ენდრო და სხვა საღებავები. აგრეთვე სამკურნალო მცენარეები და თამბაქო, ამასთანავე შაქრის ლერწმის და ძველთაგანვე აქ ცნობილი ზეთის ხილის გაშენებამ და ბოლოს ქიშმირის მატყლმა შეიძლება დაბადონ მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები“. . .... [118, 187].

1821 წელს, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, უცხოელ მეწარმეს-**გამბას** დიდი მამულები გადასცეს. ერთი ცნობის თანახმად, გამბამ პირველმა გამოთქვა სურვილი, რომ შედგომოდა სამეწარმეო წამოწყებათა მოწყობას, ამიტომ მიეცა მას საკუთრებად 16 000-მდე დესეტინა მიწა იმ ადგილებში, რომელიც თვითონ ამოირჩია. ასეთი მიწისათვის გამბას გადაახდევინეს 1 მანეთი ასიგნაციით დესეტინაზე, გადასახადი თანხის განაწილებით ერთნაირად 5 წლის მანძილზე. ძალიან მალე გამბას იმერეთში (ვარციხეში, მდინარე ყვირილასა და რიონის შესართავთან) გამოუყვეს მიწის ფართობი (აჯამეთის ტყის ნაწილითურთ). მოგვიანებით ეს მამულები სომეხი მრეწველის, **ანანოვის** საკუთრებაში აღმოჩნდა, რომელმაც ამ რეგიონში ღვინის სანიმუშო მეურნეობა შექმნა.

1828 წელს რუსმა პოეტმა და დრამატურგმა **ალექსანდრე გრიბოედოვმა** თბილისის გუბერნატორ ა.ზავილეისკის წარუდგინა პროექტი დიდი წამოწყების შესახებ. იგი კომპანიისათვის მცირე საიჯარო ფასად 133 000 დესეტინა მიწის გამოყოფას მოითხოვდა. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო აბრეშუმისა და თამბაქოს წარმოების, მეღვინეობის, შაქრის ლერწმის, სხვადასხვა წამლებისათვის გამოსაყენებელი მცენარეული კულტურების მოშენება. სამომავლოდ კომპანია მიზნად ისახავდა ფაბრიკა-ქარხნების დაფუძნებასაც.

ამავე პერიოდში, 1830 წელს **გენ.ზავილეისკიმ** ქალაქ ახალციხესთან შუშის ქარხანა დააარსა.

სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში მცირე იყო. სახელმწიფო მეურნეობის ეს დარგი განუვითარებელი დარჩა. ცენტრიდან დაშორებულობა და გზის უქონლობა, სატრანსპორტო სიძნელენი, განსაკუთრებით სამხედრო საჭიროებანი, რეფორმამდელ პერიოდში იწვევდნენ ზოგიერთ სახელმწიფო საწარმოს მოწყობის აუცილებლობას. ამ ნიადაგზე წარმოიშვა აზრი საქართველოში ზოგიერთი ფაბრიკა-ქარხნის მოწყობის შესახებ. გენერალმა **პ.ციციანოვმა** წამოაყენა წინადადება, რომ საქართველოში დაარსებულიყო მაუდის ფაბრიკა, რომელიც სამხედრო ნაწილებს დააკმაყოფილებდა მაუდით, ამავე მიზნით იგი ფიქრობდა ბამბის ქსოვილებისა და ტყავეულის ფაბრიკების მოწყობასაც [245, 353].

სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი ამ პერიოდის საქართველოში სომხების საკუთრება იყო. 1876 წელს თბილისში სომეხმა მრეწველმა **ადელხ-**

ანოვმა უახლესი მანქანებით მოწყობილი ტყავეულობის მსხვილი საწარმო დაარსა. საწარმოში დასაქმებული იყო 2 000 კაცი. რაც შეეხება **იარალოვის** მექანიკურ ქარხანას, მასში 900, ხოლო **ენფიანჯიანცის** ფაბრიკაში კი 600 კაცი იყო დასაქმებული.

კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარებას დიდად შეუწყო ხელი რკინიგზების მშენებლობამ. 1864 წელს დამტკიცდა ფოთი-თბილისის რკინიგზის პროექტი, რომელიც უნდა დაეფინანსებინათ ინგლისელ მეწარმეებს. 1872 წელს პროექტი განხორციელდა. რკინიგზის ნორმალური ფუნქციონირებისათვის თავდაპირველად დაფუძნდა რამდენიმე მსხვილი საწარმო თბილისსა და მიხაილოვოში (ხაშურში). აღნიშნულ საწარმოებში სამი ათასამდე მუშა იყო დასაქმებული. სარკინიგზო მიმოსვლის ამოქმედებასთან ერთად საქართველოში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქვანახშირისა და მარგანეცის მოპოვება, აშენდა მადნის დასატვირთი ბუნკერები და მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები.

გაზეთ „გუთნისდედის" 1865 წლის 15 იანვრის ნომერში დაცული ინფორმაციის თანახმად, მრავალი წარმატებული მეწარმისათვის ჯილდოები გადაუციათ:

- **„ვიტტე** და კომპანიას პარაფინის ქარხნის მეპატრონეებს, წმინდა კუნძულში, ბაქოს გუბერნიაში ოქროს მედალი პარაფინისა და ნავთისათვის;
- **ბრანტს**, ტფილისის დაბაღს იგივე ჯილდო კარგი ტყავებისათვის;
- **კნიაზ ნიჟარაძეს**, იმერეთის მეპატრონეს, იგივე ჯილდო კარგი თამბაქოსათვის;
- **ანანოვს,** ვარციხის მამულის პატრონს, იგივე ჯილდო კარგი ბამბისათვის;
- **კნიაზ ჩიჯავაძეს**, იგივე ჯილდო, იმავე საგნისათვის;
- **კნიაზ ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანსკის** იგივე ჯილდო, სოფელს დიღომში მოყვანილი კარგი ბამბისათვის.

საუკეთესო ღვინოების წარმოებისათვის მიიღეს შემდეგი ჯილდოები:

- აგრონომმა **დეიჩმანმა** დიდი ვერცხლის მედალი და ოცი თუმანი ფული;
- **კნიაზმა გიორგი ზურაბის ძემ ანდრონიკოვმა** პატარა ოქროს მედალი;
- ჩინოვნიკმა **ლობაჩევსკიმ** პატარა ვერცხლის მედალი.

ამას გარდა, ჯილდოების კომიტეტმა ყურადღება მიაქცია აბრეშუმის ნიმუშებს ევროპულად გამოხვეულებს და რომელნიც იყვნენ წარმოდგენილნი **ალექსევისაგან, ვორონინისაგან, ვართაზაროვისაგან** და **გრაფი როზმორდიუკისაგან** და რადგანაც შრომამ ამ პირთა მიიღო კომიტეტმა ღირსად საკუთრის ჯილდოისა, ამისათვის დასდვა, რომ იშუამდგომლოს მისის იმპერატორებითის უმაღლესობასთან კავკასიის ნამესტნიკთან იმათი დაჯილდოებისათვის" [69].

ოდიშის სანაპიროზე ერთადერთ ნავსადგურს წარმოადგენდა მდ.ხოფის შესართავში მდებარე **ყულევი**, რომელსაც რუსებმა რუსულ-თურქულად დაარქვეს რედუტ-კალე, ე.ი. რედუტის ციხე. ყულევის მნიშვნელობა დიდად გაიზარდა, 1822 წელს აქ ცხოვრობდა 150 ვაჭარი 30 სახლში, ხოლო სამი წლის შემდეგ ყულევში უკვე იყო ასზე მეტი სახლი, 400-ზე მეტი მცხოვრებით. 1823 წელს აქ შემოვიდა 86 გემი ტრაპიზონიდან, სტამბოლოდან და ოდესიდან, 1824

წელს კი 130 გემი, მათგან ერთი იყო მოსული პირდაპირ მარსელიდან. ყულევში შემოდიოდა:

საიდან	რა პროდუქცია
სტამბოლოდან	რომი, შაქარი, ყავა და ზოგი სხვა რამ
ტრაპიზონიდან	სავსებით საშუალო ღირსების ღვინო, ფორთოხალი, ლიმონი, ზეთი, ხამი ტილო, ნარმა, ჩითი
ტაგანროკიდან	რკინა, ჩვეულებრივი მატყლი, თოკი, რაგოჟა, დამარილებული თევზი, ზოგი ღვინოც
არქიპელაგიდან (ქერჩიდან)	მარილი და საფიანი(ასტრახანის ცხვრის ტყავი)
ოდესიდან	შაქარი, რომი, ბამბის ქსოვილები და შეღებილი ტილოები, მაუდი, აბრეშუმის მატერიები, წვრილი რკინეულობა, შამპანური ღვინოები, ლიქიორები და სხვ.

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: „ქართველი ხალხის ისტორია" სარგის კაკაბაძე. თბ. 2003. გვ. 93-94

ყულევი დიდხანს წარმოადგენდა მთავარ ნავსადგურს ოდიშ-გურიის სანაპიროზე. 1846 წელს ყულევი გამოცხადებულ იქნა სანავსადგურო ქალაქად. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ დასცა მისი ეკონომიკური მნიშვნელობა [105, 93-94].

XIX საუკუნის დასაწყისში ბათუმი, რომელიც მანამდე პატარა დასახლება იყო, თანდათანობით ვითარდება. ტრაპიზონში ინგლისის კონსული, კავკასიაში ცნობილი დიპლომატი, **უილიამ ჯიფორდ პალგრევი** (1826-1888წწ.), რომელმაც იმოგზაურა და ვრცლად აღწერდა ქალაქ ბათუმი და მისი შემოგარენი, ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, 1872 წლის ანგარიშში დიდ ყურადღებას ამახვილებდა ბათუმის ნავსადგურის მდებარეობაზე, მისი განვითარების პერსპექტივებზე და მნიშვნელობაზე შავი ზღვის აუზის ვაჭრობაში. მისი ცნობით, 1850-იან წლებამდე ბათუმი წარმოადგენდა მცირე დასახლებას, მაგრამ შავი ზღვის რუსეთის ვაჭრობისა

უილიამ ჯიფორდ პალგრევი (1826-1888)
William Gifford Palgrave



და საზღვაო სანაოსნოს საზოგადოების დაარსების შემდეგ (ფოთთან სიახლოვის გამო), მან შეიძინა ფართო სავაჭრო მნიშვნელობა და მოიპოვა მთელი რიგი უპირატესობანი შავი ზღვის აუზის სხვა პორტებს შორის. პალგრევის აზრით, ბათუმის ერთ-ერთი უპირატესობა ის იყო, რომ მას გააჩნდა ღრმა სავსადგური, რომელიც ამავე დროს დაცული იყო ქარებისაგან. ნავსადგურის ასეთი მოხერხებული მდებარეობა ქმნიდა უსაფრთხო და ხელსაყრელ პირობებს აქ სხვადასხვა კაბოტაჟის მქონე გემების მიმოსვლისათვის. პალგრევი ასევე მიუთითებდა, რომ სხვადასხვა ქვეყნების ალმებით ფოთში მიმავალი და უკან დაბრუნებული გემებიც აუცილებლად ბათუმში უნდა შესულიყვნენ. დიდი გემების გადმოტვირთვა-დატვირთვაც, რომლებიც ფოთში ვერ შედიოდნენ, ასევე ბათუმში ხდებოდა. პალგრევი ბათუმის ქალაქ-ნავსადგურის სხვა პოზიტიურ მხარეებზეც გვაწვდის ცნობას. იგი მიუთითებს რკინის 15 მეტრიან სვეტზე აღმართულ ორსანთლიან შუქურაზე, რომელიც დადგმული ყოფილა კონსტანტინოპოლში არსებული შუქურების აღმდგენელი ფრანგული საზოგადოების მიერ. შუქურა ზღვაში ყველა მხრიდან მოჩანდა და აიოლებდა ბათუმში მომავალი გემების მოძრაობას.

1858 წელს ბათუმში გაიხსნა საზღვაო სანაოსნოს სააგენტო და სხვადასხვა ტვირთის შესანახი საწყობები, რამაც სრულიად შეცვალა ნავსადგურის ცხოვრება და მისი ჩართვა საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში. პალგრევის ცნობით, ამ დროისათვის ბათუმში იყო 385 სავაჭრო ფარდული, რომლებშიც იყიდებოდა დიდი რაოდენობის სასურსათო პროდუქცია, სპირტიანი სასმელები, მათ შორის მანჩესტერიდან შემოტანილი მანუფაქტურული ნაწარმი. ბათუმში ვაჭრობას ეწეოდნენ ბერძნები, ლაზები, სომხები, თურქები და ადგილობრივი

მოსახლეობის წარმომადგენლები. დ. ბაქრაძის ცნობით, ბათუმსა და მის შემოგარენში სავაჭრო საქონელი შემოდიოდა არა მარტო ინგლისიდან, არამედ შვედეთიდან (საფეიქრო ნაწარმი), რუსეთიდან (რკინა და ქვანახშირი), საფრანგეთიდან (შაქარი), არაბეთიდან (აბრეშუმის ქსოვილები) და სხვ.

ბათუმის ქალაქ-ნავსადგურის განვითარების პერსპექტივებზე ერთნაირი მოსაზრება აქვთ უილიამ პალგრევს და ნიკო ნიკოლაძეს. ეს უკანასკნელი ბათუმს 1872 წელს ეწვია და რამდენიმე წერილი მიუძღვნა ბათუმისა და შავიზღვისპირა სხვა ქალაქების განვითარების საკითხებს. იგი თვლიდა, რომ ბათუმისა და მისი შემოგარენის კეთილმოწყობა, მისი რკინიგზის ქსელში ჩართვა მკვეთრად გაზრდიდა ქალაქის პორტის მნიშვნელობას და ევროპასთან ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად გადააქცევდა მას. 10 წლის შემდეგ ნ.ნიკოლაძის მოსაზრებები რეალობად იქცა. ბათუმი ჩაერთო ბაქო-ბათუმის ერთიან სარკინიგზო სისტემაში, რასაც მოჰყვა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანა და ამ ორმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმა განსაზღვრა ბათუმის, როგორც საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალზე მდებარე სანავსადგურო ქალაქის მნიშვნელობა. იგი გადაიქცა მესამე სამრეწველო ქალაქად კავკასიაში ბაქოსა და თბილისის შემდეგ.

XIX საუკუნის 80-იან წლებამდე საზღვარგარეთ ბაქოს ნავთობის გატანა ფოთისა და ბალტიის ზღვის ნავსადგურებიდან წარმოებდა და საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. მრეწველებს, რომლებიც ნავთობის მრეწველობის განვითარებით იყვნენ დაკავებულნი, ეს გზა არ აკმაყოფილებდათ. მათ კარგად ესმოდათ, რომ წარმატებული საქმიანობისათვის საუკეთესო გზა ბათუმი იყო, ამიტომაც მისი ბუნებრივი ნავსადგური და მოხერხებული სატრანზიტო მდებარეობა მათ ყურადღებას იპყრობდა. ვიდრე ქალაქი თურქეთის ხელში იყო, ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანი ნავსადგურით ვერავინ სარგებლობდა. რუსეთ-თურქეთის ომში (1877-1878 წლები) რუსეთის გამარჯვებისა და ბათუმის შემოერთების შემდეგ მისი პორტად გამოყენების საუკეთესო პირობები შეიქმნა. 1878 წლის 13 ივლისს ბერლინში ხელმოწერილი ტრაქტატის მე-8 პუნქტით ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს სტატუსით.*

1883 წელს ბათუმ-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ ბათუმი დააკა-

---

* „პორტო-ფრანკო" იტალიური სიტყვაა და ეწოდება იმ ზღვიპირა ნავსადგურს, რომელიც სარგებლობს უცხოური და ადგილობრივი საქონლის უბაჟოდ შემოტანა-გატანის უფლებით. ამასთან ეს უფლება ვრცელდება ნავსადგურის მხოლოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ე.წ. პორტო-ფრანკოს კვარტალზე, სწორედ ამ კვარტალში არსებულ საწყობებში ხდება საქონლის მიღება-დახარისხება, შეფუთვა და გაგზავნა დანიშნულების პუნქტში,. ბათუმი იყო მესამე ქალაქი რუსეთის იმპერიაში, სადაც ძალაში შევიდა პორტო-ფრანკოს რეჟიმი და მან იარსება 1886 წლის 23 ივლისამდე. პორტო-ფრანკოს სტატუსი, მის მატარებელ სავაჭრო-სასაწყობო ცენტრს აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში და აჩქარებს იქ საქონლის მოზიდვას სხვადასხვა ქვეყნიდან. მათი სასაწყობო მომსახურება (დება-შენახვა, დახარისხება, შეფუთვა და სხვ.) იწვევს ადგილზე კაპიტალის სწრაფ დაგროვებას, ამის მიუხედავად, გარკვეული ხნის შემდეგ, პორტო-ფრანკო შეიძლება გახდეს შემზღუდავ და უსარგებლო ფაქტორად ეროვნული ეკონომიკისათვის. ამასთან პორტო-ფრანკოს ტერიტორიის მოსახლეობა განიცდის სხვადასხვა შეზღუდვა-უხერხულობას საბაჟო კონტროლის დროს, რადგან კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, დათვალიერება-შემოწმებას ექვემდებარება როგორც საზღვარგარეთული, ასევე სამამულო წარმოების ყოველგვარი საქონელი." [მალხაზ სიორიძე „ბათუმის საბაჟო" ბათუმი 2003. გვ. 51-53]

ვშირა ბაქოსთან, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საპორტო-სამრეწველო ქალაქის ზრდისა და განვითარების პერსპექტივები.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ბაქოში იქმნება ნავთობმრეწველთა გაერთიანება და იწყება მსხვილი კომპანიების ჩამოყალიბება. 1889 წლისათვის აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობმრეწველის ხარისხში რეგისტრირებული იყო 28 ფირმა და 41 ინდმეწარმე. მათ შორის მსხვილი კომპანიები ბაქოს ნავთობის 42,2% აწარმოებდნენ. ესენი იყვნენ:

– „ბაქოს მენავთობეთა საზოგადოება";

– ძმები ნობელების ნავთობმრეწველთა ამხანაგობა;

–„ბათუმის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება", (დაფუძნდა 1883 წელს, საზოგადოების საკონტროლო პაკეტი 1886 წელს გადავიდა ბარონი როტშილდის ხელში და ჩამოყალიბდა, როგორც „კასპიაშავიზღვისპირეთის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება");

– რუსული მინერალური ზეთებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების საწარმოო კომპანია „С.М. Шибаев и К." (1884 წელს ჩამოყალიბდა);

– ნავთობსაწარმოო და სავაჭრო საზოგადოება „Каспийское товарищество", (შეიქმნა 1886 წელს) და ა.შ. [223, 242].

ნავთობმრეწველთა გაერთიანების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი მეწარმეები და ქველმოქმედნი, ნობელები. **ლუდვიგ ნობელს** (1831-1888 წწ.) უშუალოდ შემოუვლია ბათუმის პორტის შემოგარენი, დაუთვალიერებია რვიდი და გაცნობია ყველა შესაძლო პირობას, რაც ხელშემწყობი გახდებოდა ვაჭრობისათვის. 1873 წელს ბაქოში დაფუძნდა ძმები ნობელების სანავთობო კომპანია Nobel Brothers Oil Extracting Partnership), რომელიც მყისვე გახდა ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიო ნავთობმომპოვებელ კომპანიებს შორის.

ლუდვიგ ნობელი (1831-1888)
Ludvig Emmanuel Nobel

კომპანიას ეკუთვნოდა აზერბაიჯანის უმსხვილესი ბიბი-ეიბათის ნავთობის სანარმოები. ნავთობის მოპოვება პრიმიტიული მეთოდებით წარმოებდა. მოპოვებული ნავთობი ხის კასრებით, ხშირად საჭაპანე ტრანსპორტის გამოყენებით გადაიზიდებოდა ოდესაში, სადაც იგი ტანკერებში იტვირთებოდა [91, 235].

1883 წელს დასრულდა ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, მაგრამ პირველ წლებში კერძო მეწარმეებს არ მისცეს თავიანთი ვაგონების გამოყენების უფლება. ასეთი ნებართვა მხოლოდ 1888 წელს გაიცა. რკინიგზის წლიური გამტარუნარიანობა 5 მლნ. ფუთს შეადგენდა. 9 ვაგონ-ცისტერნისაგან შემდგარი ეშელონი ერთი მხარის და-

ფარვას 60-70 საათს ანდომებდა. 1888 წლისათვის კომპანია „Branobel"-ი 465 საკუთარ ვაგონს ფლობდა. ნავთობის ექსპორტის თვალსაზრისით რკინიგზის დაბალ გამტარუნარიანობას იწვევდა სატრანზიტო ტვირთების მოძრაობა, ლიანდაგების სიმცირე, სურამის უღელტეხილის რთული მონაკვეთი და ა.შ. ამ სირთულის დასაძლევად ნობელებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ სურამზე ნავთის საკუთარი მილსადენი-მიხაილოვოდან (ხაშურიდან) ყვირილამდე. მისი სიგრძე 62 ვერსი იყო, რომლის მშენებლობაც ამხანაგობას 650 ათასი მან. დაუჯდა. ეს იყო ნავთობის მილსადენის პირველი წარმატებული მშენებლობა დიდი მანძილისა და სიმაღლის გათვალისწინებით. შემდგომში ეს მილსადენი ამხანაგობამ დაშალა და სხვა საჭიროებისათვის გამოიყენა [223, 242].

1884 წელს ნავთსადენი მილის გაყვანის ინიციატივით გამოვიდა ამერიკელი მილიონერი **გეორგ ვილსონი**, რომელმაც ითხოვა კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ კონცესიის წესით ბაქო-ბათუმს შორის ნავთსადენის გაყვანის ნებართვა. თხოვნა არ დააკმაყოფილეს, მიზეზად დასახელდა ევროპელი სპეციალისტების დასკვნა საქართველოში ნავთობის დიდი ბუდობების აღმოჩენის შესახებ, რომელთა ათვისებაც სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა ბაქოს ნავთობს და, ბუნებრივია, ის უზარმაზარი ხარჯები, რაც დაკავშირებული იქნებოდა ბაქო-ბათუმს შორის ნავთობსადენის გაყვანასთან, ფუჭად ჩაივლიდა. სამიმოსვლო გზების მოუწესრიგებლობის გამო აღმოსავლეთის ქვეყნებში თუნუქის ბიდონებითა და ხის კასრებით ნავთობის შეტანა უფრო მოსახერხებელი იყო და ამავე დროს საცალო ვაჭრობისათვისაც ერთგვარ სიმარტივეს ქმნიდა. ამიტომ XIX საუკუნის 90-იან წლებიდან ბათუმში იხსნება თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების ქარხნები და მასთან დაკავშირებული სხვა საწარმოები.

1885 წლისათვის ამხანაგობა „Branobel"-მა ბათუმიდან გაიტანა 717 ათასი ფუთი (11745 ტონა) საპოხი ზეთი. ძმები ნობელების ამხანაგობას ბათუმში ჰქონდა „ბათუმის კანტორა", რომელიც აგვარებდა საორგანიზაციო საკითხებს. ამხანაგობის ძირითადი კაპიტალი 3 მლნ რუბლს შეადგენდა, რომელიც შემდეგი თანაფარდობით იყო წარმოდგენილი:

№	დამფუძნებლები	საწილო შენატანების რაოდენობა (ათასი რუბლი)	№	დამფუძნებლები	საწილო შენატანების რაოდენობა (ათასი რუბლი)
1	ლუდ.ნობელი	1 610	6	ა.ბილდერლინგი	50
2	პ.ბილდერლინგი	930	7	ფ.ბლიუმბერგი	25
3	ი.ზაბელსკი	135	8	მ.ბელიამინი	25
4	ალ. ნობელი	115	9	ა.სუნდგრენი	5
5	რობ.ნობელი	100	10	ბ.ვუნდერლიხი	5

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: „ბათუმი და ნავთობმრეწველთა ამხანაგობა „Branobel". თემურ ტუნაძე. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი 2009. გვ. 242

ნავთობის ექსპორტი ბათუმში რიგი ახალი საწარმოების დაარსებას იწვევდა, მათი უმრავლესობა მსხვილ სააქციო საზოგადოებებსა და მონოპოლიებს


PÉTROLE NOBEL
DÉPOT H.RIETH & Cie
30
30
PÉTROLE NOBEL FRÈRES
H. RIETH & Cie
SEULS IMPORTATEURS



ეკუთვნოდათ. 1884 წელს მეწარმე **რიხნერმა** ბათუმში დააფუძნა ნავთის ტარის ქარხანა. ე.წ. „ნავთობის გოროდოკის" ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული იყო რიხნერის ქარხნისა და დამხმარე საწარმოთა კორპუსები. ფირმას ნავთობის მარაგისათვის გააჩნდა 266 ათასი ფუთის ტევადობის 8 რეზერვუარი.

ალფონს როტშილდი (1827-1905)
Alphonse James de Rothschild

ბიდონებისა და ხის ყუთების დიდი ქარხანა გახსნა **ალფონს როტშილდმაც** (1827-1905). მან შეიძინა ბუნგესა და პალაშკოვსკის ქარხანა. კაპიტალის მობილიზაცია-კონცენტრაციის გზით კიდევ უფრო გააფართოვა საქმიანობა „კასპია-შავი ზღვის საზოგადოებამ", რომლის აქციების მფლობელთა რიცხვი თანდათან გაიზარდა. აქციების საკონტროლო პაკეტს **როტშილდი** ფლობდა და წარმოებასაც ის უძღვებოდა. ნავთის ტარის ქარხანაში დაიდგა ორთქლის ქვაბები, ამერიკიდან შემოტანილი მექანიკური დაზგები, რის შედეგად მოკლე ხანში 2-3-ჯერ გაიზარდა პროდუქციის (ხის ყუთები და თუნუქის ბიდონები) დამზადება.

1896 წელს გაიხსნა „სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილება". ფინანსური ოპერაციების პარალელურად მან ხელი მოჰკიდა ნავთის ბიდონებისა და ხის ყუთების საქარხნო მრეწველობას და ნავთობით ვაჭრობას. ეს ქარხანა ტექნიკურად კარგად იყო აღჭურვილი. თუნუქის ბიდონები 70 დაზგაზე, ხოლო ხის ყუთები 15 დაზგაზე მზადდებოდა. ნავთობის ჩამოსასხმელ განყოფილებაში დამონტაჟებული იყო ორთქლის ქვაბი და 2 მუშა მანქანა. საწარმოსთან არსებული რეზერვუარები და როფები 177 ათას ფუთს იტევდა. ქარხანა და მისი სათავსოები ერთმანეთს და ნავსადგურს ლიანდაგებით უკავშირდებოდა. აღნიშნული ქარხნის დღიური მაქსიმალური მწარმოებლურობა 1896-1897 წლებში შეადგენდა 7 050 ცალ ხის ყუთსა და ბიდონს.

ხის კასრებით ბათუმიდან საექსპორტოდ ძირითადად გაჰქონდათ საცხები ზეთები, ზოგჯერ ნავთიც. 1896 წლისათვის ბათუმში კასრების დამამზადებელი 6 მანუფაქტურული საწარმო არსებობდა. კასრების დამამზადებელი საამქროები თავიანთ ქარხნებთან ახლოს ჰქონდათ, აგრეთვე, ნავთის ტარის მსხვილ მეწარმეებს და ფირმებს. გემებში ნავთობპროდუქტებით სავსე ყუთებისა და



კასრების ჩასატვირთად ნავსადგურში მოწყობილი იყო ელევატორები.

„შუტცის და ციმერმანის" საწარმოებს ეკავათ ნავთობის ქალაქის ჩრდილო-დასავლეთის კუთხე. იქ არსებობდა ქარხნის მთავარი კორპუსი, ნავთობის გადამსხმელი სადგური, რეზერვუარები 180 ათასი ფუთის ტევადობით.

ნავთის ტარის დამამზადებელი ქარხნების არსებობამ განაპირობა ის, რომ 1888 წელს ბათუმში გაიხსნა თუნუქისა და მექანიკური ქარხნები, ხოლო 1895 წელს ლურსმნის ქარხანა. ამ საწარმოებისათვის საჭირო ნედლეული ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ესპანეთიდან შემოჰქონდათ.

უცხოეთიდან შემოჰქონდათ აგრეთვე ხის მასალა ბიდონების ჩასადგმელი ყუთებისა და კასრებისათვის. იმპორტული ხის მასალის 9/10 ავსტრიიდან (გალიციიდან) შემოდიოდა, 1/10 კი-ხერსონიდან, (ზოგჯერ ამერიკიდანაც). უცხოეთიდან ხე-ტყის იმპორტს ეწეოდნენ **„გალიციის ანონიმური საზოგადოება"** და **ბარონი ფორერი.** 1898 წლიდან სამასალე ფიცარი შემოდიოდა მდ. კოდორის ხეობიდანაც, სადაც მას მაქსიმოვის ფირმა ამზადებდა. შემდგომ წლებში ადგილობრივი ხის მასალის ხვედრითი წილი ბათუმის ნავთის ტარის წარმოებაში შესამჩნევად იზრდებოდა.

უცხოეთში ნავთობის შეუფერხებლად გატანის მიზნით ბათუმში ააგეს ნავთობის რეზერვუარები. XX საუკუნის დასაწყისისათვის აქ იყო 150-მდე რეზერვუარი, რომლებიც ერთდროულად 20 მლნ ფუთ ნავთობს იტევდა. მათგან როტშილდებს ეკუთვნოდა 25 რეზერვუარი-4,2 მლნ ფუთი ნავთტევადობით, ნობელებს-22 რეზერვუარი 3 მლნ. ფუთი ნავთტევადობით, მანთაშევს 13 რეზერვუარი-2,4 მლნ. ფუთი ნავთტევადობით და ა.შ. რეზერვუარებიდან ნავთობის გადატანა ტანკერებში ხდებოდა სპეციალურად მოწყობილი ჩამომსხმელი სადგურების მეშვეობით, რომლებიც მილებით უკავშირებოდნენ რეზერვუარებს. პირველი ასეთი ჩამომსხმელი ბათუმის ნავსადგურში 1885 წელს

მოაწყო სავაჭრო სახლმა **„ელლერ-ბურკგარდტმა და კომპანიამ“**. 1902 წელს აქ უკვე მოქმედებდა ნავთის ჩამომსხმელი 31 სადგური. 1900-იანი წლების მეორე ნახევარში ნავთობის ექსპორტის შემცირებასთან ერთად მათი რიცხვიც შემცირდა. 1913 წლისათვის ბათუმის ნავსადგურში სულ 20-მდე ჩამომსხმელი მოქმედებდა.

ნავთობის ამერიკელ მაგნატებთან კონკურენციის შედეგად რუსეთმა თითქმის მთლიანად დაკარგა აღმოსავლეთის ბაზრები. თუ 1904 წელს ბათუმიდან იქ გაიტანეს 21,8 მლნ ფუთი ნავთი, 1905 წელს ექსპორტი ამ რეგიონში 5,2 მლნ ფუთამდე დაეცა. ამის შემდეგ ბათუმში ნავთის ტარის მწამოებელი ქარხნების მუშაობა უკვე თითქმის შეუძლებელი გახდა. ნობელებმა, როტშილდმა, მანთაშევმა და სხვა მეწარმეებმა მოახდინეს ბათუმში თავიანთ საწარმოთა დემონტაჟი. ქარხნები მათ აქედან გადაიტანეს და გამართეს: 2-კიუსტენჯიში, 5-ალექსანდრიაში, 2-ვენეციაში და 1-გენუის მახლობლად. ნავთობის საერთაშორისო ბაზრის თუნდაც მცირედი ნაწილის შენარჩუნების მიზნით, ბაქო-ბათუმის მრეწველები გაერთიანდნენ რუმინეთის ნავთის მრეწველებთან და შექმნეს ე.წ. „ევროპული კავშირი“, რომლის ხელმძღვანელობაც „გერმანიის ბანკმა“ იკისრა, მაგრამ „კავშირი“ სუსტი აღმოჩნდა კონკურენციისათვის. გამარჯვება საბოლოოდ ამერიკელ და ინგლისელ მონოპოლისტებს დარჩათ. ბრძოლა ნაგებულად ჩათვალეს ბაქო-ბათუმის ნავთობმრეწველებმა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბაქოს ნავთობის უმსხვილესმა ექსპორტიორებმა-როტშილდებმა 1911 წლის ბოლოს თავის ინტერესები რუსეთის ნავთობის მრეწველობაში დაუთმეს მსხვილ ინგლისურ-ჰოლანდიურ კორპორაციას-გ.დეტერდინგის „როიალ დატჩ შელს“, ხოლო ნობელები მხოლოდ რუსეთის საშინაო ბაზრით შემოიფარგლნენ. მიუხედავად ამისა, ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში ბათუმმა მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. 1883-1913 წლებში ბათუმის ნავსადგურით საზღვარგარეთ (რუსეთში გატანის ჩაუთვლელად) გადაიზიდა 1,4 მილიარდ ფუთამდე ნავთობპროდუქტი, რომლის საერთო ღირებულებამ 800 მლნ. მანეთს გადააჭარბა.

ომის დაწყებისა და შავი ზღვის სრუტეების ჩაკეტვის შემდეგ ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებულმა საწარმოებმა ბათუმში მუშაობა შეაჩერეს. შეწყდა სავაჭრო გემების მიმოსვლაც. ბათუმი ფრონტისპირა ქალაქ-სავსადგურად გადაიქცა. 1915-1916 წლებში რუსეთის ჯარმა კავკასიის ფრონტზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამან ფინანსურ წრეებს იმედი გაუღვიძა, რომ ბათუმი ისევ გახდებოდა საერთაშორისო-სავაჭრო ნავსადგური. ოპტიმიზმს აძლიერებდა ისიც, რომ რუსეთი შეუდგა ბათუმ-ყარს-ჯულფას რკინიგზის გაყვანისათვის მზადებას. ბათუმის საბირჟო კომიტეტი 1916 წლის მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ რკინიგზის გაყვანა ბათუმ-ყარსს შორის კიდევ უფრო დააჩქარებდა ამ მხარის უმდიდრესი წიაღისეულის ათვისებას, მათ დამუშავებასა და საზღვარგარეთ გატანას, ამით იყვნენ დაინტერესებულნი ბაქოელი ბავთობმრეწველებიც. მათი აზრით, ომისშემდგომი პერიოდის საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის პირობებში კავკასიურ ნავთობს ხელსაყრელი პირობები შეექმნებოდა მსოფლიო ბაზარზე ადრინდელი უფლებრივი მდგომარეობის აღსადგენად. ამიტომ მრეწველებმა დაიწყეს ნავთობგადამმუშავებე-



ლი და ჩამომსხმელი საწარმოების აღდგენა. უკვე 1917 წელს განახლდა ნავთობის ზღვით გატანა რუსეთში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში ინგლისელები მოვიდნენ. მათ განაახლეს ბაქოში ნავთობის ამოღება და ბათუმში ტრანსპორტირება, მაგრამ არასტაბილური მდგომარეობის გამო ნავთობის ექსპორტი შეფერხებებით მიმდინარეობდა. ნავთობის წარმოება და ექსპორტი მთლიანად იყო დამოკიდებული საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე, რის გამოც ის არათანაბარზომიერად ვითარდებოდა. მიუხედავად ამისა, ბათუმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიური ნავთობის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისათვის.

1899 წლისათვის ბათუმის ნავსადგურში ექსპორტ-იმპორტის საქონლის ბრუნვამ 91 100 000 მანეთი შეადგინა. ამ წლის განმავლობაში ბათუმის პორტში შემოსულა 1 309 გემი. ბათუმიდან მარტო ნავთობის ექსპორტი როდი ხდებოდა, ასევე გაჰქონდათ სიმინდი, თამბაქო, ღვინო, ბეწვეული, მატყლი, აბრეშუმი, ბამბა, ხალიჩები, კერამიკული ნაწარმი, კაკლის ხე, კაკლის ზეთი, მუხის ტკეჩი, პალმის ხე, კვერცხი და სხვ. კაკლის ხეები გაჰქონდათ მორების სახით. თითოეული იწონიდა 80-დან 100 ფუთამდე. თითო ფუთი ადგილზე ჯდებოდა 80 კაპიკიდან 1 მან. და 10 კაპიკამდე (ფასი დამოკიდებული იყო ხარისხზე). მარსელში ჩატანილი კაკლის ხის მორის ფასი 100 კილოზე 20-დან 35 ფრანკამდე მერყეობდა. მარსელამდე კი 100 კილო ტვირთის ჩატანა 5 ფრანკი ჯდებოდა.

დასავლეთ ევროპაში და ნაწილობრივ თურქეთში გაჰქონდათ 100 000-დან 500 000 ფუთამდე სიმინდი.

1888 წლის გაზეთ „მეურნეში" (10 მარტი №10) ვკითხულობთ: „სიმინდის

მოყვანა წლიდან წლამდე მატულობს, ოფიციალური ცნობები გვაუწყებს, რომ

1884 წელში, ბათმანის ანგარიშით:

ქუთაისის მაზრაში დაითესა	187,060	მოვიდა 3 164 720
შორაპნის მაზრაში დაითესა	418,896	მოვიდა 3 992 000
ოზურგეთის მაზრაში დაითესა	136 800	მოვიდა 3 420 000
რაჭის მაზრაში დაითესა	8 096	მოვიდა 93 680
სენაკის მაზრაში დაითესა	1 040 000	მოვიდა 20 800 000
ზუგდიდის მაზრაში დაითესა	2 176 000	მოვიდა 40 320 000
ლეჩხუმის მაზრაში დაითესა	35 040	მოვიდა 1 089 472

1885 წელში, ბათმანის ანგარიშით:

ქუთაისის მაზრაში დაითესა	197,760	მოვიდა 2 966 400
შორაპნის მაზრაში დაითესა	196 880	მოვიდა 2 451 456
ოზურგეთის მაზრაში დაითესა	89 600	მოვიდა 2 405 080
რაჭის მაზრაში დაითესა	15 520	მოვიდა 310 400
სენაკის მაზრაში დაითესა	453 664	მოვიდა 9 073 280
ზუგდიდის მაზრაში დაითესა	170 656	მოვიდა 8 319 488
ლეჩხუმის მაზრაში დაითესა	92 352	მოვიდა 844 016

1886 წელში, ბათმანის ანგარიშით:

ქუთაისის მაზრაში დაითესა	357 328	მოვიდა 7 146 560
შორაპნის მაზრაში დაითესა	218 464	მოვიდა 1 623 088
ოზურგეთის მაზრაში დაითესა	97 600	მოვიდა 2 736 000
რაჭის მაზრაში დაითესა	8 896	მოვიდა 90 160
სენაკის მაზრაში დაითესა	488 800	მოვიდა 8 000 000
ზუგდიდის მაზრაში დაითესა	178 048	მოვიდა 7 121 968
ლეჩხუმის მაზრაში დაითესა	39 168	მოვიდა 792 224

1898 წელს ინგლისში გაიტანეს 2 447 ფუთი კაკლის ხე, საფრანგეთში 5-7 ათასი ფუთი კაკლის ზეთი, 200 000 ფუთი პალმის ხე-საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში, 60 ვაგონი კვერცხი და სხვ. ბათუმის ნავსადგურით შემოჰქონდათ რკინა, ფოლადი, ცემენტი, მარსელის კრამიტი, ცეცხლგამძლე აგური, პურის ფქვილი, ჩაი, სამრეწველო საქონელი და ა. შ.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმიდან საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში პალმის ხის ექსპორტირება მიმდინარეობდა. პროდუქცია ქუთაისის გუბერნიაში გროვდებოდა ყოველწლიურად 200 000 ფუთამდე.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმიდან საფრანგეთსა და იტალიაში დიდი ოდენობით აბრეშუმის პარკის ექსპორტირება ხდებოდა. გატანა იწყებოდა 15 აგვისტოს და გრძელდებოდა წლის ბოლომდე-ყოველწლიურად 403-404 ათასი ფუთი.

1902 წლისათვის ბათუმში ირიცხებოდა 366 საწარმო, მათ შორის:

1. მოთუთიებული თუნუქის დამამზადებელი ქარხანა 1
2. თუჯის ჩამომსხმელი ქარხნები 2
3. თამბაქოს ქარხნები 3
4. ხელოვნური მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნები 4
5. სურინჯის და გოგირდის ქარხნები 5
6. ელექტრო-გამანათებელი საწარმო 1
7. ხის და თუნუქის ყუთების დამამზადებელი საწარმოები 4
8. სპილენძის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოები 10
9. მეკასრეობის სახელოსნოები 5
10. კარეტების აღკაზმულობის დამამზადებელი საწარმოები 15
11. ტიპოგრაფიის და ლითოგრაფიის სახელოსნოები 7
12. ყაბალახის მწარმოებელი სახელოსნოები 3
13. სიგარეტის ქაღალდის მწარმოებელი სახელოსნო 1
14. სასწორების დამამზადებელი სახელოსნოები 2
15. მარმარილოს დამამუშავებელი სახელოსნო 1
16. ოქროს და ვერცხლის ნაკეთობათა დამამზადებელი სახელოსნოები 2
17. ტყავის დამამუშავებელი სახელოსნოები 2

დამფუძნებელთა ეთნიკურ შემადგენლობაშემდეგნაირი იყო:

ეროვნება	შედარებით მსხვილი საწარმოები	საშუალო სიდიდის საწარმოები	მცირე საწარმოები
ქართველების საკუთრება	1	62	232
სომხების საუთრება	7	61	257
რუსების საკუთრება	1	13	66
ბერძნების საკუთრება	4	54	184
თურქების საკუთრება	-	4	123
ებრაელების საკუთრება	5	22	51
სპარსელების საკუთრება	1	5	65

პოლონელების საკუთრება	-	5	3
ინგლისელების საკუთრება	2	2	-
ჩგერმანელების საკუთრება	4	5	10
იტალიელების საკუთრება	-	-	3
სერბების საკუთრება	-	1	1
ფრანგების საკუთრება	4	2	-
ჰოლანდიელების საკუთრება	-	1	-

1900 წელს ბათუმში აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა მომთუთიებელი ქარხანა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, ნედლეულის უქონლობის გამო, მან მუშაობა შეწყვიტა, რომელიც ისევ განაახლა 1921 წელს და დღეში, საშუალოდ, უშვებდა 1 500 ფუთამდე ფურცლოვან რკინას.

ბერტმანისა და კარპოვსკის თაოსნობით 1907 წელს ბათუმში ქიმიური ქარხანა ამოქმედდა. 1908 წლიდან ქარხანამ სრული დატვირთვით დაიწყო მუშაობა, მისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა 1912-1913 წლები.

XX საუკუნის პირველ ათწლეულში ბათუმში ფუნქციონირებდა ტყავის დამამზადებელი ქარხნები, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომის წლებში მეომრებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის პროდუქცია დაამზადეს.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში მოქმედ ფაბრიკებსა და ქარხნებს შორის მწარმოებლურობისა და დასაქმებული მუშახელის მხრივ ხისა და თუნუქის ყუთების დამამზადებელ ქარხნებს პირველი ადგილი ეკავა. პროდუქცია მზადდებოდა სპეციალური დაზგებით, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა ორთქლის ძრავებს. 1886 წლამდე ექსპორტიორების უდიდესი ნაწილი ყუთებს ყიდულობდა წვრილი მეწარმეებისაგან, რომლებიც მხოლოდ ხელით შრომას იყენებდნენ. ორთქლით მომუშავე ძრავების გამოყენება ყუთების დასამზადებლად პირველად შეძლო 1882 წელს **პალაშკოვსკის და ბუნგეს** ქარხანამ, რომელიც განთავსებული იყო ბათუმის ცენტრში. ქარხანა ამზადებდა ხისა და თუნუქის ყუთებს ნავთისათვის. ყუთების დასამზადებელი თუნუქი შემოდიოდა ინგლისიდან, მავთული და ლურსმანი-რიგიდან, ტყვია საფრანგეთიდან, ინგლისიდან და ესპანეთიდან, კალა ინგლისიდან და საფრანგეთიდან, თუთია კი-ოდესიდან.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში განვითარდა მეკასრეობა. მაღალი ხარისხის კასრები გამოიყენებოდა საპოხი ზეთებისა და სხვა ნავთობპროდუქტებისათვის. კპროდუქცია მზადდებოდა ქუთაისის გუბერნიაში დამზადებული წიფლისა და მუხის ტკეჩებისაგან, რომელსაც სპეციალურად ამუშავებდნენ, ნებოთი ამაგრებდნენ და რკინის სალტებით კრავდნენ. წიფლის ტკეჩისაგან დამზადებული კასრი ჯდებოდა 3 მან 50 კაპ, ხოლო მუხისა- 2-ჯერ ძვირი. 1900-იან წლებში მეკასრეობის სახელოსნოებში დასაქმებული იყო 200 კაცზე მეტი.

1902 წლის მონაცემებით ბათუმის პორტიდან გატანილი სხვადასხვა სახის საქონელის ჩამონათვალს შემდეგი სახე ჰქონდა:

№	ტვირთის დასახელება	გემების რა-ოდენობა	ტვირთების რაოდენობა (ფუთებში)
1	ნავთი ჩასასხმელი ზეთი	285	54 573 000 8 538 000
2	თუნუქის ნაკეთობები ნავთობპროდუქტებისათვის	158	2 848 500
3	ყუთები	138	15 319 900
4	ქილები	130	1 019 010
5	თუნუქი	14	1 522 000
6	ხის ყუთები	70	3 058 000
7	გოგირდი	6	146 000
8	მილები	24	651 970
9	მარგანეცი	49	5 182 200
10	ძირტკბილას ფესვები	7	702 000
11	კრამიტი	11	146 970
12	ნახშირი	10	312 000
13	ჩაი	1	210 000
14	შალი	-	209 000
15	სიმინდი	-	270 300
16	სამშენებლო ხის მასალა	-	86 400
17	აგური	117	150 000
18	ფქვილი	-	223 260
19	რკინა	-	38 510
20	ქაღალდი	-	20 400
21	სხვადასხვა საქონელი	-	1 490 155

1902 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა გემით მომსახურე 24 საზოგადოება:

1. ბელგიური ანონიმური საზოგადოება
2. სტივენსის და მოსონის საზოგადოება
3. კავკასიის გემით მომსახურე საზოგადოება
4. ნიუკესტლიდან ი.ნოტტის საზოგადოება
5. ლონდონიდან „მ.სამუელი და კომპანია“

6. როტერდამიდან ნავთისმზიდი ამერიკული საზოგადოება
7. ნიუკესტლიდან „გუნტინგი და შვილი“
8. ლივერპულიდან „ჰამილტონი, ფრეზერი და კომპანია“
9. მიდლსბოროდან „ი.მ.ლენარდი და კომპანია“
10. ვენეციიდან ნავთისმზიდი იტალიურ-ამერიკული საზოგადოება
11. ჰამბურგიდან „ალბრეხტი და კომპანია“
12. ლივერპულიდან „კ.ტ.ბაურინგი და კომპანია“
13. ლონდონიდან „ჰალბრაიტი, პემბროკი და კომპანია“
14. ლივერპულიდან „ალექსანდრ რობერტი და კომპანია“
15. ლონდონიდან ნავთისმზიდი ევროპული საზოგადოება
16. მანთაშევი და კომპანია
17. ოდესიდან „გემთა მიმოსვლის და ვაჭრობის რუსეთის საზოგადოება“
18. მარსელიდან „მესაჟერ მარიტიმი“
19. მარსელიდან „პაკე და კომპანია“
20. ავსტრიული ლოიდი
21. გერმანული ლევანტის ხაზი
22. სიცილიიდან „ფლორიო რუბატინოს კომპანია“
23. შავიზღვა-დუნაის საზოგადოება
24. რუსეთის სასაწყობო-ტრანსპორტირების საზოგადოება

ბათუმი ამ დროს წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ქალაქს, სადაც დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ევროპული პროდუქცია. მარტო მარსელის კრამიტი ბათუმში ყოველწლიურად შემოდიოდა 2 000 000 ცალის ოდენობით. თვით ბათუმში ყოველწლიურად 300 000 ცალამდე მოიხმარებოდა, დანარჩენის რეალიზაცია ხდებოდა მთელ სამხრეთ კავკასიაში.

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში ინგლისიდან შემოდიოდა ცეცხლგამძლე აგური. ყოველწლიურად შემოდიოდა 4 000 000 ცალზე მეტი. 100 000 ცალზე მეტს ბათუმი მოიხმარდა, დანარჩენის რეალიზაცია ხდებოდა ბაქოში, ძირითადად, ადგილობრივი ნავთის ქარხნებისათვის.

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში გერმანული გემებით შვედეთიდან შემოდიოდა რკინა სხვადასხვა ნაკეთობების დასამზადებლად. ¤ყოველწლიურად შემოდიოდა 16 000 ფუთზე მეტი. 1 000 ფუთამდე ბათუმშივე მოიხმარებოდა, დანარჩენის რეალიზაცია ხდებოდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ბათუმში დიდი რაოდენობით შემოდიოდა ფქვილი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ტვირთბრუნვაში. 1905-1906 წლებში ეს პროდუქცია შემოდიოდა 200 000 ტომრის ოდენობით, (1 000 000 ფუთი, 1 200 000 მანეთის ღირებულებისა). მთელი სამხრეთ კავკასიისათვის ფოთისა და ბათუმის პორტებით შემოზიდული ფქვილის რაოდენობა ყოველწლიურად აღწევდა 1 000 000 ტომარას. ფქვილის ძირითადი მომწოდებლები იყვნენ დონის-როსტოვი, ქერჩი და ოდესა. შემოტანილი ფქვილის სრული მოცულობიდან ადგილობრივ მოიხმარებოდა 50%, 15% გადიოდა თურქეთში-რიზეში, ტრაპეზუნდში, 20%-ით მარაგდებოდა გურია, 5%-გადიოდა ართვინში, დანარჩენი სარკინიგზო ხაზით თბილისში შემოჰქონდათ.

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში იტალიური გემებით სიცილიიდან შემოდიო-

და გოგირდი ნავთის ქარხნებისათვის (გამოიყენებოდა ნავთის გასაფილტრად).

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ეკონომიკურ გაძლიერებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო გარესამყაროსთან მისმა პოლიტიკურმა ინტეგრაციამ. 1901 წლისათვის აქ აკრედიტირებული იყო თურქეთის, ინგლისის, საბერძნეთის, იტალიის, იაპონიისა და სპარსეთის საკონსულოები. ჩგარდა ამისა, ბათუმში წარმომადგენლები ჰყავდათ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ბელგიას, გერმანიას, ნიდერლანდებს, ავსტრია-უნგრეთს და ნორვეგია-შვედეთს.

ბათუმიდან შორეულ აღმოსავლეთში ნავთობპროდუქტების გატანა გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე ამერიკიდან მისი ტრანსპორტირება, ამიტომ აქაურ ტვირთბრუნვას დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი ეჭირა. 1903 წელს ამერიკაში, ტეხასში აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადოები, დაიწყეს მისი ექსპლოატაცია და 1907 წლისათვის ნავთობის მოპოვების მასშტაბებით რუსეთსაც გაუსწრო. წელიწადში თითქმის 1 500 მლნ ფუთი ნავთობის მოპოვება ამერიკას საშუალებას აძლევდა იაფად და დიდი რაოდენობით მიეწოდებინა სხვადასხვა ქვეყნებისათვის ნავთობპროდუქტები. 1903 წელს ნავთობსაბადოები აღმოჩენილ იქნა ინდოეთში, ბირმასა და ასამში. ყველა ეს საბადო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ახლოს იმყოფებოდა და სავსებით უზრუნველყოფდა მათ მოთხოვნილებას ნავთობპროდუქტებით. ასეთ ვითარებაში მოთხოვნილება რუსეთის ნავთობპროდუქტებზე შესამჩნევად დაეცა, რამაც ბათუმის სამრეწველო განვითარების შეფერხება გამოიწვია.

XIX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ეკონომიკური მდგომარეობა დინამიურად გაუმჯობესდა. ქალაქში დაიწყო კაპიტალის კონცენტრაცია. შეღავათიანი ტრანზიტის ნაყოფიერი შედეგები XIX საუკუნის 30-წლებშივე შეეხო ქუთაისს. პირველი დიდი ვაჭარი ქუთაისში იყო **მამუკა ნიკოლაძე**. მისი შვილები **იაკობი და გრიგოლი** ლაიფციგის, მოსკოვისა და ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრების მონაწილეები იყვნენ. მათთან ერთად მსხვილ საბითუმო ვაჭრობას ეწეოდნენ **პეტრე მღებრიშვილი, გაბრიელ ანდრონიკაშვილი**, რომელებსაც შემოჰქონდათ საზღვარგარეთული და რუსული საქონელი. ასევე ვაჭრობდა **სტეფანე აკოპოვი**, რომელიც მალე მრეწველი გახდა. იაკობ ნიკოლაძემ პირველმა

დაიწყო საზღვარგარეთული და რუსული საქონლის შემოტანა შავი ზღვით. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მხარის ეკონომიკური განვითარებისათვის, თუმცა იალქნიანი გემებით საქონლის ტრანსპორტი დიდად აბრკოლებდა საქონლის მიმოქცევას, რადგან გემი თვეები უნდებოდა ოდესიდან თუ სტამბოლიდან საქართველოში მოღწევას. გემები შემოდიოდნენ ყულევში, ფოთში და შემდეგ ორპირში. იაკობ ნიკოლაძე გახდა მსხვილი მოიჯარადრე, რომელიც აგებდა სახლებს, გაჰყავდა გზები, აშენებდა ხიდებს. [118, 191-192].

ქუთაისმა ძალიან მალე შეიცვალა გარეგნული სახე, მოსახლეობის რაოდენობამ იმატა ვაჭრობა გაფართოვდა. ქალაქის გამგეობის 1876 წლის ანგარიშის თანახმად ამ პერიოდის ქუთაისის შემოსავლის მთავარ წყაროს შეადგენდა ვაჭრობისთვის და სამრეწველო საქმიანობისთვის დაწესებული უძრავი ქონების აუქციონებიდან მიღებული თანხები, სააქციზო, ქალაქის საკუთრებაში არსებული ტყეებისა და მიწების იჯარით გაცემიდან მიღებული თანხები, კერძო პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ტრაქტირებზე



ქუთაისი XIX საუკუნეში წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

დაწესებული, რიონზე დაცურებული ხე-ტყის გადასახადები. ამ პერიოდისათვის სულ ქალაქის შემოსავალი შეადგენდა 54 750 მან. სახსრები გაიცემოდა ქალაქის განათებისათვის, მოედნებისა და ქუჩების შეკეთებისათვის, სამხედრო პირების ბინებით უზრუნველყოფისათვის, პოლიციის მოხელეების შესანახად, საქველმოქმედო მიზნებისათვის და მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული სასწავლებლების დასაფინანსებლად. ქალქაქში არ არსებობდა ვაჭართა გილდია, ვაჭრობდნენ აბრეშუმით, ბამბით და თამბაქოთი, ასევე იყიდებოდა რუსეთიდან და თურქეთიდან შემოტანილი საქონელი.

1804 წლისათვის ქუთაისში 262 სავაჭრო დუქანი და სახელოსნო საწარმო ყოფილა. ქუთაისის ეკონომიკური დაწინაურებისათვის დიდად შეუწყვია ხელი ახალციხიდან ვაჭრების გადმოსახლებას, რითაც მიიღეს გადაწყვეტილება თავისი სავაჭრო კაპიტალის გარკვეული ნაწილი საწარმოო სექტორში ჩაედოთ. ახალციხიდან გადმოსახლებულმა ვაჭარმა **იაკობ ოცხელმა** ქუთაისში არყის სახდელი საწარმო გახსნა, რომელიც იმერეთის სოფლებში შეძენილ ნედლეულზე მუშაობდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქუთაისი სტუმრისთვის სასიამოვნოდ აღსაქმელი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა. პატარა ორსართულიანი სახლები ერთის მხრივ ნააგავდა ევროპულს, რომლებსაც ქართული ორნამენტებით მორთული აივნები ჰქონდა. პირველ სართულად თითქმის მთელ ქალაქს დარაბების რიგი მისდევდა, სადაც მაღაზიები და მცირე საწარმოები იყო განთავსებული. 1870 წელს ქუთაისში თიხის ჭურჭლის გაყიდვის მთავარ ადგილს

ქუთაისი XIX საუკუნეში

წარმოადგენდა „პატარა ყაფანი", აქ იყო ბაზრის მოედანი, რომელსაც დაახლოებით 300-400 კვ. მეტრი ფართობი ეკავა. მოედანს ორივე მხარეს სავაჭრო ნაგებობები და სხვადასხვა ტიპის სახელოსნოები გასდევდა. „პატარა ყაფანში" ხდებოდა ადგილობრივი კერამიკული ნაწარმით, აბრეშუმის პარკით, ღვინით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა. მეორე მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა ყურძნის ბაზარი, რომელიც განთავსებული იყო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. ბაზარზე ახლომდებარე რაიონებიდან მოწნული ძარებითა და ურმებით ეზიდებოდნენ ყურძენს.

XIX საუკუნის 40-იან წლებში დასავლეთ საქართველოში იზრდება სახელოსნოების და ხელოსანთა რიცხვი, კერძოდ, ფეიქრების, მჭედლების, ხარაზების, მკერავების, კალატოზების, მეეტლეების და ა.შ. აღმოცენდა ხელოსნობის ისეთი ახალი დარგი, როგორიც იყო გიშრის ნაკეთობათა დამზადება. ნედლეული ამ წარმოებისათვის ქუთაისის მაზრაში მოიპოვებოდა, სოფელ ძირულას ტყეებში. განსაკუთრებით განთქმული ხელოსნები ყოფილან ახალციხიდან გადმოსახლებული **სტეფანე, თომა და ანტონ ჭილაშვილები**. 1839 წელს ქუთაისის დიდვაჭარი **იაკობ ნიკოლაძე** დაინტერესებულა **გიშრის** ნაკეთობათა წარმოებით და 1841 წელს მის მიერვე ქუთაისში დაფუძნებულ სახელოსნოში უცდია ჭიქის ნამტვრევით გიშრის გაპრიალება.

ამავე პერიოდში ამოქმედდა ქუთაისში **პეტრე კოკოჩაშვილს** „სამაგალითო სუნამოვანი წყლის ქარხანა", **ოცხელების** სამღებროები და არყის სახდელები, **ჭილაშვილების**-გიშრის, ბამბის და მატყლის წარმოება, **გოკიელების, ფირალიშვილებისა** და **მეფისაშვილების**-თამბაქოს ფაბრიკები. აქვე იყო აბრეშუმის „ზაოდი", საკონდიტრო საამქროები, **მიტროფანე ლაღიძის** შუშხუნა წყლების

ქუთაისი XIX საუკუნეში

დარბაზი და ყინულის ქარხანა. ქუთაისის გუბერნიაში სხვადასხვა დარგის ხელოსანთა მიერ დამზადებული პროდუქციის საერთო ღირებულება შეადგენდა 137 000 მანეთს. თანხის ყველაზე დიდი რაოდენობა მოდიოდა ტანსაცმლის ნაწარმზე - 13 300 მანეთი, ფეხსაცმლის ნაწარმზე -11 200 მანეთი, ლითონის ნაკეთობებზე -20 175 მანეთი, პურეულზე -23 300 მანეთი, საკონდიტრო ნაწარმზე -6 300 მანეთი, ტყავეულზე -1 100 მანეთი. ამ პერიოდში ქუთაისში აქტიურად მისდევდნენ გიშრის, მინის, ალმასის, ტილოს, ნარმის, შალის ქსოვილების დამზადებას. ქუთაისელი ხელოსნები ამზადებდნენ საუკეთესო ხარისხის ფოლადსაც და ამ ხელოსნებს შორის უმეტესნი კათოლიკენი იყვნენ. ქუთაისელ **სტეფანე ჭილაშვილს** გახსნილი ჰქონია გიშრის სახელოსნო, მის შვილს ანტონს კი ჰქონია ბამბის, მატყლის და ეკლარის ქვის წარმოება. ასევე ცნობილი ყოფილა ქუთაისელი მეწარმე **სტეფანე პავლეს ძე თუმანიშვილი**, რომელსაც საფრანგეთის ქვეშევრდომ **დომენიკ პაპეს ძე მარკოპოლისთან** ერთად გაუხსნია აბრეშუმის „ზაოდი“.

XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ეკონომიკური განვითარების შესახებ არსებული წყაროები განსხვავებული სტატისტიკური ინფორმაციის შემცველია. არსებობს ქ.ქუთაისის გუბერნატორის 1908 წლის მიმოხილვითი ხასიათის მოხსენება, რომელსაც თანდართული აქვს №8 უწყისი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ: 1904 წელს ქუთაისში ითვლებოდა 61 სამრეწველო საწარმო, რომლებშიც მუშაობდა 241 მუშა, ე.ი. საშუალოდ 4 კაცი ერთ საწარმოში. წარმოების საერთო მოცულობა შეადგენდა სულ 202,3 ათას მანეთს.

1908 წელს ქ.ქუთაისში იყო ყველა კატეგორიის და ტიპის 50 სამრეწველო საწარმო, რომლებშიც მუშაობდა 207 მუშა. ე.ი. საშუალოდ 4,1 მუშა თითოეულ

საწარმოში. ყველა ამ საწარმომ გამოუშვა 216,3 ათასი მანეთის პროდუქცია, ე.ი. საშუალოდ ერთ საწარმოზე მოდიოდა 4,3 ათასი მანეთი. ამ მონაცემების მიხედვით ქუთაისში 1908 წელს შედარებით 1904 წელთან სამრეწველო საწარმოთა რიცხვი შემცირდა 61-დან 50-მდე, ხოლო მუშების რაოდენობა 241-დან 207-მდე, თუმცა წარმოების საერთო მოცულობა გაიზარდა.

1912 წელს ქ.ქუთაისში არსებობდა ყველა ტიპისა და კატეგორიის 58 საწარმო, სადაც მუშაობდა სულ 276 მუშა, ე.ი. ერთ საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა 4,8 მუშა. ამ საწარმოებმა დაამზადეს 275,9 ათასი მან. პროდუქცია, ე.ი. ერთ საწარმოზე მოდიოდა 4,7 ათასი მან. პროდუქცია [224, 90-91].

განსხვავებულ სურათს იძლევა რუსეთის იმპერიის საფაბრიკო-საქარხნო დამუშავებითი მრეწველობის 1908 წლის მონაცემები, რომლის თანახმადაც: 1908 წელს ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა სულ 4 საწარმო. ამ საწარმოში მუშაობდა სულ 74 მუშა, ე.ი. საშუალოდ 18,5 მუშა თითოეულ საწარმოში. ყველა საწარმოს წარმოების საერთო მოცულობა შეადგენდა 102,6 ათას მანეთს, ანუ საშუალოდ 25,6 ათას მანეთს ერთ საწარმოზე. 1913 წელს საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სამრეწველო საწარმოები ქუთაისის გუბერნიაში იყო სულ 16, სადაც მუშაობდა 757 მუშა [224, 90-91].

XX საუკუნის დასაწყისში ანანოვის ღვინის ქარხნის გარდა ზესტაფონში ფუნქციონირებდა **ყავის საწარმო,** რომელიც იმ დროისათვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ყავა სოიოსა და რკოსაგან მზადდებოდა და დიდი რაოდენობით იყიდებოდა როგორც ქუთაისის გუბერნიაში, ასევე რუსეთის ბაზრებზე. ქარხანა განთავსებული ყოფილა ახლანდელი ს.ზაქარიაძის ქუჩაზე, ვაჭარ **აგაბო გაჩეჩილაძის** საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულში. ქარხნის მეპატრონე ყოფილა პოლონელი კომერსანტი **სატოვსკი** და რუსი **მასალკინი**. XX საუკუნის 10-იან წლებში ქარხნის მეპატრონეები ზესტაფონიდან წასულან, ქარხანა კი მიუყიდიათ **ბიქტორ, აგაბო** და **მიხეილ გაჩეჩილაძეებისათვის**, რომლებსაც გაუგრძელებიათ ყავის წარმოება.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი **გორი.** შეღავათიანმა ტრანზიტმა გორი ვაჭრობა-აღებ-მიცემობის შედეგად წამოწია XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. გორელი ვაჭრებიც, ისე, როგორც თბილისელები ლაიფციგისა და დრეზდენის ბაზრებზე ვაჭრობდნენ, შემდეგ ისინი ჩვეულებრივად მიდიოდნენ ნიჟნი-ნოვგოროდის, ვარშავის, მოსკოვისა და ოდესის ბაზრებზე, სადაც იძენდნენ სხვადასხვა საქონელს, რომელსაც გორშივე ყიდიდნენ ბითუმად და ცალობით [118, 191].

გერმანელი მოგზაური და მკვლევარი **კლაპროთი** თავის წიგნში „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში", რომელიც 1812-14 წლებში გამოიცა ჰალესა და ბერლინში, გორის შესახებ წერდა: იგი „არის თბილისის შემდეგ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი; იქ ითვლება 300 სახლი, რომელთაც გალავანი აქვთ შემორტყმული;...გორში არაა ფაბრიკა გარდა რამდენიმე საქსოვი დაზგისა, რომლებითაც ნახევარი არშინი სიგანის თხელ ბამბის ქსოვილს და განიერ ოთხკუთხედ სასაბნეებს ქსოვენ. ბაზარი შედგება ასიოდე წვრილმანით მოვაჭრე დუქნისაგან. დუქნები დიდია, მაგრამ საქონლის მარაგი იმდენად მცირეა, რომ ყოველ ვაჭარს შეუძლია თავისუფლად წაიღოს ზურგით



თავისი წვრილმანი საქონელი [127, 74-79].

გორელები თავიანთ გადახურულ ბაზარს „ბნელ რიგებს“ უწოდებდნენ, რადგან იგი ყავრით იყო გადახურული, იგი ქვაფენილიანი ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული მაღაზიების და დახლების გალერეას წარმოადგენდა. მყიდველს შეეძლო „ბნელ რიგებში“ ჩაევლო და და დუქნებში შეუსვლელად თავისთვის საჭირო საქონელი შეერჩია, ასანთიდან დაწყებული ხალიჩებითა და სხვა ძვირფასი ნაწარმით დამთავრებული. ქორწილის, ქელეხის ან სხვა ხალხმრავალი თავყრილობებისათვის მოქალაქეებს აქ შეეძლოთ დაექირავებინათ ავეჯი, ჭურჭელი, ხალიჩები და სხვ. აქ ყოველთვის შეიძლებოდა მეთევზისათვის ახალი თევზის შეკვეთა, შეძენა ხიზილალის, გამოყვანილი თევზეულის, ადგილობრივი და საზღვარგარეთული მაგარი სასმელების და სხვ. „ბნელ რიგებში“ მრავალ ხელოსანს თავისი სახელოსნო ჰქონდა და ნაწარმსაც იქვე ასაღებდა [130, 43-45].

XIX საუკუნის შუა წლებში გორში ყოფილა ეკლესიები: ერთი ბერძნულ-რუსული (სამხედრო), სამი ქართული, ამდენივე სომხური და ერთიც კათოლიკური, სახლი 600, მცხოვრებთა რიცხვი 1700...ქალაქის დამამშვენებელია ყაზარმები და ჰოსპიტალი ქართულ გრენადერთა პოლიკისა. ქალაქში დუქანია 174, რომელთა შორის 40-ში იყიდება ფართლეული და დანარჩენში კი ღვინო, არაყი, რძის ნაწარმი და სურსათი და საწარმოების სხვადასხვა ხელოსნობა. გარდა ამისა ქალაქში არის 13 წისქვილი, 1 კარგად მოწყობილი აბანო, 2 თიხის ჭურჭლის ქარხანა, 2 აგურხანა და 1 სამღებრო. ქალაქს ეკუთვნოდა ახლოს მდებარე 48 ვენახი და ხილის ბაღი. [216, 3].

გორი გასცდა ციხის კედლებს და წარმოიშვა ახალი უბნები: „ციხის უბანი“, „რუის უბანი“, „ახალი დასახლება“, „სულუხი“ და სხვ. მომდევნო წლებში ვაჭ-

რობისა და წარმოების განვითარების გამო იზრდებოდა საქალაქო შემოსავლები: 1877 წელს ისინი შეადგენდა 24 760 მან. 23 კაპ; 1878 წელს 24 520 მან. 51 კაპ; 1879 წელს 24 763 მან. 26 კაპ; 1880 წელს 23 431 მან. 09 კაპ.

ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, გორის მკვიდრი **სოფრომ მგალობლიშვილი** წერს: „ოჯახური მრეწველობა რეფორმამდელ საქართველოში და რასაკვირველია გორსა და მის მიდამოებში, საყოველთაოდ იყო გავრცელებული. მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, მებამბეობას, სელის მოყვანას და თვითონვე ოჯახებშივე ეწეოდნენ ამ ნედლეულის, თუ მთლიანად არა, უდიდესი ნაწილის გადამუშავებას, აგრეთვე ყველის, ერბოს, თაფლის სანთელისა და სხვ. წარმოებას. შინამრეწველობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა შალეულისა და აბრეშუმეულის წარმოებას. სოფლის მეურნეობის უმეტესი ნაწილი სწორედ შინაური შალისა და აბრეშუმის ქსოვილებით იყო შემოსილი. ფართოდ იყო გავრცელებული ნოხების, ფარდაგების, ხალიჩების ქსოვა, ქარგვა. ნაბდები და ხურჯინები მთლიანად შინამრეწველური ნაკეთობისა იყო“ [141, 9].

1841 წელს ქალაქის საზოგადოებრივი და მოსახლეობის კერძო ქონებიდან ამოსაღები თანხები შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

თევზჭერისათვის	15 მან.
ტვირთის გადაზიდვისა და მდინარეზე გადატანისათვის	100 მან.
ქალაქის სანონებისა და საზომთა გამოყენებისათვის	120 მან.
გაჯის საწარმოებიდან	30 მან.
სხვა საწარმოების შემოსავლებიდან	141 მან.
სახაბაზოებიდან	20 მან.
ვენახებიდან, ხილის ბაღებიდან და ბოსტნებიდან	40 მან.
სამღებროებიდან	50 მან.
წისქვილებიდან და წვრილ საწარმოებიდან	50 მან.
სამიკიტნოებიდან	180 მან.
საწრილმანო დუქნებიდან	50 მან.
ვაჭრებიდან	560 მან.
შინამრეწველებისა და ხელოსნებისაგან	200 მან.
თითოეული მეეტლისაგან ცხენებისა	45 მან.
დაცურებული ტივების მტკვრის ნაპირზე მიდგომისათვის	20 მან.

კომპოზიტორი **არჩილ მშველიძე** (1906-1981 წწ) თავის მოგონებებში იხსენებს XX საუკუნის დასაწყისის გორს: „გორის ეკონომიკური სიძლიერის

მაჩვენებელი იყო წვრილი კუსტარული ქარხნები. აქ მზადდებოდა საუკეთესო აგური და კრამიტი. ადგილობრივი თიხა საუკეთესო მასალა იყო ჭურჭლის დასამზადებლად. მე თვითონ მინახავს როგორ ზელავდნენ მუშები ფეხებით თიხას, რომელსაც შემდეგ ფორმებში ასხამდნენ და გახურებულ ღუმელში წვავდნენ. გამოუწვავ აგურებს ალიზს უწოდებდნენ. მდინარეების სიუხვე საშუალებას იძლეოდა, რომ გორში რამდენიმე წისქვილი ყოფილიყო. ჩემს ახალგაზრდობაში მახსოვს გორში 7 წისქვილი მუშაობდა. ყველა ისინი მდინარე ფშანზე იყო აგებული. ესენი იყო **უხურგუნაშვილის, ზუბალაშვილის, სინკას, ლეკიშვილის, კულას და ამილახვარის** წისქვილები. მეშვიდე წისქვილის სახელწოდება არ მახსოვს. ხორბლის დაფქვაში ფულს არ ახდევინებდნენ. უნდა გადაეხადათ ე.წ. მინდი (ნატურით გადახდა). წისქვილები პრიმიტიული ტექნიკით იყო აღჭურვილი, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მათ შორის შედარებით მაღალ დონეზე იდგა ზუბალაშვილისა და სინკას წისქვილები." [163, 4].

XIX საუკუნის 40-იან წლებში განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო ატენის ხეობას. აქ თავად **ერისთავებს** მოწყობილი ჰქონდათ წყლის ენერგიაზე მოწყობილი „ქარხნები", რომელთაგან ერთი ატენში იყო განთავსებული. მოგვიანებით, 80-იან წლებში, ფინელმა მრეწველმა **ავგუსტ იაგორის ძე ზეზემანმა** გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკიგზა, რომელიც ქ. გორიდან ამ ხეობის გავლით გადიოდა ბორჯომის ხეობამდე. მისი ძირითადი ფუნქცია ხე-ტყის გამოტანა იყო, რომელიც მზადდებოდა სოფლებში: ბობნევი, ბიისი, თხინალა, ორმოცი, ბოშური, ტუსრები, საცხენისი, თეთრწყაროში, ლევიტანაში. ხეობის ცენტრალურ სოფლებში ჩნდება კირის, აგურის, ნახშირის გამოსაწვავი მცირე საწარმოები, ნავთობის რეზერვუარები, საპნის სახდელები, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი, სამღებროები და სხვა სახის საოჯახო მოთხოვნების საქონლის მწარმოებელი ქარხნები, მრავლდება წყლის წისქვილები და არყის სახდელები. 1898 წელს სოფ. ხიდისთავში ნავთის მსხვილი რეზერვუარი ჰქონდა **პეტრე დავითის ძე აბუევს**, რომლის ქონება 600 მანეთად იყო შეფასებული, მის ძმას **ზაქარია აბუევს** ჰქონია პურის საცხობი, შეფასებული ასევე 600 მანე-

ვანო გიგაშვილი თავის დამზადებულ ჭურჭლეულთან ერთად

თად, ხოლო მესამე ძმას **ივანეს** ჰქონია შერეული სახის საწარმოები, შეფასებული 400 მანეთად. მდ. ტანაზე კარგად გამართული წისქვილი ჰქონდა მოწყობილი **გიორგი დავიდოვს**-შეფასებული 120 მანეთად. იქვე სავაჭრო დუქანს ამუშავებდა **სოლომონ ბარათოვი**-შეფასებულს 400 მანეთად და ა.შ. [180, 476-477].

XIX საუკუნის 80-იან წლებში გორში კარგად ყოფილა განვითარებული კერამიკული წარმოება. 93 წლის მეჭურჭლე **მიხა ლევანის ძე ნადირაძის** (გორი, 1967 წ.) ცნობით მეჭურჭლეები აკეთებდნენ ჯამებს, საღვინეს (დიდსა და პატარას), ქილას, ტოლჩას, საწველელს, ბადიას, ქვაბ-ქოთანს მოკალულს, მურაბისა და მწნილის ქოთნებს, საპურეს, ცომის ქილას. ხელოსანმა თუ სრული ხელობა იცოდა აკეთებდა კრამიტსა და თონესაც. თიხა გორშივე ითხრებოდა. ჭურჭელი კეთდებოდა წითელი და ჩინური. მეჭურჭლენი ხაბაზის თონესაც აკეთებდნენ, იგი დიდი იყო, გამოწვამდე იჭრებოდა სამ ნაწილად. ჭურჭელს ქურაში გამოწვავდნენ, ერთ ქურაში ჩავიდოდა 1 000 ჯამი, 500 ქილა, 500 საღვინე, ტოლჩა და ა.შ. საუკეთესო მეჭურჭლენი ყოფილან **ტატულაშვილები.** ხელოსნებს წინასწარ ჰქონიათ განსაზღვრული თუ ვინ, სად, რომელ დღეობაზე უნდა წასულიყო სავაჭროდ, რომ ერთმანეთისათვის კონკურენცია არ გაეწიათ. ნესტორ ტატულაშვილის ცნობით სურამში, ამაღლების დღესასწაულზე მაინც შეხვედრიან ერთმანეთს 14 მეჭურჭლე [2, 77].

გორში ერთ-ერთი ცნობილი მეთუნე გახლდათ თედო გიგაშვილი (წარმოშობით რუისიდან), რომლისთვისაც ეს საქმე წინაპრებს უსწავლებიათ. დღევანდელი გორის მე-4 სკოლის ტერიტორიაზე მას ჰქონია სამეთუნეო საამქრო და ამზადებდა საუკეთესო ჭურჭლეულს. ამ საქმისათვის საჭირო თიხას კვერნაქის მთაზე ჭრიდა, ჯერ ფეხით ამუშავებდა, შემდეგ ხელით. საამქროს ეზოში მდგარა ჭურჭლის გამოსაწვავი დიდი ღუმელი. მის შვილს, ვანო გიგაშვილს ჯერ ოქრომჭედლობა უსწავლია, შემდეგ კი მამის საქმე გაუგრძელებია.*

რევოლუციამდელ გორში საუკეთესო ხარისხის ლიმონათი მზადდებოდა,

* დიდ მადლობას ვუხდით ქალბ. ნუნუ გიგაშვილს გაწეული დახმარებისათვის საოჯახო ფოტოს მონოდებასთან დაკავშირებით (ქვეყნდება პირველად).

რომელსაც უშვებდა **საურისა და „შეფის“** ქარხნები (იგულისხმება მეაფთიაქე **ალფრედ შეპფი**). გორს თავისი საშაქარლამოც ჰქონდა, რომელიც ეკუთვნოდა **როსტომოვს**.

გავრცელებული იყო აგრეთვე გუდურებით ვაჭრობა. სადილს ამზადებდნენ მაყალზე, თუმცა ხმარებაში შემოვიდა ნავთის ქურები. ნახშირს ამზადებდნენ რაჭველი უმინაწყლო გლეხები, რომლებიც შეშას გორიჯვრის ტყეში ჩეხდნენ და გამომწვარ ნახშირს ტომრებით ყიდდნენ ქალაქში. ქუჩებს და ბინებს ანათებდნენ გაზის ლამპიონებით. ოჯახებში იყენებდნენ ჭაღიან ლამპებს.

ამქრების წყობა გორში თბილისის მსგავსად იყო მოწყობილი. გორის სახელოსნოების 1802 წლის აღწერიდან ჩანს, რომ იმ დროს 50-მდე სახელოსნო არსებულა, მათ შორის: მჩითავთა-10, მღებავთა-9, თოქმაჩთა-3, ფეხსაცმელების-3, მექუდეთა-3, ოქრომღედელთა-2, ზეინკალთა-1, სხვადასხვა დარგის-14 [127, 74-89].

ცალკე ამქარს ქმნიდნენ გორში მექალამნეები, მათ ქალაქში 30 დუქანი ჰქონიათ. ამუშავებდნენ ხარის და კამეჩის ტყავს ხის კასრებში და კერავდნენ ქართულ ქალამანს. მექალამნეები გორში ე.წ. „ფრანგების“ ეკლესიასთან იყვნენ განთავსებულნი, ჰყავდათ შეგირდები და ქარგლები. გორის მოსახლეობაში თურმე განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა გამოყვანილი, ე.წ. ადელხანოვის ჩუსტი.

შემდეგ წლებში ხელოსნობის ჩამოთვლილ დარგებს ემატება ხუროები, კალატოზები, მეტყავეები, მჭედლები, მკალავები, ზეინკლები, დალაქები, ევროპული ფეხსაცმლის სპეციალისტები, ქვის მთლელები, მეეტლეები, ხაბაზ- მეკონდიტრეები, მეტიკეები, მეზურნეები, იარაღის მკეთებელნი, მესაათეები და სხვ.* გორში ფართოდ იყო განვითარებული კერამიკული წარმოება. მეჭურჭლეები თიხისაგან ამზადებდნენ ჯამებს, ქილებს, ტოლჩებს, ქვაბ-ქოთნებს, თონეებს. თიხა გორშივე ითხრებოდა, ჭურჭელი კეთდებოდა წითელი და ჩინური [127, 74-89].

1802 წლის აღწერით ქალაქ გორში მოქმედებდა 46 სახელოსნო, ხელოსანთა შემდეგი რაოდენობით:

ზეინკალი	1
ოქრომჭედელი	3
მღებავი	9
ფეხსაცმლის მკერავი	3
მექუდე	3
თოქმაჩი	3
მჩითავი	10
სხვადასხვა დარგის	14

ხელოსანთა გვერდით მცირე საწარმოებიც მუშაობდა:

* ქალაქ გორის შესახებ არსებული მასალების ნაწილი მოვიძიეთ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რაშიც დიდი დახმარება გაგვინიეს ამ მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა თინა სოსანიძემ და მისმა თანამშრომლებმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

სამხერხაო	1
ზეთსახდელი	1
არყის სახდელი	2
საკირე	4
აგურხანა	5
კრამიტის სახელოსნო	2
ტყავის სახელოსნო	3
სამეთუნეო	2

ხელოსნებთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ გორელი ვაჭრებიც- „გორელი ვაჭრები ინიციატივის მქონე და მოხერხებულების იყვნენ და სავაჭრო ურთიერთობებით დაკავშირებულნი იყვენენ ირანის, თურქეთის, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ვაჭრებთან. მათ ხელში ეჭირათ ზემო ქართლის მთელი ვაჭრობა. მათ შორის იყვნენ: **ბაბალოვები, ზუბალოვები, შიხინოვი, როსტომოვი, ბაინდუროვი, მელოვი, ბეუანოვი, თათაროვი, თორոზოვი, აიკოვი, დობონებოვი** და ა.შ." [217, 2].

გარკვეულ შემოსავალს სხვადასხვა სარეწაოებიც იძლეოდა. 1851 წლის აღწერით მათი წლიური შემოსავალი შემდეგნაირად ნაწილდებოდა

№	სარეწაოების დასახელება	სარეწაოების რაოდენობა	სარეწაოების წლიური შემოსავალი (მან)
1	ხე-ტყის (არ მუშაობდა)	1	----------
2	ტყავის დამამუშავებელი	2	300
3	სამეთუნეო	4	200
4	აგურის	3	900
5	საპნის	1	450
6	ზეთსახდელი	2	1 500
7	სამღებრო	3	210
სულ		16	3 560

1920 წლის 20 თებერვალს გორში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მაშინდელი პრესა იუწყებოდა: ქალაქი გორი აღარ არსებობს, არცერთი მთელი შენობა აღარ დარჩა, გორის მაზრა მიწასთანაა გასწორებული, ცოცხლად დარჩენილნი უმწეო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ უსურსათობის, უტანსაცმლობისა და უსახლკარობის გამო. თქვენკენ უჭირავთ მათ თვალნი, მოქალაქენო, თქვენ-


. . . მილიარდერი აბაშიძე. ამ დღეებ-
ში ამერიკიდან ტეილისში ჩამოვიდა
ამერიკაში ცნობილი მილიარდერი და
იქაურ დიდ ფირმების დირექტორი და-
ვით აბაშიძე, რომელიც 18 წლის წი-
ნად წასულა ევროპაში და იქ გამდიდ-
რებულა. აბაშიძე ამერიკის მთავრობას
გამოუგზავნია საქართველოსთან საგაქ-
რო ურთიერთობის დასამყარებლად. კვი-
რას მარტის 7 აბაშიძე წარუდგა მთავ-
რობას, როგორც გადმოგვცეს. მას რ-
მოდენიმე მილიონი მანეთი შეუწირა
გორის ფონდისათვის.

გან ელიან ძმურ ნუგეშს და შველას ამ საშინელი განსაცდელი წამებშიო. . . მიწისძვრამ ბუნებრივია ყველა სახის წარმოება მოშალა ქალაქში. ამ გაჭირვებულ ხალხს ბევრი კეთილი ადამიანი შეწევნია, ისტორიის ფურცლები ინახავს მათ სახელებს: ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოება „კავკაზისაგან" 1 000 მან, ძმ.ლისინოვებისაგან 1 000 მან, ნოტარიუსი მაჭავარიანისაგან 4 000 მან, აქციონერული საზოგადოება ალიხანოვი და ტოლესაგან-75 000 მან, საზოგადოება „ჟურომასისაგან" (ძმ. კარლინსკენი და ამხ.)-32 000 მან, ძმ. ბასენცოვებისაგან-12 000 მან, ამხ. „იმედისაგან"-20 000 მან, ევროპა-კავკასიის ბანკისაგან-50 000 მან, თამბაქოს ქარხანა ენფიანჯიანცისაგან-70 000 მან, მ.არამიანცისაგან-10 000 მან, ლუდის ქარხანა დიტრიხი და ამხ-გან -10 000 მან და ა.შ. ეს სია საკმაოდ ვრცელია. ჩამონათვალში ერთ საინტერესო ფაქტს წავაწყდით, ამ მამულიშვილურ საქმეში დიდი გულისხმიერება გამოუჩენია ამერიკაში მცხოვრებ „მილიარდერ დავით აბაშიძეს", რომელსაც რამდენიმე მილიონი შეუწირავს გორის ფონდისათვის. მის შესახებ გვაუწყებს გაზეთი „სახალხო საქმე", №802, 16 აპრილი, 1920 წელი. (სამწუხაროდ, არსებითი ხასიათის ცნობები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვერ მოვიძიეთ).

XIX საუკუნის **ცხინვალის** ეკონომიკური განვითარების შესახებ მნიშვნელოვანი წერილობითი ცნობები ქართულ წყაროებს არ შემოუნახავთ. მაღალმთიან ოსეთში ითესებოდა ქერი, მიწას ხნავდნენ პატარა გუთნით, რომელშიც სამი უღელი ხარი ება, ველზე ხნავდნენ დიდი გუთნით, რომელსაც ქართულ გუთანს უწოდებდნენ და რომელშიც 7-8 უღელი ხარ-კამეჩი ება. მეურნეობა XIX საუკუნეში ნატურალური იყო. ეს განაპირობებდა კუსტარული საოჯახო წარმოების არსებობას, რაც აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას სამუშაო იარაღებზე, სამეურნეო ინვენტარზე, საოჯახო ჭურჭელზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე და სხვ. ლითონისაგან ამზადებდნენ კერაზე ჩამოსაკიდებელ ჯაჭვებს, იარაღს, სამუშაო იარაღს, ხისგან-გუთნის ხის ნაწილებს, კევრებს, მარხილებს, უღლებს, ავეჯს და ა.შ. საქართველოს მთაში მცხოვრები ოსები დამოკიდებულნი იყვნენ საზამთრო საძოვრებზე, მათ საქონელი ეყენათ მუხრანის ველზე, აღაიანში, გორის მაზრაში კვერნაქის მთაზე [279, 78].



ცხინვალი XIX საუკუნეში

ცხინვალი XIX საუკუნეში

როგორც ისტორიული ცნობებიდან ირკვევა, ცხინვალში განსაკუთრებით სამღებროები და ღებვის საქმე ყოფილა გავრცელებული. პაატა გუგუშვილის ცნობით, XIX საუკუნის 80-იან წლებში ცხინვალის სამღებროებში ჰღებდნენ შალებს, ჩითებს, ლაინებს, მოვს, შილას, დარაიას, ღაზლებს, ნართს, ჩიხას, კაბას და ა.შ. ცხინვალის სამღებროები, გორის მსგავსად, იჯარით ყოფილა გაცემული ცნობილ ვაჭრებზე. მაგალითად 1806-1812 წლებში ცხინვალისა და გორის სამღებროების მოიჯარადრე ყოფილა დიდვაჭარი **მირიმან მირიმანოვი.** 1806 წლით დათარიღებული საბუთის მიხედვით, ერთ-ერთი სამღებრო მღვდელ **სტეფანე სარქისაშვილის** შენობაში ყოფილა მოთავსებული, რისთვისაც შემსყიდველები იხდიდნენ წელიწადში 20 მანეთს. ცხინვალის ერთ-ერთი მკვიდრის ვ. კულიჯანოვის ცნობით, მის წინაპრებს სამღებროები მემკვიდრეობით მიუღიათ. იგი ცნობილი ყოფილა „ტაპოლას სამღებროების" სახელით (ნამდვილი სახელი მას კარგო რქმევია). მომდევნო წლებში გამოცემული განკარგულებით, სამღებროთა მონოპოლია გაუქმდა და ის კერძო მეურნეობის საგნად იქცა. ცხინვალის სამღებროთა განვითარების ასეთი ტემპი მთლიანად ლიახვის ხეობაში საფეიქრო წარმოების განვითარების შედეგი იყო.

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ არსებობდა აღნიშნული წარმოების გადასახადი, რომელიც „საბეჭდავის მოსაკრებლად", ან უფრო მოკლედ „ბეჭდად" იწოდებოდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცხინვალში იკრიბებოდა შემდეგი ოდენობის „საბეჭდავის მოსაკრებელი":

1809-1813 წლებში 800 მანეთი;
1814-1818 წლებში 800 მანეთი;
1822-1826 წლებში 611 მანეთი;
1828-1832 წლებში 811 მანეთი;

1803 წლით დათარიღებული საბუთით დგინდება, რომ ცხინვალელი ქართველები კერავდნენ ქურქებს, ქუდებს, ფეხსაცმელს, ქსოვდნენ ტილოს, ამზადებდნენ ტყავს, რომელსაც ხმარობდნენ ცხენების აღკაზმულობისათვის. ცხინვალელი ხელოსნები მუშაობდნენ ძირითადად ადგილობრივი ბაზრისათვის.

XIX საუკუნის დასაწყისში მოხდა ხელოსნობის დაყოფა დამოუკიდებელ ხელობებად: ნალბანდობად, მეჩახმახეობად, ზეინკლობად, მჭედლობად და ა.შ როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ ცხინვალის ქალაქელ ხელოსანთა დიდი ნაწილი ამქრებში უნდა ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი, თუმცა წერილობითი ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება.

ცხინვალელ ხელოსანთა უდიდესი უმრავლესობა ე.წ. დახურულ ბაზარში მუშაობდა და უსტაბაშებიც ჰყოლიათ. შემორჩენილია ცხინვალის ერთ-ერთი უხუცესი ხარაზის პეტრე დევიძის გადმოცემა, რომელიც იხსენებს, რომ ხარაზების უსტაბაში ყოფილა-კაკა ხაჩატუროვი, ნალბანდებისა-გოლა მეშვილდიშვილი, მექვაბეებისა-მიხა დემუროვი, დურგლებისა-ვასო თედიაშვილი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გატარებული რეფორმების შემდეგ, ცხინვალში მატულობს სახელოსნოების რაოდენობა. 1898 წლისათვის ქალაქში 30-მდე მანუფაქტურული ტიპის საწარმო და 75-მდე სავაჭრო ობიექტი ფუნქციონირებდა. ამ საწარმოთა წლიური საქონელბრუნვა 39 190 მანეთს, ხოლო წლიური მოგება 3 960 მანეთს შეადგენდა. ცალკეული მანუფაქტურული ტიპის

საწარმოების წლიური საქონელბრუნვა 2000-დან 5000-მანეთამდე მერყეობდა. შედარებით მსხვილი მანუფაქტურების მფლობელები იყვნენ **ალექსი** და **იოსებ იარალოვები, სერგო** და **წყალობა პაპიევები, ისხაკა** და **დანიელ მანაშეროვები, ისხაკა** და **მიხეილ დავარაშვილები, გაგო არჩუაძე, გიორგი გალავანოვი, ნიკოლოზ ქარსანოვი, მოშე ბინიაშვილი, ნიკოლოზ ხახანოვი** და ა.შ.

1900-1907 წლებში ცხინვალში ქალაქელ ხელოსანთა რიცხვი 149-დან 319 კაცამდე გაიზარდა, 1912 წელს კი ცხინვალში უკვე 500 ხელოსანი იყო.

1917 წლისათვის ცხინვალში მოქმედებდა შემდეგი სახელოსნოები:

1	ხარაზების დუქანი	24
2	მეწაღე	20
3	უნაგირის მკეთებლები	2
4	თერძები	6
5	მეჭონეები	4
6	ზეინკლები	5
7	მჭედლები	4
8	ოქრომჭედლები	4
9	ნალბანდები	12
10	მეყასბეები	10
11	ნისქვილები	7
12	საკონდიტრო	1
13	ფურნე	3
14	თონე	6
15	მასის მოსაზელი	2

XIX საუკუნის ბოლოს ცხინვალში საქალაქო მშენებლობის ზრდასთან ერთად დაწინაურდა აგურის, კრამიტის, ხის მასალის წარმოება. აგურის ქარხნები ებრაელი ეროვნების მეწარმეებს მოწყობილი ჰქონდათ მდინარე ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე, რადგან წარმოების პროცესში მამოძრავებელ ძალად წყლის ენერგიას იყენებდნენ.

იმის გამო, რომ ლიახვის ხეობა ტყეებით ძალზე მდიდარი იყო და ხე-ტყის დაცურებისათვის მდინარე ლიახვს კარგად იყენებდნენ, ეს რესურსი მოსახლეობის შემოსავლის წყაროდ იქცა. ტყის მრეწველებმა შექმნეს „ლიახვის ტყის სამრეწველო ამხანაგობა„ და სოფელ ჩიხანთურაში მოაწყეს ხის სახერხი საწარმო.

1903 წლის სხვადასხვა თვეში თბილისის გუბერნიის მმართველობის სამშენებლო განყოფილებაში წარდგენილ იქნა მაზრის უფროსთა ცნობები მაზრაში სამრეწველო ვითარების შესახებ. ამ საბუთებიდან ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლებში იყო შემდეგი ე.წ. „ქარხნები":

ადგილმდებარეობა	საწარმოთა რაოდენობა	წარმოების პროფილი	დასაქმებულთა რაოდენობა	მათი წლიური ბრუნვა ერთად (მანეთებში)	მოგება ერთად (მანეთებში)
საგარეჯოში	5	კრამიტის ქარხანა	14 მუშით	2 688	1 536
	18	წლის წისქვილი	29 მუშით	5 540	1 005
	2	სამეთუნეო ქარხანა	6	1 200	760
	1	აგურის ქარხანა	4	750	400
თეთრიწყაროში	1	კრამიტის ქარხანა	3	800	100
	1	ლიმონათის ქარხანა	2	500	100
მანგლისში	2	ტყავის ქარხანა	4	900	380
ვარდისუბანში	3	სამეთუნეო ქარხანა	5	400	130
	12	აგურის და კრამიტის	20	2 650	1 100
შილდაში	8	ქარხანა	239	1 500	352
	9	კირის ქარხანა	50	1 235	347
	11	აგურის და კრამიტის	11	1653	588
კურდღელაურში	3	ქარხანა	6	600	–
	9	წლის წისქვილი	23	5 400	–
	2	სამეთუნეო ქარხანა	2	1 000	–
ყვარელში	2	აგურის და კრამიტის	26	100	49
	15	ქარხანა	15	1 540	154
წითელწყაროში	1	წლის წისქვილი	3	2 000	150
შულავერში	1	კირის ქარხანა	1	500	200
	2	წლის წისქვილი	4	400	40

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: ლ.ბერძენიშვილი „აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლები 1865-1917 წლებში. თბ. 1990.გვ.26-27

სპირტიანი სასმელების წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი)

„გაივლიან დღენი, თვენი, წელნი, საუკუნენი და დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის ხსენებას ქართველთ განათლების ისტორიიდამ ვერავინ ამოშლის, ვერავინ ამოფხეკავს, მას ყოველთვის საპატიო ადგილი ექნება დატოვებული და შთამომავლობას გადასცემს მის ხსოვნას, ვინაიდგან მისგან დაზრდილის და განათლებულით ქართველთ შვილებით და შვილიშვილებით იქნება მთელი საქართველო სავსე.-ხალხს ეყოლება ყოველთვის თავის ცხოვრების აღმწერნი და გამომხატველნი. ესენი მოსძებნიან ყველაფერს და დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილისთანა კაცებსაც შესაფერის აღწერას მიუძღვნიან, კანონიერის ღვაწლდებით და ამაგით მოიხსენიებენ“ [214, 3].

ზ.ჭიჭინაძე

სპირტიანი სასმელების წარმოებას საქართველოში XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, ასეთი სანარმოები ჰქონდათ 1829 წელს **ბარბარე იმერლიშვილს**, 1838 წელს **ზუბალაშვილებს**, 1847 წელს **ანდრიევსკის**, 1854 წელს **კალაიანს**, 1860-იან წლებში **კუზმინსკის, ბარიაიტნსკის, მიკირტიჩევს, იასენის, შტრაუბეს, ბარონ ბახს**.

1826 წელს არყის ქარხნის მოწყობას საქართველოში ხელი მოჰკიდა მეტად ენერგიულმა ქართველმა აზნაურმა **ბარბარე იმერლიშვილმა**. მან დააგროვა საკმაო თანხა (25 ათასი მანეთი) და ორ კომპანიონთან ერთად ამ საქმეს შეუდგა. მან წარმოების მოწყობა გადაწყვიტა მტკვრის ნაპირას, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც მდინარე ვერა მტკვარს უერთდებოდა, ბებუთოვების მიწის ნაკვეთზე. მიწის მეპატრონეებთან დადო 12 წლიანი კონტრაქტი, რომლის თანახმადაც იმერლიშვილს მათთვის ყოველწლიურად უნდა ეხადა მიწის საიჯარო ფასი-წელიწადში 40 მან. თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ წარმოება მექანიკური ხასიათისა იქნებოდა. რაკი თბილისში სათანადო სპეციალისტების მოძიება შეუძლებელი შეიქნა, ბარბარე იმერლიშვილმა ისინი რუსეთიდან მოიწვია, ესენი იყვნენ წარმოშობით ებრაელი ოსტატები **ელკინი** და **ედელსონი**. ქარხნის მთელი მოწყობილობა ხარკოვში იყიდეს და სამხედრო გზით თბილისში ჩამოიტანეს. 1829 წლისათვის ქარხნის მოწყობილობა დამთავრდა და იგი 30 ათასი მან. დაჯდა. თავიდან განზრახული იყო, რომ ქარხანაში უნდა დამზადებულიყო „ჩვეულებრივი ღვინო“, არაყი, ლიქიორი, უნდა ეწარმოებინათ ლუდის ხარშვაც. ქარხანაში რეალურად მზადდებოდა: 7-8 გრადუსიანი არაყი, კონიაკი, I და II ხარისხის ტკბილი არაყი, ლიქიორი, სხვადასხვა ნაყენები, ლუდი და ძმარი. წარმოებაში ნედლეულის სახით იყენებდნენ: ხორბალს, ალაოს, ქერს, ჭაჭას, თუთის ნაყოფს, სხვადასხვა ხილეულის წვენებს, შაქრის ფხვნილს, ლიმონისა და ნარინჯის ქერქებს. ქარხნის მეპატრონეებს 3 დუქანი ჰქონდათ თბილისში გახსნილი, სადაც დაქირავებული ნოქრები ვაჭრობდნენ, პროდუქციის დიდი ნაწილი თბილისს გარეთაც გაჰქონდათ. ამრიგად იმერლიშვილის არყის ქარხანა იმ დროისათვის საკმაოდ განვითარებული მექანიზებული წარმოება იყო

[196, 124-125].

1835-1836 წლებში თბილისში ფუნქციონირებას იწყებს **იაკობ ზუბალაშვილის** არყის ქარხანა, რომელიც მას პარტნიორ **ვატმანთან** ერთად დაუფუძნებია დიდუბეში გერმანელთა კოლონიასთან ახლოს. იაკობ ზუბალაშვილი იმ დროისათვის წარმატებული კაპიტალისტი გახლდათ, ამუშავებდა შაქრის ქარხანას, რაც მშვენიერ სანედლეულო ბაზას წარმოადგენდა სპირტიანი სასმელების წარმოებისათვის. ზ.ჭიჭინაძე გვაწვდის ცნობას იაკობ ზუბალაშვილის მიერ არყის სახდელი ქარხნის დაარსების შესახებ იმერეთშიც. ზ.ჭიჭინაძის ცნობით: რაც ხანი გადიოდა, მით საქართველოში არყის საჭიროება ფეხს იდგამდა, ჯარისკაცთათვის არაყი რუსეთიდამ შემოჰქონდათ. ამ გარემოებას ბევრმა მხნე ქართველმა მიაქცია ყურადღება. ერთ უპირველეს გვარათ ირიცხება იაკობ ზუბალაშვილი და მისი სახლიკაცები, რომელთა ყურადღების მიქცევა მალე საქმედაც განახორციელეს და 1838 წელს საქართველოში გახსნეს არყის გამოსახდელი ქარხანა, სადაც იწყეს მრავლად არყის გამოხდა. საქართველოში ქართველთა შორის ეს ქარხანა პირველი მაგალითი იყო. მის გამხსნელთ კარგათ ჰქონიათ შეგნებული ის გარემოება, რომ საქართველოში არყის საქმე ისე არსად ყოფილა დავარდნილი, როგორც იმერეთში, ამიტომ მათ უპირველეს საჭიროებად დაინახეს იმერეთში გახსნა, მალე მთავრობას თხოვნა მისცეს, ნებართვა აიღეს და პირველად გახსნეს შესამჩნევად დიდი არყის ქარხანა. მალე იწყეს გლეხებმა არყის ქარხანაში ჭაჭის ზიდვა და გაყიდვა. წელიწადში ამ არყის ქარხანათ 8 000 ვედრო არაყი გამოჰყვანდა, რომელიც იქვე სუფთავდებოდა და ისე ეძლეოდათ აქეთ-იქით გასაყიდად [276, 116-117].

1840-იან წლებში დაიძაბა ურთიერთობა პარტნიორებს და მიწის მესაკუთრეს **ემერიხს** შორის. დაძაბულობა იმდენად გამწვავდა, რომ ვატმანმა იაკობ ზუბალაშვილთან შეუთანხმებლად მთელი წარმოება ემერიხს გადასცა, რაც, ბუნებრივია, გაანაწყენებდა ზუბალაშვილს, რომელმაც საერთოდ ხელი აიღო ამ საქმეზე და წარმოებამაც 1842 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა.

მას შემდეგ, რაც ვატმანთან საქმე სადაო გაუხდა, იმისათვის, რომ შაქრის ნარჩენები გამოუყენებელი არ დარჩენოდა, იაკობ ზუბალაშვილმა თბილისელ მეწარმე **პეპინოვთან** დადო ხელშეკრულება და შაქრის ქარხანასთან დააარსა რომი-არყის წარმოება. ეს უკვე ჩამოყალიბებული მექანიკური წარმოება იყო, სადაც ორთქლის მანქანაც ყოფილა გამოყენებული. ქარხანა უშვებდა საუკეთესო ნაწარმს. უნდა ვიფიქროთ, რომ ზუბალაშვილის შაქრის ქარხნის დახურვის შემდეგ მანაც შეწყვიტა არსებობა [276, 128-129].

XIX საუკუნის 40-იან წლებში **ანდრიევსკიმ** დაიწყო არყის წარმოება. მან სოფელ დრეში მოაწყო მექანიკური წესით მოწყობილი მეურნეობა. ძირითად სანედლეულო ბაზას წარმოადგენდა ადგილობრივი ხილი, რომლის გადამუშავებაც მექანიკურად ხდებოდა და მოძრაობაში მოჰყავდა ცხენის ძალას.

1854 წელს თბილისში სპირტიანი სასმელების წარმოებას იწყებს უცხოელი მეწარმე **კალაინი.** მან 1857 წელს მთავრობისაგან ითხოვა ლიქიორის დამზადების პრივილეგია, ამ დროისათვის მას მოპოვებული ჰქონდა გამოცდილი და თავისი საქმის შესანიშნავად მცოდნე ოსტატის სახელი. 1862 წელს კალაინი ფაბრიკანტ **ზინჩენკოს** შეუამხანაგდა. მათ ერთად იმოგზაურეს ევროპაში,

რათა უკეთ შეესწავლათ საქმის წარმოება, შეესყიდათ სხვადასხვა მასალები და შეეკვეთათ წარმოებისათვის საჭირო მანქანები. იმავე წელს მათ სახაზინო მიწაზე აუშენებიათ ლიქიორის საწარმო და ნაწარმის გასასაღებლად ერევნის მოედანზე დეპო მოუწყვიათ. წარმოებაში ამზადებდნენ არაყს, ლიქიორს, სხვადასხვა ნაყენს, ნედლეულად კი იყენებდნენ შაქარს, თაფლს, სპირტს, სხვადასხვა ბალახეულს, მცენარეთა ქერქებს, სურნელოვან ზეთებს და ა.შ. [276, 130].

სპირტიანი სასმელების წარმოების ევროპულ დონეზე აყვანა საქართველოში უკავშირდება ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, **დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის** სახელს. დავით სარაჯიშვილმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში მოიხვეჭა დიდი სახელი და სიყვარული. ის იყო ევროპული მასშტაბის ქართველი მეწარმე და თანამედროვე მარკეტინგული აზროვნების მატარებელი ბიზნეს-ორგანიზატორი. მისი სანიმუშო სამეწარმეო მოღვაწეობა არა თუ იმ ეპოქის დონეზე იდგა, არამედ 20-30 წლით უსწრებდა XX საუკუნის ევროპა-ამერიკის ბიზნესის წარმოების ფილოსოფიას [243, 51-55].



დიდი მეწარმის წინაპრები 1824 წლისათვის უკვე თბილისის მოქალაქეები იყვნენ. მისი ბაბუა, დავით სარაჯიშვილი (უფროსი) ძალზე წარმატებული კომერსანტი იყო. სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით აშენდა თბილისში ქვის დიდი ნაგებობა ჰაუპტვახტისათვის და სპეციალური სახლები გენერლებისათვის. იგი 1847 წელს გარდაიცვალა. ამ ფაქტის შესახებ გაზეთი „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“ წერდა: „გარდაიცვალა პირველი ქართველი ვაჭარი, რომლის სახელი პირველად იყო დაფუძნებული პატიოსნურ ვაჭრობაზე“.*

პირველდაწყებითი განათლების ოჯახში მიღების შემდეგ დ.სარაჯიშვილი ჯერ ჰაკეს პანსიონში სწავლობდა, შემდეგ თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის დასრულების შემდეგ (1866 წ.) პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ერთი წლის შემდეგ მან სწავლა განაგრძო გერმანიაში, 1871 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულების შემდეგ დ.სარაჯიშვილი რამდენიმე წელი დარჩა გერმანიაში და მონდომებით

* დავით სარაჯიშვილი (მეორე თაობა) დაიბადა თბილისში 1848 წლის 28 ოქტომბერს. დავითის მშობლები-მამა, ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილი და დედა ელისაბედ სოლომონის ასული სავანელი, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებანი იყვნენ. [სტეფანიშვილი ა. დავით სარაჯიშვილი, თბ, 1988, გვ. 3]

სწავლობდა სოფლის მეურნეობის საიდუმლოებებს ჰოჰენჰაიმსა და ჰალეში.

უცხოეთში ყოფნისას და განსაკუთრებით კი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დ.სარაჯიშვილს არ ასვენებდა ფიქრი იმაზე, რომ საქართველოში დაეფუძნებინა კონიაკის წარმოება. ამ მიზნით მან სანიმუშოდ შეისწავლა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები, საღვინე ვაზის ჯიშების სამეურნეო-ტექნოლოგიური თავისებურებანი, რის შემდეგაც რიგი მიკრორაიონები კონიაკის წარმოების საიმედო სანედლეულო ბაზად მიიჩნია. 1884-1885 წლებში დ.სარაჯიშვილმა თბილისში ააგო არყის სახდელი ქარხანა, რომელიც წელიწადში 200 000 მანეთის ღირებულების პროდუქციას აწარმოებდა. დ.სარაჯიშვილის მიერ თბილისის კონიაკის ქარხნის დაარსების თარიღი-1888 წელი მთელი რუსეთის იმპერიაში აღიარებულ იქნა კონიაკის წარმოების დაბადების თარიღად. ამ საქმეში დავით სარაჯიშვილს დიდი დახმარება გაუწია საფრანგეთში მიღებულმა ცოდნა-გამოცდილებამ. მისი ძირითადი მიზანი იყო ის, რომ ქართულ კონიაკს ღირსეული მეტოქეობა გაეწია იმ დროისათვის მსოფლიოში აღიარებული ფრანგული კონიაკისათვის.

მას კონიაკის წარმოება საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი. ტექნოლოგიური პროცესების უკეთ წარმართვის მიზნით დავითმა 1887 წელს საფრანგეთიდან სპეციალურად მოიწვია ლიქიორის და კონიაკის წარმოების სპეციალისტები **ბურდონი** და **ანტონ ჟურდი**. სპირტიანი სასმელების მანქანურ წარმოებაზე გადასვლა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში სწორედ დავით სარაჯიშვილის მიერ განხორციელდა, დაინერგა გილიომეს, ნეიმანის, ბორმანის გასაფილტრი, გენცის, ელენბერგის, პაუშკას, ფერბერის, შვარცის, მიულერისა და ფუგელზანგის ტიპის მანქანები, შვედეს მარკის სარექტიფიკაციო აპარატი (ეს იყო პირველი სარექტიფიკაციო აპარატი სამხრეთ კავკასიაში), პისტორიუსის, შარანტის, დირუას საკონიაკე სპირტსახდელი აპარატები. ამ აპარატების ერთი ნაწილი ინჟინერმა **კონრადმა** დაამონტაჟა [136, 281].

ძველ თბილისში, ოლღას ქუჩაზე, გაიხსნა ცნობილი კონიაკის ქარხანა, რომლის შენობა მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ეს იყო ორსართულიანი, თეთრად შეღებილი სახლი, რომლის სახურავზე იდგა ყელმოღერებული ჯიხვის ქანდაკება (ცნობილი მრეწველის, ქველმოქმედისა და საზო-

გადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის კონიაკის ფირმის ემბლემა), რომელიც ქარხნის მუშებს ამცნობდა მუშაობის დაწყებასა და დამთავრებას. აღსანიშნავია, რომ დავით სარაჯიშვილამდე მთელი რუსეთის იმპერიაში არავის უცდია მოეხდინა კონიაკის სპირტების გამოხდა ფრანგული ტექნოლოგიით და მისი დაძველება მუხის კასრებში. სწორედ ასეთმა მეთოდმა მოუტანა წარმატება დავით სარაჯიშვილის წამოწყებას. 1884 წელს მენარმემ თბილისში საფრანგეთიდან დიდი რაოდენობით ფრანგული კონიაკი შემოიტანა და ამ ბაზაზე ააგო კონიაკის ქარხანა. არსებული ნედლეულის გარდა, იგი კონიაკის წარმოებისათვის, ძირითადად, ქართლსა და კახეთში გავრცელებულ თეთრყურძნის ვაზის საღვინე ჯიშებს იყენებდა (იცოდა, რომ ფრანგები კონიაკს ამზადებდნენ განსაკუთრებული ჯიშის თეთრი ყურძნიდან დაწურული ღვინის სპირტისაგან), აუმჯობესებდა ღვინომასალებს და მათგან კონიაკის სპირტად გამოხდის ტექნოლოგიას. დაუღალავმა შრომამ ნაყოფი მალე გამოიღო. 1888 წელს შვეიცარიაში შეძენილი აპარატით ღვინის ერთჯერადი გამოხდით დავით სარაჯიშვილმა 96 გრადუსიანი მაღალხარისხოვანი კონიაკის სპირტი მიიღო [211, 5-16].

თბილისის ქარხნის გახსნის ნპარალელურად, 1885 ნელს დ.სარაჯიშვილმა ვლადიკავკაზში შეიძინა სპირტსახდელი ქარხანა (ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ტაიროვის ქარხანა). იგი მდებარეობდა მდ.თერგის მიდამოებში, საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად, ვლადიკავკაზიდან 4 ვერსის დაშორებით. სარაჯიშვილმა ქარხნის რეკონსტრუქცია მოახდინა და ახალი მანქანა-იარაღებით აღჭურვა იგი. ქარხნის წლიური გამოშვება 8 900 000-მდე გაიზარდა. 1886 წელს დ.სარაჯიშვილმა ვლადიკავკაზში სპირტსაწმენდი ქა-





The old Saradzhev cognac factory, Yerevan, 1930: Armenian

რხანაც დააარსა. იგი საკუთარი ქარხნიდან მიღებულ და ადგილობრივი მწარმოებლებისაგან შესყიდულ არაყს ასუფთავებდა და 3 000 000 გრადუსამდე სუფრის ღვინოს წმენდდა [152, 227]. სარექტიფიკაციო ქარხანასთან დ.სარაჯიშვილს გამართული ჰქონდა დიდი მეურნეობაც. მას გააჩნდა წიქვილები, ბელლები, საკასრე, საზეინკლო, სამჭედლო და სანალბანდო სახელოსნოები, მუშათა საცხოვრებელი ყაზარმები, საწარმოს მთელი კომპლექსი ელექტროობით იყო განათებული. ქარხანაში გადამუშავებული ნედლეულის ნარჩენებით სუქდებოდა 2 000 ხარი და 600 ღორი. ქარხანაში 80 მუშა იყო დასაქმებული. ის წელიწადში 8-დან 10 თვემდე მუშაობდა, 200 ათას ფუთ სიმინდს და 30 ათას ფუთ ქერს ამუშავებდა და 8-10 მლნ გრადუს სპირტს ღებულობდა [136, 281].

1889 წელს მის მიერვე გამოხდილ იქნა 40 000 ლიტრი ღვინო. სპირტები, რომელთა სიმაგრე ძირითადად 65 გრადუსი იყო, დამწიფება-დაძველებისა და გემური თვისებების გაუმჯობესების მიზნით, თავსდებოდა 18-20 ვედროიან მუხის კასრებში.

გამოსახდელ ღვინომასალებს კონიაკის ქარხანა პირველ ხანებში ღებულობდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, ყარაბახისა და ქიურდამირის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებიდან. ღვინომასალების იმპორტი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად გამართლებული იყო. ამ მიზეზის გამო, დ.სარაჯიშვილის ფირმამ მიიღო გადაწყვეტილება-ადგილზე აეშენებინა ღვინომასალების სახდელი ქარხნები და თბილისის კონიაკის ქარხანაში მათი დისტილატი ე.წ. კონიაკის სპირტები შემოეტანა. დ.სარაჯიშვილის თაოსნობით 1889 წელს ყიზლარში მწყობრში ჩადგა კონიაკის



The old Saradzhev cognac factory, Yerevan, 1930: Armenian

სპირტსახდელი ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად ხდიდა 100-150 გრადუსის კონიაკის სპირტს.

1894 წლიდან მუშაობას იწყებს დ.სარაჯიშვილის ერევნის კონიაკის ქარხანა, მდინარე ზანგას ნაპირზე, რომელიც აწარმოებდა ეჩმიაძინისა და ერევნის მაზრებიდან მიღებული ღვინომასალების გამოხდას კონიაკის სპირტად.

მოლდავეთში, ბესარაბიის მაზრის ერთ-ერთ კუთხეში, კალარაშში, 1895 წელს სარაჯიშვილის მიერ დაფუძნდა კონიაკის ქარხანა.

აზერბაიჯანში, ბაქოს მაზრაში, გოგჩაიში დავითმა დააარსა კონიაკის ქარხანა, 200 000 გრადუსი კონიაკის სპირტის წლიური წარმადობით. ასევე სადგურ ბარგუშეთის ახლოს მწყობრში ჩადგა კონიაკის ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად 200 000 გრადუს კონიაკის სპირტს ხდიდა. აქ დამზადებული კონიაკის სპირტები დასაძველებლად იგზავნებოდა თბილისში-კონიაკის ქარხნის ბაზაზე შექმნილ ცენტრალურ საწყობში. იმ დროისათვის დ.სარაჯიშვილის მიერ აგებული კონიაკის ქარხნები აღჭურვილი იყო ყველა საჭირო აპარატ-დანადგარით. წლიდან-წლამდე იზრდებოდა გამოშვებული კონიაკის რაოდენობა, რასაც ნათლად მოწმობს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

ჩიკაგოში 1893 წელს ისინი ჯილდოვდებიან ბრინჯაოს მედლით. პეტერბურგში 1894 წელს მოწყობილ სრულიად რუსეთის გამოფენაზე პროდუქციის ხარისხი ვერცხლის მედლით აღინიშნა. ნოვგოროდში 1896 წელს

იმავე კატეგორიის გამოფენაზე კვლავ მიიღო ოქროს მედალი. 1901 წელს თბილისში გამართულ კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე დ.სარაჯიშვილის

წელი	ბოთლების რაოდენობა
1891	167 100
1892	174 710
1893	160 560
1894	181 250
1895	190 460
1896	211 510
1900	218 200
1910	600 000
1913	30 000

ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქცია ჯილდოვდება საპატიო დიპლომით და ორი ოქროს მედლით, ხოლო 1910 წელს ოდესის სოფლის მეურნეობის გამოფენაზე საპატიო დიპლომით და ორი ოქროს მედლით.

1903 წელს დ.სარაჯიშვილის თბილისის საწარმოს კიდევ ერთი სარექტიფიკაციო ქარხანა შეუერთდა. იგი მდებარეობდა ავჭალის ქ №107-ში, ეს უკანასკნელი სარაჯიშვილმა ხუბლაროვისაგან შეიძინა. ქარხნის შეძენისთანავე მრეწველმა მისი რეკონსტრუქცია მოახდინა და წარმოება მალე განაახლა. ქარხანამ 1904 წლისათვის 2 917 668 გრადუსის სუფთა სპირტი გამოუშვა. ამგვარად დ.სარაჯიშვილის მიერ დაარსებული სარექტიფიკაციო ქარხნები თავისი ხასიათით მეტ-ნაკლები სიდიდის მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები იყვნენ, რომლებიც თავისი პროდუქციით აკმაყოფილებდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის და ნაწილობრივ რუსეთის იმპერიის ბაზარს [152, 227].

მეწარმის ამ დარგში მიღწეული წარმატებები შთამბეჭდავი იყო. სარაჯიშვილის ქარხანა უშვებდა 65 დასახელების სხვადასხვა სპირტიან სასმელს და უმაღლესი ხარისხის ლიქიორებს, მათ შორის მარასკინს, ბენედიქტინს, შარტრეზის, კაკაო-შუვას, ანანსის და ა.შ. საქართველო სწრაფად გადაიქცა კონიაკის წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. ქართული კონიაკი ძვირფას საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა. საქართველოს 1909-1913 წლებში, კონიაკის გატანის მხრივ, სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა. ქართული კონიაკი რუსეთის ბევრი ქალაქის ყველაზე მოთხოვნად საქონლად იქცა. კერძოდ, 1895 წელს სარაჯიშვილის ქარხნის პროდუქცია „რუსული ნატურალური კონიაკის„ მარკით გამოშვებული ბოთლებით, ამშვენებდა მოსკოვს, პეტერბურგს და რუსეთის ბევრი სხვა ქალაქის პრესტიჟულ მაღაზიებს [230, 175].

„დ.სარაჯიშვილის ქარხნებში გასუფთავებული სპირტი გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით –Очистка спирта на заводах Сараджева где потери этой операции доходят до 4%, происходит тщательно и окончательный продукт получается более высокого качества, чем на остальных заводах, где процент потерия вдвое меньше... ვკითხულობთ დოკუმენტებში. კარგი ხარისხის გამო მის პროდუქციას დიდძალი მომხმარებელი ეტანებოდა [152, 229].

დავით სარაჯიშვილის მიერ დაფუძნებული არყის და კონიაკის ქარხნების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები 1901 წლისათვის

საწარმოს დასახელება და ადგილსამყოფელი	საწარმოს სარგებლობა-ში არსებული მიწა (დესეტი-ნობით)	მუშათა რიცხვი საწარმოში	პროდუქციის ოდენობა
ვლადიკავკავის არყის ქარხანა №12	75	88	8-10 მლნ გრადუსი სპირტი
თბილისის არყის სარექტიფიკაციო ქარხანა	28	100	400 ათასი გრადუსი ღვინის სპირტი და 600 ათასი გაწმენდილი სუ-ფრის ღვინო
ვლადიკავკავის არყის ქარხანა №2	2	20	200 ათასი გრადუსი სპირტი
თბილისის ლიქიორის ქარხანა	1	30	5-დან 8 ათას ვედრომდე ლიქიორი და ნაყენი
თბილისის კონიაკის ქა-რხანა	1,5	დახ-ურულია	–
ყიზლარის კონიაკის ქა-რხანა	6	დახ-ურულია	–
ერევნის კონიაკის ქარხ-ანა	2	32	200 ათასიდან 300 ათას გრადუსამდე კონიაკის სპირტი 500 ათას გრადუსამდე კონიაკის სპირტი
ერევნის სარექტიფიკაციო ქარხანა	6	20	2-დან 3-მლნ გრადუსამ-დე სპირტი
ბესარაბიის კონიაკის ქარხანა	11	30	300 ათასი გრადუსი კონიაკის სპირტი
გეოქჩის(ბაქოს გუბერნია) კონიაკის ქარხანა	7	18	200 ათასი გრადუსი კონიაკის სპირტი
ბარგუშეთის(ბაქოს გუ-ბერნია) კონიაკის ქარხანა	12	28	200 ათასი გრადუსი კონიაკის სპირტი
კონიაკის ცენტრალური საწყობი თბილისში	6 სარდაფი	19	ინახება 2 მლნ გრადუსი, წლიურად საღდება 1 მლნ გრადუსი

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: გ.მარგიანი. „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 286

ბაბო (ბარბალე) ბაგრატიონ-დავითაშვილი რეკლამას უკეთებს
უნიკალურ ქართულ ბრენდს, სარაჯიშვილის კონიაკს

Коньяк
Коньяк

„OC„ კონიაკი (ძალიან ძველი) პირველად ჩამოასხეს 1901 წელს, რომლის შემადგენლობაში, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, შედიოდა დიღმის და წინანდლის მიკრორაიონების ღვინომასალებისაგან მიღებული და მუხის კასრებში დაძველებული კონიაკის სპირტები. დ.სარაჯიშვილის მიერ ჩამოსხმული „OC„ კონიაკი პირველ წელსვე მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებზე და ერთსულოვან აღიარებას იღებს, როგორც მაღალი გემური თვისებების მქონე სასმელი. 1902 წელს პარიზში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე მან ოქროს მედალი დაიმსახურა.

დავით სარაჯიშვილის მიერ დაფუძნებული არყის და კონიაკის ქარხნების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები 1911 წლისათვის

დამზადებული და ჩამოსხმული ნაწარმი	ნაწარმის ოდენობა (ათას გრადუსობით)	ნაწარმის ღირებულება (ათას მანეთობით)
გამოიხადა პურის სპირტი	8 250	1 000
კონიაკის სპირტი	990	199
ტექტიფიცირებული პურის სპირტი	8 368	1 778
ყურძნის სპირტი	3 470	485
დამზადდა ლიქიორი და კონიაკი	5 300 ვედრო	55
დაწმენდილი ღვინო	8 400	1 220
ჩამოისხა და გამზადდა კონიაკი	980	290

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: გ.მარგიანი. „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი“ 1864-1917. თბ. 1976 გვ 287

1902 წლის 6 იანვარს დავით სარაჯიშვილს „მშობლიური ქვეყნის ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეში სასარგებლო მოღვაწეობისათვის“ ებოძა „კომერციის მრჩევლის“ წოდება.

ქართული კონიაკის ღირსებაზე ალაპარაკდნენ საერთაშორისო და რუსეთის გამოფენებზე, სადაც მათი მაღალხარისხოვნება არაერთხელ აღინიშნა სხვადასხვა სახის ჯილდოებით. დ.სარაჯიშვილის მაღალხარისხოვანი საალკოჰოლო სასმელები არა ერთხელ იქნა დაჯილდოებული სხვადასხვა სამრეწველო გამოფენაზე. მისმა პროდუქციამ დაიმსახურა 8 ოქროს, 3 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი და 1 დიპლომი (ოქროს მედალზე). კერძოდ:

– 1889 წელს კავკასიის გამოფენაზე თბილისში დაჯილდოვდა ოქროს მედლით;

– 1889 წელს მსოფლიო გამოფენაზე პარიზში 2 ვერცხლის მედლით;

– 1890 წელს სამეცნიერო-სამრეწველო გამოფენაზე ყაზანში დიპლომით ოქროს მედალზე;

– 1893 წელს კოლუმბიის გამოფენაზე ჩიკაგოში ბრინჯაოს მედლით;

– 1896 წელს სრულიად რუსეთის გამოგენაზე ნიჟნი-ნოვგოროდში ოქროს მედლით;

– 1899 წელს პეტერბურგის სრულიად რუსეთის ჰიგიენურ გამოფენაზე ვერცხლის მედლით;

– 1900 წელს მსოფლიო გამოფენაზე პარიზში 2 ოქროს მედლით (1 კონიაკისათვის, 1 ლიქიორისათვის);

– 1901 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თბილისში 2 ოქროს მედლით კონიაკისათვის და არაყის წარმოებისათვის;

– 1901 წელს დ.სარაჯიშვილმა გამოუშვა სამარკო კონიაკი „ძველისძველი", რომელიც დაყენებული იყო 1888 წლის საკონიაკე სპირტზე. აღნიშნულმა კონიაკმა დიდი მოწონება დაიმსახურა და არაერთხელ იქნა დაჯილდოებული ოქროს მედლით;

– 1910 წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ოდესაში ოქროს მედლით;

– 1913 წელს სრულიად რუსეთის გამოფენაზე კიევში ოქროს მედლით;

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დ.სარაჯიშვილის შექმნილი წარმოება საქართველოში ყველაზე მსხვილი სამრეწველო მონოპოლისტური გაერთიანება იყო [152, 240].

დავით სარაჯიშვილი, როგორც ევროპული ხედვის კომერსანტი, დიდ ყურადღებას უთმობდა სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქციის გარეგნულ მხარეს. დ.სარაჯიშვილის პროდუქცია ისხმებოდა როგორც ჩვეულებრივ ბოთლებში, ისე ფიგურურ, კონუსისებრ, ოვალურ და ორიგინალურ ბოთლებში, რომლებსაც ამშვენებდა თბილისში, ვარშავაში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში დაბეჭდილი უმაღლესი პოლიგრაფიული დონის ეტიკეტები. მისი ეტიკეტების მხატვარი იყო კონსტანტინე მესხიშვილი, გრავიორი ლევიტი. ისინი მესხიშვილის სტამბაში მუშაობდნენ. ეტიკეტებზე წარწერები შესრულებული იყო ფრანგულ, პოლონურ, რუსულ და ქართულ ენებზე, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. სარაჯიშვილის ფირმის პავილიონებს და სტენდებს აფორმებდნენ არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი და მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე [106, 124].

დავით სარაჯიშვილის დაფუძნებული არყის და კონიაკის ქარხნების მიერ კონიაკის გამოშვების დინამიკა წლების მიხედვით

(მასალა მოტანილია გ.მარგიანის ნაშრომიდან „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 288-289)

წელი	ბოთლის რაოდენობა (ცალობით)
1891	167 100
1896	226 480
1900	218 900
1908	400 000
1910	600 000
1911	650 000

დავით სარაჯიშვილის დაფუძნებული არყის და კონიაკის საწყობები, პროდუქციის სარეალიზაციოდ

(მასალა მოტანილია გ.მარგიანის ნაშრომიდან „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი“ 1864-1917. თბ. 1976 გვ 289)

წელი	საწყობები
1888	ბაქოში
1889	პეტერბურგში
1892	მოსკოვში
1900	ვარშავაში
1902	ფეოდოსიაში და ვლადიკავკავში
1903	ჩარჯუაში

დ.სარაჯიშვილმა კავკასიაში პირველმა წამოიწყო და შექმნა დენატურატის წარმოება, რისთვისაც გახსნა 2 საწყობი ოლღას და ავჭალის ქუჩებზე. დენატურანტს კარტოფილის, ხილისა და სხვა იაფფასიანი სპირტიდან ამზადებდა. სპირტის დენატურაცია ორგვარი სახით ხდებოდა: საერთო (სრული) და სპეციალური (არასრული) სახით. პირველი განათებისა და გათბობისათვის, მეორე კი ტექნიკური, სამეცნიერო, სამედიცინო მიზნებისათვის გამოიყენებოდა. მოთხოვნილება დენატურატზე სწრაფად იზრდებოდა, მატულობდა დამკვეთი ორგანიზაციების რიცხვიც, მისი უმეტესი ნაწილი საავადმყოფოებსა და აფთიაქებში მოიხმარებოდა [152, 229].

წარმოებული სპირტის სარეალიზაციოდ დ.სარაჯიშვილს საბითუმო საწყობები და სააგენტოები ჰქონდა პეტერბურგში, ვარშავაში, მოსკოვში, ოდესაში, ბაქოში, კიშინევში, ერევანში, ვლადიკავკაზში, რიგაში, ხარკოვში, კიევში, ვალდივოსტოკში და რუსეთის იმპერიის სხვა მრავალ ქალაქში.

სარაჯიშვილის ფირმის ნაწარმის ბრუნვამ 1901 წლისათვის მილიონ ნახ-

www.ourbaku.com


№ 3.
МЯТНАЯ
Д.З.Сараджева
РЕКТИФИК. и ЛИК.
ЗАВОДЪ
ВЪ ТИФЛИСѢ.
ЗАВОДСКАЯ МАРКА


№ 3н.
КАССИСЪ
Д.З.САРАДЖЕВЪ ТИФЛИСЪ

ევარ მანეთს გადააჭარბა. აღნიშნულ წელს მისმა საბითუმო საწყობმა კონიაკი გაყიდა 220 000 მანეთის ღირებულების, ლიქიორი-40 000 მანეთის, სპირტის და არყის ნაწარმი-მილიონ ნახევარი მანეთისა. 1900 წელს დ.სარაჯიშვილის პეტერბურგის, ვარშავის და ციმბირის საბითუმო საწყობიდან ყოველწლიურად 180 000 ბოთლი კონიაკი იყიდებოდა, რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში, კავკასიაში და თბილისში კი 40 000 ბოთლი. სარაჯიშვილის ფირმის საქმიანობა მეტად მრავალმხრივი იყო. იგი მოიცავდა ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა სახის წარმოებას-ხდიდა არაყს, ასუფთავებდა სპირტს, ამაგრებდა ღვინოს, ახდენდა სპირტის დენატურაციას, ამზადებდა სხვადასხვა სახის არაყს, ლიქიორს, ნაყენს, რომს, ხდიდა საკონიაკე სპირტს და ამზადებდა კონიაკს [152, 230].

სარაჯიშვილის სახელი დაკავშირებულია მრავალ საქველმოქმედო ღონისძიებასთან: 1888 წელს მან თბილისის მთავარ კანტორასთან, ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით, სპეციალური კომიტეტი დააარსა, რომელსაც ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდობის გამოვლენა და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაში ყოველმხრივი ხელშეწყობა ევალებოდა. ქველმოქმედს, მარტო სტიპენდიებისათვის, ყოველწლიურად 30 000 მანეთი ჰქონდა გამოყოფილი და ამავე დროს სტუდენტებს ერთდროულ დახმარებასაც უწევდა. დ.სარაჯიშვილის სტიპენდიანტები იყვნენ:

– კომპოზიტორები-დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი.

– მხატვრები-მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ მესხია, შალვა ქიქოძე, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

– მომღერლები-ვანო სარაჯიშვილი, ვალერიან ქაშაკაშვილი.

– პროფესორები-სოლომონ ჩოლოყაშვილი, მიხეილ შალამბერიძე, სარგის კაკაბაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ილია ყიფშიძე, მოსე ჯანაშვილი, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), არჩილ ქართველიშვილი.

-დ.სარაჯიშვილი ფულად დახმარებას უწევდა აკაკი შანიძეს, პარიზში სასწავლებლად მყოფ დავით კასრაძესა და კონდრატე თათარაშვილს (უიარაღოს), ბრიუსელში-თედო სახოკიას და გერონტი ქიქოძეს.

– 1906 წელს თბილისის უნივერსიტეტის საძირკველში დ.სარაჯიშვილს ერთი მუჭა ოქრო ჩაუყრია, ნიკო ცხვედაძისთვის კი, რომელიც ამ საქმეს თავკ-

აცობდა, 60 000 მანეთი გადაუცია და უთქვამს: „აჰა, ჯერ ეს იკმარე, ოღონდ ნურსად გამამეღავნებ, დაიწყე საქმე და რამდენიც დაგჭირდება აქა ვარო". იაკობ მანსვეტაშვილი გადმოგვცემს, რომ უნივერსიტეტის შენობის მშენებლობისათვის სარაჯიშვილი ძალას არ ზოგავდა, ბანკებში მის თამასუქებს ასი ათასობით ანაღდებდნენ. რომ არა დ.სარაჯიშვილის უანგარო მატერიალური დახმარება XIX საუკუნის 90-იან წლებში დაარსებული მცხეთის სვეტიცხოვლის სარესტავრაციო კომიტეტისათვის, რომელიც დიდუბის, მთაწმინდის, ლურჯი მონასტრის, ქაშვეთისა და სხვა ისტორიული ძეგლების დაცვისა და აღდგენისათვისაც ზრუნავდა, დღეს ჩვენ ბევრი ისტორიული ძეგლი აღარ გვექნებოდა.

– 1901 წელს გაზეთ „ივერიას„ გაუჭირდა და შეიძლება დახურულიყო კიდეც, მაგრამ თავად კონსტანტინე მუხრანსკისა და დ.სარაჯიშვილის ნივთიერმა დახმარებამ გაზეთი გადაარჩინა.

– დ.სარაჯიშვილმა სოლიდური ფულადი სახსრები გაიღო ავლაბრის სახალხო თეატრის ასაგებად.

– მის სახელს უკავშირდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმატებული საქმიანობა.

– დ.სარაჯიშვილმა 1907 წელს მნიშვნელოვანი თანხით დააფინანსა ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით წარმოებული ახალციხე-ახალქალაქ-არტაანის მაზრებში არქეოლოგიური ექსპედიცია.

XIX საუკუნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ედილი (ზაქარია ერმალოზის ძე ედილაშვილი) დავით სარაჯიშვილთან დაახლოებული პირი ყოფილა. მას უმუშავია დავით სარაჯიშვილის ქარხანაში კანცელარიის მოხელედ. თავის მონოგრაფიაში „საინგილო", მას დავითთან ურთიერთობის არცერთი დეტალი არ გამორჩენია [76, 3-26].

ერთხელ, ქარხნის დათვალიერებისას, სარაჯიშვილი კანცელარიაში შესულა, უცნობი ახალგაზრდა შეუმჩნევია და უკითხავს მისი ვინაობა. როგორც კი გაუგია მისი სწავლის დიდი სურვილი და უსახსრობის ამბავი, მეორე დღესვე კაბინეტში დაუბარებია, მოუსმენია მისთვის და შეუთავაზებია საკუთარი სახსრებით რიგაში გაგზავნა ინჟინერ-ქიმიკოსის პროფესიის დასაუფლებლად. ედილი და დავით სარაჯიშვილი ერთად ხშირად მგზავრობდნენ. დავითი მას აძლე-

ვდა საჭირო რჩევა-დარიგებებს და ბევრ ცხოვრებისეულ საკითხში ღრმად ახედებდა. ედილის ჩანაწერები მრავალ საყურადღებო ფაქტს წარმოაჩენს სახელოვანი მეწარმის ცხოვრებიდან:

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული მეწარმისათვის არასასიამოვნო ამბავი დაუხვედრებიათ. ბაზარზე ახალი სავაჭრო ნიშნით გამოჩენილ საქონელს მძაფრი კონკურენცია გაუწევია დავით სარაჯიშვილის პროდუქციისათვის. დავითს საგრძნობლად გაუიაფებია საკუთარი პროდუქცია და კონკურენტი ბაზრიდან გაუძევებია.

– დავით სარაჯიშვილს 23 სხვადასხვა ადგილას ჰქონდა თავისი წარმოება გახსნილი, ამიტომ, ბუნებრივია, ყველგან წარმოების მართვის ერთნაირი რიტმი ვერ იქნებოდა.

პრობლემებს ყიზლარში გახსნილ საწარმოშიც უჩენია თავი. დავითს კონტროლიორები გაუგზავნია და ზარალიც დაუდგენია. შედეგების გაცნობის შემდეგ, მმართველის განთავისუფლებაზე თავი შეუკავებია იმ მოტივით, რომ იმას უკვე შეძენილი აქვს ახალი სახლიც და ვენახებიც, ახალი მმართველი რომ დავნიშნო, ისიც მოინდომებს ახალი სახლის შეძენას და ბაღების ყიდვას, მაგას კი უკვე ორივე აქვს და მეტს აღარ მოინდომებსო. სამაგიეროდ, ისეთ სასტიკ წერილს მივწერ, რომ მაგნაირ საქციელს აღარ ჩაიდენსო. დავითს მრეწველ შესტოვის ქარხნის მოსკოველი წარმომადგენლებისათვის შეუთავაზებია ქართველი გლეხების გამოხდილი ჭაჭის არაყი. მათ ამ პროდუქციის შეძენაზე თავი შეუკავებიათ და უკან ხელცარიელები გაბრუნებულან. მალე სარაჯიშვილის ქარხანას მიუღია შეკვეთა შესტოვის ქარხნიდან არყის შესყიდვაზე. სარაჯიშვილმაც, როგორც საკუთარი ფირმის ნაწარმი, სოფლელებისაგან შეძენილი სწორედ ის დაწუნებული ჭაჭის არაყი გაუგზავნა.

დავით სარაჯიშვილი ყოველწლიურად კრებდა ერევანში მცხოვრებ ქართველ საზოგადოებას, სადაც იმართებოდა საქმიანი საუბრები. შეკრებებზე დავითი უცხოური ბოთლებით აწვდიდა საკუთარი ქარხნის კონიაკს, ხოლო უცხოურს ჩვეულებრივ ბოთლებში ათავსებდა. შეკრებილი საზოგადოება ვერ ხვდებოდა მასპინძლის ეშმაკობას. შეკრებების დასასრულს საზოგადოება აფასებდა კონიაკების ავკარგიანობას და უპირატესობას უცხოურ ბოთლებში ჩამოსხმულ სასმელს ანიჭებდა.

ერთ-ერთ შეკრებაზე დავითმა საიდუმლო გათქვა, რითაც შეკრებილი საზოგადოება დიდად გააკვირვა. ძალიან საინტერესოა ამ ექსპერიმენტის მეწარმისეული შეფასება. -აბა სხვა მომხმარებელი რაღა გავამტყუნო, როცა

თქვენ, კონიაკის მუდმივ მომხმარებელს, ვერ შეგიფასებიათ სათანადოდ კონიაკის ღირსება, სხვაზე რაღა ვთქვაო. . . [76, 3-26].

ფილიპე გოგიჩაიშვილი იხსენებს: „გაცემას ყოველთვის ისეთ ხასიათს აძლევდა, თითქოს იგი თავისთავად მიმღებს ეკუთვნოდა და მის პიროვნებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. თავმდაბლობა, გულკეთილობა და გულწრფელობა გამოსჭვიოდა ყოველ მის მოქმედებაში.

ყველა ეს ჩვენ გვხიბლავდა და მის თავს გვაყვარებდა...“ [207].

1908 წელს გაზეთი „სავაჭრო გზა“ იუწყებოდა: „დ.ზ. სარაჯიშვილის კანტორამ აცნობა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, თუ საგურამოში ილიას სახელზე სასწავლებელს დააარსებთ, თვიურად მასწავლებლის ჯამაგირს ჩვენ გავიღებთო.“ [192,3].

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (1914-1918 წწ.) დ.სარაჯიშვილის თითქმის ყველა კონიაკის ქარხანა დაიკეტა და შეწყდა პროდუქციის წარმოება.

1911 წლის 26 ივნისს თბილისში ქართველი ქველმოქმედისა და მეცენატის, დავით სარაჯიშვილის დაკრძალვის ცერემონია გაიმართა. ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის შემდეგ დედაქალაქს ასეთი ხალხმრავლობა აღარ ენახა. პროცესიას ვალერიან გუნია ხელმძღვანელობდა. დავით სარაჯიშვილი დიდუბის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს, სადაც 1916 წელს მისი მეუღლის ეკატერინე ფორაქიშვილის ნეშტმაც დაიდო ბინა. ახალგაზრდა მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს, რომელიც დავით სარაჯიშვილის სტიპენდიით როდენის მონაფე გახლდათ, დიდი ქველმოქმედის საფლავის პროექტი მოკლე ხანში დაუმზადებია, მაგრამ ესკიზი ესკიზად დარჩენილა. 1937 წელს დიდუბის ეკლესიის ეზოში გამოჩენილ ქართველ საზოგადო მიღვაწეთა და მწერალთა პანთეონი დაარსდა. დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ნეშტები იქ დატოვების ღირსად არ ცნეს და ათი დღის ვადაში მათი გადასვენების ბრძანება გასცეს. ოჯახის ნათესავებმა ადამ ფორაქიშვილმა და ნიკიტა ტარსაიძემ დიდებული მამულიშვილების ცხედრები ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს.

საქართველოს პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ნაშრომში „ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში“, მოგვითხრობს იმ ქველმოქმედთა შესახებ, ვინც ხელი შეუწყო ქაშუეთის ეკლესიის მშენებლობას. ნაშრომში ვკითხულობთ, რომ დავით სარაჯიშვილმა და მისმა მეუღლემ ეკატერინემ, ტაძარს შესწირეს ბრინჯაოს სამხრეთის ორფრთიანი კარები ზედნაბეჭდი წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს ხატებით. ამ დაუვიწყარი დამსახურების გათვალისწინებით მოხდა დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის მესამედ გადასვენება ქაშუეთის ეკლესიის ეზოში.

საინტერესო შეფასება მისცა დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობას დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ: „ის იყო პირველი ქართველი მრეწველი ევროპული ტიპისა. ერთხელ მან მითხრა: „ძნელია ჩვენში ეკონომიკურად წინ წაწევა, როგორც კი ერთი ცოტაოდენ ქონებას შეიძენს, ასი მშიერი უკან დადევს და სანამ არ გახრავენ, თავს არ დაანებებენ-ო.“ ასეთ პირობებში მართლაც დიდი პრაქტიკული ნიჭია საჭირო, რომ ამ შემოსეულ ხროვას გაუძლო და შეიძლება გონიერად მოიხმარო. დავითი რომ წმინდა ქართველი მრეწველი ყოფილიყო, კაი ხანია ქართველურად

დაამთავრებდა-მისი შეძლებისაგან არაფერი დარჩებოდა. მხოლოდ ევროპელ კაცს შეეძლო ყველა მადლიერი ჰყოლოდა და თანაც შეძლება არ გაეფლანგა. შეაერთეთ ქართული გულკეთილობა და პურ-მარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა და მე მგონია ქართველის გაევროპიელება სნორედ ამ გზით უნდა მოხდეს. როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევროპიულ მუშაობას, ევროპიულ საქმიანობას და ნაციონალურ ხასიათს არ დავკარგავთ-ჩვენი გაევროპიელება ფაქტი იქნება. დ.სარაჯიშვილი ქართველი ევროპიელი იყო [243, 51-55].

დავით სარაჯიშვილმა სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა, რომელიც მისმა მეუღლემ, ეკატერინემ პირნათლად შეასრულა.

ანდერძი

ეკატერინე ივანეს ასული ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა

მიეცეს:

1. „განათლების“ საზოგადოებას მისი და მისი მეუღლის, დავით სარაჯიშვილის სახელობაზე, ქალთა პროფესიონალური სკოლის დასაარსებლად და შესანახად, ავლაბარში 50 000 მანეთი.
2. თბილისში მომავალი პოლიტექნიკური ან სხვა რომელი უმაღლესი სასწავლებელიც იქნება ფიზიკური კაბინეტის მოსაწყობად 50 000 მანეთი.
3. ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 25 000 მანეთი.
4. კავკავის ქართულ სკოლას 10 000 მანეთი.
5. ქალაქ კავკავის ღარიბ მოსწავლეთა სწავლის ფულის გასასტუმრებლად, ეროვნების განურჩევლად 30 000 მანეთი.
6. დიდუბის ეკლესიას 10 000 მანეთი.
7. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას 5 000 მანეთი.
8. რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა მეღვინეობის სადგურს ოდესაში 5 000 მანეთი.
9. ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიას 2 000 მანეთი.
10. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, სამოსწავლო წიგნების გამოსაცემად და სკოლებისათვის უმთავრესად პროფესიული სკოლების დასაარსებლად და შესანახად, 100 000 მანეთი.
11. დარიის მონასტერს ავლაბარში 500 მანეთი.
12. ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას თავის საჭიროებათა გასაძღოლად 25 000 მანეთი.
13. ქალაქ ქუთაისის საქალაქო თეატრის ასაგებად 150 000 მანეთი.
14. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიას 1 000 მანეთი.
15. სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებას პრემიების დასანიშნად მისი და გასვენებული მეუღლის დავით სარაჯიშვილის სახელობაზე საუკეთესო ბელეტრისტული ნაწარმოებისათვის 20 000 მანეთი.
16. „ღვთისმშობლის“ ეკლესიას 500 მანეთი.
17. ქართულ დრამატულ საზოგადოებას 100 000 მანეთი.
18. კალოუბნის ეკლესიას თბილისში 1 000 მანეთი.
19. მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალშენს 10 000 მანეთი.

20. სიონის ეკლესიას 1000 მანეთი.
21. მცხეთის ეკლესიას 1 000 მანეთი.
22. მცხეთის სამთავისის დედათა მონასტერს სკოლის საჭიროებისათვის 5 000 მანეთი.
23. მარტყოფის ეკლესიას 500 მანეთი.
24. მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას 10 000 მანეთი.
25. „წმინდა ანტონის" ეკლესიას 500 მანეთი.
26. დიდი ლილოს ეკლესიას 500 მანეთი.
27. „წმინდა სამების" ეკლესიას 500 მანეთი.
28. მთაწმინდის (მამადავითის) ეკლესიას 500 მანეთი.
29. სომეხთა წმინდა სტეფანეს მონასტერს 500 მანეთი.
30. ქალაქ თბილისის სადასტაქრო საავადმყოფოს შენობის ასაგებად მისი და განსვენებული მისი მეუღლის დავით სარაჯიშვილის სახელობაზე 200 000 მანეთი.

სულ 814 500 მანეთი

დავით სარაჯიშვილზე სამადლობელი წერილები იწერებოდა როგორც მის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგაც. დასაფლავების დღეს კალისტრატე ცინცაძე თავის სიტყვაში ბრძანებდა: „ქონებრივად და გონებრივად მაღალი საზოგადოების წევრებთან გასწორებულს და მათთან დღემუდამ საქმის დამჭერს, არასოდეს არ შეუწყვეტია კავშირი დაბალ ხალხთან. ყოველთვის ხელმისაწვდომი, თავმდაბალი და მოსიყვარულე იყო. იგი ხალხის ჭირით იტანჯებოდა და მისი ლხინით იხარებდა. მუდამ მომგონებელი თავისი წარსულისა, იგი სიტყვით და საქმით გვიჩვენებდა, რომ საფუძველი ერის ბედნიერებისა არის შრომა და ცოდნა და სწორედ ამ შრომის, სიყვარულისა და ცოდნის გავრცელებისათვის მშობელ ხალხში იგი არ ეშურებოდა არც საკუთარ ძალ-ღონეს, არც შრომით შეძენილ ქონებას. მუდამ ღია ჰქონდა თავისი გულისა და სახლის კარები მათთვის და ამხნევებდა მუშაკთ მხურვალე სიტყვით და უხვი დახმარებით. განსაკუთრებით მის ყურადღებას იქცევდნენ ის ქართველთა შორის მოქმედნი განათლებულნი დაწესებულებანი, რომელთაც მიზნად დაუსახავთ ძველის საქართველოს დიდებული სულისკვეთების ნაყოფთა შესწავლა, შეგროვება, გავრცელება თუ აღდგენა" [251, 74].

„მოსვენებას არ ვაძლევდით ილიას, გვინდოდა, რომ „ივერიისათვის" რაიმე ახალი მოთხრობა მოეცა. ვიცოდით, რომ ჩანასახად უკვე აქვს დაწყებული მოთხრობა, რომლისთვისაც წინა განზრახვა ჰქონია, მგონი „გიორგი" ეწოდებინა სახელად, მერე კი „ოთარაანთ ქვრივი" დაარქვა. . . ახლად შობილს მონათვლა უნდოდა. განუყრელი, უცვლელი ნათლია ილიას ნაწარმოებებისა დავით სარაჯიშვილი იყო: იმდენად გულუხვი, პატივცემული ნათლია, რომ ნათლობასაც თვითონვე იხდიდა თავის სტუმართმოყვარე სახლში. ასე იყო მონათლული „განდეგილი" და ამ წესრიგს არც ახლა გადაუდგა სარაჯიშვილი. საღამოს რვა საათი იქნებოდა, სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მორთულ სახლში, სოლოლაკში, დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის" ყველა თანამშრომელი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, მათ შორის:

მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ი.მაჩაბელი, პ.უმიკაშვილი, გ.ვოლსკი“ . . . იხსენებს იაკობ მანსვეტაშვილი [133, 183].

„ცხოვრების რომელი მხარეც გინდათ აიღოთ, ყველაფერში ეტყობა სრული ადამიანობა, კაცურ-კაცობა, მამულისა და მოძმის სიყვარული. იშვიათი ქართველი ყოფილა ჩვენ დროში ისეთი, რომ ღირსებით განსვენებულის შესადარებელი ყოფილიყოს. . . გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი მუშა არც თავისთვის ვარგა და არც ქვეყნისთვისაო-ამბობდა დავითი. ამიტომ მან კავკავში მუშებისათვის დააარსა საკვირაო სკოლა. ათი წელიწადი ვმუშაობდი იმ სკოლაში და მუდამ თვალყურს ვადევნებდი როგორი სიხარულით ეგებებოდა განსვენებული, როცა მუშები სნავლაში ნარმატებას იჩენდნენ. წერა-კითხვისა და ანგარიშის მცოდნე მუშას ჯამაგირსაც უმატებდა. უყიდა მუშებს საუკეთესო ჯადო ფარანი სურათებისათვის, სახალხო კითხვის გასამართავად და იქვე დაუარსა მათ ბიბლიოთეკა“- წერს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე [32, 18].

„დავით სარაჯიშვილი, წერდა არტურ ლაისტი, იყო ნამდვილი მეგობარი პოეტების, მეცნიერებისა და მხატვრებისა, არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ ბერლინშიც, სადაც მას გულითად პატივს სცემდნენ ცნობილი პირები და მეცნიერები. იგი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა რუსეთსა და საქართველოში კონიაკისა და სპირტიანი პროდუქციის წარმოებას, ამასთან ამ საქმეს იგი აწარმოებდა არა ვიწრო რუტინულ ჩარჩოებში, არამედ პროგრესულად და ინტელიგენტურად, როგორც ნამდვილი განათლებული ევროპელი. იგი მუშაობდა დაუღალავად, ყოველთვის ფიქრობდა იმ სასარგებლო საქმეზე, რომელიც შეეძლო მოეტანა მას თავისი ხალხისათვის“ [123, 56-63].

„ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა დღემდე ბევრს ალაგას არის წმინდათ დაცული, ამათი დედა ენა ქართულია, განათლება მათ ამ ენით მოელით. ამათთვის ქართულ ენაზე ითარგმნა „ყურანი“. დასაბეჭდი ფული მთრგმნელს დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა მისცა. ასეთის დახმარებით მან გამოიჩინა ის მცნება, რომ მას კარგად ცოდნია და სცნობია საქართველოს ტერიტორიის და მასზე მცხოვრებელ ქართველ მაჰმადიანთა ზომა და მოვალეობა. „ყურანის“ დარიგება და გავრცელება ქართველ მაჰმადიანებში მე მქონდა მინდობილი“ - წერდა 1911 წელს ზ.ჭიჭინაძე [275, 14].

1902 წელს ბერლინში გამოქვეყნდა დავით სარაჯიშვილის მასწავლებლის პროფესორ ადოლფ ვაგნერის ნაშრომი „მინათმოქმედი და მრეწველი ქვეყანა“, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობის განვითარებას ეძღვნება. მასწავლებლისთვის მასალები დავითს მიუწოდებია, მრავალი საბუთი შეუკრებია, ვრცელი ცნობებით. სწორედ ამიტომ ვაგნერმა ეს წიგნი დავით სარაჯიშვილს მიუძღვნა წარწერით: “ჩემ ქართველ მეგობარს ბ-ნს დოქტორს დავით სარაჯევს“.

დავითის დაკრძალვის დღეს სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა: „მთელი საქართველოს კიდით კიდემდე ზარის ხმად გაისმის დათიკოს სიკვდილი. სიტყვა დათიკოს მე აქ განზრახ ვხმარობ, რადგანაც მხოლოდ ამ სახელით იცნობდა აწ განსვენებულს მთელი შეგნებული ქართველობა და სიტყვა დათიკო კნინებით კი არ არის, გულითადი გამოძახილია. . . ჩვენ რომ ვერ დაგივიწყებთ,

ეს გასაკვირველი არ არის. . . მაგრამ არ დაგივიწყებს შენ ჩვენი შთამომავლობაც და ყოველ ეროვნულ საქმის დროს შენც, როგორც თანამოზიარე, ოცნებით გვერდით ეყოლები წარმოდგენილი" [207].

დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ შესანიშნავად მოწყობილი წარმოება შეუდარებელი მენეჯერის გარეშე დარჩა. ქარხანას სათავეში ჩაუდგა მისი მეუღლე-ეკატერინე ივანეს ასული ფორაქიშვილი, რომელიც თავის ძმა ადამ ფორაქიშვილთან ერთად უძღვებოდა ქარხნის მთელ საქმიანობას. ამ დროს (1915 წ.) ქარხნის მთავარი ოსტატი და ტექნოლოგი იყო **ნიკოლოზ სოლომონის ძე გაბაშვილი.** სწორედ მისი რეკომენდაციით იწყებს მუშაობას ქარხანაში **ვახტანგ ციციშვილი***, ჯერ ოსტატის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ მთავარ ოსტატად. 1916 წელს ე.ფორაქიშვილი გარდაიცვალა. ქარხნის ყოფილმა თანამშრომლებმა: **ნიკოლოზ გაბაშვილმა, მოსე ბოგადმა, ადამ ფორაქიშვილმა, ალექსანდრე სარაჯიშვილმა და ალექსანდრე რატიშვილმა** ჩამოაყალიბეს სპეციალური ამხანაგობა „დ.ზ.სარაჯიშვილის ამხანაგობის" სახით. მართალია ვ.ციციშვილი ამ ამხანაგობის გამგეობაში არ შედიოდა, მაგრამ 1917-1918 წლებში იგი ამ ამხანაგობის სული და გული იყო. ვ.ციციშვილის პირად არქივში დაცულია მინდობილობის ასლი, რომელიც მას აღნიშნული საზოგადოების გამგეობამ მისცა. მინდობილობა შედგენილია 1917 წლის 26 ივლისს და დამოწმებულია 1918 წლის 10 იანვარს თბილისის ნოტარიუსის ა.მიცკევიჩის მიერ, სადაც საუბარია: „რწმუნებულად გხდით თქვენ მიიღოთ ფოსტამტიდან, საფოსტო კანტორიდან და განყოფილებიდან ფირმა „დ.ზ.სარაჯევის" სახელზე ყოველგვარი კორესპონდენცია, ფულადი პაკეტისა და გადარიცხვების ჩათვლით, ასევე ფასიანი და უფასო ამანათები, ჩვენ მაგიერ მოაწეროთ ხელი საჭირო დოკუმენტებს. იაროთ სააქციზო სამმართველოში და მის ოლქებში და მიიღოთ სხვადასხვა დაწესებულებებისაგან პროცენტიანი ქაღალდები, შეიტანოთ იქ ყოველგვარი თხოვნა და განცხადებები. გასცეთ სათანადო პასუხი მათ, წარუდგინოთ ყოველგვარი გირაო და საგირაო ქვითარი ვადის გასაგრძელებლად, მიიღოთ საჭირო ნებართვის მოწმობა და საერთოდ, გააკეთოთ ყველაფერი გამგეობის სახელით, რასაც მოითხოვს საქმე.

მინდობილობა ესე მიეკუთვნება ვახტანს დავითის ძე ციციანოვს [215, 10-12].

„დ.ზ.სარაჯიშვილის ამხანაგობა" წარმატებით აგრძელებდა ფუნქციონირებას, მაგრამ ცნობილმა პოლიტიკურმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა წარმოების ბედი, 1922 წელს მოხდა ქარხნის ნაციონალიზაცია. სხვა უამრავი კერძო სანარმოს მსგავსად სარაჯიშვილის რუდუნებით აწყობილი მთელი საწარმოო კომპლექსი სახელმწიფოს ხელში გადავიდა.

XIX საუკუნის საქართველოში სპირტისა და არყის ქარხნები ჰქონია **თავ. გ.ანდრონიკოვს** სოფ.ფხოველში. წარმოებული პროდუქციის ნიმუშები მას ნ 1862-63 წლებში წარუდგენია თბილისში მოწყობილ „კავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენაზე" [118, 187-205].

---

* **ვახტანგ ციციშვილი** მიჩნეულია ქართული კონიაკის წარმოების დიდოსტატად, მან დაამთავრა ქ.დიჟონის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ტექნოლოგიური ფაკულტეტი და მიიღო დიპლომი ღვინის ტექნოლოგიის სპეციალობით. 1915 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო დ.სარაჯიშვილის დაფუძნებულ ქარხანაში.

გიორგი ანდრონიკაშვილს არყის გამოსახდელად სპეციალური ქარხანა ჰქონია მოწყობილი, რომლის მანქანა-იარაღები საფრანგეთიდან იყო მოტანილი. 1863 წელს თბილიში გამართულ სასოფლო-სამერნეო გამოფენაზე ანდრონიკაშვილის მიერ წარმოდგენილი არაყი დაჯილდოებული იყო დიდი ვერცხლის მედლით [178, 48].

ს.გულიშამბაროვის ცნობით: 1858 წელს გორის მაზრაში არსებობდა არყის სახდელი ოთხი ქარხანა, რომელიც საერთო ჯამში 750 მან. სპირტს ხდიდა, ათი წლის განმავლობაში მათი რიცხვი ათჯერ გაზრდილა, 1868 წელს იგი გორის მაზრაში ასახელებს არყის სახდელ 14 ქარხანას, რომელიც 5 600 მან. სპირტიან სასმელს აწარმოებდა. მათ შორის იყო სოფ. ქარელში **ალენიჩის** ქარხანა, რომელმაც არსებობა 1878 წელს შეაჩერა, **პოტკოვის** ქარხანა გორში, დაიხურა 1879 წელს და **ბარონ ბახის** ქარხანა ბორჯომში, ფუნქციონირება შეწყვიტა 1887 წელს" [306, 40-44]. გორის რაიონის სოფ. ტირძნისში, საბაზროდ არყის გამოხდას აწარმოებდა **ივ.სულხანიშვილი**. „არაყს ხდიდნენ სიმინდიდან და იარდა-სალიმიდან [178, 48].



გიორგი ბოლქვაძე
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

1863 წელს ქუთაისის გუბერნიაში საკუთარ მიწაზე ჰქონდა მოწყობილი არყის ქარხანა **კუზმინსკის,** რომელიც წარმოებული პროდუქციით ქუთაისში დაბანაკებულ ჯარს ამარაგებდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქუთაისში არყის გამოხდას აწარმოებდნენ ცნობილი ვაჭრები **სერგო და იაკობ ოცხელები**. მათთვის ნედლეული იმერეთის სოფლებში გროვდებოდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში, ქუთაისის გუბერნიაში, **გიორგი ბოლქვაძის** მიერ იწყება სპირტიანი სასმელების წარმოება. ამ ენერგიულმა კაცმა მოჰკიდა არყის წარმოების საქმეს ხელი და 1865 წელს ქუთაისში გახსნა არყის ქარხანა. ბოლქვაძეს არყის ხდა, წმენდა, გასუფთავება და შეზავება კონსტანტინოპოლში უსწავლია ბერძნებთან, სადაც ისე დახელოვნებულა, ისე დახელოვნებულა, რომ საქართველოში მოსვლისთანავე დაუარსებია არყის ქარხანა. [276, 118-119].

მეწარმის წარმატებულ მუშაობაზე ისიც მიუთითებს, რომ 1864 წელს ქარხნის შემოსავალს შეუდგენია 30 000 მანეთი. გიორგი ბოლქვაძე ადგილობრივი გლეხებისაგან შესყიდულ არაყს ასუფთავებდა, სპირტი და ესენციები საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა და ანარმოებდა არაყს, ლიქიორს და კონიაკს. პროდუქციის ექსპორტი ხდებოდა როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე საზღვარგარეთაც. გიორგი ბოლქვაძე თავისი შრომით და კარგის სასმელებით ცნობილ იქმნა თვით მთავრობისაგანაც, უცხო სახელმწიფო მცოდნე პირთაგანაც და მასთანავე პატივცემული. ამ ენერგიულ პირს სხვადასხვა სახელმწიფოებიდგან მიღებული აქვს დიდი ძალი ნიშნები: ჩიკაგოდამ, ნიუიორკიდამ, ლონდონიდამ, პარიზიდამ, იტალიიდამ, ტუნისიდამ, ნიცადამ, ბერლინიდამ და სხვანი. სულ ნიშნების რიცხვი 100-ზე მეტია. [276, 118-119].

1850 წელს არყის სახდელი ქარხანა იხსნება ზუგდიდში. ქარხნის სანედლეულე ბაზას ხილი წარმოადგენდა. ყოველწლიურად იწარმოებოდა 8 000-10 000 ლიტრი ხილის არაყი. სარეალიზაციო არეალი საქართველო იყო.

1858 წელს ოზურგეთელმა ვაჭარმა **მჭედლიშვილმა** გახსნა არყის სახდელი ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად ამზადებდა 1 300 ლიტრამდე ხილის არაყს.

1877 წელხ ბორჯომის მახლობლად არყისსახდელი ქარხანა ჰქონდა გამართული **ბახს,** სადაც 29 მუშით წლიურად 161 ათასი მან. პროდუქციას ამზადებდა [136, 276]. წლების განმავლობაში ქარხანას არსებული ფინანსური ვალდებულებების გადაუხდელობის გამო ვალები დაუგროვდა, რის გამოც 1887 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა. 1890 წელს ბახის ქარხანა რომანოვების მემკვიდრემ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ შეიძინა, მთლიანად გადაიარაღა და და დაიწყო ხარისხიანი სპირტის დამზადება, მაგრამ არარენტაბელურობის გამო ქარხანამ 1893 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა [107, 125-126].

XIX საუკუნის 90-იან წლებში თბილისში ჩნდება **ა.სოგომონოვისა** და **მ.ხუბლაროვის** სპირტიანი სასმელების ქარხნები. ქარხნებთან არსებობდა სპირტის შესანახი რეზერვუარები, სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები. სოგომონოვის ქარხანაში დასაქმებული იყო 24 მუშა, ხოლო ხუბლაროვის ქარხანაში 22 მუშა. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია უმეტესად რუსეთში ხდებოდა. 1892 წელს ხუბლაროვმა ქარხანაში სარექტიფიკაციო აპარატი დაამონტაჟა, ხოლო სოგომონოვმა ორთქლის ქვაბები დააყენა.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში არსებობდა მძაფრი კონკურენცია სპირტიანი სასმელების მწარმოებელთა შორის. უპირატესობას განაპირობებდა ქარხნების უახლესი ტექნიკით აღჭურვა, ასევე უახლესი ტექნოლოგიებით მუშაობა, პროფესიონალთა გუნდი და ა.შ., ბევრმა საწარმომ ვერ გაუძლო ამ ზეწოლას და შეწყვითა არსებობა, ფუნქციონირებდა სამი მსხვილი, დ.სარაჯიშვილის, მ.ხუბლაროვსი და ავაქ სოლომონოვის სპირტისა და არყის მწარმოებელი ქარხნები. მოგვიანებით ეს რიცხვიც ორამდე შემცირდა, დარჩნენ დავით სარაჯიშვილი, რომელმაც 1905 წელს ხუბლაროვის ქარხანა შეიძინა და ავაქ სოლომონოვი.

1853 წელს შექმნილმა ძმები **ავაქ** და **ბაღდასარ სოლომონოვების** საწარმომ გაუძლო ყოველგვარ განსაცდელს და რეფორმების ხანაში იგი გვევლინება როგორც მსხვილი მანქანური წარმოება. თბილისის გარდა სოლომონოვებს არყის წარმოება ჰქონდათ აზერბაიჯანში, ელიზავეტპოლის (განჯა) გუბერნიის

შუშის მაზრაში, ძირითადი მანქანა-მოწყობილობები რუსეთიდან ჰქონდათ შემოტანილი. ადგილობრივი სპეციალისტების დაბალი კვალიფიკაციის გამო ისინი საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავდათ. 1885 წელს ძმებმა დაიწყეს ქარხნის რეკონსტრუქცია. ამზადებდნენ ჭაჭის, თუთის, ხილის, მათ შორის საზამთროსა და ნესვის არრაყს [107, 125-126].

1895 წელს ძმებმა სოლომონოვებმა მიიღებეს გადაწყვეტილება შეესყიდათ და აემუშავებინათ ბორჯომში დიდი მთავარის მიხეილ ნიკოლოზის ძის საკუთრებაში არსებული და უფუნქციოდ არსებული სპირტის ქარხანა. იმ წელინადს თუთის, ხილის და ყურძნის მოუსავლიანობამ, ამ ნედლეულისაგან სპირტის გამოხდის რაოდენობის შემცირებამ და სპირტზე ფასების ზრდამ, ბორჯომის ქარხნის 1896-1897 წლების წარმატება განაპირობა. ქარხანამ ნედლეული სიმინდის სახით გურიაში იაფად შეიძინა, ხოლო დამზადებული სპირტის რექტიფიკატი მთლიანად დ.სარაჯიშვილმა და მ.ხუბლაროვმა შეიძინეს. შემდგომ წლებში ყურძნის მოსავლიანობის ზრდამ ქარხანა არარენტაბელური გახადა და 1897 წლის ბოლოს ფუნქციონირება შეწყვიტა [107, 125-126].

РЕКТИФИКАЦІОННЫЙ,
КОНЬЯЧНЫЙ и ВОДОЧНЫЙ
ЗАВОДЫ
БРАТЬЕВЪ СОГОМОНОВЫХЪ
Въ Тифлисѣ, Николаевская ул., собственный домъ.
СПЕЦІАЛЬНОСТИ ЗАВОДОВЪ:
ВИННЫЙ АЛЬКОГОЛЬ,
химически чистый 96°, для производства и сдабриванія ликеровъ и шампанскихъ винъ, для парфюмеріи, аптекъ и т. п.
Кавказскій натуральный Коньякъ,
старой выдержки, по качеству не уступающій коньякамъ самыхъ извѣстныхъ марокъ.
ХЛѢБНОЕ СТОЛОВОЕ ВИНО,
собственнаго хлѣбно-винокуреннаго завода въ мѣст. Боржомъ, Горійскаго уѣзда.
КАВКАЗСКІЯ ОРИГИНАЛЬНЫЯ НАЛИВКИ, ЛИКЕРЫ и пр.
Единственная фирма изъ кавказскихъ экспонентовъ, получившая медаль за натуральный коньякъ, на Колумбійской выставкѣ въ Чикаго, въ 1893 г.
Медаль съ выставки плодоводства и виноградія въ Петербургѣ 1894 г.
Медаль съ выставки въ Нижн.-Новгородѣ, 1896 г.

წარუმატებლობის გაანალიზების შემდეგ ავაქ სოლომონოვი იღებს ინოვაციურ გადაწყვეტილებას: დაშალოს ბორჯომის სპირტის ქარხანა და გადაიტანოს იგი ნედლეულით მდიდარ ადგილას. ამ მიზნით, სოფელ გომში 1902 წელს მან კონსტანტინე მამაცაშვილისაგან შეიძინა მამული, ბორჯომის ქარხნის დანადგარები გადაიტანა და დამატებით გილიემოს სისტემის სარექტიფიკაციო აპარატი დაამონტაჟა [107, 125-126].

1903 წელს გაზეთი „ივერია" იუწყებოდა: „ძმებმა სოლომონოვებმა გომში გამართეს არყის ქარხანა, ამიტომ სიმინდის ფასმა აიწია, ფუთი სიმინდი სამი აბაზია. ქარხნის აშენებით ამ საქმეს ბევრი სასარგებლო საქმე მოელის. ჭირნახულს მუდამ კარგი მაზანდა ექნება და სიმინდის გამოხდის შემდეგ, მიღებული სპირტის გარდა, დარჩენილი ნახადით ღორებსა და საქონელს დაასუქებენ" [96].

1903 წლიდან გომის სპირტის ქარხანა გამართულად მუშაობს, „დამზადდა 1 160 780 გრადუსი სპირიტი. 1905-1906 წლების რევოლუციურმა გამოსვლებმა

ქარხნის რიტმი დაარღვია და სრული სიმძლავრით მხოლოდ 1908 წელს ამუშავდა. მას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მთავრობამ მწარმოებელს 600 000 მან. სააქციზო თანხის გადახდა ერთი წლით გადაუვადა. ეს წინადადება სოლომონოვმა თავის სასარგებლოდ ჩათვალა, დაუკავშირდა ხუბლაროვს, ქარხანა შეაკეთა და სპირტის წარმოება განაახლა [107, 125-126].

შემდეგ წლებში სოლომონოვების სპირტის ქარხანას ექმნება პრობლემები ნედლეულის უკმარისობის გამო. თუკი XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ფარგლებიდან მეტი მარცვლეული გადიოდა, ვიდრე შემოჰქონდათ, XX საუკუნის პირველ მეოთხედში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა: ასე მაგალითად, 1909-1913 წლებში საქართველოდან წლიურად გაჰქონდათ 7 მლნ ფუთმდე მარცვლელული, ხოლო შემოჰქონდათ 9,4 მლნ ფუთამდე, ე.ი.პურეულის წლიური შემოტანა დაახლოებით 2,4 მლნ ფუთით აჭარბებდა. მოცემულ პერიოდში საქართველო დასავლეთ ევროპის ქვეყნების წინაშე სიმინდის გამყიდველად, ხოლო რუსეთის პურეულის მყიდველ-მომხმარებლად გამოდიოდა [21, 30-31].

ამიტომ ქარხნის მეპატრონეები შემოტანილ ნედლეულზე მუშაობდნენ, ამას ემატებოდა სპეციალისტების დაბალი კვალიფიკაცია, რომელიც აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ იჩენდა თავს. ზაფხულში ვერ ხერხდებოდა წყლის გაციება, რაც იწვევდა ნედლეულის ხარისხის გაუარესებას. 1908 წელს ქარხანამ 100 ათასი მან. ზარალი განიცადა, რაც გახდა მიზეზი ქარხნის დახურვისა [107, 126-127].

ძმები სოლომონოვების ქარხანა აწარმოებდა სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქციას, მაღალხარისხიან არაყებს, ლიქიორებს „ალუბალი", „ვარდი", „ყურძნის არაყი", „რომი", „აბსენტი", „ანანასის კრემი", „ციტრუსის კრემი", იამაიკური რომი" და სხვ.

ქარხნის გაჩერებამ საორგანიზაციო ცვლილებების აუცილებლობა წარმოშვა. 1907 წელს სოლომონოვის საქტიფიკაციო ქარხნის ბაზაზე შეიქმნა სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „არგო", რომლის წევრები იყვნენ: **სოლომონოვი, სარქისოვი, ტერ-სარქისოვი, გაბაევი** და 1905 წლიდან ქარხნის ერთ-ერთი თანამეპატრონე, იმერეთის სოფ.ლიჩის მკვიდრი **დიმიტრი ლომიძე**. ბატონი დიმიტრი განათლებული ადამიანი იყო, პროფესიით ეკონომისტი, მუშაობდა ხაშურის მაზრაში, იცოდა 7 უცხო ენა (არაბული, სპარსული, თურქული, სომხური, რუსული, ინგლისური და გერმანული). ამხანაგობის მმართველი იყო **გაბაევი,** ხოლო ოსტატი რექტიფიკატორი **საველიევი.** 1909 წელს ამხანაგობამ გააუმჯობესა ქარხნის ტექნიკური მოწყობილობა და დაამონტაჟა სპირტის საკონტროლო მრიცხველები. ქარხანა ნედლ სპირტად მოიხმარდა ჭაჭის და თუთის არაყს. ქარხნის ტექნიკურ განახლებაში მონაწილეობდნენ ინგლისელი ინჟინრები, რომლებიც ადგილზე სპირტის შესანახ ცისტერნებს ამონტაჟებდნენ. მათი დახმარებით აპარატურა შვეიცარიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან ჩამოიტანეს [107, 126-127].

1897 წელს **მ.ხუბლაროვის** წარმოებაში პარტნიორებად შევიდნენ მისი ძმები, ხოლო 1905 წლიდან მთელი წარმოება დ.სარაჯიშვილის მფლობელობაში გადავიდა. 1900 წლისათვის ამ საწარმოებში 100-ზე მეტი მუშა მუშაობდა,

ხოლო წარმოებული პროდუქციის ღირებულება 1 174 ათას მან. აღემატებოდა. მ.ხუბლაროვის სამრეწველო საქმიანობა 1862 წელს დაიწყო სოფ.აგადამში (ელისავეტოპოლის გუბერნია, შუშის მაზრა). მისი წარმოება განსაკუთრებით გაფართოვდა ბაქო-თბილისის რკინიგზის გახსნის შემდეგ. მის მიერ აგადამში, შუშაში, ერევანში და თბილისში დაარსდა სპირტის სახდელი ქარხნები. მ.ხუბლაროვის მოღვაწეობა თბილისში **მეღვინოვთან** ერთად იწყება 1890 წელს დაარსებული სპირტსაწმენდი ქარხნით. 1892 წელს იგი აფართოებს წარმოებას და იწყებს არყის და ლიქიორის გამოშვებას. 1897 წელს ხუბლაროვი ამავე ქარხანასთა აარსებს კონიაკის ცენტრალურ საწყობს. 1900 წელს ხუბლაროვი იწყებს ქარხნის რეკონსტრუქიას, მაგრამ ეტყობა იგი ამ ოპერაციებს თავს ვერ ართმევს, ვერ უძლებს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ საკონკურენციო ბრძოლას, კოტრდება და იძულებული ხდება გაყიდოს თბილისის ავჭალის ქ №107-ში მდებარე წარმოება [152, 227].

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში ფუნქციონირებდა არყის რამოდენიმე ქარხანა. ერთ-ერთის მფლობელი იყო ეროვნებით ბერძენი **კ.კუცური**. ამზადებდა საკმაოდ ხარისხიან პროდუქციას, მის მიერ გამოშვებულ აბსენტებს, არყებს, კონიაკებს, ყოველთვის ყავდა მომხმარებელი. კუცური პროფესიით მეღვინე იყო და ქარხანაში ტექნოლოგიურ საქმეს ხელმძღვანელობდა [108, 176].

XIX საუკუნის ბოლოს მეწარმე **გ.დანიელოვი** ასევე აწარმოებდა სპირტიან სასმელებს ბათუმში. „მას საკუთარ სახლში ჰქონდა ლიოქიორ-არყის ქარხანა და არაყთან ერთად ლიქიორებსა და „ნალივკებს" ამზადებდა. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა ტარხუნის არაყი და ხილის ლიქიორები. კერძო მეწარმე **ა.ბალასანოვი** ფლობდა არყის ქარხანას ბათუმში, იგი წლების განმავლობაში თავისი პროდუქციით ბათუმის გარდა შავი ზღვის საპორტო ქალაქებსაც ამარაგებდა.

მეწარმე **ა.ბარგს** ბათუმში ჰქონდა არყისა და კონიაკის ქარხანა, რომელსაც საკუთარი ფილიალები გააჩნდა თბილისში. მისი პროდუქცია წარმატებით იყიდებოდა რესტორნებში, სასტუმროებსა და სავაჭრო ობიექტებში [108, 176].

XX საუკუნის დასაწყისში კახეთის **საუფლისწულო მამულების** ბაზაზე დაისვა კონიაკის ქარხნის გახსნის საკითხი. საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა საჭირო ნებრთვაც მიიღო. ამ საქმისათვის წინანდალში მოუწვევიათ კონიაკის წარმოების სპეციალისტები **სოვიონი და ბოლტოვი.** ქარხნისათვის საჭირო შენობად გამოიყენეს ძველი ორთქლის ქარხანა, სადაც ადრე კასრებს ორთქლში ატარებდნენ, დაამონტაჟეს სპირტსახდელი აპარატები, მაცივრები, მოაწყვეს ღუმელები, რაც საჭირო ოყო კონიაკის საწარმოებლად. როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა წინანდლის კონიაკის ქარხნის მშენებლობისა და მოწყობის ხარჯთაღრიცხვა არასწორად შეუდგენიათ, შენობის ტექნიკური მოწყობისას კი აღმოჩენილა, რომ შენობა ძალიან დაბალი და ფართობით მცირე იყო. საჭირო გახდა შენობის სახურავის მკვეთრად აწევა და სხვა დამატებითი სამუშაოების ჩატარება, რაც ზედმეტ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ცნობილია, რომ ქარხანაში კონიაკი მზადდებოდა, აქ მომუშავე მუშები თვეში 20-25 მან. იღებდნენ, მაგრამ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და კონიაკის მარკა არაა ცნობილი [248, 56].

XX საუკუნის დასაწყისში არყისსახდელი ქარხნები ამოქმედდა წინანდალსა და ნაფარეულში. ამ პროდუქციისათვის სანედლეულო ბაზას წარმოადგენდა ჭაჭა, რომელიც დიდძალი რაოდენობით გროვდებოდა კახეთის საუფლისწულო მამულებში. ჭაჭა ბეტონის აუზებში ინახებოდა არყისსახდელი ქარხნების ახლოს. სპირტის გამოხდა ხდებოდა სპეციალური სპირტისსახდელი აპარატებით და ისეთი გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით, როგორიც ყოფილა მელვინე **ბააკაშვილი.** მიღებული პროდუქციის ერთი ნაწილი მასანდარანში იგზავნებოდა, ნაწილს იძენდა სარაჯიშვილი თავისი ქარხნისათვის, ნაწილი კი ადგილობრივ ბაზარზე საღდებოდა.

დავით სარაჯიშვილის საწარმოებთან შედარებით მცირე მოცულობის წარმოებები ჰქონდათ **კვეზერელ-კოპაძეს, გაბაშვილს, გრძელიშვილს, ბაღდასაროვს, სტეპანოვს, ალექსანდროვს, ამხანაგობა „ამურსა“** და სხვებს. 1905 წელს თბილისის გუბერნიაში (სიღნაღის, თელავის და თიანეთის მაზრების გამოკლებით) 160-მდე მსხვილი და წვრილი საწარმო თუ ქარხანა და სპირტის საწყობი არსებობდა. მათ შორის დ.სარაჯიშვილის ფირმის გარდა აღსანიშნავია ა.სოღომონოვის ამხანაგობა, „ამურის“, კვეზერელი-კოპაძის ქარხნები, გაბაშვილის, გრძელოვის, სარიევის, ბაღდასაროვის, სტეფანოვის, ალექსანდროვის და სხვათა [152, 239].

1905 წელს თბილისში არყებს, ლიქიორებს და კონიაკს აწარმოებდა **ივანე კვეზერელი-კოპაძე,** რომელიც ადრეულ ასაკში დაობლდა, უსახსრობის გამო სამუშაოს ძებნა დაიწყო და დასაქმდა სასახლის ქუჩაზე ფრანგული გალანტერიის მაღაზიაში. „მაღაზიას ხშირად სტუმრობდა დავით სარაჯიშვილი. ახალგაზრდას მისი ყურადღება მიუქცევია, ისე მოსწონებია, რომ თავის ახლად დაარსებულ არყისა და კონიაკის წარმოებაში მუშაობა შეუთავაზებია. დ.სარაჯიშვილმა ივანეს თავისი პროდუქციის ბითუმად გაყიდვის სავაჭრო განყოფილება ჩააბარა ჯერ რიყეზე, შემდეგ კი მეტეხის ციხესთან. შემდეგ იგი განაგებდა არყის წარმოებას სარაჯიშვილის თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში. ივანე ისე საფუძვლიანად დაეუფლა ლიქიორ-არყის ტექნოლოგიას, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ გადაწყიტა თავისი საკუთარი საწარმო დაეფუძნებინა. წარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები ვარშავიდან გამოიწერა ბორმან-

ВИШНЕВАЯ НАЛИВКА
№ 3.
Д. З. САРАДЖЕВЪ ТИФЛИСЪ





„1913 წელს დავით სარაჯიშვილის ფირმას საპატიო წოდება მიენიჭა – „Поставщик Двора Его Императорского Величества".
რუსეთის გერბის ორთავიანი არწივის გამოსახულება ამშვენებდა დ.სარაჯიშვილის ფირმის ეტიკეტებს. მას ანიჭებდნენ იმ მეწარმეებს, რომელთა პროდუქცია გამოიყენებოდა მეფის კარზე სხვადასხვა მიზნებისათვის: დაწყებული დიპლომატიური მიღებების მოწყობით და სამშენებლო სამუშაოებით დამთავრებული. ამ ტიტულის მფლობელთა შორის იყვნენ შუსტოვი, სმირნოვი, სარაჯიშვილი, ჯორჯაძე, მუხრან-ბატონი, პეტროვი, კელლერი, დოლგორუკოვი, კამიუ, გოლფშმიდტი, შტრიტერი, ბეკმანი და ა.შ. [106, 125-126]

Звание «Поставщик Двора Его Императорского Величества» носили два года, а затем его надо было подтверждать заново. Ко Двору поставлялось только лучшее, а носить звание было чрезвычайно почетно. Графический знак был утвержден значительно позже, в 1901 году.А к1915 году Поставщиками Императорского Двора были такие знаменитые марки, как шоколад Теодора Эйнема, ювелирные мастерские Карла Фаберже, мармелад от фабриканта Абрикосова, галоши фабрики «Треугольник», шампанские вина Голицына, печатня и книготорговое дело Сытина и многие, многие другие

ის, შვედეს და ტემლერის ფირმის სპილენძის სახდელი აპარატები, ბოლდტის და ფოგელის ფირმის გერმანული ბოთლის სარეცხი, საცობის დამხუფავი, ჩამომსხმელი დანადგარები და ფილტრები. თავისი ნაწარმი საზღვარგარეთაც გაჰქონდა. პარიზისა და ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენებზე მედლები და სიგელები დაუმსახურებია [109, 144-148].

1910 წელს მწყობრში ჩადგა **შაგრიარის** ლიქიორის, კონიაკისა და არყის ქარხანა თბილისში, სადაც 110 მუშა ირიცხებოდა. ასევე ფუნქციონირებდა **მ.ანანოვის** კონიაკის ქარხანა ქუთაისში და **ვ.ჭავჭანიძისა** სოხუმში. 1914 წლის აგვისტოდან თბილისში ღვინითა და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა აიკრძალა, გაყიდვის უფლება მხოლოდ მაღალი კლასის რესტორნებს შეუნარჩუნეს. 1915 წელს მუშაობა შეწყვიტეს ისეთმა მსხვილმა ფირმებმა, როგორიც იყო „არგო", „რექტიფიკატი", „სარაჯიშვილის მემკვიდრენი" და სხვებმა [136, 294].

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სპირტის წარმოება სამრეწველო მიმართულების პარალელურად მუდმივად რჩებოდა შინამრეწველური წარმოების სფეროდ, ამის ნათელ სურათს იძლევა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

წლები	სპირტიანი დანადგარების რიცხვი	დასაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (ვერდოებში)
თბილისის გუბერნია			
1894	334	2 638	134 935
1895	712	2 590	89 948
1896	562	1 929	124 064
1897	420	1 86	122 260
1898	475	1 564	100 203
ქუთაისის გუბერნია			
1894	717	2 320	55 899
1895	637	2 070	53 875
1896	399	1 395	25 334
1897	437	1 480	55 056
1898	376	1 315	57 778

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: ალ.ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ.სამსონაძე, ხ.ქოქრაშვილი, დ.ჭუმბურიძე, ო.ჯანელიძე. „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში". თბ. 2008. გვ. 233

ს.გულიშამბაროვი გვაძლევს საქართველოში 1880-იან წლებში მოქმედი სპირიტს ქარხნების წარმადობის და წარმოებული პროდუქციის ღირებულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს

	საწარმოების მფლობელები	მაზრის დასახელება	კონკრეტული ადგილმდებარეობა	გამოხ-დილია % წყლო სპირტი	წარმოებუ-ლი პრო-დუქციის ღირებულე-ბა (მანეთებში)
1	ვაჩნაძე	გორის	ხიდისთავი	2 174	260
2	მ.სოლოგოვი	გორის	ძეგვი	1 352	150
3	მ.ბეგიჯანოვი	თიანეთის	ხმეტა	31 603	3 500
4	ახატაურაშვილი	თბილისის	ხაშმი	87 360	10 000
5	მანუჩაშვილი	თბილისის	ხაშმი	68 952	7 500
6	ა.ბილანოვი	თბილისის	ყირბულახი	27 300	3 000
7	შ.ვართანოვი	თბილისის	საგრეჯო	13 520	1 500
8	შპეიზერი	ბორჩალოს	ეკატერინენფელდი	35 989	4 000
9	ამიედინგერი	ბორჩალოს	ეკატერინენფელდი	29 956	3 000
10	ცალმერი	ბორჩალოს	ეკატერინენფელდი	14 586	1 600
11	ა.მერაბოვი	ბორჩალოს	შულავერი	18 603	2 000
12	გ.მირზოევი	ბორჩალოს	შულავერი	17 917	2 000
13	ბ.ცანოსოვი	ბორჩალოს	შულავერი	8 866	1 000
14	ს.აგოიანცი	ბორჩალოს	ბოლნისი	5 824	700
15	თავადიჯორჯაძე	სიღნაღის	გურჯაანი	46 654	5 000
16	ჩგრაფიშერემე-	სიღნაღის	კარდენახი	50 814	5 000
17	ტიევი	სიღნაღის	კარდენახი	21 946	2 500
18	ა.ასატუროვი	სიღნაღის	კარდენახი	7 670	1 000
19	ვ.ტურიაშვილი	სიღნაღის	ვაქირი	37 331	4 000
20	კვირიკაშვილი	სიღნაღის	ვაქირი	322	1 200
	გ.ათაბეგოვი				

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: С.Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тиф. Губернии. Историко-статистическое описание фабрик и заводов. 1888. Ст. 40-44

1908 წლისათვის საქართველოში არსებული სპირტიანი სასმელების ქარხნების საწარმოო სიმძლავრე, სარაჯიშვილის ფირმის გამოკლებით

საწარმოს მფლობელი და ადგილსამყოფელი	მუშათა რიცხვი	წლიური პროდუქცია (მანეთობით)
ა.ალმეხდიგერის კონიაკის ქარხანა ბორჩალოს მაზრაში	3	5 015
„არგოს" სარექტიფიკაციო ქარხანა თბილისში	6	140 000
„რექტიფიკატის" ქარხანა თბილისში	42	259 301
ძმ.სესიევებისა და კომპანიის სავაჭრო სახლის არყის ქარხანა №7 თბილისში	23	37 000
ე.ტერ-მიკირტიჩიანის არყის და ლიქიორის ქარხანა თბილისში	8	13 800
ნაფარეულის საუფლიწულო მამულის ღვინის და ლიქიორის ქარხანა	66	70 469
გერმანელი მებაღეების ამხანაგობა „უნიონის" კონიაკის ქარხანა ბორჩალოში	3	13 600
გომის არყის სახდელი ქარხანა	45	78 594

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 292

შაქრის წარმოება XIX საუკუნის საქართველოში

„ჩვენი მრეწველობის ისტორია ამ საქმის მეთაურებს ოდესმე შესაფერ ადგილს დაუთმობს და თუ სადმე ერთი და ორი პირი აიწერება, იქ იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილიც გამოსჩნდება, რომლის მოქმედებას და შრომასთან მტკიცეთ არის შეკავშირებული ამ ქართული შაქრის ქარხნის დაარსების და არსებობის ისტორია.

ზ.ჭიჭინაძე

„საქართველოში ბევრია მდიდარია, მაგრამ ზუბალაშვილთა მსგავსი ქველმოქმედი არავინაა."

ნიკო ნიკოლაძე

XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში გამოჩდნენ შაქრის წარმოების წამოწყების მსურველნი, მანამდე საქართველოში შაქრის ლერწამი ნედლეულის სახით შემოდიოდა კასპიის სამხრეთ სანაპიროებიდან, სპარსეთის მაზანდარანიდან. მაზანდარანის შაქრის ლერწამი შეიცავდა 80% შაქრის კრისტალს და 1 ფუთის ღირებულება იყო 1,5 მან. პირველად შაქრის წარმოების წამოწყების მცდელობა ეკუთვნით ძმებს **ალექსი** და **გაბრიელ შადინოვებს**. მათ მიმართეს საქართველოს მთავარმართებელს ბარონ როზენს რაფინირებული შაქრის ქარხნის მშენებლობის თაობაზე, თუმცა ის შეღავათები, რომლებსაც ისინი ითხოვდნენ, ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა [238, 36].

იაკობ ზუბალაშვილი (1876-1942)

მოგვიანებით საქართველოში შაქრის წარმოება ძმებმა **ზუბალაშვილებმა** დაიწყეს. **იაკობ ზუბალაშვილი** XIX საუკუნის დასაწყისში სავაჭრო ასპარეზზე ყველაზე უფრო წარმატებული ჩანს. მას საქართველოდან გაჰქონდა მატყლი, აბრეშუმი, ბამბა, ბზის ხე, ხილი და სხვა საქონელი, ხოლო უცხოეთიდან შემოჰქონდა ფართლეული, შაქარი, ჩაი, ყავა, ძაფეულობა, მინის და ბროლის ნაკეთობანი. იაკობ ზუბალაშვილს სავაჭრო საქმიანობაში ეხმარებოდნენ იმ პერიოდის ცნობილი ვაჭრები **ენიბეგოვი, ლორის-მელიქოვი, დავით თამამშევი და სხვები** (ეს ის თამამშევი გახლდათ, რომელმაც თავის სიცოცხლეშივე თბილისს აჩუქა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც 41 000 ეგზემპლიარისაგან შედგებოდა.

სწორედ ეს საჩუქარი დაედო საფუძვლად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას, დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).

ზუბალაშვილები ვაჭრობაში ნაშოვნ ფულს საიჯარო საქმეებში დებდნენ, ყიდულობდნენ პურს, ქერს, არაყს რუსული ჯარისათვის, აგებდნენ შენობებსა და ხიდებს.*

იაკობ ზუბალაშვილმა მიიღო გაბედული გადაწყვეტილება, დაგროვილი კაპიტალით წარმოებისათვის მოეკიდა ხელი, კერძოდ, დაეწყო შაქრის წარმოება, რადგან შაქარზე მთელ სამხრეთ კავკასიაში დიდი მოთხოვნილება იყო და ამ პროდუქტს უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციაში წამყვანი ადგილი ეკავა. იაკობმა შაქრის ვითარება ადრიდანვე იცოდა, ამიტომ იგი ყოველთვის ნატრობდა თფილისში შაქრის ქარხანა გახსნილიყო და შაქარიც ეკეთებინათ, შაქარს სწოდებოდა ქართული შაქარი. ამ აზრის განსახორციელებლად იაკობ ივანეს ძემ ტფილისის მოქალაქეებში საუბარი დაიწყო, ბევრს აწამა შაქრის მნიშვნელობა, მასთან მისი საჭიროებაც. უკანასკნელ დროს შაქარი უმეტესად სპარსეთითგან შემოჰქონდათ, იყო ასევე ინდური, რუსული და ინგლისური. მაგრამ ქართველთ არა ჰყოფნიდათ. ამ გარემოებამ უფრო წაახალისა როგორც იაკობ ზუბალაშვილი, ისე მისი ამხანაგები. მათ მალე დაიწყეს თათბირი შაქრის ქარხნის გაკეთების შესახებ. ნატვრას მალე მიეცა განხორციელება [276, 125-127].

1837 წელს **იაკობ ზუბალაშვილმა, დავით თამამშევმა, დავით ტერ-გუკასოვმა და ტარიელ ლორის-მელიქოვმა** რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრ **კანკრინს** მიმართეს სპეციალური წერილით, რომელშიც საუბარი იყო შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენების შესაძლებლობაზე და სამხრეთ კავკასიაში, შაქრის ქარხნის მოწყობაზე, რომელიც ერთობ სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისათვის. აღნიშნული საქმიანობის დასაწყებად ისინი ითხოვდნენ მთელ რიგ პირობებს, კერძოდ: 1000 დესეტინა მიწის გამოყოფას კასპიისა და შავი ზღვის მიდამოებში შაქრის ლერწმის პლანტაციების გასაშენებლად. მეწარმეები ითვალისწინებდნენ პირველად დანახარჯებს, ასევე იმ ფაქტორსაც, რომ შაქრის ლერწმის პლანტაციები ქარხანას საკმაო რაოდენობით ქვიშა-შაქარს ვერ მისცემდა. კომპანია ითხოვდა სამთავრობო მხარდაჭერას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი უცხოეთიდან შემოტანილ შაქრის ნედლეულზე გადაიხდიდნენ მხოლოდ 5%-იან ბაჟს.

რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრმა ამ საკითხზე თავისი მოსაზრება მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ წამოწყებას და დააკმაყოფილა მეწარმეთა მოთხოვნები შემდეგი პირობებით:

- კომპანიისათვის გამოეყოთ მიწები შაქრის პლანტაციების გასაშენებლად.
- ნება დაერთოთ მითითებულ ადგილებში მოეწყოთ შაქრის ქარხანა.
- მეწარმეებს უფლება მიეცათ საზღვარგარეთიდან ქარხანაში გა-

* XIX საუკუნის დასაწყისში სოლომონ II-ის მხარდაჭერით ახალციხიდან ქუთაისში გადმოსახლდნენ ვაჭრები: ყაუხჩიშვილები, ანდრონიკაშვილები, ზუბალაშვილები, ბაინდურაშვილები და სხვები. ჯერ კიდევ მესხეთში მცხოვრები ზუბალაშვილები ვაჭრობდნენ სპარსეთში, ოსმალეთში, რუსეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში. მოგვიანებით ზუბალაშვილები გორში და თბილისში დასახლდნენ.

ძმები ზუბალაშვილები 1859 წელი

დასამუშავებლად 3 წლის მანძილზე შემოეტანათ 120 000 ფუთი შაქრის ფხვნილი, ბაჟის გადახდის გარეშე, ხოლო მომდევნო სამი წლის განმავლობაში დამატებით შემოეტანათ კიდევ 120 000 ფუთი შაქრის ფხვნილი, ფუთზე არსებული ბაჟის ნახევრის გადახდით (70 კაპიკი).

– მეწარმეებს უფლება მიეცათ ქარხანაში წარმოებული შაქარი გაეტანათ სამხრეთ კავკასიაში ან საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში, გარდა რუსეთისა.

– თუ კომპანია შემოზიდულ ქვიშა-შაქრის გადამუშავების პროცესს შეწყვეტდა, მაშინ შეღავათიანი რეჟიმი გაუქმდებოდა და ისინი გადაიხდიდნენ მთლიან ევროპულ ტარიფს, ფუთზე 1 მან. 40 კაპ.

– მეწარმეთა თხოვნა, რომ მთავრობას შეეზღუდა გადამუშავებული შაქრის შემოტანა საქართველოში უცხოელთა მიერ, არ დააკმაყოფილეს.

– თუ მეწარმეები 3 წელიწადში არ მოაწყობდნენ შაქრის ქარხანას სამუშაო რეჟიმში, მაშინ გადასამუშავებელი შაქრის შემოტანაზე მინიჭებული შეღავათები გაუქმდებოდა.

1837 წლის 22 ივნისს იმპერატორმა მხარი დაუჭირა იაკობ ზუბალაშვილის წამოწყებას და კომპანიისათვის მინიჭებულ პრივილეგიებს. მეწარმეების თავდაპირველი განზრახვა ითვალისწინებდა შაქრის ორი ქარხნის მშენებლობას კასპიისა და შავი ზღვის მიდამოებში. იქვე მათ ექნებოდათ შაქრის პლანტაციები, მაგრამ ამ ქარხნებისათვის საჭირო ნედლეულის შოვნის სირთულემ, ასევე მუშებისა და ოსტატების დეფიციტმა მათ ხელი ააღებინა ამ განზრახვაზე. იაკობ ზუბალაშვილმა და მისმა კომპანიონებმა მიიღეს გადაწყვეტილება, შაქრის ქარხანა აეშენებინათ თბილისში. მეწარმეებმა ყოველივე ეს აცნობეს რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრს და ითხოვეს ნებართვა, რომლის მიღების შემდეგ შაქრის ქარხნის აშენება გადაწყდა დიდუბეში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირას, კასტელას აბრეშუმსახვევ ფაბრიკასა და მუშტაიდს შორის. ადგილი შემთხვევით არ იქნა შერჩეული. ამ ტერიტორიაზე განლაგებით ქარხანა უზრუნველყოფილი იქნებოდა წყლით და საწვავი მასალით-შეშით, რომელსაც მეწარმეები შეიძენდნენ მტკვარზე ჩამოცურებული ტივების სახით.

1837 წელს **ბარონი როზენი** მიმართავდა საქართველოს ქალაქების მომწყობ

კომიტეტს თხოვნით, რომ იაკობ ზუბალაშვილისა და მისი კომპანიონებისათვის გამოეყოთ სახაზინო მიწის ნაკვეთი დიდუბეში შაქრის ქარხნის ასაშენებლად. თხოვნა დაკმაყოფილდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სრულიად გამოუყენებელი ადგილი ეკუთვნოდათ გერმანელ კოლონისტებს. მათ წერილით მიმართეს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს **ნიკო ფალავანდიშვილს** და დაუპირისპირდნენ მეწარმეებს-მოითხოვეს მიწის ფართის უკან დაბრუნება. წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო [52, 131-151].

1838 წელს იაკობ ზუბალაშვილმა და მისმა კომპანიონებმა **დავით და ისაკ თუმანიშვილებისაგან** შეისყიდეს მიწის ნაკვეთი კუკიის ბოლოში, სადაც კიდეც აშენდა ოთხ სართულიანი ქვის შენობა შაქრის ქარხნისათვის (იგი ვერაზე, დღევანდელი პეტრიაშვილისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში, ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარეობდა).

XIX საუკუნის საქართველოში, ბუნებრივია, არ არსებობდა კვალიფიციური კადრი შაქრის წარმოებაში, ამიტომ იაკობ ზუბალაშვილმა ისინი უცხოეთიდან ჩამოიყვანა. პეტერბურგიდან ჩამოიტანეს წარმოების პროცესისათვის აუცილებელი მოწყობილობები. ქარხანაში იდგა 3 ქვაბი, 5 კასრი (როფი), 2 ჰაერღუმელი, 6 ჰოლანდიური ღუმელი, 25 000 თიხის ყალიბი (ფორმა). თითო ყალიბში თავსდებოდა 4 ფუნტამდე შაქარი. მეწარმეები აღნიშნავდნენ, რომ ქარხნის საწარმოო პროცესისათვის მომზადება დაუჯდათ 200 000 მანეთზე მეტი ასიგნაციით. ქარხანა დაკომპლექტებული იყო ნებით დაქირავებული მუშა-პერსონალით, კერძოდ, იქ იმყოფებოდა: 1 უცხოელი ოსტატი-**გარტმანი**, ნოქრები და ზედამხედველები-10 კაცი (3 რუსი, 7 ქართველი და ერთი სომეხი).

სამთავრობო შეთანხმების თანახმად, ქარხნისათვის საჭირო ნედლეული მეწარმეებს უნდა შემოეტანათ უცხოეთიდან 240 000 ფუთი 6 წლის განმავლობაში (120 000 ფუთი უბაჟოდ, შემდეგი 120 000 ფუთი ნახევარი ბაჟით 70 კაპიკად). ეს პროცესი დაიწყო 1838 წელს, კერძოდ ამ წელს ტრიესტიდან შემოიტანეს 8 235 ფუთი ქვიშა-შაქარი. 1839 წელს ქარხნის ერთ-ერთმა კომპანიონმა **ტარიელ ლორის-მელიქოვმა** ჰამბურგიდან და ლონდონიდან შემოიტანა 22 000 ფუთი შაქრის ფხვნილი. შაქრის ქარხანამ სრული დატვირთვით მუშაობა დაიწყო 1839 წლის მარტში და გამოუშვა რამდენიმე სახის პროდუქცია: შაქარ-რაფინადი (თავ-შაქარი), მელასა, შაქრის ყინული და ბადაგი. ფუთ შაქარს ყიდდნენ 9 მან. 50 კაპ, შაქრის ყინულს-12 მან, ბადაგს-3 მან, მელასას-8 მან. 50 კაპ. ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქცია, მაღალი ხარისხის გამო, მთელ სამხრეთ კავკასიაში დიდი რაოდენობით იყიდებოდა.

1839 წლის 29 ივლისს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ გენერალ-მაიორ **ახლესტიშევის** ბარათში მთავარმართებელ **გოლოვინისადმი**, საუბარია ქარხნის დაარსების შესახებ, ასევე წარმოებული პროდუქციის ხარისხზე და მის შეუზღუდავ რეალიზაციაზე მთელ რეგიონში. შაქრის ქარხნის ამბავი საქართველოში მალე მოეფინა, ერთი თვის განმავლობაში მთელმა თფილისის მცხოვრებთ შეიტყვეს, რომ თფილისში შაქრის ქარხანა იხსნებაო. შენობა გააკეთეს ფართო, რუსული შაქრის ქარხნების გეგმაზედ. შაქარი კეთდებოდა იმოდენა, რომ იგი მთელ საქართველოს ერს საკმარისად ჰყოფნიდა და მის

გარეშე სხვა ქვეყანაშიაც გაჰქონდათ. შაქარი შეხვეული იყო ლურჯ სქელ ქაღალდში. შაქარს ფერი ჰქონდა მოყვითალო, იყო მეტად ტკბილი, დღევანდელ ინგლისურ შაქარს ძლიერ წააგავდა, როგორც ფერით, ისევე ზომით და სიტკბო-სიდუნითაც. ამ შაქარს კაცი ყველა მეწვრილმანის დუქანში ნახავდა, ყველა სავაჭროში. ქართული შაქრის სახელწოდების გავრცელებას დიდათ ხელს უწყობდა იაკობ ზუბალაშვილის მოქმედება და ლტოლვა. შაქრის ქარხნის ოსტატები რუსეთიდან გამოუყვანიათ, ზოგნი მათში უცხონიც ყოფილან [276, 127-128].

XIX საუკუნის საქართველოში საწარმოო ურთიერთობების განვითარების ისტორიის დაინტერესებული ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ თბილისის შაქრის ქარხანა ყველაზე უფრო მსხვილი კაპიტალისტური საწარმო იყო საქართველოში.

ცხრილში მოცემულია 1840-1844 წლებში ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის დინამიკა

(მონაცემები ეყრდნობა დ.გოგოლაძის ნაშრომს „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში“ (1813-1864 წ.) გვ 137

წელი	სახეობა	რაოდენობა ფუთებში	ღირებულება
1840	შაქარ-რაფინადი (თავ-შაქარი)	13 000	123 500 მან.
	მელასა	6 000	51 000 მან
	შაქრის ყინული	1 000ფუთი	1 200 მან
	ბადაგი	2 000ფუთი	6 000 მან
1841			186 600 მან
1843			66 905 მან
1844			80 000 მან

იაკობ ზუბალაშვილი და მისი კომპანიონები შაქრის შესახვევ ქაღალდს პეტერბურგიდან იღებდნენ. 1838-1840 წლებში პეტერბურგიდან მათ მიიღეს 1 620 ფუთი ქაღალდი.

იაკობ ზუბალაშვილს და მის კომპანიონებს წარმოების ანგარიშები აუკინძავთ 43 წიგნად (ე.წ. „Конторские книги„), რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულადაა მიჩნეული. მეწარმეებს აღნიშნული დოკუმენტაცია წარუდგენიათ სამშენებლო კომისიის ხაზინადართან, **ამიროვთან**. თავის მხრივ აღნიშნულმა პირმა ეს დოკუმენტაცია წარუდგინა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს გენერალ-მაიორ **ერმოლოვს**. (ეს ფაქტი 1846 წლის 17 ნოემბრით თარიღდება). შემდგომში აღნიშნული დოკუმენტები საქალაქო პოლიციაში ინახებოდა. ამ უკანასკნელმა ეს წიგნები შაქრის ქარხნის ერთ-ერთ კომპანიონს, დაღუპული ტერ-გუკასოვის ასულს-**ეკატერინე ვარლამოვას** დაუბრუნა, რის შემდეგაც ისინი დაიკარგა. არსებული ვერსიით, წიგნებში ასახული იყო 1838-1846 წლებში

შაქრის ქარხნის აგების, შაქრის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის შესყიდვის, მუშებისა და მომსახურე პერსონალისათვის ხელფასის გაცემის შესახებ ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია, რომ იაკობ ზუბალაშვილს შაქრის ქარხანასთან შაქრის ბადაგის და სხვა ნარჩენების გამოსაყენებლად მოუწყვია რომის ქარხანა. წარმოებული პროდუქცია თბილისში იყიდებოდა.

იაკობ ზუბალაშვილის და მისი კომპანიონების საქმიანობას იწონებდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი გენერალ-მაიორი **ახლესტიშევი**. სწორედ მისი ინიციატივით, ნახალისების მიზნით, მან მოითხოვა ზუბალაშვილის, თამამშევის და ტერ-გუკასოვის ორდენებით დაჯილდოება. სამთავრობო კეთილგანწყობის მიუხედავად, შაქრის წარმოება მაინც წაანყდა მთელ რიგ დაბრკოლებებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შაქრის საწარმოებლად ნედლეული ევროპიდან შემოჰქონდათ. თითოეული ყუთი 12 ფუთზე მეტს იწონიდა. რედუტ-კალეში, ნავსადგურის მოუწყობლობის გამო, გემები ნაპირამდე ვერ შემოდიოდნენ და ჩერდებოდნენ 4 ვერსის დაშორებით. ეს მძიმე ყუთები ნავებით გადმოჰქონდათ ნაპირამდე, ხშირად ყუთები ზიანდებოდა და შაქარი ზღვაში იყრებოდა. თბილისამდე შაქრის ნედლეულის ურმებით და ცხენებით გამოსატანად ყუთებიდან შაქარს ტომრებში ყრიდნენ, რაც ასევე დანაკარგებთან იყო დაკავშირებული. ქარხანაში მიტანამდე საერთო დანაკარგები იმდენად დიდი იყო, რომ შეღავათიანი საბაჟო რეჟიმი უკვე დიდ ეფექტს ველარ იძლეოდა. ასევე შაქრის ნედლეულის ქარხანაში გადამუშავებამდე კომპანიონებს წინასწარ შეჰქონდათ თითო ფუთ შაქრის ფხვნილზე 1 მან. 40 კაპ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ შაქრის ფხვნილი გადაუმუშავებლად არ გაეყიდათ. ეს ბოლო ფაქტორიც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა შაქრის წარმოებისათვის [52, 131-151].

სამხრეთ კავკასიის ბაზარზე „ქართული შაქარი" აღმოჩნდა ძალიან კონკურენტუნარიანი და შესაბამისად დააბალანსა უცხოეთიდან შემოტანილი შაქრის ფასებიც. ეს ფაქტი, ბუნებრივია, დაბრკოლებებს უქმნიდა იმ ვაჭარ-კომპრადორებს, რომლებსაც დაგროვილი კაპიტალი წარმოებაში არასდროს დაუბანდებიათ. ისინი ხელს უშლიდნენ ამ პროცესებს, რადგან მათ შაქარი მზა საქონლის სახით დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ უცხოეთიდან. ყოველივე ამის გამო, კომპრადორებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს „ქართული შაქრის" წარმოებას.

ერთი მეტად საინტერესო ცნობით, 1839 წლის აგვისტოში იაკობ ზუბალაშვილმა და მისმა კომპანიონებმა ევროპიდან **რედუტ-კალეში** ინგლისური გემებით „ოტტერო" და „ბერნადო" შემოიტანეს 1 900 ყუთი ნედლეული შაქრის წარმოებისათვის. რედუტ-კალეს საბაჟო კარანტინის კომისარ **პიუკოვს** წინააღმდეგობა გაუწევია ქარხნის წარმომადგენელთათვის, რომ მათ ეს ნედლეული საწყობებში შეენახათ. ნედლეული ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა, ძლიერმა წვიმამ შაქარი დაასველა და 6 300 ფუთი შაქარი გაფუჭდა. იაკობ ზუბალაშვილის ერთ-ერთმა კომპანიონმა ტერ-გუკასოვმა საჩივრით მიმართა საბაჟო სამსახურს, რომელიც მხოლოდ ზარალის შესახებ ცნობის მიცემით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება მის ანაზღაურებას, ეს მოთხოვნა მოთხოვნად დარჩა. მოსაზრებას, რომ ეს ხელის შეშლა, შესაძლოა, კომპრადორი ვაჭრების ნამოქმედარი იყო, ბევრი ქართველი

მკვლევარი იზიარებს. ამ დიდ ზარალს დაერთო ისიც, რომ ტერ-გუკასოვი რედუტ-კალედან წამოსვლის შემდეგ აფხაზეთში გადასულა, სადაც სურდა შეერჩია შაქრის პლანტაციებისათვის საჭირო მიწები. გამგზავრების შემდეგ იგი აღარავის უნახავს [8, 64-66].

აღნიშნული დაპირისპირების გარდა, „ქართული შაქრის" წარმოება მნიშვნელოვნად შეაფერხა ამ პროდუქციის დისკრედიტაციის ფართო კამპანიამ, რაც, ალბათ, ასევე კომპრადორი ვაჭრებისაგან მოდიოდა. მთელ სამხრეთ კავკასიაში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს იაკობ ზუბალაშვილი და მისი კომპანიონები შაქარს ევროპული ტექნოლოგიით არ ამზადებდნენ, და შაქრის მიღებისას მასში ურევდნენ ცხოველთა სისხლსა და ძვლებს. ამ ძლიერმა ანტირეკლამამ შედეგი გამოიღო და მეწარმეები იძულებულები გახდნენ, „ქართული შაქარი" ევროპულთან შედარებით 2-3 მანეთით ნაკლებად გაეყიდათ.

მრეწველებმა რამდენჯერმე მიმართეს მთავრობას თხოვნით, თბილისში შაქრის წარმოების განვითარებისათვის 2-ჯერ გაედიდებინათ ბაჟი უცხოეთიდან შემოტანილი შაქრის პროდუქციაზე, ან სრულიად აეკრძალათ უცხოეთიდან შაქრის შემოტანა. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ფინანსთა მინისტრ კანკრინს უმტკიცებდა, რომ თბილისის შაქრის ქარხანას თავისუფლად შეეძლო მთელი სამხრეთი კავკასიის დაკმაყოფილება. ცოტა მოგვიანებით, 1842 წელს მეწარმეებმა იმავე თხოვნით მიმართეს სტატსკი სეკრეტარ **პოზენსაც**, მაგრამ უშედეგოდ.

სამთავრობო დახმარებაზე იმედგაცრუებულმა იაკობ ზუბალაშვილმა და მისმა კომპანიონებმა მთელი ყურადღება ადგილობრივი ნედლეულის მიღებაზე გადაიტანეს. 1840 წელს კომპანიას შაქრის პლანტაციების გასაშენებლად ვარციხეში (იმერეთში) გადასცეს 55 დესეტინა სახაზინო მიწა, რომელიც კონტრაქტით ჰქონდა აღებული ჩინოვნიკ **ივანე ბაქრაძეს**. საკონტრაქტო ვადა 1841 წელს ამოიწურა, რის შემდეგაც მეწარმეებმა შაქრის ლერწმის გაშენებისათვის ცდები ჩაატარეს, მოსავალიც კარგი მიიღეს, მაგრამ ქუთაისის მაზრის (სებეკას უბნის) მცხოვრებლებმა ამ მიწებზე პრეტენზიები გამოთქვეს და კომპანიონებს პოზიციების დათმობა მოუხდათ. მოგვიანებით 20 დესეტინამდე სახაზინო მიწა კომპანიონებს გამოუყვეს ლენქორანთან, თალიშის მაზრაში, სადაც ასევე ჩაატარეს ცდები შაქრის ლერწმის გაშენებისათვის. შედეგი საუცხოო აღმოჩნდა, თუმცა პირველ და მეორე ცდებზე მეწარმეებმა საკმაო რაოდენობით თანხა დახარჯეს. მაზენდარანიდან შაქრის ლერწმის გაშენების სპეციალისტები და კალამი (ლერწი) გამოიწერეს, შეიძინეს მიწის დასამუშავებელი იარაღები და პირუტყვი, დაქირავებული ჰყავდათ მუშები, თვეში 9 მანეთად.

თალიშის მაზრაში მიღებულმა მოსავალმა სტიმული მისცა იაკობ ზუბალაშვილს და მის კომპანიონებს, ამიტომ მათ მოითხოვეს დამატებით 500 დესეტინა მიწის გამოყოფა. შაქრის პლანტაციისათვის მიწის გამოყოფის თხოვნით **სამეგრელოს მთავარ დადიანსაც** კი მიმართეს, მაგრამ როგორც დადიანისაგან, ასევე სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან მტკიცე უარი მიიღეს. ასე რომ, კომპანიას მხოლოდ წარმატებით ჩატარებული ცდები შერჩა, რომელიც 12 000 მან. დაუჯდა. მეფის რუსეთის ჩინოვნიკები არ იღებდნენ თავის თავზე სრულ

პასუხისმგებლობას და კომპანიონების წარუმატებლობებს პლანტაციების გაშენების საქმეში თვით მათ აბრალებდნენ. უფრო მეტიც, მეფისნაცვალი ვორონცოვი გენერალ რეადისადმი მიწერილ წერილში იაკობ ზუბალაშვილს და მის კომპანიონებს ადანაშაულებს, რომ მათ მთელი რიგი მოთხოვნები არ შეასრულეს და კომპანიის გაკოტრება გარდაუვალი იყო.

იაკობ ზუბალაშვილი იოლად არ შეგუებია ამ პრობლემებს. იგი დაუკავშირდა ლონდონში რომის წარმოების ოსტატ **ჯონსონს** და შესთავაზა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ მოგვიანებით, ამდენი წარუმატებლობის შემდეგ, გადაიფიქრა ეს შეთავაზება.

1845 წელს ფაქტიურად შეწყდა შაქრის ქარხნის მუშაობა თბილისში. მომდევნო წელს კი იგი საბოლოოდ დაიხურა. ქარხანაზე რიცხული ქონება კომპანიონებმა გაინაწილეს.

ძალიან საინტერესოა იაკობ ზუბალაშვილის, XIX საუკუნის საქართველოს წარმატებული კომერსანტისა და მეწარმის, პროფესიონალური და საზოგადოებრივი პორტრეტი. ზ..ჭიჭინაძის ცნობით: „XIX საუკუნის შემდეგ საქართველოში და ნამეტნურ გორსა და თფილისში ისე ვინმე უცხო მოგზაური და მწერალი არ მოვიდოდა, რომ მას ზუბალაშვილები არ გაეცნა, მათს სახლში არ ესადგურა და მასპინძლობაც არ მიეღო. უცხო პირთა პატივისცემა მათ განცხოველებულნი ჰქონდათ. ამ გვარის წევრნი ძველადგანვე იყვნენ ამას მიჩვეულნი, რადგანაც მათს ოჯახში ხშირად ისადგურებდნენ ევროპის კათოლიკეთ მოძღვარნი და მოგზაურნიც“ [276, 137].

1867 წელს ამ ეპოქის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე **დიმიტრი ყიფიანი** პეტერბურგს გამგზავრებულა, სადაც ცნობილი რუსი ფინანსისტის **ჟუკოვსკის** დახმარებით შეუდგენია თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების პროექტი. მას ისეთი ბანკის შექმნა სურდა, რომლიდანაც თავადაზნაურობა სესხს გამოიტანდა დაბალი სარგებლით. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამგირავებლის მამული არ გაიყიდებოდა, დროებით გადავიდოდა ბანკის გამგებლობაში და ვალის დაფარვის შემდეგ მფლობელს დაუბრუნდებოდა. კომერციაში გაწაფული ი.ზუბალაშვილი გასცნობია დიმიტრი ყიფიანის პროექტს და ოდნავ შესამჩნევი ირონიით უცნობებია მისთვის: „მამულის გაუსყიდაობის იდეა დიდ ჰუმანიზმად მიმაჩნია, მაგრამ განუხორციელებელია. თუ ბანკი არც ვალს გადაახდევინებს და არც მამულს გაუყიდის დამგირავებლებს, მაშინვე გაკოტრდება, რადგან გამდიდრების წესი ყველა ბანკისათვის ერთი და იგივეა. კომერციულ ბანკსა და საზოგადოებრივ ბანკს შორის განსხვავება მხოლოდ მოგების განაწილებაშია, ესე იგი მიზანში და არა საშუალებაში“. აღსანიშნავია, რომ ზუბალაშვილები თბილისის კომერციული ბანკის უმსხვილესი აქციონერები იყვნენ, რომელიც ჯერ კიდევ იაკობ ზუბალაშვილმა დაარსა თბილისელ დიდვაჭრებთან: **დავითაშვილთან, ევანგულაშვილთან, ნადირაძესა და სხვებთან ერთად.** 1827 წელს იაკობმა შეიძინა მიწის ნაკვეთი, სადაც არქიტექტორ **ბერნარდცის** პროექტით ააგო შენობა. სწორედ ამ შენობაში უმასპინძლა თბილისის საზოგადოებამ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ I-ს. 1840 წელს აქ სასულიერო სემინარია გაიხსნა. იქვე, ზუბალაშვილის უზარმაზარი საცხოვრებელი სახლი მდგარა, სადაც იგი თბილისში სტუმრად მყოფ ალექსანდრე დიუ-

ზუბალაშვილების მიერ უპოვართა (სამადლო) სახლი 1906 წელს გაიხსნა, შენობის მთავარ ფასადს შემომწირველის პატივსაცემად წარწერა ამშვენებდა: „ДОМ НЕЙМУЩИХ ИМЕНИ Н. Е. ЗУБАЛОВА“, ხოლო სახლის შესასვლელში ამოტვიფრული იყო წარწერა: „ვისაც უჭირდეს მოვიდეს, დაპურდეს და ღამე გაათიოს.“

მას მასპინძლობდა ორი კვირის განმავლობაში.*

იაკობ ზუბალაშვილი გლობალური ხედვის კომერსანტი იყო. მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ისეთ გიგანტურ სამრეწველო ჯგუფთან, როგორებიც იყვნენ **როტშილდები.** XIX საუკუნის ბოლოს იაკობის ვაჟებმა ანტონმა და კონსტანტინემ ბაქოში ინგლისელ მრეწველ როტშილდისაგან შეიძინეს ბიბი-ეიბათის კუნძულზე თვითდინებით მომდინარე ნავთობის საბადოები.

ზუბალაშვილთა მიერ წლების მანძილზე გაწეული მეცენატობის მასშტაბები უსაზღვროა.

– ბათუმში, გორში, ქუთაისსა და თბილისში აგებული ხუთი კათოლიკური ეკლესია.

– თბილისის უნივერსიტეტის მშენებლობისათვის გაღებული 100 000 მანეთი.

---

* „XIXb-იb საუკუნის შემდეგ როდესაც საფრანგეთში სწავლულთა შორის ასტყდა ბაასი აღმოსავლეთის ერთა და ქვეყნების შესწავლის შესახებ, მაშინ საქართველოს დიდი ყურადღება მიაქცია ორიენტალისტ სენ მარტენმა, დიუბუა დე მონპრემ, და სხვებმაც. პარიზის აზიურმა სამეცნიერო კომიტეტმა ჟურნალის გამოცემა დაიწყო. ამ დროს საქართველოში მოგზაურობა მოუხდა ორიენტალისტ მეცნიერს დიუბუა დე მონპრეს. საქართველოში მოგზაურობის დროს, სხვათა შორის, გორშიაც მოხდა მოგზაურობა და დარჩენა. გორში მან გაიცნო ყველა წარჩინებული ქართველთ ოჯახის შვილები და ნამეტნურ იმ დროს გორში მცხოვრებ ზუბალაშვილების ოჯახიც. ზუბალაშვილების მან კარგად გაიცნო და ესიამოვნა კიდეც, რადგან მან გორში კათოლიკის მაღიარებელნიც ჰპოვა.“(ჭიჭინაძე ზ. მრეწველობის წარმომადგენნი და ზუბალაშვილების გვარის ისტორია. თფილისი. 1903 გვ 137)



უპოვართა სახლის მე-3 სართულებზე იყო საცხოვრებელი და გასართობი ოთახები. შენობაში იდგა ძვირფასი (მოჩუქურთმებული) ავეჯი. იქაურ მობინადრეებს ჰქონდათ კომფორტული საცხოვრებელი პირობები (ოთხჯერადი კვებით), გერმანული და იაპონური ჭურჭელი, ჰოლანდიიდან გამოწერილი ტანსაცმელი და თეთრეული.

– მუსიკალური სკოლის ასაშენებლად (ახლანდელი კონსერვატორია) გაღებული 10 000 მანეთი.

– ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფინანსება 20 000 მანეთით.

– წარმატებულ სტუდენტთა სტიპენდიებისათვის გაღებული 26 000 მანეთი. (1908 წელს გაზეთი „სავაჭრო გზა" იუწყებოდა: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ გაანაწილა ზუბალაშვილის ორი სტიპენდია. ერთი სტიპენდია გამგეობამ დაუნიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის სტუდენტს სერგო კაკაბაძეს, მეორე სტიპენდია გაჰყო ორად და 12 მან. 50 კაპ. დაუნიშნა ბესარაბიის მეღვინე-მევენახეთა სკოლის მოწაფეს იაკობ ორჯონიკიძეს და როსტოვის ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე ჩახნაშვილს") [192, 3].

– ქალაქის თვითმმართველობას კეთილმოწყობისათვის 10 000 მანეთი.

– სახალხო სახლის (დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრი) მშენებლობისა და მოწყობისათვის გაღებული 350 000 მანეთი.

1908 წელს გაზეთი „სავაჭრო გზა" იუწყებოდა: „ძმ.ზუბალაშვილებმა უკვე გამოუგზავნეს ქალაქის გამგეობას შესაფერისი ჩუქების ქაღალდი, რომლითაც მათ მიერ აშენებული „სახალხო სახლი" კიროჩნი ქუჩაზედ, გადადის ქალაქის სრულს კუთვნილებაში.") [192, 3].

– თბილისის პირველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე პედიატრიული კორ-



მადლიერების ნიშნად თბილისის ხელმძღვანელობამ უპოვართა სახლის ვესტიბიულში დადგა ნიკოლოზ ზუბალაშვილის ბიუსტი მწვანე მარმარილოს ქვისა.

პუსის აგებასა და ევროპიდან ჩამოტანილი სამედიცინო ხელსაწყოებით აღჭურვისათვის გაღებული 150 000 მანეთი.

– ისინი აფინანსებდნენ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას.

– მთაწმინდაზე, დღევანდელი ძმები ზუბალაშვილების ქუჩის ბოლოში, ააგეს უპოვართა თავშესაფარი (დღევანდელი ბავშვთა საავადმყოფოს შენობა). მშენებლობისათვის საჭირო თანხამ შეადგინა 220 000 მანეთი. უპოვართა სახლის I სართულზე განთავსებული იყო სამედიცინო პუნქტი, აფთიაქი, აბაზანები, საპარიკმახერო, სამრეცხაო და სამზარეულო. მე-2 და მე-3 სართულებზე კი საცხოვრებელი და გასართობი ოთახები. შენობაში იდგა ძვირფასი (მოჩუქურთმებული) ავეჯი. კიბეები, დერეფნები, კაბინეტები, ირანული და თურქული ხალიჩებით იყო დაფარული. იქაურ მობინადრეებს ჰქონდათ კომფორტული საცხოვრებელი პირობები (ოთხჯერადი კვებით), გერმანული და იაპონური ჭურჭელი, ჰოლანდიიდან გამოწერილი ტანსაცმელი და თეთრეული. მადლიერების ნიშნად თბილისის ხელმძღვანელობამ უპოვართა სახლის ვესტიბიულში დადგა ნიკოლოზ ზუბალაშვილის ბიუსტი მწვანე მარმარილოს ქვისა [228, 57].

– სოლოლაკში, კოჯრის გზის დასაწყისში, დღევანდელი ამაღლების ქუჩის ბოლოს ააგეს უპოვართა სასადილო „სამადლო„ სადაც ყველა გაჭირვებულს შეეძლო უფასოდ დაპურება.

– და ბოლოს, რამდენად საამაყოა, რომ ლუვრში, ხელოვნების 561 ნიმუშს

აქვს წარწერა: „იაკობ ზუბალაშვილის კოლექციიდან“

„ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ ვუშველოთ“ – სტეფანე ზუბალაშვილის ეს სიტყვები ამ საგვარეულოს ცხოვრებისეულ კრედოდ შეიძლება მივიჩნიოთ.

XIX საუკუნის საქართველოში იაკობ ზუბალაშვილი უკვე ჩამოყალიბებული კაპიტალისტი იყო. იგი სავსებით სწორად მიუთითებდა სამამულო მრეწველობის განვითარების აუცილებლობაზე და სახელმწიფოს როლზე ამ პროცესში.

სწორედ მან, ერთ-ერთმა პირველმა მრეწველმა, მოინდომა ადგილობრივი ბაზრის დაცვა შეღავათიანი საბაჟო რეჟიმით*

1848 წლის ივლისში თბილისელმა მოქალაქე **ალექსანდრე ანანოვმა** ძმასთან ერთად გადაწყვიტა აეღორძინებინა ზუბალაშვილის დაწყებული საქმე, ანანოვი სანედლეულე მასალად შაქრის ჭარხლის გამოყენებას აპირებდა**. მეწარმემ მეფისნაცვალ ვორონცოვს მიმართა ბარათით, სადაც ითხოვდა საგადასახადო შეღავათებს, უცხოური ნედლი შაქრის შემოტანას გადასახადის გარეშე. მათ

---

* „ზუბალაშვილები გორში ჩანანა XVI-XVII საუკუნეებიდან. ისინი იყვნენ პირველი ქართველი დიდვაჭრები და ქველმოქმედნი.

√ **ანდრია ზუბალაშვილი** გორში ითვლებოდა ცნობილ მოქალაქედ. მას ახლოს იცნობდნენ მეფე ერეკლე, ანტონ კათალიკოსი და სხვა ნარჩინებულნი პირნი, რომლებიც გორში სტუმრობისას ანდრიას აუცილებლად მოინახულებდნენ თურმე;

√ **დავით ზუბალაშვილი** ირიცხებოდა XVII საუკუნეში გორის წარჩინებულ მოქალაქეთა სიაში. „დავით ზუბალაშვილი იყო განთქმული ჭკვიანი კაცი და მიღებული მთელ გორის მაზრაში. 1852 წელს გორში მობრძანდა იმპერატორი ალექსანდრე II, ჯერ კიდევ მემკვიდრე, თან ახლდა ბებუთოვი და პირდაპირ გორის ციხეზე აბრძანდა სანახავად. იქ დახვდა დ.ზუბალაშვილი, გორელების მხრით მიესალმა და აუხსნა გორის ციხის მნიშვნელობა.“

√ **ივანე ზუბალაშვილი** ვაჭრობდა გორში, თბილისში, შემდეგ უცხოეთის ქვეყნებშიც: ოსმალეთში, სპარსეთში, რუსეთში...იყო გორელების მოსარჩლე, მოსამართლე, დამრიგებელი და დახმარების მიმცემი.

√ **სტეფანე ზუბალაშვილს** უსწავლია გორის კათოლიკური ეკლესიის სკოლაში. 15 წლის სტეფანემ დამოუკიდებლად დაიწყო ვაჭრობა. უცხოელი ვაჭრების ჩამოტანილ საქონელს ყმანვილი აღტაცებაში მოჰყავდა თურმე, ამიტომ მტკიცედ გადაუწყვეტია სავაჭროდ წასულიყო უცხოეთში. წასულა რუსეთში, თურქეთში, სპარსეთში და ინდოეთში. 1830-იან წლებში სტეფანე შაქარს, ლერნამს, სანელებლებს, ყავას და აბრეშუმის ნაწარმს უგზავნიდა საქართველოში ნათესავებს სავაჭროდ.

√ **ანტონ დავითის ძე ზუბალაშვილი** ცხოვრობდა გორში, მისი სახლი მდებარეობდა მაშინდელი სემინარიის ქუჩაზე, ჯუღაშვილის სახლის პირდაპირ (დღეს ამ ადგილზე განთავსებულია კინოთეატრის შენობა და სკვერი). მიმდებარე სოფლებში: ხიდისთავში, კარალეთში, ხელთუბანში ჰქონია დიდი მამულები, სახნავ-სათესი მიწები, შვიდთვალიანი წისქვილი მდინარე აძურაფშანზე, საგანგებოდ გაშენებული შამპანურის ჯიშის ვენახი ხიდისთავში.

√ **ზუბალაშვილებმა** გორში ეკლესიის გვერდით ააგეს მასთან არსებული სამრევლო სკოლის შენობაც.“ [ე.ფეიქრიშვილი „ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან“. თბ. 2011. გვ. 36-67 გვ. 172]

** XIX ს-ის 50-იან წლებში ქართლში იწყებენ შაქრის ჭარხლის მოშენებას. ეს კულტურა მანამდე უცნობი იყო ამ რეგიონში. პრესაში აღნიშნულია აქაური შაქრის ჭარხლის მაღალი თვისებები. გაზეთი „დროება“ წერდა, რომ გორის ჭარხალი უკეთესია, ვიდრე ლენქორანისაო. სოფ. სკრაში, თავად **შალიკაშვილების** მამულში, საფუძველი ეყრება შაქრის მრეწველობას. გაზეთის ცნობით, ფრანგულ საზოგადოებას გაუგზავნია ვინმე **ტიბო**, რათა „გამართოს ჭარხლისაგან შაქრის დამამზადებელი ქარხანა“. სწორედ ერთი წლის შემდეგ „დროება“ აღნიშნავდა, რომ თავად შალიკაშვილების მამულის ახლოს დაწყებული შაქრის ქარხნის მშენებლობა მალე დამთავრდება და ქარხნის პარტნიორებად პეტერბურგისა და კიევის ვაჭრები არიანო.

ჩაატარეს ქუთაისის გუბერნიაში შაქრის ჭარხლის მოყვანის ექსპერიმენტი და დარწმუნდნენ მის ხარისხიანობაში, რის შემდეგაც თბილისში შაქრის ქარხნის აშენება მოინდომეს. ხელისუფლებას ისინი სთხოვდნენ საგადასახადო შეღავათებს და უცხოური ნედლი შაქრის შემოტანას გადასახადის გარეშე. შემოტანილ ნედლეულზე შეღავათები ხელისუფლების მხრიდან მთლიანად იქნა უარყოფილი, ხოლო სააქციზო გადასახადზე შეღავათები 1870 წლის 9 თებერვალს ამგვარად ჩამოყალიბდა:

– ქარხნის აშენებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში აქციზისგან მთლიანად უნდა განთავისუფლებულიყვნენ;

– მომდევნო 2 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადათ აქციზის ნახევარი;

– კიდევ მომდევნო 2 წლის განმავლობაში აქციზის 2/3.

მთლიანი სააქციზო გადასახადის გადახდა მათ უნდა დაეწყოთ ქარხნის ამოქმედებიდან 6 წლის შემდეგ [238, 39].

ამ შეღავათების ფონზე შაქრის წარმოების დაწყება ძმებმა ანანოვებმა სარისკოდ მიიჩნიეს და უარი თქვეს წამოწყებაზე. რამოდენიმე წლის შემდეგ მეწარმეებმა კვლავ გააცოცხლეს თავისი იდეა, კვლავ დაიწყეს მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან, რომელმაც ამჯერად უფრო მეტი დაინტერესება გამოიჩინა ამ იდეის მიმართ. მაგრამ საქმე ადგილიდან მაინც ვერ დაიძრა.

სიმენსები და სატელეგრაფო ხაზის მშენებლობა საქართველოში (XIX ს)

ფირმა „სიმენსის" დამფუძნებელად ითვლება გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი და გამომგონებელი **ვერნერ ფონ სიმენსი.** 1847 წელს მან მექანიკოს გეორგ ჰალსკესთან ერთად ბერლინში გახსნა ტელეგრაფის სახელოსნო, რომელიც თანდათან დიდ წარმოებად გადაიქცა.

ძმები სიმენსები ძალზე ახლო ურთიერთობაში იყვნენ კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სწორედ ფირმა „სიმენსთან" დადებული კონტრაქტებით გაიყვანეს თბილისიდან პირველი ტელეგრაფის ხაზები ქუთაისის, ფოთის, ბორჯომის, ვლადიკავკაზის, სტავროპოლის, ბაქოს, ერევნისა და ჯულფის მიმართულებით. აღნიშნული კონტრაქტების ნაწილი დამტკიცებული იყო კავკასიის ჯარების სარდლის გრ. ორბელიანის მიერ [115, 57-61].

ვერნერ სიმენსმა სამჯერ იმოგზაურა საქართველოში (1865, 1868, 1890 წწ.) და გულთბილად აღწერა მაშინდელი საქართველო თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი მოგონებები". ვ.სიმენსის წიგნში მოცემულია კავკასიის რუკა და მასზე დატანილია ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის სქემა. რუკაზე აღნიშნულია სოხუმსა და ქერჩს შორის ჩადებული წყალქვეშა სატელეგრაფო კაბელი და სოხუმიდან თბილისზე გავლით ჯულფამდე მიმავალი სატელეგრაფო ტრასა. ავტორი დაწვრილებით წერს ინდო-ევროპის ტელეგრაფის მშენებლობაზე საქართველოში, შავ ზღვაში კაბელის გაყვანის სამუშაოებზე, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს საქართველოში გატარებული დღეების შთაბეჭდილებებს, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის, თბილისისა და კახეთის მდებარეობისა და ბუნების აღწერას [115, 58].

ვალტერ სიმენსი (1833-1868)

თბილისში 1860-დან 1868 წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვერნერის უმცროსი ძმა-**ვალტერ სიმენსი** (1833-1868 წწ.). მისი ხელმძღვანელობით კავკასიაში აიგო პირველი სატელეგრაფო ხაზები: თბილისი-ქუთაისი-ფოთი (1860), თბილისი-ვლადიკავკაზი-სტავროპოლი (1863წ). თბილისი-ერევანი-ნახიჩევანი-ჯულფა(1865წ) და თბილისი-ბაქო (1868 წ.) ფირმამ „სიმენსი და ჰალსკე" თავისი საქმიანობა

ვერნერ ფონ სიმენსი (1816-1892)

სამხრეთ კავკასიაში დაიწყო XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან. ფირმისადმი დიდ მხარდაჭერას იჩენდა კავკასიის მეფისნაცვალი **ბარიატინსკი.** მან ცენტრალურ ხელისუფლებას მიმართა თხოვნით, დახმარება აღმოეჩინა ფირმისათვის 20 კილომეტრიანი სიგრძის ხაზის გაყვანაში თბილისსა და კოჯორს შორის, სადაც იდგნენ რუსეთის ჯარის ნაწილები და მდებარეობდა მეფისნაცვლის საზაფხულო რეზიდენცია. მართლაც, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, „სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმის დაფინანსებით გაიყვანეს თბილისი-კოჯრის სატელეგრაფო ხაზი, რომელიც 1858 წელს ამოქმედდა. შემდეგ ექსპლოატაციაში შევიდა სამხრეთ კავკასიის სხვა სატელეფონო ხაზებიც: თბილისი-ქუთაისი-ფოთის(ბორჯომის განშტოებით), თბილისი-სტავროპოლის, კავკასია-თურქეთის, ინდოეთ-ევროპის(თბილისზე გავლით) [129, 32-38].

1868 წელს გაზეთი „კავკაზი" წერდა: „ვალტერ სიმენსმა 1860 წლიდან დაიწყო თავისი საქმიანობა კავკასიაში აქ პირველი სატელეგრაფო ხაზის გასაყვანად თბილისსა და ფოთს შორის, ხოლო შემდეგ გააგრძელა მსგავსი მოღვაწეობა კეთილსინდისიერებით და წარმატებებით. ამ საქმეში მალე მოიპოვა საერთო ნდობა [115, 59].

1858 წელს სერიოზულად დადგა თბილისსა და გორს შორის ტელეგრაფის ხაზის მსენებლობის საკითხი. გორი იმ უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო გზაზე მდებარეობდა, რომელიც თბილისს ფოთთან აკავშირებდა. თბილისსა და გორს შორის ტელეგრაფის ხაზის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა კავკასიის გზათა მიმოსვლის მე-8 ოლქის უფროსის გენერალ-მაიორ **კ.ალბრანდსის** დავალებით შეადგინა ინჟინერ-პოლკოვნიკმა **ვ.ივანიცკიმ**. 1860 წელს გორში მიიღეს აპარატურა, რომელიც შეძენილი იყო „ლასანის და კომპანიის" ქარხნიდან და „სიმენს და ჰალსკეს" ფირმიდან. გერმანიიდან თვით ფირმის დამაარსებელი **ერნსტ ვერნერ სიმენსი** ჩამოვიდა. დამონტაჟებას უშუალოდ **ნ.პოსტელნიკოვი** ხელმძღვანელობდა [130, 92].

1860 წელს თბილისში დაფუძნდა „სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვერნერ სიმენსის ძმა-ვალტერი. ამავე დროს იგი 1863 წლიდან ასრულებდა თბილისში გახსნილი პრუსიის სა-

კონსულოს ხელმძღვანელის მოვალეობასაც. ფირმის თბილისის განყოფილება გადაიქცა პეტერბურგის განყოფილების ფილიალად, რომელსაც ევალებოდა სატელეგრაფო ხაზების მშენებლობის გაგრძელება, დაზიანებათა შეკეთება და სატელეგრაფო ხაზების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა [129, 32-38].

1862 წლიდან სატელეგრაფო ხაზების მშენებლობის დიდი მხარდამჭერი გახდა ცნობილი ქართველი პოეტი **გრიგოლ ორბელიანი.** ქართველი საზოგადოება დადებითად აფასებდა ამ პროცესებს, რადგან სატელეგრაფო ხაზების გაყვანა ხელს უწყობდა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების განმტკიცებას როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის, ასევე ევროპასთან.

1865 წელს სატელეგრაფო კავშირი დამყარდა თეირანსა და თბილისს შორის. სწორედ თბილისის დახმარებით თეირანი უკავშირდებოდა მოსკოვს, პეტერბურგ და ევროპის სხვა ქალაქებს.

1867 წელს ვერნერ სიმენსმა გადაწყვიტა წამოეწყო მსოფლიოში ყველაზე გრძელი სატელეგრაფო ხაზის მშენებლობა ინგლისიდან ინდოეთამდე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გაივლიდა. 1867 წლის 2 ოქტომბერს ვალტერ სიმენსმა წერილით მიმართა თბილისის ადგილობრივ ხელისუფლებას და სთხოვა, ხელი შეეწყოთ სპარსეთში მისი გამგზავრებისათვის. ერთი ცნობის თანახმად, პრუსიის კონსული ტფილისში ვალტერ სიმენსი ამ კვირის ბოლოს მიემგზავრება თეირანში ინდოეთსა და ინგლისს შორის ტელეგრაფის გაყვანის თაობაზე მოსალაპარაკებლად. ბატონი სიმენსი მონაწილეობს კომპანიაში, რომელსაც მფარველობს რუსეთი და პრუსია და რომელსაც გათვალისწინებული აქვს სატელეგრაფო ხაზის მშენებლობა რუსეთის და პრუსიის ტერიტორიის გავლით. ბატონი სიმენსის მგზავრობის უზრუნველსაყოფად, მე მთავარი სამმართველოს უფროსის ნებართვით, მაქვს პატივი გთხოვოთ თქვენს მაღალკეთილშობილებას, მისცეთ მას სარეკომენდაციო წერილი ჩვენი ელჩისადმი თეირანში, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროს უკვე ჰქონდა კავშირი მისიასთან, რათა ხელი შეუწყოს ბატონ სიმენსს სპარსეთის მთავრობასთან კონცესიის დადებაში [115, 63-64].

გეორგ სიმენსი (1839-1901)

1867 წლის ოქტომბრის ბო-

„ახალ“ ახათიანის ქუჩაზე, რომელშიც ცხოვრობდა ვალტერ სიმენსი

ლოს **გეორგ სიმენსი** (ბერლინში „დოიჩე ბანკის“ დამაარსებელი და პირველი დირექტორი) თბილისში ჩამოვიდა და ეწვია სოლოლაკში „სადოვოის“ ქუჩაზე, (შადინოვის სახლში) ვალტერ სიმენსს და მის ძმას ოტოს.

1868 წელს ვალტერ სიმენსი გარდაიცვალა. მის ნაცვლად ფირმის თბილისის ფილიალის ხელმძღვანელად ოტო სიმენსი დაამტკიცეს, რომელმაც ვერნერ სიმენსის დახმარებით თბილისში პრუსიის კონსულის თანამდებობაც მიიღო [129, 32-38].

1868-1869 წლებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ტრანსგიგანტური სატელეგრაფო ხაზის მშენებლობა. 1870 წელს ხაზი ექსპლოატაციაში შევიდა. მისი საერთო სიგრძე 11 000 კილომეტრს შეადგენდა. ეს იყო ყველაზე გრძელი სახმელეთო სატელეგრაფო ხაზი მსოფლიოში,: ლონდონი-ბერლინი-ტორნი-ოდესა-ქერჩი-თბილისი-თეირანი-ბუშირი-ყარაჩი-კალკუტა.

1877-1878 წლების, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად კვლავ შემოერთებული ბათუმი და ყარსი სატელეგრაფო ხაზით მალე დაუკავშირდნენ თბილისსაც და ერთმანეთსაც. ეს ხაზებიც „სიმენსისა და ჰალსკეს“ ფირმამ ააგო.

XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის, „სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმის დიდი მცდელობით, თითქმის მთელი კავკასია დაფარული იყო ტელეგრაფის ქსელით.

1894 წელს გენერალ მაჯდ-ოს-სალტანეს უმოგზაურია თბილისში, რომელიც თავის მოგონებებში გადმოგვცემს: ,ორი წელი იქნება, რაც თბილისში მცხოვრებთა კომუნიკაციის გაადვილების მიზნით აშენდა ტელეფონის სააგენტო. ეს სააგენტო დიდი შენობის მესამე სართულზე მდებარეობს. მთელი ქალაქის სატელეფონო ხაზები ცენტრშია თავმოყრილი. სახელმწიფო დაწესებულებები, სხვადასხვა პუნქტები, მაღაზიები, სასტუმროები და აბანოები დაქსელილია სატელეფონო ხაზებით. თითოეული აბონენტი ამ მომსახურეობისათვის იხდის ყოველწლიურად 85 მანეთს. ამჟამად თბილისში ბევრ ბინაზეა გაყვანილი ტელეფონის ხაზი [238, 24-25].

„სიმენსი და ჰალსკე"-ს ფირმას საქართველოში წარმოების სხვა სფეროშიც უცდია ბედი. ისინი დაინტერესებულან სპილენძის, ნავთობის წარმოებით, კობალტისა და ძვირფასი ლითონების მოპოვებით. მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ასევე ელექტროსადგურების მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში.

აბრეშუმის წარმოება საქართველოში (XIX ს.-XX ს. დასაწყისი)

მეაბრეშუმეობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ამას ხელს უწყობდა ის საუცხოო ბუნებრივი პირობები, რომელიც არსებობდა ამ დარგის განვითარებისათვის. როგორც ჩანს, აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ ევროპელ მეწარმეებს და საქართველოში ჩამოსული ბევრი მათგანი ცდილობდა ამ საქმისთვის მოეკიდა ხელი. ერთ-ერთ ასეთ მეწარმედ გვევლინება ფრანგი ნეგოციანტი **ედუარდ ჰენრიხ კასტელა.** მან იმოგზაურა კავკასიაში, შეისწავლა გარემო პირობები და მიიღო გადაწყვეტილება სამუდამოდ დასახლებულიყო თბილისში, ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე დაეარსებინა აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკა, რომელიც აბრეშუმის ევროპული წესით ამოხვევის მაგალითს მისცემდა მთელს სამხრეთ კავკასიას. 1823 წელს მან თავისი მოსაზრებები გაუზიარა რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრს და სთხოვა მას განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება. კასტელას წინადადება-მოეწყო საქართველოში საფრანგეთისა და იტალიის საწარმოთა მსგავსი აბრეშუმსახვევი ფაბრიკა, ხელისუფლებამ მისაღებად სცნო. კასტელა არ დალოდებია შეტყობინებებს და შეუდგა თბილისში ფაბრიკის მშენებლობას, პარალელურად ითხოვა სესხი ხაზინიდან, მოიწვია კერძო პირები აქციონერების სახით, შემდეგ გაემგზავრა საფრანგეთში საჭირო მასალებისა და ინსტრუმენტების შესაძენად და ფრანგი ოსტატების მოსაწვევად, საიდანაც თბილისში 1825 წელს დაბრუნდა. იმავე წელს კასტელამ და მისმა კომპანიონმა **დიდლომ** საცდელად ამოახვიეს **შირვანის, ნუხისა და ყარაბაღის** აბრეშუმი. ცდა წარმატებით დამთავრდა, ამოხვეული აბრეშუმის ნიმუში ფინანსთა მინისტრს გაუგზავნეს. 1826 წელს კასტელას დაუმტკიცეს პირობები და პრივილეგიები, კერძოდ:

– აბრეშუმის ამოხვევა და ძახვა კასტელას დაზგებით უნდა ეწარმოებინა,

– ადგილობრივ მცხოვრებთ არ ჰქონდათ უფლება ასეთი მანქანებით ამოეხვიათ აბრეშუმი და ეწარმოებინათ ძახვა კასტელასა და დიდლოს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე,

– ადგილობრივ მცხოვრებთ კასტელასთვის უნდა მიეყიდათ აბრეშუმის პარკი სახელმწიფო ფასში,

– მთავრობას ხელი უნდა შეეწყო მეწარმეთათვის აბრეშუმის პარკის შეძენაში. ასევე კასტელამ შეძლო მიეღო მთავრობის თანხმობა რუსეთში მყოფი პატიმარი ქალების საკუთარ წარმოებაში დასასაქმებლად, რომელიც, ბუნებრივია, მისთვის იაფი მუშა-ხელი იქნებოდა.

ცნობილია კასტელას ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელი თავადი **გოლიცინი,** რომელმაც ნახევალი მლნ მანეთის ასიგნებანი შეიტანა ამ წამოწყებაში და გარდა ამისა, თბილისში გამოგზავნა 18 ყმა თავისი მამულებიდან. ყმებს თავისი შრომით უნდა გადაეხადათ საბატონო ბეგარა. ფაბრიკის სიახლოვეს აშენდა დასახლება, სადაც 200-მდე პატიმარი ქალი ჩამოასახლეს რუსეთიდან, რომლებსაც ხაზინა ინახავდა. ამ სრულად მუქთი მუშახელის სრული განმკარგულებელი იყო საწარმოს მეპატრონე [238, 142].

1827 წლის იანვარში გამოიცა იმპერატორის ბრძანება, რომელშიც საუბარი იყო ფრანგი მენარმისათვის მისანიჭებელ პრივილეგიებზე:

– კასტელასათვის სასესხებლად საქართველოს მთავარსარდლისთვის გადაერიცხათ 80 000 მანეთი.

– ბრძანებაში დაკონკრეტებული იყო, რომ ეს სესხი კასტელას გადაეცემოდა ნაწილ-ნაწილ, მთავარსარდლის მიერ მოწონებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, იარაღ-ინსტრუმენტების შეძენისა და შენობების აგების პროცესში.

პირველი სამი წლის პროცენტებისაგან დებიტორი სავსებით თავისუფლდებოდა, ხოლო შემდგომი 7 წლის განმავლობაში იხდიდა 6%-ს.

– ვალი უნდა დაფარულიყო 10 წლის განმავლობაში, ანდა უფრო ადრეც, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა.

ამავე ბრძანებით, კასტელას უფლება მიენიჭა, ესარგებლა უცხოელი სტუმრის პრივილეგიით, ანდა თუ იგი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდოდა, ისარგებლებდა პირველი გილდიის ვაჭრის პრივილეგიებით-საგილდიო გადასახადის გარეშე.

1827 წელს კასტელამ „ფაბრიკის სახლის" აშენებისათვის ითხოვა მიწა თბილისში, მდ. მტკვრის ნაპირას, გერმანელთა კოლონიის ჩრდილოეთით. გარდა ფაბრიკისა, მას სურდა გაეშენებინა თუთის ხეების, ბამბის, შაფრანის, თამბაქოს, ენდროს და სხვა სამღებრო-საექიმო მცენარეების ფერმა. გარდა ამისა, მან დამატებით ითხოვა 2 000 დესეტინა მიწის ნაკვეთის გამოყოფა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, სადაც ის დაასახლებდა მეაბრეშუმე ფრანგ, იტალიელ და სხვა ეროვნების სპეციალისტებს. კასტელას თხოვნა დააკმაყოფილეს.

კასტელამ თავისი წამოწყებით დააინტერესა მოსკოველი და პეტერბურგელი ვაჭრები. 1827 წელს მან 9 წლიანი კონტრაქტი გააფორმა უცხოელ ვაჭრებთან **ვაგნანთან, დიდლოსა და გერნოზანტთან**. ისინი შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი კაპიტალით გაეუმჯობესებინათ კასტელას მიერ თბილისში დაარსებული აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკა. დიდლომ და გერნოზანტიმ „ამხანაგობას" გადასცეს მათ სახელზე თბილისში არსებული მანქანა-დანადგარები, ინსტრუმენტები, სართავი დაზგები და ა.შ. კასტელამ, თავის მხრივ, „ამხანაგობაში" შეიტანა 80 000 მანეთი და მთავრობისაგან მისთვის გადასაცემი აბრეშუმის პარკები.

1828 წლის სექტემბერში თბილისში ფაბრიკის მოწყობა თითქმის დამთავრებული იყო. აქ გამოიყენებოდა საფრანგეთიდან ჩამოტანილი დაზგები და მოწყობილობები. დაასაქმეს საფრანგეთიდან ჩამოყვანილი კვალიფიციური ოსტატები, თუმცა წარმოებაში ძირითადად ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაქირევებული მუშები მუშაობდნენ. მათი რაოდენობა პერიოდულად ორმოცდაათს აღწევდა კასტელას დაგროვილი ჰქონდა 600 ფუთი აბრეშუმის პარკი. [238, 142].

ახლად მოწყობილ ფაბრიკაში განახორციელეს კიდეც საცდელი ამოხვევა, ფაბრიკა ის-ის იყო უნდა ამუშავებულიყო, რომ იმავე წლის 16 ნოემბერს კასტელა გარდაიცვალა. მისმა კომპანიონებმა საქმის გასაგრძელებლად ხაზინისაგან დამატებითი თანხების გამოყოფა მოითხოვეს- ერთის მხრივ თავადმა გო-



ლიცენზია მოითხოვა 224 000 და მეორეს მხრივ, დოდლომ და გერნოზანტიმ-200 000 მანეთი. ფინანსთა მინისტრმა უარყო ორივე წინადადება და საქართველოს მთავარმართებელს მიმართა თხოვნით ფაბრიკა მთლიანად გადასულიყო ხაზინის განკარგულებაში. შედეგით უკმაყოფილო კომპანიონებმა უარი განაცხადეს საქმეში შემდგომ მონაწილეობაზე. ამ თაოსნობის გაგრძელებაზე უარს ამბობდა კასტელას მეუღლეც. ფინანსთა მინისტრის მიმართვა დაკმაყოფილდა და ფაბრიკა იქცა სახაზინო წარმოებად, შეიქმნა „საფაბრიკო კომიტეტი". პირველ რიგში იზრუნეს ფაბრიკის ტექნიკური მხარის მოწესრიგებაზე, რადგან 12 დაზგა ვერაფრით ეყოფოდა კასტელას მიერ ფაბრიკაში დაგროვილი 600 ფუთი პარკის დამუშავებას და მათი რიცხვი 40-მდე გაზარდეს. ძველი ოსტატები დატოვეს, დაიქირავეს ახალი მუშახელიც. დამატებით ღონისძიებებს და საამქროების მონყობას დამატებით 2 553 მანეთი დასჭირდა.

„საფაბრიკო კომიტეტს" საწყის ეტაპზე ხელმძღვანელობდა **ბარონი უნგერნ-შტერნბერგი** და მეთვალყურე **ემერიხი,** მოგვიანებით კი კოლეჟსკი ასესორი **ზუბარიოვი** და ფრანგი მეთვალყურე **შერო.** ფაბრიკაში აბრეშუმის ამომხვევას და დაზგების მოძრაობაში მოყვანას ქართველები ახორციელებდნენ, რთვის პროცესს კი უცხოელი ოსტატები **გლიაზალი** და **დიუფური** უძღვებოდნენ. 1829 წლიდან ამ ოსტატებისა და მუშების გვერდით 51 დაქირავებული თურქიც მუშაობდა.

საქართველოს საარქივო ფონდებში დაცულია 1828 წლის 21 დეკემბრიდან 1829 წლის 6 ნოემბრამდე ფაბრიკაში გაწეული დანახარჯების ჩამონათვალი:

1. ნებითდაქირავებულ ამომხვევთათვის-1 284 მანეთი.
2. მანქანების მოძრაობაში მომყვან ნებითდაქირავებულთათვის-304 მანე-

თი.

3. თურქ მუშებზე-2 142 მან. 80 კაპ.
4. შეშისათვის-2 899 მან.80 კაპ.
5. სართავი დაზგების მოძრაობაში მომყვან ნებითდაქირავებული მუშებისათვის-51 მან.20 კაპ.
6. ფლიგელის მოწყობისათვის, საძახავი ხელნისქვილისა და სხვა დაზგების შესაკეთებლად-2 473 მან. 40 კაპ.
7. მრთველი ოსტატისათვის-1 707 მან.75 კაპ.
8. სხვა ხარჯებისათვის სულ 13 865 მან. 93 კაპ.

დროის მოკლე პერიოდში ფაბრიკამ გამოუშვა 5 163 მანეთის ღირებულების სხვადასხვა სახის (ორგანზინი, ტრამა, საკერავი ძაფი, ფრიზონი და სხვ.) პროდუქცია. რომლის ღირებულება ნათლად მიუთითებს ამ წარმოების არარენტაბელურობაზე. ხარჯების შემცირების მიზნით, საფაბრიკო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გამოეყენებინა სასჯელმისჯილი ქალების შრომა. 1831 წელს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, ქალები და გოგონები, რომლებსაც სასამართლომ მიუსაჯა ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა, გამოგზავნეს თბილისში (პირველად 200-მდე პატიმარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამ რაოდენობას 400-მდე გაზრდიდნენ). 1833 წელს ფაბრიკაში პატიმარ ქალთა რაოდენობა 88-მდე გაიზარდა. 1834 წელს მთავარმართებელ **ბარონ როზენის** ინიციატივით გაუქმდა „საფაბრიკო კომიტეტი" და საწარმოს მმართველად დაინიშნა **ფრანგი ტესერი**. „მთავარმართებლის ხაზინა ყოველწლიურად აძლევდა ფულს ფაბრიკას საჭიროებისათვის.

ხაზინის მიერ ფაბრიკაზე გაცემული თანხები ტესერის მმართველობის პერიოდში ასე გამოიყურება:

წლები	თანხა (მანეთებში)
1834	9
1835	8 400
1836	11 500
1837	10 000

სასჯელმისჯილი ქალების შრომის გამოყენებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ისინი გულგრილად ეკიდებოდნენ საქმეს, ურთიერთდასჯის მიზნით ისინი დამზადებულ აბრეშუმს მტკვარში უყრიდნენ ერთმანეთს. ხაზინა ახალ-ახალ სესხებს აძლევდა ფაბრიკას, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. საწარმოს დახურვის წინ ფაბრიკის დავალიანება ხაზინის მიმართ 100 000 მანეთამდე გაიზარდა.

1838 წელს მთავარმართებელმა **გოლოვინმა** მოითხოვა ფაბრიკის სრული ლიკვიდაცია. იგი ამტკიცებდა, რომ მისი დატოვება არა მხოლოდ უსარგებლო, არამედ გამანადგურებელიც კი იყო ხაზინისათვის. 1841 წელს თბილისის აბრეშუმსახვევი ფაბრიკა დაიხურა, შენობები სამხედრო ყაზარმებად გადააკეთეს, ხოლო დაზგა-დანადგარები მიჰყიდეს „ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და

სავაჭრო მესარეწეობის გამავრცელებელ კავკასიის საზოგადოებას," რომელმაც, თავის მხრივ, ეს მანქანები კერძო პირებზე გაყიდა.

1836 წელს, რუსეთის მთავრობის ნებართვით, შეიქმნა **„ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და სავაჭრო მრეწველობის გამავრცელებელი საზოგადოება".** რომელიც დააფუძნა იტალიელმა ვაჭარმა **კარლო ტრიბოდინომ.** ამ საზოგადოებას სათავეში ედგნენ რუსეთის მთავრობის გავლენიანი პირები: **გრაფი ბენკენდორფი, თავადები დოლგორუკოვი, დონდუკოვ-კორსაკოვი და ჟადოვსკი.** მთავრობამ საზოგადოებას მიანიჭა მრავალგვარი 30 წლიანი პრივილეგია [52, 123]. სხვადასხვა ადგილას მისცეს 5 ათასი დესეტინა მიწა, მათ უპირატესობა ჰქონდათ სახაზინო ფასებით შეესყიდათ ამიერკავკასიაში აბრეშუმის პარკი და მისგან ამოხვეული ძაფი. ასეთი დიდი შეღავათების მიღების შემდეგ საზოგადოება შეუდგა საქმიანობას, გახსნა თავისი ფაბრიკები ნუხის პროვინციაში და იმერეთში, სოფ. მარანში. საზოგადოება იწერდა აბრეშუმის ამოსახვევად გაუმჯობესებულ ხელსაწყოებს და მანქანებს „გრაფს", „რობინეს" და სხვ. [52, 128].

აბრეშუმის წარმოებით დაინტერესებული იყო კახელი მემამულე **სოლომონ გურგენიძე.** მან 1832-37 წლებში თავის მამულში გააშენა თუთის დიდი პლანტაციები, რომელიც 300 დესეტინა მიწას იჭერდა. გამოკვება აბრეშუმის ჭიები სპეციალურად მოწყობილ ქვის შენობებში და თვით გამოიგონა „მანქანა" აბრეშუმის მისაღებად [52, 52-53].

აბრეშუმის წარმოებით დაინტერესებული ყოფილან შორაპნელი მემამულე **კონსტანტინე ერისთავი,** რომლის მფლობელობაშიც 2000 ძირი თუთის ხე იყო და კახელი მემამულეები **ანდრონიკაშვილები.** შემორჩენილი ცნობების მიხედვით, **ზაქარია ანდრონიკაშვილს** თუთის 2500 ხე ჰქონია გაშენებული. ამ ფაქტორთან დაკავშირებით გაზეთი „გუთნისდედა" წერდა: „აბრეშუმის შემუშავების მშრომელად გამოვიდა სიღნახის მეპატრონე თავადი **სოლომან ივანეს ძე ანდრონიკოვი,** გამოჩენილი მამულების მომვლელი და ახალ-ახალი მოგონების შემოტანის მოსიყვარულე. ამ სამი წლის წინეთა თავის ბაღში ჩაყარა თუთის ხეები, ახლა ანდრონიკოვს ორი პლანტაცია აქუს: პირველს პლანტაციაში უდგას სამოცდა ათი ათასი თუთის ხე. ეს ხეები თათრულად არიან ჩაყრილნი ლინიებით, ერთი ერთმანეთზედ ახლოს, მეორეში, რომელიცა გაშენებული შარშან დგას ოთხმოცი ათასი ხე. იმგვარად რაგვარადაც აშენებენ ნუხაში. გამოჩენილმა მებატონემ გენერალ ლეიტენანტმა თ. **ივანე მალხაზის ძე ანდრონიკოვმა** მიაქცია ყურადღება ამ საქმეს. თავისი წისქვილების ახლოს ჩააყრევინა სამს დესიატინა მიწაზე ასი ათასი თუთის ხე ნუხის ჩვეულებაზედ და ისე იხარეს, რომ ორი წლის შემდგომს შეიძლება იხმარებოდეს ჭიის გამოსაზრდელად."[70]. ანდრონიკაშვილებს მეაბრეშუმეობის ამხანაგობის შექმნაც უცდიათ, თუთის პლანტაციების ფართოდ გაშენების მიზნით, თუმცა უშედეგოდ, აზრთა სხვადასხვაობის გამო ეს წამოწყება ვერ განხორციელდა. ანდრონიკაშვილი თავის ნაწარმს ხშირად აგზავნიდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე, მოსკოვშიც კი, სადაც ხშირად შეფასებას აძლევდნენ.

„1861 წლის გამოფენაზე თბილისში მან წარადგინა ნედლი აბრეშუმი, რაზეც „ცისკარი" წერდა: აბრეშუმთაგან ყოველთზედ მოსაწონი იყო ორის კახეთის მებატონისა: თ.დიმიტრი აბხაზისა და თ.სოლომონ ანდრონიკოვისა, რო-



მეაბრეშუმეები
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

მელნიცა ღირსნი არიან შენიშვნისა თავიანთი შრომის მოყვარეობისა გამო ამ ადგილს-მამულის მართვაში“ [252, 365]. საუკეთესო შეფასება მიიღო ანდრონიკაშვილის აბრეშუმმა მომდევნო წლის გამოფენაზეც, რის შესახებც ესტატე მაღალაშვილი წერდა: „კახეთიდან იყო წარმოდგენილი მშვენიერი ნიმუშები თავად ანდრონიკაშვილისა და თავად ჭავჭავაძისა. ამ ნიმუშებთან კარგი იქნებოდა თვით მაშინაც, რაზედაც კეთდება ამისთან მშვენიერი აბრეშუმი“ [203, 197]. მომდევნო წლებში ანდრონიკაშვილების აბრეშუმმა თბილისის გამოფენაზე ოქროს, ხოლო მოსკოვის გამოფენაზე ვერცხლის მედალიც დაიმსახურა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს ამ დარგის ცნობილი სპეციალისტი **ნ.რაიკო**, რომელიც ამ რაიონებს ამარაგებდა საუკეთესო თესლით და ყიდულობდა აბრეშუმის პარკს, რის გასაშრობად და დასაპრესად სოფ. მარანში მისივე თხოვნით, მაშინდელმა ადმინიტრაციამ მოაწყო საწარმო.

ხონში **მიხაკო სანაძეს** ჰქონდა აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა, სადაც 80-მდე ქალი მუშაობდა. ქარხანაში იყო იტალიიდან მოტანილი დაზგები და ორთქლის მანქანა [187, 169].

XIX საუკუნის 40-იან წლებში აბრეშუმის წარმოების მოწყობის ორიოდე უშედეგო ცდას ჰქონდა ადგილი. 1843 წელს **მინას იაკუბოვისა** და 1847 წელს

მაიორ შეიმიოტისაგან. 1857 წელს სახაზინო ქონების სამმართველომ კონტრაქტი გააფორმა უცხოელ ოტო პროპიუსთან. ამ უკანასკნელს ავლაბრის საცდელ ფერმაში აბრეშუმის ამომხვევი მსხვილი საწარმო უნდა მოეწყო. რა ბედი ეწია აღნიშნულ წარმოებას უცნობია [196, 100-101].

მეაბრეშუმეობის განვითარების საქმე საქართველოში ამით არ დამთავრებულა. 1847 წელს **ფრანგმა ვაჭარმა, გრაფმა ალფრედ როზმორდიუკმა სამეგრელოს მთავრის** დახმარებით ითავა ზუგდიდში აბრეშუმის საწარმოს მოწყობა [52, 124-126].

დავით დადიანმა ამ საქმეში დააბანდა 8 ათასი მანეთი. როზმორდიუკმა საფრანგეთიდან ჩამოიტანა სათანადო მანქანები, ინსტრუმენტები, ჩამოიყვანა აბრეშუმის ამოხვევაში დახელოვნებული ფრანგი ქალები, საწარმოში დაამონტაჟა ორთქლის მანქანა და წარმოება გამართა. საწარმო წელიწადში ამზადებდა 50 ფუთზე მეტ აბრეშუმს. ფუთი აბრეშუმი იყიდებოდა 270-295 მანეთად. წარმოებული პროდუქცია იმდენად ხარისხიანი იყო, რომ იგი დაუბრკოლებლად იყიდებოდა ევროპაში. ზუგდიდის აბრეშუმსახვევ საწარმოს მეფისნაცვალ **ვორონცოვის** სახით დიდი მხარდამჭერი ჰყავდა. ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) საქართველოში შემოჭრილმა თურქეთის ჯარმა გადაწვა ზუგდიდის აბრეშუმსახვევი საწარმო (მოგვიანებით იგი კვლავ აღადგინეს). ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ 1858 წელს როზმორდიუკმა ხაზინიდან ითხოვა თანხის



გამოყოფა 4 000 მანეთის ოდენობით.. მეფისნაცვალმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა. დახმარების შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, მაგრამ პროდუქციის იმ რაოდენობას ველარ აწარმოებდა, რასაც ყირიმის ომამდე. პროდუქციის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ აქ წარმოებულ პროდუქციას მაღალ შეფასებას აძლევდნენ კონსტანტინოპოლსა და საფრანგეთში.

1863 წელს თბილისში გამართულ გამოფენაზე ზუგდიდის აბრეშუმსახვევ საწარმოში დამზადებული აბრეშუმი შეიტანეს ყველაზე საუკეთესო მახასიათებლების აბრეშუმთა რიცხვში, რაზედაც წერდა კიდეც გაზეთი „გუთნის დედა:" -„ყველაზედ უკეთესი აბრეშუმებში გამოდგა ნიმუში **უ.უ. ალექსიევის და ვორონინისა ნუხიდამ**, მეორე **გრაფის როზმორდიუკისა** და **კნიაზი სოლომონ ანდრონიკოვისა**. ჩვენთვის ეს ორის შრომა უფრო შესანიშნავია, რადგან ერთმა იმათგანმა ცოტას თანხით შემოიტანა ევროპული ამოხვევა აბრეშუმისა სამეგრელოში და მეორემ კახეთში. **როზმორდიუკის** ფაბრიკას 1864 წელს 4 ორთქლის ქვაბი, 4 ორთქლის მანქანა, 38 დაზგა და 42 თითისტარი გააჩნდა. შაწარმომ 478 ფუთი აბრეშუმის პარკი გადაამუშავა, 103 მუშით (ქალები) სულ დაამზადა 3 900 მან. ღირებულების 128 ფუთი ყაჭი და ამოხვეულ იქნა 8 100 მან. ღირებულების 40 ფუთი აბრეშუმი [136, 252].

1839 წელს სიღნაღის მემამულემ, შტაბს-კაპიტანმა **თავ. დავით აფხაზმა** ელდარის ველზე გააშენა თუთის პლანტაცია, რომელიც მოიცავდა 60 ათას ძირ თუთას. მისი გარდაცვალების შემდეგ საქმე განაგრძო მისმა ძმამ **დიმიტრიმ**. მან გააფართოვა და წესრიგში მოიყვანა ძმის მიერ გაშენებული თუთის ხის პლანტაცია. ამდ. იორიდან გაიყვანა სარწყავი არხი, მოაწყო დიდი ფარდული აბრეშუმის ჭიის გასამრავლებლად და გამოიყვანა ჩინური ჯიშის საუცხოო აბრეშუმის ჭია [52, 56].

XIX საუკუნის 40-იან წლებში, გურიიდან და სამეგრელოდან გატანილი აბრეშუმის პარკი და ამოხვეული ძაფი

(ცხრილის მონაცემები ემყარება დ.გოგოლაძის ნაშრომს „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში" (1813-1864 წ.) გვ 25)

წელი	ღაოდენობა (ფუთებსა და გირვანქებში)	ღირებულება (მანეთებში)
1845	954,30	64,545
1846	1 652,25	97,325
1847	947	48,320
1848	551,29	25,397
1849	955,18	51,391
1850	1 018	63,540

აბრეშუმის პარკის წარმოების დინამიკა სამხრეთ კავკასიაში
(1858-1878 წწ.):

წლები	აბრეშუმის პარკის ღირებულება (მან)
1858	1 820 000
1860	1 980 000
1876	2 298 000
1878	1 398 000

სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს, რომ XIX საუკუნის ქართლში **დავით დიმიტრის ძე დიასამიძე** იყო გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი და პირველი ინიციატორი აბრეშუმის ჭიის მოშენებისა. მას თითქმის ორასი დღიური თუთის პლანტაცია ჰქონია გაშენებული სოფელ საქაშეთში, სადაც ცხოვრობდა კიდეც, მისივე ინიციატივით გლეხების უმეტესობას უსათუოდ ჰქონია დარგული თუთის ხეები ჭიისათვის, ყველა მისი ყმა ვალდებული იყო ჰყოლოდა აბრეშუმის ჭია. ახლო-მახლო სოფლებსაც მიუბაძიათ საქაშნელებისათვის და შემოგარენში ყველგან გავრცელებულა სოფლის მეურნეობის ეს დარგი.

ამას დაემატა მთავრობის ინიციატივებიც. 1850 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაიწყო საფრანგეთიდან, იტალიიდან და ჩინეთიდან შემოტანილი საუკეთესო მასალის გავრცელება საქართველოში, ასევე მოიწვია მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორი ემერიკი. 1858 წელს იმერეთსა და სამეგრელოში აბრეშუმის პარკის შესაძენად საფრანგეთიდან ჩამოსული ვაჭრები გამოჩდნენ.

აბრეშუმის პარკის წარმოების დინამიკა სამხრეთ კავკასიაში
(1858-1878 წწ.):

წლები	აბრეშუმის პარკის ღირებულება (მან)
1858	1 820 000
1860	1 980 000
1876	2 298 000
1878	1 398 000

1858 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო ტურინის, ხოლო 1862 წელს ლონდონის გამოფენებზე, სადაც საქართველოდან წარდგენილმა აბრეშუმის ნიმუშებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. 1876 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო მილანის მეაბრეშუმეთა კონგრესზეც. ამ წლებში საქართველოში აბრეშუმის პარკის მოსავალი 350-400 ფუთს უდრიდა. საქართველოდან გაჰქონდათ დიდი ოდენობით აბრეშუმის თესლი, გირვანქა 3 მანეთად ან კოლოფი 20 კაპიკად.

მეაბრეშუმეობას მისდევდნენ საქართველოში არსებულ გერმანულ კოლო-

ნიებშიც. 1845 წლისათვის მარტო კოლონია ელენენდორფში 26 კოლონისტის ოჯახი მისდევდა მეაბრეშუმეობას, მათ ჰქონდათ 140 000 თუთის ხე. მაშინდელმა მმართველობამ ხელი შეუწყო კოლონისტების დაინტერესებას აბრეშუმის წარმოებით და დაურიგა საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის ჭიის თესლი, კოლონისტები წაახალისეს ფულადი ჯილდოებითაც (თითოეულს 50 მან. გადასცეს).

XIX საუკუნის 60-იან წლებში მთელ სამხრეთ კავკასიაში გავრცელდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა, რამაც გამოიწვია ძლიერი სანედლეულო კრიზისი და 1866 წელს ზუგდიდის აბრეშუმსახვევი საწარმო დაიხურა. 1864 წლის 15 აპრილის „გუთნის-დედაში" (№8) ვკითხულობთ: „ეს ორი წელიწადია, რაც იმერეთში გადმოვიდა ჭიის ჭირი და ძალიან აზნევს ხალხსა, ამისათვის ვალად ვრაცხთ შევატყობინოთ ჩვენ მკითხველებსა თუ რა ღონისძიება უპოვნიათ ევროპელ მეცნიერებსა ამ სნეულების განსაქარვებლად."

1850 წელს ცნობილმა იმერელმა მემამულემ **ნიკო ჩიჯავაძემ**, ქუთაისის მაზრის **სოფელ სებეკაში** დიდი რაოდენობით დარგო თუთის ხე და მოაწყო აბრეშუმსახვევი ფაბრიკა, რომელიც წლიურად უშვებდა 1 500 მანეთამდე ღირებულების პროდუქციას. პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა როგორც ქუთაისის გუბერნიაში, ისე საზღვარგარეთაც (კონსტანტინოპოლში). მან ამ-იერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და სავაჭრო მესარეწეობის გამავრცელებელ კავკასიის საზოგადოებისაგან" შეიძინა ახალი ტიპის რამდენიმე აბრეშუმსახვევი მანქანა და მიმართა თხოვნით, რომელშიც აცხადებდა, რომ იგი კარგა ხანია რაც მისდევს მეაბრეშუმეობას, ამასთანავე ცდილობს მეზობელ გლეხებშიც დანერგოს ამ საქმიანობის უახლესი მეთოდები. იგი ითხოვდა დახმარებას აბრეშუმის ძაფის ამოხვევის საქმეში. საზოგადოებამ ჩიჯავაძის მამულში მიაელინა ამ საქმის ცნობილი სპეციალისტი, **ემერიხი**, კასტელასეული ფაბრიკის ყოფილი გამგე, რომელსაც ევალებოდა ჩიჯავაძის დახმარება და მის მეზობელ მემამულეთა შორის ძაფის ამოხვევის მოწინავე წესების დანერგვა. 1853 წლის საომარმა მდგომარეობამ საქართველოში ხელი შეუშალა წარმოებული პროდუქციის საზღვარგარეთ რეალიზაციას, რაც ძალიან დაეტყო აბრეშუმსახვევი ფაბრიკის საქმიანობას. 1856 წელს საწარმომ გამოუშვა 800 მან. პროდუქცია, 1860 წელს 2 500 მან. პროდუქცია. ომის დამთავრების შემდეგ ნიკო ჩიჯავაძემ აღადგინა აბრეშუმსახვევი წარმოება და იგი კვლავ საუკეთესო იყო იმერეთში არსებული აბრეშუმის საწარმოებს შორის. ჩიჯავაძეს მოწყობილი ჰქონდა მეორე აბრეშუმსახვევი საწარმოც სოფ. ლაჩინოში. ამ საწარმოში 20 დაოსტატებული ახალგაზრდა მუშაობდა. 1863 წლის გამოფენაზე თბილისში წარმოდგენილი აბრეშუმისა და სხვა ნაწარმისათვის ნიკო ჩიჯავაძე დააჯილდოვეს ოქროს მედლით [52, 126-127].

1858 წელს წარმოშობით ფრანგმა **კარლ დიუფურიმ** მოაწყო აბრეშუმსახვევი ფაბრიკა ქუთაისში. იგი თითქმის ორი წლის განმავლობაში მონდომებით ასწავლიდა ადგილობრივ დაქირავებულ მუშებს აბრეშუმის წარმოების საქმეს. ქარხანა სანიმუშოდ გაიმართა და წლიურად უშვებდა 7 000 მანეთის ღირებულების პროდუქციას. წარმოების გაფართოების მიზნით მეწარმემ მთავრობისაგან ითხოვა დახმარება, რაც დააკმაყოფილეს და მეფისნაცვალ ბარიატინსკის განკარგულებით გამოუყვეს სესხი 10 000 მანეთის ოდენობით

(1859-1864 წლებში საწარმომ დამატებითი დაფინანსება მიიღო 16 000 მანეთის ოდენობით). ამ დახმარებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა წარმოება, მაგრამ რეგიონში თავი იჩინა ჭარბწარმოებამ. პროდუქციის მოცულობა იმდენად დიდი იყო, რომ ველარ ხდებოდა მისი რეალიზაცია. დიუფურიმ გადაწყვიტა საწარმო თბილისში გადაეტანა. ეს პროცესი 1864 წელს დასრულდა, მაგრამ მეწარმე მაინც უკმაყოფილო იყო და სურდა წარმოება ნუხაში გადაეტანა. ამის შესახებ გაზეთი „გუთნისდედა" წერდა: „ჩვენი აზრით, ამგვარ მოგზაურობას მაშინ მოეღება ბოლო, როცა დიუფური იპოვნის იმისთანა ბედნიერ ქვეყანას, სადაც არც მუშა თხოულობს ფულს, არც სახლი ქირას, არც მასალა ფასს და სადაც პური მუქთია." დიუფურის საწარმომ ნუხიდან შემახიაში გადავიდა, შემახიიდან ბაქოში, ვიდრე 1872 წელს მეწარმე არ გარდაიცვალა.

1850-60-იან წლებში მეაბრეშუმეობის განვითარებას თან სდევდა თუთის ხეების ინტენსიური გაშენება. 1840 წელს, პირველი კეთილმოწყობილი პლანტაცია სოფ.ნაფარეულში გააშენა **ალ.ჭავჭავაძემ** და იგი მოიცავდა 80 000-ზე მეტ ხეს. „კახეთში ამ უკანასკნელ დროებაში აბრეშუმის შემუშავება მოვიდა უკეთესს მდგომარეობაში. კახეთის ჯიშის ჭია არის იმ ჯიშისა, რომელსაცა ჰქვია ქართული და რომელიცა ეკუთვნის თათრულის ჯინშისას. ამ ჯინშისგან გამონაცემი აბრეშუმი ძრიელ გვარიანად ფასობს როგორც თუისებით, ისე რიცხუით. პირველად კახეთში პლანტაცია გამართა კურთხეულმა გენერალ ლეიტენანტმა **თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ.** ამ მებატონის ვენახში, სოფელს ნაფარეულში დიდის რიცხვითა დგას თუთის ხეები, რომელთაც უჭირავთ რამდენიმე დესეტინა ადგილი. თავადმა დავით ჭავჭავაძემ, რომელიცა მამულის მოვლაში თავის მამაზედ ნაკლებს არა შრომობს მიაქცია ნაფარეულის პლანტაციას დიდი ყურადღება და აგრონომის **დეიჩმანის** შემწეობით ისეთს წესრიგში მოიყვანა, როგორც სურდა განსვენებულ იმის მამას" [70].

იმავე ხანებში ელდარის ველზე თუთის ხის დიდი პლანტაცია გააშენა დიმიტრი აფხაზმა. „მეორე პლანტაცია გაშენებული აქუს თავადს დიმიტრი აფხაზს 1840 წელს ელდარზედ, სადაცა ყოვლის ღონისძიებით ცდილობს წარმატებასა, თუმცა ჰაერი იმ ელდარზედ მომაკდუინებელი ბევრს უშლის." [70].

უცხოელმა ნეგოციანტმა **გოხშტრაიზერმა** 1860 წელს სოფ. **ორპირში** მოაწყო აბრეშუმსახვევი ფაბრიკა, რომელიც კარგად იყო მოწყობილი, საწარმო ფლობდა: ორთქლის მანქანას, რომელიც შეერთებული იყო აბრეშუმის გამოსახვევ დაზგებთან, 32 გამოსახვევ დაზგას, 32 აბაზანას პარკების ამოხვევისათვის, ყოველი ამოსახვევი დაზგის წინ იდგა 2 გასახურებელი ქვაბი. ფაბრიკასთან ფუნქციონირებდა წყლის აუზი, საიდანაც წყალი მილებით მიედინებოდა ორთქლის მანქანასთან. წარმოებაში არსებული რიგი დანადგარები იტალიური იყო. ფაბრიკა მუშაობდა აპრილიდან ნოემბრამდე და ამზადებდა 1 000-დან 1 500-მდე კგ. აბრეშუმს. მეწარმეს აბრეშუმის პარკები მოჰქონდა იმერეთიდან, სამეგრელოდან და გურიიდან. ამ საქმეში მას ეხმარებოდა ოზურგეთის მაზრის მემამულე **გიორგი ბებურიშვილი.** ზორპირის აბრეშუმის ფაბრიკაში წარმოებული პროდუქცია იმდენად მაღალი ხარისხისა იყო, რომ მას დაუბრკოლებლად ყიდდნენ ევროპაში-მარსელისა და ლიონის ბაზრებზე. XIX საუკუნის 60-იან წლებში მთელ სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულმა აბრეშუმის ჭიის ავადმყო-

ფობამ გამოიწვია ამ პერსპექტიული საწარმოს დახურვა [52, 129-130].

1868 წელს **ნ.არუნიანცმა** სიღნაღში დააფუძნა აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმო. 1872 წელს **ბ.სიჭინავამ** ლესიჭინეში ხელახლა გახსნა ასეთივე საწარმოები დააფუძნეს 1895 წელს **მ.სანაძემ**-ხონში, 1900 წელს **ანიევმა**-თელავში, 1901 წელს **ზარიძემ**-თელავშივე, 1902 წელს **„ილინის და კომპ.“**სავაჭრო სახლმა სამტრედიაში, 1904 წელს **ანდრეასიანცმა** სოფ.კერდღელაურში (თელავთან). [136, 251-252].

1887 წელს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ თბილისში **ნიკოზ შავროვის** თაოსნობით დაარსდა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, რომელიც თუთის ხეების მოშენება-გაყიდვასაც აწარმოებდა. სადგური კვალიფიციურ მეაბრეშუმეებს ამზადებდა. 1888 წელს მეაბრეშუმეთა კურსები გაიარა 423 კაცმა; 1890 წელს-390 კაცმა; მეაბრეშუმეობის სადგურმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე მაღალი შეფასება და საუკეთესო ჯილდოები დაიმსახურა, კერძოდ:

1890 წელს პეტერბურგში სრულიად რუსეთის მებაღეობის გამოფენაზე-ოქროს

დიდი მედალი;

1893 წელს კოლუმბიის მსოფლიო გამოფენაზე, ჩიკაგოში-ბრინჯაოს მედალი;

1894 წელს მეხილეობის მსოფლიო გამოფენაზე, პეტერბურგში-ოქროს მედალი;

1895 წელს სოფლის მეურნეობის გამოფენაზე მოსკოვში-ოქროს მედალი;

XIX საუკუნის 80-90იან წლებში აბრეშუმის ნედლეულით ვაჭრობის ორგანიზაციაში გარკვეულ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. ამ პერიოდში ხონის რაიონში მეაბრეშუმეობის საქმეს ხელი მოჰკიდა **ნესტორ ნერეთელმა**, რომლის ინიციატივითაც, 1895 წელს, სოფელ გუბში, დაარსდა **„ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“**. საზოგადოებამ გააერთიანა ამ დარგის მიმდევრები, თითოეული იხდიდა საწევრო გადასახადს 10 მანეთის ოდენობით. იგი მიზნად ისახავდა ნვრილი მწარმოებლებისაგან აბრეშუმის პარკის შესყიდვას და შემდგომ რეალიზაციას.

პირველივე წელს ამხანაგობამ შეიძინა და გაყიდა 9000 მან. ღირებულების აბრეშუმის პარკი. საზოგადოება დიდ დახმარება უწევდა ამხანაგობის წევრებს ხარისხიანი თესლის შეძენაში, პარკის გასაღებაში, ქვეყნის შიგნით და გარეთ. საზოგადოებამ გახსნა ძაფის ამოსაღები ქარხანა, საღებავი სახელოსნო და შეიძინა 15 საქსოვი დაზგა. საწარმოში ოცამდე ადგილობრივი მუშაობდა. 1896 წლისათვის საზოგადოება აერთიანებდა 500 წევრს. 1897 წელს გურიაშიც დაარსდა ასეთივე ტიპის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავლის“ სახელწოდებით. იმავე წელს ქუთაისსა და სენაკში ყალიბდება მეაბრეშუმეთა ამხანაგობები. ისინი კონკურენციას უწევდნენ აბრეშუმის პარკის შემსყიდველებს, რითაც არეგულირებდნენ ფასს.

ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრის მოსახლეობა დიდი მონდომებით მისდევდა მეაბრეშუმეობას. 1894 წელს გაზეთ „კვალი“ წერდა: აბრეშუმი რომ არ დაეჯინოს იმისთანა ოჯახი თითქმის არ იქნება, სოფ-

ლებს-ხონს, მათხოჯს, საწულუკიძოში, კონტუათში, კუხში, გუბში, ჯიხაიშსა და სხვა. მეაბრეშუმეობას მეტწილად ქალები ეტანებიან. იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ ოჯახს, რომ აბრეშუმის ჭია არ ჰყავდესო.

1895 წელს ქუთაისის გუბერნიაში დამზადებული 8 200 ფუთი აბრეშუმის პარკიდან გაიყიდა 5 210 ფუთი პარკი და 1 200 ფუთი აბრეშუმის ნართი.

1896 წელს ქუთაისი გუბერნიიდან გაიტანეს 10 100 ფუთი აბრეშუმის პარკი;

1897 წელს...---------- 15 900 ფუთი აბრეშუმის პარკი;
1898 წელს ---------- 22 400 ფუთი აბრეშუმის პარკი;
1899 წელს ---------- 13 300 ფუთი აბრეშუმის პარკი;
1900-იანი წლების დასაწყისში ---------- 50 000 ფუთი აბრეშუმის პარკი;

მეაბრეშუმეთა სპეციალური კოოპერატივების ჩამოყალიბების შესახებ პ.გუგუშვილი წერს: „1895 წლიდან საქართველოში ჩნდებიან მეაბრეშუმეთა სპეციალური კოოპერატივები, რომელთა რაოდენობამ 1905 წელს რვამდე მიაღწია. ეს კოოპერატივები მეაბრეშუმეთ ამარაგებდა შემოტანილი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის თესლით, ადგილობრივ აბრეშუმს ასაღებდა საზღვრაგარეთ, ავრცელებდა აქ აბრეშუმის ამოხვევისა და ქსოვის, ასევე აბრეშუმის ჭიის მოვლის გაუმჯობესებულ მეთოდებს, აწყობდა საცდელ-საჩვენებელ სახელოსნოებს და სხვ. ყოველივე ამის შედეგად თი XIX ს-ის 90-იან წლებამდე აბრეშუმის ნედლი პარკის მოსავალი სამხრეთ კავკასიაში საშუალოდ 100 ათას ფუთს არ აღემატებოდა, 1890-1905 წლებში მან 300 ათას ფუთამდე მიაღწია." [64, 123].

	1910	1911	1912	1913	1914
გამოყვანილ იქნა აბრეშუმის თესლი ათას კოლოფობით	375	321	398	260	268
მოსავალი ნედლი პარკისა ათას ფუთობით	360	245	360	275	238
1 ფუთი პარკის ფასი საქართველოში (მანეთებში) ა)ნედლისა	16	17	13	16	20
ბ) მშრალისა	52	48	43	72	65

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941. გვ. 123

1897 წლის თებერვლის თვის „მეურნეში"(№5) ვკითხულობთ: „წელს მთელს ქუთაისის გუბერნიაში 26 000 ფუთამდე ნედლი, ანუ 8 666 ფუთამდე მშრალი აბრეშუმის პარკი მოუყვანიათ, სულ 312 012 მანეთისა, ამას დამატებული ქუთაისელი ვაჭრების აბრეშუმიც 1 000 ფუთამდე 70 000 მანეთისა, სულ 382 013 მანეთის. შამწუხაროდ, ეს მოსავალი ბევრად ნაკლებია წინა წლების მოსავალზე" [146].

სპირიდონ ნორაკიძე
წყარო: საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

1896 წელს დაარსდა **ი.ჩითახოვის** მემკვიდრეთა „ბამბის ძაფსართავი და მექანიკური საფეიქრო ფაბრიკის სააქციო საზოგადოება კავკასიაში", მაგრამ მთავრობამ ფინანსურ მხარდაჭერაზე უარი უთხრა და 1902 წელს დაიხურა.

1908-1910 წლებში აბრეშუმის პარკის ვაჭარ-შემსყიდველებს სამტრედიაში გაუმართავთ აბრეშუმის პარკის გამოსაშრობი ორი სადგური, სადაც იტალიიდან შემოტანილი დანადგარები ჰქონიათ დამონტაჟებული, მესამე ასეთი სადგური მეაბრეშუმეთა ამხანაგობას გაუხსნია სოფ. კუხში, მეოთხე კი-ქუთაისში.

XIX საუკუნის ბოლოს მეაბრეშუმეობა აფხაზეთისათვის კაპიტალისტური მეურნეობის შედარებით ახალ დარგს წარმოადგენდა. ოჩამჩირეში აბრეშუმის ჭიის პარკის საშრობი შენობები ჰქონია **სპირიდონ ნორაკიძეს და პეტრე იკომს.** საშრობში დასაქმებული ყოფილა 25 ადგილობრივი ახალგაზრდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში მეაბრეშუმეობა სავალალო მდგომარეობაში დაუხვდა ეროვნულ მთავრობას. ვერც სანედლეულო ბაზა და ვერც მოძველებული ტექნოლოგიები ვერ იძლეოდა ამ ტრადიციული დარგის განვითარების პერსპექტივას. საჭირო იყო ევროპული გამოცდილების გაზიარება, სპეციალისტების და ამ დარგით დაიტერესებული მეწარმეების მოძიება, მათი დაინტერესება, რათა კაპიტალი ჩაედოთ ამ საქმეში. „დადებულ იქნა ხელშეკრულება საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარ ჯგუფთან. ჯგუფს წარმოადგენდა ფრანგული საზოგადოება მეაბრეშუმეობის გაუმჯობესების და განვითარების, მეაბრეშუმეობის დაწესებულებანი ფერრან-გენტრანისა, რომელსაც 6 თვის განმავლობაში უნდა დაეარსებინა სააქციონერო საზოგადოება სახელწოდებით „ფრანგულ-ქართული საზოგადოება მეაბრეშუმეობის გაუმჯობესების და განვითარებისათვის", რომლის წევრებათ უნდა შესულიყვნენ ამ დარგში ცნობილი საფრანგეთის და იტალიის ფირმები, როგორიც იყვნენ:

„აბრეშუმის მეთესლეთა საფრანგეთის პროფესიონალური სინდიკატი"

„ჯგუფი მეაბრეშუმეთა ლიონის, მარსელის და სამხრეთ-აღმოსავლეთ სა-

ფრანგეთის დეპარტამენტისა“

„საფრანგეთის აბრეშუმის მეთესლეთა ფედერაცია“

„იტალიელი მეთესლეები, თესლის დამმზადებელნი საფრანგეთში საფრანგეთის სახელმწიფო კონტროლის ქვეშ“

„იტალიელ მეთესლეთა ფედერაცია-თვით იტალიაში“ და სხვ.

ამნაირად, ამ საზოგადოებაში თავს იყრიდა საფრანგეთის და იტალიის მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის თესლის დამმზადებელთა ცოდნის და გამოცდილების უმთავრესი წარმომადგენლები [113, 195].

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 2 მილიონი ფრანკით, ხოლო სახელშეკრულებო პერიოდი 25 წლით, ასევე განისაზღვრა მხარეების უფლება-მოვალეობები, საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა, საზოგადოების საექსორტო პოტენციალი და ა.შ.

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველოში აბრეშუმის რამდენიმე ძაფსახვევი ფაბრიკა მოქმედებდა. 1916 წელს ასეთ ფაბრიკას ამუშავებდა **ს.ა.ანდრეასინი,** სადაც დასაქმებული იყო 97 მუშა, საწარმოს წლიურმა საბრუნავმა კაპიტალმა 63 250 მან. შეადგინა. წლიურად ამზადებდნენ 86 700 მან. ღირებულების 187 ფუთ აბრეშუმს.

კ.კანდელაკის ცნობით: „აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი ფაბრიკები არსებობდნენ: სამტრედიაში, ბათომში, ოზურგეთში, ხონში და თელავში. ამათგან სამტრედიის შედარებით კარგად მოწყობილი იყო და ეკუთვნოდა საფრანგეთის მოქალაქეს **ბ.ბილიონს.** თბილისის სააბრეშუმო სადგურთან არსებობდა აგრეთვე აბრეშუმის საქსოვი სახელოსნო, სადაც 1920 წელს დამზადებული იყო 4 000-ამდის არშინი აბრეშუმის ნაქსოვი“ [113, 95].

ქართველი მეწარმე ქალბატონი **ლ.სანოძე** ხონში ამუშავებდა აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკას. საწარმოს მაშტაბებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ დასაქმებული პერსონალის რაოდენობით, ეს იყო 100 ქალი.

ბამბისა და მატყლის პროდუქციის წარმოება საქართველოში (XIX ს. XX ს-ის დასაწყისი)

XIX საუკუნის 30-იან წლებში მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად საქართველოში ვითარდება ბამბის ძაფსართავი წარმოება. ცნობილი ფაქტია, რომ 1846 წელს საქართველოს მეფისნაცვალმა **მიხეილ ვორონცოვმა** ჩრდილოეთ ამერიკიდან და ეგვიპტიდან გამოიწერა ბამბის თესლი, რომელიც დაურიგა მემამულეებსა და მეწარმეებს. ბამბის მოსავლის ნაწილს მწარმოებელი მოსახლეობა თავისთვის იტოვებდა საკუთარი საჭიროებისათვის, ნაწილს კი ჰყიდდა. საქართველოში ბამბა უფრო მეტად მოჰყავდათ დასავლეთში. საგლეხო რეფორმამდე იგი მეტწილად მოჰყავდათ ქუთაისის მაზრის დაბლობ ადგილებში, შორაპნის მაზრის არგვეთისა და ჩხარის, ასევე ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთისა და ჩოხატაურის უბნებში და სხვაგან [52, 30].

საქართველოში ამ დარგის ინიციატორები იყვნენ **ძმები შავერდოვები**, რომლებმაც 1837 წელს სიღნაღში, ორსართულიანი ქვის შენობაში, მოაწყვეს ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა. წყაროებში დაცულია ამ ფაბრიკის დეტალური აღწერილობა, რომლიც თანახმად საწარმოში გამოიყენებოდა მხოლოდ დაქირავებული შრომა. ფაბრიკის ქვედა სართულზე დადგმული იყო მანქანები: 4 მანქანა ბამბის დაშლისათვის, 2 ბამბის რთვისათვის საჭირო ყველა მასალის მოსამზადებლად. აქვე იყო მოწყობილი თვალი, რომელსაც ამოძრავებდნენ 2 ულელი ხარის დახმარებით. ზედა სართულზე მოწყობილი იყო 4 დიდი და 5 პატარა ძაფსართავი მანქანა. ფაბრიკასთან იყო დამხმარე ნაგებობანი, სადაც დაქირავებული ოსტატები და მუშები ცხოვრობდნენ. ფაბრიკის მოწყობის საერთო ღირებულებამ 30 000 მანეთი შეადგინა. საწარმოს ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას ახორციელებდა ჯუანშერ შავერდოვი, სადაც ამუშავებდნენ მხოლოდ სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა პროვინციებში შეძენილ ბამბას. 1840 წლიდან დაქირავებულ ოსტატებს ფაბრიკა მიუტოვებიათ, რადგან ადგილობრივ ბაზარზე სათანადო ცოდნის მქონე სპეციალისტების მკვეთრი დეფიციტი იყო. ამ ფაქტმა ჯერ შეაჩერა ფაბრიკის მუშაობა და შემდგომში, როგორც ჩანს, ფაბრიკა დაიხურა.

1840-იან წლებში თავადმა **გურიელებმა** ეგვიპტური ბამბის მნიშვნელოვანი პლანტაციები გააშენეს და ამ საქმიასათვის ეგვიპტიდან გამოცდილი ხალხი ჩამოიყვანეს" [52, 30].

1850 წელს ცნობილმა მემამულემ და მეწარმე **ნიკო ჩიჯავაძემ** იმერეთში, სოფელ სებეკაში, გახსნა ბამბის საწარმო. იგი წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას ქუთაისის გუბერნიაში ახდენდა. კარგად დაწყებულ საქმეს ხელი შეუშალა რუსეთ-თურქეთის ომმა. 1856 წელს მეწარმემ განაახლა საწარმოო პროცესი და გამოუშვა 800 მანეთის ღირებულების პროდუქცია. თავისივე მამულში, მან გააშენა საუცხოო ბამბა, რამაც გავლენა იქონია პროდუქციის წარმოებაზე და 1860 წელს გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 2 500 მანეთი შეადგინა. მისი ბამბის ნაწარმი წარდგენილი ყოფილა საქართველოს, რუსეთის და ინგლისის გამოფენებზეც კი.



1857 წელს **გრ.მიკირტუმოვს** ბამბის ფაბრიკა მოუწყვია თბილისში (ავლაბარში). 1870 წელს **მდიდარ ვაჭრებს, ძმებ მირზოევებს** თბილისში ევროპულ ყაიდაზე მოუწყვიათ ბამბის საქსოვი ფაბრიკა. ერთ-ერთი ძმა გ.მირზოევი ქარხნის გახსნამდე ბამბეულის ქსოვილებით ვაჭრობდა და, ბუნებრივია, კარგად ერკვეოდა ამ პროდუქციის ხარისხში. ქარხნის გახსნამდე მას მტკვრის სანაპიროზე, საკმაოდ დიდ ფართობზე, მოუწყვია მატყლის სარეცხი და დაუმონტაჟებია მტკვრიდან წყალსაქაჩი მოწყობილობა. გარეცხილი სუფთა მატყლი ბაზარზე ბევრად ძვირად ფასობდა და წარმატებით იყიდებოდა [238, 76].

1870 წელს იხსნება ფაბრიკა, სადაც დამონტაჟებული ყოფილა ინგლისიდან ჩამოტანილი მანქანა-დანადგარები და თვით ოსტატებიც ინგლისიდან ჩამოუყვანიათ. საწარმო შედგებოდა სართავი და საქსოვი საამქროსაგან, სადაც იქსოვებოდა მიტკალი, რიფსი, ფანელი, ტილო და უმაღლესი ხარისხის „ამერიკად" წოდებული ქსოვილი, რომელიც თოფებად, გირვანქობით იყიდებოდა 3 აბაზად. ყველაფერთან ერთად ძალიან საინტერესოა ფაბრიკაში დასაქმებული პერსონალის რაოდენობის დინამიკა. ამოქმედების პირველივე დღეებიდან გაბრიკაში დასაქმებული იყო 400-მდე მუშა, 1871 წლისათვის-450 ხოლო 1872 წლისათვის-500 მუშაზე მეტი. საუცხოოდ აღჭურვილ ფაბრიკაში დაარსების წელსვე 400 მუშა ირიცხებოდა მას ორი საამქრო გააჩნდა: სართავი და საქსოვი. ეს უკანასკნელი რიფსს, ფანელს, ტილოს, მიტკალს ქსოვდა. 80-იან წლებში ფაბრიკაში მოქმედებდა სამი 80-ძალიანი ორთქლის მანქანა, 11 ათასი თითისტარი და 300 საფეიქრო დაზგა. გ.მირზოევმა ფაბრიკა 1880 წელს იჯარით (6 წლით) გადასცა ფრანგ მეწარმე **ი.რიშარს**, რომელმაც ზოგიერთი მანქანა-დანადგარი საფრანგეთიდან მოიტანა, იქიდანვე მოიწვია დაოსტატებული

ფეიქრები. მოიჯარადრე ფაბრიკანტი 1881 წელს კავკასიის არმიის საინტენ-დანტო უწყებას გაურიგდა, რის შემდეგაც მას დიდძალ მიტკალს ანვდიდა [136, 253-254]. საქართველოში მოქმედ ფაბრიკა-ქარხნებს შორის ეს საწარმო გიგან-ტად წარმოგვიდგება და იგი სერიოზულ ფონს უქმნიდა ქვეყანაში კაპიტალის-ტური საწარმოო ურთიერთობების განვითარებას. ალბათ ამიტომაც, იმდროინ-დელი პერიოდული პრესა აღტაცებით შეგებებია ამ წამოწყებას. 1868 წელს ჟურნალი „ცისკარი" წერდა:ღმერთმა ინებოს, მიბაძონ ამ პატივცემულ ქარხნის მეპატრონეებს ზოგიერთებმა ჩვენმა მდიდრებმა და გამოიყვანონ ხალხი შევი-წროვებული მდგომარეობიდანო. 1872 წელს გაზეთ „დროება"-ში ნ.ნიკოლაძე მაღალ შეფასებას აძლევდა ამ სახის წარმოების წამოწყებას საქართველოში.

მირზოევის ბამბის საქსოვი ფაბრიკის წარმადობა წლების მიხედვით:

წლები	გამოშვებული პროდუქცია (მანეთებში)	დასაქმებულთა რაოდენობა
1871	500 000	500
1872	400 000	500
1873	500 000	600
1874	500 000	600
1875	1 000 000	500
1876	508 000	680
1884	1 200 000	415
1891	350 000	404
1896	560 000	395
1897	560 000	440
1898	530 000	460

წყარო: მ.ღუდუშაური. „თბილისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნეში". თბ. 2009. გვ. 84

XIX საუკუნის 80-იან წლებში მირზოევების ეს სანაქებო საწარმო 6 წლის ვადით იჯარით აიღო **ფრანგმა კაპიტალისტმა რიშარმა,** რომელიც საფეიქრო საქმის სპეციალისტ იყო. მან მოახდინა საწარმოს ხელახალი გადაიარაღება უახლესი საქსოვ-სართავი დანადგარებით, საფრანგეთიდან ჩამოიტანა ახალი ტექნიკა, მოიზიდა კვალიფიციური კადრი და დაიწყო წარმოების პროცესი. გა-მოშვებული პროდუქციის ღირებულებამ წელიწადში შეადგინა 500 000 მანეთი. ფაბრიკაში დამონატაჟებული იყო 3 ცალი 80 ცხ. ძალიანი ორთქლის მანქანა, 4 ორთქლის ქვაბი, 300 საქსოვი დაზგა. საწარმო წელიწადში ამუშავებდა 25-30 ათას ფუთ ბამბას(რომელიც ერევნიდან შემოქონდა) და პროდუქციის საშუალო წლიური ღირებულება შეადგენდა 0,5 მლნ მანეთს. მეწარმე შეეცადა სტაბი-ლური დამკვეთი ჰყოლოდა და გააფორმა ხელშეკრულება სამხრეთ კავკასიის არმიის ადმინისტრაციასთან მიტკლის მიწოდების თაობაზე.

საიჯარო პერიოდის გასვლის შემდეგ მირზოევმა აღარ ისურვა რიშართან ხელშეკრულების განახლება და მიიღო გადაწყვეტილება კარგად გამართული

ფაბრიკა ისევ დამოუკიდებლად ემართა, თუმცა ადგილობრივ მუშებთან პრობლემები შეექმნა, მან პოლონეთიდან (ქ. ლოძი) მოიწვია გერმანელი ფეიქრები ოჯახებითურთ(94 კაცი). რომელთა ჩამოსვლის შედეგ აღმოჩნდა, რომ შეთავაზებული პირობები ყალბი იყო, რამაც მათი განანყენება გამოიწვია. (პოლონეთში მათი შრომის ანაზღაურება კვირაში იყო 7-8 მან, ხოლო მირზოევი სთავაზობდა კვირაში 1 მანეთს), მეწარმის ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მეორე მცდელობა იყო დამატებითი ინვესტიციები 75 ათასი მანეთის ოდენობით, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი და მირზოევი იძულებული გახდა ფაბრიკა თავისი კრედიტორისათვის **ი.ჩითახოვისათვის** მიეყიდა. ახალი მფლობელი იყო ადგილობრივი ბანკირი, რომელსაც დიდძალი ფულადი კაპიტალი ჰქონდა. მან მოახერხა ხელში ჩაეგდო ფაბრიკა ისეთ ფასად, რომელიც ოდნავ თუ აღემატებოდა მისი ფაქტიური ღირებულების მეოთხედს [224, 40]. ფაბრიკას კვლავ აღორძინება დაეტყო, მფლობელმა შრომით პერსონალთანაც გამოიძებნა საერთო ენა და ნედლეულის მოწოდების პრობლემებიც მოაგვარა. მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების მოცულობა, მაგრამ ფაბრიკა ძლივს აუდიოდა შეკვეთებს. ამის მიზეზი იყო ის, რომ ეს იყო ბამბის გადამამუშავებელი ერთადერთი საწარმო სამხრეთ კავკასიაში.

– ნართი იყიდებოდა გორგლებად 23 მანეთად;
– პირველი ხარისხის ბამბა ღირდა 9 მან 50 კაპ;
– მეორე ხარისხის ბამბა ღირდა 8 მან;
– მიტკალი(ბიაზი) არშინი 10,5 მან-დან 21,5 მან-მდე სიგანის მიხედვით;
– 15 გოჯი სიგანის მიტკალი ღირდა 10,25 მან; 16 გოჯი 11,5 მან; 18 გოჯი-12,5 მან; 20 გოჯი-13,5 მან; 22 გოჯი-15,5 მან; 24 გოჯი-17,5 მან; 26 გოჯი-19,5 მან; 28 გოჯი-20,5 მან; 30 გოჯი- 21,5 მან.

1870 წელს **ძმებმა ზლატოგორსკებმა** თბილისში აამუშავეს „ბამბის სანმენდი ფაბრიკა", რომელმაც თითქმის საქართველოს გასაბჭოებამდე იმუშავა. ეს იყო ბამბის და მატყლის გადამამუშავებელი კარგად აღჭურვილი საწარმო, რომელიც 10 ცხენის ძალის ნავთძრავით მუშაობდა და წარმოებულ პროდუქციას რუსეთშიც აგზავნიდა. XX საუკუნის პირველ ათწლეულში ფაბრიკა წლიურად ამუშავებდა 3 000 ფუთ ბამბას, 1 000 ფუთ მატყლს და უშვებდა 35 ათასი მან. პროდუქციას.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისში **ძმებ გოკიელებს** 7 სავაჭრო დუქანი ჰქონდათ და 36 დაქირავებული ნოქარი ჰყავდათ. ისინი ვაჭრობდნენ ღვინით, გასტრონომიული და მრავალი სხვა საქონლით. 90-იან წლებში მათ გახსნეს ბამბის სარჩევ-საპენტი ფაბრიკა, რომელშიც ელექტრონით მომუშავე მანქანები იდგა. ბამბის დამუშავებაზე მრეწველები უფრო მეტად ქალის შრომას იყენებდნენ (სეზონურად 60 ქალს ამუშავებდნენ) [187, 169].

ბამბის საწმენდ და საპენტ ფაბრიკას, ვანის ახლოს, სოფელ შუამთაში ამუშავებდა ვანელი ვაჭარ-შემსყიდველი **ნაფეტვარიძე**. როგორც ჩანს, მოგვიანებით, მას ეს საწარმო მიუყიდია **ნიკოლოზ ტყეშელაშვილისათვის**, რომელიც მასზე მდიდარი ვაჭარი ყოფილა. ფაბრიკა მუშაობდა დაქირავებული მუშებით, ხოლო წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

1898 წელს თბილისელმა მემკვიდრეობითმა საპატიო მოქალაქემ **მანთაშევმა** თავისი, ასევე თბილისში არსებული „სავაჭრო სახლების" სახელით კავკასიის მთავარმართებელს სთხოვა შუამდგომლობა აღეძრა „კავკასიის მანუფაქტურის სააქციო საზოგადოების" დაარსებაზე, 1,5 მლნ ძირითადი კაპიტალით. საზოგადოების დამაარსებლები იყვნენ ა.მანთაშევი, ასევე თბილისში, მოსკოვსა და ბაქოში მოქმედი „სავაჭრო სახლები", რომლებიც მეტ-ნაკლები მასშტაბით სავაჭრო-კომერციულ ოპერაციებს აწარმოებდნენ არა მარტო იმპერიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. ისინი მიზნად ისახავდნენ თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში ბამბეულის ფაბრიკების აშენებას და ბამბეულის ნანარმით ვაჭრობას. საზოგადოებამ სახელმწიფოს მიმართ აღებული ფინანსური ვალდებულებები არ შეასრულა, რის გამოც 1902 წლისათვის გაუქმებულად გამოცხადდა [136, 124].

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ბამბის პლანტაციების ფართობები უდრიდა:

წელი	ბამბის პლანტაციების ფართობები (დესეტინობით)	მიღებული მოსავალი (ფუთებში)
1909	5 644	72 780
1913	5 700	102 900
1914	11 900	152 100

წყარო: სტატისტიკური კრებული 1909-1921 წწ. თბ. 1923. გვ. 41-42

თუ, წინა წლებში, მებამბეობის ძირითად რეგიონად იმერეთი გამოდიოდა, XX საუკუნის დასაწყისში ამ დარგის განვითარებით აღმოსავლეთ საქართველომ გაუსწრო დასავლეთს. აღმოსავლეთ საქართველოში მებამბეობის მთავარი რეგიონები იყო ყარაია, ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრები. მებამბეობის განვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდა საუფლისწულო მეურნეობას. ბორჩალოს მაზრის მამულებში საუფლისქულო უწყებამ თანდათან გააფართოვა ბამბის პლანტაციები. 1921 წელს მათი ფართობი შეადგენდა 70 დესეტინას, ხოლო მამულის მოიჯარეთა პლანტაციებისა 450 დესეტინას [20, 239].

XX საუკუნის პირველ ათწლეულში საფეიქრო ფაბრიკული წარმოების დაწყების მცდელობა ჰქონიათ ძმებ **მაჰმუდბეგოვებს.** მათ თბილისში აუმუშავებიათ ბამბის საქსოვი მცირე ზომის ფაბრიკა, რომელსაც I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შეუწყვეტია ფუნქციონირება. როგორც მკვლევარი გ. მარგიანი აღნიშნავს: 1908 წელს ფაბრიკა-ქარხნების უწყისში ფიგურირებს **ძმ.მახმუდბეგოვების** და **მასტანზადეს** ბამბის სართავი ფაბრიკა თბილისში, რომელიც 30 ცხ.ძალის ნავთძრავით და 20 მუშით მოქმედებდა და 28 543 მან. პროდუქციას უშვებდა. ასევე **„მანუჩაროვებისა და კომპ."** ორთქლის სამღებრო ფაბრიკა, 14 ძალიანი ლოკომობილით, 8 მუშით და 180 ათასი მან. პროდუქციით [136, 124].

XX საუკუნის პირველ ათწლეულში საფეიქრო წარმოების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა მატყლის დამუშავება. 1893 წელს ფაბრიკულად მოეწყო **მადედოვისა** და **ტუჟურიანცის** მატყლის საწმენდი სანარმო, სადაც

ქალი საქსოვით
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

ორთქლის ორი ქვაბი და ორთქლის ორი მანქანა მოქმედებდა. საწარმომ 1900 წელს 50 მუშით 31 200 მან. პროდუქცია დაამზადა [136, 124].

XIX საუკუნის ბოლოს ტყავის ქარხნის ბაზაზე მეწარმე **გ.ადელხანოვმა** დააფუძნა „ტყავისა და ქეჩის წარმოების კავკასიის სააქციო საზოგადოება“, რომელიც მონარჩენ ბეწვს ამუშავებდა, შემდგომში ეს საწარმო ქეჩის ფაბრიკად იქცა. მან 1889 წელს ტყავის ქარხანაში დამხმარე განყოფილების სახით ქეჩის საამქრო დააფუძნა. ეს უკანასკნელი 1892 წლიდან დამოუკიდებელ ფაბრიკად იქცა. საამისოდ ხელსაყრელი პირობებიც არსებობდა. ჯერ ერთი ნედლეული, პირველ რიგში მატყლი, ბევრი და შედარებით იაფი იყო, მეორეც ქეჩის ნაწარმზე კავკასიაში დიდი მოთხოვნილება არსებობდა. ჩ.ადელხანოვმა ქეჩის ფაბრიკა საუცხოოდ აღჭურვა და იქვე მატყლის სარეცხი საამქროც გამართა. ფაბრიკის მანქანა-იარაღების, ინვენტარის, სხვა მოწყობილობებისა და ნაგებობების საერთო ღირებულება 178 600 მან. უდრიდა [136, 259].

ადელხანოვის ქეჩის ფაბრიკის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 261)

წელი	მუშათა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (მანეთებში)
1894		220 000
1898	90	348 000
1900	170	325 594
1902	209	513 573
1908	87	203 570
1913	90	218 000

1900 წლისათვის ადელხანოვის ქეჩის ფაბრიკაში 170 მუშა იყო დასაქმებული. იგი მთლიანად მექანიზებული იყო და ფართო ასორტიმენტის ნაწარმს ამზადებდა, დაწყებული უხეში ქეჩით (სამშენებლო საჭიროებისათვის), ნაბდით თუ მაუდის ახალი თხელი ქსოვილებით (ქალებისა და ოფიცრების ზედა ტანსაცმლისათვის) დამთავრებული. საზოგადოების მთავარი დამკვეთი სამხედრო უწყება და სამხრეთკავკასიის სახაზინო რკინიგზა იყო, რომელთაც აწვდიდნენ ყველაფერს იმას, რასაც ჯარი და რკინიგზის მომსახურე პერსონალი იცვამდა: დიდი რაოდენობით ფარაჯებს, თბილ ნაბდის ფეხსაცმელებს, ქუდებს, ყაბალახებს და ა.შ. ბაზარზე გადიოდა ფირმის მიერ გამოშვებული ქალის პალტოები, სხვადასხვა ზომისა და სახის თბილი ფეხსაცმელი, ხალიჩები, ნაბდები და სხვ. სამშენებლო ქეჩაც დიდი რაოდენობით მზადდებოდა. ნაწარმი თავისი გამძლეობით მომხმარებლის მოწონებას იმსახურებდა და საღდებოდა მთელი იმპერიის მასშტაბით, სახელდობრ ქალაქებში: თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში, სუვალკში, სიმბირსკში, ქერჩში, ტაშკენტში, ბელოსტოკში, მინსკში, ეკატერინოსლავში, აშხაბადში, ტიხორეცკში, ეკატერინბურგში, ერევანში, ეისკში, მოზდოკში, ხერსონში, ვლადიკავკაზში, ნიჟნი ნოვგოროდში, ირკუტსკში, არმავირში და სხვაგან [136, 260].

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ქვეყანაში საფეიქრო მრეწველობის განვითარებას ერთგვარი სტიმული მისცა, მოთხოვნილება საფეიქრო მრეწველობის სამამულო ნედლეულზე გაიზარდა. სამხედრო უწყება ომის დაწყებისთანავე დაინტერესდა საქართველოში მოქმედი საფეიქრო საწარმოებით. 1914 წლის 25 სექტემბერს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ დასახელებული დარგის საწარმოებზე ზუსტი ცნობების მიწოდება მოითხოვა. მოთხოვნილება გაიზარდა მატყლზე, განსაკუთრებით მაუდზე. გ..ადელხანოვის ფაბრიკამ მიიღო სამხედრო შეკვეთები, გადავიდა ორცვლიან სამუშაოზე, მუშათა რიცხვი 78-დან 112 კაცამდე გაიზარდა. 1914 წელს ფაბრიკა ამზადებდა ჯარისკაცის მოკლე ფარაჯებს, თექის ნაწარმს, თეთრეულს. გარდა ამისა, ფაბრიკას ჰქონდა კერძო დაკვეთებიც ნაბდებზე, თექის ფეხსაცმელებზე და სხვ. ფაბრიკაში ყოველწლიურად ღებულობდნენ დაახლოებით 20 ტონა გაურეცხავ მატყლს დაღესტნიდან, თითოეულ ფუთს 10 მანეთად. საწარმოში მოქმედებდა ნავთობით მომუშავე ძრავა, სამი ორთქლის ქვაბი, ერთი ნობელის ტიპის 12

ცხ.ძალიანი ორთქლის მანქანა. 1914 წლის ოქტომბრის ბოლოს ფაბრიკაში 140 მუშა იყო დასაქმებული. ფაბრიკამ სამხედრო უწყების ნდობა დაიმსახურა და დიდ სამხედრო დაკვეთებს ღებულობდა. 1915 წლისათვის მან წარმოება 25%-ით გაადიდა [227, 44].

წელი	დასაქმებულთა რაოდენობა	მუშათა წლიური ხელ-ფასი (ათას მან.)	გამოშვებული პროდ.რაოდენობა (ათას მან.)
1915	166	102 855	–
1916	291	–	127 153

მასალა მოცემულია წიგნიდან: ფარსადანიშვილი ა. „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატ 1914-1917 წლებში". თბ. 1974. გვ.45

მეცხვარეობის ფართოდ განვითარება და ქართული ცხვრის მატყლის საუცხოო თვისებები უძველესი დროიდანვე ხელს უწყობდა მრავალფეროვანი ქსოვილების დამზადებას საქართველოში. ჯერ კიდევ 1803 წელს საქართველოს მთავარმართებელმა, გენერალმა **პავლე ციციანოვმა** თხოვნით მიმართა პეტერბურგს საქართველოში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მაუდის ფაბრიკის მოწყობის თაობაზე. იმჯერად რუსეთის ხელისუფლებამ ნაადრევად მიიჩნია ასეთი ინიციატივა, რადგან მას არ აწყობდა მრეწველობის ამ დარგის განვითარება საქართველოში, რადგან იგი დიდ კონკურენციას გაუწევდა რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში მოქმედ მაუდის ფაბრიკებში წარმოებულ პროდუქციას.

1828 წელს თავრიზიდან თბილისში ჩამოვიდა გერმანელი სპეციალისტი **იოჰან გეხლერი**. მას ადგილობრივი მთავრობისათვის წინადადება მიუცია, რომ თანახმა იქნებოდა 400 მან. წლიურ გასამრჯელოდ ემუშავა მთავარ ოსტატად სახაზინო მაუდის ფაბრიკაში, თუ ხაზინა ისურვებდა ასეთი წამოწყების მოწყობას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თვითონ კისრულობდა მაუდის ფაბრიკის მოწყობას, ოღონდ მთავრობისაგან ითხოვდა სესხს 3 წლით 700 (ან სხვა ცნობით 1000) მანეთის ოდენობით. იგი კისრულობდა ვალი ხაზინისათვის საფარაჯე მაუდის მიწოდებით დაეფარა არშინზე 80 კაპ. კვალობაზე. მთავრობამ მას წინადადება წაუყენა, რომ სესხს იმ შემთხვევაში მისცემდა, თუ საწარმოს ეკატერინოფელდის კოლონიაში ააშენებდა. (ამ საქმის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია) [196, 103].

XIX საუკუნის 40-იან წლებში სამხრეთ კავკასიაში დამზადებული მატყლი ოდესის, მოსკოვის და ლონდონის ბაზრებზე მოხვდა და შეფასდა 4-ჯერ უფრო ძვირად, ვიდრე იგი ღირდა შიდა ბაზარზე. ქართული ნედლეულის მაღალმა ხარისხმა, როგორც ჩანს, ძალზე დააინტერესა უცხოელი მეწარმეები. 1852 წელს წარმოშობით პრუსიელმა მეწარმემ კარლ მეიცნერმა მეფისნაცვალ ვორონცოვს თბილისში მაუდის ფაბრიკის მოწყობის კონდიცია წარუდგინა. ფაბრიკის ასაშენებლად საჭირო ტერიტორია თავ.ანდრეევსკის საკუთრება

ქალი საქსოვით
წყარო: საქართველოს
პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა
„ივერიელი“

იყო, ამიტომ მეიცნერმა მიწის მესაკუთრესთან 12 წლის ვადით საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა (150 მან.საფასურად წელიწადში). საიჯარო შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ, საფაბრიკო ნაგებობები უნდა გადასულიყო მიწათმფლობელის ხელში (თუ ახალი ხელშეკრულება არ გაფორმდებოდა), ხოლო მანქანა-დანადგარები მეწარმის საკუთრებაში რჩებოდა. მეფისნაცვალ ვორონცოვის მხარდაჭერის შემდეგ გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება, რომელმაც განსაზღვრა ორმხრივი ვალდებულებები: მეიცნერი არწმუნებდა მთავრობას, რომ ერთ წელიწადში მოაწყობდა ფაბრიკას და დაამზადებდა ხარისხიან მაუდს კავკასიაში მდგომი რუსული ჯარისა და ჰოსპიტალებისათვის. იგი ვალდებულებას იღებდა, რომ ფასიც ხელსაყრელი იქნებოდა (2-კაპიკით ნაკლები საბაზრო ფასთან შედარებით). მეიცნერის გეგმით, წარმოების პროცესი მანქანური უნდა ყოფილიყო, რომელთაც მოძრაობაში მოიყვანდა მდინარე ვერეს წყალი. ფაბრიკის მოწყობის ადგილი შემთხვევით არ იყო შერჩეული-სოფელ დრეში უნდა გაევლო იალაღებზე მიმავალ ცხვრის ფარებს, სადაც მოხდებოდა ცხვრის გაკრეჭვა, მატყლის გარეცხვა და დახარისხება. ყოველივე ეს დიდ ეკონომიკურ დანაზოგებს მისცემდა წარმოებას. სრული დატვირთვის პირობებში ფაბრიკაში

უნდა ემუშავა 269 კაცს. კარლ მეიცნერი მეფის მთავრობას სთხოვდა უპროცენტო სესხს 15 000 ვერცხლის ოდენობით, რომელიც დააკამაყოფილეს.

1852 წელს, სათანადო დაფინანსების მიღებისთანავე, მეიცნერი მოსკოვში გაემგზავრა ნარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების შესაძენად. მეწარმე იმავე წელს დაბრუნდა, ჩამოიტანა სათანადო მანქანები და თან ამ საქმის სპეციალისტებიც ჩამოიყვანა; ფაბრიკაში დამონტაჟებული იყო 9 ხელით სამართავი დგამი და 2 მექანიკური, ანუ ეს იყო მანუფაქტურული და ფაბრიკული წარმოების სინთეზი. მალე გამოირკვა, რომ მეიცნერის მიერ შედგენილი ხარჯთაღიცხვა არ იყო რეალური, ჩამოტანილი დაზგა-დანადგარების მონტაჟი ბევრად უფრო ძვირი დაჯდა, ვიდრე ამას მეწარმე ვარაუდობდა. მთავრობამ მეწარმეს მეთვალყურეც დაუნიშნა-განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე **ილიაშევიჩი,** რომელმაც ეჭვი შეიტანა მეწარმის პატიოსნებაში. მან შეატყობინა ვორონცოვს, რომ მეწარმემ ფაბრიკაზე უკვე დახარჯა ხაზინიდან გაცემული ყველა რესურსი, მაგრამ მისი საბოლოოდ დამთავრებისათვის კიდევ იყო საჭირო 13 000 მან, რაც მეიცნერს აღარ ჰქონდა. ამას ემატებოდა ფაბრიკის მუშებისათვის გასაცემი ხელფასი. ამ დარღვევების გამო მეიცნერი საქმეს ჩამოაშორეს.

1853 წელს მაუდის ფაბრიკის მშენებლობა თბილისში დამთავრდა, მაგრამ საჭირო იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლების შესრულება, კერძოდ ის, რომ ხაზინას უნდა მიეღო ფაბრიკის მიერ ნარმოებული მაუდი რუსეთის არმიისათვის. ამიტომ 1853 წელს მეფისნაცვალმა ვორონცოვმა მოითხოვა ეს ნებართვა. რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრმა კი ეს თანხმობა არ მისცა, რადგან ეს გადაწყვეტილება ზიანს მიაყენებდა რუსეთის მაუდის მრეწველობას, რომელიც უკვე ამარაგებდა არმიას სათანადო პროდუქციით. ასეთი ნებართვა ფაბრიკამ ვერც მომდევნო წლებში მიიღო, ამიტომ შეკვეთების უქონლობის გამო მრეწველობის ეს დარგი განწირული აღმოჩნდა.

1856 წელს ფაბრიკა ახალმა მეფისნაცვალმა **მურავიოვმა** დაათვალიერა და მიიღო გადაწყვეტილება კერძო მესაკუთრისათვის მიეყიდა იგი, მაგრამ მსურველი არავინ გამოჩნდა. მოგვიანებით კონტრაქტის საფუძველზე იგი გადაცა **ფრანგ რიშონიეს,** რომელმაც არსებულ პრობლემებს თავი ვერ გაართვა და საწარმომ არსებობა შეწყვიტა.

გ.ადელხანოვის მსგავსად, ტყავის ქარხნებთან ქეჩის საწარმოები გახსნეს **ა.ზარგარიანცმა** და **ფ.ვართაზარიანცმა,** მხოლოდ მასშტაბები იყო შედარებით მოკრძალებული. 1916 წელს ფაბრიკის მუშათა რიცხვი 18 მუშამდე გაიზარდა, საწარმომ 247 400 მან. პროდუქცია დაამზადა [227, 45].

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მატყლის სართავი ფაბრიკა ერთი გამართული იყო თბილისში, **თბილისის შინათმრეწველობის კომიტეტის** მიერ და მეორე **ძმათა მთვარაძეების** მიერ თბილისშივე. ორივე ამ ფაბრიკის წარმოება ერთად არ აღემატებოდა წლიურათ 5 000 ფუთს ძაფი მიდიოდა უმთავრესად სოფლად, სადაც ამზადებდნენ ჩვენებურ მაუდს (შალსა) და აგრეთვე ხმარობდნენ სხვადასხვა საოჯახო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად [113, 95].

მინის წარმოება საქართველოში (XIX ს. XX ს-ის დასაწყისი)

მინის (შუშის) წარმოება სამხრეთ კავკასიაში მჭიდროდ უკავშირდება მეღვინეობის განვითარებას. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო იმპერიის ცენტრალური გუბერნიების ქართული ღვინით მომარაგებით, მაგრამ ამას ხელს უშლიდა ორი გარემოება: ცუდი სამიმოსვლო გზები და სატრანსპორტო ჭურჭლის უქონლობა. რუსეთიდან საქართველოში შუშის ნაწარმის შემოტანა რთულდებოდა მისი მტვრევადობისა და ტრანსპორტის სიძვირის გამო. ადგილობრივი ტიკები რუსეთში ღვინის გასატანად უვარგისი იყო, რადგან ღვინოს ხარისხს უკარგავდა, ამიტომ მთავრობა დაინტერესებული იყო საქართველოში მინის ჭურჭლისა და კასრების წარმოებით.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მინის ჭურჭელზე დიდი მოთხოვნილება გაჩნდა, რასაც ადასტურებს მისი საკმაოდ მაღალი ფასები. უბრალო ბოთლი რუსეთში ღირდა 6-8 კაპიკი (სპილენძით), ხოლო თბილისში იგი იყიდებოდა 10, 20, 25 კაპიკად (ვერცხლად) და მისი დეფიციტი საგრძნობი იყო. ჩგარდა ამისა, მინის ჭურჭელს საჭიროებდა არმია და სახაზინო აფთიაქი, რომელთა მომარაგება რუსეთიდან ჭირდა.

1821 წელს გენერალ მაიორმა თავდმა ერისთავმა ქსნის ხეობაში მოაწყო მინის ქარხანა, გამოიწერა საამისო ოსტატი, სათანადო მოწყობილობით, მაგრამ ეს საქმე მაშინ მარცხით დამთავრდა, რადგან მეწარმეებმა არ იცოდნენ წარმოების საქმე და თანაც მთავრობის მხრივ მხარდაჭერა ვერ ჰპოვეს [52, 152].

მეწარმეობის ამ დარგის განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე, რუსმა მოხელეებმა აცნობეს იმპერიის ხელისუფლებას რუსეთში, რომ აქ მინის საწარმოს მოწყობა სავსებით შესაძლებელი იყო და მოითხოვეს სათანადო სპეციალისტების გამოგზავნა. ჯერ გენერალი **მარკიზ პაულუჩი** 1811 წლის 9 დეკემბერს, შემდეგ **გენერალი ერმოლოვი** 1816 წლის 31 დეკემბერს აყენებდნენ საკითხს საქართველოში მინის ქარხნის მოწყობის შესახებ. მარკიზ პაულუჩი ითხოვდა რუსეთიდან ოსტატი გამოეგზავნათ მინის ქარხნის მოსაწყობად. ჩენერალი ერმოლოვი გურევს აცნობებდა, რომ საქართველოში მინის ქარხნის მოწყობა შესაძლებელიც არის და სარგებლობის მომტანიც. ქართველი მეფეების დროს იყო ამ ქარხნების მოწყობის ცდები, მაგრამ მათ ხელი შეუშალა ოსტატების უყოლობამ. ამ საქმისათვის საჭირო მასალა საქართველოში ბლომად მოიპოვება. ქვანახშირიც ბევრია, მინაბროლის მოთხოვნა საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად ირანში-დიდია. თვით საქართველოში უბრალო ბოთლი 20-25 კაპ. ვერცხლი ღირს. დიდია მოთხოვნა სარკეებზე, რომლებიც აქ სახლების მორთულობის საგანს წარმოადგენს. მომხმარებლები დაკვეთებს პეტერბურგში აძლევენ. კარგი იქნება თუ სახაზინო ქარხანას მოვაწყობთ, თუ არა კერძო ქარხნებსაც შეუძლია ფული გარედან მოიზიდოს, რაც სახელმწიფოსთვის სასარგებლოა [245, 359].

ინგლისელმა მოგზაურმა **რობერტ ლაიელმა** 1822 წელს იმოგზაურა თბილის-

ში, რის შესახებაც იგონებს: „სახლები და მათი კედლები ნაშენია განიერი, ბრტყელი აგურით, ხშირად ჩვეულებრივი ქვების შერევით, ან ფენა-ფენად. გარდა საუკეთესო სახლებისა, არა აქვთ შემინული ფანჯრები. მინის მაგიერ ხმარობენ ჩვეულებრივს, ან გაქონილ ქაღალდს, რადგან მინა ძალზე ძვირია და საქართველოში არ არსებობს მინის ქარხნები" [46, 322].

1828 წელს პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა **ივანე ლევაშოვი** სპეციალური ინსტრუქციით, რომ საქართველოში უნდა მოწყობილიყო მინის ქარხანა, რომელიც დაამზადებდა თეთრ და ნახევრადთეთრ ჭურჭელს, ბოთლებს და საფანჯრე მინას. იმავე წელს მან მოინახულა ბორჩალოსა და ყაზახის პროვინციები, სიღნაღის, თელავის, გორის მაზრები, იმერეთის რაიონები და ამ საქმის წამოწყებისათვის ყველაზე ხელსაყრელად მიიჩნია ბორჯომის ხეობა, რომელიც გამოირჩეოდა სანიმუშო ადგილმდებარეობით, კლიმატით, ქვიშით, კარგი ღირსების თიხით და მდიდარი სახაზინო ტყით. წინააღმდეგობას ქმნიდა ის ფაქტი, რომ ამ ტყეზე პრეტენზიას თავადები ავალიშვილები და აბაშიძეები აცხადებდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ მათი პრეტენზიები უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან, მისი განცხადებით, ტყე რუსთა ჯარის მიერ ბრძოლით იქნა მოპოვებული და ამიტომ რუსეთის ხაზინის საკუთრება იყო [68, 29-39].

ივანე ლევაშოვს მინის ქარხნის მოსაწყობად რუსეთიდან გამოუგზავნეს მოადგილე და 6 ოსტატი. მან შეადგინა ხარჯთაღრიცხვა და ხაზინას მოსთხოვა 28 850 მანეთი. ხაზინამ ეჭვქვეშ დააყენა ანგარიშთა სიზუსტე და თანხის გაცემაზე უარი განაცხადა. ამავე დროს აღნიშნულ ტყეზე მიწისმფლობელები კვლავ დავობდნენ, რაც, ალბათ, გახდა კიდეც სახაზინო მინის ქარხნის მოუწყობლობის მიზეზი. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა **ზავილეისკიმ** ივანე ლევაშოვი თავისთან მიიწვია კერძო მინის ქარხნის მოსაწყობად. ბორჯომში მინის ქარხნის მშენებლობისათვის ზრუნვას იგი 1828 წლიდან შეუდგა. მალე ქარხანა გადატანილ იქნა ანყურში, სადაც კარგი ხარისხის ნედლეული მოიპოვებოდა [136, 299].

ამისათვის ზავილეისკიმ ახალციხის მაზრაში თავად ლევან აბაშიძისაგან შეიძინა საკმაოდ დიდი ტყის მასივი, სადაც წლის ბოლომდე გამართეს კიდეც მინის ქარხანა, ერთ-ერთი პირველი მანუფაქტურა საქართველოში. 1834 წელს ზავილეისკიმ რუსეთიდან ჩამოიყვანა ოსტატები: **ჟუკოვი, ბობიკოვი, ვესელოვსკი და პავლოვი** და პეტერბურგიდან ჩამოატანინა ჰოლანდიური მინის სადნობი ღუმელი. საწარმოს **„პეტროვსკის მინის ქარხანა"** ერქვა. ეს იყო ქვის შენობა, რომელიც შედგებოდა მინის სადნობისაგან, სამეთუნეოსაგან, საწყობისა და ოსტატების საცხოვრებლისაგან. საწარმოს ზედამხედველობას უწევდა ზავილეისკის ბიძაშვილი, ხოლო წარმოების ერთ-ერთი მონილე იყო შტაბსკაპიტანი თავადი **ლევან აბაშიძე**. მშენებლობის ხარჯებმა შეადგინა 14 576 მანეთი, ხოლო 1 წლის ხელფასმა, ნედლი მასალის და სხვა ხარჯებმა 14 535 მანეთი;

წარმოებას პირველივე წელს სარეალიზაციოდ უნდა მიეცა 28 850 მან. შუშეული; დიდი ცდების შემდეგ, საწარმომ 1839 წელს შედარებით უკეთესი ხარისხის პროდუქცია მიიღო. ამ წელს დამზადეს 20 000 მან. ღირებულების 42 000 ცალი სხვადასხვა დანიშნულების მინის ჭურჭელი. მინის წარმოებისათვის **ქ.ბელევიდან (ტულის გუბერნია)** გამოიწერეს ცეცხლგამძლე თიხა, ქვიშა

მოჰქონდათ სურამიდან, ერევნის სოდა-თბილისიდან, მარილი-**კულპის ქარხნიდან**, ნაცარსა და კირს თვით ადგილზე ქარხანასთან წვავდნენ. ქარხანა ამზადებდა მრავალგვარ ბოთლს, ტოლჩას, სხვადასხვა სიდიდის ჩაფებს, ქილებს, სააფთიაქო ჭურჭელს, სამელნეებს, ტაშტებს, პირსაბნებს და სხვ. გამოშვებულ პროდუქციას განსხვავებული ფასები ჰქონდა:

„ფრანგული ბოთლი" ღირდა 5 კაპიკი.

„შამპანურის ბოთლი" 7 კაპიკი, ხოლო

ჩაფები 10-დან 40 კაპიკამდე და ა.შ.

რამდენიმე თვეში ლევაშოვს ჯერ თანაშემწე გარდაეცვა, მალე თვითონაც დაიღუპა, ადგილობრივმა მუშებმა კი დროის ამ მოკლე პერიოდში ვერ შეძლეს ხელობის სათანადოდ შესწავლა. ყველაფერმა ამან გავლენა იქონია წარმოების პროცესზე. გამოდიოდა მდარე ხარისხის პროდუქცია-შავი შუშეული, მსგავსი მოჭიქული თიხისა, რომელიც ბაზარზე ვერ პოულობდა მომხმარებელს. წარმოების არარენტაბელურობამ იგი დროებით შეაფერხა. მოგვიანებით ქარხანა გადაიტანეს აწყურში, მტკვრის ნაპირას, სადაც აღმოაჩინეს კარგი ხარისხის ნედლეული, მაგრამ წამოწყებულ საქმეს ვერც ამან უშველა. 1840 წლის აგვისტოში საწარმოს მეპატრონემ ზავილეისკიმ მთავარმართებელ გოლოვინს სთხოვა მისი მინის ქარხანა ხაზინას შეესყიდა 20 000 მანეთად, რადგან კერძო პირს გაუჭირდებოდა მისი მართვა. ხაზინამ უარი განაცხადა ამ შეთავაზებაზე. მეწარმეებმაც, თავის მხრივ, შეუძლებლად ცნეს წარმოების გაგრძელება და აწყურის მინის ქარხანა 1840 წლის ბოლოს დაიხურა [52, 155].

1841 წელს აწყურის ქარხნის დახურვის შემდეგ, **ტიტულიარნი სოვეტნიცა იშხნელმა** თბილისში მოაწყო მინის ქარხანა. დაქირავებული ჰყავდა ერთი ოსტატი და ადგილობრივი მუშახელი. რა პროდუქციას უშვებდა ეს საწარმო, ან რა ბედი ეწია მას შემდგომში, ამის შესახებ სათანადო მასალები არ მოგვეპოვება. ჩანს, რომ საწარმო მალევე დახურულა საწარმოო პროცესის ჩაშლის ან კონკურენტუუნარობის გამო [132, 184-190].

XIX საუკუნის საქართველოში მინის წარმოების ჭეშმარიტი თაოსანი გახდა გორის მაზრის მემამულე **თავადი ელიზბარ ერისთავი**. მისი უშუალო თანაშემწე საწარმოს მოწყობის საქმეში **თავადი დიმიტრი ერისთავი** იყო. ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი დაიბადა 1808 ან 1810 წელს გორში. სამხედრო განათლების მისაღებად გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც წარმატებით დაეუფლა სამხედრო ხელოვნებას. 1869 წელს იგი იყო გორის მაზრის უფროსი. არ ვიცით მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი. სხვდასხვა ცნობის მიხედვით იგი გარდაიცვალა 1870, 1871 ან 1872 წელს. დაუსაფლავებიათ გორის საკრებულოს ტაძარში-„ოქონაში". ერისთავებს ამ საქმეში ტრადიცია და გამოცდილებაც ჰქონდათ. გადმოცემით, სოფ. ღვარებში მათ წინაპრებსაც მოუწყვიათ მინის წარმოება XVIII საუკუნეში. ელიზბარ ერისთავმა კარგად გაითვალისწინა წინამორბედთა შეცდომებიც და პროდუქციაზე არსებული დიდი მოთხოვნილებაც. მას აუცილებლად ეცოდინებოდა, რომ ჯერ კიდევ 1821 წელს გენერალ-მაიორმა თავადმა ერისთავმა ქსნის ხეობაში მოაწყო მინის ქარხანა, გამოიწერა სათანადო მოწყობილობები და მოიწვია ოსტატებიც, მაგრამ კრახი განიცადა [132, 184-190].

1842 წელს ელიზბარ ერისთავმა მინის ქარხანა მოაწყო თავის მამულში,

სოფელ ღვარებში (გორის მაზრა), მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ეს ადგილი მდიდარი იყო წყლითა და ტყით. გორიდან ხიდისთავს რომ ახვალთ და ატენს გასცდებით, მარჯვნივ გადაუხვევთ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, გაივლით წედისს, ბნავს, ოლოზს და ხეობაში ღრმად შესული მიადგებით სოფელ ღვარებს. ეს ათრევის ხეობაა. ათრევა ჰქვია თითქმის უჩინარ, ანკარა ღელეს, რომელმაც ზაფხულობით იცის გადარევა. აქედან ხელის გაწვდენაზეა ბაკურიანი. ერთი სიტყვით, გასცდებით ოლოზს და სოფელი ღვარებიც იქვეა, უფრო ახლო კი ბატონიანთ ბაღია ლოყაწითელა ვაშლებით დახუნძლული, ნაქარხნალია-შუშის ნამცეცებით მოფენილი, მთებია-სილიკატუტი ქვიშით სავსენი. აქ იდგა ელიზბარ ერისთავის მიერ აგებული შუშის ქარხანა, რომელიც მთელ ამიერკავკასიას ამარაგებდა თავისი ნაწარმით. საუკუნე დასჭირდა ყველაფრის ძირფესვიანად განადგურებას. შუშის ნამცეცებიღა მიგვანიშნებს, რომ აქ ოდესღაც მთელი მრეწველობა იყო გამართული, ათასობით მუშა ჭიანჭველასავით ირეოდა [7, 195-196].

ელიზბარ ერისთავი
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

როგორც ზავილეისკის, ასევე ერისთავის მინის ქარხანა „პეტროვსკის„ სახელს ატარებდა. ქქარხანამ მუშაობა დაიწყო 1843 წელს. იგი აწარმოებდა მხოლოდ მწვანე ბოთლებს (შუშებს) ღვინისა და სააფთიაქო საჭიროებისათვის, თუმცა პროდუქცია დაბალი ხარისხისა იყო. ელიზბარ ერისთავმა მოიწვია ოსტატები, გამოიწერა 1 000 ფუთი ცეცხლგამძლე თიხა ტულის გუბერნიიდან (ქ.ბელევიდან), რაც მას დაუჯდა ფუთი 3 მანეთი. ყველაფერმა ამან წარმოება რენტაბელური გახადა. იმავე დროს მათი პროდუქციის შეძენის სურვილი გამოთქვა საინჟინრო უწყებამ, რომელმაც

1842 წელს ქარხანას შეუკვეთა 2 514 მანეთის პროდუქცია,

1843 წელს-1 130 მანეთის პროდუქცია,

1844 წელს-4 047 მანეთის პროდუქცია.

1844 წლიდან ელიზბარ ერისთავს ხელისუფლებამ მიანიჭა თბილისის საათადარიგო აფთიაქის მინის ჭურჭლით მომარაგების პრივილეგია (აფთიაქს მანამდე ამარაგებდნენ მოსკოვიდან). ამ შეთავაზების შემდეგ, სოფელ ღვარების

შინის ქარხნის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა და მოგებამაც არ დააყოვნა. იმავე წელს მეწარმეებმა ხაზინისაგანაც მიიღეს დახმარება, 3 000 მან. სესხად, რაც ქარხნის მოდერნიზებისათვის იყო განკუთვნილი. 1845 წელს ელიზბარ და დავითბერი ერისთავებმა მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს მეფისნაცვალ ვორონცოვს, რომელშიც ისინი ასაბუთებდნენ მათი საწარმოს დიდ სარგებლიანობას, შინის ქარხნის არსებობას აუცილებლობად თვლიდნენ და დასძენდნენ, რომ ბოთლი, რომელიც ღირდა 15-20 კაპ. ქარხნის მოწყობამდე, წარმოების ვამართვის შემდეგ იყიდებოდა 8 კაპიკად. გარდა ამისა, საფანჯრე მინებით სავსე ყუთს 200 ცალი მინით (რომელშიც ხშირად ნახევარი დამტვრეული იყო) ვაჭრები ყიდდნენ 30 მანეთად, ჩვენ კი ასეთივე ყუთს მთელი მინებით ვყიდით 20 მანეთადო. მრეწველები ითხოვდნენ სახაზინო აფთიაქსა და საინჟინრო უწყებას მათთვის გადაეცა ის ორი წლის თანხა, რომელიც მათ უნდა გადაეხადათ რუსეთიდან სხვადასხვა მინეულის ჩამოტანისათვის. სამაგიეროდ, ერისთავები ვალდებულებას იღებდნენ ბევრად ნაკლებ ფასში მიეყიდათ მინის ნაწარმი აფთიაქისა და საინჟინრო უწყებისათვის. ერისთავების თხოვნა დააკმაყოფილეს [77, 186-193].

1846 წელს ელიზბარ ერისთავმა დამატებით მოითხოვა ხელშეკრულების დადება 3 წლით. მას თბილისის სახაზინო აფთიაქისათვის უნდა მიეწოდებინა მინის ჭურჭლეული, ხოლო ხაზინას ამ 3 წლის განმავლობაში გასაცემი თანხა ერთიანად უნდა მიეცა მეწარმისათვის (ეს თანხა შეადგენდა 2 158 მანეთს). მხარეები შეთანხმდნენ-ხელშეკრულების თანახმად, ქარხანა აფთიაქს აწოდებდა სხვადასხვა სახისა და ხარისხის მინის ჭურჭლეულს: თეთრ და მწვანე ცილინდრულ ქილებს, ძაბრებს, მენზურებს (საწყვისებს), ცილინდრულ შუშებს, ბოთლებს, ამბუხებს, ყოლბებს, როდინებს და სხვ. [52, 151-165].

1847 წელს თვით მთავრობამ სთხოვა ერისთავებს მინის ჭურჭლეული დაემზადებინათ სტავროპოლის სახაზინო აფთიაქისთვის. მრეწველებმა თანხმობა განაცხადეს, მაგრამ მოითხოვეს შეკვეთის თანხის – 3 750 მანეთის წინასწარ გადახდა. ვორონცოვმა თავისი მოხელეები გაგზავნა ქარხნის შესამოწმებლად. ქარხანა იმდენად კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მთავრობას დიდხანს აღარ უყოყმანია, მეწარმეებს აღნიშნული თანხა გადასცეს და სტავროპოლის სახაზინო აფთიაქის მომარაგებაც ერისთავების მინის ქარხანამ დაიწყო.

ქარხნის წარმატებებით ნახალისებულმა მეწარმეებმა განიზრახეს ფაიფურის ფაბრიკის მოწყობაც. 1846 წელს დ.ერისთავმა ამ საქმისათვის მთავრობისაგან მოითხოვა 10 წლიანი პრივილეგია. მეწარმეებს ასეთი საწარმოს მოწყობა საჭიროდ მიაჩნდათ, რადგან რუსეთიდან ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ფაიფურის ჭურჭელი შემოდიოდა საქართველოში. მისი შემოტანა კი თვით ჭურჭლის ფასი ჯდებოდა. მთავრობამ ნება კი დართო მოეწყოთ ფაიფურის ფაბრიკა, მაგრამ პრივილეგიების მიცემაზე უარი განაცხადა, ამიტომ მეწარმეებმა ვეღარ გაბედეს ამ საქმიანობის წამოწყება.

საქართველოს საარქივო ფონდებში დაცულია 1847-1848 წლებში ღვარების მინის ქარხნის აღწერილობა: იგი მოწყობილი იყო ერთ დიდ ხის შენობაში, სადაც იდგა 12 ღუმელი, მათ შორის 1 სადნობი, 1 მინის გასაწმენდი, 4 დიდი საწრთობი, 2 პატარა საწრთობი, 1 გამოსაწვავი და 1 სამასალო ღუმელი. მინ-

ის წარმოებისათვის იყენებდნენ თიხას, სოდას, პოტასიუმს (კალაქვა), სილას, ნაცარს და შაბს. 1848 წლიდან ელიზბარ ერისთავმა, ვორონცოვის დახმარებით, თიხის შემოტანა დაიწყო ყუბანის ნაპირებიდან. ეს პროცესი მას უჯდებოდა 1 ფუთი მხოლოდ 80 კაპიკი, რაც ძალზე იაფი იყო. მეწარმემ ასევე მოიწვია ინჟინერ-ტექნოლოგი **ბიხოლდტი.** მეპატრონისა და ინჟინერის მიერ წარმოებული მრავალრიცხოვანი ცდების შემდეგ პოტასიუმისა, აქაური სოდისა და გლაუბერის მარილის გამოყენებით მიიღეს ძალიან მაღალი ხარისხის საფანჯრე მინა. ქარხანაში დამზადებული კვადრატული არშინა მინა ღირდა 1 მან. 40 კაპ. ბოთლები და სხვადასხვა სიდიდის ჭურჭლეული ბაზარზე იყიდებოდა 10 კაპიკიდან 2 მანეთამდე. ამ პერიოდში საწარმო ამზადებდა 50 000-მდე ცალ მინის ნაკეთობას, რომლის ღირებულება საშუალოდ 7 500 მანეთამდე აღწევდა. ქარხანაში მუშაობდა 21 კაცი.

1849 წელს გაზეთი „კავკაზი" წერდა: „В селении Гвареби, на правом берегу Куры, действует с успехом стеклянный завод, который снабжает целый край бутылками, аптечною посудой и оконными стеклями. Завод этот принимает теперь обширные размеры." [316].

ელიზბარ ერისთავმა მრავალრიცხოვანი ცდები ჩაატარა უკეთესი, თეთრი საფანჯრე მინის მისაღებად. შედეგმაც არ დააყოვნა და 1853 წელს მათ მაღალი ხარისხის კარგი საფანჯრე მინის ნიმუშები წარუდგინეს ვორონცოვს. მეწარმე აღფრთოვანებული იყო წარმატებებით და სურდა ხელი მოეკიდა საფანჯრე მინის ფართო წარმოებისათვის, მაგრამ ამ დროს დაიწყო ყირიმის ომი (1853-1856)- ელიზბარ ერისთავი, როგორც სამხედრო პირი, ომში გაიწვიეს, რამაც იგი მოსწყვიტა საყვარელ საქმეს. ომის პერიოდში ქარხანა აწარმოებდა მხოლოდ მინის ჭურჭლეულს.

1855 წელს, გაურკვეველი მიზეზით, ღვარების მინის ქარხანა დაიწვა. ხანძარმა გაანადგურა არა მხოლოდ ქარხანა, არამედ 3 000 მანეთის ღირებულების მზა ნაწარმიც. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ყირიმის ომიდან თავის მამულში დაბრუნებულმა ელიზბარ ერისთავმა ხელი მოკიდა და კვლავ აღადგინა მინის ქარხანა.

1856 წელს საწარმომ გამოუშვა 9 500 მანეთის პროდუქცია;

1857 წელს-9 750 მან. პროდუქცია;

1858 წელს-10 000 მან. პროდუქცია;

1860 წელს-10 000 მან. პროდუქცია;

1870 წელს-16 000 მან. პროდიქცია;

ღვარების მინის ქარხანა აღდგენის შემდეგაც ამარაგებდა თბილისის, სტავროპოლის და მთელი კავკასიის სახაზინო აფთიაქებს. ხარჯების გამოკლებით, წელიწადში მეწარმის წლიური მოგება შეადგენდა 4 000 მანეთს.

დაცულია ინჟინერ ბიხოლდტის მიერ 1864 წელს ჩატარებული ღვარების მინის ქარხნის დეტალური აღწერა:

– საქარხნო შენობები, მდინარე ღვარების მარჯვენა ნაპირას, გაკეთებული იყო მთლიანად ფიჭვის და ნაძვის ძელებისაგან. ქარხანას ჰქონდა 600 დესეტინამდე ტყე, რითაც უზრუნველყოფილი იყო საწვავი მასალით 25 წლის განმავლობაში.

– ქარხნის მთავარ შენობაში (სიგრძე-11, სიგანე-9 საჟენი) იყო მინის სადნობი 6 ტიგელიანი (დერგიანი) ღუმელი. მინის გამოდნობა გრძელდებოდა 36 საათი, ხოლო დამუშავება 12 სთ. ასე რომ, ორი კვირის განმავლობაში მზადდებოდა 600 ბოთლი (წუნის გამოკლებით), თითოეული ნონით 2,5 გირვანქა. სადნობ ღუმელთანვე იყო შეერთებული მასალის საშრობი ღუმელი., საშანდაკებელი და შეშის საშრობი ღუმელი, 2 გამოსაწვავი ტიგელი. ეს შენობა მის ინსტრუმენტებიანად შეფასებულ იქნა 4 000 მანეთად.

– ქარხანას ჰქონდა სათუნე განყოფილება, სადაც ცეცხლგამძლე თიხისაგან კეთდებოდა ტიგელები, აგური და სხვადასხვა ნაწილები შუშის სადნობი ღუმელისათვის. შენობის სიგრძე იყო 11, სიგანე 3 საჟენი. შენობაში იყო საშრობი ღუმელი, თიხის შესანახი და სარევი ხის ყუთები (როფები). შენობის გარეთ დაყენებული იყო წყლის თვალი, რომელსაც მოძრაობაში მოყავდა 3 სანაყველი, რაც საჭირო იყო თიხისა და სხვა მასალათა გასაფხვიერებლად. ქარხნის ეს განყოფილება შეფასდა 1 000 მანეთად.

– ნისქვილი და სამჭედლო- 300 მანეთად, ხოლო ძველი შენობა საფანჯრე მინების დასამზადებლად, სიგრძით 9, სიგანით 7 საჟენი-700 მანეთად, 2 სახლი (ერთი ბაღჩით), რომელშიაც ცხოვრობდა 3 ოსტატის ოჯახი-შეფასებულ იქნა 400 მანეთად, სამზარეულო და ფურნე მუშებისათვის- 500 მანეთად, ბეღელი მასალათა შესანახად- 300 მანეთად, სააფთიაქო ჭურჭლეულისათვის მინის თავსაცავთა საჩარხავი სახელოსნო, სადაც ცხოვრობდა 1 ოსტატი- 500 მანეთად, 2 ძველი სახლი შავ მუშათა საცხოვრებლად და 1 სახლი ზედამხედველის ბინისა და კანტორის სახით- 500 მანეთად, 1 გომური კამეჩებისათვის- 150 მანეთად, 1 საბძელი- 50 მანეთად, 2 ბეღელი- 200 მანეთად, ქვედა საქარხნე შენობა მინის სადნობი ღუმელით- 150 მანეთად.

ყოველგვარი ნაგებობანი, რომლებიც ქარხნის შემადგენლობაში შედიოდა, შეფასდა 10 000 მანეთად, მიწის და ტყის ჩაუთვლელად. საქარხნო ნაგებობანი არ იყო დაზღვეული, რადგან მთლიანად ხისგან იყო აშენებული.

ქარხნის ფინანსური მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელ სურათს იძლეოდა. სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში, ქარხანას შეეძლო თვეში 9-10 ათასი, ერთ წელინადში-108 ათასი ბოთლი გამოეშვა. ბაზარზე 1 ბოთლი 10 კაპიკად ფასობდა, ე.ი. ქარხანა წლიურად უშვებდა 10 800 მანეთის ღირებულების პროდუქციას. წარმოების პროცესი გრძელდებოდა არა ერთ წელიწადს, არამედ იგი მოიცავდა არა უმეტეს 6-7 თვეს. წლის დანარჩენი დროის განმავლობაში მზადდებოდა სააფთიაქო ჭურჭლეული კავკასიის „სათადარიგო აფთიაქისათვის„, ღირებულებით 6-8 ათას მანეთამდე. ასე რომ, ქარხნის მთელი წლიური შემოსავალი შეადგენდა 12-14 ათას მანეთს.

შემოსავლების პარალელურად ქარხანას უწევდა სოლიდური ხარჯების გაწევა, კერძოდ:

– ყოველ 2 თვეში მინის სადნობი ტიგელების გამოცვლასა და წლიურად ორჯერ ღუმელის განახლებას სჭირდებოდა 1 000 ფუთამდე ცეცხლგამძლე თიხა, რომელიც მდ.ყუბანის ნაპირებიდან მოჰქონდათ და ჯდებოდა 800 მანეთი.

–გორიდან ყოველწლიურად 3 600 ფუთი სილის მოტანა ჯდებოდა 216

მანეთი.

– 7 200 ფუთი ნაცრისა და ნარჩენების შეძენა თბილისის საპნის ქარხნებიდან და მათი ჩამოტანა ქარხანას უჯდებოდა 792 მანეთი.

– საკუთარი ტყიდან საკუთარივე ყმების შრომით წლიურად 270 კუბ. საჟენი შეშის მოჭრა, დახეთქვა და ადგილზე მოტანა ქარხანას უჯდებოდა 720 მანეთი.

– ლურსმანი, ფიცრები, თივა და შუშეულის შეფუთვის სხვა ხარჯები ქარხანას უჯდებოდა 600 მანეთი.

– ღვარებიდან მტკვრით და ურმებით ბოთლების გადატანა ყოველწლიურად დაახლოებით 60 ურემი (1 ურემზე 1 000 ბოთლი) ქარხანას უჯდებოდა 420 მანეთი.

– 2 000 ფუთამდე სააფთიაქო შუშეულის სტავროპოლში ჩატანა ქარხანას უჯდებოდა 1 600 მანეთი.

– ქარხნის რემონტის, თბილისში მაღაზიის ქირის, ნოქრის ხელფასის და სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის იხარჯებოდა 720 მანეთი.

– ქარხნის დაქირავებული მუშა-მოსამსახურეები ღებულობდნენ შემდეგ გასამრჯელოს:

1. ერთი თანაშემწე-60 მანეთს
2. მჭედელი-100 მანეთს
3. დურგალი-60 მანეთს.
4. 3 მუდმივი ოსტატი, თითოეული წლიურად-120 მანეთს.
5. 3 ნარდად მომუშავე ოსტატი, თითოეული საშუალოდ-250 მანეთს.
6. 6 ქარგალი, თითოეული წლიურად-72 მანეთს.
7. 4 მდღვებელი, თითოეული წლიურად-60 მანეთს.
8. 4 მრეველი, თითოეული წლიურად-108 მანეთს.
9. 1 გამპრიალებელი, თითოეული წლიურად ღებულობდა 96 მანეთს.

1864 წელს ელიზბარ ერისთავი თხოვნით მიმართავდა მეფისნაცვალს 25 000 მან. სესხის უპროცენტოდ გამოყოფის თაობაზე, რომელიც მოხმარდებოდა ქარხნის რეკონსტრუქციასა და გაფართოებას. ბარათში მეწარმე აღნიშნავდა ქარხნის უდიდეს მნიშვნელობას ხაზინისათვის და ასაბუთებდა, რომ მას სურდა თავისი საწარმოს გაუმჯობესება და საზღვარგარეთული ქარხნების დონემდე აყვანა. მისი განცხადებით, იგი დაინტერესებული იყო კახეთში მინის დიდი რაოდენობით გასაღებით, განსაკუთრებით თელავში, რადგან ღვინოს იქ დიდი რაოდენობით აყენებდნენ. 1865 წლის თებერვალში მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, მისცეს 25 000 მან. სესხი 18 წლით. ელიზბარ ერისთავმა დიდი ენერგიით მოკიდა ხელი საქმეს, დაიწყო ახალი ნაგებობების მშენებლობა და ოსტატების გამოწერა.

გ.გოზალიშვილი წერდა: „ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები ელიზბარის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. მე მივმართე მის ქალს, ნინო ქობულაშვილისას და ვთხოვე დაეწერა მოგონება თავისი მამის ცხოვრებაზე, რომელმაც გვიამბო:

...მამაჩემი რომ გარდაიცვალა მე ვიყავი 11 წლისა. ასე, რომ ბევრი არა ვიცოდი რა იმის წარსულისა... დააარსა თავის სოფელ ღვარებში, გორის ახლოს, პირველი ჩვენს ქვეყანაში შუშის ქარხანა, რომელიც ორჯერ დაეწვა და

ირჯერვე განაახლა. ოსტატები საზღვარგარეთიდან მოიყვანა. იმათგან ზოგმა გლეხკაცებმაც ისწავლეს ხელობა. მამაჩემი ძალიან გატაცებული იყო ამ საქმით და არ ზოგავდა არც თავის თავს და არც ფულს. როდესაც გლეხკაცეები გაანთავისუფლეს და მთავრობამ მისცა ფული მემამულეებს, მამაჩემი წავიდა საზღვარგარეთ, სხვათა შორის ბოჰემიაში, სადაც დიდი ყურადღება მიაქცია იქაურ შუშის ქარხნებს და ოცნებობდა თავისიც ისე მოეწყო, მაგრამ სამწუხაროდ ბევრი რამ უშლიდა ხელს" [58, 135-139].

1872 წელს ელ.ერისთავი გარდაიცვალა, მისმა მემკვიდრეებმა ვეღარ შეძლეს მამის დაწყებული საქმის გაგრძელება. ვერასოდეს ვიფიქრებდი, ბოთლის ნახვა ასე თუ ამაღელვებდა, ჩვეულებრივი ბოთლის, მწვანე, ოდნავ უსწორ-მასწორო ყელიანის, ძირშეზნექილის... ადრეული ბოთლია, ერთ-ერთ პირველ ცდას მოგვაგონებს ჩვენში მინის ქარხნული დამზადებისა... ეს იმ წამოწყების ნაშთია, იმ ქარხნის ნაკეთობაა, სოფელ ღვარებში რომ დაუარსებია ელიზბარ ერისთავს... ელიზბარი, თავის ძმასთან-დიმიტრისთან ერთად, ის პიროვნება გამოდგა, მინის ქარხნულად დამზადების სათავეში რომ მოექცევა და ერთსა და ორ წელიწადს კი არ გასტანს მის მიერ ამოქმედებული საწარმო, სამ ათეულ წელსაც მოილევს და კიდევ დიდხანს არ შეწყდებოდა, ჯერ დიმიტრი და შემდეგ ელიზბარი მინას რომ არ მიბარებოდნენ. ქარხანაც ჩაილია...დადუმდა, ვეღარავინ შთაბერა ხელახალი სიცოცხლე. დადუმდა და აღარც კვალი ჩანს მისი ადგილსამყოფელისა. აღარც მთავარი შენობა გადარჩენილა სოფელ ღვარებში, აღარც სათუნე განყოფილება, არც სხვა ნეგებობანი, წისქვილი თუ სამჭედლო, საჩარხავი თუ საფანჯრე მინების სახელოსნო, ოსტატთა თუ მუშების ბინები, სამზარეულო, გომური... [246, 169-173].

ელიზბარ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ ღვარების მინის ქარხანა იჯარით გადასცეს უცხოელ მეწარმე **ე.ეპშტეინს**, რომელსაც მინის წარმოება ბოჰემიაში ჰქონია შესწავლილი. ამგვარად მოიჯარე გამოცდილი და დახელოვნებული იყო მინის წარმოების საქმეში. ეპშტეინმა გააგრძელა ადგილობრივი ნიადაგის კვლევა და თვით სოფ.ღვარებში, ქარხნიდან სამასი ნაბიჯის მანძილზე, აღმოაჩინა ბოთლების საწარმოებლად აუცილებელი საუცხოო სილა, მაღალი ხარისხის თიხაკირი და თიხიანი თირი. ყუბანის ნაცვლად, შესაფერისი თიხა ასევე გამოიწერა უცხოეთიდან, რითაც თავიდან აიცილა წინანდელი წარმოების რამოდენიმე ნაკლოვანება. საქმე იმაში იყო, რომ ელ.ერისთავის მიერ დამზადებულ ბოთლებში ჩასხმული ღვინო დიდხანს შენახვის შემთხვევაში ძმარდებოდა, რაც ეპშტეინის აზრით, შესაძლოა გამოეწვია სამინე შენაერთის ცუდ ხარისხს. ეპშტეინმა გააუმჯობესა და გააფართოვა წარმოება, მაგრამ ფოთი-თბილისს შორის სარკინიგზო მიმოსვლის გახსნამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქარხანას. პროდუქციას ტრანსპორტირების ხარჯების გაიაფებამ გააიოლა როგორც რუსეთიდან, ასევე უცხოეთიდან მინის სხვადასხვა ნაწარმის შემოტანა. დროის მოკლე პერიოდში ღვარების მინის ქარხანა დაიხურა.

1882 წელს ბარონმა **ფონ კუჩენბახმა** ხელისუფლების მხარდაჭერით მოაწყო შუშის ქარხანა. იგი „ევროპულად" იყო მოწყობილი. ქარხანას გააჩნდა 10 ტიგელიანი მინის სადნობი ღუმელი, რომელიც სპეციალური გენერატორის მეშვეობით გაზით ხურდებოდა. 40 ცხ.ძალის სიმძლავრის წყლის ტურბინით მოქმედი



საწარმო XIX საუკუნის 80-90-იან წლებში 60-69 ათასი მანეთის ღირებულების ბოთლებს, საოჯახო, სააფთიაქო და ქიმიურ ჭურჭელს, ლამპის შუშებსა და ელნათურებს ამზადებდა. ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნისათვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა მინის ჭურჭელი, ამ პერიოდის საქართველოში მინის წარმოება იყო ნაკლებად განვითარებული დარგი. მოქმედი მინის ქარხნები ვერ იძლეოდნენ საჭირო ხარისხის და ასორტიმენტის პროდუქციას. ბოთლებს უცხოეთიდან (მარსელიდან) ღებულობდნენ, ან კიდევ ფინეთიდან (პიტკორანიდან) გემებით, დასავლეთ ევროპის შემოვლით მოჰქონდათ, ფანჯრის მინა პოლონეთიდან ოდესა-ბათუმით, ასევე ჩრდილოეთ რუსეთის გუბერნიებიდან ნიჟნი ნოვგოროდიდან-ბაქოთი შემოდიოდა. მინის საოჯახო ჭურჭელი, ტელეგრაფის მინის მოწყობილობა ვისლისპირეთის გუბერნიებიდან იგზავნებოდა [136, 300].

ამიტომ ბუნებრივია, რომ მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის ამოქმედებისთანავე დღის წესრიგში დადგა ბორჯომში მინის ქარხნის მშენებლობის საკითხი. ასეთი შეთავაზებები იმპერიის სამეფო კარიდან მიიღეს რუსმა და უცხოელმა მეწარმეებმა **ვიპალოვმა, ვიდელკოვსკიმ, ხლებოდამ, ჩერნოსვიტოვმა, ბელშტერმა, ელვარდმა** და სხვ.

1894 წელს (30 წლიანი „კონტრაქტით") ბორჯომის მინის ქარხნის მშენებლობის პრივილეგია თავადმა **ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძემ მოიპოვა,** მაგრამ ქარხნის მშენებლობა სერიოზულ კაპიტალდაბანდებებს ითვალისწინებდა, რაც მას არ გააჩნდა. იგი ევროპაში, კერძოდ ბელგიასა და საფრანგეთში ეძებს სპონსორებს.

ამის შემდეგ მან ქარხნის მშენებლობის „კონტრაქტი" სასახლის მრჩევ-



ელ **ი.ლიხაჩოვს** გადასცა. ამ უკანასკნელმა ქარხანა ააშენა და 1897 წელს აამოქმედა [136, 301]. ტექნოლოგიური პროცესების მცოდნე სპეციალისტების დეფიციტის გამო ბელგიიდან ჩამოიყვანეს ხელოსნები თავიანთი ოჯახებით, დააკმაყოფილეს საცხოვრებელი ბინებით და დაუნიშნეს მაღალი ხელფასი. წინასწარი გათვლებით ქარხანას უნდა დაემზადებინა 2-დან 5 მლნ-მდე ბოთლი ნლიურად, ღირებულებით ცალი 5 კაპ. ქარხანამ შეძლო საპროგნოზო მაჩვენებლებზე გასვლა კარგი ხარისხით, იგი 80%-ით აკმაყოფილებდა მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის მოთხოვნებს [34, 72-74].

1898 წელს ი.ლიხაჩოვმა შეძლო ბორჯომის მინის ქარხნის მუშაობით დაეინტერესებინა **„ძმები ბერგმანების"** ფირმა. ქარხანას საწვავი მასალა მოჰქონდა „გვირგვინას მთიდან", სადაც ხანძრის შედეგად დამწვარი ტყის დიდი რაოდენობით ნახშირი იყო, მინის დასამზადებლად აუცილებელი ძირითადი ნედლეული ანდეზიტი მზადდებოდა ე.წ. „ვორონცოვის" პლატოზე. ძმ.ბერგმანების ფირმამ იმავე 1898 წელს იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, მისი კუთვნილი ქარხნის ბაზაზე „კავკასიის მინისმწარმოებელი სააქციო საზოგადოების" დაარსების თაობაზე. სააქციო საზოგადოების ძირითად კაპიტალად ნავარაუდევი იყო ერთი მილიონი მანეთი. დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის ბორჯომის მამულის სამმართველომ ფირმის შუამდგომლობას მხარი დაუჭირა. საზოგადოების დაარსება 1899 წელს დამტკიცდა. ძმ.ბერგმანებმა ქარხნის ექსპლოატაცია 1906 წლამდე გააგრძელეს. ის ბორჯომის წყლის, კონიაკის, ღვინის, არყის, ლუდის, სპირტის ჩასასხმელ ბოთლებს, სხვადასხვა ტევადობის „ბანკებს" და ჭიქებს, ვაზებს, საშაქრეებს, ლამბაქებს, საჩაიეებს, „გრაფინებს", ჭინჭილებს, ლამპის შუშებს, ელნათურებს, სააფთიაქო და ქიმიურ ჭურჭლეულს ამზადებდა

[136, 302].

ბორჯომის მინის ქარხნის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები (ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი“ 1864-1917. თბ. 1976 გვ 302)

წელი	მუშათა რა-ოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (მანეთებში)
1897	75	65 000
1900	75	107 000
1901	130	143 000

მართალია, მინის ქარხანა ამზადებდა სხვადასხვა სახის მინის ჭურჭელს, მაგრამ გასაყიდი ფასი იყო მასალების ღირებულებაზე ბევრად დაბალი, რამაც ქარხნის ზარალი გამოიწვია, რომელსაც 1900-იან წლებში 1 მლნ მანეთისათვის მიუღწევია. ალბათ ამ გარემოებამ უბიძგა ძმებ ბერგმანებს 1906 წელს საწარმო იჯარით მიეცათ **ძმები მალიშევებისათვის**. ახალმა ხელმძღვანელობამ წარმოებაში ახალი მენეჯმენტი განახორციელა. ეს შეეხო ბელგიელ ხელოსნებს-ისინი დაითხოვეს და ჩაანაცვლეს რუსეთიდან ჩამოყვანილი, დაბალ ხელფასზე მომუშავე მინის დამზადების სპეციალისტებით, შემცირდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი, შეიცვალა ინფრასტრუქტურა, აშენდა 4 ახალი ღუმელი, დაიგო ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანასთან მისასვლელად. ძმები მალიშევები იღებდნენ ვალდებულებას ყოველწლიურად ოსკარ ბეგმანისათვის გადაეხადათ 10 000 მან და თითოეულ დამზადებულ პროდუქციაზე 1/4 კაპიკი. 1909 წელს გერმანიიდან გამოიწერეს რობერტ ფოხტის ფირმის(დრეზდენი) ბოთლის გასარეცხი მანქანა, რომელსაც 4 კაცი ემსახურებოდა და ცვლაში ირეცხებოდა 8 100-9 000 ბოთლი (ძველი წესით 14 კაცი დღე-ღამეში რეცხავდა 11 500-12 000 ბოთლს). კორპის ხის ქერქის საცობებს ქარხანა რუსეთიდან იღებდა, რაც საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. 1909 წელს დაიდგა 10 დამცობი დაზგა, რომელთა მწარმოებლურობა შეადგენდა 20 000 ბოთლს ცვლაში [34, 83]. ყოველივე ამის შემდეგ ხდებოდა პროდუქციაზე ეტიკეტის მიკვრა და შეფუთვა (ეტიკეტებს ბეჭდავდა პეტერბურგში „მხატვრული ბეჭდვის ამხანაგობის“ სტამბა). სამუშაო სეზონური იყო, გაზაფხულიდან ქარხანა იტვირთებოდა ორცვლიანი სამუშაო გარაფიკით ოქტომბრამდე, დანარჩენ პერიოდში



საწარმოში 80-მდე მუშა რჩებოდა.

ბორჯომის მინის ქარხნის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 303)

წელი	მუშათა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (მანეთებში)
1908	282	275 000
1914	390	450 000

1910 წელს თბილისში, ავჭალაში, სრული დატვირთვით ამოქმედდა **კ.პარას** მინის ქარხანა, რომლის 85 მუშამ 1914 წელს 110 ათასი მან. პროდუქცია დაამზადა. 1915 წელს ქარხანა სამხედრო დაკვეთების შესრულებაზე გადავიდა. საწარმოში, სადაც 120 მუშა მუშაობდა, სააფთიაქო ჭურჭლეული მზადდებოდა (ამიერკავკასიის ყველა აფთიაქისათვის), მოქმედ არმიაში გამოსაყენებლად „ფლიაგები" და მინის სხვა ნაწარმიც მზადდებოდა. [136, 304].

მანგანუმის, მარგანეცის და ქვანახშირის წარმოება საქართველოში (XIX ს - XX საუკუნის დასაწყისი)

აკაკი სტუდენტობის დროს.

მანგანუმის საბადოები საქართველოში XIX საუკუნის 40-იან წლებში აღმოაჩინეს. ამ საბადოების გეოლოგიური გამოკვლევების ორგანიზებაში დიდად უაქტიურია **აკაკი წერეთელს**. აკაკის სტატიებიდან და მოგონებებიდან ჩანს, რომ პოეტს ჯერ კიდევ ბავშვობაში მიუქცევია ყურადრება მამის, როსტომ წერეთლის მიერ მოურავისადმი ნათქვამი სიტყვებისათვის იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელს წირქვალური ხორბალი არ აერია სხვა ადგილებში აღებულ ხორბალში. ჭირქვალისა და რგანის პური არ ვარგა, რადგან მასში კალოს აღების დროს ქვაგუნდის (შავი ქვის) მარცვლები ერევა და პურს აშავებსო. ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ერთხელ პეტერბურგში სტუდენტობის დროს აკაკის „გორნი ჟურნალში" წაუკითხავს აკადემიკოს **აბიხის** სტატია*, სადაც აღწერილი იყო ამის მიერ სოფ.წირქვალში ნანახი მარგანეცის საბადო. ამ სტატიამ პოეტს წირქვალური ხორბლის ამბავი მოაგონა [273, 31-33]. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ აკაკი სამშობლოში ბრუნდება ერთი უმნიშვნელოვანესი სურვილით, რომ საკუთარი მოსაზრებები „შავი ქვის" შესახებ

ადგილზე გადაამოწმოს, მიდის სოფ. წირქვალში. მისი გადმოცემით: ნახვისთანავე ვიფიქრე, რომ ის შავი ქვა უბრალო არ იყო და სწორედ მარგანეცი უნდა ყოფილიყო" [98]. წირქვალიდან წამუსულ აკაკის თან მოაქვს მადნის რამოდენიმე ნატეხი მეგობარი გეოლოგისათვის **ს.სიმონოვიჩისათვის**, რომლისთვისაც იოლად მისახვედრი აღმოჩენილა მადნის ჭეშმარიტებაში დარწმუნება

---

* **ჰერმან აბიხი** იყო ცნობილი გეოლოგი, იგი დაიბადა 1806 წლის 11 დეკემბერს ბერლინში. კლასიკური ევროპული განათლების მიღების შემდეგ, 1842 წელს გახდა დერპტის (თანამედროვე ტარტუ) უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრის გამგე. 1844 წელს იგი პირველად ჩამოვიდა კავკასიაში და იმდენად დაინტერესდა ამ მხარით, რომ 1854 წლიდან აქ სამუდამოდ დასახლდა. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში მოექცა სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეების მეცნიერული კვლევა. იგი გარდაიცვალა 1886 წელს

ჰერმან აბიხი (1806-1886)
Otto Wilhelm Hermann von Abich

და მიუღია გადაწყვეტილება ადგილზე დაეთვალიერებინა ყველაფერი. აკაკის ცნობით: „უნდა გენახათ სოფლელების გაკვირვება მაშინ, როდესაც ქვებს ვიღებდით და ვსინჯავდით...ზოგი პირჯვარს იწერდა და აფურთხებდა, ზოგი დაგვცინოდა და ზოგი კიდევ რას ჩადიოდა“ [98].

გეოლოგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას საფუძვლიანად გამოუკვლევია არსებული ტერიტორიები. მეგობრებს საკუთარი მოსაზრებები სტატიაში ჩამოუყალიბებიათ, ამით აკაკი ცდილობდა წარმოების დასაწყებად დაეინტერესებინა ქართველები, მაგრამ უშედეგოდ. ეს ნაშრომი აკაკიმ გამოსცა რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ამით მას უნდოდა უცხოეთის ყურადღება და დაინტერესება გამოეწვია საქართველოს მარგანეცისადმი. მართლაც ასე მოხდა. საზღვარგარეთ ცნობილი გახდა, რომ კავკასიაში აღმოჩენილი იყო მარგანეცის საბადოს დიდი მარაგი, თუმცა ბევრი უცხოური ფირმა საქართველოს მარგანეცის ამბავს უარყოფითად გამოეხმაურა, ამის მიზეზად ასახელებდნენ მარგანეციანი ადგილების მიუვალობას [273, 31-33].

ამ დაბრკოლების შემდეგ აკაკი წერეთელმა მიიღო გადაწყვეტილება, ჩამოეყალიბებინა ამხანაგობა სააქციო საზოგადოების სახით. იგი მოკავშირეებს ისევ საქართველოში, ქართველებს შორის ეძებდა, მაგრამ უშედეგოდ. როდესაც შეძლებულ ქართველებთან მარგანეცის წარმოების მოწყობის შესახებ არაფერი გამოუვიდა აკაკიმ სომეხ ვაჭრებს მიმართა, მათ შორის ყველაზე გამბედავს ახალი საქმის წამოწყებაში-ეს იყო მილიონერი **სოლომონ შაბუროვი**. აკაკიმ მთელი გულის ნადები გადაუშალა, დეტალურად აუხსნა და განუმარტა თუ რამდენად სასარგებლო და პერსპექტიული იყო მარგანეცის წარმოების დაწყება, მაგრამ მისგან უარყოფითი პასუხი მიიღო [273, 34].

მარგანეცის წარმოების პერსპექტივით აკაკიმ საქართველოში ვერავინ დააინტერესა, ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება პეტერბურგში გამგზავრებულიყო მოკავშირეების საძიებლად. აქ ერთ-ერთი ნაცნობის გრაფინია **გალვას** მეოხებით მისსივე ოჯახში მოეწყო აკაკისა და შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის **მაკოვის** შეხვედრა. ამ უკანასკნელმა აკაკისაგან ყურადღებით მო-

ისმინა ყოველივე ჭიათურის მარგანეცის მადნის შესახებ და დიდი დახმარება აღუთქვა აკაკის, მაგრამ იმ თვეში ხსენებულ მინისტრს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაუსრულებია და დაწყებული საქმე ჩაშლილა. ამის შემდეგ მარგანეცის საქმით დაინტერესებულა თვითონ გრაფინია გალვა. მისი მეოხებით აკაკი მოელაპარაკა ერთ შეძლებულ ნაფიც ვექილს, გვარად **ოსტრიაკოვს**, რომელიც დათანხმდა ეყიდა დამზადებული მარგანეცის მადანი. ამავე დროს მოინდომა თვითონვე ენახა მარგანეციანი ადგილები. მსტრიაკოვი 25 ყაზახითა და ერთი ოფიცრის თანხლებით ჩავიდა ჭიათურაში. ნანახით კმაყოფილი მალე დაბრუნდა პეტერბურგში და აკაკისთან ხელშეკრულება დადო. მადნის დამზადებისა და გადასაზიდად საჭირო იყო ფული, რომელიც გრაფინია გალვამ გაიღო, მან აკაკის გადასცა 10 ათასი მან. [273, 34-35].

გახარებული აკაკი სასწრაფოდ საქართველოში ბრუნდება, რათა დააჩქაროს მადნის დამზადება და ფოთში გადაზიდვა. იგი სალომე წერეთელთან აფორმებს ხელშეკრულებას მარგანეციანი ადგილების იჯარის შესახებ სოფ. კიცხნარში და იწყებს მუშაობას. სარეალიზაციოდ დაგეგმილი მადნის დამზადება უპრობლემოდ მოხერხდა, ახლა მთავარი იყო მისი შორაპნამდე ჩაზიდვა ურმებით. აკაკი ახალ დაბრკოლებებს წააწყდა. Bბევრმა შურით შეხედა მის დაწყებულ საქმეს და ყოველმხრივ ცდილობდა მისთვის ხელის შეშლას. კიცხნარიდან ჭიათურამდე დაახლოებით 2 კმ. იყო. საცალფეხო ბილიკით მადნის ჩამოზიდვა ძნელი იყო, ამიტომ აკაკიმ გადაწყვიტა აღნიშნული ბილიკი გაეფართოებინა და საურმე გზად ექცია. ყოველგვარ ხარჯებს თვითონ კისრულობდა და ხალხისაგან მადლობას მოელოდა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი. სოფლელები წინ აღუდგნენ აკაკის, 24 საჩივარი შეიტანეს სამსჯავროში მის წინააღმდეგ, გზა ჩვენია და მუშაობის ნებას არ მივცემთო. ამ დავაში მადნის ჩაბარების დრო გავიდა, საჭირო გახდა ჯარიმის გადახდა. გრაფინია გალვამ გამოუგზავნა აკაკის ფული ჯარიმისათვის, თვითონ კი საზღვარგარეთ გაემგზავრა კომპანიის შესადგენად, სადაც მთელ წელიწადს დარჩა. აკაკი ელოდა საზღვარგარეთიდან საქმის მოგვარების ამბავს. ამ ლოდინში მეორე წლის იჯარის გადახდის ვადამაც მოაღწია, რის გამოც სალომე წერეთელმა აკაკისთან კოტრაქტი დაარღვია, დამზადებული მადანი წაართვა და იგივე ადგილები წელიწადში 3 500 თუმნად ახალი კონტრაქტით ივანე მუხრანსკის გადასცა [273, 31-33].

აკაკი წერეთლის დაჟინებულ მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია და საბადოებით დაინტერესდნენ განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების, განსაკუთრებით გერმანიის სამრეწველო ფირმები. ინტერესის გაცხოველება ჭიათურის მანგანუმისადმი განპირობებული იყო მსოფლიო მეტალურგიის, კერძოდ ფოლადის დამზადების სწრაფი ზრდით. აკაკი წერდა: „მართალია მე კი გადამიტანა ამ შავმა ქვამ, დავიღუპე, მაგრამ ნუგეშათ ის მაინც მრჩება, რომ ქვეყანა სარგებლობს" [99].

ჭიათურაში მანგანუმის მრეწველები სამ ჯგუფად იყოფოდნენ: მსხვილ, საშუალო და წვრილ მრეწველებად. წვრილი მრეწველები მოიპოვებდნენ 100 ათასამდე ფუთ მადანს; საშუალო მრეწველები 100-500 ათას ფუთ მადანს; მსხვილი მრეწველები კი 500 ათას ფუთზე მეტს. ჭიათურის აუზში მოქმედებდა

მეტნაკლები სიდიდის 377 სამთო საწარმო, ყველა კატეგორიის დაქირავებულ მუშათა რიცხვი 8 000 კაცს აღემატებოდა, ხოლო მოპოვებული მადნის ოდენობამ 40 მლნ ფუთს გადააჭარბა. 1879-1914 წლებში ჭიათურის წილად მოდიოდა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვების 36,16% და მისი მსოფლიო ექსპორტის 43%. მოპოვებული მარგანეცის საერთო რაოდენობის 92-94% უცხოეთში იყიდებოდა [136, 415].

1879 წლიდან ჭიათურაში გამოჩნდნენ დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების პირველი სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფები (**ლიპჰარტი, კლიუგე, სკარიაგინები, იგნატიევები** და სხვები), რომლებმაც დაიწყეს საბადოების შეძენა და იჯარით აღება. ჭიათურაში მარგანეცის საბადოს შესაძენად და საექსპლოატაციოდ 1879 წელს გამოჩნდა გერმანული ფირმის **კრუპის** მეტალურგიული ქარხნის (ესსენი) წარმომადგენელი **გალბაუერი,** რკინის საბადოების სააქციო საზოგადოების („**გუტე ჰოფნუნგი**", ვესტფალია) დირექტორი **მაიერი,** რუსეთისათვის ფერომანგანეცის მთავარი მიმწოდებლის, პეტერბურგის სავაჭრო სახლის „**კ.ვახტერის და კომპანიის**" წარმომადგენელი ბარონი **ო.ფონ მერცნფელდი** [48, 144-149].

1880 წელს ჭიათურის საბადოს ექსპლოატაციას შეუდგა ფარნგული ფირმა „**ტერ ნუვო**", ფრანგები **ე.პიო, მ.სოლელიაკი, ა.კომპანიონი,** იტალიელი **გასტონ ბოლდეტი,** საბერძნეთის ქვეშევრდომი **გ.ვაკულოპულო,** კონსტანტინეპოლელი ვაჭრები **ტომბაკო და ტირანდო-ფელდტი.** [136, 98].

ჭიათურის მარგანეცი აღმოჩნდა რუსი მეწარმეების ინტერესის ობიექტიც, მათ შორის იყვნენ **ლიპხარდტი, კლიუგე, სკარიაგინები, დურსოვები, იგნატიევები,** მსხვილი მოხელე გენერალ-მაიორი **ადოლფ ფალკენგანგენი,** ინჟ. **კორტე; ი, ი.მატვეევი** და სხვები [121, 275].

უცხოელმა მეწარმეებმა შემოიღეს ე.წ. „კომისიონერობის" სისტემა, გახსნეს კანტორები ფოთში და ზესტაფონში, რომლებიც ადგილზე ყიდულობდნენ ჭიათურიდან ურმებით ჩამოტანილ შავ ქვას და რკინიგზის საშუალებით პორტებიდან გემებით გზავნიდნენ უცხოეთში. ასე რომ, ქართველები იღებდნენ მადანს, ხოლო უცხოელები ამ პროდუქციის რეალიზაციას ახდენდნენ მადნის გადაზიდვის ხარჯები ძალიან დიდი იყო. ასე მაგალითად, 1 ფუთი მადნის საერთო საშუალო ღირებულება იმ დროს 32 კაპ. ღირდა. აქედან მიწის საიჯარო გადასახადის რაოდენობა 1 ფუთ მადანზე 2 კაპ. შეადგენდა, მადნის მოპოვების ხარჯი 2 კაპიკს უდრიდა. მადნის მაღაროდან სოფ. ჭიათურამდე გადაზიდვა 3 კაპ. ჯდებოდა, ხოლო მისი ჭიათურიდან სადგურ ყვირილამდე გადაზიდვა 22 კაპიკი. დანარჩენი 3 კაპიკი სხვადასხვა ხარჯებს სჭირდებოდა. ამრიგად 1 ფუთი მადნის მხოლოდ გადაზიდვის ხარჯები 25 კაპიკს, ანუ მისი საერთო ღირებულების 78,1%-ს შეადგენდა და 12-ჯერ აღემატებოდა მადნის მოპოვებაზე გაწეულ ხარჯებს [274, 19-21].

ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა ჭიათურაში თავიდანვე მწვავე ფორმებში მიმდინარეობდა. უცხოური კაპიტალის მოძალების მოსაგერიებლად ადგილობრივი მრეწველები განუწყვეტლივ ცდილობდნენ გაერთიანებული ძალით მოქმედებას.

სხვადასხვა კატეგორიის მრეწველთა რიცხობრივი თანაფარდობა და მადნის საერთო მოპოვებაში მათი ხვედრითი წილი

წლები	მარგანეცის მრეწველთა საერთო რიცხვი	წვრილი მრეწველები (100 ათას ფუთამდე მადნის მოპოვებით)			საშუალო მრეწველები (100-500 ათას ფუთამდე მადნის მოპოვებით)			მსხვილი მრეწველები (500 ათას ფუთზე მეტი მადნის მოპოვებით)		
		მრეწველთა რიცხვი	% საერთო რიცხვის მიმართ	% მადნის საერთო მოპოვებაში	მრეწველთა რიცხვი	% საერთო რიცხვის მიმართ	% მადნის საერთო მოპოვებაში	მრეწველთა რიცხვი	% საერთო რიცხვის მიმართ	% მადნის საერთო მოპოვებაში
1906	376	221	49,75	28,65	148	39,36	57,03	7	1,86	14,32
1907	348	225	64,65	36,35	117	33,62	45,74	6	1,73	17,91
1908	96	90	93,76	25,34	3	3,12	7,76	3	3,12	66,90
1909	222	73	32,88	8,87	142	63,97	64,76	7	3,15	26,46
1910	165	77	46,67	15,02	77	46,67	44,13	11	6,66	40,85
1911	140	73	52,14	14,09	57	40,71	46,21	10	7,14	39,68
1912	164	68	41,48	9,43	87	53,04	55,38	9	5,48	35,19
1913	260	113	43,46	10,30	126	48,09	47,09	21	8,08	42,61
1914	183	96	54,86	15,86	69	39,92	38,92	10	5,72	45,78

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 417

ამ ჯგუფს წარმოადგენდნენ: **გედევან ჩუბინიძე, პავლე მოსეშვილი, ივანე მუხრანბატონი, სერგი მესხი, სამსონ აბესაძე, ნესტორ კაკაბაძე, ნიკოლოზ ღოლობერიძე, სოლომონ წერეთელი, პეტრე წულუკიძე, კონსტანტინე გურული, დავით ბაქრაძე, მ.გამრეკელიძე და სხვები.** მათი დიდი უმრავლესობა მანგანუმის მომპოვებელ საზოგადოება **„მარგანეცის მადნის იმერეთის ამხანაგობის"** წევრი იყო. 1909 წელს გაზეთი „მომავალი" წერდა: „ევროპის რამდენიმე კაპიტალისტმა უკვე შეისყიდა დიდი მამულები ჭიათურაში: რგანში, მღვიმევში, წირქვალში, ითხვისში, შუქრუთში, პერევისაში და სხვა სოფლებში წერეთლებისაგან, წვრილ მემამულეებისაგან და მესაკუთრე გლეხებისაგან. ამ მოვლენასთან შესაბრძოლებლად უკვე შემდგარა ჯგუფი, რომელიც აარსებს სააქციონერო საზოგადოებას. ერთ წევრს-ჩუბინიძეს 500 ათასი მან. შეუტანია სააქციო საზოგადოების ძირითადი თანხის გასაძლიერებლად [136, 420]. „იკრიბება პაის ფულები, შედგენილია წესდებაც, რომელიც უკვე წარადგინეს დასამტკიცებლად" [155, 3].

საზოგადოების მიერ 120 მუშის გამოყენებით მოპოვებულ იქნა 350 ათასი ფუთი მადანი. ქართველი მეწარმეების ინტერესებს მხარს უჭერდა, იცავდა და ადგილობრივ სამეურნეო ძალთა პოზიციებს განამტკიცებდა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია **„შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა ყრილობა"**, რომელსაც სათავეში ედგნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: **გ.ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ივანე (კიტა) აბაშიძე, ნიკოლოზ ღოლობერიძე, პეტრე წულუკიძე, სოლომონ წერეთელი და სხვ.**

ქართველი მეწარმეების მხარდასაჭერად ადგილობრივმა მრეწველებმა თავი მოიყარეს კიდევ ერთ ორგანიზაციაში-**„ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოება"**, რომელიც 1898 წელს დაარსდა. საზოგადოების მოვალეობა იყო ჭიათურის მაღაროებიანი ადგილების მოძიება და გამგებლობა, მაღაროების კეთილმოწყობა და მუშების სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვა. გაზეთ „მეურნეში" ვკითხულობთ: „1897 წლის 20 მაისს ქუთაისში გაიხსნა შავი ქვის მწარმოებელთა საგანგებო კრება, ყრილობა გახსნა შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს თავმჯდომარემ გ.ზდანოვიჩმა. სინდიკატის ინსტრუქციის შესადგენად ამოირჩიეს კომისია. საჭირო იყო კრედიტი. აქ დაესწრნენ სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლები და კრედიტის გაცემა სინდიკატისათვის სარისკოდ მიიჩნიეს-კრედიტი თვითონ საქონლის დაწინდრებითაც სარისკოა და მოუსაზრებელიო. ეს კითხვა ბატონ ნ.ნიკოლაძემ დაამთავრა იმით, რომ სხდომას გამოუცხადა, უკვე გაიხსნა „ვარანტის" საწყობები ქ. ფოთში, შორაპანში, ზესტაფონში და ჭიათურაში საქონლის მიბარებით, ღირებულების 85% გაცემით და ფულზე 6%-ის აღებით, რომელი კრედიტიც ქ.ფოთის თავდებობით აღებულია, ჯერ-ჯერობით სცადეთ 75 000 მანეთი ბათომის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, ხოლო თბილისის საკომერციო ბანკი იმავ პირობებში ხსნის კრედიტს 5%-ში და, როცა საქმე ჯეროვან წყობილებაში და მსვლელობაში ჩადგება, მაშინ ადვილი შესაძლებელია 3%-იანი ფულის შოვნა დასავლეთ ევროპაში. [147].

ჭიათურაში მოპოვებული მადნის ექსპორტი ფოთის და ბათუმის პორტებიდან ხდებოდა. ქართველი მეწარმეებიდან მხოლოდ გედევან ჩუბინიძე და ნიკოლოზ

ღოღობერიძე ახდენდნენ მოპოვებული მადნის ექსპორტს.

ერთ-ერთი პირველი მარგანეცის მრეწველთა შორის საქართველოში იყო კავალერიის გადამდგარი ოფიცერი, წმინდა გიორგის ორდენის კავალერი-**არტემ ღვალაძე.** იგი წარმოშობით სოფ. სვერიდან გახლდათ, მან თავის თანამებრძოლთან-გიორგი მაიაშვილთან ერთად მოახერხა ჭიათურაში მუშებისა და კომერსანტების სოციალურ პარტნიორობაზე დაფუძნებული სამრეწველო დაწესებულების ჩამოყალიბება. 1906-1918 წლებში იგი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წევრია [31, 272].

XX საუკუნის დასაწყისში, მოპოვებული მადნის რაოდენობის მიხედვით, მარგანეცის მსოფლიო მომპოვებელი ქვეყნების სია ასე გამოიყურებოდა: საქართველოს წილად მოდიოდა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვების 35,72%; ესპანეთის წილად 9,34%; ურალისპირეთზე (მეფის რუსეთი) 7,96%; ბრიტანეთის წილად 7,60%; გერმანიის წილად 6,09%.

ჭიათურის რკინიგზის გაყვანის საკითხი 1891 წელს გადაწყდა. ხაზის გასაყვანად გამოყოფილ იყო 1 513 ათასი მანეთი, ფაქტიურად იგი დაჯდა 8 000 მან. ეს თანხა მთლიანად გაიღო ხაზინამ. ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა 40,5 კმ. სიგრძით საექსპლოატაციოდ ოფიციალურად გადაეცა 1895 წლის მაისში [224, 11-12].

1900 წლის თებერვალში პარიზში დაარსდა **„მარგანეცის საბადოთა ანონიმური საზოგადოება დარკვეთში („კავკასია“),** Sosiete des mines de Manganese de Darkveti (Caucase), რომელიც რუსეთში 99 წლის ვადით მოქმედებისათვის 1901 წლის თებერვალში იქნა დაშვებული. მისი დამფუძნებლები იყვნენ **პ.ბაიარი, ე. დე. ბილი, ა. დე. ბუასე, გლასაკი, გ.შალმეტონი, პ.შაპიუი, ა.დამური, მ.დიუშანუა, მ.პერონი, რ.რ.დიუვალი.** საზოგადოების აგენტი **გეიდემანი** თბილისში იმყოფებოდა, მან 1 600 000 ფრანკით საქმე დაიწყო და სოფ. დარკვეთში მარგანეცის საბადოს ექსპლოატაციას შეუდგა.

1900 წელს მრეწველთა რიცხვი ჭიათურაში 300-მდე აღწევდა, ცალკეული მაღაროების რიცხვი კი 348 წვრილ ერთეულს უდრიდა. 1902 წელს საფრანგეთში დაფუძნდა **„ანონიმური სამთო-სამრეწველო და კომერციული საზოგადოება“** (შოსიეტე მინიერე ეტ ცომმერციალ), რომლის მთავარ დანიშნულებას ჭიათურის მარგანეცის საბადოების ექსპლოატაცია წარმოადგენდა. საზოგადოების აგენტი **ნ.ი.ვოტრენი** ფოთიდან განაგებდა საქმეებს [42, 16-21].

1905 წლიდან ჭიათურაში გერმანული კაპიტალი აგრძელებს შემოსვლას ისეთი სერიოზული ფირმებით, როგორებიც იყო: **„სამთო მექარხნეთა და საბადოების მფლობელთა შალკეს კავშირი“,** ბერლინის **„მანგანსინდიკატი“, „გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო საზოგადოება“, „სამთომრეწველთა საზოგადოება დოიჩე კაიზერი“, „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა შეზღუდული პასუხისმგებლობით“** (Caucasischen Grubenverein Gesellschaft mit beschrankter Hafhung) **და ა.შ.**

ბერლინის **„სააღრიცხვო საზოგადოების“** დირექცია (Direction der Diskonto Gesellschsft“) და რუსეთში უკვე დაშვებული სააქციო საზოგადოება „არტურ კოპელი“ შეუდგნენ ჭიათურაში ერთობლივ საქმიანობას. ისინი მოქმედებდნენ პ.კ.ნარიშკინის მეშვეობით. მან მთავრობას სთხოვა ჯერ „ჭიათურის მარგანეცის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების“ დაარსების ნებართვა, 500 ათა-

სი მან. საწესდებო კაპიტალით, შემდეგ კი-ახალი სახელწოდების „ჭიათურის მარგანეცის ადგილობრივი სატრანსპორტო გზების საზოგადოების“ დაარსების ნებართვა 2 499 337 მან. ძირითადი კაპიტალით. მან მესამედ მიმართა მთავრობას უფრო ფართო დანიშნულების გაერთიანების **„მარგანეცის ელევატორებისა და მექანიკურ ნაგებობათა ჭიათურის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების“** დამტკიცების თაობაზე, 3 მლნ მან. საწესდებო კაპიტალით [136, 105-106].

1908 წელს შედგა **„მარგანეცის ელევატორებისა და მექანიკურ ნაგებობათა ჭიათურის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების“** პირველი საერთო კრება, რომელსაც დასწრნენ ბერლინის „სააღრიცხვო საზოგადოების“ წარმომადგენელი **პ.რ.ფუსი**, სააქციო საზოგადოება „არტურ კოპელის“ წარმომადგენელი **ბარონი გ.ვაგნერი, დოქტორი სოლომონსონი, ლ.ბოტასი** და სხვ. სულ 14 აქციონერი. საზოგადოებამ მიზნად დაისახა საჰაერო-საბაგირო გზის გაყვანა საბადოებიდან სადგურ ყვირილამდე (ზესტაფინამდე), სადაც მადნის გამამდიდრებელი და სარეცხი ქარხანა სურდა გაემართა [136, 106-107].

საზოგადოებამ ადგილობრივი გლეხებისაგან შეიძინა მადნით მდიდარი მიწები, ზოგი იჯარითაც აიღო, ააგო სხვადასხვა ნაგებობანი-ელევატორები, გაიყვანა სატრანსპორტო და საჰაერო-საბაგირო გზები. საზოგადოების მიერ განეულმა შესყიდვებმა და შესრულებულმა სამუშაოებმა შეადგინა 238 000 მან. საზოგადოებამ ხელშეკრულება გააფორმა **„ფრანკფურტის რკინის მადნის საზოგადოებასთან“**, რომელიც პასუხისმგებელი იყო ჭიათურიდან გაზიდული მადნის რეალიზაციაზე. **„მარგანეცის ელევატორებისა და მექანიკურ ნაგებობათა ჭიათურის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების“** საქმიანობის მასშტაბებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ქართველ მეწარმეთა მიერ დაფუძნებული მარგანეცის მრეწველთა ყრილობა, რაგდან ადგილი ჰქონდა ინტერესთა თანხვედრას. მაგალითად მეწარმე **გ.დ.წერეთელზე** ადგილობრივი სატრანსპორტო გზების მშენებლობის ნებართვა მთავრობას ჯერ კიდევ 1898 წელს ჰქონდა გაცემული, საზოგადოების საქმიანობა წინაალმდეგობაში მოდიოდა ასევე გზათა სამინისტროსთან, სახაზინო რკინიგზა კარგავდა სერიოზულ შემოსავლებს. აქედან გამომდინარე მთავრობამ საზოგადოების საქმიანობა მნიშვნელოვნად შეზღუდა, რეალურად არსებული არადამაკმაყოფილებელი პირობებით ფირმამ 1911 წელს ფუნქციონირება შეაჩერა [48, 144-149].

„მარგანეცის ელევატორებისა და მექანიკურ ნაგებობათა ჭიათურის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების“ ფაქტიური მეპატრონე ბერლინის „სააღრიცხვო საზოგადოება“ ერთი შეხედვით იოლად წავიდა ფირმის ლიკვიდაციაზე, თუმცა საქმეზე ხელი არ აიღო. ის ჭიათურაში დაშვებული მძლავრი გერმანული ფირმის **„გელზენკირჰენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების“** (Gelsencirchener Bergwerks Aktion-Gesellchaht) ერთ-ერთი მთავარი აქციონერი გახდა. ბერლინის „სააღრიცხვო საზოგადოების“ გარდა **„გელზენკირჰენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების“** წევრები იმ პერიოდისათვის იყვნენ მრავალი მსხვილი ევროპული ბანკი და სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანება. ფირმის 68 აქციონერს წარმოადგენდნენ გერმანიის საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის მაგნატები: **ადოლფ კირდორფი, „გერმანული ბანკი“, „სააღრიცხვო ბანკი“, „დრეზდენის ბანკი“, „სავაჭრო-სამრეწველო ბანკი“, „ეშვაილერის ბანკი“,**

„გერმანიის ეროვნული ბანკი“, „შაფჰაუზენის საბანკო კავშირი“, „საერთაშორისო ბანკი“, ბარონი ალფრედ ანციონი, ფაბრიკანტი **ჰ.გრინბერგი, მორიც მაგერი, ა.შოელერი, გუგო სტინესი, ერნესტ კრამერი, ემილ კირდორფი, ფ.შულენბერგი, „ს.ოპენგაიმი და კომპ.“** და სხვ. ფირმის უმსხვილესი აქციონერი იყო **გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი.** მისი აქციები შეტანილი იყო საზოგადოების ყოფილი დირექტორის **ტისსენის** სახელზე.“ საზოგადოების მიერ გაცემულ აქციათა საერთო ღირებულება 94 077 000 მარკას, ანუ 54 108 400 მან. შეადგენდა [136, 108].

საზოგადოების მიერ ჭიათურაში მობილიზებულმა კაპიტალმა შეადგინა 155 000 მარკა, ანუ დაახლოებით 118 065 მანეთი. კომპანიამ დაიწყო მანგანუმის მაღაროების ტექნიკური მოწობა და სოფელ რგანში მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა. გელზენკირჰენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგადოებამ 1909 წლიდან 1915 წლამდე ჭიათურიდან გერმანიაში გაიტანა 60 მილიონ ფუთამდე მადანი. 1903-1909 წლებში საზოგადოებას გერმანელმა მრეწველმა **ო.გილერტმა** გადასცა 76 დესეტინაზე მეტი ფართობის იჯარით აღებული საბადოები სოფელ მღვიმევსა და სოფელ ითხვისში. 1909-1914 წლებში საზოგადოებამ გერმანული ფირმა **„შალკესაგან“** 83 800 მანეთად შეიძინა საბადოები სოფელ რგანში, მღვიმევში, პერევში და ითხვისში. „გელზენკირჰენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგადოებამ“ მრავალი ნაგებობა ააგო და ისინი ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოაწყო. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც 1913 წელს ამოქმედდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ არასტაბილური პირობები შეუქმნა გერმანულ ინვესტიციებს. მთავრობის გადაწყვეტილებით, ჭიათურის რაიონში გერმანული ფირმების საქმიანობა ჯერ შეიზღუდა, შემდგომ კი სრულიად შეწყდა. შექმნილმა სალიკვიდაციო სამმართველომ „გელზენკირჰენის სამთო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების“ მთელი ქონება ჭიათურაში ასე შეაფასა:

ფირმის საკუთრებასა და დროებით სარგებლობაში არსებული მინები და ბაქნები	1 354 760 მან
ნაგებობანი და მოწყობილობა	388 320 მან
მოპოვებული მადნის მარაგი	777 564 მან
ინვენტარი	52 926 მან
სალარო	501 მან;
დებიტორებზე ირიცხებოდა	104 787 მან
სულ	2 678 858 მან;

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 109

ჭიათურაში მოქმედ ერთ-ერთ მსხილ გერმანულ ფირმას წარმოადგენდა **„კავკასიის საბადოთა ამხანაგობა შეზღუდული პასუხისმგებლობით“,** რომლის დამაარსებლები და განმკარგულებელი დირექტორები იყვნენ ჰამ-



ალფრედ კრუპი (1812-1887)
Alfred Krupp

ბურგელი ვაჭრები **ზ.ბერენდტი, ი.ბოდენგეიმერი, მ.როზენბაუმი.** ფირმას ამძლავრებდა გერმანიის სამრეწველო და საფინანსო კაპიტალის უგვირგვინო მეფე **კრუპი.** ფირმის ძირითადი კაპიტალი 100 000 მარკას, ანუ 46 300 მან. შეადგენდა [136, 109]. ფირმის ადმინისტრაციას საქართველოში პასუხისმგებელ გამგედ დაუნიშნავს ქართველი სამთო ინჟინერი **ბარნაბ პაპავა..** ფირმამ დიდძალი კაპიტალი დააბანდა ჭიათურაში და მადნით მდიდარი ნაკვეთები შეიძინა სოფლებში პერევში, შუქრუთში და რგანში. ამხანაგობა ფლობდა 503 ნაკვეთს და გაფორმებული ჰქონდა 106 საიჯარო ხელშეკრულება. 1913 წელს ფირმამ ააშენა მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა და იგი მოაწყო მაშინდელი უახლესი ტექნიკური მიღწევების დონეზე. ფაბრიკაში დამონტაჟებული მანქანა-დანადგარები გერმანიიდან იყო ჩამოტანილი. სწორედ „კავკასიის საბადოთა ამხანაგობამ" პირველმა გამოიყენა ჭიათურაში ავტომანქანები მაღაროებიდან ზედაპირზე მადნის გადმოსაზიდად. პირველი მსოფლიო ომის ცნობილი მოვლენების შემდეგ, სალიკვიდაციო სამმართველომ ამხანაგობის მთელი ქონება ასე შეაფასა:

ფირმის საკუთრებაში არსებული ნაგებობანი და ტექნიკური მოწყობილობა	659 417 მან
ინვენტარი	71 585 მან
მინების (მათ შორის ბაქნების) იჯარით აღებასა და შეძენასთან, ასევე წარმოების დაფუძნებასთან დაკავშირებული ხარჯები	1 263 480 მან
მთელი უძრავ-მოძრავი ქონება	2 181 281 მან

გერმანული ფირმების ქონების მემკვიდრეობაზე დიდი კონკურენცია გაჩაღდა ადგილობრივ და რუსულ კაპიტალს შორის. მის დასაუფლებლად იბრძოდ-

ნენ: სავაჭრო სახლი **„ძმები ოგანეზოვები“**, რუსი მრეწველები **ს.ლიანოზოვი და გ.ლვოვი, რუსეთის გემთმშენებელთა საზოგადოება (თავმჯდომარე ვ.ივანოვი), რუსეთის ორთქმავალმშენებელი და მექანიკური საზოგადოება (დირექტორი ს.პლაშკოვსკი), ტექნიკოს-სპეციალისტთა ჯგუფი: ე.გრუბე, ე.ლვოვი, დ.ხრულიოვი, სამთოინჟინრები: ტერ-დავიდოვი, ლ.ბელენკო,** ცნობილი სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანება **„სტახევი და კომპანია“**, თავადი **კანტკაუზენი** და სხვები.

ჭიათურის მარგანეცის საბადოებში მადნის მოპოვების დინამიკა პირველ მსოფლიო ომამდე და ომის შემდეგ

პირველ მსოფლიო ომამდე		პირველი მსოფლიო ომის შემდეგ	
წლები	მადნის მოპოვება (ათას ფუთობით)	წლები	მადნის მოპოვება (ათას ფუთობით)
1906	50 170		
1907	40 833		
1908	6 955		
1909	36 505		
1910	33 805		
1911	28 635		
1912	35 325		
1913	59 188		
1914	40 446	1915	15 738
		1916	14 678
		1917	12 488
		1918	7 583
		1919	3 442
		1920	5 610

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 417-419

ჭიათურაში ლიკვიდირებული გერმანული ფირმების მემკვიდრეობით დაინტერესებული იყო ინგლისური და ამერიკული კაპიტალიც, კერძოდ, რუსულ-ინგლისური გაერთიანება ლონდონში, რომელიც ეწეოდა სამთო-სამრეწველო საქმიანობას და **„რუსულ-ამერიკული პალატა“**. ამ უკანასკნელმა გერმანული ფირმების საწარმოების შეძენის შესახებ აცნობა სალიკვიდაციო სამმართველოს 1916 წელს. დიდი ბრიტანეთის საელჩო კი რეკომენდაციას უწევდა ორ ცნობილ ინგლისურ ფირმას. ესენი იყვნენ **უალდსი (მიდლსბორო) და ფერგიუსონი (ლონდონი).** 1917 წელს სალიკვიდაციო სამმართველომ ჭიათურაში მოქმედი ყველა გერმანული ფირმის კუთვნილი ქონება შეაფასა და გამოაცხადა მისი საჯარო ვაჭრობით გაყიდვა.

ჭიათურის მრეწველობას მჭიდროდ დაუკავშირდა ქუთაისელი **ფარნაოზ ვანაძეც,** რომელიც მშობლიურ ქალაქში მექანიკურ სახელოსნოს ამუშავებ-

და. მან მრეწველებთან **ჩომახიძესა** და **გველესიანთან** ერთად ააშენა შავი ქვის სარეცხი ქარხანა, სადაც იდგა ორთქლის ძრავა და ქვის სარეცხი ბარაბანი. მოგვიანებით მფლობელებს შორის უთანხმოება მოხდა და დაიშალნენ. ფარნაოზ ვაწაძემ სხვებთან, **ვანო ბარათაშვილთან, გიორგი წერეთელთან** და **იოსებ სამხარაძესთან** ერთად ახალი ქარხანა აამოქმედა, სადაც მუშაობა 3 ცვლად მიმდინარეობდა. ქარხანაში 150 მუშა მუშაობდა. ფარნაოზ ვაწაძე აპირებდა ჭიათურაში აეგო ახალი, უფრო დიდი ქარხანა, დაიწყო კიდეც, მაგრამ 1911 წელს მოკლეს ჭიათურაში [187, 170].

თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში სრულიად შეიცვალა პოლიტიკური გარემო, ჩამოყალიბდა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც მხარი დაუჭირა კაპიტალისტური წარმოების წესს და შეეცადა ხელშემწყობი გარემო შეექმნა უცხოური კაპიტალისათვის. სამთავრობო ინიციატივით 1918 წელს ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერი სააქციო საზოგადოება **„ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოება“**. იმავე წლის 27 ოქტომბერს ფინანსთა, ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრის მიერ დამტკიცებულ იქნა ამ საზოგადოების წესდება. საზოგადოება განაგებდა მარგანეცის მოპოვებისა და ექსპორტის ყველა არსებით და ძირითად საკითხს. საზოგადოების დამფუძნებლებად, წესდების თანახმად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ პირები, რომელთაც გააჩნდათ საკუთარი, მარგანეცის შემცველი მიწის ნაკვეთები, ან მათი დამუშავების სათანადო უფლებები და აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც შეიტანდნენ სათანადო კაპიტალს, რომელიც განისაზღვრა 30 მლნ. მანეთით. იგი დანაწილებული იყო თითოეულ 500 მანეთიან 60 ათას აქციად. ყველა აქცია ვრცელდებოდა დამფუძნებლებსა და საზოგადოებაში შესვლის მსურველ პირთა შორის, ამასთან მათი არა ნაკლებ 55%-სა სახელობითი იყო და 45% კი წარდგენითი (უსახელო). როდესაც შედგებოდა სააქციო კაპიტალის 25% საზოგადოებას უფლება ჰქონდა დაეწყო მოღვაწეობა, რის შედეგაც საზოგადოების მიერ მოღვაწეობის მომენტიდან არა უგვიანეს ორი წლისა, მას მთლიანად უნდა გაენაღდებინა (გადაეხადა) სააქციო კაპიტალი. გამგეობის წევრებად და კანდიდატებად აირჩეოდნენ ის პირები, რომელნიც ფლობდნენ სულ მცირე 25 აქციას. ყოველი 50 აქცია იძლეოდა ერთი ხმის უფლებას, მაგრამ ერთ აქციონერს არ შეეძლო ჰქონოდა თავისი აქციებით ხმის მეტი რაოდენობა, ვიდრე იძლეოდა საზოგადოების ძირითადი კაპიტალის ღირებულების 1/20 ნაწილის, ე.ი. 5%-ს მფლობელობა [224, 100-101].

საწარმოო პროცესების უზრუნველსაყოფად, სამთავრობო მხარდაჭერით ჩამოყალიბებული ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოება“ გეგმავდა ობლიგაციების გამოშვებასაც. მას შეეძლო გამოეშვა ობლიგაციები ისეთი რაოდენობით, რაც არ გადააჭარბებდა საზოგადოების უძრავი ქონების საერთო ღირებულების ნახევარს [224, 100-101].

განსხვავებულად გადმოგვცემს ამ საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეს კ.კანდელაკი: „ჭიათურის მარგანეცის (შავი-ქვის) მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების“ წესდება დამტკიცებული იყო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ 27 სექტემბერს 1918 წელს. საზოგადოების ძირითადი თანხა შეადგენდა 30 მილიონ ოქროს მანეთს. საზოგადოებამ გააერთია-

ნა 165 პატარა წარმოება მთელი მათი ქონებით და მასალით. საზოგადოების წევრთა ქონება ერთად აღებული წარმოადგენდა 3 000 ქცევა მადნიან მიწას, 18 სამრეცხაოს, 50 კილომერტის სიგრძე ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზას, ბინებს-მუშათა საცხოვრებელს, საკტორების და სანყობებისას, ქიმიურ ლაბორატორიებს, სანყობებს (ბაქანს) ჭიათურაში და ფოთში, ვაგონებს, ხელსანყოებს და სხვ" [113, 18-19].

„ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოებამ" ამ დარგის ყველა მრეწველი ვერ გააერთიანა. XX საუკუნის 20-იან ნლებში მადნით მდიდარი მიწების მფლობელობა სტატისტიკურად ასე გამოიყურებოდა: „მრეწველთა ხელში არსებული მადნიანი მიწების მთელი სივრცე მოიცავდა 6 000 ქცევა მიწას, აქედან ეკუთვნოდა:

√ „ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საზოგადოებას 3 000 ქცევა;
√ საზოგადოება Gelsenkischen-ს 1000 ქცევა;
√ „კავკასიის სამთო-მადნო საზოგადოებას" 400 ქცევა;
√ Foswood-ს 250 ქცევა;
√ ყველა დანარჩენს ერთად 1 350 ქცევა;
√ ამას გარდა, საექსლოატაციო ზონის გარეთ ანგარიშობდნენ კიდევ 4 000 ქცევა მადნიან მიწას (მარაგს) [113, 18-19].

რეალურად, „ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოების" სახით, იმდროინდელი საქართველოს სინამდვილეში, სახეზე გვაქვს სააქციო საზოგადოების ტიპიური ორგანიზაციული ფორმა, რომელიც მონოპოლისტია ქართულ ბაზარზე ჭიათურის მარგანეცის მადნის მოპოვებისა და რეალიზაციის საქმეში. ბუნებრივია, „ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოების" ეს პრივილეგია არ მოეწონებოდათ ბაზარზე უკვე დიდი ხნის მოთამაშე კერძო მფლობელებს, რომლებსაც სერიოზული ინვესტირება ჰქონდათ განხორციელებული ამ საქმეში. დაძაბულობის განსამუხტავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრებამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც: „მხოლოდ მარგანეცის ექსპორტი ცხადდებოდა სახელმწიფო მონოპოლიად. კანონმა ხელშეუხებლად დატოვა კერძო საკუთრება მარგანეცის საბადოზე-მარგანეცის შემცველ მიწის ნაკვეთებზე, როგორც მატერიალური წარმოების პროცესის საფუძველზე და რამდენამდე შეეხო მხოლოდ მიმოქცევის სფეროს [113, 18-19].

კანონის გათვალისწინებით და ქართველ მეწარმეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივით, რომელთა თაოსნები **ძმები ვარაზიშვილები** იყვნენ, 1919 ნლის 12 ნოემბერს ჩამოყალიბდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველების მსხვილი წარმომადგენლებისაგან ამხანაგობა-„ჭიათურის მარგანეცის საექსორტო საზოგადოება" (**„ჩემო"**). მასში შევიდა ისეთი მსხვილი გაერთიანებები, როგორიც იყო:

√ **„ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოება"**
√ სააქციო საზოგადოება **„კავკასიის მარგანეცი"**
√ ფირმები **„ს.კირივზიდი და კომპ."** და **„ფ.დიუპრე და კომპ."**
√ მარგანეცის მრეწველი **მ.ს.მანულიდისი** და სხვ.

„ჩემოსა" და მთავრობას შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად

სახელმწიფომ მარგანეცის ექსპორტის მონიპოლიის თავისუფლება გადასცა ამ საზოგადოებას. შეთანხმება მხოლოდ ამ საზოგადოებას ანიჭებდა საქართველოს საზღვრებიდან მარგანეცის გატანის უფლებას [113, 102-103].

საზოგადოების სახელწოდება „ჩემო" დაუკავშირდა მისი რუსული დასახელების საწყის ასოებს. შედგა საზოგადოების წესდება და ჩამოყალიბდა გამგეობა. გამგეობაში ცნობილი მოღვაწეები, თავმჯდომარედ კი-ნიკო ნიკოლაძე მიიწვიეს. **საზოგადოება „ჩემო"** მალე მძლავრ ორგანიზაციად იქცა, მას ფილიალები ჰქონდა გერმანიაში, ინგლისში, თურქეთში, ამერიკაში [72].

ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოების „ჩემოს"-ს მინდობილობით ნიო ნიკოლაძე მიდიოდა ლონდონში, როტერდამში, პარიზსა და ჰააგაში, აგვარებდა ამ ძვირფასი წიაღისეულის საზღვარგარეთ გატანის საკითხებს. ჩნობილი ამერიკელი მრეწველი ჰარიმანი საქართველოში სწორედ ნ.ნიკოლაძის რჩევით ჩამოვიდა. 288, 43]

„ჩემოსა" და მთავრობას შორის დადებული შეთანხმება მნიშვნელოვან პუნქტებს მოიცავდა სახელმწიფოსათვის და მისი შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა, იგი ითვალისწინებდა „ჩემოს" მიერ გაყიდული მარგანეციდან ამონაგები მთელი უცხო ვალუტის და საზოგადოების შემადგენლობაში შემავალ მარგანეცის უცხოელ მრეწველთა კუთვნილი წმინდა მოგების 2/3-ის გადაცემას მთავრობის განკარგულებაში, მთავრობისათვის გადაცემას უცხო ვალუტაში. მთავრობა ანგარიშს უსწორებდა „ჩემოს" ქართული ფულის ნიშნებით ადგილობრივ ბანკებში სტერლინგზე საშუალო კურსის მიხედვით. საექსპორტო ოპერაციებიდან „ჩემოს" მიერ მიღებული წმინდა მოგების 25% გადაირიცხებოდა მთავრობის სასარგებლოდ უცხო ვალუტით, ამასთან ამ თანხის 2/3 დაუყოვნებლივ ეძლეოდა მთავრობას „ჩემოს" მიერ გაყიდული მარგანეცის ღირებულების მიღებისთანავე. გარდა ამისა, მარგანეცის გატანაზე მონოპოლიური უფლების მინიჭებისათვის უნდა გადაეხადათ მთავრობის სასარგებლოდ გასატანი მარგანეცის რესპუბლიკის საბაჟოდან გაშვებისას 2 შილინგი თითოეულ ტონა ჩვეულებრივ მარგანეცზე და 4 შილინგი თითოეულ ტონა პიროქსიდის სახით გაყიდულ მარგანეცზე.

„ჩემოს" ოპერაციებზე მეთვალყურეობის მიზნით მარგანეცის შეუფერხებელი ექსპორტით მთავრობის მატერიალური დაინტერესების გამო, მთავრობა იტოვებდა საზოგადოების შინაგან და საგარეო საქმიანობაზე კონტროლის უფლებას [224, 103-104].

XX საუკუნის 20-იან წლებში ქართული სინამდვილისათვის საზოგადოება „ჩემო" კერძო ბიზნესის და სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობის იდეალურ და ინოვაციურ მოდელს წარმოადგენდა. ძვირათ თუ ყოფილა სადმე ისეთის ერთსულოვნებით, მთავრობისა და მრეწველების მხრივ, სახელმწიფოს მონოპოლია ცხოვრებაში გატარებული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჭიათურის შავი-ქვის მონოპოლიის საქმეში, იმიტომ, რომ ორივე მხარეს, როგორც მთავრობას, ისე მესაკუთრეებს, ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ იმ დიდი სარგებლობის, მათი თანამშრომლობის ამ წესს რომ მოჰქონდა. 1920 წლიდან ეტყობა გამოცოცხლება შავი-ქვის მრეწველობასაც ჩვენში [113, 92

დამზადებული იყო მარგანეცი		
1918 წელს	1 600 000 ფუთი	26 200 ტონა
1919 წელს	3 300 000 ფუთი	54 100 ტონა
1920 წელს	7 300 000 ფუთი	119 600 ტონა
გატანილი იყო მარგანეცი უცხოეთში		
1918 წელს	4 100 000 ფუთი	67 200 ტონა
1919 წელს	2 600 000 ფუთი	42 600 ტონა
1920 წელს	11 200 000 ფუთი	183 600 ტონა

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: კ.კანდელაკი „საქართველოს ეროვნული მეურნეობა". წიგნი მეორე-დამოუკიდებელი საქართველო, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. PARIS. 1960. გვ.92

„ჩემო" საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მსხვილი დამფინანსებელი გახლდათ, მაგალითად ამხანაგობის სხდომის ოქმი გამოდგება, სადაც ვკითხულობთ, რომ 1920 წლის 24 მაისი (ოქმი №4). მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას გადაეცა 2 000 000 (ორი მილიონი) მანეთი და ჩაითვალოს ეს პირველ შენატანად, ხოლო მორიგ შენატანებზე მსჯელობა ვიქონიოთ შემდეგში [224, 105].

სამომავლოდ ძმები ვარაზიშვილების ავტორიტეტს გადამწყვეტი როლი უთამაშია საზოგადოების არსებობა-არარსებობის ბედის საქმეში. 1925 წელს „ჩემომ" შეწყვიტა არსებობა და 12 ივნის მანგანუმის საბადოს კონცესია გადაეცა ამერიკულ ფირმა „ჰარიმანს" [3]. ტყიბულის ქვანახშირის საბადოების აღმოჩენის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით ქვანახშირის ტყიბულის საბადოს შესახებ პირველი ცნობა 1930 წელს გამოქვეყნდა [321], რის შემდეგაც მეფისნაცვალ ვორონცოვის დავალებით სამთო მოხელე **კულიშინმა** პირველად გამოიკვლია ეს საბადოები, მან შეისწავლა ტერიტორია ქუთაისსა და ნაქერალას ქედს შორის. საბადოს არსებობა დადასტურდა და საჭირო იყო მისი ხარისხიანობის გამოცდა. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის ხელმძღვანელობითაც ადგილობრივ მცხოვრები ბოჭორიშვილებისაგან იჯარით აღებულ საბადო ნაკვეთებში მოპოვებულ იქნა 20 ათასი ფუთი ქვანახშირი. ეს ნედლეული გადაეგზავნათ შავი ზღვის ფლოტის ხომალდებს გამოსაცდელად. ტყიბულის ქვანახშირი სპეციალურმა კომისიამ სამხედრო გემ „ბოეცზე" გამოიკვლია, 1847 წელს გემ „ბესარაბიაზე" მოეწყო ტყიბულის ქვანახშირის მეორე, ხოლო 1849 წელს გემ „ენიკალზე" მესამე გამოცდა. კომისისამ დაასკვნა, რომ ტყიბულის ქვანახშირი კარგი თვისებებისა იყო და ხარისხით ნიუკასლურს არ ჩამორჩებოდა [296, 597-598].

ტყიბულის ქვანახშირის საბადოების აღმოჩენის თარიღად **ნ.ტყეშელაშვილი** 1845 წელს ასახელებს, კერძოდ, იგი წერს: „ტყიბულის ქვანახშირის საბადოს

აღმოჩენის შესახებ მონაცემთა შესწავლის საფუძველზე უკანასკნელად დადგენილია, რომ ეს საბადო აღმოჩენილ იქნა 1845 წელს და არა 1847 წელს, როგორც ამის შესახებ წერენ ზოგიერთ საყურადღებო გამოცემაში. ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაცია დაიწყო ერთბაშად აღმოჩენის მომენტიდანვე, ე.ი. 1845 წლიდან, როცა ამოღებულ იქნა 3 000 ფუთი ქვანახშირი, აქედან 1 400 ფუთი საპალნით და ურმებით გადაზიდეს რედუტ-კალეში (შავ ზღვაზე) ქვანახშირის ხარისხის შესამოწმებლად. ქვანახშირი მიიღო შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთმა გემმა „ბოეცმა" [224, 11-12].

საბადოს აღმოჩენის განსხვავებული ვერსიაა დაცული **ნიკო ნიკოლაძესთან**, რომელიც წერს: „ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ ცხოვრობდა ქუთაისში ერთი თერძი-**საყვარელიძე,** გადმოსახლებული ახალციხიდგან. საიდან ჰქონდა ამ კაცს შეძენილი მადნეულობის ცოდნა, არ ვიცი და ვერ გავიგე. ნამდვილი კი ისაა, რომ ეს კაცი ნიადაგ დადიოდა მთებში, ერთი უბრალო ჩაქუჩით და აგროვებდა სხვადასხვა მადნეულებს. იმ დროს ქუთაისში ეს კაცი ყველას სულელათ მიაჩნდა. მოჰქონდა ამ კაცს სხვადასხვანაირი „ქვები", ზოგი-როგორც ეხლა მითხრეს ოქროსავით ბრწყინავდა, ზოგი ვერცხლივით, გვიჩვენებდა ხოლმე და გვეუბნებოდა: „ეს ვერცხლია, ეს სპილენძი, ეს ტყვია ან კალაო". ამ საყვარელიძემ მოძებნა ქუთაისის მაზრაში ალებასტრი, რომელიც ძლიერ კარგი გამოდგა და რომელიც კიდეც გამოიყენეს ქუთაისში სახლების აშენების დროს. ამავე საყვარელიძემ გამოძებნა ტყიბულას ქვის ნახშირი, ჩამოიტანა ეს ძვირფასი მადნეული ქუთაისს და მიართვა მაშინდელ მმართველს **ესპეხოს** და მადნეულის ინჟინერს **კომაროვს.** ამ პირებმა იმას დიდი საჩუქარი და მადლობის მოტანა აღუთქვეს და იმწამსვე მთავრობას მოხსენება გაუგზავნეს ამ აღმოჩენის შესახებ" [171, 76].

ნიკო ნიკოლაძე (1843-1828)

1858 წელს ტყიბულის

ქვანახშირის საბადო შეისწავლა აკადემიკოსმა **ჰერმან აბიხმა,** რომლის დასკვნა ზუსტად ემთხვეოდა სპეციალური კომისიის მოსაზრებას. საბადოს გეოლოგიური კვლევა-ძიება შემდეგაც გრძელდებოდა, იგი გახდა ინჟინრების **ბაცევიჩის, სოროკინის, სიმონოვიჩის,** ფრანგი სამთო ინჟინრების **პერნოლეს** და **ელიკოს** კვლევის ობიექტი.

საბადოს ექსპლოატაციის დაწყება მხოლოდ ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის შემდეგ გახდა შესაძლებელი და ამ საქმით ხაზინა დაინტერესდა. 1846 წელს იჯარით, 36 წლით, ხაზინამ აიღო თავად აგიაშვილების, აზნაურ კანდელაკებისა და გლეხ ბოჭორიშვილების კუთვნილი ნაკვეთები ტყიბულში. ამ უკანასკნელთ ხაზინა ყოველ ფუთ მოპოვებულ ქვანახშირში 3/4 კაპიკს უხდიდა [136, 384]. მიწების ზედამხედველობა საიდუმლო მრჩეველ **ნ.ნოვოსელსკის** და პოდპოლკოვნიკ **პ.პრინცს** ევალებოდათ. **ნ.ნოვოსელსკის** არა მხოლოდ სახაზინო ინტერესები ამოძრავებდა. მან სერიოზული ინვესტირება განახორციელა ამ ბიზნესში, კერძოდ მთავრობისაგან, სახელმწიფო ბანკიდან და გზათა სამინისტროსაგან არაერთხელ სესხად აღებული მილიონობით მანეთით გაიყვანა გზები, ააშენა სამრეწველო და საცხოვრებელი შენობები, მოაწყო მადნის გამამდიდრებელი და საბრიკეტო ფაბრიკები. იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობა გარედან მოსულ მეწარმეთა ხელში ტყიბულის ქვანახშირის საბადოს გადასვლის გამო გულისწყრომას გამოთქვამდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება აღნიშნული გარემოებისადმი [271]. იგი წერდა: „ამას წინეთ უფ. ჩქოტუა ინერებოდა ოდესიდამ, რომ ტყიბულის ნახშირი კაი ხანია აღწერილი და დაფასებული ყოფილა სწავლული პირებისაგან და მათი აღწერილობის ზოგიერთ ადგილებს იხსენებდა. ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ აქ ორიოდე სიტყვა ამავე საგანზე და გავიხსენოთ რას სწერენ ამ ტყიბულის ნახშირზე სამზღვარს გარეთელ სამეცნიერო ჟურნალებში. ერთ ნემეცურ სამეცნიერო გამოცემაში, რომელსაც სახელად ჰქვია „Archiv fur wissenschaftliche kunde von Russland"(herausgegeben von A.Ezman, VI Bd.Berlin, 1848, SS. 553-554) დაბეჭდილია სტატია ქვის ნახშირის მადნებზე ჩვენში („Die steinkohlenformation am Zchwarzen Meere, zu beiden Saiten des Kaukasus"). ამ სტატიაში ნათქვამია, რომ ტყიბულის ნახშირი ორმოცდახუთში ყულევს წაიღესო, ათას ფუთამდი, იქ ცეცხლის გემზე გასინჯესო და სახელმწიფო ცეცხლის გემის „Боець-"ის კაპიტანმა დაამოწმა, რომ ეს ნახშირი მშვენიერად მოსახმარი არისო. ამას გარდა ესევე ნახშირი უსინჯავთ ქერჩს, იქაურ რკინეულ ქარხნებში და იქაც მისი ჩინებული თვისება ყველას დაუმოწმებია. ამ ჟურნალის სიტყვებით, სადაც კი სინჯეს ეს ნახშირი ყველგან აღმოჩნდა, რომ უკეთესი არ შეიძლება ისეთიაო" [172, 41].

საქართველოში რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაში იწყება ახალი, უფრო მნიშვნელოვანი პერიოდი. ქვანახშირის ბაზარზე გამოჩნდა მთავარი მომხმარებელი-რკინიგზა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა მექანიკური და შემკეთებელი სახელოსნოები. წარმოიშვა ზოგიერთი საფაბრიკო-საქარხნო საწარმო და სახელოსნო, რომლებიც მოიხმარდნენ ქვანახშირის განსაზღვრულ რაოდენობას საწვავ მასალად, რამაც ქვანახშირის ამოღება გაზარდა 27-ჯერ და უფრო მეტად [224, 16].

საქართველოში ქვანახშირის მოპოვება და ერთი მუშის გამომუშავება
(ათას ფუთობით)

წლები	მოპოვებულია	მუშათა რიცხვი	ერთი მუშის გამომუშავება
1870	145,0	54	2,7
1880	320,0	118	2,7
1888	389,0	145	2,7
1889	500,0	93	5,3
1890	600,0	150	4,0
1893	1511,0	328	4,6
1894	1635,4	354	4,6
1895	1635,5	354	4,6
1900	4000,0	700	5,7

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: ნ.მ.ტყეშელაშვილი „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864-1920 წწ.) თბ. 1958. გვ. 17

1883 წელს, **ნიკო ნიკოლაძის** ინიციატივით იწყება ქუთაისიდან ტყიბულამდე სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. ამ პროექტის ღირებულებამ 3 მლნ მანეთი შეადგინა და 1886 წელს დასრულდა. 1890 წელს ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით, 2 მილიონი მან. ძირითადი კაპიტალით, დაარსდა და ფუნქციონირება დაიწყო „ნახშირა-ტყიბულის სამრეწველო საზოგადოებამ", რომელსაც დიდი მიზნები ჰქონდა. ეს სააქციო საზოგადოება დააფუძნეს **ნიკო ნიკოლაძემ**, მეორე გილდიის ვაჭარმა **ი.ალელოვმა**, ინჟიმერმა **ი.ბოგაჩმა, ალ.მელიქ-აზარიანცმა**, მემკვიდრეობითმა საპატიო მოქალაქემ **ი.ცივიანოვმა**, და **ვ.შაბუროვამ**. საზოგადოების აქციონერთა სიაში 210 პირი ირიცხებოდა. მათ შორის იყო **ივ.მუხრანბატონის მეუღლე ქეთევანი, ალექსანდრე, ელენე, მარიამი, ნანა და მიხეილ ისარლიშვილები, ბარბარე თუმანიშვილი, სიმონ რუხაძე, ბესარიონ კანდელაკი, ნეოლინა აგიაშვილი, თინათინ კორინთელი, ხახული ლორთქიფანიძე, ლუკა ხვიჩია, ალექსანდრე მდივანი, ნოე ნიჟარაძე, ვასილ პეტრიაშვილი, სერგო წერეთელი, ოლღა ჩიჯავაძე, ბაგრატ ულენტი, არონ ელიგულაშვილი, ი.ზუბალაშვილი, დ.კაკიტელაშვილი, ლევან ადამია, გიორგი ადელხანოვი, ძმ.ცივიანოვებისა და კომპანიის „სავაჭრო სახლი", ნ.არღუთინსკი-დოლგორუკი, „საბანკო კანტორა ა.ფრიდონოვი და კომპ."** და სხვები.

ტყიბულში ქვანახშირის წარმოების განვითარება საქართველოში 1847-1899 წლებში

(ცხრილის მონაცემები ემყარება კავკასიის სამთო უწყებისა და სააქციო საზოგადოებების ყოველწლიურ ანგარიშებს და მოხსენებებს, პ.გუგუშვილის ნარკვევს „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარებასაქართველოსა და ამიერკავკასიაში", გვ.255, კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის 1881-1890 წლების მოხსენებას მარგანეცისა და ქვანახშირის ექსპლოატაციის მდგომარეობის შესახებ, „საისტორიო მოამბე" 1956 №9 გვ 127 და სხვა მკვლევართა ნაშრომებს)

წლები რკინიგზის შტოს გაყვანამდე	ქვანახშირის მოპოვება ფუთობით	წლები რკინიგზის შტოს გაყვანის შემდეგ	ქვანახშირის მოპ-ოვება ფუთობით
1847	23 000	1887	100 000
1860	150 000	1888	400 000
1880	320 000	1889	457 000
1882	40 000	1890	500 000
1883	50 000	1891	427 000
		1892	400 000
		1893	1 5110 000
		1894	1 635 459
		1895	1 068 406
		1896	1 784 597
		1897	1 288 053
		1898	1 867 948
		1899	2 182 260

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამ-რეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 393

საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 2 მლნ მან. ოდენობით განისაზ-ღვრა, ის შედგა 4 000 აქციის (თითოეული 500 მან) რეალიზაციით [136, 94]. პირველ რიგში საჭირო იყო საბადო ნაკვეთების გამოსყიდვა. საზოგადოებამ ამოქმედებისთანავე გამოისყიდა **ს.შაბუროვის** ქვრივის **ვიქტორია შაბუროვას** საკუთრებაში არსებული ქვანახშირის საბადო, გაიყვანა 3 ვერსის სიგრძის რკინიგზის ხაზი მაღაროებიდან ტყიბულის სადგურამდე, აამოქმედა ბრემსბერ-გი და ა.შ. 1890 წელს საზოგადოება „ნახშირამ" 160 ათასი ფუთი ქვანახშირი მოიპოვა, ხოლო 1899 წელს 2 182 ათასი ფუთი. დასაქმებულ მომუშავეთა რა-ოდენობა 310 კაცი იყო.

„„ნახშირა-ტყიბულის სამრეწველო საზოგადოების" პარალელურად ტყ-იბულში ფუნქციონირებდა „ტყიბულის ქვანახშირის საბადოსა და საბრიკეტო წარმოების რუსული საზოგადოება," რომელიც **ა.ნოვოსელსკის** ეკუთვნოდა. საზოდაგოების დამფუძნებლები იყვნენ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი **ი.ვ.დრური, ფრანგი მოქალაქე ინჟ. ემილ გოტეი და ინჟ. მენარდე, ვ.ი.ევდოკი-მოვი, გ.ვაველბერგი, ლ.პ. ფონ გლაზენაპი, ი.გლინკა, ა.გრუბე, ბარონესა ბ.ი.იკ-სკულ-გილენბანდი, „კენიგსბერგი და კომპ." ი.ლანდაუ, ფ.მაერი, ბარონი გ.კ. მანერჰეიმი, შ.ნეიმანი, ბ.პოლიაკოვი, ა.რაფალოვიჩი, პ.ტიზბარი, „ფილიპსონი, გორვიცა და კომპ." რ.შარლიე, „ი.ვ.იუნკრი და კომპ."** და სხვები. სულ 56 აქციონერი. ფირმის ძირითადი კაპიტალი 2 მლნ მან. შეადგენდა [136, 95]. საზოგადოების საქმიანობა თავიდანვე არასწორად წარიმართა, მათ არასაკ-მარისად ჩათვალეს მხოლოდ სათბობი ქვანახშირის და ბრიკეტების წარმოე-ბა და სცადეს კავკასიაში ფართომასშტაბიანი მეტალურგიული წარმოების წამოწყება, რაც კოლოსალურ ფინანსურ სახსრებთან იყო დაკავშირებუ-

ლი. 1890 წელს ნოვოსელსკის ფირმამ 297 ათასი ფუთი ქვანახშირი მოიპოვა. გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი ხარჯების გაღებამ ნოვოსელსკი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. 1900 წელს არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო „ტყიბულის ქვანახშირის საბადოსა და საბრიკეტო წარმოების რუსული საზოგადოების“ მთელი ქონება ხაზინის განკარგულებაში გადავიდა, ხოლო 1914 წელს მისი საწარმოები იჯარით აიღო „ნახშირა-ტყიბულის სამრეწველო საზოგადოებამ“. ამ უკანასკნელსვე დაევალა ნოვოსელსკის ვალების გადახდაც. 1896 წელს საზოგადოებამ მილიონ ფუთზე მეტი ქვანახშირი მოიპოვა და ნოვოსელსკის ვალების დაფარვაც დაიწყო, მაგრამ 1897 წელს საზოგადოების საბრიკეტო ფაბრიკაში გაჩენილმა ხანძარმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა მას. საზოგადოების მესვეურნი საზღვარგარეთაც ეძებდნენ პარტნიორს, მაგრამ უშედეგოდ, ამის გამო 1899 წელს წარმოება შეჩერდა.

„ნახშირა-ტყიბულის სამრეწველო საზოგადოების საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები 1900-1917 წლებში

(ცხრილის მონაცემები ემყარება კავკასიის სამთო სამმართველოს ყოველწლიურ ანგარიშებს, რომელიც თბილისში ისტამბებოდა)

წლები	მუშათა რიცხვი	მოპოვებული და გაწმენდილი ქვანახშირი (ფუთობით)	ფირმის სუფთა მოგება და წაგება (მანეთობით)
1900	700	3 875 144	+ 21 300
1901	–	2 254 345	+ 17 721
1902	–	2 000 813	+ 18 910
1903	–	2 161 188	+ 48 067
1904	–	2 586 180	+ 41 567
1905	–	1 699 369	– 58 785
1906	400	2 196 393	– 29 809
1907	400	2 813 278	+ 10 276
1908	787	3 091 000	+ 29 555
1909	390	2 461 730	+ 5 268
1910	385	2 379 828	+16 437
1911	622	3 196 464	+ 21 292
1912	676	4 186 000	+ 47 599
1913	710	4 192 886	+ 42 623
1914	644	3 895 300	–
1915	653	4 471 100	–
1916	960	3 700 700	–
1917	520	2 102 800	–

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 395

შავი ზღვის ფლოტის გარდა, ტყიბულის ქვანახშირის მომხმარებელი იყო ამიერკავკასიის რკინიგზა, იმ პერიოდში მოქმედი ფაბრიკა-ქარხნები, ასევე მო-

სახლეობა ოთახის ღუმელებისათვის.

ტყიბულის ქვანახშირის საბადოები ერთადერთი არ აღმოჩნდა საქართველოსთვის. 1888 წელს მოხელე **რომუალდ კონოპაცკიმ** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სთხოვა ტყვარჩელში აღმოჩენილ საბადოში საძიებო სამუშაოების გასაშლელად 100 დესეტინის გამოყოფა. ამ უკანასკნელმა საბადოს გეგმის წარმოდგენა მოითხოვა, რაც რ.კონოპაცკიმ მხოლოდ 1896 წელს შეძლო და დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგან ადგილობრივმა საქმოსნებმა **პაიჭაძემ, ინჯიამ, წინამძღვრიშვილმა და ძოწენიძემ** 1895-1896 წლებში ხსენებული საბადოს საძიებოდ 73 ნაკვეთის მიღება მოასწრეს. ეს უკანასკნელნი ამხანაგობაში გაერთიანდნენ და სპეციალისტების მეშვეობით საბადოს შესწავლას შეუდგნენ [136, 400].

პაიჭაძის, ინჯიას, წინამძღვრიშვილისა და ძოწენიძის გვერდით სახელდებიან სხვა მეწარმენიც: **კარტოზია, ჩხოტუა, კვირია, ივანიდისი, სტეპანოვი, ნორაკიძე, შცეპანსკი, შერვაშიძე, ანჩაბაძე, ემუხვარი და სხვები.** ტყიბულის ქვანახშირის საბადოების საექსპოატაციოდ ხაზინას დაუკმაყოფილებია 113 მოთხოვნა და ამ მოთხოვნების საფუძველზე გაუცია 658 ნაკვეთი.

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ქვანახშირით უმთავრესად რესპუბლიკის რკინის-გზები სარგებლობდნენ და მთელი წარმოების უდიდესი ნაწილი მას ხმარდებოდა, საბოლოოდ ტყიბულის მაღაროების ექსპლოატაციაც მთავრობამ რკინის-გზების უწყებას ჩააბარა [113, 93].

ამოღებული ქვანახშირი ტყიბულში		
1913 წელი	4 200 000 ფუთი	68 900 ტონა
1917 წელი	3 800 000 ფუთი	62 300 ტონა
1918 წელი	ცნობები არაა	
1919 წელი	2 400 000 ფუთი	39 300 ტონა
1920 წელი	5 500 000 ფუთი	90 200 ტონა

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: კ.კანდელაკი „საქართველოს ეროვნული მეურნეობა". ნიგნი მეორე-დამოუკიდებელი საქართველო, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. PARIS. 1960. გვ.93

ქართველ მეწარმეებს სერიოზული კონკურენცია გაუწია უცხოურმა კაპიტალმა, როდესაც 1896 წელს ტყვარჩელის საბადოებით დაინტერესდა პოდოლსკელი მემამულე **გიორგი ბუტმი დე-კაცმანი.** მან შეძლო ხელში ჩაეგდო საუკეთესო საბადო ნაკვეთები, შექმნა **„ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს სააქციო საზოგადოება"** თავად **კანტკაუზენსა** და ვაჭარ **სტეპანოვთან** ერთად. ტყვარჩელის ტერიტორიაზე მათ მიერ გაშლილი გეოლოგიური საძიებო სამუშაოების მასშტაბები მიუთითებს იმაზე, რომ ამხანაგობისათვის იგი წარმოადგენდა სერიოზულ საინვესტიციო ობიექტს. „საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 3,6 მლნ მან. 1908 წელს საწესდებო კაპიტალი 7 073 მან. გაიზარდა. საზოგადოებას უნდა გაეცა 250 მან. ღირებულების 28 292

აქცია, რაც დაწესებულ ვადებში ვერ შეძლო [136, 110]. 1906 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია გეოლოგიური კომიტეტის წევრის, გამოჩენილი რუსი გეოლოგის **ლ.ი.ლუტუგინის**, ადგილობრივი ინჟინრის **მარკოვის** და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის **გრიგორაშას** შემადგენლობით. კომისიამ თავი შეიკავა ტყვარჩელის საბადოსათვის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მინიჭებაზე, მაგრამ დასკვნის თანახმად იგი ქვანახშირის მსხვილ საბადოს მიაკუთვნა. შემდეგ ეტაპზე აუცილებელი იყო ქვანახშირის ხარისხის განსაზღვრა. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა 1900 წლის 4 აგვისტოს ხსენებულ ამხანაგობას ნება დართო ქვანახშირი გაეზიდა (შავი ზღვის სანაპიროზე) სამხედრო ფლოტის ხომალდებზე გამოსაცდელად. შავი ზღვის ფლოტის მთავარსარდლის ბრძანებით 1900 წლის 5 აგვისტოს ტყვარჩელის ქვანახშირი გამოცდილ იქნა სახედრო ფლოტის კრეისლერ „კაპიტან საკენზე" და ნაღმოსან „№256"-ზე. გამოცდამ ტყვარჩელის ქვანახშირის მაღალხარისხოვნება აჩვენა. შემდეგი გამოცდა 1900 წლის 19 სექტემბერს ტრანსპორტ „ბუგზე" ჩატარდა [136, 110-111].

კომისიის დასკვნაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ტყვარჩელის ქვანახშირი ხარისხით დონეცკის ქვანახშირს სჯობდა და იძლეოდა ეკონომიას 10-დან 25%-მდე. ამ შეფასებების შემდეგ ტყვარჩელის ქვანახშირით ინტერესდება მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი **ა.ერმოლოვი**, რომელსაც პირადად დაუთვალიერებია საბადო, აღფრთოვანებულა მისი მასშტაბებით და დაუწყია მისი პოპულარიზაცია. შესაძლებელია, ესეც გამხდარიყო მიზეზი იმისა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებით დაინტერესდა **შაჰი-გული-მირზა,** რომელმაც სამთო-საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად სერიოზული გუნდი შეკრიბა. მასთან თანამშრომლობდნენ „სამთო ინჟინრები **კ.ჩერნეევსკი** და **მ.დემბოვსკი,** პროფესორი **ლ.ი.ლუტუგინი,** (კარდიფის უნივერსიტეტის პროფესორი ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და რუსეთში აღიარებული სამთო ინჟინერი), **ვ.ჰალოვეი** (მეცნიერებისა და მრეწველობის დეპარტამენტის წევრი და მთავრობის ინსპექტორი ინგლისში). მათ დაასკვნეს, რომ ტყვარჩელში ქვანახშირის მარაგი ძევს საბადოს ნაწილში 45 კვ.ვერსის ფართობზე. **ლ.ი.ლუტუგინის** გაანგარიშებით, ტყვარჩელის საბადოს მარაგი 2,5 მილიარდ ფუთ ქვანახშირს უდრიდა, რაც საბადოს 50 წლის ექსპლოატაციას უზრუნველყოფდა, ყოველწლიურად 50 მლნ ფუთის ამოღებით. **ვ.ჰალოვეის** შეფასებით ხსენებული საბადოს მარაგი დაახლოებით 6 მილიარდ ფუთს შეადგენდა. მისივე დასკვნით ტყვარჩელის ქვანახშირი საუკუთესო ხარისხის კარდიფის ქვანახშირის ტიპისა იყო [136, 405].

მრავალი დასკვნა აძლევდა **ბუტმი დე-კაცმანს** თამამად მოქმედების საშუალებას, მაგრამ მეწარმემ სამთო კანონმდებლობის თანახმად სახაზინო მიწებზე მეწარმეობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული გადასახადის გადახდა ვერ შეძლო. სახელმწიფო ხელისუფლებამ არაერთხელ გაუწია ანგარიში საზოგადოების ინტერესებს, მაგრამ 1913 წელს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო უფლებები ჩამოართვა და გადასცა **ნორვეგიელ მეწარმეთა ჯგუფს.**

1913 წელს საქართველოში სულ მოპოვებულ იქნა 4 192,9 ათასი ფუთი ქვა-

ნახშირი და მრეწველობის ამ დარგში მუშაობდა 700 მუშა. ქვემოთ მოტანილი სტატისტიკური მონაცემები ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობაზე, მისი განვითარების დონეზე პირველ მსოფლიო ომამდე [224, 62].

ქვანახშირის მოპოვების დინამიკა საქართველოში
(ათას ფუთობით)

წლები	მოპოვება	მუშათა რიცხვი მაღაროებში	გამომუშავება ერთ მუშაზე
1900	4000,0	700	5,7
1906	2300,0	400	5,4
1907	2800,0	400	7,0
1908	3111,5	390	8,0
1909	2439,5	385	6,3
1910	2807,6	390	7,2
1911	3884,8	600	6,5
1912	4132,1	600	6,9
1913	4192,9	700	6,0
1914	3895,3	–	–
1915	4471,1	–	–
1916	3700,7	–	–
1917	2102,8	–	–

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: ნ.მ.ტყეშელაშვილი „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864-1920 წწ.) თბ. 1958. გვ. 62-65

1916 წელს ტყვარჩელის საბადოების ექსპლოატაციის უფლებას ითხოვს ქიმიკოსი **ვ.კომლოვი,** რომელიც სოხუმელ მეწარმეებთან იყო გაერთიანებული.

1917 წელს ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებით ინტერესდება მსხვილი რუსული სავაჭრო-სამრეწველო ფირმა **„ივ.სტახევი და კომპ."** მის ხელში გადადის ტყვარჩელში მოქმედ მეწარმეთა უფლებები, მაგრამ კომპანია მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება და აღნიშნულ ტერიტორიაზე სატყეო მრეწველობის და საკურორტო მშენებლობის განვითარებას იწყებს. კომპანიის ასეთი სერიოზული მიზნები ამ ეპოქისათვის თანამდევ პოლიტიკურ ბატალიებს ემსხვერპლა.

1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო ნორვეგიელ მრეწველებს შესთავაზა, შემდეგ საქართველოში ქვანახშირის მოპოვებით იტალიელები დაინტერესდნენ. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობასა და იტალიურ მხარეს შორის მოლაპარაკებები კონცესიის შესახებ დიდხანს გაგრძელდა და შეთანხმებით დამთავრდა. კონცესიის მისაღებად გაერთიანდნენ: ა) საზოგადოება „ილვა" Altitorni e Acciairie d Italia-იტალიის უდიდესი მეტალურგიული საზოგადოება იმხანად; ბ) იტალო-კავკასიის ბანკი; გ) ამ კონცესიისათვის და საზოგადოდ კავკასიაში მუშაობისათვის დაარსებული საზოგადოება იტალიური კომპანია კავკასიისათვის.

ამ გაერთიანებულ ჯგუფს ეძლეოდა გამოსარკვევად და საექსპლოატაციოდ ქვა-ნახშირის საბადოები აფხაზეთში, სახელდობრ ტყვარჩელში, მდ. ღალიძგას და მის შესართავების მთელი აუზის სივრცეზე. კონცესიონერებს უნდა გაეყვანათ თავის ხარჯით ამ რაიონში საჭირო როგორც ჩვეულებრივი გზები, ასევე რკინის-გზები და უკანასკნელი უნდა შეეერთებინათ საქართველოში არსებულ რკინის-გზების ქსელთან, მათ უნდა მოეწყოთ ნავსადგური ერთ-ერთ ამისთვის შესაფერ ადგილას შავ ზღვაზე, ფოთის და სოხუმის შუა. ჯონცესიონერები აწყობდნენ ქვანახშირის ბრიკეტის ქარხანას, წარმოებას კოქსის გადასამუშავებლად [113, 192].

სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავდა 45 წელს. ყველა საძიებო და მოსამზადებელი სამუშაო პირველ 3 წლინადში უნდა დასრულებულიყო, რის შედეგაც დაიწყებდნენ ქვანახშირის ამოღებას. გარიგების ძალით ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობის მოსამზადებელ პერიოდში მენშევიკურ საქართველოს „ილვასგან" უნდა მიეღო მოპოვებული ქვანახშირის 5%, საბადოს ექსპლოატაციის პირველ 10 წელს-10%, მომდევნო 10 წელს-15%, შემდეგში ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მოპოვებული ქვანახშირის 20% [136, 414].

მოლაპარაკებები იმდენად მყარი იყო, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე იტალიურმა მხარემ რომში, იტალიის სახელმწიფო ბანკში, საქართველოს მთავრობის სახელზე 1 მილიონი იტალიური ლირა შეიტანა.

მექანიკური, ლითონგადამამუშავებელი (რკინის, თუჯის და სპილენძის) და ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების საწარმოები საქართველოში (XIX ს.-XX ს. I ოცწლეული)

XIX საუკუნის პირველ მეოთხედის თბილისში თანდათანობით იზრდებოდა მექანიკოსთა რაოდენობა, მზადდებოდა სხვადასხვა დანიშნულების მექანიკური დანადგარები და ხელსაწყოები: საქსოვი დაზგები, „წყლის მანქანები" და სხვ. მექანიკოსები საქართველოში XIX საუკუნის პირველ მეოთხედში იშვიათ მოვლენას აღარ წარმოადგენდნენ. იყვნენ ადგილობრივი მექანიკოსებიც, რომლებიც სხვადასხვა მექანიკურ ხელსაწყოებს აკეთებდნენ. მნიშვნელოვანი წარმატებისათვის მიუღწევიათ ახალციხელ ოქრომჭედლებს, რომლებსაც გაუკეთებიათ ხელით სამუშაო საგლინავი დაზგა მავრთულის საგლინავად. ეს მიღწევა იმ დროისათვის იშვიათობას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 20-იან წლებში თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე **ბარბალე იმერლიშვილმა** არყისსახდელი ააშენა, ხოლო ძველი ჰოსპიტლის ახლოს-დიდი წისქვილი. რამდენიმე წლის შემდეგ ფრანგმა ნეგოციანტმა-**კასტელამ** თბილისში აბრეშუმის ძაფსახვევ საწარმოსთან დააარსა საზეინკლო. იგი უზრუნველყოფდა ამ ფაბრიკის მექანიკური დანადგარების შეკეთებას და ამზადებდა სხვადასხვა მანქანების ნაწილებს. მისი საქმიანობის მონაცემები სრულად შემონახული არაა, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი დიდ სახელოსნოს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 30-იან წლებში სიღნაღში არსებობდა საქსოვი მანქანური საწარმო.

1835 წელს **ზავრიევმა** გახსნა სპილენძის ჭურჭლის საკმაოდ მსხვილი საწარმო, სადაც 54 დაქირავებული ოსტატი და მუშა მუშაობდა. მათ შორის 14 ოსტატი, 14 ქვეოსტატი და 26 შავი მუშა, ყველა ნებით დაქირავებული. წარმოება ხელის ინსტრუმენტებით ხდებოდა, იყენებდნენ სხვადასხვა სახის სპილენძს, რომელსაც ალაგირის სპილენძის ქარხანაში ყიდულობდნენ. საწარმო ზავრიევის შენობაში იყო მოწყობილი. პროდუქციის რეალიზცია ხდებოდა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში [196, 151].

1840 წელს თბილისში ამუშავდა **ი.ზუბალაშვილისა** და **როზენ ვატმანის** სპირტსახდელი ქარხანა, სადაც მრავალი მექანიკური დანადგარი იყო გამოყენებული, მათ შორის წყლის ორი საქაჩავი, რომელთაგანაც ერთი ორთქლზე მუშაობდა. ი.ზუბალაშვილმა მოაწყო შაქრის დიდი ქარხანაც რკინის, თუჯის და სპილენძის ქვაბების მარტივი დანადგარებით.

XIX საუკუნის 40-იან წლებში თბილისში არსებობდა **ბებუთოვისა** და **სარაჯოვის** ტყავის დიდი ქარხანა, რომელიც მთლიანად მანქანურ წარმოებას ემყარებოდა.

1848-1850 წლებში სასულიერო უწყების შეკვეთის შესასრულებლად (სიონის ტაძრისათვის უნდა დაემზადებინათ 500 ფუთიანი ზარი) სტავროპოლელი ვაჭარი **ეფიმოვი** და ოსტატი **ილინი** თბილისში სპილენძსასხმელო წარმოებას

აწყობენ. 1852 წელს იქვე თუჯსასხმელი საწარმოც მოეწყო [196, 152].

1847 წელს ზუგდიდში ამუშავდა **როზმორდიუკის** ევროპული წარმოების ახალი მექანიკური მანქანებით (ორთქლის ძრავზე) მომუშავე აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა.

ლითონის მანქანები და დანადგარები გამოიყენებოდა საქართველოში მოქმედ საპნის, თამბაქოს, ტყავის, მინის, ბამბის საქსოვ, მაუდის, არყისსახდელ, აგურისა და სხვა საწარმოებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა **ბრანდტის** ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი ტყავის ქარხანა, რომელშიც გამოიყენებოდა იმ დროისათვის ძალზე მაღალი დონის დანადგარები, მათ შორის ორთქლის მანქანაც.

შტიუსეს მექანიკურ ქარხნამდე თბილისში 1849 წელს უკვე არსებობდა მექანიკური საწარმო, წყაროებში იგი მოხსენიებულია თუჯსასხმელი ქარხნის სახელწოდებით. იგი ეკუთვნოდა **არტილერიის პოლკოვნიკს, გაბრიელ ივანეს ძე ყორღანოვს.** თბილისის სუფთა წყლით მომარაგების მიზნით მას დაუმუშავებია გეგმა ქალაქში წყალსადენი ნარმოების მოწყობის შესახებ, საჭირო მანქანა რუსეთიდან გამოუწერია, მაგრამ გადმოტანის დროს მანქანა ვოლგაში ჩაძირულა და დამატებით მეტად დიდი სახსრები გამხდარა საჭირო ამოსაღებად და სამხედრო გზით თბილისში ჩამოსატანად. რუსეთშივე შეუძენია წყალსადენი მილებიც, მაგრამ აქაც დიდ დაბრკოლებას წააწყდა, მის მოურავს აღნიშნული მილები როსტოვში თავის სახელზე დაუგირავებია. გაჭირვებაში ჩავარდნილ ყორღანოვს მეფისნაცვალი ვორონცოვი დაეხმარა და 25 ათასი ფუთი თუჯი აჩუქა ძველი ზარბაზნის ნაწილებისა და ყუმბარების სახით. ჯართის გადასამუშავებლად 1848 წელს ყორღანოვი თუჯსასხმელ წარმოებას აარსებს. საწარმოში ასხამდნენ წყალსადენ მილებს, მანქანების ნაწილებს თბილისის წყალსადენისათვის, ყუმბარებს და სხვ. 1849 წელს წყალსადენის პირველი წარმატებული გამოცდა ჩატარდა და ყორღანოვის საწარმოები გამართულად მუშაობდნენ. 1859 წელს ხანძარმა გაანადგურა როგორც წყალსადენი, ისე სახერხი ქარხანა და თუჯსასხმელი წარმოებაც. ზარალი 100 000 მან. უდრიდა. ყორღანოვს ისევ მეფისნაცვალი ბარიატინსკი დაეხმარა და 32 წლით 20 000 მან. სახელმწიფო სესხს მისცა, თუმცა ამ თანხით მხოლოდ ორთქლის მანქანის შეძენა შეიძლებოდა. ყორღანოვს მაინც მოუხერხებია სახსრების მოძიება და წარმოება აღუდგენია. თანდათანობით მეტი ყურადღება ექცეოდა თბილისის სუფთა წყლით მომარაგებას და 1863 წელს გაბრიელ ყორღანოვს დამატებითი სამთავრობო სესხი გამოეყო 30 ათასი მან. ოდენობით [196, 153-154].

XIX საუკუნის 50-იან წლებში თბილისში მცხოვრებმა **შვეიცარიელმა მრეწველმა შტიუსემ** მოაწყო მექანიკური საწარმო, რომელიც გადამუშავებული რკინისა და თუჯის მადნისაგან ამზადებდა სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს. მეფისნაცვალ ვორონცოვის განკარგულებით, თბილისსა და ნავთლუღს შორის-მირზაბათში მას გამოუყვეს ტერიტორია საწარმოს მოსაწყობად. მეწარმემ ვენიდან გამოიწერა საჭირო მანქანა-ინსტრუმენტები და მოიწვია ოსტატები, რომლებიც 1852 წლის დასაწყისში უკვე თბილისში იყვნენ [238, 145].

ქარხნის მოწყობის ხარჯებმა საკმაოდ დიდი თანხა შეადგინა: ორი ძირითადი შენობის აგება დაჯდა 7 404 მან. საზღვარგარეთიდან მანქანა-ინსტრუ-

Б. П. ВИЛЛА.

Тифлисъ, Михайловскій просп. с. д. № 63.

Телефонъ № 6—20.



Мраморно-мозаичное и скульптурное заведеніе.

Постоянно имѣется большой выборъ готовыхъ **памятниковъ** разнаго матеріала, облицовка фасадовъ домовъ **искусственнымъ камнемъ.**

მენტებისა და ოსტატების გამოწერა 2 069 მან, მათი თბილისამდე ტრანსპორტირების ხარჯებმა კი 1 775 მან.შეადგინა. მალე შტიუსემ მიიღო დამატებითი დაფინანსება წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის-თუჯის, რკინისა და ქვანახშირის შესაძენად. 1853 წელს საწარმო აღწერეს თბილისის **გუბერნიის არქიტექტორმა ბელოიმ,** ნადვორნი სოვეტნიკმა **ბლომბერგმა და** ინჟინერ-ტექნოლოგმა **ლემკულიმ,** რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ტიპური კაპიტალისტური მანუფაქტურა იყო. საწარმოს წელიწადში შეეძლო 4 000-მდე ფუთი თუჯის ჩამოსხმა. ქარხანის ქონება შეფასდა 21 243 მანეთად. მან მუშაობა დაიწყო 1852 წელს და გამოუშვა:

წელი	დამკვეთის მიხედვით გამოშვებული პროდუქციის ღირებულება (მანეთებში)	
	სახაზინო	კერძო
1852	1 355	4 320
1853	7 199	3 959
1854	11 837	4 267
1855	3 191	3 460

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მ.სამსონაძე „სამრეწველო განვითარება XIX საუკუნის რეფორმამდელმ ხანაში. თბ. 1968. გვ.156

ქარხანა შეკვეთებს ღებულობდა მთელი კავკასიის მასშტაბით, ამზადებდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, სათადარიგო ნაწილებს, ახდენდა მოძველებული ინსტრუმენტების და იარაღების შეკეთებას. ქარხნის ფუნქციონირებისათვის პრობლემას წარმოადგენდა ნედლეული, რადგან რკინა და თუჯი რუსეთიდან შემოჰქონდათ, რაც ძვირი ჯდებოდა. დღის წესრიგში დადგა მადნის ადგილობრივი წყაროების მოძიება. 1852 წელს ეკატერინენფელდის (გერმანული კოლონია, რომელიც მდებარეობდა ბოლნისთან ახლოს) მიდამოებში სახაზინო მიწაზე აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით რკინის მადანი, რომლის ღირსების შემოწმების შედეგად მიღებულ იქნა 60%-იანი ძალიან მაღალი ხარისხის თუჯი, მაგრამ მადნის ქარხანაში მიტანა, გადამუშავება, ბრძმედის აგება, საჭირო ნახშირის დიდი რაოდენობა და ა.შ. მოითხოვდა სოლიდურ ხარჯებს, ამიტომ შენარმემ თავი შეიკავა ამ ჩანაფიქრის განხორციელებზე [238, 148].

მომდევნო წლებში გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ იკლო, შესაბამისად, შემცირდა შემოსავლები და გაიზარდა საწარმოო ხარჯები. პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, შტიუსეს გადაწყვეტილი ჰქონია ბრძმედების ასამოქმედებლად მდ.მტკვარზე მოეწყო წყლის თვალი, რომელიც მისი გეთვლებით საწარმოო ხარჯებს 3 000 მანეთამდე შეამცირებდა. მოიყვანა თუ არა შენარმემ თავისი გეგმრახეა სისრულეში, ჩვენთვის უცნობია. 1868 წელს შენარმე გარდაიცვალა. თბილისის გუბერნიაში არსებული ფაბრიკა-ქარხნების ანგარიშებში შემოსახულია მასალები თუჯსასხმელი საწარმოს საქმიანობის შეს-

ახებ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სანარმოს საქმიანობა არ შეუწყვეტია.

XIX საუკუნის 50-იან წლებიდან იწყება საქართველოში ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების ქარხნული წესით დამუშავება. თბილისში, ძველ კუკიაზე აშენდა სახაზინო **სანახნაგო და კარტონის ქვის ფაბრიკა** (მშენებლობას იჯარით აწარმოებდა **ბელიაევა თეკლე ივანეს ასული**). სანახნაგო ფაბრიკა ამუშავებდა კავკასიის ძვირფას ქვებს-იასპებს, მეწამულ ქვას, მარმარილოს, ობსიდიანს და სხვ, ხოლო კარტონის ქვის ფაბრიკა ამზადებდა სხვადასხვა სამოქალაქო და საეკლესიო არქიტექურულ ნაკეთობებს. ფაბრიკა მეტწილად ამუშავებდა ალგეთის ქვას, ადგილობრივ და უცხოურ მარმარილოს. სანარმოში მუშაობდნენ დაქირავებული მუშები და ოსტატები, ასევე სამხედრო უწყებისა და სამთო უწყების წამომადგენლები. ფაბრიკა სახაზინო იყო. დროდადრო მას განაგებდნენ ინჟინერი **ლემკული, ივანიცკი,** აკადემიკოსი-არქიტექტორი **სიმონსონი** და სხვ. [238, 44]. (ეს ის ინჟინერ-ტექნიკოსი ლემკულია, რომელიც სისტემატიურად ანხორციელებდა ინოვაციურ ტექნიკურ პროექტებს. სწორედ მას ეკუთვნის 1853 წელს გაზის სანათის გამოგონება, რომელიც წარმატებით გამოიცადა და მომავალ წელს უკვე ანათებდა გოლოვინის პროექტს).

წარმოების გაუმჯობესების და გაფართოების მიზნით ეკატერინბურგის მექანიკურ ქარხანაში შეუკვეთეს ოთხი ორთქლის მანქანა, რომლის ღირებულებამაც 2 700 მან. შეადგინა. მანქანები თბილისში ჩამოიტანეს 1857 წელს. ფაბრიკაში მათი საბოლოო განთავსების ხარჯებმა დამატებით 1000 მან. შეადგინა. მანქანებს შეშით ამუშავებდნენ. ფაბრიკაში მათ შეკეთებას ანარმოებდა მექანიკოსი **ზომერი,** ხოლო თუჯის საჭირო ნაკეთობანი მოჰქონდათ **შტიუსეს** მექანიკური ქარხნიდან [238, 49].

სანახნაგო ფაბრიკის წარმადობა წლების მიხედვით:

წლები	გამოშვებული პროდუქციის ღირებულება (მანეთებში)
1850	3 400
1860	3 000
1861	3 020
1862	7 500
1863	12 000
1864	12 000
1865	15 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მ. ღუდუშაური „თბილისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნეში“. თბ. 2009. გვ. 46

გამოშვებულ პროდუქციას მოიხმარდა ადგილობრივი ბაზარი და იგზავნებოდა პეტერბურგში, იმპერატორის სასახლეში.

მიუხედავად ასეთი ტექნიკური უზრუნველყოფისა ფაბრიკაში ძირითადი სამუშაოები სრულდებოდა ხელით, უმეტესად არაკვალიფიციური მუშების

მიერ, რაც შედეგზეც აისახებოდა. ამის გამო 1860 წლის 12 ივნისს სიმონსონი მთავარი სამმართველოს უფროსს წერილობით სთხოვდა, რომ ამ საქმის უკეთ წარმართვისათვის სპეციალისტები საზღვარგარეთიდან შემოეყვანა. 1860 წელს აკად. სიმონსონის დასაბუთებითა და თხოვნით ზემოაღნიშნული ორივე ფაბრიკა გაერთიანდა ერთ სახაზინო საწარმოდ და იგი მის უფროსად დაინიშნა [284, 25-27].

წარმოებულ პროდუქციაზე იყო დიდი მოთხოვნილება როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ, საწარმოში მზადდებოდა მარმარილოს საუკეთესო ნაკეთობები, რაზეც შეკვეთები პეტერბურგის საიმპერატორო სახლიდანაც მოდიოდა. 1851 წელს თბილისის ქვის საწახნაგო ფაბრიკაში რუსეთის ტახტის მემკვიდრის ალექსანდრე მეორისათვის მისართმევად დაუმზადებია მარმარილოს დიდი ლარნაკი, წითელი მარმარილოს საშრობი (პრესპაპიე) და ვარდისფერი მარმარილოს ფიალა. 1852 წელს აქვე დაუმზადებიათ ბუხრის მოსაპირკეთებელი მასალა თეთრი მარმარილოსაგან და პეტერბურგში გაუგზავნიათ. 1867 წელს მეფისნაცვლის ბრძანებით სიმონსონს დაევალა მარმარილოსა და კავკასიის დეკორატიული კონგლომერატისაგან დაემზადებინათ ფილები მის სასახლეში ექვსი ბუხრის მოსაპირკეთებლად, რისთვისაც გამოყოფილი ყოფილა 4 450 მან. [284, 34].

1868 წელს ქალაქის მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება სანახნაგო და კარტონის ქვის ფაბრიკების კერძო მესაკუთრეებზე გადაცემის შესახებ. პირობები ამის შესახებ საზოგადოებამ გაზეთ „კავკაზიდან" შეიტყო, მალე სამომავლო მესაკუთრენიც გახდნენ ცნობილნი. 1868 წლის 25 აპრილს მეფისნაცვლის განკარგულებით ფაბრიკა 11 200 მანეთის ღირებულებით 12 წლით გადაეცა არქიტექტორ **ზალცმანს** და საქსონელ ქვეშევრდომს სკულპტორ **ვოლტერს.** ამ დროისათვის თბილისში უკვე იყვნენ ქვის მთლელები, რომლებიც კერძოდ მუშაობდნენ და ფაბრიკას კონკურენციას უწევდნენ. ამის გამო ფაბრიკა ხშირად განიცდიდა მუშახელის ნაკლებობას. ზალცმანი და ვოლტერი იძულებულნი გახდნენ 1871 წელს ფაბრიკა ხაზინისთვის დაებრუნებინათ. ხაზინა დარწმუნდა რა რომ ფაბრიკა მოგებას არ იძლეოდა, 1871 წელს დანადგარების კერძო პირებზე გაყიდვა გამოაცხადა [284, 34].

XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში ქვის დამუშავება კერძო მეწარმეობისათვის ძალზე მომგებიან საქმიანობას წარმოადგენდა. ქვის დაწახნაგებას ანარმობდნენ **პერმიკინის, ანდრეოლიტის, დურანდის** და **კიპრიზოვის** საწარმოები, რომელთა მიერ წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება 45 ათას მანეთს უდრიდა. გარდა ამ საწარმოებში დასაქმებული ქვის მთლელებისა თბილისის გუბერნიაში მუშაობდა 50 კერძო ქვის მთლელი, რომელბიც წელიწადში 40-50 ათასი მან. საერთო პროდუქციას უშვებდნენ [284, 35].

საინტერესოა, საიდან შემოდიოდა დასამუშავებელი მასალა ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ქვის საწახნაგო საამქროებში? ცნობილია, რომ ადგილობრივი რესურსებით მუშაობდა **ანდრეოლიტის** საწარმო, ეს იყო შროშისა და სადახლოს მარმარილო. გრანიტის ქვას ამუშავებდნენ სოფელ კურსებში. გრანიტს განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰქონდა რკინიგზის მშენებლობაზე, აგრეთვე თბილისის ქუჩებისათვის. რკინიგზების გაყვანის შემდეგ, კურსების გრანიტის

წარმოება ხელში ჩაიგდეს იტალიელებმა, რომლებიც ადგილობრივ დაქირავებულ მუშებს ამუშავებდნენ. მათ შემდეგ გრანიტს ამუშავებდა მრეწველი **ნიკოლაევი**, რომლებსაც 30-40 ადგილობრივი დაქირავებული მუშა ჰყავდა. გრანიტს ასევე ამუშავებდნენ გამდიდრებული გლეხები **დიმიტრი და ევტიხი ბერიკაშვილები**, რომელთაც XIX საუკუნის ბოლოს 100-მდე დაქირავებული მუშა ჰყოლიათ. კურსების ტეშენიტის საბადოს ამუშავებდა ანდრეოლიტი და ქუთაისელი მემამულე **კ.ჩიკვაიძე**. [187, 168].

ამ საწარმოებისათვის საჭირო დასამუშავებელი მასალის შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ მარმარილო ძირითადად შემოჰქონდათ სეიდაბადიდან, სპარსეთიდან, სომხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მაგ. 1861 წელს საწახნაგო ფაბრიკის მმართველმა ერევანში მცხოვრებ კ.კაშმაროვს დაუდო ხელშეკრულება ერევანსა და ნახჭევანს შორის მდებარე საბადოებიდან 3,5 კუბური მეტრი თეთრი მარმარილოს ბლოკების მოპოვების შესახებ. 1862 წელს ფაბრიკამ ერევანში მცხოვრებ ქერიმოქივისაგან შეიძინა სპარსული მარმარილოს ბლოკები, რომელებიც ერევნამდე აქლემებით შემოჰქონდათ, ხოლო ერევნიდან თბილისამდე ურმებითა და ფურგონებით.

სამთო ინჟინრების **ბოცვაძისა** და **წულუკიძის** გადმოცემით, ბათუმის რაიონში მდ.ჭოროხის ზემო ნაწილში მოიპოვებოდა კარგი ხარისხის თეთრი ფერის მარმარილო, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებდა, მაგრამ რაც შეეხება მის დამუშავებას თბილისის ფარბიკაში, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ არსებობს [284, 34].

XIX საუკუნის ბოლოს ქვის საწახნაგო წარმოება ხელოსნობის გავრცელებული ფორმაა თბილისის, დუშეთის, ახალქალაქის, ზაქათალას, ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ბათუმის მცხოვრებთა შორის. ქვის მოპოვებაზე და მის გათლაზე მუშაობდა 2 556 კაცი, რომლებმაც დაამზადეს გათლილი მოსაპირკეთებელი მასალები ტაშენიტისა 1039 კუბური მეტრი, ქვიშაქვისა 1 455 კუბური მეტრი, ტუფისა და ბაზალტისა სულ 4 291 კუბური მეტრი [284, 35].

1890-1895 წლებში სამთო სამმართველოს მიერ ქვის მოპოვების ნებართვა გაცემულ იქნა მრავალ კერძო პირზე. ქვის მოპოვებას აწარმოებდნენ ვერის ხეობაში, გორში, ბოლნისში, მარნეულში, რაჭაში, ბათუმში და საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, სადც კი ამის შესაძლებლობა იყო. 1892 წლისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მოპოვებულ იქნა 5 141 კუბური მეტრი კირქვიანი ტუფის ბლოკე, 780 ცალი კიბის საფეხური, 350 გრძივი მეტრი ფილები, 1765 კუბური მეტრი ბრინჯაოს კირქვა, 50 040 ფუთი კურსების ტეშენიტი და სხვ. 1910 წლის მონაცემებით, მარტო ქუთაისის გუბერნიაში მთელ რიგ სამშენებლო მასალებთან ერთად მოპოვებულ იქნა 10 ათასი ცალი კირქვის ბლოკი, 100 ათასი ცალი ტეშენიტის კუბიკი, 3 958 კუბური მეტრი კირქვა, 307 კუბური მეტრი ტეშენიტი და სხვ. [284, 36].

1856 წელს ინჟინერმა **ფონ ბიპოლდტმა** ააგო ქარხანა, რომლის ძირითადი საქმიანობა სადურგლო ხელსაწყოების წარმოება იყო. 1860 წელს მან და არქიტექტორმა **ბრაუნ-მიულერმა** მოაწყეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების სპეციალური ქარხანა, რომელსაც უნდა დაემზადებინა სალეწი მანქანები, ხე-ტყის სახერხი, გუთნები, წყლის მანქანები იმდენი სასოფლო-სამეურნეო იარაღი,

რამდენიც საჭირო იქნებოდა ადგილობრივ მიწათმოქმედთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დახმარებისათვის მეფისნაცვალ ბარიატინსკის მიმართეს და 1858 წელს მიეცათ ნათხოვნი სესხი 5 ათასი მან. 10 წლის ვადით. სანამ ბიჰოლდტისათვის აღნიშნული სესხის მიცემის საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა, ბრაუნ-მიულერი გარდაიცვალა, რის შემდეგაც ეს გეგმა ვეღარ განხორციელდა [196, 157].

1860 წელს თბილისში ფუნქციონირებას იწყებს **ერნსტ ზომერის** მექანიკური სახელოსნო, სადაც დასაქმებული იყო 10 ქარგალი და 12 შეგირდი. ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა სახელოსნოს მიერ სიმინდის საფხვნელი ხელის მანქანის დამზადება, რომლის ღირებულებაც 30 მან. იყო. იგი წარდგენილი იყო საშემოდგომო გამოფენაზე და დიდი მონონებაც დაიმსახურა, რის შემდეგაც ზომერის საამქრომ შეკვეთა მიიღო სოფლის მეურნეობის სამმართველოსაგან საწყის ეტაპზე 50 ასეთი საფხვნელი მანქანის დამზადების თაობაზე.

ცხრილში მოცემულია ზომერის მექანიკური სახელოსნოს წარმოების დინამიკა:

წელი	გამოშვებული პროდუქციის ღირებულება (მანეთებში)
1865	10 000
1867	10 000
1869	15 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მ.სამსონაძე „სამრეწველო განვითარება XIX საუკუნის რეფორმამდელმ ხანაში. თბ. 1968. გვ.160

ამავე პერიოდში **ი.ოქრომჭედლიშვილი** თბილისში **ზომერის** ქარხანას ამზადებინებდა მანქანათა გაუმჯობესებულ ნაწილებს და ლისის ტბასთან გლეხების თანდასწრებით აწარმოებდა ამ ტექნიკის საჯარო გამოცდას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა ლითონგადამამუშავებელი მრეწველობა. 1860 წელს ოდესელმა კონსულმა **ერნს ლიბმა** ბოლნისის ხეობაში, **სოფ.ჩათახში** მოაწყო რკინისა და თუჯის ქარხანა. საწარმო მუშაობდა მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმად, მას ამ საქმისათვის მიეცა 20 000 მან. სესხი 10 წლის ვადით, ასევე საწვავისათვის გადაეცა სახაზინო ტყის გარკვეული ფართობი. მეწარმეს ტყის ფართი არასაკმარისად მიუჩნევია და 1861-1862 წლების ხელშეკრულებებით მემამულე შანშიაშვილისაგან 1 500 დესეტინა ტყე შეუსყიდია. სწორედ ამ ტერიტორიაზე გაიყვანეს ფართო არხი, რომელიც წყალს აწვდიდა ქარხნის ჰაერსაბერ მანქანას. ლიბს უნდა დაემუშავებინა ბოლნისის საბადოები და მოეწყო ქარხნები ბრძმედებით და ღუმელებით, მაგრამ სწორად ვერ გაუთვლია ხარჯები, რის გამოც დამატებითი სახაზინო დაფინანსება მიუღია. 1862 წელს მეწარმე გარდაიცვალა, დარჩა დაუმთავრებელი ქარხანა და გაუსტუმრებელი სესხი 182 086 მან. ლიბის ქვრივმა **მარია ლიბმა** კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს კრუზენშტერნს დამატებით

სთხოვა 5 000 მანეთი სესხი, რაც დაუკმაყოფილეს.

1862 წელს დაუმთავრებელმა ქარხანამ შეიცვალა მესაკუთრე და გადავიდა **გრაფ ვიტტესა** და **პრუსიელი მეწარმის ბერნულის** ხელში. მათ დაასრულეს ქარხანის მშენებლობა, რაც საბოლოოდ 217 076 მან. დაჯდა. ,,ქარხანა შედგებოდა ბრძმედისაგან, სამსხმელო საამქროსაგან, ჰაერსაბერი მანქანისაგან, სადურგლოსაგან, სამჭედლოსაგან, ფურნესაგან, საჯინიბოსაგან, სათავსოსაგან მუშა ხარებისათვის, სათავსოსაგან აგურისა და კრამიტის გამოწვისათვის, მრავალი სახლისა და ყაზარმისაგან მუშებისა და ოსტატებისათვის. შემდგომში ახალმა მესაკუთრეებმა წარმოება გააფართოვეს რკინის მოპოვების გაუმჯობესებისა და მოგების გაზრდის მიზნით:

1863 წელს ქარხანამ გამოუშვა 29 839 ფუთი თუჯი, ღირებულებით 30 000 მან.

1864 წელს 31 789 ფუთი თუჯი, ღირებულებით 40 000 მან.

1865 წელს 31 789 ფუთი თუჯი, ღირებულებით 40 000 მან.

1867 წელს გამოადნეს 21 602 ფუთი თუჯი და 4 854 ფუთი რკინა.

1868 წელს 15 470 ფუთი თუჯი და 4 384 ფუთი რკინა

1869 წელს მოპოვებული იქნა 121 380 ფუთი მადანი და მიიღეს 21 00 ფუთი თუჯი და 3 223 ფუთი რკინა.

1872 წელს ჩამოასხეს 8 443 ფუთი თუჯის ნაკეთობანი და 861 ფუთი რკინა.

1873 წელს – 4 728 ფუთი თუჯის ნაკეთობანი, 1874 წელს – 9 157 ფუთი, 1875 წელს – 5 205 ფუთი.

ქარხანა ამზადებდა თუჯის სხვადასხვა ნაკეთობებს, საავადმყოფოებისათვის საჭირო ყველა ხელსაწყოს. სამხრეთ კავკასიაში პირველად სწორედ ამ ქარხანამ დაამზადა ორთქლის მანქანა. XIX საუკუნის 80-იან წლებში სატრანსპორტო გზების გაუმჯობესებამ კონკურენტუუნარო გახადა ქარხანა, რამაც გამოიწვია მისი ლიკვიდაცია.

1862 წლის 28 დეკემბერს ამუშავდა **ფოლადაურის (ყოფილი ჩათახის)** მეტალურგიული ქარხანა, რომელმაც გამოადნო 61 ათასი ფუთი თუჯი და 2,5 ათასი ფუთი რკინა.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან საქართველოში ერთმანეთის თანამიმდევრობით ფუძნდება **პოპოვიჩის** მსხვილი ლითონდამამუშავებელი ქარხანა, **რენკვისტის** თუჯსასხმელი საწარმო, **იარალოვის, კარაპეტოვის, ბერეჟანოვის, ანანოვის, კაპლანის, პოპოვიჩის და რუქსის** მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხნები და შედარებით მცირე მოცულობის **როლოვის, დანიელ ლონგის, ფერდინანდ ბოგდანოვის, გოტლიბ გენინგის, ვილჰელმ ფრანკენის, პეტრე იასნიცკის, ემანუელ შვარცის** და სხვათა მექანიკური სახელოსნოები. **გენინგის** საწარმოში ლითონის სხვადასხვა სახის ნაკეთობების დამზადებას 9 ოსტატი უძღვებოდა, და წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება 6 ათას მანეთამდე ადიოდა. პრუსიელი **ვილჰელმ ფრანკენის** საწარმოში დასაქმებული იყო 15 მუშა. მზადდებოდა სასოფლიო-სამეურნეო მანქანა- იარაღები. წარმოებული პროდუქციის წლიური ღირებულება შეადგენდა 6-7 ათას მან. **ემანუელ შვარცის** მექანიკურ საამქროში დასაქმებული იყო 12 მუშა, მაგრამ იგი წარმატებულ საამქროთა რიცხვში იყო წლიურად 10 ათასი მან. წარმოებული პროდუქციით. საამქროში

დამზადებულ ნაკეთობებს თვით მეპატრონე უკეთებდა რეალიზაციას.

1865 წელს თბილისში ამუშავდა **რუქსის** თუჯსასხმელი და მექანიკური ქარხანა, რომელიც ასრულებდა შემკეთებელ სამუშაოებს, ამზადებდა საქარხნო მანქანათა ნაწილებს და ფართო მოხმარების ლითონის საგნებს.

1867 წელს ინგლისურმა სააქციო საზოგადოებამ დაიწყო რკინიგზის მშენებლობა საქართველოში. ამასთან დაკავშირებით 1869-1872 წლებში მათ დააარსეს ახალი საწარმოები, რომლებიც უშუალოდ რკინიგზას და მის მშენებლობას ემსახურებოდნენ. ფოთში აიგო თუჯისსასხმელი და სახერხი ქარხნები, სენაკში-ცემენტის ქარხანა, ფოთში, სამტრედიაში, ხაშურში და თბილისში კი გაიხსნა რკინიგზის მექანიკური სახელოსნოები.

რაჭველ მჭედელს, **იოსებ ვაწაძეს** და მის შვილს **ფარნაოზს** ჰქონიათ მექანიკური სახელოსნო. იოსები მუშაობდა რუქსთან, ასევე შეუსწავლია ხარატობა მის შვილს, ფარნაოზს, შემდეგ რუქსისვე რჩევით, იგი ინგლისში (ქალაქ მანჩესტერში) გამგზავრებულა. 5 წელში ისწავლა ხარატის ხელობაც და ინგლისურიც. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი კვლავ გაემგზავრა ინგლისში იარაღ-ხელსაწყოების შესაძენად, რის შემდეგაც მამა-შვილმა ქუთაისში გახსნეს დიდი მექანიკური სახელოსნო-დაქირავებული ოსტატებითა და შეგირდებით. სახელოსნოში იდგა 3 სახარატო და ორი სახვრეტი დაზგა, ორი გრდემლი. აკეთებდნენ რკინის ღობეებს, ხიდის ნაწილებს და სხვა მექანიკურ სამუშაოებს. 1900 წელს სახელოსნო ახალ, უფრო დიდ შენობაში გადაიტანეს (თბილისის ქუჩაზე). აქ მოწყობილობაც ახალი იდგა „ვერდაუს" სისტემის შიდაწვის პატარა ძრავი [187, 170].

სავაჭრო კაპიტალის ადგილობრივი წარმომადგენლები აქტიურად ჩაებნენ სამრეწველო სფეროში და ცდილობდნენ საკუთარი ქარხნების აშენებას. ცნობილი ქუთაისელი ვაჭარი **იაკობ ნიკოლაძე** შვილს სწერდა: ერთი სახელოვანი საქმე ვქნათ შვილო, რომ იმერეთში ჩვენი სახელი დარჩეს, გამიგე რა ფასად შეიძლება ამერიკის მომქსოვი მაშინა გამართოს კაცმა, ან ოსტატი რა ფასად დადგება წლითო. ჩაფიქრებულ ფაბრიკას უნდა ეწარმოებინა ბამბის პენტვა, რთვა, სამოსელის ქსოვა და გათეთრება [187, 172].

XIX საუკუნის 70-იან წლებში ამუშავდა **მირზოევის** ევროპული ტექნიკით აღჭურვილი ძაფსახვევი და საქოვი ფაბრიკა. 1885 წლისათვის ფაბრიკა ამუშავებდა ორთქლის სამ მანქანას 80 ცხენის ძალის საერთო სიმძლავრით, 300 საქსოვ დაზგას 11 ათასი თითისტარით. 1880-1886 წლებში ეს საწარმო იჯარით ჰქონდა აღებული ფრანგ მეწარმეს **რისერს**, ხოლო 1888 წლიდან გადავიდა მეწარმე ჩათახოვის ხელში. ფაბრიკაში 350 მუშა იყო დასაქმებული და საწარმო უშვებდა 500 ათასი მან. ღირებულების პროდუქციას.

ლითონდამმუშავებელ წვრილ საწარმოს ქარხნად გარდაქმნის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენდა **მ.თამამშევის** თუჯსასხმელი და საზეინკლო-მექანიკური ქარხანა, რომელიც 60-იან წლებში დააარსა **შტუსემ**, უფრო გვიან შეიძინა **შმიდტმა**, ბოლოს 1873 წელს თამამშევმა [136, 175].

მ.თამამშევის თუჯსასხმელი და საზეინკლო-მექანიკური ქარხანის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს

მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი“ 1864-1917. თბ. 1976 გვ 175)

წელი	მუშათა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)
1889	32	29
1901	41	41

1878 წელს ფუნქციონირებას იწყებს **ნ.კალატარიანცის** მექანიკური სახელოსნო, რომელიც ორთქლის ძალით მოქმედებდა.

ნ.კალატარიანცის მექანიკური სახელოსნოს საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი“ 1864-1917. თბ. 1976 გვ 173)

წელი	მუშათა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)
1897	25	10 536
1903	125	
1913	139	148

1881 წელს ამუშავდა **აღაპოვის (აგაპოვის) და ზრიუდლოვსკის,** (შემდგომში **რენკვისტრის**) თუჯსასხმელ-მექანიკური ქარხანა, რომელიც უმთავრესად რკინიგზას ემსახურებოდა. აგაპოვის თუჯსასხმელი-მექანიკური საწარმო მალე **ნ.რენკვისტრის** ხელში მოექცა, იგი ტექნიკურად შედარებით კარგად იყო აღჭურვილი. 8 ცხ.ძალის სიმძლავრის ორთქლის ძრავით მოქმედმა საწარმომ 1886 წელს 120 მუშით 70 ათასი მან. ღირებულების პროდუქცია გამოუშვა, ხოლო 1900 წელს 93 მუშით 110 ათასი მან. პროდუქცია [136, 171].


VIII

МАШИНО-СТРОИТЕЛЬНЫЙ,

ЧУГУННО-ЛИТЕЙНЫЙ, КОТЕЛЬНЫЙ и КОЛЕСНЫЙ ЗАВОДЫ

ИНЖЕНЕРА

Г. З. ЯРАЛОВА

ВЪ ТИФЛИСѢ

Александровская ул. соб. д., близ Управл. Закавк. ж. д.

ПРИНИМАЕТЪ ЗАКАЗЫ НА РАБОТЫ:

постоянныя, котельныя, литейныя, прессовыя, токарныя и слесарныя

БОЛЬШОЙ ВЫБОРЪ ГОТОВЫХЪ ИЗДѢЛІЙ:

ванны, печи, плиты, трубы, постели, перила, садовая мебель, колонны, балконы, лѣстницы, ворота и пр.

Отливка КОЛОКОЛОВЪ всѣхъ размѣровъ.

СПЕЦІАЛЬНОСТЬ

Зернодавилки, шнекс, сѣмяные и масляные прессы, дробилки для винограда, молотилки, вѣялки, конные приводы и всевозможныя части

ПАРОВЫЕ КОТЛЫ и МАШИНЫ РАЗН. СИСТЕМЪ

Фирма принимаетъ на себя также устройство заводовъ, паровыхъ прачешень, водоснабженія, парового, водяного и воздушнаго отопленія и пр.

УСТАНОВКА ЭЛЕКТРИЧЕСКАГО ОСВѢЩЕНІЯ.

При заводѣ имѣется строительный матеріалъ.

Прейс-куранты высылаются по требованію безплатно.

Телефонъ № 6.

ъ

1882 წელს თბილისში ამოქმედდა **გ.იარალოვის** „თუჯსამსხმელი და მენქანათმშენებელი“ ქარხანა, რომელიც ფართო პროფილით მუშაობდა, ამზადებდა მშენებლობისათვის აუცილებელ კონსტრუქციებს, სხვადასხვა სახის თუჯის ღუმელებს, სამზარეულოსათვის აუცილებელ ინვენტარს და ა.შ.

გ.იარალოვის „თუჯსამსხმელი და მანქანათმშენებელი“ ქარხანის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 172)

წელი	მუშათა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)
1897		66,5
1900	56	144
1901	144	154
1903		445 142
1913		456 267

ქარხნის დამკვეთთა შორის იყვნენ თბილისის საგუბერნიო სამმართველო, სამხედრო უწყება, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა„ ამიერკავკასიისა და კახეთის რკინიგზის სამმართველოები, უამრავი კერძო დაწესებულებები და პირები. ქარხანა ორთქმავლებისა და დიზელების ნაწილებს, მუხრუჭებს, წყალსადენის მოწყობილობას, სატრანსმისიო ნაწილებს, სადეზინფექციო კამერებს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ყურძნის საწურ ლითონის ჭურჭლეულს და სხვ. ნაწარმს ამზადებდა [136, 172].

1896 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი" წერდა: „თუჯის ჩამომსხმელი და სამეხანიკო ქარხანა ინჟენერ იარალოვისა და ალიხანოვისა ტფილისში საყოველთაოდ აცხადებს, რომ 15 ნოემბრიდან ქარხანაში შემოღებულია ახალი წარმოება და კეთება ზარებისა. ზარებს ასხამენ ყოველგვარი ზომისას, პატარებიდან მოყოლებული დიდრონს საეკლესიო ზარებამდე. ამ საქმისათვის მოწვეულია რუსეთიდან დახელოვნებული და მცოდნე ხელოსანი. მსურველნი მიმართავენ ქარხნის კანტორას: ტფილისი, ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი, ვოგზალთან" [258].

XX საუკუნის პირველ ათწლეულში კავკასიის ადმინისტრაცის სხდომებზე დაინყეს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებდნენ თბილისში მოქმედი მექანიკური ქარხნები სამხედრო შეკვეთების მიღებას. 1915 წლის 21 ივნისის თბილისის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ აღრიცხული 12 საწარმოდან სამხედრო შეკვეთებით შეიძლებოდა დაეტვირთათ ყველა, თუმცა 6 ქარხანა მხოლოდ გარკვეული რეკონსტრუქციის შემდეგ შეძლებდა სამხედრო უწყებათა დაკვეთების შესრულებას. აღნიშნული დარგის ერთ-ერთი მსხვილი საწარმო იყო ინჟინერ იარალოვის მიერ ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მწარმოებელი ქარხნების სააქციო საზოგადოება. ცხრილში ნაჩვენებია იარალოვის საწარმოების საქმიანობის სტატისტიკა სამხედრო შეკვეთებამდე და შეკვეთების მიღების შემდეგ [227, 14-16].

1883 წელს თბილისში გაიხსნა რკინიგზის გაფართოებული მთავარი სახელოსნოები, რომელიც წარმოადგენდა საქართველოში სატრანსპორტო მანქანათმშენებელ პირველ ქარხანას. იგი ორთქმავლების შეკეთებასთან ერთად ამზადებდა ორთქმავლისა და ვაგონის ნაწილებს.

XIX საუკუნის II ნახევარში მექანიკური საამქროების კვალდაკვალ თბილის-

ში ჩნდება ეტლების სახელოსნოები. 1884 წელს მეორე გილდიის ვაჭარმა **კოტრინმა** თბილისში დაიწყო ეტლების წარმოება. საწარმოში დასაქმებული იყო 24 მუშა, ყოველწლიურად მზადებოდა 10 ეტლი და 40 საზიდარი, წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 10 400 მან. ეტლების შედარებით მცირე საწარმო ჰქონდა გერმანელ კოლონისტს **დ.მეიერს**, რომელმაც დაიწყო ორთქლის ძრავაზე მომუშავე წისქვილების მუშაობა, სადაც დასაქმებული იყო 17 მუშა, იფქვებოდა ადგილობრივი ხორბალი, სხვადასხვა ხარისხის 50 ათასი ფუთი ფქვილი, რომლის ღირებულებაც 50 ათასი მან. იყო. იმავე პერიოდში ორთქლის წისქვილი აამუშავა პრუსიელმა **ფედოროვიჩმა**, სადაც წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება ათასი მან. იყო.

ბაქოს ნავთობის მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ და ნავთის პროდუქტების ექსპორტის კოლოსალურმა ზრდამ ხელი შეუწყო ბათუმში ახალი ქარხნების გაჩენას, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ უახლესი მანქანებით. მაგალითად: **პალაშკოვსკის და ბუნგეს** მიერ 1883 წელს ამუშავებულ მსხვილ ქარხანაში თითქმის ყველა სამუშაო მექანიზებული იყო. გამოიყენებოდა 150-ზე მეტი სხვადასხვა სახის საზღვარგარეთული დაზგა-დანადგარი. ასევე საუკეთესო ტექნიკით იყო აღჭურვილი სიდერიტე-რიხნერის, ხაჩატურიანცის, მანთაშევის და სხვათა ქარხნებიც.

ტექნიკურად ყველაზე უკეთ იყო მოწყობილი **როტშილდის ქარხანა.** 1889 წელს მეწარმემ ქარხანა ხელახლა გადაიარაღა ამერიკიდან ჩამოტანილი უახლესი ტექნიკით. მოაწყო გემებში ყუთების ჩამტვირთავი ორთქლის ძალით მომუშავე ელევატორი.

აღსანიშნავია პრუსიელი **ვ.ფრანკენის** „მექანიკური სახელოსნო", რომელსაც 5 ათასი მან. ღირებულების სადურგლო, სახარატო დაზგები და საბურღავი მანქანები გააჩნდა. შემდგომში საწარმო **ნ.პოპოვიჩმა** შეიძინა და გააფართოვა.

ნ.პოპოვიჩის მექანიკური ქარხანის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 173)

წელი	მუშათა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)
1894	31	19
1900	42	28
1901	42	39

1900 წელს **კარაპეტოვის და ბეგიჯანოვის** მექანიკური ქარხანა 150 მუშით შეუერთდა იარალოვის ქარხანას, რომელსაც საუკეთესო სადაზგო პარკი ჰქონდა. ასეთივე ბედი ეწიათ პოპოვიჩის მექანიკურ ქარხანას და დიუნანის ელექტრომექანიკურ სახელოსნოს.

იარაღლოვის სანაირმოების საქმიანობის სტატისტიკა სამხედრო შეკვეთებამდე და შეკვეთების მიღების შემდეგ.

წელი	საზოგადოების წლიური საბიუჯეტო (ათასი მან)	სანაირმის აღჭურვილობის საერთო ღირებულება (მან)	მუშათა წლიური ხელფასი (მან)	ვადამუშავებული ნედლეულის ღირებულება (მან)	საწარმოს ხელახალი გადაიარაღების ღირებულება (ათას მან)	სუფთა მოგება (ათას მან)
1913	118 420	122 562	31 878	40 087	3 265	23 438
1914	109 256	128 092	31 225	37 880	2 788	17 598
1915	136 226	129 514	40 087	34 155		26 474
1916	200 000		43 558	120 000		

წყარო: ფალიაშვილი ა. საქართველოს ბიუჯეტისა და საბიუჯეტო პოლიტიკისაკენ 1914-1917 წლებში". ოქ. 1974. გვ.14-15

სანარმოთა რაოდენობის ზრდისა და ლითონგადამამუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა ფორმის შეფარდების ცხრილი:

(ნვრილი კასპიტალისტური ნარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკა, დროის სხვადასხვა მონაკვეთში ასე გამოიყურებოდა)

მრეწველობის ფორმები	1885-1888 წწ.			1900 წ.		
	სანარ. რიცხვი	მუშათა რაოდ.	პროდ (ათას მან)	სანარ. რიცხვი	მუშათა რაოდ.	პროდ (ათას მან)
ნვრილი კაპ-იტალისტური ნარმოება	359	1554	1237,2	1482	7046	3386,0
მანუფაქტურა	29	2187	1475,8	41	984	1200,0
ფაბრიკულ-ქარხ-ნული	28	1712	4567,2	64	9004	16513,0

1900-იან წლებში საქართველოში შინამრეწველური სახელოსნოებისა და ოსტატების მიერ მზადდებოდა სხვადასხვა სახის და დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები, რისთვისაც იყენებდნენ საზღვარგარეთულ ნიმუშებს. ამ საქმის ერთ-ერთი თაოსანი იყო ქუთაისში მცხოვრები **სტეფანე ფეიქრიშვილი,** რომელსაც 1897 წელს, ქუთაისში გაუხსნია მექანიკური სახელოსნო. იგი აქტიურად მონაწილეობდა სურამის უღელტეხილის მშენებლობაში, რისთვისაც დაუჯილდოებიათ სამახსოვრო მედლით. ფეიქრიშვილი პირადად ყოფილა პარიზის სამრეწველო გამოფენაზე და იქიდან ჩამოუტანია სხვადასხვა მანქანები, აპარატები, სასხლავი დანები, რომელთა მიხედვითაც თავის სახელოსნოში დაუმზადებია სხვადასხვა ინვენტარი და გლეხობაში გაუვრცელებია (ხშირად უსასყიდლოდ).

1900 წელს თბილისში მსხვილ მექანიკურ საწარმოს აფუძნებს **ფ.ბეპლე,** სადაც დასაქმებული იყო 21 მუშა, ხოლო წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება აღწევდა 14 ათას მან. საწარმო იმ პერიოდისათვის საუკეთესოდ ყოფილა აღჭურვილი, წარმოების პროცესში იყენებდნენ გაზის ძრავას.

ფ.ბეპლეს მექანიკური ქარხანის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 173)

წელი	მუშათა რა-ოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)
1900	21	6 200
1902	14	7

1908	18	8 974
1913	30	25
1915	33	75 370

ფ.ბეპლეს თუჯსაგლინავი ქარხანა, რომელმაც ომის პირველ წელს წარმოება შეამცირა 1915 ნლიდან თავდაცვის სამსახურში ჩადგა, დასაქმებული ჰყავდა 33 მუშა. საწარმომ აწარმოა 75 370 მან. პროდუქცია, აქედან სამხედრო დაკვეთებზე მოდიოდა 64 643 მან. 1917 წლის იანვრის ბოლოს ქარხანას ჰქონდა სამხედრო დაკვეთები:

√ ბათუმის მიხაილოვის ციხე-სიმაგრიდან ორი რკინის ხიდი სამხედრო რკინიგზისათვის. დამკვეთს გაეგზავნა 270 000 მან. ღირებულების ხიდების მოწყობილობა;

√ კავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისაგან 100 საველე სამზარეულო, რომელთა ღირებულებამ 82 500 მან. შეადგინა;

√ სამხედრო რკინიგზის განყოფილებისაგან 700 ცალი თუჯის ბორბლები

√ 2 080 მან. ღირებულებისა [227, 17].

მექანიკურ საამქროს ამუშავებდა კიდევ ერთი გერმანელი კოლონისტი **ვუდერლიხი**, სადაც დასაქმებული იყო 25 კაცი, ხოლო ნლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 25 ათას მანეთს.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში მექანიკურ ინსტრუმენტებს ამზადებდა **ანდერეგის** საინსტრუმენტო სახელოსნო, სადაც დასაქმებული იყო 10 ოსტატი, ხოლო ნლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება აღწევდა 700 მან-მდე.

1909 წელს ამოქმედდა **ა.ვახნიანსკის** „ამიერკავკასიის საზეინკლო-სამჭედლო და მექანიკური ქარხანა". ის დაეფუძნა **ა.ანდერეგის** სახელოსნოს, რომელიც ჯერ მოსკოველ ვაჭარ **კ.შუმანის** ხელში გადავიდა, შემდეგ **ობუხოვსკისა**, ხოლო ამ უკანასკნელმა ა.ვახნიანსკის მიყიდა. საწარმო ნავთზე მუშაობდა [136, 176].

ა.ვახნიანსკის „ამიერკავკასიის საზეინკლო-სამჭედლო და მექანიკური ქარხანის"საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 176)

წელი	მუშათა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)
1908	14	8
1913	32	28

ა.ვახნიანსკის „ამიერკავკასიის საზეინკლო-სამჭედლო და მექანიკურმა ქარხანამ" 1915 ნლიდან თბილისის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის სამხედრო შეკვეთების შესრულება დაიწყო. სამხედრო დაკვეთების წყალობით საქმიანობა

ერთი-ორად გაიზარდა. წარმოებაში დაასაქმა 64 მუშა, რომელთა წლიურმა ხელფასმა 12 180 მან. შეადგინა, ხოლო წლიური საბრუნავი თანხა 40 000 მან. განისაზღვრა. საწარმო სამხედრო დაკვეთების შესრულებას 1917 წელსაც განაგრძობდა [227, 14].

1904 წელს საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობას დაექვემდებარა ა.მელიქ-აზარიანცის სპილენძჩამომსხმელი ქარხანა. 1906 წელს, როცა მან ლ. გუსევთან და ფ.ბერგმანთან ერთად „სამთო-სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება" ჩამოაყალიბა. 1908 წელს მან 30 მუშით 145 098 მან. პროდუქცია დაამზადა [136, 177].

საკერავი მანქანების დამამზადებელი „ზინგერის კომპანია" 1851 წელს დაფუძნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ნიუ-იორკის შტატი), **ისააკ ზინგერისა და ე.კლარკის** თაოსნობით. 1861 წლიდან კომპანია საკერავი მანქანების საექსპორტო პარტიებს ამზადებდა. 1863 წლიდან კომპანია უკვე სააქციო საზოგადოება იყო. 1863 წლიდან ჰამბურგელი ძმები **ნაიდლინგერები** ამ კომპანიის სავაჭრო აგენტები გახდნენ. მოგვიანებით მათი საბრუნავი კაპიტალი ისე გაზრდილა, რომ ტრანსნაციონალურ ამერიკულ კომპანიასთან მხოლოდ ოფიციალური ურთიერთობა შეუნარჩუნებიათ, ხოლო მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოებთან, ავსტრო-უნგრეთთან, რუმინეთთან, სკანდინავიის ქვეყნებთან და რუსეთის იმპერიასთან დამოუკიდებლად ვაჭრობდნენ. 1897 წლის 13 ივლისს რუსეთის იმპერიის მთავრობამ დაამტკიცა „კომპანია ზინგერის" სააქციო საზოგადოების წესდება, რომელსაც გერმანელები მართავდნენ. კომპანია დაარსდა 5 მილიონი მანეთის სააქციო კაპიტალით და 50 000 მანეთის აქტივებით და რადგანაც იმპერიის ბაზარზე მას სერიოზული კონკურენტი არ გამოუჩნდა, შთამბეჭდავ წარმატებებსაც მიაღწია. 1900 წელს კომპანიამ ფართო კაპიტალდაბანდება განახორციელა და მოსკოვის გუბერნიის ქალაქ პოდოლსკში შეიძინა 30 დესეტინა მიწის ნაკვეთი, სადაც ააშენა საკერავი მანქანების და მისი სათადარიგო ნაწილების დამამზადებელი ქარხანა. კომპანია ამზადებდა 6 განსხვავებული მოდელის საკერავ მანქანას, რომლებიც ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა.

თბილისში, დღევანდელი ლესელიძის ქუჩის დასაწყისში, თავისუფლების მოედანთან ფუნქციონირებდა **პოდოლსკის** ქარხნის წარმომადგენლობა-„კომპანია ზინგერის" სახელოსნო, სადაც წარმოებდა საკერავი მანქანების აწყობა შემოტანილი და ადგილობრივ დამზადებული დეტალებით, ხოლო 1908 წელს გოლოვინის პროსპექტზე გაიხსნა კომპანია „ზინგერი"-ს მთავარი მაღაზია. უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლობას ჰქონდა ზედმიწევნით გამართული მენეჯმენტი, რომლის ყველა ცენტრალური რგოლი გერმანელებით იყო წარმოდგენილი. ქართველები მონაწილეობდნენ მხოლოდ საქალაქო, სამაზრო და სარაიონო უბნების დისტრიბუციაში. განყოფილების 1905 წლის მმართველობითი სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა:

ცენტრალური განყოფილების მმართველი-შრედერი, შემდგომ კოცი, ხელფასით 1 225 მან.

კანტორის გამგე ფარენბუხი, ხელფასით 250 მან.

ბუღალტერი გრაუბე, ხელფასით 225 მან.

კანტორის თანამშრომელი ბალმი, ხელფასით 220 მან.

კანტორის თანამშრომელი დოროგი, ხელფასით 215 მან. [129, 47-51].

განყოფილების წარმატებული მუშაობის თვალნათელი მაგალითია ის, რომ XX საუკუნის პირველ ათწლეულში თბილისის, ბაქოსა და ქუთაისის გუბერნიებში უკვე ირიცხებოდა კომპანიის 388 თანამშრომელი. „კომპანია ზინგერი" წარმატებით აგრძელებდა თავის საქმიანობას. მაზე კარგ წარმოდგენას გვიქმნის სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ, თბილისის ცენტრალურმა განყოფილებამ (თბილისის 3 მაღაზია), ალექსანდროპოლის, ახალციხის, ართვინის, ბათუმის, მიხაილოვოს (ხაშურის), გორის, შუშის, ელისავეტპოლის, სამტრედიის, ყვირილის, ხონის, ქუთაისის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ოჩამჩირის, ფოთის, სიღნაღის, სოხუმის, თელავის, ნუხის, ნახჭევანის, ერევნის, თავრიზის პუნქტებმა დაამზადეს და გაყიდეს [129, 47-51].

წელი	გაყიდული პროდუქცია ცალობით	გაყიდული პროდუქციის ღირებულება
1909	10 598	794 198 მან. 80 კაპ.
1910	13 636	1 101 917 მან. 36 კაპ.
1911	15 034	1 255 667 მან. 21 კაპ.
1912	15 675	1 382 386 მან. 79 კაპ.

წყარო: მანჯგალაძე გ. „გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში" (1860-1918 წწ). თბ. 1991. გვ 47-51

1913 წელს გაზეთი „ქართლი" იუწყებოდა ამხ. ი.ზინგერის და კომპ. „ნამდვილი საკერავი მაშინების" გაყიდვის თაობაზე გორში, მხოლოდ მუჩაიძის მაღაზიაში, სობოროს ქუჩაზე, ბანკის ქვეშ. „მაშინები განსაკუთრებით კეთდება საზღვარ-გარედ, არიან უმაღლესი ხარისხის, განირჩევიან მსუბუქ, უხმო ტრიალით და უვლიან ყოვლად სუფთა და ლამაზ გვირისტს" [233].

საქართველოში მოქმედი მექანიკური ქარხნები 1915 წლიდან ნაღმებისა და ხელყუმბარების დაკვეთებს იშვიათად ღებულობდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა მეწარმე **გ.პითოევი**, რომელმაც მოახერხა იმპერიის ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისაგან ხელყუმბარების დიდი პარტიების დამზადების დაკვეთის მიღება. გ.პითოევმა იაჯრით აიღო ბათუმის თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების სამი ქარხანა („ბნიტოსი", არვანიტიდისა და ხაჩატრიანცისა), რომლებიც არ მუშაობდნენ. მეწარმემ ხელყუმბარების დასამზადებლად ქარხნების შესაბამისად აღჭურვა, ნედლეულით მომარაგების პრივილეგიაც გაინაღდა. მიღებული დაკვეთის თანახმად პითოევს 3 მლნ მანეთის ღირებულების ხელყუმბარა უნდა დაემზადებინა, რომელიც 36 ნაწილისაგან შედგებოდა. აქედან 6 დეტალი სარატოვში უნდა დამზადებულიყო, 2 დეტალის 1/3 ჰელსინფორსში, 12 ნაწილი რუსეთის სხვადასხვა საწარმოში, 6 ნაწილი ბათუმში და ხელყუმბარის საბოლოო მონატაჟიც ბათუმშივე მოხდებოდა [136, 188].

მეწარმის მოლოდინი არ გამართლადა, აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ქარხნებიდან მოწოდებულ სათადარიგო ნაწილებს სერიოზული ხარვეზები ჰქონდა, ხდებოდა ამორჩევა, რამაც ქარხანას მისცა შესაძლებლობა დაემზადებინა მხოლოდ 1 მლნ ხელყუმბარა. ამან სამომავლო დაკვეთის შემცირება გამოიწვია, ხოლო 1917 წლისთვის დაკვეთა საერთოდ შეწყდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს ლითონგადამამუშავებელი მრეწველობისათვის მთავარ ნედლეულს ალავერდსა და შამბლულში მოპოვებული **სპილენძი** წარმოადგენდა, რომლის დამუშავებული რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 2-5 ათას ფუთს შეადგენდა, მუშათა რიცხვი 200-300 კაცს აღწევდა. მწარმოებლები გაერთიანებულნი იყვნენ სამთო-საქარხნო ამხანაგობებში. ბერძენმა მეწარმეებმა, რომლებიც მოცემულ დარგს პოსესიური უფლებით ფლობდნენ 1865 წელს ჩამოაყალიბეს ორი (ალავერდისა და შამბლულის) „ამხ-

ანაგობა". წესდებით „ალავერდის ამხანაგობის" ძირითადი კაპიტალი 15 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო „შამლუღის ამხანაგობისა" 13 ათას მანეთს. ორივე ამხანაგობა სპილენძის მოპოვებასა და გამოდნობას ერთად ეწეოდნენ [334, 42].

1887 წელს ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის წარმოება გადავიდა „ახტალის მაღაროების ფრანგული კომპანიის" (Companie Francaise de mines d Akhtala-Caucase) ხელში, „რომელიც 4 მლნ ფრანკის ძირითადი კაპიტალით 1888 წლის ივლისში 99 წლის ვადით იქნა დაშვებული თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ახტალის, შამბლუღისა და ალავერდის სპილენძის, ტყვიის და ვერცხლის საბადოთა საკუთრების უფლების შესაძენად და საექსპლოატაციოდ. კომპანიამ წინ წასწია, მოაწყო და გაფართოვა წარმოება, დაინერგა ტექნიკური სიახლეები (ტურბინა, ორთქლის მანქანა და სხვ.), თუმცა ყველაფერი ეს პროდუქციის წარმოების ზრდას შედარებით გვიან დაეტყო. 1890-იან წლებში სპილენძის მადნის მოპოვება შეადგენდა 150 ათას ფუთს, საიდანაც ადნობდნენ 4-8 ათას ფუთ სპილენძს. 1898 წელს ,ახტალის მაღაროების ფრანგულმა კომპანიამ მთელი თავისი უფლებები და ქონება 1897 წელს პარიზში ჩამოყალიბებულ, უფრო მძლავრ სააქციო კომპანიას-„კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიულ ანონიმურ საზოგადოებას"(შოსიეტე ინდუსტრიალლე ეტ მეტალურგიქუე დუ ჩაუცასე, შოსიეტე ანონიმე) უმემკვიდრა. ეს უკანასკნელი მთავრობამ 4,5 მლნ ფრანკის კაპიტალით 99 წლის ვადით დაუშვა შეძენილი საბადოების საექსპლოატაციოდ და სხვა საბადოების ასათვისებლად კავკასიაში. 1899 წლისათვის მოპოვებულ იქნა 700 ათას ფუთზე მეტი მადანი, საიდანაც გამოადნეს 12 700 ფუთი სპილენძი. თუ ამ დარგში დასაქმებული მუშახელის რაოდენობა თავიდან 50-100 კაცს შეადგენდა, 1899 წლისათვის 500 კაცამდე გაიზარდა. „ფირმის პასუხისმგებელი აგენტი **რაულ პოლმარი** საქმეს თბილისიდან განაგებდა. ფირმის ხელში გადავიდა ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის საბადოები და სპილენძსადნობი ქარხანა [136, 92].

ცხრილში ნაჩვენებია ალავერდისა და შამლუღის მეტალურგიული ქარხნების წარმადობა

წლები	სპილენძის გამოდნობა ფუთობით	
	ალავერდში	შამბლუღში
1864	9 284	–
1866	5 435	752
1868	4 391	628
1870	4 573	384
1871	7 325	–
1873	7 027	180
1875	5 252	96
1876	4 072	453
1877	3 748	1 271

1879	2 068	157
1880	1 082	560
1881	2 681	690
1883	980	–
1884	397	95
1887	2 387	262
1888	1 840	76
1890	არ წარმოებდა	72
1891	2 345	–
1896	4 540	–
1898	3 849	–
1900	19 682	–
1901	54 769	–
1914	–	30 985
1915	115 981	–
1916	77 451	–
1917	53 597	31 320

მონაცემები მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატ 1864-1917. თბ. 1976 გვ 342 გვ 379

1915 წელს თბილისში სპილენძ-თუჯსაგლინავ ქარხანას ამუშავებდნენ **ნათმელაძე** და **ბ.ს.კაციტაძე**, წლიური ბრუნავით 14 655 მან, მუშათა ხელფასი 3 625 მან. საწარმოში დასაქმებული იყო 18 მუშა და ამზადებდა თუჯისა და სპილენძის ნაკეთობებს, ძირითადად შიდა ბაზრისათვის.

1915 წელს თბილისში მოქმედებდა **ბ.როზენკრანცის** სპილენძსაგლინავი ქარხანა. საწარმომ 42 მუშით 509 000 მან. პროდუქცია გამოუშვა [227, 18].

„კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიულმა ანონიმურმა საზოგადოებამ" წარმოების ტექნიკური შეიარაღება მაღაროში და საბადოს ზედაპირზე რელსებიანი გზების გამართვით დაიწყო. ამ გზებზე თითო ტონის ტევადობის „ვაგონეტკებს" მუშები ამოძრავებდნენ, იშვიათად ცხენებსაც იყენებდნენ, ხოლო შემდეგ მცირე ორთქმავლის წევაზე გადაიყვანეს. 1890-იანი წლებიდან დაიწყეს მაღაროებიდან მადნის მექანიკურ ჩამოსაშვებთა მოწყობა, გაიმართა დასაშვები რკინიგზები, ანუ ბრემსბერგები„ აგრეთვე საჰაერო საბაგირო გზები [337, 74]. ფრანგული კომპანია 1917 წლამდე მონოპოლისტად დარჩა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ახტალის, შამბლულისა და ალავერდის სპილენძის, ტყვიის და ვერცხლის საბადოთა ექსპლუატაციის საქმეში. ცხრილში წარმოდგენილია 1871-1900 წლებში ორივე საწარმოს საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები:

ალავერდისა და შამბლულის საწარმოებმა	სპილენძის ღირებულება მანეთებში
1871 წელს	80 000
1873 წელს	85 000
1874 წელს	48 000
1894 წელს	184 000
1900 წელს	310 000

მონაცემები მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 343

XX საუკუნის 20-იან წლებში პეტროგრადის ერთ-ერთი სააქციო საზოგადოება თბილისში მსხვილ **სპილენძის ქარხანას** ამუშავებდა. საწარმო ასაქმებდა 50 მუშას. წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, თუმცა მოთხოვნადი იყო, ეს იყო სპილენძის ფურცლები, რომელიც თავის მხრივ სანედლეულო ბაზას წარმოადგენდა სხვა ქარხნებისათვის. აღნიშნული საწარმოსათვისაც მომგებიანი აღმოჩნდა სამხედრო დაკვეთების შესრულება, კერძოდ მან მიიღო სპილენძის ჩაიდნების შეკვეთა ერთ-ერთი სამხედრო სასწავლებლიდან.

√ 1914 წელს ქარხანამ აწარმოა 16 511 ფუთი სპილენძი;
√ 1915 წელს-12 933 ფუთი;
√ 1916 წელს -16 157 ფუთი.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში არსებობდა **წულაძის, ბაშკინის, „გილბერტის და კომპანიის“** მექანიკური ქარხნები. ისინიც სამხედრო დაკვეთებზე მუშაობდნენ. ასევე მოქმედებდა **რუსულ-ფრანგული ანონიმური საზოგადოების სახელოსნო „პროვოდი“**, საწარმო 9 მუშით წლიურად 10 000 მან. პროდუქციას ამზადებდა. ასევე ომის პირობებში გაიხსნა **ლ.მ.ბრამერის** მექანიკური სახელოსნო, რომელიც ძირითადად სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა. სახელოსნომ 1915 წელს გამოუშვა 45 000 მან. პროდუქცია. სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა ახლად გახსნილი სახარატო-მექანიკური ქარხანა **ამხანაგობა „გნომი“**, საწარმო ეკუთვნოდა **ა.ზ.საენკოს, ჰ.პ.განკევიჩს** და **ნ.კ.ჩერნიავსკის**. მან ტყიბულის „ნახშირას“ საზოგადოებას თუჯის სხვადასხვა ნაკეთობები დაუმზადა, საწარმომ წლიურად 26 111 მან. პროდუქცია აწარმოა. **ტერ-მარტიროსოვებისა და ხანდოვის** სავაჭრო სახლის მექანიკური სახელოსნო, რომელიც ელექტროენერგიის ძალით მუშაობდა, სამხედრო ლაზარეთისათვის რკინის საწოლებს და საკაცეებს ამზადებდა. 1916 წელს სახელოსნომ 95 000 მან. საწოლები დაამზადა. საკმაოდ მექანიზებული იყო **„საენკო-განკევიჩის“** სავაჭრო სახლის **„სასარაჯო სახელოსნო“**, რომელიც ცხენის აღკაზმულობას ამზადებდა. 1910 წელს საწარმომ 245 000 მან. პროდუქცია გამოუშვა. 1916 წელს თბილისში მოქმედებდა **ავტომანქანების საბურავების შემკეთებელი სახელოსნო**, საწარმომ 9 მუშით 15 162 მან. პროდუქცია აწარმოა [227, 20-21].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარაში) სპილენძის საბადოს პირვე-

ლად აღმომჩენი და მისი სამრეწველო ექსპლოატაციის ორგანიზების წამომწყები 1880-იან წლებში გახდა **ძმები ლაზარევების** ფირმა, რომელიც მოცემული დროისათვის სპილენძის მადნის მოპოვებასა და დამუშავებას სამხრეთ საქართველოშიც ეწეოდა. მალე ამ რეგიონს მოაწყდა და სპილენძის საბადოს ასათვისებლად თანდათან დიდძალი კაპიტალები დააბანდეს უცხოურმა (გერმანულმა, ინგლისურ-ამერიკულმა, მოგვიანებით შვეიცარიულმა) მეტ-ნაკლებდა მძლავრმა ფირმებმა [210, 115].

ამ სამრეწველო რეგიონში ერთიმეორის მიყოლებით ამოქმედდა მსხვილი სამთო საწარმოები და სპილენძსადნობი ქარხნები: ერგეს ქარხანა(1890-1911წწ), ჭინკათხევის უმძლავრესი ქარხანა(1903-1914წწ), ხოდის (1906-1913წწ), აგრეთვე ქვარცხანის (1914-1917წწ) ქარხნები. გამოჩდნენ გერმანელი მეწარმენი **ძმები სიმენსები**, რომლებიც ქვარცხანაში დაბანაკდნენ. **რიხნერის** გერმანულმა ფირმამ ერგეს სპილენძის საბადოს ათვისება დაიწყო. 1900 წელს ჭინკათხევის სპილენძის საბადოს ექსპლოატაციას შეუდგა ინგლისურ-ამერიკული მონოპოლისტური გაერთიანება **„კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობით“**(The Caucasus Copper Company, Limited), ხოლო სპილენძის საბადოს სამრეწველო ათვისებას კი **სიმეონიდის** ფირმა [136, 343].

XIX საუკუნის ბოლოს მთიანი აჭარის სპილენძის საბადოებით არაერთი უცხოელი მრეწველი დაინტერესდა. პირველის სპილენძსადნობი საწარმო რეგიონში აშენდა 1890 წელს, ბათუმიდან 11 ვერსის დაშორებით, სოფ. ერგეში, მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე. ეს იყო პატარა, მაგრამ კარგად აღჭურვილი მეტალურგიული ქარხანა, რომელიც შედგებოდა მადნისმდნობელი ორი და სუფთა სპილენძის გამოსადნობი ერთი ღუმელისაგან. ქარხანას თავდაპირველად აშენებდა თბილისელი ინჟინერი **ზოლოტარიევი.** მან საქმეს თავი ვერ გაართვა და იგი გადასცა შვეიცარიელ კომერსანტს **რობერტ რიხნერს** და მის კომპანიონს **ანტონ სალერნის**, რომლებიც უკვე ეწეოდნენ მაღაროების ექსპლოატაციას სოფ. ხოდში. ერგეს ქარხანას წლიურად უნდა ეწარმოებინა დაახლოებით 20 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი, მაგრამ რთული ადგილობრივი პირობების გამო ქარხანა შეფერხებებით მუშაობდა. ღიხნერს შეექმნა ფინანსური სიძნელეებიც, რის გამოც მან 1901 წელს სპილენძის მაღაროებისა და ქარხნის მფლობელობა დაუთმო რიგელ დოქტორ-ქიმიკოსს ვ.ლივენს. 1908 წელს საქმეს ისევ რიხნერი უბრუნდება [198, 114].

ერგეს ქარხნის მწარმოებლურობა წლების მიხედვით

წელი	ჩგამოდნობილი სუფთა სპილენძი ფუთებში
1890	291
1900	7800
1901	9562
1910	1672
1911	ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: თ.ვახტანგიშვილი „კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში. თბ. 1976. ჩვ. 112-115

სპილენძის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები აღჭურვილნი იყვნენ უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით. ინგლისურ-ამერიკული მონოპოლისტური გაერთიანების ძირითადი კაპიტალი 500 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. მისი მიზანი იყო ქუთაისის გუბერნიის ართვინის ოკრუგში სპილენძის, ვერცხლის და ტყვიის საბადოთა ექსპლოატაცია. ფირმის პასუხისმგებელი აგენტი **ვ.ვ.სტიუარტი** საქმეს ბათუმიდან უძღვებოდა.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებები ამ მონოპოლისტური გაერთიანების წარმომავლობის შესახებ. ერთი ვერსიით იგი ეკუთვნოდა მორგან-ის ამერიკულ ჯგუფს, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ისინი ეყრდნობა იმ რეალობას, რომ აღნიშნულმა მონოპოლისტურმა გაერთანებამ მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით მოახდინა კოლოსალური ინვესტირება სპილენძის წარმოებაში 17,66 მლნ მან. ოდენობით. 1900 წელს ოქტომბერში ლონდონში „კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობით" დაფუძნდა. „ინგლისურ-ამერიკული მონოპოლისტური გაერთიანება **„კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობით"** სპილენძის მრეწველობაში 1901 წელს ჩაება. მან საქმე საბადოს გეოლოგიური გამოკვლევით დაიწყო და მარაგი გაახლოებით 400 მილიარდი ფუთის (6,6, მილიარდი ტონა) ოდენობით განსაზღვრა. ფირმა დარწმუნდა, რომ ეს მარაგი სპილენძის წარმოების ხანგრძლივ და განუწყვეტელ მუშაობას უზრუნველყოფდა, თუმცა მადანი მცირე მეტალური შემცველობისა აღმოჩნდა [322, 28-29]. აღნიშნულმა დაბრკოლებამ ფირმის მესვეურები ვერ შეაშინა, ისინი ამას პრობლემად არ განიხილავდნენ, რადგან ფლობდნენ მადნის მექანიკური გამდიდრების ტექნოლოგიებს. მომდევნო წელსვე კომპანიამ ბათუმიდან 60 ვერსის დაშორებით, მდინარე ჭოროხის მარცხენა შენაკადთან დაიწყო მეტალური შემცველობით ღარიბი საბადოს ექსპლოატაცია. თვალნათელია, რომ გეოლოგიური კვლევისათვის, მადნის მექანიკური გამდიდრებისათვის, სატრანსპორტო გზების და ხიდების ასაშენებლად კომპანიას დიდი რაოდენობით დამატებითი ხარჯების გაღება დასჭირდებოდა, რასაც უზრუნველყოფდა მისი უდიდესი კაპიტალდაბანდებები მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, რომლის მოცულობა 17,66 მლნ. მანეთს აღწევდა. მადნის დაბალხარისხოვნობის გამო ფირმამ საბადოს ექსპლოატაცია პირველ საოპერაციო წელს იმთავითვე შეწყვიტა (გამამდიდრებელი ფაბრიკის აგებამდე). ააშენა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი დიდი წარმადობის გამამდიდრებელი ფაბრიკა, სადაც ბლეკის მანქანით წინასწარ დანაყული მთელი მოპოვებული მადანი მიემართებოდა. ფაბრიკა გათვალისწინებული იყო წლიურად 200 ათასი ფუთი წითელი მეტალის დამამზადებელი მეტალურგიული ქარხნისათვის. ფაბრიკის მოწყობილობა-დანადგარების ყველა მექანიზმი შემოტანილი იყო ინგლისიდან და ამერიკიდან [136, 357].

ინგლისურ-ამერიკული მონოპოლისტური გაერთიანება **„კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობით"** წარმოადგენდა უმხვილეს ინვესტორს საქართველოში. იგი 1907 წლიდან ფლობდა ნავთსაქაჩ სადგურებს ბათუმში, ფირმამ სპილენძის საბადოს ექსპლოატაციის მიზნით ბათუმიდან ჭინკათხევამდე გაიყვანა 65 ვერსის სიგრძის ნავთსადენი მილი, გამართა მექანიკური სახელოსნო, კომპანია აგებდა ჰიდროელექტრო-

სამტეხლოები მაღალმთიან აჭარაში

საგურებს, რომლებიც ენერგიას აწვდიდნენ საბადოებს და გამამდიდრებელ ფაბრიკას, კომპანიამ გამართა საჰაერო-საბაგირო გზა, რომელიც პირდაპირი მიმართულებით 2 620 მეტრის მანძილზე იყო გადაჭიმული. ამ გზას სამი-სატვირთო, შუალედური და მიმღები სადგური გააჩნდა. პირველი მესამიდან 643 მეტრით იყო შემაღლებული. სადგურებში სიგნალიზაციისათვის ტელეფონი, ხოლო ტვირთის წონის ზუსტად გასაზომად ავტომატური გამომთვლელები იდგა, ბოლო მიმღებ-გადმოსატვირთ სადგურში მოწყობილი იყო საბაგირო გზიდან რელსებიან გზაზე ავტომატურად გადამყვანი. გზის გამტარუნარიანობა 20 საათში 2 000 ტონას უდრიდა [136, 357].

„ინგლისურ-ამერიკული მონოპოლისტური გაერთიანება **„კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობით“** საქმიანობა ის უნიკალური მაგალითია, რომელმაც 1902-1914 წლებში უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო პროექტები განახორციელა საქართველოში და ხელი შეუწყო აჭარის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, 1914-1917 წლებში აჭარის სამრეწველო რეგიონში გერმანელი მეწარმეები **ძმები სიმენსები** გამოჩდნენ, რომელთათვისაც საქართველო წარმოადგენდა უდიდესი დაინტერესების ქვეყანას, მათ არაერთხელ იმოგზაურეს საქართველოში, ცხოვრობდნენ თბილისში და ალბათ, ამანაც შეუწყო ხელი მათ წამოწყებას სპილენძის წარმოების თაობაზე. სამრეწველო პროცესების განვითარება საჭიროებდა დიდძალ მუშახელს, რამაც ხელი შეუწყო დასაქმების პროცესს.

ცხრილში ასახულია ამ საწარმოებში მუშათა რიცხვის დინამიკა.

წლები	მუშათა რიცხვი		
	სამხრეთ საქართველოს სპილენძის წარმოება	სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სპილენ-ძის წარმოება	სულ
1864	424	-	424
1865	450	–	450
1869	470	–	470
1871	510	–	510
1872	522	–	522
1873	430	–	430
1874	450	–	450
1882	208	230	438
1883	200	280	480
1888	112	200	312
1889	120	250	370
1890	110	310	420
1891	280	300	580
1892	310	320	630
1899	680	380	1060
1900	700	620	1320

მონაცემები მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 345

ფირმამ XX საუკუნის დასაწყისში ბათუმიდან 71 ვერსის დაშორებით იაფად შეიძინა სპილენძის მადნით მდიდარი მიწები და მოაწყო მაღაროები. მოპოვებულ მადანს სიმენსები თავდაპირველად მათსავე კუთვნილ ქედაბექის (აზერბაიჯანში) სპილენძსადნობ ქარხანაში ეზიდებოდნენ, თუმცა მისი ტრანსპორტირება ძვირი ჯდებოდა. ამიტომ სიმენსებმა გადაწყვიტეს სპილენძსადნობი ქარხნის ადგილზევე აშენება. მშენებლობისათვის სიმენსების ფირმამ გამოჰყო 1 მლნ რუბლი. მშენებლობას ხელმძღვანელობდა კავკასიის სამთო მმართველობის ინჟინერი გერმანელი **ადოლფ ერნი.** მშენებლობა დაიწყო 1912 წელს და გაგრძელდა 1914 წლამდე [198, 119].

ქარხნის აღწერილობა კიდევ ბევრ იმ დროისათვის ცნობილი ფირმების მიერ წარმოებულ ძრავებს და ტუმბოებს მოიცავს, რაც ნამდვილად მეტყველებს მის გამართულობაზე. სიმენსებმა ქარხანას დაუკავშირეს საჰაერო-საბაგირო გზები, ქარხნიდან ბათუმ-ართვინის გზატკეცილამდე გაიყვანეს სამანქანე გზა, გერმანიიდან ჩამოიტანეს სატვირთო ავტომობილები [198, 118-119].

1914 წელს თურქეთთან წამოწყებულმა საომარმა მოქმედებებმა ხელი შეუშალა ქარხნის შემდგომ განვითარებას. ქარხანა ერთხანს ბედის ანაბარა დარჩა, თუმცა, როგორც ჩანს, მეომარმა მხარემ ანგარიში გაუწია ქარხნის

გერმანელ მესაკუთრეებს და ქონება არ დააზიანა. სწორედ ამიტომ საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ სწრაფად მოხდა მისი მწყობრში ჩაყენება. 1914 წელს ქარხანა უკვე დასრულებული და აღჭურვილი იყო უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიით. ფირმის მაღარო 600 მეტრის საჰაერო-საბაგირო გზით იყო დაკავშირებული სპილენძსადნობ ქარხანასთან, მოქმედებდა დიზელის, ზულცერისა და ვინტერტიერის სისტემის 265 ძალიანი სამი ძრავი. აქვე დაიდგა ენკეს სისტემის ორი საბერველი, ბრაუნბოვერის ქარხნის მიერ გამოშვებული რუტის სისტემის ტურბინიანი კომპრესორი და ა.შ. [136, 366-367].

სიმენსების ქარხნის მწარმოებლურობა წლების მიხედვით

წელი	გამოდნობილი სუფთა სპილენძი ფუთებში
1915	19 000
1916	96 321
1917	98 343

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. III. ბათუმის ოლქის მრეწველობა." გვ. 119



CaptionCopper mining, possibly Batumi transport of the extracted copper to the valley with a cable car - undated, probably in the 1910's
(Photo by Haeckel collectionullstein bild via Getty Images)

ბათუმი წამყვანი სამრეწველო ცენტრი იყო საქართველოში. აქ ერთ-ერთი უმსხვილესი სააქციო საზოგადოება იყო შელენტოვსკის სააქციო საზოგადოება **„შელენტოვსკი და კომპ.“**, რომლის ძირითადი კაპიტალი იყო 225 000 მან. სააქციო კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი თვითონ **შელენტოვსკის** ეკუთვნოდა, მეორე-პოლონელ **რ.მ.იურკევიჩს** (331 აქცია), ნაწილიც **ნ.კ.გლადუშჩენკოს** (130 აქცია). 1914 წელს საზოგადოების ახალი წევრი იყო 6 კაცი, მათ შორის მაჩაიძე, ბუჩუკური და სხვ. ქარხანამ მუშაობა 1903 წელს დაიწყო.

1913 წელს საზოგადოების სუფთა მოგებამ 38 224 მან. შეადგინა;

1915 წელს-22 721 მან;

1917 წელს-2 904 მან.

ბათუმში კაპლანს გააჩნდა შედარებით მძლავრი მექანიკური ქარხანა, რომელიც აღჭურვილი იყო თუჯის ჩამოსასხმელი მოწყობილობით. კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ საწარმო სხვადასხვაგვარ სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა. 1916 წლის 1 სექტემბრამდე მან 2 000 ცალი ნაღმი დაამზადა.

სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა ბათუმის სახარატო სასწავლებელიც, სადაც 2 672 ცალი ნაღმი დაამზადეს [227, 22].

1906-1913 წლებში აჭარის სამრეწველო რეგიონში ხოდის სპილენძის საბადოებს **ს.სიმეონიდი** ამუშავებდა. მას ჰქონდა სპილენძსადნობი ქარხანა, რომელიც მოქმედებაში მოყავდა 1914 წელს სპეციალურად აშენებულ 500 კილოვატიანი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურს. სიმეონიდი აწესრიგებდა საბადოებამდე მისასვლელ გზებს და აფართოებდა წარმოებას. ეს წამოწყებაც საომარი მოქმედებების გამო შეჩერდა.

ხოდის სპილენძსადნობი ქარხნის მწარმოებლურობა წლების მიხედვით:

წელი	ჩგამოდნობილი სუფთა სპილენძი ფუთებში
1908	1 560
1909	1 400
1910	685
1911	700
1912	634
1913	457

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. III. ბათუმის ოლქის მრეწველობა.“ გვ. 115

განხილული მასალიდან თვალნათელია, რომ ფრანგული, გერმანული და ინგლისურ-ამერიკული ფირმები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი საქართველოში.

სამთამადნო-მეტალურგიულ საწარმოთა განლაგება	წლები						
	1900	1907	1908	1911	1912	1913	1914
თბილისის გუბერნია							
(ბორჩალოს მაზრა)	19	91	116	211	233	231	198
ალავერდი	682	208	018	830	648	540	352
შამბლუღი	–	–	–	26	36	45	32
ახტალა	–	–	–	761	134	283	100
				–	–	30	30
ქუთაისის გუბერნია (ართვინის ოკრ. და ბათუმის ოლქი)						985	985
ერგია	7 891	4 800	900				
ჭინკათხევი	–	50	26	–	–		
ხოდი	–	900	437	189	198	–	–
		–	1 560	755	800	250	179
				634	670	964	331
						810	900

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 372-373

სპილენძის მადნის მოპოვება-გადამუშავებაში სერიოზულ ინვესტიციებს დებდნენ. შესაბამისი იყო შემოსავლებიც: ფრანგული ფირმის სუფთა მოგებამ 1901 წელს 80 000 მან.შეადგინა, ხოლო 1913 წელს 270 000 მან. ამის მიუხედავად, მან დივიდენდის დარიგება მხოლოდ 1907 წელს დაიწყო (წინა პერიოდში ის წარმოების აღჭურვას ხმარდებოდა). 1906-1907 საოპერაციო წელს ფირმამ სუფთა მოგების მხოლოდ 5% გასცა აქციონერებზე, 1910-1911 საოპერაციო წელს-6%, მომდევნო ორ წელს კი 7%. [136, 375]

თამბაქოს წარმოება საქართველოში (XIX ს.-XX ს. დასაწყისი)

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში საფუძველი ეყრება თამბაქოს წარმოებას, რომელმაც მალე სასაქონლო ხასიათი მიიღო. ზ.ჭიჭინაძე წერს თბილისში მომრავლებულ თამბაქოს სავაჭროებზე და ქარვასლის არსებობაზე. დ.ცინცაძეს მოჰყავს 1805 წელს შედგენილი ერთი საინტერესო ცნობა თამბაქოს წარმოების შესახებ-წყაროში ნახსენებია „ქარხანა", მაგრამ სავარაუდოდ, ეს მარტივი მანუფაქტურული სახის საწარმო უნდა ყოფილიყო, მასში წერია: „ჩვენ ქვემორე ხელისმომწერთა ესე საამხანაგო წიგნი დავდევით ერთმანეთში და ავიღევით მთელი საქართველოს თამბაქოსა და ბურნუთის იჯარა ხაზინიდამ იჯარით საამხანაგოთ ამ პირობითა რაც ხანს ამ ქარხანამ ჩვენს ხელს დაჰყოს, რაც და ამ იჯარის თაობაზედ იჯარა ან მასრაფი გაგვივიდეს ხაზინაში თი სხვაგან სამსავ სწორედ არის საერთო" [250, 42].

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტი მოჰყავს პლატონ იოსელიანსაც: „სტეფანე ფერშანგი გორელი სომეხი იყო მოიჯარადრე ბურნუთისა და თამბაქოსი თფილისს, ღრმა მოხუცი 1839 წელს გარდაიცვალა" [102, 262]. ფერშანგი, რა თქმა უნდა, ფერშანგოვად უნდა მივიჩნიოთ, მითუმეტეს ამ გვარის მატარებელნი დღესაც ცხოვრობენ გორში (ფერშანგიშვილები), რაც შეეხება მის მოიჯარადრეობას, წყაროდან ნათელია, რომ იგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებსი თამბაქოთი ვაჭრობდა თბილისში.

1830 წელს **გოკიელებმა** ქუთაისში გახსნეს თამბაქოს გადამამუშავებელი ერთ-ერთი პირველი საწარმო.

თამბაქოს მეურნეობის გაუმჯობესებას ფართოდ მოკიდა ხელი კახელმა მემამულემ **სოლომონ გურგენიძემ**, ჩაატარა ცდები ამერიკული და ჰოლანდიური თამბაქოს მოშენებისა და მისგან სიგარების დამზადებაზე. 1838 წელს მისმა მეურნეობამ 15 ათასი კარგი ხარისხის სიგარა გამოუშვა, რომლებსაც ჰყიდდნენ კახეთსა და თბილისში 100 ცალს 1 მანეთად [52, 53].

წარმოების გაფართოების მიზნით ხელიფუფლება უცხოეთიდან იწერდა თამბაქოს საუკეთესო ჯიშების თესლს და მათ ქართველ მემამულეებს და გლეხებს ურიგებდა. 40-იან წლებში სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოიწერა ვირგინიის, მარილანდის, ჰავაის, კუბის, მაკედონიის, ალბანეთის, პერგამის, მაგნეზიისა და სხვა ქვეყნების თამბაქოს ჯიშების თესლეული და იგი დაურიგეს მთელ რიგ ქართველ მემამულეებს: **სამეგრელოს მთავარ დადიანს, აფხაზეთის მფლობელ შერვაშიძეს, დიასამიძეს, მამაცაშვილს, ერისთავს, ივ.აბაშიძეს, ზაქრო ციციშვილს, ესტატე თარხნიშვილს, ამილახვარს** (გორის მაზრა), **ორბელიანს, ქაიხოსრო მუხრან-ბატონს, ზაქრო და ყარამან მელიქოვებს** (თბილისის მაზრა), **გრიგოლ ვაჩნაძეს** (სიღნაღის მაზრა), **ქობულოვს** (თელავის მაზრა), **ჯორჯაძეს** (ელისავეტპოლის მაზრა), **ნიკო ჩიჯავაძეს** (ქუთაისის მაზრა), **მიხეილ ერისთავს** (ოზურგეთის მაზრა) და სხვებს. [52, 27]. თამბაქოს თესლის დარიგებისას აუცილებლად ითვალისწინებდნენ საჭირო კლიმატური პირობების არსებობას. **ამიერკავკასიის სასოფლო, მანუფაქტურული მრეწვე-**

ლობისა და ვაჭრობის საზოგადოებამ 1842 წლის მარტში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში წარადგინა საქართველოში მოყვანილი სხვადასხვა ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მათ შორის თამბაქო და ერთი ყუთი სიგარა, რომელსაც კომისიამ მაღალი შეფასება მისცა და საჭიროდ ცნო უფრო ზუსტი შეფასებისათვის სიგარეტების ნიმუშები პეტერბურგის საუკეთესო ფაბრიკების მფლობელების **ჟუკოვისა** და **რეცონიკისათვის** გაეგზავნა [250, 44].

თავადი **შერვაშიძე** 1846 წელს სტატსკი სოვეტნიკ საფონოვს აცნობებდა: „თამბაქოს მცენარეთა ძლიერი და მშვენიერი ვეგეტაცია საფუძველს მაძლევს იმედი ვიქონიო, რომ ეს მცენარე აფხაზეთში წარმატებით იქნება გავრცელებული და დროთა მსვლელობაში შეადგენს ერთ-ერთ უმთავრეს დარგს მრეწველობისა [52, 27].

1848 წელს მაშინდელი მმართველობის ხელშეწყობით, საქართველოში მცხოვრები **გერმანელი კოლონისტებისათვის** კუბიდან გამოინერეს თამბაქოს საუკუთესო ჯიშის თესლი. კარგი მოსავალიც მიუღიათ, მაგრამ კოლონისტებმა არ იცოდნენ მიღებული მოსავლის დამუშავების ტექნოლოგია, ვერ შეძლეს მისი წესისამებრ მოვლა და შემდგომ წლებში აღარ დაინტერესდნენ ამ პროდუქციის მოყვანა-წარმოებით.

1848 წელს თბილისში **მიორ შემიოტმა** სიგარების წარმოება წამოიწყო, მაგრამ ოსტატებთან ვერ შეთანხმდა. 1850 წელს მან გამოფენაზე საკუთარ „ფაბრიკაში" დამზადებული ხუთი ხარისხის სიგარა და ორი ხარისხის თუთუნი წარადგინა. აღნიშნულ გამოფენაზე პაპიროსი და სიგარა სხვებს არ წარმოუდგენიათ, თამბაქო კი ბევრი იყო. ამავე გამოფენაზე თბილისის საპატიო მოქალაქე **ზალცმანმა** წარადგინა ბურნუთი, რომელიც თავად დ.ვ.ორბელიანის მამულში მოყვანილი თამბაქოდან იყო დამზადებული [250, 44-45].

1850 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფ. სებეკაში (ვანი) მემამულე **ნიკო ჩიჯავაძემ** მოაწყო თამბაქოს გადამამუშავებელი საწარმო, ყოველწლიურად 400 მანეთის პროდუქციის წარმადობით, თუმცა ყირიმის ომმა ხელი შეუშალა ამ წარმოებას და იგი დროებით შეჩერდა. მოგვიანებით მემამულემ ისევ ააღორძინა თამბაქოს წარმოება და 1863 წელს მისმა პროდუქციამ თბილისის გამოფენაზე ოქროს მედალი დაიმსახურა.

ნ.ჩიჯავაძის თამბაქოს ფაბრიკის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები (ცხრილის მონაცემები ემყარება დ.ცინცაძის ნაშრომს „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში. თბ. 1979. გვ. 45-46)

წელი	გამოშვებული პროდუქცია (მანეთებში)
1850	500
1852	200

1850 წელს ადგილობრივი თამბაქოსაგან დამზადებული სიგარები რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში გააგზავნეს, ხოლო მოსკოვის მანუფაქტურების საბჭოს თავმჯდომარემ **ბარონ მიენდორფმა**, რომელიც ამ დროს კავკასი-

აში იმყოფებოდა 11 ყუთი სიგარა ღირსების შესამოწმებლად პეტერბურგში გააგზავნა. სახაზინო პალატამ სიგარების შემმოწმებელ ექსპერტად თამბაქოს მეფაბრიკეები **კუპჩინიკოვი, კრაფტი და ლორენცი** მიიწვია. მათ სიგარები მეორე ხარისხად შეაფასეს და ამავე ხარისხის ბანდეროლი დაადეს [52, 45].

XIX საუკუნის 60-იან წლებში თამბაქოს გადამუშავებით განსაკუთრებით ცნობილი ყოფილა ხონი და იქ მოქმედი **ჯაიანების** განთქმული საწარმო. ხონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მთლიანად საბაზრო თამბაქოს წარმოებით ყოფილა დაკავებული. თამბაქოს რეალიზაციის მიზნით ხონში შექმნილა სპეციალური **„თამბაქოს იარმარკა"**.

XIX საუკუნის 50-იან წლებში სოხუმელი ვაჭრები ქალაქის ახლოს მდებარე მიწის ნაკვეთებზე ინტენსიურად აშენებდნენ თამბაქოს პლანტაციებს. სოხუმელ დიდვაჭრებს **მესაკსუდისა და ბოგდანოვს** უკვე ჰქონდათ დაფუძნებული ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი თამბაქოს ფაბრიკები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თამბაქოს მსხვილ ფაბრიკებს ამუშავებდნენ **ა.ენფიანჯიანცი, ნ.ბოზარჯიანცი, მ.ვარნაზოვი, ა.აზნაურეოვი, პ.საგოიანცი, მ.საფაროვი, ი.მეფისოვი, ა.სააკოვი, ს.ფეიქაროვი** და სხვები.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში მოქმედი თამბაქოს
გადამამუშავებელი ფაბრიკების წარმადობა
(ცხრილის მონაცემები ემყარება დ.ცინცაძის ნაშრომს „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში. თბ. 1979. გვ. 49)

წელი	თამბაქოს ფაბრიკების რაოდენობა	წლიურად გამოშვებული პროდუქცია (მანეთებში)
1863	7	21 000
1864	8	24 000
1865	10	30 000
1870	20	50 000
1871	29	51 000

სტატისტიკური მონაცემები 1874 წელს თამბაქოს მსხვილ
ფაბრიკანტთა გამოშვებული პროდუქციის შესახებ
(ცხრილის მონაცემები ემყარება დ.ცინცაძის ნაშრომს „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში. თბ. 1979. გვ. 52-53)

თამბაქოს მსხვილი ფაბრიკანტები	პაპიროსი (ცალობით)	სიგარა (ცალობით)
ნ.ბოზარჯიანცი	6 300 600	10 000
ალ.აზნაურეოვი	10 281 550	72 350
ამბარცუმ ენფიანჯიანცი	9 471 890	
პ.ბეტანოვი(ქუთაისში)	799 310	
ივ.მეფისოვის და K	1 660 400	

XIX საუკუნის 50-იან წლებში თამბაქოს გადამამუშავებელი საწარმოები ეწყობა თბილისში. ძმებმა **ამბარცუმ და ბენიამინ ენფიანჯიანცებმა** 1852 წელს მექანიკური დაზგებით აღჭურვილი ასეთი საწარმოები დააარსეს. ფაბრიკა ითვლებოდა საუკეთესოდ. ზამთრის პერიოდში მუშაობა იწყებოდა დილის 8 საათიდან და გრძელდებოდა საღამოს 8 საათამდე. მუშები განაწილებულნი იყვნენ 5 სხვადასხვა სამუშაოს მიხედვით, ერთი ჯგუფი არჩევდა თამბაქოს ფოთლებს, მეორე მას ახარისხებდა, მესამე ჭრიდა, მეოთხე ახვევდა და მეხუთე კი აკეთებდა სიგარეტს, ანუ აძლევდა მას საბოლოო პროდუქტის სახეს.



ენფიანჯიანცის ფაბრიკაში დღეში საშუალოდ 32-33 ათასი სიგარეტი მზადდებოდა და ამ პროცესს სჭირდებოდა 60-70 მუშა. ფაბრიკა მდებარეობდა თამარ მეფის გამზირზე (ამჟამინდელი თამბაქოს ფაბრიკის შენობაში).

ამბარცუმ ენფიანჯიანცს ჰქონია მცდელობა თამბაქოს ფაბრიკა ნედლეულით საკუთარი პლანტაციებიდან მოემარაგებინა. მან სამსუნიდან მოიწვია გამოცდილი ოსტატები და მათი შემწეობით თამბაქოს პლანტაციების გაშენებას შეუდგა. 1873 წლიდან ფაბრიკაში უკვე საკუთარი პლანტაციებიდან მოწეულ თამბაქოს ამუშავებდა. პირველ ხანებში 1 ფუთი თამბაქოს დამზადება შემოტანილზე ძვირი ჯდებოდა, რადგან მოწვეული ოსტატები პირველ წლებში მხოლოდ დიდი გასამრჯელოსათვის დათანხმდნენ ემუშავათ უცხო მხარეში. ენფიანჯიანცს თამბაქოს პლანტაციები ჰქონდა მუხრანში, რომელიც 1879 წელს მიატოვა. შემდეგ სოფელ მანავის მახლობლად, რაც ასევე მიატოვა 1877 წელს. შემდგომში თამბაქოს დიდი პლანტაცია 35 დესეტინა ფართობზე მან ლაგოდეხის ახლოს გააშენა, რომელიც 1887 წელს ყაჩაღებმა დაარბიეს და მუშები პლანტაციაში ამოხოცეს. დარჩენილები პანიკამ მოიცვა და 25 დესეტინა ფართობზე თამბაქო აუღებელი დარჩა. ენფიანჯიანცს ზემოთჩამოთვლილი პლანტაციების გარდა, თამბაქო გაშენებული ჰქონდა ჩალისთავში (10 დესეტინა), სოფ. ნახშირგორას ახლოს (3 დესეტინამდე), კრწანისში (2 დესეტინა) და სხვ. 1899 წელს მასვე სოფ. მაშნაარის ახლოს თამბაქოს საცდელი პლანტაცია გაუშენ-

ებია, სადაც სამუშაოები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოვლინებული სპეციალისტების მეთვალყურეობით მიმდინარეობდა [250, 21-25].

ცხრილში მოცემულია ამბარცუმ ენფიანჯიანცის ფაბრიკის მიერ XIX საუკუნის

80-იან წლებში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

წელი	გამოშვებილი პროდუქცია	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1880	590 ფუთი 6 გირვანქა თუთუნი 3 305 400 ცალი პაპიროსი	11 724 მან. 90 კაპ.
1885	1000 ფუთი თამბაქო და სხვადასხვა სახის პაპიროსი	44 000
1886	40 ფუთი თამბაქო 4 000 000 ცალი პაპიროსი	30 000

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979. გვ 62

XX საუკუნის პირველ ათწლეულში ენფიანჯიანცი ქმნის მსხვილ სააქციო საზოგადოებას და იბრძვის ლიდერის პოზიციის მოსაპოვებლად საქართველოში თამბაქოს წარმოების ბაზარზე. ცხრილში მოცემულია ენფიანჯიანცის ფაბრიკის მიერ XX საუკუნის დასაწყისში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

თარიღი	დასაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1900 1902 1914	315 მუშა 242 მუშა 450 მუშა	515 000 684 592 910 000
პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ფაბრიკის მსხვილი დამკვეთი გახდა სამხედრო უწყება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ფაბრიკის შემოსავალი		
1915 1916	509 მუშა 578 მუშა	1 080 000 5 მლნ

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 309

1891 წელს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „რუსეთის შიდა-ქალაქებში

ხშირად იმართება სამეურნეო ნაწარმის გამოფენა. სხვათა შორის წარსულ შემოდგომას პეტერბურგში გამართული იყო პირველი გამოფენა რუსეთის საიმპერატორო-საბაღოსნო საზოგადოებისა, სადაც მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის თანამემამულეთაც მიუღიათ. ამათ შორის ტფილისის მოქალაქეს, ამბარცუმ ენფიანჯიანცს წარუგზავნია პეტერბურგის გამოფენაზედ ხილი, როგორც თავის ბაღისა ლაგოდეხში, აგრეთვე ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხისა, ბამბის თესლი და თამბაქო. გამგე კომიტეტს ბ-ნი ენფიანჯიანცი დაუსაჩუქრებია სამის საჩუქრითა:



პატარა ოქროს მედალით-მშვენიერის მსხლისა და ვაშლისათვის;

დიდის ვერცხლის მედალით-ბამბის თესლისათვის;

საშუალო ვერცხლის მედალით-ფოთლად დაკეცილ თამბაქოსათვის, რომელიც კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხიდამ შეუგროვებია ბ-ნ ენფიანჯიანცს და წარუდგენია ამ გამოფენაზე." [100].

1858 წელს ასეთი ტიპის საწარმო თბილისში მოაწყო მეწარმე **ნიკოლოზ ივანეს ძე ბოზარჯიანცმა**. 1900 წელს ბოზარჯიანცმა წარმოების მოცულობის ზრდიდან გამომდინარე მოახდინა ფაბრიკის რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად, რომლის წევრებიც იყვნენ თვითონ, მისი სამი ვაჟი და ერთი ნათესავი, საწარმო შემდეგნაირად იწოდებოდა: „Табачнач Фабрика торгового дома Николая Ивановича Бозарджианца с сыновьями."

ამხანაგობაში გარეშე პირთა მიწვევა აკრძალული იყო. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წევრი ფირმას თვითნებურად მიატოვებდა, მას საერთოდ ეკრძალებოდა თამბაქოს ფაბრიკის გახსნა არა მარტო თბილისში, არამედ რუსეთის იმპერიაშიც [250, 21-22]. ამხანაგობაში თითოეულმა წევრმა 2 ათასი მანეთი შეიტანა და საბოლოოდ კაპიტალმა 10 ათასი მანეთი შეადგინა. ფირმა აღჭურვილი იყო თამბაქოს საჭრელი ელექტროძრავიანი 4 მანქანით და ასევე ჰქონდა ბენზინზე მომუშავე 3 ძრავა, რაც იმ დროისათვის ტექნიკურ სიახლეს წარმოადგენდა.

ფირმა ყოველწლიურად 12 ათას ფუთ ნედლეულს ამუშავებდა, 7 500 ფუთ მზა თამბაქოს და 220 მლნ ცალ პაპიროსს ამზადებდა. ბოზარჯიანცის ფირმას სავაჭრო სახლები ჰქონდა თბილისსა და ბაქოში.

ცხრილში მოცემულია ბოზარჯიანცის ფაბრიკის მიერ XX საუკუნის პირველ ათწლეულში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

წელი	გამოშვებული პროდუქცია (ფუთებში)					
	თუთუნი (გირვანქებში)			პაპიროსი (ცალობით)		სიგარა (ცალ.)
	I ხარისხის	II ხარისხ-ის	III ხარისხ-ის	I ხარისხის	II ხარისხის	
1881	1 047			21 695 000		19 400
1883				18 883 700	11 737 000	
1884				17 659 000	36 268 000	
1885	11 890	39 810	70 700	17 649 000	26 208 000	
1886	12 070	38 440	26 440	21 185 000	31 734 000	

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979. გვ 63-64

ცხრილში მოცემულია ბოზარჯიანცის ფაბრიკის მიერ XX საუკუნის პირველ ათწლეულში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

თარიღი	დასაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1900	411 მუშა	499 000
1908	206 მუშა	715 661
1910	200 მუშა	750 000
1913	220 მუშა	1 800 000
1915	217 მუშა	2 151 862
1916	210 მუშა	2 772 850

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 308



სურათზე წარმოდგენილია თამბაქოს მწარმოებლის ბოზარჯიანცის, ე.წ. „მადამ ბოზარჯიანცის" სახლი, რომელსაც 1915 წელს თბილისის საუკეთესო ფასადის შენობის პრემია მიენიჭა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲘᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲝ-
ᲖᲐᲠᲯᲘᲐᲜᲪᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲝᲖᲐᲠᲯᲘᲐᲜᲪᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ ᲗᲐᲑᲐᲩᲜᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗᲘ ᲤᲘᲠᲛ

1896 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი" პირველ გვედზე ათავსებს ნ.ბოზარჯიანცის შემდეგ სარეკლამო განცხადებას: „ნ.ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანა. ტფილისში არსებობს 1858 წლიდან. მაღაზია და საწყობი იმყოფება სასახლის ქუჩაზე, სათავადაზნაურო ქარვასლაში. ჩვენი ქარხნის თამბაქოს ნაწარმოებნი დაჯილდოებულნი არიან რუსეთისა თუ საზღვარგარეთის ყველა მსოფლიო გამოფენებზე. მსურველთათვის მუდმივად იყიდება მაღაზიაში ნამდვილი ოსმალური და ადგილობრივი თამბაქო. დიდი ხნის არსებობა და გამოცდილება ჩვენის ქარხნისა სრულს საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ ყოველი მყიდველი კარგის და სასიამოვნო მოსაწევი თამბაქოთი. მყიდველთა ყურადღებას მივაქცევთ ჩვენის ქარხნის თამბაქოზე, რომელიც გირვანქა 1 მან. 52 კაპ. ღირს და სხვა ქარხნებში კი იმავე ღირსების თამბაქო ღირს 3 მან. აგრეთვე ჩვენი ქარხნის პაპიროსები სამ აბაზიანი ასი ცალი შეადარეთ სხვა ქარხნების მანეთიან პაპიროსებს. საუკეთესო ოსმალური თამბაქო ღირს 4 მან. ქალაქ გარეშე მცხოვრებთა შეკვეთას ვასრულებთ სწრაფად და სინდისიერად. მუდმივად მყიდველებს შესაფერს სარგებელს ვუკეთებთ. ქალაქ გარეშე მცხოვრებნი თუ 5 მან. ღირებულ თამბაქოს გამოიწერენ, მაღაზია გაგზავნის ხარჯს თვითონ კისრულობს. პატივისცემით ნ.ბოზარჯიანცი" [259].

თამბაქოს წარმოებას კახეთში მისდევდნენ მემამულეები **ზაქარია, მიხეილ, სოლომონ და დონიკ ანდრონიკაშვილები.** მათ პირველებს უცდიათ თურქული ჯიშის თამბაქოს გავრცელება კახეთში, ალაზნის პირზე. ანდრონიკაშვილებს თურქეთიდან მოუწვევიათ ერთი ოსტატი და ორი მუშა. საუკეთესო პროდუქციაც მიუღიათ, თურქი ოსტატების აზრით, ეს პროდუქცია არაფრით ჩამოუვარდებოდა თურქულს. ამის შესახებ „გუთნის დედაში" ვკითხულობთ: „თ.სოლომონ ანდრონიკოვმა ცხადად დაგვიმტკიცა, რომ კახეთის მიწასაც შეუძლია იმისთანა არომატიანი თამბაქოების მოყვანა, როგორიც მოგვდის ოსმალოდამ და რომლისთვის ყოველ წელიწადს ვგზავნით გრანიცას გარეთ რამდენიმე ათას პოლუიმპერიალსა. არამცთუ მარტო კახელებისთვის არი სარგო ეს საქმე, თვით მთავრობისათვისაც, რომელიც მოვალეა, რომ ამისთანა შემთხვევაში გამოიჩინოს ყოველივე თავის მოარჩლობითი უფლება. ახლა თითქმის ყველაფერი მომზადებულია, რომ ოსმალოდამ აღარ შემოვიდეს ჩვენში თამბაქო." [70, 184]. ამ წარმატებამ იმდენად შეაგულიანა და წააქეზა კახელები, რომ მომდევნო წელს 200-ზე მეტმა მემამულემ და გლეხმა მიბაძა მათ მაგალითს. 1864 წელს კახეთში მოიყვანეს 10 ათას ფუთზე მეტი თამბაქო.

კახელების პარალელურად თამბაქოს გაშენებას მიჰყო ხელი დასავლეთ საქართველოში **ალექსანდრე ნაკაშიძემ**. მან ამ საქმისათვის საკმაოდ მოზრდილი მეურნეობა მოაწყო, მაგრამ 1864 წლის საგლეხო რეფომამ გარკვეულად ხელი შეუშალა ამ საქმის განვითარებას.

1860 წელს ოსმალეთის მთავრობამ თავის ქვეყანაში გამოაცხადა თამბაქოზე რეგალია, ე.ი. თამბაქოს აღებ-მიცემობა აიღო ხელში თვით სახელმწიფომ. ამ გარემოების გამო ამ დარგის ბევრი მწარმოებელი: ბერძნები და სომხები იძულებულნი გახდნენ სოხუმში გადმოსახლებულიყვნენ და აქ გაეშენებინათ პლანტაციები.

XIX საუკუნის 70-იან წლებში **თავად დ.ორბელიანს** ბორჩალოს მაზრაში

გაუშენებია თამბაქოს პლანტაცია. უმაღლესი ხარისხის თამბაქოც მიუღია, თუმცა სამი წლის შემდეგ მიღებული მოსავალი საწყობშივე გაფუჭებია, რის შემდეგაც ხელი აუღია მის მოშენებაზე.

1873 წელს თბილისში ამოქმედდა **პ.საგოიანცის** თამბაქოს ფაბრიკა. არსებული სტატისტიკური მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ფაბრიკის მუშაობის მასშტაბებზე. 1880 წელს ფაბრიკამ გადაამუშავა 1 250 ფუთი თამბაქო, გამოუშვა 4 025 ათასი ცალი პაპიროსი. რაც 51 ათასი მან. პროდუქციას წარმოადგენდა. ფაბრიკაში დასაქმებული იყო 40 მუშა, რომლებსაც დღიურად 60 კაპ. უხდიდნენ. ერთი წლის განმავლობაში აქ ამუშავებდნენ 2 091 ფუთ ადგილობრივსა და 641 ფუთ რუსეთიდან შემოტანილ თამბაქოს. მზა პროდუქცია საღდებოდა ამიერკავკასიაში [238, 91].

იმავე პერიოდში თბილისში ფუნქციონირებდა **გ.აზნაურovის** ფაბრიკა, სადაც დამონტაჟებული იყო თამბაქოს საჭრელი 13 დაზგა, 1 დასაქუცმაცებელი მანქანა, რომელიც ასაქმებდა 50 კაცს. ფაბრიკა წლიურად ამუშავებდა 1 497 ფუთ, 33 გირვანქა ადგილობრივ და 102 ფუთ საზღვარგარეთულ თამბაქოს. ნედლეული შემოქონდათ თეოდოსიიდან, იალტიდან, ნოვოროსიისკიდან, აღბულახიდან, ბათუმიდან, კახეთიდან და ქუთაისიდან. აზნაუროვის ფაბრიკა წლიურად ამზადებდა 5 500 ცალზე მეტ პაპაიროსს, 220 ათას ცალ სიგარას და ათას ფუთზე მეტ თუთუნს, პროდუქციის ამ რაოდენობას ფაბრიკის წლიური ბრუნვა 100 ათას მანეთამდე აყავდა [238, 92].

ცხრილში მოცემულია **გ.აზნაუროვის** ფაბრიკის მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

წელი	გამოშვებილი პროდუქცია
1880 ფაბრიკამ გადაამუშავა	1 497 ფუთი 33 გირვანქა ადგილობრივი თამბაქო 102 ფუთი საზღვარგარეთის
1880 ფაბრიკამ დაამზადა	5 540 000 ცალი პაპიროსი 22 100 ცალი სიგარა 1 030 ფუთი თუთუნი

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979. გვ 69

1873 წელს თბილისში მეორე გილდიის ვაჭარმა **ს.დავლიანიძემ (დავლიანოვმა)** გახსნა თამბაქოს ფაბრიკა, სადაც დამონტაჟებული იყო თამბაქოს საჭრელი 5 დაზგა და დასაქმებული იყო 50 მუშა. ფაბრიკა ნედლეულით ნოვოროსიისკიდან, ყუბანის ოლქიდან, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან მარაგდებოდა. შემონახულია ფაბრიკის 1880 წლის სტატისტიკური მასალა, რომლის თანახმადაც საწარმოს დაუმზადებია 8 413 ათასი ცალი პაპიროსი და 31 630 გირვანქა თუთუნი, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 20 112 მან 30 კაპიკს [238, 93].

1873 წელს თბილისში ფუნქციონირება დაიწყო **ჯიმშეროვის და „K"-ს** თამბაქოს ფაბრიკამ, სადაც დამონტაჟებული იყო თამბაქოს საჭრელი 6 დაზგა და დასაქმებული იყო 69 კაცი. ნედლეული შემოქონდათ ნოვოროსიისკიდან, ბორჩალოდან, იმერეთიდან და გურიიდან. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა ბაქოში, შემახაში, სალიანში, ყიზლარში, ახალციხეში, გორში, თბილისში და სხ.

ძმები სალი-ოღლების თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც 1873 წლიდან არსებობდა 1886 წელს **მ.საფაროვის** ხელში გადადის. ფაბრიკაში 225 კაცი მუშაობდა, იდგა თამბაქოს საჭრელი 3 მანქანა და 25 დაზგა. მზა პროდუქცია საღდებოდა კავკასიაში და რუსეთში. 1903 წელს საფაროვის მემკვიდრეებს თამბაქოს ფაბრიკაში ელექტრომოწყობილობის გაკეთების უფლება მიეცათ.

ცხრილში მოცემულია **მ.საფაროვის** ფაბრიკის მიერ XX საუკუნის პირველ ათწლეულში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

წელი	გამოშვებილი პროდუქცია	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1880	139 892 გირვანქა თამბაქო 23 889 000 ცალი პაპიროსი	650 000
1883	I ხარისხის 10 578 000 ცალი პაპიროსი II ხარისხის 3 392 000 ცალი პაპიროსი	–
1885	I ხარისიხის 9 200 400 ცალი პაპიროსი II ხარისხის 6 702 000 ცალი პაპიროსი	–
1886	3 500 ფუთი თამბაქო	150 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასანყისში. თბ. 1979. გვ 64-65

თბილისელი მეორე გილდიის ვაჭრის **მელქო ვარნაზოვის** ფაბრიკა ფუნქციონირებდა 1873 წლიდან. მუშათა რაოდენობა 60 კაცს შეადგენდა. ფაბრიკაში თამბაქოს საჭრელი 4 დაზგა იდგა. საწარმო ნედლეულს იღებდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან, აგრეთვე ნოვოროსიისკისა და ყუბანის ოლქებიდან. გამოშვებული პროდუქცია ამიერკავკასიაში საღდებოდა [249, 65].

ცხრილში მოცემულია **მელქო ვარნაზოვის** ფაბრიკის მიერ XX საუკუნის პირველ ათწლეულში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

წელი	გამოშვებილი პროდუქცია	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1880	20 399 გირვანქა თამბაქო 9 401 800 ცალი პაპიროსი	
1881	5 944 800 ცალი პაპიროსი 517 ფუთი და 20 გირვანქა თუთუნი	
1885	7 950 700 ცალი პაპიროსი 879 ფუთი სხვადასხვა ხარისხის თუთუნი	42 295
1886	I ხარისხის პაპიროსი 1 640 000 II ხარისხის პაპიროსი 6 842 400 II ხარისხის თუთუნი 22 190 გირვანქა III ხარისხის თუთუნი 20 650 გირვანქა	50 441 მან. 50 კაპ.

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979. გვ 65

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან თამბაქოს წარმოებაში ტექნოლოგიური სიახლეები შეინიშნება, ფაბრიკებში შეაქვთ მექანიკური დაზგები და სიგარეტის დამამზადებელი მანქანები. ადგილობრივ თამბაქოზე მოთხოვნილება გაიზარდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. 1884 წელს თბილისის გუბერნიიდან ადგილობრივი თამბაქო რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში გაიტანეს. ცნობილმა პეტერბურგელმა **პატკანოვმა** ლაგოდეხელი **სარქისოვისაგან**, რომელსაც 20 დესეტინა თამბაქოს პლანტაცია ჰქონდა, თითო ფუთი თამბაქო 22 მან. იყიდა. ასევე ლაგოდეხიდან დიდძალი თამბაქო წაიღო როსტოველმა მეფაბრიკემ **კუშნარიოვმა**. [249, 22-23].

1879 წელს თბილისში იხსნება **ი.ფირალიშვილის(ფირალოვის)** თამბაქოს ფაბრიკა, სადაც დამონტაჟებული იყო 12 დაზგა, 1883 წელს სანარმოს კიდევ 2 დაზგა მიემატა და დასაქმებული იყო 64 მუშა. მუშათა ყოველკვირეული ხელფასი 3 მან-დან 10 მან-მდე მერყეობდა [238, 92].

ცხრილში მოცემულია **ი.ფირალოვის** ფაბრიკის მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

წელი	გამოშვებილი პროდუქცია	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1880		24 338 მან 70 კაპ.
1881	7 269 ათასი ცალი პაპიროსი და 881 ფუთი თუთუნი;	

1884	I ხარისხის 2 144 500 ცალი პაპიროსი II ხარისხის 4 083 400 ცალი პაპიროსი	
1885	5 277 ათასი ცალი პაპიროსი 1 137 ფუთი თუთუნი	42 295
1886	4 948 300 ცალი სხვადასხვა ხარისხის პაპიროსი 1 188 ფუთი თუთუნი	50 441

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979. გვ 66

1879 წელს თბილისში ამუშავდა ფრანგი ქვეშევრდომის **ავგუსტ ტოლეს** თამბაქოს ფაბრიკა, 22 მუშით. 1880 წელს საწარმოში დამზადდა 1 240 980 ცალი პაპიროსი, 40 000 ცალი სიგარა და 110 ფუთი 26,5 გირვანქა თუთუნი [249, 69].

XIX საუკუნის 80-იან წლებში მეთამბაქოეობის წამყვანი რაიონები იყო კახეთი, იმერეთი და გურია, მომდევნო პერიოდში დაწინაურდა აფხაზეთი და წამყვანი ადგილი დაიკავა მთელ სამხრეთ კავკასიაში. აფხაზეთში მოდიოდა ამიერკავკასიაში თამბაქოს მთელი მოსავლის 70%-ზე მეტი. რაოდენობას ემატება ხარისხიც, აფხაზეთის თამბაქო საუკეთესო იყო მთელ სამხრეთ კავკასიაში. გაზეთი „ივერია" იუწყებოდა, რომ პეტერბურგში დაარსებული **ბოგდანოვის** თამბაქოს ფირმა სნორედ აფხაზეთში ყიდულობდა თავის ნედლეულს და „რიგიან ფასსაც" იხდიდა. 1895 წელს ამ ფირმას აფხაზეთში გახსნილი ჰქონდა თამბაქოს საწყობები, სადაც ინახებოდა ასი ათასი ფუთი თამბაქო პეტერგურგში გასაგზავნად. **„ბოგდანოვი და კომპანია"** რუსეთის იმპერიაში კონკურენციას უწევდა **ლაფერმის, ასმოლოვის, ბურეს და აქსიონოვის** თამბაქოს წარმოებას.

1880 წელს თბილისში ამოქმედდა **ტ.აკოპჯანიანცის** და **გ.ზოხრობიანცის** თამბაქოს ფაბრიკა. ეს იყო შედარებით მცირე ზომის საწარმო თამბაქოს ხელით საჭრელი 5 დაზგითა 15 კაციანი შემადგენლობით. ფაბრიკის სანედლეულო ბაზას თურქეთი წარმოადგენდა. წლის განმავლობაში იწარმოებოდა 4 200 ათასი ცალი პაპიროსი და 26 ათასი გირვანქა თუთუნი. წამოებული პროდუქციის ღირებულება იყო 62 ათასი მან. [238, 93].

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თამბაქოს წარმოებას საფუძველი ეყრება ქუთაისის გუბერნიაში. 1854 წელს გაზეთი „Кавказ" წერდა ვინმე **ბობილევის** თამბაქოს ფაბრიკის შესახებ, რომელიც ქუთაისის მახლობლად არსებულა.

„Табачная фабрика О.О.Бобилеваб близ Кутаиси.

Имею честь известить Тифлисскую публику и в особенности любителей хороших папирось, что товары моей фибрики поступили в продажу в магазин Г.Гилле на николаевской прлощади в дом Сербинова, по ценам самым умеренным." [320].

თბილისელ ფაბრიკანტებს მიბაძეს **სტეფანე ფირალოვმა, ივანე მეფისოვმა, იაკობ პალაშოვმა, ლაზარე ბინიათ-ოღლიმ** ბათუმში. 1873 წელს ქუთაისში ფუნქციონირებას იწყებს **ივანე მეფისოვისა და იაკობ პალაშოვის** თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც ადგილობრივ ნედლეულს ამუშავებდა და დამზადებულ პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე ასაღებდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა **სტეფანე ფირალოვის** თამბაქოს ფაბრიკა, დაარსებული 1874 წელს, რომელიც წლიურად ამუშავებდა 3 ათას ფუთ ადგილობრივსა და 100 ფუთ საზღვარგარეთულ თამბაქოს. ფაბრიკაში მუშათა რაოდენობა 53 კაცს შეადგენდა. მზა პროდუქცია გაჰქონდათ კავკასიაში და რუსეთში [249, 60].

ცხრილში მოცემულია **სტეფანე ფირალოვის** ფაბრიკის მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

წელი	გამოშვებილი პროდუქცია	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1880	1 156 ფუთი 5 გირვანქა თუთუნი 2 134 000 ცალი პაპიროსი 18 000 ცალი სიგარა	–
1881	1 128 ფუთი 25 გირვანქა თუთუნი 2 382 000 ცალი პაპიროსი 24 000 ცალი სიგარა	–
1882	42 585 გირვანქა 2 196 000 ცალი პაპიროსი 24 000 ცალი სიგარა	–
1885	3 000 ფუთი თამბაქო 5 000 000 ცალი პაპიროსი 871 000 ცალი სიგარა	80 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979. ჩვ 60-70

1880 წელს ბათუმში საფუძველი ეყრება თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობას. ამ წელს თამბაქოს ფაბრიკები გახსნეს იქაურმა სოვდაგრებმა **ტიმოთე გოგელიამ, გრიგოლ მჭედლოვმა და ივანე აზნაუროვმა**. ტიმოთე გოგელიას ფაბრიკაში იმავე წელს დამზადდა 1 115 200 ცალი პაპიროსი და 490 ფუთი და 30 გირვანქა თუთუნი, ხოლო გრიგოლ მჭედლოვის ფაბრიკასი 201 400 ცალი პაპურისო და 417 ფუთი თუთუნი [249, 60].

ს.გულიშამბაროვი გვთავაზობს ზოგადად საქართველოში 1883 წელს მოქმედი თამბაქოს ფაბრიკების წარმადობის სტატისტიკას

1883	დანადგარების რაოდენობა	დამზადებულია პაპიროსების რაოდენობა		თამბაქო ასეთი წარმოებით (ფუთებში)	სხვადასხვა ხარისხის თამბაქოს წარმოება (ფუთებში)
		I ხარისხი	II ხარისხი		
ბოზარჯიანცი	19	18 833 700	11 737 200	1,888	2,595
სალი-ოღლი	25	10 578 000	3 392 000	815	2,119
ფირალოვი	4	1 590 000	6 480 000	482	769
ვარნაზოვი	5	3 348 900	2 003 800	320	555
დოვლათოვი	4	1 481 500	2 952 500	244	528
ენფიანჯიანცი	5	1 269 650	592 500	398	539
საგოიანცი	5	1 117 200	2 868 700	210	724
კაიაბეკოვი	4	1 139 000	345 000	85	623
შანიანცი	2	928 000	–	49	43
კობჯანიანცი	1	113 300	–	7	14
შეგოიანცი	1	470 800	–	45	209

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: С.Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тиф. Губернии. Историко-статистическое описание фабрик и заводов. 1888. Ст. 23-24

1881 წელს ბათუმში **ლაზარე ბინიათ-ოღლიმ** აამუშავა თამბაქოს ფაბრიკა 26 კაციანი შემადგენლობით. ფაბრიკა ნედლეულით საზღვარგარეთიდან მარაგდებოდა. 1882 წელს ფაბრიკაში დამზადებული თუთუნი შეადგენდა 24 255 გირვანქას, ხოლო პაპიროსი 176 000 ცალს.

აჭარაში თამბაქო მოჰყავდათ ძირითადად ქედის და ხულოს რაიონებში. თავისი თვისებებით იგი ანატოლიის თამბაქოს უტოლდებოდა, დიდი რაოდენობით ნიკოტინს შეიცავდა და უფრო არომატული იყო, ვიდრე კავკასიის სხვა კუთხეების თამბაქო. თამბაქოს პლანტაციების ისედაც მცირე ფართობი აჭარაში XX საუკუნის დასაწყისში შემცირდა. 1909 წელს თამბაქო დათესილი იყო 530 ჰექტარზე, 1914 წელს-1065 ჰა-ზე, 1916 წელს-260 ჰა-ზე. 1913 წელს თითოეულ ჰექტარზე მიიღეს 1253 კგ, ხოლო 1916 წელს-702 კგ. [227, 66].

1890-იან წლებში მეთამბაქოეობა განვითარდა ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, თელავის, თბილისისა და სიღნაღის მაზრებში, ფართობი 520 დესეტინას შეადგენდა, საიდანაც დაახლოებით 190 930 მან 31 396 ფუთ თამბაქოს იღებდნენ. 1879 წელს ახალციხეში არსებობდა **ძმები კაიაბეკოვებისა** და **არუთინ შეგოევის** თამბაქოს 2 ფაბრიკა. ორივე ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია საღდებოდა როგორც ახალციხის მაზრაში, ისე მთელ ამიერკავკასიაში [227, 66].

ცხრილში მოცემულია **ძმები კაიაბეკოვებისა** და **არუთინ შეგოევის** ფაბრიკის მიერ 1886 წელს გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

მეპატრონე	გადაამუშავა (ფუთებში)	დასაქმებული იყო	თამბაქოს საჭრელი დაზგა	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
ძმები კაიაბეკოვები	500	12 ოსტატი 2 მუშა	3	20 000
არუთინ შეგოევი	600	15 ოსტატი 2 მუშა	4	25 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979. გვ 60,70;

XX საუკუნის დასაწყისში თამბაქოს წარმოების პროცესში უკვე ელექტროენერგია გამოიყენება. ამ პერიოდში საქართველოში თამბაქოს გადამამუშავებელი 7 შედარებით მსხვილი ფაბრიკა ფუნქციონირებდა, რომლებიც ეკუთვნოდათ თბილისში- **ა.ენფიადნჯიანცს, ნ.ბოზარდჯიანცს, მ.საფაროვის მემკვიდრეებს, ი.ფირალიშვილს(ფირალოვს), აკოპჯანიანცს,** ბათუმში-**ბუნიატ ოლლის, ა.ლევბერგს** (გაიხსნა 1899 წელს), ასევე გამოირჩეოდნენ **პოლოს საგოიანცის, ალექსანდრე ჯიმშეროვის** და К, **არტემ გალეგოვის, გრიგოლ აზნაუროვის, ტ.აკოპჯანიანცის, გ.ზახრობიანცის, სიმონ დავლიანოვის** და К, **ავგუსტ ტოლეს დას ხვ.** აღნიშნული ფაბრიკებისათვის თამბაქო ართვინის ოლქიდან შემოჰქონდათ, ფაბრიკები ასევე მარაგდებოდა ბათუმის და სოხუმის შემოგარენიდან, ყუბანის მხარიდან, გურიიდან და ყირიმიდან შემოტანილი ნედლეულით.

XIX საუკუნის დასარულიდან თამბაქოს წარმოება გადამუშავების საქმეში ქართველები აღარ იჩენენ ინიციატივას, სახელმწიფოს მხრიდანაც გამკაცრებული საგადასახადო რეჟიმი, რის შესახებაც გულისტკივილით აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე: „თამბაქოს თესვა და მოყვანა ჩვენში, ნამეტნავად იმერეთსა და კახეთში, მეტად გაძლიერებული იყო, ასე, რომ თამბაქო ბევრს ოჯახს ინახავდა და ჰკვებავდა. ბევრ თავადსა და აზნაურს კარგა ბლომა პლანტაციები ჰქონდა და თამბაქოს მოსავალს ასს-ორასს თუმანს გამოაღებინებდა. მაშინ ჩვენს ერთადერთ დიდ ბაზარში-ტფილისში უფრო ხშირად ჩვენში მოყვანილი თამბაქო საღდებოდა. ბლომადა მუშტარიცა ჰყვანდა ჩიბუხის მწეველთა შორის. უეცრად რაღაც მიზეზი გვეწვია და თამბაქოს თესვა გადავარდა ჩვენში და დღეს იქამდე მიაღწია საქმემ, რომ ჩვენს ბაზარში ჩვენებურის თამბაქოს ხსენება და ჩამიჩუმიც არ ისმის. არსად აღარ სჩანს ნათესობა თამბაქოსი. რა არის ამის მიზეზი? თამბაქოს მომყვანთ რომ კითხოთ გეტყვიან: ასეთი სააქციზო წესები და თვითონ ბაჟი თამბაქოსი შემოიღესო, რომ არასგზით არ შეუძლიან კაცმა რაიმე გამორჩომა და ხეირი ჰნახოს თამბაქოს თესვისა და

მოყვანისაგანო. გარდა ამისა თამბაქოს ვაჭრებმა პირი მისცეს ერთმანეთსა და ისე დააფოლეს ჩვენი თამბაქოვო, რომ ნინანდელი შეღავათიანი წესებიც იყოს, მაინც თამბაქოს მომყვანს ხელს არ მისცემდა მისი მოყვანაო" [269, 375-378].

1904 წელს ახალციხეში მოქმედი **სარიევის** თამბაქოს ფაბრიკა ამხანაგობა **„სინათლის"** ხელში გადავიდა, ამ უკანასკნელის დამფუძნებლები იყვნენ თვით **სარიევი და მ.ნალდაძე.**

თბილისის გუბერნიაში მეთამბაქოეობის დარგში პირველი ადგილი სიღნაღის მაზრას ეკავა. აქ თამბაქოს პლანტაციები გაშენებული იყო ლაგოდეხში, ჭიაურში, ქორთუბანში, მიწიმში, ჭონში, ნოვომიხაილოვკაში და სხვა სოფლებში. 1893 წელს 1 ფუთი თამბაქოს ფასი 3 მან-დან 12 მან-მდე მერყეობდა, საშუალოდ 7 მან. იყო. მხედველობაში თუ მივიღებთ იმასაც, რომ 1 დესეტინა თამბაქოს პლანტაციის ფართობის დამუშავება 80 მან-დან 100 მან-მდე ჯდებოდა, მაშინ გამოდის, რომ თითოეული დესეტინა ფართობი 300 მან. წმინდა მოგებას იძლეოდა [249, 25-26].

თამბაქოს პლანტაციების ფართობი მაზრების მიხედვით (დესეტინებში)		მიღებული თამბაქო (ფუთებში)	თამბაქოს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მაზრების მიხედვით (მანეთებში)
სიღნაღის მაზრა	368	26 814	268 10
ბორჩალოს მაზრა	85	1 700	8 500
ახალციხის მაზრა	28	1 135	5 675
ახალქალაქის მაზრა	16	1 027	5 135
თელავის მაზრა	20	600	3 000
თბილისის მაზრა	3	120	480

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979 გვ 26

1895 წელს თბილისის პირველი გილდიის ვაჭრებმა **გრიგოლ იაკობის ძე ბაინდურომა, ვასილ სერგის ძე ეგიაზაროვმა, ტიგრან ივანეს ძე ავალოვმა (ავალიანმა) და რაფიელ იოსების ძე გოკილოვმა (გოკიელმა)** თბილისში, ავლაბარში დააფუძნეს სააქციო საზოგადოება **„მირი"**, რომლის ძირითადი კაპიტალი იყო 500 ათასი მან და ფლობდა 2 ათას აქციას (თითოეულის ღირებულება 250 მან) [238, 99]. მისი აქციონერები იყვნენ თბილისელი მსხვილი მრეწველები და ვაჭრები. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება აერთიანებდა საკმაოდ დიდ კაპიტალს, მაინც ვერ შეძლო მნიშვნელოვანი კონკურენცია გაეწია ბოზარდჯიანცების ან ენფიადჯიანცის ფირმისათვის. ცხრილში მოცემულია სს „მირის" მიერ სხვადასხვა წლებში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

თარიღი	დასაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1902	201 მუშა	281 640
1908	165 მუშა	368 000
1914	200 მუშა	700 000
1915	93 მუშა	850 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 308

1916 წელს მოხდა სააქციო საზოგადოება „მირის" ტექნიკური გადაიარაღება უახლესი ტექნიკით. ახალი დანადგარები გამოიწერეს დონის როსტოვიდან **ა.მ.ანანოვის ფაბრიკიდან.** ტექნიკაში შედიოდა ორი უახლესი მანქანაც, რომლის წყალობითაც ფირმამ ამ წელს 158 მომუშავით 2 280 000 მან. პროდუქცია დაამზადა.

ცხრილში მოცემულია სს „მირის" მიერ სხვადასხვა წლებში მიღებული „სუფთა მოგების" დინამიკა:

თარიღი	მიღებული „სუფთა მოგება" (მანეთებში)
1912	24 394
1913	42 729
1914	24 640
1915	48 268

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 308-309

1908 წელს **საფაროვის მემკვიდრეთა** თამბაქოს ფაბრიკა მათი კრედიტორების, **გ.ა.აიდანოვისა** და **მ.ა.ნარინიანცის** ხელში აღმოჩნდა, რომელთაგანაც ეს საწარმო 1910 წელს **ძმ.სეილანოვებმა** გამოისყიდეს და თავიანთ ამხანაგობაში გააერთიანეს. 1910 წელს სეილანოვების ფაბრიკის მზა პროდუქცია შემდეგ ფასებში იყიდებოდა:

პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ფასი
I ხარისხის პაპიროსი „პრიმა"	25 ცალი	30 კაპ.
II ხარისხის პაპიროსი „პრიმა"	25 ცალი	25 კაპ.
II ხარისხის პაპიროსი „პრიმა"	25 ცალი	15 კაპ.
პაპიროსი „მეფური" და „დელიკატესი"	25 ცალი	15 კაპ.

თუთუნი:		
„საიმპერატორო“	1 გირვანქა	10 მან.
„თურქული გული“	1 გირვანქა	8 მან.
„საკარისკაცო“	1 გირვანქა	6 მან.
დიუბეკი თურქული	1 გირვანქა	5 მან.
„მაკედონური“	1 გირვანქა	4 მან.

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979 გვ 94

ცხრილში მოცემულია **ძმ.სეილანოვების** სავაჭრო სახლის თამბაქოს ფაბრიკის მიერ სხვადასხვა წლებში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

თარიღი	დასაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1915	259 მუშა	900 000
1916	339 მუშა	2 640 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 310

საქართველოში 1900 წელს მოქმედი თამბაქოს გადამამუშავებელი და პაპიროსის დამამზადებელი ფაბრიკების წარმადობა

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი“ 1864-1917.
თბ. 1976 გვ 306)

თამბაქოს ფაბრიკი ადგილსამყოფელი და მფლობელი	ძრავი		მუშათა რიცხვი	დამზადებული პროდუქციის რაოდენობა (მანეთებში)
	სახეობა	ცხ.ძალა		
თბილისი				
ნ.ბოზარჯიანცი	1 ნავთ.	12	401	499 000
ა.ენფიანჯიანცი	2 ბენზ.	20	315	515 800
ვ.ეგიაზაროვის, გ.ბაიდუროვისა და რ.გოკიელის სააქციო საზოგადოება „მირი“	1 გაზ.	12	212	518 500
მ.საფაროვის მემკვიდრენი	1 ნავთ.	4	106	310 000

ბუტულოვი	1 ნავთ.	4	76	33 400
ახალციხე				
ივ.სარიევი	1 ნავთ.	4	28	13 200
ქუთაისი				
ძმ.ფირალოვები	1 ნავთ, 1 ბენზ.	6 4	83	137 200
ბათუმი				
ლ.ბინიატ-ოღლი	1 ნავთ	3,5	55	73 800
ა.ლევბერგი „თამარა“	–	–	36	65 700

1908 წელს შეიქმნა ამხანაგობა **„კომეტა“**, რომლის საკუთრებაშიც იყო თბილისში მოქმედი თამბაქოს ფაბრიკა.

ცხრილში მოცემულია ამხანაგობა **„კომეტას“** მიერ სხვადასხვა წლებში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

თარიღი	დასაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1910	45 მუშა	200 000
1915	147 მუშა	1 277 000
1916	197 მუშა	2 368 753

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ. 1976 გვ 307

1911 წელს ამხანაგობა **„კომეტას“** მზა პროდუქცია შემდეგ ფასებში იყიდებოდა:

პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ფასი
პაპიროსი „გალეა“	100 ცალი	1 მან 50 კაპ.
„არისტოკრატიული“	25 ცალი	30 კაპ.
„სანიმუშო“	25 ცალი	25 კაპ.
„იავა“	10 ცალი	10 კაპ.
„ვენერა“	25 ცალი	15 კაპ.
„მინიონი“	25 ცალი	15 კაპ.
„საოფიცრო“	10 ცალი	6 კაპ.

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979 გვ 95

XX საუკუნის პირველ ათწლეულში თბილისში ფუნქციონირებდა **გაუფისა** და **მარტიროსოვის** თამბაქოს ფაბრიკები, აგრეთვე **პერელმანის ჰილზების საწარმო „როზა“.**

სამრეწველო მეთამბაქოეობას საქართველოს ბევრ მაზრაში მისდევდნენ, მაგრამ მოყვანილი თამბაქო ველარ აკმაყოფილებდა გაზრდილ ხარისხობრივ მოთხოვნებს, რის გამოც ძირითადად შიდა საჭიროებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სამრეწველო მეთამბაქოეობას მისდევდნენ ასპინძაში, იდუმალაში, ინდუსაში, ვარხანში, ქვემო და ზემო ენთელაში, ხერთვისში, წუნდაში, ფიაში, საროში, ხანდოში, თოკიში, ვერთაყანაში, ხიზაბავრაში და სხვა სოფლებში, მაგრამ რადგანაც აქაური თამბაქო შედარებით დაბალი ხარისხისა იყო იგი ფაბრიკებისათვის საჭირო ნედლეულად არ გამოდგებოდა. თვით ახალციხის თამბაქოს ფაბრიკა „სვეტის" მეპატრონეს საჭირო ნედლეული აჭარიდან მოჰქონდა, ახალციხელები კი დაჭრილ თუთუნს მალულად გორის მაზრის სოფლებში ჰყიდდნენ 1 გირვანქას 15 მან. და 25 კაპიკად [249, 29-30].

სად გაიტანეს?	რამდენი ფუთი	რომელ ფაბრიკებში?
ვარშავის გუბერნიაში	4 653 ფ. 35 გირვ.	„ჰოლესში", „უნიონში" და ძმებ პოლიაკოვიჩებთან
ვილნოს გუბერნიაში	424 ფ. 36 გირვ.	შიშმანისა და დურუნჩის ფაბრიკაში
ვოლინის გუბერნიაში	181 ფ. 34 გირვ.	„აეროპლანში"
გროდნოს გუბერნიაში	497 ფ. 02 გირვ.	იანოვსკის ფაბრიკაში
დაღესტნის ოლქში	68 ფ. 13 გირვ.	აჯი ალეკერ მამედოვის ფაბრიკაში
ვოლსკა-დონის ოლქში	3 626 ფ. 56 გირვ.	კუშნარიოვის ფაბრიკაში, „რაბოტნიკში" და როსტოვის თამბაქოს სხვა ფაბრიკებში
კიევის გუბერნიაში	2 589 ფ. 41 გირვ.	მარიანოვსკის, ზარიცკოს და ეგიზას ფაბრიკებში
ყუბანის ოლქში	739 ფ. 30 გირვ.	„ზოლესში", მურატნაევისა და ნაზაროვის ფაბრიკებში
კურსკის გუბერნიაში	1 797 ფ. 19 გირვ.	გლავროვის ფაბრიკაში
ლიფლიანდის გუბერნიაში	6 658 ფ. 32 გირვ.	რუტენბერგისა და აიუნდცის ფაბრიკებში
მოგილევის გუბერნიაში	200 ფ. 15 გირვ.	„მერკურში"
მოსკოვის გუბერნიაში	2 979 ფ. 30 გირვ.	ბოსტანჯოლილოს ფაბრიკაში
პოლტავის გუბერნიაში	129 ფ. 22 გირვ.	სარაფის ფაბრიკაში
პეტერბურგის გუბერნიაში	69 431 ფ. 87 გირვ.	ბოგდანოვისა და შაპოშნიკოვის, კოლობოვისა და ბობროვის ფაბრიკებში
თავრიდის გუბერნიაში	1 154 ფ. 88 გირვ.	შიშმანის, ფოკერმანისა და პანიატოვის ფაბრიკებში
თერგის ოლქი	94 ფ. 38 გირვ.	ვახტანგოვის ფაბრიკაში
ხერსონის გუბერნიაში	1 963 ფ. 58 გირვ.	პოპოვის, ასვადუროვის, აშკენაზის, ლერმანის და ია აღას ფაბრიკებში

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979 გვ 35

ქართულ თამბაქოზე დიდი მოთხოვნა იყო რუსულ ბაზარზე. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის იმპერიაში მოქმედი უდიდესი თამბაქოს ფაბრიკები სწორედ ქართული ნედლეულით მუშაობდნენ და საწყობებში ასობით ფუთი ქართული თამბაქო ჰქონდათ დამარაგებული.

თუთუნის მანუფაქტურული საწარმო ჰქონდა ქუთაისში **კაჭარავას,** სადაც 40 მუშა მუშაობდა, მოქმედებდა ასევე **ვაწაძის, ინჯიას** და სხვათა საკმაოდ დიდრონი საწარმოები [187, 169].

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოიშალა ქვეყნებს შორის დამყარებული ეკონომიკური კავშირები, ბუნებრივია ეს პროცესები თამბაქოს წარმოებასა და გასაღებასაც შეეხო, მოხდა დიდი რაოდენობით გაუსაღებელი პროდუქციის დასაწყობება. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და იმის წინა პერიოდში, ომისა და რევოლუციის გამო, როგორც თამბაქოს ფოთლად, ისე იმის ფაბრიკატების უცხოეთსი გატანამ ძალიან დაიკლო. არსებობდა ექვსი ფაბრიკა თბილისში-ენფიანჯიანცის, ბოზარჯიანცის, „მირი", „კომეტა", საფაროვები და სეილანოვები, ორი-ქუთაისში, ერთი-სიღნაღში. თბილისის ფაბრიკების წარმოება ნორმალურ დროში აღწევდა წლიურად 35 000 ფუთს დაჭრილ თამბაქოსას და 2 მილლიარდ ცალს პაპიროსს.

1919 წელს გადამუშავებული იყო მხოლოდ 3 500 ფუთი დაჭრილი თამბაქო და 27 500 ათასი პაპიროსი;

1920 წლის სექტემბრისათვის (8 თვის მონაცემებით) წარმოება აღწევდა დაჭრილი თამბაქოსი არა უმეტეს 2 600 ფუთს და პაპიროსი 46 მილიონ ცალს [187, 169].

არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო ბევრმა მეწარმემ ხელი აიღო მეთამბაქოეობაზე, მცირდებოდა თამბაქოს ნათესი მიწის ფართობები და მის შემდგომ არსებობას საფრთხე ემუქრებოდა. ასეთი პირობების გამო სახელმწიფო თავს ვალდებულად თვლიდა რაიმე გამოსავალი მოეძებნა, მთავრობას თავად უნდა ეკისრა ამ პროდუქციის შესყიდვა-გატანა-გასაღების საქმე. თამბაქოს შესასყიდად საჭირო იყო ცენტრალური მთავრობის, ადგილობრივი სამმართველოებისა და მეთამბაქოეთა კავშირების წარმომადგენლებისაგან საგანგებო ორგანოს შექმნა, რომლებსაც კანონით უნდა მინიჭებოდათ მთავრობის ზედამხედველობით დაგროვილი თამბაქოს შესყიდვისა და მისი უცხოეთში ექსპორტირების უფლება [5, 35-36].

1919 წლის 18 სექტემბერს მთავრობას ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტრომ წარუდგინა საზღვარგარეთ გასატან ფოთლოვან თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების დეკრეტის პროექტი, რომელიც დაამტკიცეს, რამაც დააკანონა მთავრობის ნებართვის გარეშე თამბაქოს საზღვარგარეთ გატანის აკრძალვა. საბოლოოდ დამფუძნებელი კრების 1919 წლის 24 ოქტომბრის დეკრეტმა შემდეგი სახე მიიღო:

1. ყიდვა-გაყიდვა, საზღვარგარეთ გატანა და განაღდება ფოთოლი თამბაქოსი შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას.
2. მთავრობას უფლება აქვს დააწესოს მტკიცე ფასი ფოთოლი თამბაქოსი და ამ ფასით ჩამოერთვას იგი მქონებელს. (შენიშვნა: მტკიცე ფასების შესამუშავებლად არსებობს ორგანო, სადაც შედიან მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სავაჭრო პალატის წარმომადგენლები)

პირველ მუხლში აღნიშნული დადგენილების განსახორციელებელად მთავრობას ნება აქვს გადასცეს საზოგადოებრივ და ანგარიშვალდებულ კერძო დაწესებულებათა და თამბაქოს ფაბრიკებს თავისი უფლება სრულად ან ნაწილობრივ [5, 35-36].

XX საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში თამბაქოს წარმოება ისე ვითარდება, რომ თამბაქოს ნედლეული ყალიბდება მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტად

წლები	მეთამბაქოეობის რაიონი	მიიღეს (ფუთებში)	გატანილ იქნა (ფუთებში)	
			რუსეთის იმპერიის გუბერნიებში	საზღვარგარეთ
1903	სოხუმის ოკრუგი	254 770	198 066	
1906	სამრეწველო პლანტაციებიდან	29 970		7 012
1910	სოხუმის ოკრუგი		353 262 ფ. 28 გირვ.	29 178 აქედან: ინგლისში 61 ფ. 32 გირვ. ავსტრიაში 1 ფ. 12 გირვ. გერმანიაში 50 ფ. 32 გირვ. საბერძნეთში 281 ფ. 25 გირვ. თურქეთში 281 ფ. 25 გირვ. ეგვიპტეში 28 413 ფ. 16 გირვ. ჩრდ. ამერიკაში 90 ფ. 22 გირვ.
	ბათუმის ოლქიდან		17 168 ფ. 11 გირვ.	27 623 ფ. 32 გირვ. აქედან: ჰოლანდიაში 268 ფ.22 გირვ. საფრანგეთში 167 ფ. 11 გირვ. თურქეთში 799 ფ. 04 გირვ. ეგვიპტეში 26 388 ფ. 19 გირვ.
	თბილისის გუბერნიიდან			636 ფ. 23 გირვ. აქედან: ირანსა და ეგვიპტეში

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979 გვ 33-34

XX საუკუნის პირველ ათწლეულში, რუსეთის იმპერიის გუბერნიებში გატანილი, საქართველოში წარმოებული თამბაქოს ნედლეულის ღირებულება

წელი	მეთამბაქოეობის რაიონები	რუსეთის იმპერიის გუბერნიებში გასატანი თამბაქოს ნედლეულის ღირებულება (მანეთებში)							
		პლანტაციებში				საწყობებში			
		I ხარისხი	II ხარისხი	III ხარისხი	IV ხარისხი	I ხარისხი	II ხარისხი	III ხარისხი	IV ხარისხი
1911	ბათუმის ოლქი	9-დან 14 მან-მდე	7-დან 9 მან-მდე	3,50-დან 6,50 მ.მდე	1-დან 3,50 მ.მდე	12-დან 15 მან-მდე	9-დან 12 მან-მდე	6-დან 8 მან-მდე	3-დან 4 მან-მდე
		საზღვარგარეთ გასატანი							
		15 მან	12-დან 13 მან-მდე	7-დან 8 მან-მდე	3-დან 4 მან-მდე	14-დან 18 მან-მდე	-	-	-
	სოხუმის ოკრუგიდან	რუსეთის იმპერიის გუბერნიებში გასატანი თამბაქოს ნედლეულის ღირებულება (მანეთებში)							
		პლანტაციებში				საწყობებში			
		I ხარისხი	II ხარისხი	III ხარისხი	IV ხარისხი	I ხარისხი	II ხარისხი	III ხარისხი	IV ხარისხი
		19-დან 25 მან-მდე	13-დან 18 მან-მდე	7-დან 13 მან-მდე	3-დან 6,50 მ.ნდე	22-დან 28 მან-მდე	14-დან 20 მან-მდე	10-დან 13 მან-მდე	4-დან 9 მან-მდე

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979 გვ 35

1906 წელს საქართველოში მოქმედი თამბაქოს ფაბრიკები წარმოების დინამიკის ზრდის მიხედვით

თამბაქოს ფაბ- რიკის მეპა- ტრონეები	I ხარისხის თუთუნი ფუთი/ გირვანქა	II ხარისხ- ის თუ- თუნი ფუთი/ გირვანქა	III ხარისხ- ის თუ- თუნი ფუთი/ გირვანქა	IV ხარისხ- ის თუ- თუნი ფუთი/ გირვანქა	I ხარისხის პაპიროსი (ათას ცალობით)	II ხარისხის პაპირო- სი (ათას ცალობით)	III ხარისხის პაპირო- სი (ათას ცალობით)	IV ხარისხ- ის პაპი- როსი (ათას ცალობით)
ა.ე ენფიანჯიან- ცის ფაბრიკაში	218 937 გირვანქა 190 გირვანქა გაიტანეს საზღვარგარეთ				54 934 95 000 ცალი გაიტანეს საზღვარგარეთ	103 030		
ბოზარჯიანცის ფაბრიკასი	4 788 გ	92 818 გ	142 980 გ		89 063	64 156 800		
სს „მირი“	25 778 გ 1 738,5 გ გაიტანეს საზღვარ- გარეთ	302 615 გ 29 825 გ გაიტანეს საზღვარ- გარეთ	149 585 გ 8 010 გ გაიტანეს საზღვარ- გარეთ		33 678 500	47 015 5 617 500 ც გაიტანეს საზღვარგა- რეთ		
ახალციხეში ამხ- ანაგობა „სვეტის“ ფაბრიკაში	2 590 გ				7 419 200 ც			
საფაროვის მემ- კვიდრეთა	220 400 გ				16 900 800 ც			

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: დურმიშხან ცინცაძე. „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1979 გვ 91

ტყავის წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი)

XIX დასაწყისში თბილისში ფართოდ განვითარდა ტყავის წარმოება. ამ დარგში ერთ-ერთი პირველნი **ბერნარდ კრაუსის** და **ფრიდრიხ რიხერის** სახელოსნოები იყო. მ.სამსონიძე წერს: „თავისუფალ სახელოსნოებს აარსებდნენ როგორც მოსული რუსი და უცხოელი მეტყავე ხელოსნები და თბილისელი კოლონისტები, ასევე ადგილობრივი ხელოსნები. მათ შორის იყო **ბერნარდ კრაუსის** სახელოსნო. იგი 1842 წელს ჩამოვიდა თბილისში, ერთხანს სხვა ოსტატს დაექირავა, ფული შეაგროვა, ზოგი ინსტრუმენტი და მოწყობილობა იყიდა და პატარა სახელოსნო მოაწყო, სადაც დამხმარე მუშასთან ერთად ხელოსნობას ეწეოდა და „საშუალო ხარისხის" ტყავებს ამზადებდა. შემდეგ სახელოსნოს გაფართოებას იწყებს და მთავრობას სესხს სთხოვს. 1850 წელს, გერმანელი კოლონისტის, **ფრიდრიხ რიხერის** წარმოებამ გამოფენაზე წარმოადგინა 4 დასახელების საკმაოდ კარგი ხარისხის ტყავის ნაწარმი. მათ შორისაა **ხაჩიკოვიც,** რომელსაც სოლოლაკის ხევში ქონდა აშენებული საკუთარი ტყავის სახელოსნო." [196, 114-115].

1830-იან წლებში ქალაქში უკვე არსებობდა ტყავის 3 საწარმო, მათ შორის ყველაზე წარმატებული იყო **მიხეილ სარაჯიშვილისა** და **თამამშევის** ქარხნები. სარაჯიშვილს ტყავის ქარხნის მოწყობა ჯერ კიდევ 1814 წელს დაუწყია. ამ მიზნით ქალაქგარეთ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გამოეყო სახაზინო მიწის ნაკვეთი, მაგრამ საქმე სხვადასხვა მიზეზების გამო გაჭიანურდა, იქამდე, სანამ მთავარსარდალი ერმოლოვი არ ჩაერია. საბოლოოდ ქარხანა 1820-1824 წლებში ამოქმედდა მისი საკმაოდ მოზრდილი ორსართულიანი ნაგებობის ზემო ნაწილში მოთავსებული იყო საცხოვრებელი ოთახები სამზარეულოთი, აგრეთვე ქერქის საშრობი, ქვემოთ 4 ოთახი ტყავის გამოსაყვანად, სადაც იდგა როფები, მოწყობილობები, იარაღები, ნედლეული. სარაჯიშვილმა მასში დააბანდა არა მარტო მთავრობის სესხი 60 000 მან, არამედ თითქმის მთელი თავისი ქონება [196, 115]. მიხეილ სარაჯიშვილის მოლოდინი ვერ გამართლდა, მან ვერ იშოვა გამოცდილი ოსტატები, ვერ უზრუნველყო ქარხანა თბილი წყლით და სხვა მიზეზთა გამო იგი მალე დაიხურა.

ტყავის დამუშავების მიზნით საქართველოს მსხვილ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში: ახალციხეში, ახალქალაქში, გორში, სიღნაღში, ქუთაისში, სენაკში, ს.ველისციხეში, გურჯაანში სპეციალური სახელოსნოები-დაბახანები არსებობდა. 79 წლის მედაბაღე **პეტრე მარქაროვის** ცნობით, თელავში ასეთი 13 დაბახანა იყო. ამათგან 12 თელავის დასავლეთით „ზუზუმბოზე" განჯელების წყლებთან და ერთიც-მანანწრის ხევზე იყო გამართული. დაბახანები დასახლებული ადგილებიდან მოშორებით ფერდობზე, წყლის სიახლოვეს შენდებოდა, რადგან ტყავის გამოსაყვანად დიდი რაოდენობით წყალი იყო საჭირო, ხოლო დაქანებულ ადგილებზე ნარჩენები და ჭუჭყი ხევის წყალს მიჰქონდა [166, 39-41].

1840-იან წლებში თბილისში ფუნქციონირებას იწყებს **დავით თამამშევის**

ტყავის ქარხანა. აღნიშნულ წარმოებაზე ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. თამამშევს მინერალური წყლების აბანო ჰქონდა თბილისის ბოლოს თითქმის საბაჟოს პირდაპირ და საფიქრებელია, რომ ქარხანაც აღნიშნული აბანოს მიდამოებში ექნებოდა აშენებული. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი ფრაგმენტი ამ ქარხნის ისტორიიდან, როცა თამამშევს უთხოვრია ზემდგომი ორგანოებისათვის სამხედრო სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ ეროვნებით პოლონელი ალექსანდრე სტრაშინსკი, რომელიც მას თავისი ქარხნის მმართველად სურდა დაენიშნა [196, 117-118].

ხელოსანთა თავისებურ გაერთიანებას წარმოადგენდა ე.წ. **„სუმბათაშვილების ტყავის ქარხანა“**, ფაქტიურად ეს იყო ტყავის მწარმოებელთა ამქარში გაერთიანებული ხელოსნების საწარმო, რომელიც სუმბათაშვილების მამულში იყო მოწყობილი. მეტყავეები სუმბათაშვილს მხოლოდ მიწის იჯარას უხდიდნენ. ოსტატები დამოუკიდებლად უძღვებოდნენ წარმოებას და ქირაობდნენ მუშებს. 1841 წლის მონაცემებით, „ქარხანაში“ 25 ოსტატი, 200-მდე შეგირდი და 100 დაქირავებული მუშა მუშაობდა, ანუ წარმოების პროცესში 300-ზე მეტი კაცი იყო დაკავებული. როცა ვსაუბრობთ „სუმბათაშვილების ტყავის ქარხანაზე“, საქმე გვაქვს ხელოსანთა თავისებურ გაერთიანებსთან, რომელიც დამყარებული იყო არა კაპიტალის ერთიანობაზე, არამედ ტექნიკურ საფუძველზე-სუმბათაშვილების მიწაზე ბუნებრივი თბილი წყლის არსებობაზე, რომელსაც იყენებდნენ ტყავის დასამუშავებლად.

1841 წელს სუმბათაშვილის ტყავის ქარხანაში უწარმოებიათ:

როდუქციის დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (მანეთებში)
თხის საპირე ტყავი	8 000 ცალი	20 000
საძირე ტყავი	10 000 ცალი	45 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მ.სამსონაძე „სამრეწველო განვითარება XIX საუკუნის რეფორმამდელმ ხხანაში. თბ. 1968. გვ.109-113

თბილისის ამქრებში მეტყავეები პირველობას არავის უთმობდნენ. დიდი რაოდენობით თბილი წყლის აუცილებლობა და სათბობის სიძვირე თბილისში, განსაზღვრავდა იმას, რომ ტყავის საწარმოები თბილი მინერალური წყლების ბაზაზე ეწყობოდა. ამ დარგის ხელოსნები ერთად მუშაობდნენ, თითქმის ქალაქის ცენტრში, სიონის მახლობლად იყვნენ განლაგებულნი იმ ადგილას, სადაც შემდეგ არწრუნის ქარვასლა აშენდა. ციციანოვის მთავარმართებლობის დროს მათი ამ ადგილზე დატოვება ქალაქისათვის საზიანოდ მიიჩნიეს და ხელოსნები აიძულეს ქალაქგარეთ გადასულიყვნენ. მეტყავეთა ერთი ნაწილი საეკლესიო და ბებუთოვის აბანოებს შორის, ბებუთოვის მიერ მონყობილ შენობაში გადავიდა, ხოლო მეორე ნაწილმა სუმბათაშვილებთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ხელოსნებს უფლება ეძლეოდათ სუმბათაშვილების მიწაზე საკუთარი სახსრებით აეშენებინათ ტყავის ქარხანა. 1845 წლის აღწერით, ქარხანა რამოდენიმე ნაგებობისაგან შედგებოდა, ცალკე შენობა იყო გამოყოფილი მასალის დასაწყობად, სხვა ნაგებობებში წარმოებდა ტყავის გამოყვანა,

დათრიმვლა, ტყავის მოქნა, შეღებვა და სხვ. ქარხანაში სპეციალური ოთახები არსებობდა დაქირავებული მუშების საცხოვრებლად, ჰქონდათ საკუთარი სამზარეულოც. დაახლოებით ასევე უნდა ყოფილიყო მოწყობილი **ბებუთოვის** ქარხანაც [196, 109-113].

1847 წელს სტატსკი სოვეტნიკმა **ანდრეევსკიმ** სოფ. დრეში (თბილისის გარეუბანი), თავის მამულში მოაწყო ტყავის ქარხანა. ქარხანაში დამონტაჟებული იყო 16 დაზგა და 28 როფი, აქვე ფუნქციონირებდა წყალსადენი. წარმოების პროცესში იყენებდნენ მუხის, ბზის, ვერხვის, ნაძვის და ტირიფის ქერქებს, ადგილობრივად მოპოვებულ კირს, თევზის ქონს, რომელსაც თბილისში ყიდულობდნენ. საწარმოში ამზადებდნენ შავ და თეთრ იუხტის ტყავს (რუსული ტყავი), თალათინებს, საქოშე, მოუქნელ და დათრიმლულ ცხვრის ტყავს, საუნაგირე ტყავს და სხვ. მთელი წლის განმავლობაში მზადდებოდა 6-8 000 ცალამდე ტყავი, რომლის ღირებულება შეადგენდა10 000-17 000-მდე მანეთს. პროდუქცია თბილისშივე საღდებოდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ტყავის დამამუშავებელი საწარმოების სტატისტიკა ასე გამოიყურება:

1863 წელს 10 საწარმო 68 000 მან. წლიური პროდუქციით.

1865 წელს 11 საწარმო 68 000 მან. წლიური პროდუქციით.

1851-52 წლებში გორში ფუნქციონირებდა ტყავის 2 საწარმო 250-300 მან. წლიური პროდუქციით.

1856 წელს 1 საწარმო 458 მან. წლიური პროდუქციით.

1857 წელს 1 საწარმო 560 მან. წლიური პროდუქციით.

1858 წელს 750 მან. წლიური პროდუქციით.

1856 წელს სიღნაღში ფუნქციონირებდა ტყავის 1 საწარმო 1 600 მან. წლიური პროდუქციით.

1857 წელს 3 საწარმო 6 000 მან. წლიური პროდუქციით.

1858 წელს 3 საწარმო 9 000 მან. წლიური პროდუქციით.

1860 წელს თელავში ფუნქციონირებდა ტყავის 2 საწარმო 882 მან. წლიური პროდუქციით.

1862 წელს ტყავის წარმოება მოუწყვიათ თბილისში უცხოელებს **ბრანდტს** და **კაზინოს**. წარმოება ძირითადად ამუშავებდა ხარის, ძროხისა და ხბოს მასალას და ამზადებდა საძირე ტყავს, იუფტს, აგრეთვე ტყავს მანქანის ღვედებისათვის. დასათრიმლავად მუხის ქერქს იყენებდნენ, რომელსაც თბილისში იძენდნენ. ქარხანა მოთავსებული იყო ვორონცოვის ქუჩაზე მტკვრის ნაპირას, ნაქირავებ შენობაში, რომელშიც მეპატრონეები 500 მან. იხდიდნენ წელიწადში. წარმოებაში 1 ფრანგი ოსტატი და 5 ადგილობრივი მუშა მუშაობდა. მეპატრონეები თვითონაც მონაწილეობდნენ წარმოებაში. სამუშაო ტექნიკა საფრანგეთიდან ჰქონდათ გამოწერილი, რომელიც მუხის ქერქების მექანიკური დაფქვისათვის იყო გამიზნული, ასევე იყო მოწყობილობა ტყავის მექანიკური თრიმლისათვის, რომელიც მოძრაობაში ორთქლის ძრავის საშუალებით მოდიოდა [196, 120-121].

XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში რუსმა კოლონისტებმა „მოლოკნებმა" დაიწყეს ტყავის დამუშავება, უმეტესად საკუთარი საცხორებელი სახ-

Г. Г. Адельханов,
Директоръ Торговаго Комитета.

ლების ეზოებში. უმეტესად გამოიყენებოდა ხელით შრომა და პრიმიტიული ტექნიკა. აღნიშნული ტიპის ტყავის საამქროები ჰქონდათ **მინიაევას** და **პონომარიოვს**. დასაქმებული ყავდათ 4-5 მუშა, წარმოება 3-4 ოპერაციად იყოფოდა. ამ პირობებში მათ შეეძლოთ ეწარმოებინათ 4 000 მან. ღირებულების 800 ტყავი. ისინი სახარაზო ტყავს ამზადებდნენ, რომელიც შემდგომ სახელოსნოებს მიეწოდებოდა, იქ კი მას საბოლოო პროდუქტის სახე ეძლეოდა. დამხმარე მასალად იყენებდნენ კირს, მარილს, თრიმლს, შაბს, ქატოს, ქერქს, სიმინდის ფქვილს და სხვ. [238, 64-65].

1875 წელს **გრ.ადელხანოვმა** თბილისში გახსნა ტყავის დამამუშავებელი ქარხანა. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში დაცულია დოკუმენტი სახელწოდებით „Тифлисская дума в 1891 г. Краткая биография глосных.", სადაც საუბარია გრ.ადელხანოვზე: „Родился в 1847 г. В Москве и воспитывался в Петербургском коммерческом училище. 1875 году он с А.С.Матиновым основал в г.Тифлисе первый кожеванныйзавод, которым управляет стех пор." [60, ფ 8074-19/1,2].

თავისი დროის კვალობაზე ტექნიკურად საუცხოოდ აღჭურვილი საწარმო მექანიზებული იყო და ორთქლის ძალით მოქმედებდა. უცხოური მანქანების სისტემას 55 ცხენის ძალის სიმძლავრის 3 ორთქლის ქვაბი და 3 ძრავი ამოქმედებდა. ქარხნის მთელი აღჭურვილობისა და უძრავი ქონების ღირებულება 1894 წელს 473 839 მან. უდრიდა. საწარმო მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის ტყავებს ამუშავებდა. ნედლეულს თბილისში, მთელ კავკასიაში, შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებში, მათ შორის ოდესაში იძენდა. ექვს საამქროს „სპილენძის რელსებზე" მოძრავი ვაგონეტკები აკავშირებდა [136, 265].

მენარმე საქმეში კარგად იყო ჩახედული და საჭირო ფულადი სახსრებიც გააჩნდა. ტყავის წარმოებისათვის საჭირო სათრიმლავი მასალა იყო ადგილობრივიც და საზღვარგარეთულიც: მუხის ქერქი მოიპოვებოდა საქართველოშიც და შემოჰქონდათ ტვერიდან, ვოლგის დაბლობებიდან ასევე შემოჰქონდათ ტირიფისა და ვაზის ქერქი, მარსელიდან-ალჟირული მუხის ქერქი, ე.წ. კვებრაკო და გარული, სმირნიდან შემოჰქონდათ ვოლონე, ელიზავეტპოლის გუბერნიიდან თუთუბო და კერმეკი, ინდოეთიდან-მირაბელი, გერმანიიდან-მექსიკური

კამპეჩეს ხის ექსტრაქტი, ასევე შემოჰქონდათ უნგრეთიდან სხვა სათრიმლავი ექსტრაქტები [238, 72].

ადელხანოვის ტყავის ქარხნის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები (ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 266)

წლები	დაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (მენეთებში)
1885	170	650 000
1886	170	652 000
1890		741 200
1894		473 839
1895	215	758 500
1900	222	740 000
1902		763 023
1906		957 976
1907	95	211 560
1908		642 891
1909		761 810
1912	280	1 000 000
1913		900 000

წარმოების პროცესში, ტყავის დამუშავების დროს, მორჩენილი თმის და ბეწვის გადასამუშავებლად ადელხანოვი 1899 წელს აფუძნებს „ქეჩის მექანიკურ ფაბრიკას". ნლების განმავლობაში გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი შემდეგნაირი იყო: მაგ. 1890 ნლისათვის ადელხანოვის ტყავის ფაბრიკა უშვებდა 50 ათას ცალ გათრიმლულ ტყავს(ღირებულებით 300 ათასი მან), 17 400 ცალ სალანჩე ტყავს(ღირებულებით 261 ათასი მან), 13 700 ცალ ქეჩას(ღირებულებით 137 ათასი მან), 4 300 ცალ უხეშ ტყავს(ღირებულებით 38 700 მან) და 2 600 ცალ თალათინს(ღირებულებით 5 200 მან).

1896 წელს საწარმო იწოდებოდა „კავკასიაში გრ.ადელხანოვის ტყავის და ქეჩის სააქციო საზოგადოებად" 1,5 მილიონიანი კაპიტალით. გრ.ადელხანოვი გახდა სააქციო საზოგადოების უმსხვილესი აქციონერი და ერთ-ერთი განმკარგულებელი დირექტორი. ფირმის ქციონერები იყვნენ აგრეთვე სხვა მსხვილი მრეწველები და ვაჭრები: ი.ტაიროვი, ა.ანანოვი, ა.ცატუროვი, ი.ცივიანოვი, გ.იარალოვი, მელიქ-აზარიანცი, ტ.ენფიაჯიანცი, ფ.ფრიდონოვი, ბანკირი მ.თავადოვი და სხვ. [136, 127].

მოთხოვნილება ადელხანოვის ტყავის ნაწარმზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ტყავის ქარხანა ძირითადად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა. ქარხანასთან არსებობდა ჩემოდნების და უნაგირების საწარმო, სადაც 10 მუშა იყო დასაქმებული. ადელხანოვს 1894 ნლიდან გააჩნდა (იჯარით აღებული) ტანსაცმლის სახელოსნოც, რომელმაც იმავე წელს 200-300 ათასი მან. ღი-

რებულების სამუშაო შეასრულა. სამკერვალო, რომელმაც 12 ცხენის ძალის ლოკომობილს და 51 მექანიკურ საკერავ მანქანას ითვლიდა, ფართო ასორტიმენტის სამხედრო ტანსაცმელს ამზადებდა-ფარაჯებს ფეხოსნებისა და კავალერისტებისათვის, ბლუზა-შარვლებს, საცვლებს, ქუდებს, ყაბალახებს, „პალატკებს", მაუდის პალტოებს, სამხედრო და რკინიგზელი მოსამსახურეების პალტოებს, „ადეალებს", ხალიჩებსა და სხვა ნანარმს უშვებდა [136, 270].

XIX საუკუნის 90-იან წლებში ადელხანოვის წარმოებაში ერთგვარი სიახლეები გამოიკვეთა. კრაველის ტყავისაგან დაიწყეს „ლაიკის" დამუშავება, რომელიც სანედლეულო მასალას წარმოადგენდა საწარმოსთან არსებული პროფესიული სკოლისათვის, სადაც მისგან ხელთათმანებს კერავდნენ. ასევე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა ისიც, რომ ადელხანოვის ფაბრიკაში პირველად ტყავის გათრიმვლა დაიწყეს ელექტროენერგიის გამოყენებით [238, 70].

1901 წელს თბილისში გამართულ „კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე" გ.ადელხანოვის ფირმა წარმოდგენილი იყო, როგორც სამხრეთ კავკასიაში კაპიტალისტური მრეწველობის დანერგვის თაოსანი და ლიდერი. გამოფენის მასალებში საუბარია, რომ ადელხანოვის ტყავის ქარხანას ჯერ კიდევ 1882 წელს მოსკოვში ჩატარებულ სრულიად რუსეთის სამრეწველო გამოფენაზე მინიჭებია ბრინჯაოს მედალი, 1889 წელს თბილისში ჩატარებულ სასოფლო-სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზე ოქროს მედალი, 1890 წელს რუსეთის ტექნიკური საზოგადოებისა და ფინანსთა სამინისტროსაგან მინიჭებია ოქროს მედალი, 1896 წელს კი ნიჟეგოროდის გამოფენაზე კი ოქროსა და ვერცხლის მედლები [238, 74].

1902 წლის 15 მაისს გაზეთი „ცნობის ფურცელი" აქვეყნებს მნიშვნელოვანი

ადელხანოვის სახლის შიდა ინტერიერი

სტატისტიკური მონაცემების შემცველ სტატიას ადელხანოვის ქარხნების შესახებ, რომელშიც წერია: „როგორც მკითხველებმა იციან კავკასიის გამოფენის უმთავრესმა საექსპერტო კომისიამ გადასწყვიტა უმაღლეს ჯილდოზე იქმნენ წარდგენილნი ტყავეულობისა და ნაბდების ქარხნის სააქციონერო საზოგადოების წარმომადგენელი გ.გ.ადელხანოვი და კონიაკისა, სპირტისა და სხვა სასმელების ქარხნის პატრონი დ.ზ. სარაჯიშვილი. აღნიშნულ პირთა სამრეწველო მოღვაწეობის დასახასიათებლად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭოს მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ტყავის ქარხანაში ყოველ წლივ მუშაობს 332 კაცი, რომელთა ჯამაგირზე იხარჯება 60 911 მან. ხოლო ამ მუშების მთელი ნაწარმოები ყოველ-წლივ უდრის 743 543 მან. სანაბდო ქარხანაში 209 მუშაა. ამათგან ყოველ წლობით მზადდება 513 572 მან. საქონელი. 209 მუშას წლიური გასამრჯელო ეძლევა 40 085 მან. ტანისამოსის დამმზადებელ ფაბრიკაში მუშაობს 566 კაცი, რომელნიც ყოველ წლივ ამზადებენ 411 058 მან. საქონელს, ხოლო გასამრჯელოდ ღებულობენ 130 326 მან. აღნიშნულ ფაბრიკაში ტანისამოსის მზადებელი ხელოსანია სულ 404 კაცი, რომელთაც ჯამაგირად ეძლევათ 35 599 მან. ყოველ წლობით ამხანაგობის ქარხანა ხარჯავს მატყლეულობას, ტყავს და სხვა მასალას სულ 800 ათასი მანეთისას. სულ ადელხანოვის ქარხანაში 1 500 მუშაა, რომელთა ყოველწლიური ნაწარმოები 2 მილიონ მანეთს უდრის“ [260].

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, სამხედრო დაკვეთების წყალო-



Фирма сущ. 1875 года.

Акціонерное общество

КОЖЕВЕННАГО и ВОЙЛОЧНАГО ПРОИЗВОДСТВЪ на КАВКАЗѢ.

Г. Г. АДЕЛЬХАНОВА

ВЪ ТИФЛИСѢ.

Кожевенный ЗАВОДЪ. Паровая ФАБРИКА бурочныхъ и войлочныхъ издѣлій. ФАБРИКА дорожныхъ вещей. ФАБРИКА готовой обуви.

Обмундировальная мастерская

для изготовленія одежды и обуви для войскъ Кавказскаго Военнаго Округа.

Правленіе О-ва и Главная контора въ Тифлисѣ

Воронцовская ул., собст. домъ.

Телефонъ № 32.

СКЛАДЪ въ ТИФЛИСѢ

Армянскій базаръ домъ Городского Кредитнаго Общества.

Телефонъ № 148.

Фабричный складъ и магазинъ въ С.-ПЕТЕРБУРГѢ

Кирпичная, 28.

Телефонъ № 94 – 47.

Фото № 32
Акционерное общество Г.Адельханова (рекламный лист).

4 С.Мамулов

ბით, ტყავის დამამუშავებელი ქარხნების საწარმოო სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა. სამხედრო უწყების დაკვეთით მომუშავე ტყავის ქარხნების პროდუქციის ღირებულების ფულადი მაჩვენებლები მეტწილად გასაიდუმლოებული იყო. გ.ადელხანოვის ფირმის ტყავის ქარხანა 1914 წლის შემოდგომიდან „თავდაცვაზე“ მუშაობდა. წარმოების მასშტაბები 70%-ით გაიზარდა. 1916 წლის მიწურულს 1914 წელთან შედარებით წარმოება 200%-ით გადიდდა. 1917 წლის პირველ ნახევარში ქარხანა სრული დატვირთვით მოქმედებდა, ხოლო მეორე ნახევარში შეფერხებებით [136, 271].

„კავკასიაში გრ.ადელხანოვის ტყავის და ქეჩის სააქციო საზოგადოების"საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი“ 1864-1917. თბ. 1976 გვ 127

წლები	ქონება (მანეთობით)	„წმინდა მოგება“ (მენეთებში)
1898	1 913 569	160 962
1899	2 338 603	161 210
1900	2 267 046	149 300
1901	2 155 010	152 170
1902	2 337 198	101 650
1914	2 298 316	71 743
1915	2 600 364	171 743

საისტორიო ცენტრალურ არქივში ინახება 1906 წლის 20 თებერვლით დათარიღებული ადელხანოვის ფირმის, ულამაზესი დიზაინის სატიტულო ფურცელი, რომლის მარცხენა ზედა კუთხეში განთავსებულია წარწერა: Акционерное Общество Кожевпнного и Воилочнаго Производств на Кавказе Г.Г.Адельханова. Тифлис. Устав Высочайще утверждён 12 январ 1896 г. წარწერას თავზე დიადემასავით აქვს განთავსებული ფირმის მიერ, სხვადასხვა დროს ჯილდოდ მიღებული 10 მედალი. წერილში საუბარია ქალაქისათვის დარჩენილი 3 546 რუბ. 42 კაპიკის გადახდის თაობაზე [სცა, ფონდი 192, ანაწერი 7, საქმე 22].

1900 წელს მეწარმეებმა **ზარგარიანცმა** და **ვართაზარიანცმაც** გახსნეს ტყავის დამამუშავებელი ფაბრიკები. საწარმოს 25 ცხ.ძალის სიმძლავრის ორთქლის მანქანა ჰქონდა. იმავე წელს 84 მუშით 130 000 მან. პროდუქცია გამოუშვა. აქვე იყო **ა.ფარსადანოვისა და კომპანიის** ფეხსაცმლის ფაბრიკა, რომლის 68 მუშამ 1900 წელს 66 ათასი მან. ნაწარმი დაამზადა. იმავე წელს აღირიცხა **ძმ.ჩილინგარიანების** „ტყავის მექანიკური ქარხანა“ ბათუმში (სოფ.კახაბერი), სადაც 22 ცხ.ძალის სიმძლავრის ორთქლის მანქანა მოქმედებდა და 30 მუშით 58 700 მან. პროდუქცია იქნა გამოშვებული [136, 269].

თუ ე.წ. „თავდაცვაზე“ მომუშავე საწარმოთა ხაზს გავყვებით, ვნახავთ, რომ სამხედრო უწყების დაკვეთებს **ზარგარიანცის** და **ვართაზარიანცის** ტყავის დამამუშავებელი ფაბრიკებიც ასრულებდნენ. 1915 წელს ფაბრიკამ არმიის საჭიროებისათვის 71 798 მან. ხოლო 1916 წელს 134 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადა. 1915 წელს ფაბრიკის წლიური საბრუნავი თანხა 180 000 მან. განისაზღვრა. აქ დასაქმებული იყო 30 მუშა. სამხედრო დაკვეთებმა მუშათა რიცხვი 40-მდე გაზარდა, წარმოების მასშტაბები კი 100%-ით გადიდდა. 1916 წელს საწარმომ დაამუშავა 157 000 მან. ღირებულების ტყავი, აქედან არმიის საჭიროებისათვის 134 000 მან, ხოლო კერძო პირებისათვის-23 000 მან. [227, 53].

1915 წლის 11 ნოემბრის კანონით ტყავზე მტკიცე ფასები დაწესდა. ტყავეულის ადგილობრივი დამამზადებელები ვალდებულები იყვნენ ეცნობებინათ ადმინისტრაციისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყავი ჩამოერთმეოდათ და დაისჯებოდნენ. აიკრძალა ტყავის გატანა საზღვარგარეთ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის, გენერალ **ვოლსკის** ბრძანებით, ტყავის გადამმალავი დაჯარიმდებოდა 3 000 მანეთით ან 3 თვით უნდა დაეპატიმრებინათ. მთავრობა მოითხოვდა ტყავის ნედლეულის რაციონალურად გამოყენე-

ბას. 1916 წლის 7 ივნისს გამოქვეყნდა „საგანგებო თათბირისა“ და ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ერთობლივი დადგენილება, რომლის ძალითაც ღონისძიების უკეთ გატარებისათვის კავკასიაში შეიქმნა „Особая Кавказская кожеванная комисия“ [227, 51].

სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა **ძმ.ბასენცოვების** სავაჭრო სახლის საკუთრებაში არსებული ტყავის დამამუშავებელი ქარხანაც, რომელმაც ომის პირველ სამ წელს წარმოების მასშტაბები 200%-ით გაზარდა. აღნიშნული საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლები არ გაგვაჩნია, სამაგიეროდ ვიცით, რომ ფაბრიკამ, რომლის წლიური საბრუნავი თანხა 100 000 მან. განისაზღვრა, წარმოება გაზარდა, საწარმო ტყავით ყარსის ოლქიდან მარაგდებოდა. ტყავის აღნიშნულ ფაბრიკაში 1916 წლის ანგარიშში ცალ-ცალკე იხსენიება ტყავის ფაბრიკა და საპნისა და ზეთის სახდელი ქარხანა. საწარმო წელიწადში 3 000 ცალ თხის, 1 000 ცალ ცხვრის ტყავს და სხვადასხვა ტყავეულს ამუშავებდა [227, 52-53].

ძმ.ბასენცოვების ტყავის ფაბრიკა ბოლომდე ასრულებდა სამხედრო დაკვეთებს, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდანაც შესაბამისი დაცვით სარგებლობდა, მაგრამ ორივე მხარისათვის სავალალოდ ფაბრიკის დიდი ნაწილი 1917 წლის ხანძარმა გაანადგურა (ზარალი 114 160 მან. შეფასდა).

თბილისში ხარფუხი ძირითადად სადაბაღოებით იყო წარმოდგენილი, მტკვრის სანაპიროზე, მეტეხს ქვემოთ სულ დაბახანები იყო ჩაყოლებული დაბაღების უსტაბაში **თომა დურნუკელი** ყოფილა. დაბაღების ყველა „ხაზეინი“ სიმდიდრით იყო ცნობილი. ხარფუხელ დაბაღ **სააკა ოგანეზოვს** ყველა იცნობდა, როგორც უდიდესი ქონების პატრონს, რომელსაც დიდი „ქარხანა“ ჰქონია გამართული მრკვრის ნაპირას. მას მტკვარში თოკებით ჰქონდა დაბმული ძროხისა და კამეჩის ტყავები. ცხვრის ტყავს არ ამუშავებდა, მისი ხელოსანი „მეიდანში“ იყო ძველ ხიდზე. ხარფუხში 200 დაბაღზე მეტი მუშაობდა [2, 182].

ტყავის დამუშავება მიმდინარეობდა კახეთშიც. თელავის დაბახანაში უმთავრესად შინაური საქონლის-მეტწილად ხარის, კამეჩის, ცხვარის და თხის ტყავს ამუშავებდნენ. დამზადებული ტყავის ავკარგიანობა თვით საქონელზე იყო დამოკიდებული. სხვადასხვა საქონლის ტყავს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ. ცხვრის ტყავისაგან მეში გამოყავდათ, თხის ტყავისგან კი-სამოგვე. პატარა, ერთ წლამდე ასაკის სახარე საქონლის გამოყვანილ ტყავს „ქოსალა“ ერქვა. დაბახანის ეზოში ბოძებზე გადებულ კეტებს ტყავის გასაშრობად იყენებდნენ. ტყავის დასამუშავებელ ოთახს ჰქონდა თიხის მოზრდილი თაღარი და კირწყლის დასაყენებელი აბაზანა. დაბახანაში მიტანილი ტყავი ჯერ უნდა გაეკრიჭათ, რის შემდეგ ორი-სამი დღით მას სუფთა წყალში დებდნენ, შემდეგ „ლეშის“ მხარეს „დემურით“ ქონისა და ხორცის ნარჩენებისაგან წმენდნენ. ამის შემდეგ საჭირო იყო ნარჩენი ბეწვების გაცლა. ამისათვის ხარისა და კამეჩის ტყავს ერთი კასრი „მჭადის“ ფქვილისა და სამი კასრი წყლის ხსნარში ჩაალბობდნენ, ხოლო ცხვრისა და თხისას-კირნარევ წყალში 2 დღის განმავლობაში ამყოფებდნენ. დამბალ ტყავს ბეწვს „ვარაჩოთი“ გააცლიდნენ. ბეწვგაცლილ ტყავს მარილს აყრიდნენ და ერთი დღე-ღამე ტოვებდნენ, რომ „მარილი კანში გაჯდომოდა“. ამის შემდეგ ის ითრიმლებოდა, საიდანაც ამოღებულს მას

კვლავ ამუშავებდნენ, წმენდნენ, კეტებზე დაახვევდნენ და სწურავდნენ. გაწურულს ისევ თრიმლში აგდენდნენ ამდენივე ხნით და ხელახლა წმენდნენ, იმეორებდნენ ყველაფერს მესამედაც. თრიმლი ის ძირითადი საშუალება იყო, რომელიც ტყავს ამკვრივებდა, ფერს აძლევდა და გამძლეობას მატებდა. თელაველ მედაბაღეებს თრიმლი საგარეჯოდან, შაქრიანიდან მოჰქონდათ. თრიმლი მრავალწლიანი დატოტვილი მცენარეა, იყენებდნენ მის ფოთლებს, ტოტებს, დაჩეჩქვილ ტოტებს, რომელსაც ფქვილად აქცევდნენ [166, 39-41].

დათიკო გიგაშვილი

გორში არსებობდა მექალამნეების ამქარი, მაგრამ შეგირდის დალოცვას ისინი ხარაზებთან აწარმოებდნენ სამღვთოზე, ვინაიდან მათ საკუთარი ბაირაღი არ ჰქონდათ. 73 წლის მექალამნე შაქრო გიორგის ძე ყურელის (გორი, 1967) ცნობით, გორში მექალამნეებს 30 დუქანი ჰქონიათ. დაბაღებისაგან განსხვავებით ისინი თვითონ ამუშავებდნენ ტყავს ხის კასრებში. თითო კასრში ხარის ან კამეჩის 5-6 ტყავი ჩალაგდებოდა, კირი ერთი-ორი სათლი მოუნდებოდა. ტყავს ყოველ დღე სჭირდებოდა გადაბრუნება, შემდეგ ამოიღებდნენ, ჩამოკიდებდნენ და ბალანს გააცლიდნენ, წყალში გაავლებდნენ, ჭილობზე გაშლიდნენ და შაბმარილს მოაყრიდნენ იმ ვარაუდით, რომ ერთ წილ შაბზე ორი წილი მარილი მოსულიყო (მაგ: 5 გირვანქა შაბზე, 10 გირვანქა მარილი). მარილიანს ჩამოკიდებდნენ, დაჭიმავდნენ და მზეზე გაახმოდნენ. გამხმარ ტყავს შოლტებად დაჭრიდნენ საქალამნედ. ტყავის თხელ ნაწილს (ფერდსა და მუცელს) თასმად გრეხავდნენ და იმით კერავდნენ ქალამანს. საქალამნე კალაპოტი ხარაზულისაგან განსხვავებული იყო. მექალამნეები გორში „ფრანგების" ეკლესიასთან ისხდნენ. თითო ოსტატს 2-3 შეგირდი და ქარგალი ჰყავდა [2, 16-17].

გორში მრავლად იყვნენ ხარაზები, მეჩუსტენი და მექოშენი. პროფ. ე.მამისთვალიშვილი მოგვითხრობს: „გორული ჩუსტები განთქმული იყო თავისი სიმტკიცითა და კარგი ხარისხით. ხარაზები ტყავს ქალაქის განაპირას, ღამბა-

რეულის მახლობლად მდებარე დაბახანიდან ნისიად ან ნაღდი ფულით იღებდნენ. ჩუსტები დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ცხინვალში, ხაშურში, ბორჯომში, ახალქალაქში, მცხეთასა და სხვა ადგილებში" [130, 45]. მათ შორის იყო **დათიკო გიგაშვილი**, რომელიც საკუთარ და გორელი ხარაზების მიერ წარმოებულ დიდი რაოდენობით საუკეთესო პროდუქციას ეკატერინბურგში უკეთებდა რეალიზაციას.*

ტყავის პროდუქციას მოიხმარდნენ უნაგირის, წულა-მესტის, „აზიაცკის" და სარტყელ-ქამრის დამამზადებლები. უნაგირი თავისი მონყობილობით 200 ნაჭრისაგან შედგებოდა. ზუგდიდში ამ ხელობით ცნობილი ყოფილა მეთო ხურცილავა. უნაგირის ტყავი თბილისში, ბათუმში ან უცხოეთიში მზადდებოდა. ეს იყო ე.წ. „შიგრინის ტყავი". მოსართავის ღვედს კი მეუნაგირე თვითონ ამზადებდა ხარის ტყავისაგან. ერთი ხარის ტყავი ყოფნიდა ხუთი უნაგირის მოსართავს. დასავლეთ საქართველოში ხარაზები ტყავს უფრო მეტად თბილისში ყიდულობდნენ. საპირე დასტობით მოჰქონდათ. ერთ დასტაში 30 წყვილი საპირე გამოდიოდა. ზუგდიდში ხარაზების-40, ხოლო მეუნაგირეების 20 დუქანი ყოფილა [2, 21].

* დიდ მადლობას ვუხდით ქალბ. ნანი გიგაშვილს გაწეული დახმარებისათვის საოჯახო ფოტოს მონოდებასთან დაკავშირებით. (ფოტოსნილება პირველად)

ნავთობპროდუქტების წარმოება და ტრანსპორტირება საქართველოში (XIX ს. – XX ს. I მეხუთედი)

XIX საუკუნეში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აქტიურად წარმოებდა ნავთობის მოპოვება-დამუშავება. მას უპირატესად მოიპოვებდნენ ნავთლუღში, შირაქში, მირზაანში და ელდარის ველზე. სტატისტიკური მონაცემებით კახეთში არსებობდა შემდეგი საბადოები:

1. სიღნაღიდან 35 ვერსის დაშორებით, მდ.იორის მარცხენა ნაპირას, ჭიან-ხევში 60 ჭა.
2. სიღნაღიდან 55 ვერსის დაშორებით, დასავლეთით, მდ.იორის მარჯვენა ნაპირას, ს.კობიჯში 4 წყარო.
3. სიღნაღიდან 56 ვერსის დაშორებით, მდ.იორის მარჯვენა ნაპირას, 16 წყარო, კობიჯის წყაროების მახლობლად.
4. სიღნაღიდან 50 ვერსზე დასავლეთით 11 ჭა.
5. სიღნაღიდან 50 ვერსის დაშორებით, ხევბადის ხევში 42 წყარო.
6. მდ.იორის მარჯვენა მხარეზე, სოფ.კიდურმაში, 7 ჭა.
7. სიღნაღიდან 73 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით, მთა ახტა-ხანბასილაზე, 7 წყარო [48, 138-141].

მიხეილ ვორონცოვს 1847 წლიდან ნავთლუღის საბადოები ჯერ თბილისის საკუთრებაში გადაუცია, 1848 წლიდან კი ყველა საბადო იჯარით გაუცია. 1860-იან წლებში მისი მესაკუთრეები გახდნენ თბილისელი მოქალაქეები **სოლომონ კიტოევი, სოლომონ ვარდანოვი**, პრუსიის ქვეშევრდომები **ძმები სიმენსები.** 1848 წლიდან 1854 წლამდე სახაზინო შემოსავალი ნავთობის წყაროებიდან შეადგენდა 1.050 მან. წლიურად. 1858 წელს იგი ხაზინას აძლევდა 1.660 მან, შემდეგ კი 2 800 მან. წლიურად. მოიჯარე-შემსყიდველებს უფლება ჰქონდათ ახალი ჭები გაეხსნათ, ნავთი გაეყიდათ თავისუფალ ფასებში თბილისის გუბერნიაში და ყველგან, სადაც მისი გაყიდვა ნებადართული იყო [245, 377].

საბადოებიდან ამოღებული პროდუქციის ოდენობა წლების მიხედვით განსხვავებული იყო:

წელი	ადგილმდებარეობა	ნავთი
1863	შირაქსა და ნავთლუღში	11 000 ვედრო
1864		6 500 ვედრო
1866	მარტო შირაქში	5 339 ვედრო
	სიმენსებს ამოუღიათ	
1870		87 000 ვედრო
1871		95 000 ვერდო
1872	კახეთის ნავთის საბადოებიდან	107 000 ვედრო
1873		169 000 ვედრო
1875		173 000 ვედრო

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: გრიგოლ გიორგაძე „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში" თბ. 1928. გვ. 138-141

XIX საუკუნის 80-იან წლებში აქტიურად იწყება აფშერონის ნახევარკუნძულის ნავთობით მდიდარი საბადოების ამუშავება, რამაც უზრუნველყო დიდი რაოდენობით იაფი ნავთის შემოტანა საქართველოში და ხელი შეუშალა საქართველოში ნავთობის მოპოვების გავითარებას, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1902 წლისათვის ამ ტიპის წარმოება მთლიანად ქრება საქართველოს სამეწარმეო სივრცეში. შამაგიეროდ, ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალის გამართვამ კიდევ უფრო წასწია წინ აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობ-პროდუქტების წარმოება. ადგილობრივ და უცხოელ კაპიტალისტებს რკინიგზის გამტარუნარიანობა აღარ აკმაყოფილებდათ, რის გამოც მალე დაისვა ნავთსადენი მილის გაყვანის საკითხი, რომელსაც 1884 წლიდან ესწრაფოდა ამერიკელი მილიონერი გ.ვილსონი. 1897 წელს დაწყებული სამუშაოები 1900 წელს დამთავრდა (შიდა მილები რუსეთიდან მოიტანეს, ხოლო საქაჩავი ტუმბოები ამერიკიდან). გამოჩდნენ ამ საქმით დაინტერესებული ევროპელი მეწარმეები. არსებული მძლავრი კონკურენციის პირობებში ნობელები ნათლად ხედავდნენ, რომ ნავთისა და ნავთობის მიწოდების გასაზრდელად საჭირო იყო უფრო მეტი ავტოგადამზიდი და ბათუმში მეტი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება. თუმცა ეს მაინც ვერ უზრუნველყოფდა ნავთობის საჭირო რაოდენობით მოზიდვას. მთავარ დაბრკოლებას სურამის უღელტეხილი წარმოადგენდა. ლუდვიგ ნობელი ჯერ კიდევ 1883 წელს ბაქო-თბილისის რკინიგზის გაყვანისას აცნობებდა ადგილობრივ მთავრობას სურამის უღელტეხილის გავლით სადენის გატარების აუცილებლობას, თუმცა კონცესიაზე უარი მიიღო. ლუდვიგმა ბაქოში პირველი სინდიკატი შექმნა და ითხოვდა ნედლეულის სურამის 4 კმ-იან გვირაბში გატარებას. რუსი ქიმიკოსი მენდელეევიც კი გამოვიდა ამ იდეის მომხრედ. საბოლოოდ პროექტის დამტკიცება მოხერხდა, რის შემდეგაც 1903 წელს ჰქონდა 835 კილომეტრიანი ნავთსადენი 19 სატუმბო სადგურით. სამუშაოები ხელით წარმოებდა. მილებს ერთმანეთთან ხრახნიანი ქუროებით აერთებდნენ და მათ ანტიკოროზიული იზოლაციით ფარავდნენ. ტრასის გასწვრივ სატელეფონო კავშირიც გაიყვანეს. მილსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში 900 000 ტონას შეადგენდა. სამუშაოების განმავლობაში გამოყენებულ იქნა ალფრედ ნობელის 400 ტონა დინამიტი. პროექტის საერთო ღირებულება 12 მლნ მანეთი გახლდათ [4, 116-119]. (ნობელების მიერ დამონტაჟებული ავზები დღესაც დგას ბათუმში, ხოლო მათ მიერ აშენებულ შვედეთ-ნორვეგიის საკონსულოს შენობაში დღეს ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმია განთავსებული).

1906 წლიდან ბაქო-ბათუმის ნავთსადენი სრული დატვირთვით ამუშავდა. ეს იყო იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე გრძელი მაგისტრალი, რომლის ბაქო-ბათუმის მილსადენის აღჭურვაში ნობელთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა **ა.ი. მანთაშევიც**.

სამხრეთ კავკასიის და კონკრეტულად საქართველოს ნავთობსაბადოების დამუშავების ინიციატორებად გერმანელი მეწარმეები გვევლინებიან. XIX საუკუნის 70-იან წლებში ბაქოს ნავთობგადამამუშავებელ წარმოებაში გამოჩნდა ჰამბურგელი კომერსანტი დოქტორი **მაქს ალბრეხტი,** რომელიც ფლობდა ფირმას „ა.ელრიხი". მან ბათუმში გახსნა საკუთარი საწყობები და ჩამომსხმე-

ლი სადგურები. მოგვიანებით ბათუმში **შებერმა და გროტემ** დააფუძნეს ფირმა „ელლერ-ბურკჰარდი", რომლებიც ყიდულობდნენ და საქართველოს გავლით გადაზიდავდნენ ბაქოს ნავთობს ევროპული პორტებისაკენ.

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში ნავთობის ჩამომსხმელი საგურები ჰქონდათ „ბაქოს ამხანაგობას", „რუსეთ-კავკასიის ნავთობის საზოგადოებას", **შუტცსა** და **ციმერმანს, ნობელს** (ორი), **ვაგსტაფსა** და **ბლეის, მატიევიჩს, შიბაევს,** „ბაქოს სტანდარტს", **სიდერიდისს,** ამიერკავკასიის რკინიგზას, „კასპიის ამხანაგობას [136, 211].

რობერტ ნობელი* პირველად კავკასიას თავად დადიანის პირადი მონვევით ესტუმრა, მას სურდა კაკლის მერქნის შეძენა, რომელსაც იმ

პერიოდში იარაღის კონდახების დასამზადებლად იყენებდნენ. ამ ვიზიტის დროს თბილისში ყოფნისას იგი ეწვია კავკასიის მეფისნაცვლის უწყებას და ცდილობდა დაერწმუნებინა ადგილობრივი ხელისუფლება ახლად გამოგონებული დინამიტის ეფექტურობაში, როგორც რკინიგზის გაყვანისა და მთიანი რეგიონების განმენდისას, ასევე მისი წყლის ქვეშ გამოყენებისას. კავკასიის მთიანი ლანდშაფტის გამო მოთხოვნით მიმართა მთავრობას ნება მიეცათ, საქართველოში უბაჟოდ 500 ფუთი დინამიტი შემოეტანა [175, 143].

1873 წელს რობერტ ნობელი ბაქოში ჩავიდა და მაშინვე სწორად შეაფასა კავკასიაში ნავთობის წარმოების პერსპექტივები. 1875 წელს მან „ტფილისის საზოგადოებისაგან" შეიძინა „ფოტოგენური ქარხანა" და ნავთობით მდიდარი ტერიტორიები ბაქოში 8 000 რუბლად, სადაც დაუყოვნებლივ დაიწყო ჭაბურღილების დამუშავება. იმპერატორ ალექსანდრე II-ის დეკრეტით საფუძველი ჩაუყარა რუსეთის იმპერიაში ყველაზე მსხვილ სანავთობო კომპანიას **„ძმები ნობელების ნავთობის წარმოების ამხანაგობა",** იგივე „Branobel", 3 მლნ რუბლი საწყისი კაპიტალით [4, 116-119]. ამხანაგობის დაფუძნების ინიციატორები იყვნენ სამი ძმა ნობელები: **ლუდვიგი, რობერტი, ალფრედი და არტილერიის პოლკოვნიკი პეტრე ბილდერლინგი.** მნიშვნელოვანმა წარმატებებმა რუსეთის იმპერიის შიდა ბაზარზე კომპანიის დღის წესრიგში დააყენა საზღვარგარეთ ბაქოს ნავთისა და სხვა ნავთობპროდუქტების ექსპორტის საკითხები.

ნობელები არასოდეს გამორიცხავდნენ სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობას, თუმცა ნავთის ექსპორტის ალტერნატიული პროექტებიც ჰქონდათ. ბათუმიდან ნავთობპროდუქტების ექსპორტი წარმოებდა სხვადასხვა საშუალებებით: გემ-ტანკერებით, ერთ ხის ყუთში ჩადგმული 2 თუნუქის ბიდონით და

---

* პირველი უცხოელი, რომელიც ბაქოში გამოჩნდა იყო **ლუდვიგ ნობელი.** იგი გახლდათ შვედი მაგნატის ედვარდ ნობელის შვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ცნობილი მეწარმეების დინასტიას. 1837 წელს იგი შვედეთიდან პეტერბურგში გადასახლდა, მიიღო სამეფო სახლიდან ფინანსური მხარდაჭერა და გახსნა სახელოსნო, შემდგომში წყალქვეშა ბომბების პატარა მექანიკური ქარხანა. აქ დამზადებულმა შეიარაღებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ყირიმის ომში. ედვარდ ნობელს ამ საქმეში ეხმარებოდა უფროსი ძმა რობერტი. ედვარდ ნობელის უფროსი შვილები რობერტი და ლუდვიგი დაინტერესდნენ ნავთობის ბიზნესით. სწორედ ლუდვიგ ნობელმა დააფუძნა „ძმები ნობელების ნავთობის წარმოების ამხანაგობა". ედვარდ ნობელის მესამე შვილი ალფრედი კი დაინტერესდა დინამიტის გამოგონებითა და წარმოებით, დააფუძნა დინამიტის მწარმოებელი მსხვილი ქარხანა. ნობელის რუსულ შტოს წარმოადგენდნენ რობერტი და ლუდვიგი, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს მეფის რუსეთის მრავალი სამხედრო დაკვეთა რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში.

ძმები ნობელები

სხვადასხვა მოცულობის ხის კასრებით. ტანკერებით ნავთობი გაჰქონდათ ძირითადად ევროპის ქვეყნებში, თუნუქის ბიდონებით კი მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში. ხის კასრებით უმთავრესად გაჰქონდათ წასაცხები ზეთები, რაზეც დიდი მოთხოვნილება იყო ევროპაში.

რეზერვუარებიდან გემ-ცისტერნებში ნავთობის ჩასხმა ვორტინგტონის, ვეიცისა და მაქსის, ბლეკის, ლისტის, ევანსის, ნობელის, ვეიზეს, ვილსონის, ტრიუმერისა და სხვა სისტემის ორთქლის ტუმბოებით ხდებოდა. ზოგიერთ ჩამომსხმელ სადგურს ხელის ტუმბოები, მეტწილად ალვაიერის სისტემის ჰქონდა [136, 211].

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო საუბარი ბაქო-ბათუმის ალტერნატიული ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ. იდეა მოწონებულ იქნა და რუსმა ნავთობმეწარმეებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ 1870 წლებში ბაქო-ასტრახან-ვოლგის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა დაიწყეს. რადგან პრო-

ТОВАРИЩЕСТВО
НЕФТЯНОГО ПРОИЗВОДСТВА
БРАТЬЕВЪ НОБЕЛЬ

ПРАВЛЕНІЕ.

ОТДѢЛЪ
ТОРГОВЛИ КЕРОСИНОМЪ ВЪ РОССІИ.



ალფონს ჯეიმს დე როტშილდი
(1827-1905)

ექტი დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, ისინი **როტშილდების** საგვარეულოს ფრანგულ შტოს დაუკავშირდნენ. როტშილდების უშუალო ინტერესებში შედიოდა არა შემოვლითი გზის აშენება, არამედ ამ ნედლეულის ბათუმის გავლით პირდაპირ ევროპაში გატანა. ბაქო-თბილისი-ბათუმის მიმართულებით რკინიგზის მშენებლობაში 10 მლნ აშშ დოლარი როტშილდებმა ჩადეს, მათ ასევე გამოყვეს კრედიტები ბათუმში მცირე ნავთობგადამამუშავებელი წარმოების შესაქმნელად. 1882 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ, როდესაც საიმპერატორო დეკრეტით ებრაელებს რუსეთის ტერიტორიაზე მიწის ყიდვა და დაქირავება აეკრძალათ, თუმცა ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია როტშილდების გეგმებზე 1883 წელს ბაქო-თბილისის რკინიგზის გახსნის შემდეგ მათ დააარსეს-„Sosiete Commerciale et Industrielle de Naphte Caspienne et de la Mer Noire" (კასპიისა და შავი ზღვის ნავთობის კომპანია), უფრო ცნობილი რუსული აბრევიატურით БНИТО. [4, 116-119].

კასპია შავი ზღვის საზოგადოებამ" 1889 წელს პირველმა დაიწყო ნავთის ექსპორტი გემ-ცისტერნებით (ტანკერებით). პირველი ტანკერის გამოჩენამ სენსაცია გამოიწვია ბათუმში და ძალიან შეაშფოთა ნავთის ტარის საწარმოთა მფლობელები-თუნუქის ბიდონებით ნავთის ექსპორტიორები. მათ საჩივარი აღძრეს და ქალაქის თავს კ.გავრონსკის აუწყეს ამის შესახებ-ბათუმში როტშილდის გემ-ცისტერნების (ტანკერების) შემოსვლამ გაკოტრების საფრთხის წინაშე დაგვაყენაო [198, 103].

მომჩივნები არწმუნებდნენ ქალაქის თავს, რომ ტანკერებით ნავთობის ექსპორტი გამოიწვევდა ბათუმის ქარხნების დახურვას, რითაც მარტო ჩვენ კი არა, საერთოდ რუსეთის მრეწველობა დაზარალდებაო, ამიტომ გადაწყვიტეს პეტერბურგში დეპუტაციის გაგზავნა, შექმნილი მდგომარეობის შესახებ უმაღლესი მთავრობის ინფორმირება და ტანკერებით ნავთობის ექსპორტის აკრძალვის მოთხოვნა. თუ ასეთი წინადადება მიუღებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ გემ-ცისტერნებით ნავთობის გატანას ისეთი ბაჟი უნდა დადებოდა, რომ

რობერტ ნობელი 1829-1896
Robert Hjalmar Nobel

მსხვილ მრეწველებს ვერ შეძლებოდათ საკონკურენციო ბრძოლაში წვრილ მეწარმეთა განადგურება [212, 132].

უმაღლესმა მთავრობამ, არ დააკმაყოფილეა მათი თხოვნა, არ შეზღუდა მსხვილი ფირმების საქმიანობა და არც ტანკერებით ნავთობის ექსპორტზე დააწესა მაღალი (ფაქტობრივად ამკრძალავი) ტარიფი, ამიტომ ნავთობის ტარის წარმოება თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა. იმის გამო, რომ საზღვაო ნავსადგურებიდან აზია-აფრიკის ჩამორჩენილი ქვეყნების სიღრმეში ნავთობის შეტანა მხოლოდ საჩალვადრო პირუტყვის (აქლემი, ცხენი) მეშვეობით, ხის ყუთებითა და თუნუქის ბიდონებით შეიძლებოდა, ნავთობის ტარის წარმოება მაინც ხელსაყრელ ბიზნესად რჩებოდა და მას დიდი მასშტაბით ეწეოდა რამდენიმე ფირმა, მათ შორის ტანკერების მფლობელი **როტშილდის** ფირმაც [198, 103].

1886 წელს **როტშილდების** პარიზის საბანკო სახლმა შეიძინა „ბათუმის ნავთობისა და ვაჭრობის საზოგადოება“, რომლის კაპიტალი 6 მლნ. რუბლს შეადგენდა. ამის შემდეგ მათ დაიწყეს ბრძოლა ბაქოს ნავთობპროდუქტების ექსპორტის მონოპოლიზაციისათვის. მათ მიერ დამზადებული საექსპორტო ჭურჭლის საშუალებით ბათუმიდან საზღვარგარეთ ყოველწლიურად იგზავნებოდა 20 მლნ. ფუთი ნავთი. ბათუმში როტშილდის ქარხნის დირექტორი იყო ფრანგი **გიონი**, რომელიც სამუშაოზე იღებდა მხოლოდ ქართველებს. მისი აზრით ქართველები კეთილსინდისიერი მუშები იყვნენ და ყოველთვის დროულად ასრულებდნენ მათზე მინდობილ საქმეს, ამიტომაც იყო, რომ როტშილდის ქარხანაში მუშა-მოსამსახურეები ქართველები იყვნენ [55, 314].

როტშილდის ქარხანა 1915 წლამდე ნავთობპროდუქტების ექსპორტს გემებით ახდენდა. საგულისხმოა, რომ ქარხანაში დასაქმებული მუშების რაოდენობა 2 650 კაცს შეადგენდა. საწარმოო პროცესი ემყარებოდა ორთქლითა და ელეტროენერგიით მოქმედი მანქანების სისტემას. ქარხანაში არსებობდა მასალების დამამზადებელი, ხე-ტყის სახმობი, სახერხი და სამოდელე განყოფილებები, აგრეთვე მექანიკური სახელონო, რომელსაც გააჩნდა ჩამოსახმელი,



საზეინკლო და სამჭედლო საამქროები. ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების დამზადება 280 დაზგაზე წარმოებდა. „კასპია შავი ზღვის საზოგადოებას“ (როტშილდი და კომპანია) თავის საწარმოებში სისტემატიურად ჰყავდა დასაქმებული დიდი რაოდენობით ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი, ყოველდღიურად მზადდებოდა 18 000 ხის ყუთი და 36 000 თუნუქის ბიდონი. ფირმას იჯარით ჰქონდა აღებული ნავმისადგომი, რომლის აკვატორიაში მუდმივად მოძრაობდა საკუთარი 27 ბარჟა და 2 კატერი, ელევატორი და მტვირთავი მუშები. სრული დასაქმების სეზონში ყოველდღიურად გემებში ტვირთავდნენ 60 000 ხის ყუთს [136, 206-207].



დიდი ფინანსური ომი საქართველოში ამით არ დასრულებულა. ნობელებს არ სურდათ სასიკვდილო ომში ჩართულიყვნენ როტშილდებთან. ალფრედს კარგად ესმოდა ეს ბრძოლა რა შედეგით შეიძლება დამთავრებულიყო. მისი ძალისხმევით პარიზში 1884 წლის მაისში მოიწვიეს კონფერენცია, სადაც ორი ოჯახი (**ნობელები და როტშილდები**) თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. როტშილდებს სურდათ ნავთის

გატანა ევროპაში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ **როკფელერების** შტანდარრდ ჰილ-ით მარაგდებოდა. ნობელები იმავე აზრზე იდგნენ. ლუდვიგს სურდა საკუთარი კომპანიის მეოთხედის მიყიდვა როტშილდებისათვის, რათა მათი დაფინანსებით მოეხერხებინა ბათუმში ბუნგესა და პალაშკოვსკის კომპანიის 1,5 მლნ მანეთად ყიდვა. როტშილდებმა უარი თქვეს ამ შეთავაზებაზე. ამ დროს ლუდვიგ ნობელთან მოლაპარაკებები გამართეს როკფელერებმა და ამის შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ როტშილდებსაც. ორი უმძლავრესი ოჯახის შემოტევებისაგან თავის დასაღწევად ლუდვიგს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ახალი კონტრაქტები უნდა დაედო. მან შავ ზღვაში, ბათუმში შემოიყვანა 286 ფუტის სიგრძის ტანკერი „Свет", რომელსაც 17 000 ტონა ნავთი ინგლისში უნდა გადაეზიდა. როკფელერებისათვის ეს დიდ მარცხს მოასწავებდა. კომპანია, რომელიც აკონტროლებდა ამერიკის ექსპორტის 90%-ს, ინგლისის ბაზარს საკუთარ მონოპოლიად მიიჩნევდა. ნობელების ნავთმა კი ინგლისის სამომხმარებლო ბაზრის 30% დაიკავა, მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4% იყო [4, 116-119].

1900-იანი წლების დასაწყისში ნავთობპროდუქტების მრეწველობასა და ექსპორტში ოცამდე სხვადასხვა კომპანია იყო ჩაბმული. მათ შორის მთავარ როლს სამი ძირითადი კომპანია ასრულებდა, ესენი იყვნენ: როტშილდის, ძმები ნობელების და მანთაშევის. ეს ფირმები ამავე დროს რუსეთის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც ხელთ ეპყრათ მაქოს ნავთობის მრეწველობის სადავეები. მათ ერთად გაცილებით მეტი რაოდენობით ნავთობპროდუქტები გაქონდათ, ვიდრე დანარჩენ კომპანიებს ერთად [175, 147].

А. И. Манташевъ.
Дѣйст. Ст. Сов. Почетный гражд. Армянскаго Благотворит. Общ.

ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების საქმეში საქართველოში დიდ წარმატებებს მიაღწია **ა.ი. მანთაშევმა**, იგი დაიბადა 1844 წელს, თბილისში, სპარსული საქონლით მოვაჭრეთა ოჯახში. კომერციული განათლების მიღების შემდეგ მან მუშაობა ჯერ მამის მაღაზიაში დაიწყო, ხოლო შემდეგ გადავიდა ტერ-ასატუროვის მოდური საზღვარგარეთული პროდუქციის მაღაზიაში. მოგვიანებით მან კვალიფიციური სავაჭრო პრაქტიკა გაიარა ლონდონში. თბილისში დაბრუნებულმა ერევნის მოედანზე სასტუმრო „კავკაზის" ქვეშ გახსნა უცხოური პროდუქციის მაღაზია და დაიწყო კაპიტალის დაგროვება.

XIX საუკუნის 80-იან წლებში მანთაშევმა მიიღო გადაწყვეტილება სა-

კუთარი დანაზოგი ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში ჩაედო და ერთ-ერთმა პირველმა მოჰკიდა ხელი ნავთობის ექსპორტს. ამ მიზნით, მან ბათუმში ააშენა თუნუქის ქარხანა და გახდა 200 ვაგონცისტერნის მფლობელი. „მანთაშევი და კომპანია „ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება" 22 მლნ მანეთის ძირითადი კაპიტალით მუშაობას შეუდგა [136, 118].

მანთაშევის მთავარი ქარხნის განყოფილებები და სააქროები 5 შენობაში იყო განლაგებული. მათში მოქმედებდა 4 ორთქლის ქვაბი, 6 ორთქლით მომუშავე მანქანა, 7-დინამომანქანა, 3-ტუმბო. ქარხანასთან არსებობდა ხე-ტყის საწყობი, მექანიზებული სახერხი, სადურგლო, სარჩილავი, სამჭედლო და საზეინკლო სახელონოები. იქვე იყო მოწყობილი ნავთობის გადასასხმელი სადგური, რომლის 13 რეზერვუარი 2,4 მლნ. ფუთ ნავთობს იტევდა. წარმოებაში დასაქმებული მუშების უმრავლესობა (1000-მდე) მექარხნის კუთვნილ ყაზარმაში ცხოვრობდა.

მეწარმე 1911 წელს გარდაიცვალა; დაკრძალეს თბილისში.* [198, 104].

ა.ი. მანთაშევი მხოლოდ ნავთობის მოპოვებითა და გადამუშავებით არ დაკმაყოფილდა და 1886-1887 წლებში ბათუმში აამოქმედა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დასამზადებელი ქარხანა, რომელიც ხუთ შენობაში იყო განთავსებული. ეს იყო ყველა დამხმარე ნაგებობით აღჭურვილი მექანიკური საამქრო მექანიკური სახერხით, სადურგლო, სამჭედლო, საზეინკლო და სხვა განყოფილებებით. 1904 წელს მანთაშევის ქარხანაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა 1 742-ს აღწევდა.

მანთაშევის საქმიანობას მხარი აუბეს სომხური წარმოშობის სხვა მეწარმეებმაც, რომელთა შორის აღსანიშნავია **მ.ი. არამიანცის** მოღვაწეობა. მან თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი თბილისში გაატარა. კომერციული საქმიანობა საგალანტერეო მაღაზიაში მუშაობით დაიწყო და დიდი შრომისმოყვარეობის წყალობით მალე ამ მაღაზიის მესაკუთრე გახდა. მისი მომავალი საქმიანობა დიდად განსაზღვრა ცნობილ ნავთობმრეწველთან, ა.მანთაშევთან შემთხვევითმა შეხვედრამ. მომდევნო წლებში არამიანცმა შეიძინა ნავთობსაბადოები ბაქოში და დაკავდა ნავთის მოპოვება-გადამუშავებით. შედეგმაც არ დააყოვნა და იგი უმდიდრესი ადამიანი გახდა.

ქველმოქმედება არც ამ მეწარმისათვის იყო უცხო. როდესაც ნიკო ნი-

---

* მანთაშევი მისაბაძი მეცენატი გახლდათ, მისი უშუალო დაფინანსებითა და ინიციატივით თბილისში (სოლოლაკში) გაიხსნა სავაჭრო სკოლა, ფუნქციონირება დაიწყო მოხუცებულთა სახლმა, აშენდა სასტუმრო „ბო-მონდი", გაიხსნა კერძო ბიბლიოთეკები, გუბერსკის ციხე ორთაჭალაში. მანვე დაარსა ინტერნატი მცირენლოვანი დამნაშავეებისათვის, გაიყვანა სატელეფონო კაბელი სოლოლაკიდან დიდუბეში, რაც იმ დროს საკმაოდ ძვირი ფუფუნება იყო. **მანთაშევის** სანარმოები ბათუმში წარმოების მოცულობით მეორე ადგილზე იყო, რომელთაც 3 ჰექტარი ფართობი ეკავა. **ალექსანდრე** დიდი პატივისცემით სარგებლობდა. 1910 წლის 2 იანვრის გაზეთი «Санкт-Петербургские ведомости» იუწყებოდა, რომ რუსეთის იმპერატორის კარზე გაიმართა მცირე წინასაახალწლო მიღება, რომელზეც მიწვეული იყო რუსეთის იმპერიის 20 უმდიდრესი ადამიანი. მათი მოსაწვევების ნომერაციის თანამიმდევრობა შეესაბამებოდა მათი კაპიტალის სიდიდეს. მოწვეულთა შორის იყო რუსეთის სამი მოქალაქე: ფინანსისტი და ფაბრიკანტი პუტილოვი, ნავთობმრეწველი ალექსანდრე მანთაშევი და ქართველი თავადი გენერალი დავით ჩიქოვანი. პუტილოვის მოსაწვევი ბარათი თარიღდებოდა -12 ნომრით, მანთაშევის კი 13-ით. მოწვეული სტუმრების სია ინყებოდა ნობელით, როტშილდით და ზინგერით.

კოლაძემ და ქართული საზოგადოების სხვა ღირსეულმა წარმომადგენლებმა თბილისის ქალაქის თავს მიმართეს თხოვნით საავადმყოფოს აშენების თაობაზე, პირველი ფინანსური შენატანი-100 ათასი მან. მ.არამიანცმა გააკეთა. ინჟინერ-არქიტექტორი დააააფინანსა და გაუშვა მოსკოვში, ვენასა და ბერლინში იმდროინდელი საუკეთესო საავადმყოფოების სანახავად.



М. І. Арамянц.

მისი დაფინანსებით თბილისში აშენდა ორი მნიშვნელოვანი ობიექტი: სასტუმრო „მაჟესტიკი" (ან როგორც მას ეძახდნენ „არამიანცის სახლი", მოგვიანებით სასტუმრო „თბილისი") რუსთაველის პროსპექტზე და საავადმყოფო ავლაბარში (I საქალაქო საავადმყოფო, ანუ „არამიანცის საავადმყოფო", როგორც მას ხალხი ეძახდა). სასტუმრო „მაჟესტიკის" ულამაზესი შენობა აგებულია ცნობილი თბილისელი არქიტექტორის გ.ტერ-მიქელოვის პროექტით იგი იყო კერძო მესაკუთრის უდიდესი სასტუმრო იმდროინდელ თბილისში. დამკვეთის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არქიტექტორი დიდი ხნით იმყოფებოდა ევროპაში, სადაც ეცნობოდა საუკეთესო სასტუმროების ხუროთმოძღვრულ სტილსა და მშენებლობის ტექნიკას, იგი 1915 წელს გაიხსნა. თავისი ფორმით სასტუმრო იყო არქიტექტურულად დახვეწილი ნაგებობა, გემის ფორმის. იმავე წელს საფრანგეთში, სასტუმრო „მაჟესტიკს" მიენიჭა გრან-პრი და ოქროს მედალი, როგორც ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროს.

1910 წელს გაიხსნა არამიანცის საავადმყოფო. იგი გათვლილი იყო 120 საწოლზე და ჰქონდა ქირურგიული და თერაპიული განყოფილებები. საავადმყოფოში მკურნალობა უფასო იყო. ექიმებისა და მომსახურე პერსონალის ხელფასი, პაციენტების კვებისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები ქველმოქმედებით იფარებოდა.

1921 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ მოხდა მეწარმის ქონების კონფისკაცია-მას ჩამოართვეს საცხოვრებელი სახლი მაჩაბლის ქუჩაზე, ოჯახი კი გამოასახლეს. მორალურად და სულიერად გატეხილი მეწარმე 1924 წელს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბათუმიდან გემ-ცისტერნებით და საექსპორტო ჭურჭლით გაგზავნილი

ნავთობპროდუქტები 1900-1913 წლებში

წლები	ბათუმიდან უცხოეთში და რუსეთში გადაზიდული ბაქოს ნავთობი (მილიონ ფუთობით)	ბათუმიდან გაზიდული ნავთობის ის ნაწილი, რომელიც გაიგზავნა თუნუქის ბიდონებითა და ხის კასრებით (მლნ ფუთობით)
1900	60,7	20,4
1901	74,4	22,3
1902	78,3	25,5
1903	84,2	20,5
1904	70,6	21,3
1905	23,9	5,3
1906	20,3	5,0
1908	24,3	6,4
1912	30,3	7,1
1913	21,7	5,8

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატ 1864-1917. თბ. 1976 გვ 202

1896 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი" იუწყებოდა: ბათომი. 28 ნოემ-

№ 72 Батумъ.
Batum.

Нефтяной городокъ.
Nafta urbeto.



www.pavo.com.ua/ Kom/ Zom/ 1/ 2-1996



Въ Батумскомъ порту. Итальянскій пароходъ накачиваетъ нефть, купленную на русскихъ промыслахъ.

ბერი, გუშინ საღამოს 6 საათზე შეიქმნა საზარელი გუგუნი ქარხნებში და მთელი ბათომი დაფარა შავმა კვამლმა. მთელი ქალაქი შეიძრა „ქარხნები ინვისო". მთელმა პოლიციამ ქარხნებთან მოიყარა თავი. პირველად ცეცხლი მოედო შახბაზოვის ქარხანას, შემდეგ გრამატიკოპულოსას. რკინის გზის მოხელეებმა ხუთი სასავესვაბი ნავთისა საჩქაროდ გამოიტანეს. შახბაზოვისა და გრამატიკოპულოს ქარხნებიდან ნატამალიც არ დარჩენილა. დაიწვა ნავთის ყუთების გასაკეთებელი და ნავთის გადასასხმელი მანქანები, ნავთით სავსე და საზღვარგარეთ საგაგზავნი ყუთები და აუარებელი ფიცარი და სხვ. [261, 3].

Исай Егоровичъ Питоевъ.

ნავთობპროდუქტების წარმოებით დაკავებული იყო **ი.ე.პითოევი.** იგი დაიბადა თბილისში, შეძლებულ ოჯახში. ეწეოდა წარმატებულ კომერციულ საქმინობას, ამარაგებდა სამხრეთ კავკასიის ჯარის ნაწილებს საკვები პროდუქტებით, შემდეგ თევზრეწვას მოჰკიდა ხელი, მოგვიანებით კი ბაქოს ნავთობით დაინტერესდა. ამ მიზნით მან ჩამოაყალიბა ამხანაგობა „ი.ე.პითოევი და კომპანია", რომელიც ეწეოდა ნავთობპროდუქტების გადამუშავებას და ჰქონდა საკუთარი გემთმიმოსვლა კასპიის ზღვაზე. პითოევი გამოირჩეოდა ხელოვნების მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით. 1887 წელს იგი გვევლინება თბილისის სამთავრობო თეატრის (შემდგომში ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის) მმართველად და ბევრჯერ გამოუყვანია თეატრის კოლექტივი კრიტიკული ეკონომიკური სიტუაციიდან. 1901 წელს მეწარმემ საკუთარი სახსრებით ააშენა ულამაზესი შენობა, სადაც კერძო თეატრი და თბილისის სამსახიობო საზოგადოება განთავსდა. მას უწოდებდნენ „პითოევის სახლს" (ამჟამად აქ შ.რუსთაველის სახელმწიფო თეატრია განთავსებული). ი.ე.პითოევი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა თეატრალურ წრეებში. სწორედ მისი უდიდესი ძალისხმევით თბილისს სტუმრობდნენ მსოფლიო დონის თეატრალური მოღვაწეები პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, პარიზიდან, ვენიდან, რომიდან, მიუნხენიდან, ბერლინიდან, ვარშავიდან, პრაღიდან და ა.შ.

ბათუმთან იყო დაკავშირებული ქართველი კაპიტალისტების **ჯაყელების** ნავთობსამრეწველო და სავაჭრო ამხანაგობა, რომელიც 1880 წელს დაარსდა [136, 119]. ამ გვარის წარმომადგენელთაგან ნ.ჯაყელი საგანგებო ეკონომიკუ-

რი მისიით ახლდა დამოუკიდებელი საქართველოს საგრეო საქმეთა მინისტრს კ.საბახტარაშვილს იტალიაში, ეკონომიკურ-ფინანსური აგენტების მუშაობა ევროპაში სასარგებლო და აუცილებელი იყო, ისინი უცხოეთში ჩვენი ქვეყნის პროპაგანდას ეწეოდნენ [113, 185-186].

1908 წელს გაზეთი „სავაჭრო გზა" წერდა: „ბაქო. ნავთის მწარმოებელმა და სავაჭრო საზოგადოებამ ს. და ი.ჯაყელი და ამხანაგობამ გამოაცხადა თავის მოქმედების წლიური ანგარიში (1907 წ.). წევრებს მიეცათ დივიდენდი 4%. საზოგადოებამ დაადგინა თავის ნავთიანი ადგილი ბიბიეიბათში გადასცეს იჯარით ი.კ.ზუბალაშვილს 3 წლის ვადით 25 ათას მანეთად წლიურად. გამგეობამ უნდა აირჩიოს ცალკე პირი, რომელსაც ჩააბარებენ საქმის ყოველივე წარმოებას. ამხანაგობის დირექტორებად არჩეულ იქმნენ ლ.კ.ზუბალაშვილი, ი.კ.ზუბალაშვილი და თავ. .ი.თუმანიშვილი" [192, 3]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბაქოში, 1873 წელს პირველად, სწორედ ძმებ ჯაყელებს დაუფუძნებიათ კასრების ქარხანა ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის. ამისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები მათ მარსელიდან ჩამოუტანიათ [64, 389].

1860 წლებიდან **კონსტანტინე ზუბალაშვილმა** ბაქოში სანავთო ადგილები შეიძინა და 1873 წლიდამ ნავთის საქმეს მოჰკიდა ხელი. ნავთის მოპოვების და მის ასპარეზის განვითარება-აღორძინებაში იგი წარჩინებულ პირად ითვლებოდა. ნამეტნურ აღსანიშნავია მისი შრომა „ბიბიეიბათის" ალაგს, სადაც მაშინ ნავთის ამოსვლის იმედი არავის ჰქონდა, მაგრამ ამ გარემოებასაც დასძლია მისი ენერგიით აღვსილმა მხნეობამ და საწადელსაც მიაღწია. მის მამულში ამოფეთქა ნავთის წყაროებმა, კონსტანტინეს საქმეებიც ფეხზედ დადგა და წელში გაიმართა [276, 162-163]. კონსტანტინე ზუბალაშვილს ამ საქმეში უთუოდ იღბალმაც უშველა. „ბაქოს კლიმატს ცუდად უმოქმედია კონსტანტინესა და მისი მეუღლის ელისაბედის ჯანმრთელობაზე, რევმატიზმით დაავადებულან და სამკურნალოდ წასულან საფრანგეთის ბასკეთში, პირინეის მთებში, მსოფლიოში სახელგანთქმულ ლურდის ბალნეოლოგიურ კურორტზე. ამ დროს საქვეყნოს იყო ცნობილი იქაური წმინდა წყლის სასწაულმოქმედი ძალა. ჩანკურნებულმა ცოლ-ქმარმა საფრანგეთიდან თბილისში „ბიდონებით" ჩამოიტანეს ეს წყალი, რომლის ერთი ნაწილი წაიღეს ბაქოში და ცოტა-ცოტა ჩაასხეს უმოქმედო ჭაბურღილებში. სწორედ იმ ღამეს მოხდა სასწაული, ყველა ჭაბურღილიდან ამოხეთქა ნავთობმა, რომელიც მალე გახდა კონსტანტინე ზუბალაშვილისა და მისი მემკვიდრეების ზღაპრული სიმდიდრია წყარო [228, 90-91].

ბაქოდან ბათუმში დიდი რაოდენობით ნავთობპროდუქტების თავმოყრამ დღის წესრიგში დააყენა რეზერვუარების მშენებლობის საკითხი. უკვე 1892 წლისათვის მათი რაოდენობა 97 უდრიდა, ხოლო 5 წლის შემდეგ მათი რიცხვი 109-მდე გაიზარდა. რეზერვუარების საერთო ტევადობა 12 881 000 ფუთს აღემატებოდა. მოქმედი რეზერვუარებიდან 25 **როტშილდის** ფირმის საკუთრებას წარმოადგენდა, 22-**ნობელისა** და ა.შ.

ბათუმში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის საწარმოების მშენებლობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლებში დაიწყო. ისინი საზღვარგარეთული მანქანებითა და მოწყობილობებით იყო აღჭურვილი და თუნუქის ბიდონებსა და ხის ყუთებს ამზადებდა. ნავთით სავსე ორი ბიდონი (მათი საერთო ტევა-

დობა 1,8 ფუთს უდრიდა) ხის ერთ ყუთში იდგმებოდა. ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დასამზადებლად საჭირო ნედლეული და მასალები ბათუმში რუსეთიდან და ევროპიდან, ხე-ტყე კი ავსტრია-უნგრეთიდან, ანატოლიიდან და რუსეთიდან შემოჰქონდათ. 1898 წლიდან სამსალე ფიცარი შემოდიოდა კოდორის ხეობიდანაც, სადაც მას მაქსიმოვის ფირმა ამზადებდა. თეთრი თუნუქი შემოჰქონდათ ინგლისიდან, თუთიის ფურცლები, ასევე სალურსმე მავრთული რუსეთიდან შემოდიოდა, კალაზოდი-ინგლისიდან და საფრანგეთიდან, ტყვია-ესპანეთიდან და საფრანგეთიდან, სპილენძი, მარილმჟავა და სხვა სარჩილავი მასალა-რუსეთიდან და საფრანგეთიდან.

ბათუმში, 1896-1899 წლებში, ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის საწარმოების

მიერ დღეში საშუალოდ მოხმარებული იყო:

ფიცარი	477 კუბ. საჟენი
თუნუქი	5 539 ფუთი
ტყვია	3 171 გირვანქა
ლურსმანი	15 539 გირვანქა
თუთია	4 576 გირვანქა
მარილმჟავა	2 061 გირვანქა

ეს ნაწარმი შემოჰქონდათ იმ გემებით, რომელნიც აქ ნავთობის წასაღებად მოდიოდნენ [136, 203-204].

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში ფუნქციონირებდა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის მწარმოებელი 10 საწარმო. მათი მფლობელები იყვნენ: **პალაშოვსკი და ბუნგე, როტშილდი, რიხნერი, მანთაშევი, სიდერიდისი, ციციანოვი, გრამატიკოპულო, სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკი, ხაჩატრიანცი და მესროპოვი.**

1882 წელს ბათუმში ფუნქციონირება დაიწყო **პალაშოვსკის და ბუნგეს** ქარხანამ, რომელიც ნავთის საექსპორტო ჭურჭელს (ხის ყუთები და თუნუქის ბალონები) ამზადებდა. ქარხანა აღჭურვილი იყო იმ დროისათვის მოწინავე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით. ყოველწლიურად მზადდებოდა 22 მლნ ცალი თუნუქის ბალონი და 11 მლნ ერთეული ხის ყუთი.

1886 წელს პალაშოვსკის ქარხნის მეპატრონედ მსოფლიოს უძლიერესი ფინანსური იმპერიის წარმომადგენლები-**როტშილდები** გვევლინებიან, რომლებმაც კიდევ უფრო გააფართოეს აღნიშნული წარმოება. 1876 წელს **ბარონ ალფონს დე როტშილდის** ინიციატივით, ბათუმში დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „კასპია-შავი ზღვის ნავთობის სამრეწველო და სავაჭრო სააქციო საზოგადოება"(ბნიტო) რომელშიც მასთან ერთად გაერთიანდნენ **ძმები ნობელები, ჯახი ზეინალაბდინ ტალიევი, მანთაშევი** და სხვა მენავთობენი. როტშილდის ქარხანაში მთელი საწარმოო პროცესი მექანიკური ძალით მომუშავე მანქანების სისტემით მიმდინარეობდა. თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების დამზადება



280 მექანიკურ დაზგაზე წარმოებდა. სხვადასხვა საამქროები რკინიგზის სადგურთან და ნავსადგურთან რელსებიანი გზებით იყო დაკავშირებული. 1904 წლისათვის როტშილდის ქარხანაში დასაქმებული იყო 1 590 მუშა [136, 206-207].

1892 წელს მოგზაური და ეთნოგრაფი **ნიკოლოზ ლენდერი** (რეიხელტი) ორჯერ ჩასულა ბათუმში, გემ „ზაპოროჟეცით". დაწვრილებით გაცნობია ასებულ მდგომარეობას. მისი ცნობების თანახმად: ბათუმში რკინიგზის შემოყვანამ (1883 წ.), შემდეგ მრეწველობის განვითარებამ (აშენდა ნავთობის ჩამომსხმელი და სახუფავი ქარხნები), აქ მუშახელის დიდ რაოდენობას მოიყარა თავი. ლენდერი მიუთითებს, რომ ნავთობის ჩამოსასხმელი და სახუფავი ქარხნები პირველად ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააგეს, 1883 წელს კი რიხნერმა და კოჩეტკოვმა. ლენდერი ამბობს, რომ ნავთობის საქმე რუსებმა წამოიწყეს, მოგება კი უცხოელებს ერგოთ. ეს ქარხნები სხვადასხვა ევროპელმა კაპიტალისტებმა შეიძინეს და სააქციო საოგადოებები დაარსეს. ყველას აჯობა როტშილდმა, რომელმაც ნავთობის უზარმაზარი საექპორტო საზოგადოება შექმნა [56, 32-33].

ტექნიკურად საუცხოოდ იყო აღჭურვილი **რიხნერის** მიერ 1883-1884 წლებში აგებული ქარხანა, სადაც თუნუქის ბიდონები 66 მექანიკურად მოქმედი აპარატით მზადდებოდა, ხოლო ხის ყუთები 39 დაზგაზე [136, 206-207]. ქარხანა მოქმედებაში მოჰყავდა სამანქანე განყოფილებას, ორთქლის ქვაბს, დინამომანქანას, მთელი საწარმოო პროცესი მექანიზებული იყო. „ფირმას ნავთობის

წარმოდგენილ ცხრილში ჩანს იმ შედარებით მსხვილი სამრეწველო–სავაჭრო საწარმოების ტექნიკური მონაცემები რომლებიც XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში ეწეოდნენ ბათუმში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამზადებას

ფირმის სახელწოდება	ორთქლის მანქანები		ორთქლის ქვაბები		დინ-ამომან ქანები	საწარმოთა მონყობილობა		
	რიცხ-ვი	სიმძლავრე (ცხ.ძალა)	რიცხვი	სიმძლავრე (ცხ.ძალა)		ხის ყუთების დასამზადებ-ელი დაზგები	თუნუქის ბიდონების დასამზადებელი დაზგები	სარჩილავი ღუმელები
ბნიტო	2	350	11	547	3	164	208	65
რიხნერი	2	30	3	115	1	39	51	15
შუტცი და ციმერმანი	–	–	3	26	–	–	–	–
მანთაშევი	6	138	6	237	3	29	68	17
სიდერიდისი	1	24	2	80	1	12	52	9
ძმ.ციკვიანოვები	1	40	2	67	1	16	46	18
შხიანცი	–	–	–	–	–	–	–	–
ესროპოვი	1	15	1	30	–	6	8	2
გრამატიკოპულო	2	28	1	20	–	14	24	6
ნანოიანცი	–	–	–	–	–	–	–	–
რუსეთ-კავკასიის ანხანაგობა	–	–	1	24	–	–	–	–
ნობელი	–	–	5	145	2	–	–	–
ბალფრუა	–	–	–	–	–	–	–	–
ვაგსტაფი და ბლეი	–	–	1	80	–	–	–	–
სამხრეთ რუსეთის ბანკი	1	12	1	12	1	15	58	12
მატიევიჩი	–	–	2	84	–	–	–	–
ხაჩატრიანცი	1	16	1	20	1	6	31	1
შიბაევი	–	–	3	121	–	–	–	–
ამიერკავკასიის ამხანაგობა	–	–	–	–	–	–	–	–
ბაქოს სტანდარტი	–	–	2	38	–	–	–	–
ამიერკავკასიის რკინიგზა	–	–	3	90	–	–	–	–

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი. 1864–1917. თბ. 1976 გვ 21

მარაგისათვის გააჩნდა 8 რეზერვუარი 266 ათასი ფუთის ტევადობით [212, 132].

ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელთა შორის ერთ-ერთი სოლიდური საწარმოს მფლობელი იყო **სიდერიდისის** ფირმა. მის ქარხანაში მრავალი საამქრო და რამდენიმე განყოფილება მოქმედებდა. იყო დამხმარე სახელოსნოებიც. ქარხნის 52 დაზგაზე თუნუქის ბიდონები, ხოლო 12 დაზგაზე ხის ყუთები მზადდებოდა. წარმოების თითქმის მთელი პროცესი მექანიზებული იყო. ქარხნის ტერიტორიაზე დაგებული ჰქონდათ ლიანდაგი, რომელიც რკინიგზის სადგურამდე გრძელდებოდა. ფირმის რეზერვუარები 120 ათას ფუთ ნავთობს იტევდა. 1904 წლისათვის სიდერიდისის საწარმოში დასაქმებული იყო 325 კაცი [136, 208].

ნიკოლოზ ლენდერი (რეიხელტი)
1864-1924

ტექნიკურად კარგად იყო აღჭურვილი 1888 წელს ამოქმედებული ძმები **ციციანოვების** ქარხანა. 59 დაზგაზე მზადდებოდა თუნუქის ბიდონები, 18 დაზგაზე კი ხის ყუთები. სამანქანე განყოფილებას ემსახურებოდა 2 ორთქლის ქვაბი, იქვე მოქმედებდა ხე-ტყის სახერხი, საზეინკლო და სამჭედლო სახელოსნოები. ქარხნის ტერიტორიაზე იდგა რეზერვუარები 2,5 მლნ ფუთი ნავთობის ტევადობით. იქვე არსებობდა რამდენიმე დამხმარე ნაგებობაც. მექანიზებულ საამქროს, განყოფილებებს და დამხმარე სახელოსნოს წარმოადგენდა **გრამატიკოპულოს** ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის საწარმო. სამანქანე განყოფილებაში იდგა 2 ორთქლის ქვაბი, რამდენიმე სამუშაო მანქანა. თუნუქის ბიდონები მზადდებოდა 24 დაზგაზე, ხის ყუთები კი 14-ზე. სარჩილავ სახელოსნოში 6 ღუმელი იდგა, ჩამოსასხმელ სადგურში 2-ორთქლის და 1 ხელის ტუმბო მოქმედებდა. ქარხანა ლიანდაგებით უკავშირდებოდა რკინიგზის სადგურს [198, 104-105].

ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოების შესახებ პ.გუგუშვილი წერს: „თეთრი თუნუქი, რისგანაც კეთდებოდა ბიდონები შემოჰქონდათ ინგლისიდან. ქ.ბათუმში ნავთობის ტარის მწარმოებელი სარეწავების მიერ გამოწერილი თუნუქი თავისუფალი იყო საბაჟო საფასურისაგან, მიუხედავად იმისა, რომ საიმპერიო საბაჟო ტარიფით უცხოეთიდან შემოტანილ ყოველ ფუთ თუნუქზე დაწესებული იყო 7 მან. საბაჟო საფასური. 1888 წელს შემოტანილ იქნა 1 მილიონ ფუთამდე თუნუქი. ამ დროს რუსეთის იმპერიაში შემოტანილი თითქმის



მთელი თუნუქის მოხმარება ხდებოდა ბათუმში. მაგ: 1889 წელს რუსეთში შემოტანილი იქნა (მხოლოდ ინგლისიდან) 1 076 724 ფუთი თუნუქი, აქედან მხოლოდ ბათუმში იქნა შემოტანილი 1 059 161 ფუთი. ბიდონი კეთდებოდა ორგვარი თუნუქისაგან. საძირე უფრო უფრო სქელი იყო. გაკეთებული ბიდონი იწონიდა 3 გირვანქას, 90-იანი წლების დასაწყისში ქარხნის თვითღირებულებით ჯდებოდა 24-28 კაპიკი" [64, 327].

„სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის" თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების ქარხანა ტექნიკურად კარგად იყო აღჭურვილი. ბიდონები 70 დაზგაზე მზადდებოდა, ხის ყუთები 15-ზე, საწარმოს საამქროები ერთმანეთთან, ასევე რკინიგზის სადგურთან ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით იყო დაკავშირებული. ნავთობის რეზერვუარების ტევადობა 77 ათას ფუთს აღემატებოდა [136, 209].

ასეთივე ქარხანა ჰქონდა მეწარმე **ხაჩატრიანცს.** სამანქანე განყოფილებაში მოქმედებდა ორთქლის ქვაბები და მისი ძალით მომუშავე მანქანები. ჩამოსასხმელ სადგურს ემსახურებოდა მექანიკური და ხის ტუმბოები. მეწარმე

ემუშავებდა ხე-ტყის სახერხს, სადაც იდგა 6 დაზგა, სარჩილავ სახელოსნოში კი 2 ღუმელი. ქარხანასთან ფუნქციონირებდა სადურგლო და სამჭედლო სახელოსნოები. მისი რეზერვუარები 185 ათას ფუთს იტევდა.

ნავთის პროდუქტების ექსპორტის საჭიროებას ემსახურებოდნენ ბათუმში არსებული ხის კასრების დამამზადებელი საწარმოებიც. ისინი უშვებდნენ მუხის და წიფლის კასრებს, რითაც უცხოეთში იგზავნებიდა ბენზინი, მაზუთი, უმაღლესი ხარისხის საზეთი სითხე და ნავთის ნარჩენები, ასევე მცირე რაოდენობით ნავთიც. მსხვილ საკასრეებს ფლობდნენ **„ბნიტო", რიხნერი, შუტცი და ციმერმანი, შხიანცი, ბალფრუა, მესროპოვი, ბოსტგაფსა და ბლეი, ნანოიანი, რუსეთ-კავკასიის ნავთობის საზოგადოება.** [136, 211-212].

ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის საჭირო საკასრე წარმოების შესახებ პ.გუგუშვილი წერს: „კასრებს სამხრეთ კავკასიაში ამზადებდნენ უმთავრესად ნავთობპროდუქტებისა და ღვინის სატრანსპორტო და დასაცავი ტარის სახით. ამ პროდუქტებით ვაჭრობის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია კასრების მასობრივი წარმოების აუცილებლობა, რაც ბათუმში მანუფაქტურული სარეწების სახით იქნა ორგანიზებული. 1890-იანი წლების დასაწყისში ბათუმში ყველაზე მსხვილი საკასრე სარეწავი ჰქონდა **ა.კრისინს**. ამ სარეწავში წლიურად 30 ათასამდე კასრი მზადდებოდა, სახელოსნო მთლიანად მანუფაქტურული ტიპისა იყო. მსხვილი საკასრე სარეწავები ჰქონდა აგრეთვე **შხიანცს** (გაიხსნა 1886 წელს), **ბოსტგაფსა და ბლეის** (1893 წ.), **სარუხანოვსა და კომპანიას** (1896 წ.), **ბელფრუას** (1901 წ.), **ჰელიხ ვახენჰაიმს** (დაიხურა 1903 წელს)" [64, 228-229].

ცხრილში ნაჩვენებია ბათუმში მოქმედი საკასრე საწარმოების მიერ დამზადებული კასრების რაოდენობა (ცალობით)

წლები	ბოსტგაფი და ბლეი	სარუხანოვი და კომპანია	ე.ფ.მალლარი	შხიანცი
1892	-	-	-	7 500
1893	-	-	-	7 800
1894	-	-	-	8 000
1895	-	-	-	8 700
1896	10 102	-	-	9 300
1897	9 114	-	-	10 300
1898	11 629	8 000	-	14 201
1899	23 273	-	-	11 550
1900	28 078	4 214	8 430	15 092
1901	23 834	5 834	14 050	13 249
1902	20 254	6 250	11 315	12 881

მასალა აღებულია ნაშრომიდან: გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941. გვ. 229

ამ სარეწავებში ამზადებდნენ მუხისა და წიფლის კასრებს, მხოლოდ ერთი აწარმოებდა კასრებს ღვინისათვის, ყველა დანარჩენი თავმოყრილი იყო ბა-

თუმში და ამზადებდა კასრებს როგორც თვით ნავთის, ასევე ნავთობის სხვა პროდუქტებისათვისაც. მუხის კასრი შედარებით გამძლე იყო და 10-მდე რეისს იტანდა, მაშინ, როდესაც წიფლისა 3 რეისზე მეტს ვერ უძლებდა. მუხის 6 გვირგვინიანი კასრი გარედან იღებებოდა ლურჯად, ხოლო შიგნიდან მას მოასხამდნენ სადურგლო წებოს. ასეთი კასრი იტევდა 9-12 ფუთამდე ნავთობს [64, 228-229].

ცხრილში ნაჩვენებია ბათუმის ნავსადგურიდან კასრებით გატანილი ნავთობის რაოდენობა (ფუთობით)

1897	1 184 400	1901	1 325 400
1989	1 238 900	1902	1 019 010
1899	1 227 600	1903	1 059 700
1900	1 439 600		

მასალა აღებულია ნაშრომიდან: გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941. გვ. 231

XX საუკუნის პირველ ათწლეულმა მნიშვნელოვნად შეცვალა მდგომარეობა ბაქოს ნავთობის მოპოვება-რეალიზაციის საქმეში. როტშილდი „გერმანული ბანკის“ რუმინულ საწარმოთა სააქციო საზოგადოება „სტეცა რომანას“-ს საქმიანობაში მონაწილეობდა. „კასპია-შავი ზღვის სააქციო საზოგადოება“ როტშილდს ეკუთვნოდა. მანთაშევი ნავთობის საქმეს თითქმის მთლიანად გაეცალა და პარიზში დასახლდა.

1914 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი რამოდენიმე მცირე საწარმო:

საწარმოს დასახელება	მუშათა რიცხვი	წლიური წარმადობა (ათას მანეთობით)
ძმ.არვანიტიდის თუნუქის ბიდონების, ხის ყუთების და ნავთის ჩამომსხმელი ქარხანა	250	200
მ.ხაჩატრიანცისა და კომპ. თუნუქის ბიდონების, ხის ყუთების და ნავთის ჩამომსხმელი ქარხანა	190	1 700
„მარსის“(პიტოევები) თუნუქის ბიდონების, ხის ყუთების და ნავთის ჩამომსხმელი ქარხანა	80	900
„კასპია-შავი ზღვის ნავთობსარეწ. და სავაჭრო საზოგადოების ნავთის ჩამომსხმელი სადგური	110	1 000

რილსკების ნავთის ჩამომსხმელი სადგური	11	900
„რუსეთ-კავკასიის საზოგადოების ნავთობის ჩამომსხმელი სადგური ამხანაგობა ს.მ.შაბაევისა	16	1 800
ნავთობის ჩამომსხმელი სადგური	6	7 400

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი. 1864-1917. თბ. 1976 გვ 226

ს.შიბაევისა და კომპანიის სააქციო საზოგადოება რუსულ მარკას მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდა, სინამდვილეში ინგლისურმა კაპიტალმა შეიძინა. ნავთობის საერთაშორისო მონოპოლია-„ნავთობის შემნახველი და გადამზიდველი სააქციო საზოგადოება" ეკუთვნოდა ამერიკულ მონოპოლიას „სტანდარტ ოილ კომპანიას", რომელიც რუსეთში „ინგლისურ-ამერიკული კომპანიის" ალმით მოქმედებდა, ხოლო ხმელთაშუა ზღვის აუზში „იტალიურ-ამერიკული კომპანიისა". ნავთობის ეს საერთაშორისო მონოპოლიები დაინტერესებულნი იყვნენ რუსული, ამერიკული და რუმინული ნავთობის მომგებიანი რეალიზაციით მაღალ ფასებში. ამ მიზნით, მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს ბაქოს ნავთობის ევროპასა და აზიაში გაზიდვის შეწყვეტა და მტკიცედ გადაწყვიტეს ამ პროდუქციის მხოლოდ რუსეთის შიდა ბაზრებზე გასაღება. ამ მონოპოლიების ამგვარმა პოლიტიკამ ნავთობზე იმდენად მაღალი სარეალიზაციო ფასი დააწესა, რომ ბათუმიდან თუნუქის ბიდონებით ნაწარმის საერთაშორისო ბაზრებზე გატანამ აზრი დაკარგა. ყოველივე ამან კი ბათუმში მოქმედი ნავთობის გადამამუშავებელი და მისი სატრანსპორტო ჭურჭლის მსხვილი ქარხნების ლიკვიდაცია გამოიწვია [136, 223-224].

ბათუმის ნავსადგურის პროექტი ადმირალ **გრევეს** შეუდგენია, მან ხელისუფლებას შესთავაზა ნავსადგურის აგება მდინარე ყოროლისწყლის შესართავამდე. ამით დავამშვენებთ ქალაქს, დავიცავთ მას ღელვისაგან, ამასთან ყურეში საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ხომალდებიც შეაფარებენ თავსო. სახსრების ნაკლებობის გამო, გრევეს პროექტი ამ სახით არ მიღეს და 1884 წელს შეუდგნენ იმ ნავსადგურის აგებას, რომელიც დღემდე არსებობს. მშენებლობაზე გამოიყენეს ბათუმის გალავნის ქვები და 1889 წლიდან ნავსადგური მთლიანად საექსპლოატაციოდ გადასცეს. 1888 წელს კი გემებში ნავთობის ჩასასხმელი უბანი მოაწყვეს. მშენებლობას ბუნგე და პალაშკოვსკი ხელმძღვანელობდნენ. გრევე 1878 წლიდან ნავსადგური უცვლელი უფროსი ყოფილა [56, 34].

1905 წლის ცნობილი პოლიტიკური მოვლენების შემდეგ ბათუმში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნები ერთმანეთის მიყოლებით დაიხურა. 1908 წლისათვის ფაქტიური მდგომარეობა ასეთი იყო:

ფირმა	მუშათა რიცხვი	ძრავთა სიმ-ძლავრე	წლიური წარმადობა (მანეთობით)
თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების ქარხნები:			
მანთაშევი და კომპ.	359	235	617 500
სიდერიდისისა და არვანიტიდის სავაჭრო სახლი	350	74	633 000
ნავთობის საექსპორტო ფირმები:			
კასპია-შავი ზღვის საზოგადოება (ბნიტო)	57	388	149 660
ძმ.ნობელები	34	309	122 844
რილსკების მემკვიდრენი	25	15	105 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი. 1864-1917. თბ. 1976 გვ 220

სამხრეთ კავკასიაში ნავთობპროდუქტების წარმოებისა და ტრანსპორტირების საქმეში ღირსეული ქართველი კაცის სახელიც ფიგურირებს, კაცის, რომელიც საერთაშორისო მასშტაბებით ცნობილი პიროვნება გახლდათ, დაახლოებული იყო ირანის შაჰთან, მოჰამედ რეზა ფეხლევთან, შემდეგ მის მემკვიდრესთან, აჰმედ შაჰთან და დიდი გავლენით სარგებლობდა შაჰის კარზე, პირადად იცნობდა ჩერჩილს და რუზველტს [267, 507-512]. ეს სასახელო ქართველი **აკაკი ხოშტარია** იყო. ქართველ მეწარმე-მეცენატთა შორის ანალიტიკური მახვილგონივრულობით, ფართო თვალსაწიერით, აზარტული გატაცებით, პროექტების და ქმედებათა ფანტასტიკური მასშტაბურობით გამოირჩეოდა ა.ხოშტარია. ზურაბ ავალიშვილის შეფასებით ა.ხოშტარია იყო „ამერიკული ყაიდის" ბიზნესმენი [50, 3]. იგი დაიბადა 1873 წელს აბაშის რაიონში, სოფ. სუჯუნაში. მისი მამა, მეთოდე ხოშტარია სამეგრელოს თავადაზნაურთა წრეს ეკუთვნოდა და იყო სამეგრელოს საეკლესიო მიწების მოურავი. ოჯახის ეკონომიკურმა სიძლიერემ მას მიაღებინა გადაწყვეტილება შვილი სასწავლებლად რუსეთში გაეგზავნა. აკაკი ხოშტარიამ განათლება პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ ათი წლის განმავლობაში საკუთარი სპეციალობით მებაღე-დეკორატორად მუშაობდა გაგრაში პრინც ოლდენბურგთან [267, 507-512]. აკაკიმ პრინცს არნახული ბაღი გაუშენა და საკუთარი კაპიტალის დაგროვებაც შეძლო. XIX საუკუნის ბოლოს იგი ბრუნდება საქართველოში. 1898 წელს ქალაქ ბათუმის მთავარ მებაღედ აკაკი ხო-

შტარია ინიშნება. მან კურსი ვარდ-ყვავილების უპირატეს გაშენებაზე აიღო და შეარქვეს კიდეც „ვარდების მეფე". მთელი სანაპირო ზოლი და ქალაქი ვარდნარებით მოქარგა. იგი 1902 წლამდე მოღვაწეობდა ქალაქის მთავარი მებაღის თანამდებობაზე. შემდეგ კომერციულ საქმიანობაში ჩაება [159].

აკაკი ხოშტარიას ცხოვრების შემდგომი განვლილი გზა ცხადყოფს, რომ მისი დახვეწილი გემოვნება, პროფესიონალური სრულყოფისაკენ დაუოკებელი სწრაფვა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზების დიდი სურვილი სიცოცხლის ბოლომდე დეკორატორად დარჩენის არჩევანს არ დაუტოვებდა, ამიტომ აკაკი ხოშტარიამ მიღო გადაწყვეტილება ხელი მოეკიდა ვაჭრობა-მრეწველობის საქმისათვის. ახალგაზრდობაში აკაკი ფოთში მეგობრობდა მენვრილმანე ვაჭარ ზოდელავასთან.

ერთხელ მეგობრებმა გადაწყვიტეს სავაჭრო გემით ნავთი წაელოთ ოდესაში სარეალიზაციოდ, მაგრამ ტუაფსესთან ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემი თურქეთში გაიტაცა, სადაც ნავთი ოქროს ფასად გაყიდეს. ამის შემდეგ ზოდელავამ თბილისში მარჯანიშვილის ქუჩაზე შეისყიდა საცხოვრებელი სახლი, ხოლო აკაკი წავიდა ბაქოში და მრეწველ მილიონერ **მუსანაგიევისაგან** იყიდა ნავთის სარეწები. ასე, რომ აკაკი ხოშტარიას სამომავლო გზა გარკვეულწილად ილბალმაც განსაზღვრა [153, 10-11].

მიუხედავად იმისა, რომ მისი კომერციის სფეროში მოღვაწეობა ძალზე რთულ პერიოდს დაემთხვა (პირველი მსოფლიო ომი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი წლები, საქართველოს ანექსია), აკაკი ხოშტარიამ პატიოსანი ვაჭრობით და საქმისადმი სიყვარულით მალე მიაღწია წარმატებას და დიდი მასშტაბების მრეწველი და კომერსანტი გახდა. მას თბილისში ჰქონდა საკუთარი სანარმოები: მექანიკური ქარხანა, სამინათმოქმედო მანქანების ფაბრიკა, საპნის ქარხანა... და მაინც აკაკი ხოშტარიას ძირითადი სამრეწველო-სავაჭრო ასპარეზი სპარსეთი იყო [267, 507-512].

1907 წლის 7 აგვისტოდან, სპარსეთის ხელისუფლებამ ა.მ.ხოშტარიას უფლება მისცა კონცესიის საფუძველზე ეწარმოებინა ჭაბურღილებით ნავთობსაბადოების ბურღვა ირანის ხუთ ჩრდილო პროვინციაში, დასავლეთ და აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, გილანში, მაზანდარანსა და ხორასანში. აქვე აკაკი ხოშტარიამ ააშენა ელექტრონით მოქმედი ფაბრიკა, ჰქონდა მრავალი საამქრო, ფლობდა მონოპოლიას საპნის წარმოებაზე, თევზის სარეწებზე, ვაჭრობდა მატყლით, აქვე გაიყვანა სპეციალური რკინიგზა (პირველი რკინიგზა ირანში), დააარსა სატრანსპორტო კომპანია და მანვე პირველმა შეიყვანა ავტომობილები ირანში. სტამბოლში დაარსებული თურქულ-სპარსული ბანკის „ხოშტარიას ბანკის" ურთულესმა სავაჭრო კომბინაციებმა მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო წრეები დააინტერესა [267, 507-512].

აკაკი ხოშტარია ატარებდა „რუსეთ-სპარსული ნავთობის ამხანაგობა"-ს (РУСПЕН-ТО Русско-Персидское Нефтяное Товарищество), რომელსაც უნდა ეწარმოებინა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები. აკაკი ხოშტარიას ძმის შვილიშვილის, ხელოვნებათმცოდნე გიორგი ხოშტარიას გადმოცემით, აკაკი შაჰის მეფობაზე რენა ფეხლევის ნათლია ყოფილა. შაჰის თქმით მთელი ირანი დავალებულია აკაკისაგან. აკაკიმ ნათლულს მიართვა ბრილიანტის თვლებით

აკაკი ხოშტარია (1873-1932)
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



უილიამ ნორქს დარსი-ოქროსა და ნავთობმრეწველი, ირანული ნავთის პირველად აღმომჩენი და ინგლისურ-სპარსული ნავთობკომპანიის დამფუძნებელი

მორთული როიალის ფეხები, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ იგი მდიდარ და გავლენიან პირად ითვლებოდა მთელ ირანში [153, 10-11]. ბ-ნი ჯემშიდ გიუნაშვილის კვლევაში ყველაზე საინტერესოს სწორედ ეს მომენტი წარმოადგენს, მეცნიერი სვამს შეკითხვას და თვითონვე პოულობს პასუხს: „ა.ხოშტარიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მმართველ ყაჯართა დინასტიის პირველ პირებთან და სახელმწიფო აპარატის მაღალი რანგის მოხელეებთან და აი პარადოქსი, ყაჯართა დინასტიის დამაქცეველი რეზა-ხანის გამეფების ცერემონიალის დროს ხოშტარიას ეძლევა საშუალება ახალ გვირგვინოსანს მიართვას იტალიიდან ჩამოტანილი ძვირფასი საჩუქრები. ცხადია ქმედითი და წონადი შუამდგომლობისა და დახმარების გარეშე ყაჯარებთან დაახლოებულ ქართველ ბიზნესმენს ვერ მიესვლებოდა რეზა-შაჰთან და ახალი შაჰიც, რასაკვირველია, არ გამართავდა მასთან თითქმის შინაურ საუბარს. . . დიდია ალბათობა იმისა, რომ რეზა ფეჰლევთან დაახლოებულმა პირმა რეზა-ხანის ბრიგადის შტაბის უფროსმა **ნიკოლოზ მარკოვმა,*** რომელიც აკაკი ხოშტარიას მეუღლის ქ-ნი მინადორას აკლდამის აშენების შემდეგ უთუოდ ახლოს დაუმეგობრდა აკაკი ხოშტარიას, გაუწია მას შუამდგომლობა ახალი მეფის წინაშე" [50, 3].

ირანის ნავთობ პროდუქტებით დიდად იყო დაინტერესებული დიდი ბრიტანეთი, კონკრეტულად კი ინგლისელი ფინანსისტი **უილიამ ნოკს დარსი**, რომელსაც აკაკი ხოშტარიამდე, ჯერ კიდევ 1901 წელს სპარსეთის შაჰის მუზაფარ ალ-დინისაგან შესყიდული ჰქონდა კონცესია ნავთობპროდუქტების და გაზის მოძიების, მოპოვების, გადამუშავების, ადგილზე გაყიდვისა და ექსპორტის შესახებ 60 წლის განმავლობაში. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ ნავ-

---

* **ნიკოლოზ მარკოვი**-დაიბადა და გაიზარდა თბილისში. 1910 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული განყოფილება 1914 წელს კი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი სპარსული ენის სპეციალობით. მან დააპროექტა და ააშენა შვიდი მეჩეთი, ირანის ფინანსთა, თავდაცვის, იუსტიციის სამინისტროს შენობები, მთავარი ფოსტა, იტალიის საელჩო, რუსების, სომხების და ასირიელების ეკლესიები და ა.შ.

თობპროდუქტების გაყიდვიდან 16% შახი იღებდა როიალტის* სახით.

კონცესია მოიცავდა ირანის თითქმის მთელ ტერიტორიას გარდა ხუთი ჩრდილო პროვინციისა. 1909 წელს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ინიციატივით იქმნება ინგლის-სპარსეთის ნავთობკომპანია АПНК (Англо-Персидская нефтяная компания), [312, 285-289], რომელიც ყველაზე სერიოზული კონკურენტი აღმოჩნდა აკაკი ხოშტარიას ფირმისათვის და საბოლოოდ მთელი რიგი პოლიტიკური ბატალიების შემდეგ აჯობა კიდეც. 1918 წელს ხოშტარია შეეცადა გადაეჭრა ამხანაგობის ფინანსური სიძნელეები, დაიწყო მოლაპარაკებები АПНК-ს წარმომადგენლებთან, მაგრამ ინგლისური მხარის პროტესტის გამო თეირანში ეს შეთანხმება ვერ შედგა. მოგვიანებით აკაკი ხოშტარია იღებს გადაწყვეტილებას გაყიდოს ირანში თავისი კონცესიის უფლების ნაწილი. АПНК-ის მიერ 1920 წელს შესყიდულ იქნა ხოშტარიას კონცესიის უფლების 55%, 335 ათას ფუნტ სტერლინგად (განსხვავებულ წყაროებში დასახელებულია განსხვავებული თანხა) და ორგანიზაციამ შექმნა იქ თავისი ფილიალი [323, 85]. ასეთი დაძაბული ცხოვრების მიუხედავად აკაკი ხოშტარიას არასოდეს დავიწყებია საქართველო. „იგი აფინანსებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ რიგ ღონისძიებებს, ამერიკასა და იტალიაში შეიძინა 4 გემი და საჩუქრად გადასცა დამოუკიდებელ საქართველოს, რათა მას საკუთარი საზღვაო ფლოტი ჰყოლოდა [267, 507-512].

1914 წელს მთელი თბილისისათვის ცნობილი გახდა, რომ საჯარო აუქციონის წესით უნდა გაყიდულიყო ცნობილი ქართველი მეწარმის და მეცენატის დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი სერგიევის (შემდგომში მაჩაბლის) ქუჩაზე. როგორც ჩანს, ქართველობას ძლიერ მოუნდომებია ამ სახლისათვის ღირსეული პატრონის გამოძებნა, დაკავშირებია სპარსეთში მყოფ აკაკი ხოშტარიას და შეუთავაზებია მონაწილეობა მიეღო ამ აუქციონში. მართლაც ამავე წელს ა.ხოშტარია ჩამოვიდა თბილისში და შეისყიდა ეს სახლი, შეუდგა მის რესტავტაციას და ხელახლა გადაკეთებას. იტალიიდან და გერმანიიდან ჩამოიყვანა მხატვრები, რესტავრატორები და მთელი 4 წლის მანძილზე მათ მთლიანად მოხატეს და გადააკეთეს სასახლე. აკაკიმ მოაწყო სასახლეში საზაფხულო, ზამთრის ბაღები, ვენეციიდან ჩამოატანინა ლომების და სხვა ცხოველთა ფიგურები, სპარსეთიდან უნიკალური ხალიჩები, მრავალი ანტიკვარული ნივთი. 1919 წელს ახალ სასახლეში მან გამართა დიდი ბანკეტი, სადაც თავი მოუყარა ცნობილ ქართველ საზოგადოებას. მოგვიანებით, როცა დადგა ა.ხოშტარიას საფრანგეთში გამგზავრების საკითხი, მისმა ახლო ნათესავმა პოეტმა დუტუ მეგრელმა (ხოშტარიამ) მისი პირადი სურვილითა და თანხმობით მიმართა მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს, პაოლო იაშვილს, რომ იგი თავის სასახლეს იქ დაცული უძრავ-მოძრავი ქონებით და ძვირფასი ანტიკვარული ნივთებით მთლიანად უსასყიდლოდ, საჩუქრად უტოვებს ქართველ მწერლებს, რათა იქ მოწყობილ იქნეს ხელოვანთა სასახლე. ამის შესახებ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, ფონდი №8 1921 ნ. აღწ №1

* როიალტი-სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადამუშავების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასური

საქართველოს რევკომის მომართვა ხოშტარიას სახლის საქართველოს
მწერალთა კავშირისათვის გადაცემის შესახებ. 1921 წ. 28 თებერვალი
ქ. თბილისი, სასახლე, საქმე №174
საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს
...ხოშტარიას სახლი, რომელიც იმყოფება სერგიევის ქუჩაზე გადაცე-
მულია საქართველოს მწერალთა კავშირისათვის, რათა იქ მოწყობილ იქნეს
ხელოვანთა სასახლე. ეს ბინა განთავისუფლებულია რეკვიზიციისა, ჩასახ-
ლებისა და შეზღუდვისაგან...
თავმჯდომარე: შალვა ელიავა
დივანი: მ.მიქაძე
[153, 169-175].

ძალზე შთამბეჭდავია იმ ძვირფასი ანტიკვარული ნივთების სია, რომელიც სასახლეში დატოვა ა.ხოშტარიამ, მათი ჩამონათვალი არსებობს, თუმცა მათი დიდი უმრავლესობა სამწუხაროდ დაკარგულია.

მომდევნო წლებში დაძაბული დაპირისპირება დაიწყო ყოფილ საბჭითა რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ირანის ნავთობით მდიდარი საბადოების ექსპლოატაციის თაობაზე. აკაკი ხოშტარია შეეცადა, კონტაქტი დაემყარებინა რუსეთის ოფიციალურ პირებთან, ამაში მას დაეხმარა ქართველი ბოლშევიკი **ბუდუ მდივანი**, რომელმაც გააცნო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი **ლ.ბ.კრასინი** და პასუხისმგებელი თანამშრომელი **ბ.ც. სტომონიაკოვი**. რუსეთის მხარემ გამოიყენა აკაკი ხოშტარიას სახელი და დაიწყო ბრძოლა „მისი უფლებების აღსადგენად". აკაკი ხოშტარიამ შეძლო ურთულესი მოლაპარაკებები ეწარმოებინა რუსული მხარის სასარგებლოდ [301, 107-108]. შედეგად შეიქმნა საზოგადოება „ქევირ-ხურიან ლიმიტედი" 4,5 მლნ თუმანი საწესდებო კაპიტალით. დამატებით 250-250 თუმანი შეიტანეს თვით ხოშტარიამ და რუსეთ-ირანის ბანკმა („Русперсбанк"). გამოშვებულ იქნა თითო 50 თუმნის ღირებულების 100 ათასი აქცია, რომლებიც 2 წლის განმავლობაში იყიდებოდა. საზოგადოებაში წილები შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: აქციების 64% ფლობდა საბჭოთა რუსეთი, 20%-ს აკაკი ხოშტარია, ხოლო დანარჩენ 16%-ს ირანული მხარე, რომელთა შორის იყვნენ ირანის შაჰი რეზა ფეხლევი, სასახლის მინისტრი ა.თეიმურტაში, საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი დავარი და სხვ. მოგვიანებით რუსულმა მხარემ საზოგადოების წილები განსხვავებულად გადაანაწილა, სადაც აკაკი ხოშტარია აღარავის გახსენებია.

უდიდესია აკაკი ხოშტარიას, როგორც საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედის წვლილი. მისი უშუალო დაფინანსებით გაშენდა მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი და ახალი ათონის ცენტრალური პარკი. ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით აკაკი ხოშტარიამ საკუთარი ხარჯებით გაიყვანა რკინიგზის ხაზი ფოთსა და აბაშას შორის, ახლად შექმნილ საისტორიო-ეთნოგრაფულ საზოგადოებას ბაქოდან გამოუგზავნა 8 ათასი მან. პარიზისა და ბერლინის უნივერსიტეტებში ბევრი ქართველის ტუდენტი სწავლობდა მის მიერ დანიშნული სტიპენდიებით [267, 507-512]. ამით აკაკი ხოშტარიას საქველმოქმედო საქმიანობა არ მთავრდება. საფრანგეთში, ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ და პრესტიჟულ გალერეაში, მადლენის მოედანზე, რომელსაც „გალერი როზენბერგი" ერქვა

მიხეილ (მიშა) ქორქია და აკაკი ხოშტარია სპარსეთში
წყარო:საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

და სადაც მხოლოდ უფლება ჰქონდათ გამოეფინათ თავიანთი ტილოები ისეთ ცნობილ მხატვრებს, როგორებიც იყვნენ პიკასო, მატისი, დერენი, ბრაკი და კუბიზმის მთელი რიგი წარმომადგენლები, შეიძინა ჩვენი სასიქადულო მხატვრის ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის ანდრე ლოტის სურათები და საჩუქრად გამოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს [153, 169-175]. ასევე მისი ქველმოქმედების შედეგია ქართული უნივერსიტეტისა და თეატრისათვის გაღებული შეწირულობაც. 1918 წელს დაიწყო საჯარო გაყიდვა ქართული ლატარიის ბილეთების. თანხა მოხმარდებოდა უნივერსიტეტს და თეატრს. აკაკი ხოშტარიამ ლატარიას შესწირა 50 ათასი მანეთი" [204]. აკაკი ხოშტარიას დაფინანსებით საზღვარგარეთ უსწავლიათ: სერგი დანელიას, მათე მირიანაშვილს, მიხეილ საბახტარიშვილს, ცნობილ ინჟინრებს: ჟორჟიკა კეშელავას, კუჭა ალანიას, ძმებ მელიებს და ა.შ.

აკაკი ხოშტარიას მეუღლე, მინადორა თურქია გახლდათ მრეწველისა და ფოთის სახელმწიფო ბანკის მმართველის ქალიშვილი, რომლის საკუთრებაშიც იყო შავი ზღვის სანაპიროზე მოქმედი საკონდიტროები. Bუნებრივია, ასეთი გამოცდილების მქონე ადამიანი მისთვის საუკეთესო მრჩეველიც იქნებოდა. მათ საკუთარი შვილი არ ეყოლათ და ქალიშვილი იშვილეს. მოგვიანებით, მეუღლის-მინადორა თურქიას გარდაცვალების შემდეგ 1924 წლის 24 დეკემბერს, უკვე საფრანგეთში მყოფმა ა.ხოშტარიამ თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს, რათა მისთვის დაებრუნებინათ მეუღლის პირადი ნივთები და ფოტოსურათები. მოთხოვნილ ნივთებში იყო მეუღლესთან, მეგობრებთან გადაღებული ფოტოები, სპარსეთ-რუსეთის სატყეო ამხანაგობის ალბომი, ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის ალბომი და ხატები. სიით მოთხოვნილი ნივთები ა.ხოშტარიას არ მიუღია, რასაც ადასტურებს საარქივო დოკუმენტი:

ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს პრეზიდიუმს

ვადგენთ სიას იმ ნივთებისას, რომელთა გადაცემაც განზრახული იყო მოქ. აკ.ხოშტარიაზე, მაგრამ ჯერ არ გადაგვიცია, რადგან არც თქვენგან მოგვიღია პასუხი, მიწერილობა (№32 თებერვლის 11 თარიღით) და ხოშტარიას წარმომადგენლებსაც არ მოუკითხავთ დღემდე.

1925 წ. 9 აპრილი. [153, 169-175].

აკაკი ხოშტარიამ ცხოვრების ბოლო წლები ემიგრაციაში გაატარა, გაატარა იმედით ხვალის, იმედით იმისა, რომ სამშობლო მის ღვაწლს და ამაგს დააფასებდა და მომავალი თაობებისათვის მაგალითად იქცეოდა. იგი 1932 წელს, 59 წლის ასაკში, პარიზში გარდაიცვალა.

ბაქოში ნავთობპროდუქტების წარმოება-გადამუშავების საქმით ყოფილა დაკავებული ქართველი მეწარმე **მანსვეტაშვილი**. მასზე მწირი ინფორმაციაა შემონახული. ვიცით ის, რომ იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, ბაქოში ყოფნის დროს, ნოე ჟორდანია სავარაუდოდ მეგობრობდა მასთან. ალბათ სწორემ ამ ურთიერთობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ როდესაც ლანჩხუთში ყოფნისას იგი დააპატიმრეს და 3 წელი პატიმრობა მიუსაჯეს, საწინდრის თანხა, 3 ათასი მანეთი სწორედ ბაქოში მოღვაწე ქართველმა ნავთობმრეწველმა მანსვეტაშვილმა გადაიხადა [186, 71-75].

სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი)

საქართველოში სოფლის მეურნეობის ძველი, ტრადიციული დარგები იყო მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მიწათმოქმედების დონე თანდათან მაღლდება, მაგრამ გამძლეობას იჩენს მწარმოებლური შრომის კოოპერირების ტრადიციული ფორმები. მიუხედავად ამისა, გუთნეულის სამოქმედო არეალი მცირდება და ხშირად იყენებენ სათეს, სამკალ, სანიავებელ მანქანებს. ყველაზე ბოლოს გამოჩნდა ტრაქტორი. რამდენიმე მამულში ელექტროენერგიასაც იყენებდნენ, მაგრამ ახალი ტექნიკა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მსხვილი მემამულეებისათვის. წვრილგლეხურ მეურნეობებში ჯერ ისევ მამაპაპური იარაღებით საქმიანობდნენ.

XIX საუკუნის 60-90-იან წლებში დიდი ცვლილებები განიცადა საქართველოს სოფლის მეურნეობამ. სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს შორის ყველაზე დიდი ადგილი მარცვლეულის (ხორბლის, სიმინდის) წარმოებას ეკავა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ხორბლის, სიმინდის და სხვა მარცვლეულის ნათესები დაახლოებით 700 ათას ჰექტარზე იყო გაშენებული. საშინაო და საგარეო ბაზრის განვითარება განსაკუთრებულ სტიმულს აძლევდა მეურნეობის ისეთი ახალი დარგების წინსვლას, როგორებიც იყო მეაბრეშუმეობა, მებამბეობა, მეთამბაქოეობა, მოგვიანებით მეჩაიეობა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოყვანა. მეურნეობის მოცემულ სფეროში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა მკვიდრდებოდა, სასაქონლო წარმოების ზრდის მეოხებით სოფელი ქალაქს უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა. საქალაქო ცხოვრების აღმავლობა სოფლის მეურნეობის სასაქონლო ნაწარმზე მოთხოვნილებას ზრდიდა, სტიმულს აძლევდა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების დაწინაურებას, როგორიცაა პურეულის წარმოება, მებაღეობა-მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებამბეობა და ა.შ. ყოველივე ეს საქართველოში კაპიტალიზმის ერთ-ერთ წინაპირობას ქმნიდა [294, 13].



აღმოსავლეთ საქართველოში წამყვანი კულტურა იყო ხორბალი, თუმცა მეტ-ნალკები რაოდენობით ითესებოდა სიმინდი, ლობიო, ბრინჯი და სხვ. საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგებს შორის თავისი ხვედრითი წილით მარცვლეულის მეურნეობა გამოირჩეოდა. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადი კულტურები იყო პური და ქერი, დასავლეთ საქართველოში-სიმინდი, რომელიც იქ თითქმის მონოკულტურას წარმოადგენდა. საქართველოს მთიანეთში პურსა და ქერს შედარებით მეტი ფართობი ეჭირა [136, 63].

ყველა სახის მოსავლის რაოდენობა დაახლოებით 11 მლნ. ფუთს შეადგენდა. მუდმივად აუმჯობესებდნენ აგროტექნიკურ დონეს, ტრადიციული შრომის იარაღები ადგილს უთმობდა ქარხნული წესით დამზადებულ გუთანს, კულტივატორს, სალეწს, ძნასაკრავს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

XIX საუკუნეში და შემდგომშიც გორის მიდამოებში ითესებოდა ხორბლის ისეთი ჯიშები, როგორიც არის წითელი პური, დოლის პური (თეთრი) შავფხა, დიკა, ქერი, ყველაზე მეტ მოსავალს იძლეოდა შავფხა, გვალვიან წლებში იღებდნენ წითელი პურის კარგ მოსავალს. მნიშვნელოვანი ფართობი ჰქონდა დათმობილი დიკას, სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლე ხორბალს. მრავალი სახეობით და ფორმით იყო წარმოდგენილი დოლის პური, რომელსაც ეჭირა ხორბლით ნათესი მინდვრის 80-85%. [127, 74-89].

XIX საუკუნის 80-იან წლებში მარცვლელულის წარმოებამ სავაჭრო-სა-

საქონლო ხასიათი მიიღო. საშინაო ბაზრის უზრუნველყოფასთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ ევროპაში 1 161 378 ფუთი ხორბალი გაჰქონდათ. საექსპორტოდ იყო გამიზნული სიმინდის კულტურის მოსავლის დიდი ნაწილიც. გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში და იმერეთის დაბლობ ზონებში ძირითადად მემამულურ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის 30%, ანუ 5-6 მლნ. ფუთი სიმინდი დასავლეთ ევროპის ბაზრებისთვის იყო განკუთვნილი.

საქართველოს სხვადასხვა მაზრებში პურის მოსავლის და რეალიზაციის სტატისტიკა 1845 წელს

მაზრა	პროდუქციის სახეობა	რაოდენობა (ჩეტვერტებში) ჩეტვერტი დაახლოებით უდრიდა 9 ფუთს	მათ შორის გაყიდული	
			რაოდენობა (ჩეტვერტებში)	თანხა (მანეთებში)
თბილისის მაზრა	პური	267 113	58 680	131 708
	ქერი	132 407	32 148	47 122
თელავის მაზრა	პური	171 295	19 852	59 556
	ქერი	24 070	5 343	10 686
ახალციხის მაზრა	პური	40 300	1 148	2 296
	ქერი	35 910	4 010	4 880
ქუთაისის მაზრა	პური	56 343	11 343	45 372

(ცხრილის მონაცემები ემყარება დ.გოგოლაძის ნაშრომს „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში" (1813-1864 წ.) გვ 21)

ხორბალს საქართველოში და მთელ სამხრეთ კავკასიაში პურეულ კულტურებს შორის იმთავითვე გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. 1821 წელს დათესილი ხორბლის ფართობები თბილისის გუბერნიაში 47 308 დესეტინას შეადგენდა, 1861 წლისათვის კი ნათესი ფართობები 3-ჯერ გაიზარდა. ბუნებრივია, იმატა აღებული მარცვლეულის რაოდენობაც.

1850 წელს სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ ნოვოროსისკის მხარიდან გამოიწერა ხორბალი „არნაუტკა", რომელსაც სამხრეთ კავკასიაში „თავთუხი" შეარქვეს და დაურიგეს დასათესად ადგილობრივ მემამულეებს: **დ.დადიანს, მ.ორბელიანს, ზუბალაშვილს, დ.დიასამიძეს, მამაცაშვილს, ბარონ ვრანგელს** და სხვ.

1851 წელს შედგენილ კავკასიის მიმოხილვაში ვკითხულობთ, რომ სამხრეთ კავკასიაში ახლად შემოტანილ პურეულ კულტურებს შორის ყველაზე უფრო გავრცელდა „არნაუტკა", რადგან იგი ყველაზე საუკეთესო ფქვილს იძლეოდა.

საქალაქო ცხოვრებისა და მიმოსვლა-გადაზიდვის საშუალებათა ჩამორჩენილობის გამო ადგილობრივი პურის მთავარი გამსაღებელ-მომხმარებელი სამხედრო უწყება იყო. აღსანიშნავია, რომ იმ დროს მთელი კავკასიის ადმინისტრაციული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი (თბილისიც კი) სრულად არ იყო დამოკიდებული სოფლებიდან შემოტანილ პურზე. თბილისი 1850-იან წლებში ატარებდა ნახევრად მიწათმოქმედი ქალაქის ხასიათს. კუკიაში პურის თესვას ისევე მისდევდნენ, როგორც სოფლებში. სოლოლაკი დაფარული იყო ხილის ბაღებითა და ვენახებით. პლეხანოვის (დღევანდელი აღმაშენებლის პროსპექტი) პროსპექტის მიდამოები და დიდუბე თითქმის მთლიანად ბაღ-ვენახებსა და პურის ყანებს ეკავა.

თბილისი უკვე 1890-იანი წლებიდან დიდძალ პურეულს მოიხმარდა და აქედან მხოლოდ რკინიგზით შემოტანილი პურის რაოდენობა 3 მლნ. ფუთამდე აღწევდა. ამასთანავე კახეთიდან და სხვა ახლო რაიონებიდან საქართვე-

ლოს სამხედრო გზით თბილისში დიდძალი პურეული შემოჰქონდათ საჭაპანე გზითაც. თბილისის ფასები პურეულზე წარმოადგენდა საზომს ყველასათვის. პურით ვაჭრობაში მსხვილ ოპერაციებს აწარმოებდნენ მხოლოდ თბილისელი მოქალაქეები, რომლებიც სამხედრო უწყებათა მიმწოდებლებიც იყვნენ.

ჩვეულებრივ 10-20 ათას ჩეტვერტ ხორბალს ისინი შეისყიდიდნენ შემოდგომობით, როცა ფასები დაბალი იყო. უხვმოსავლიანობის წლებში ხორბალზე ფასი ძალიან ეცემოდა. 1880-იან წლებში პურის მსხვილი შემსყიდველები და სამხედრო უწყების მიმწოდებლები **ბეგთაბეგოვები** და სხვა ცნობილი სოვდაგრები იყვნენ. სამხრეთ კავკასიაში დაბანაკებული ჯარისათვის წლიურად საჭირო იყო დაახლოებით 1,4 მლნ. ფუთი (180 ათასი ჩეტვერტი) პურეული, ხოლო ადგილობრივი ქალაქები საშუალოდ წლიურად მოიხმარდნენ 5 მლნ. ფუთ პურს. დანარჩენი გაუსაღებელი პურის მნიშვნელოვანი ნაწილი (მარაგები) წლობით ინახებოდა ბეღლებში. 1881-1882 წლებში თბილისში მყოფმა ფრანგმა ნეგოციანტმა **ი.რიშარმა** გაგზავნა ქართული ხორბლის პირველი მსხვილი პარტია (40 ათასი ფუთი) დას. ევროპის ბაზარზე-კერძოდ მარსელში. ამ დროიდან პურის ექსპორტმა რეგულარული ხასიათი მიიღო. 1886 წელს ფოთიდან და ბათუმიდან დასავლეთ ევროპაში გაიგზავნა დაახლოებით 4,5 მლნ. ფუთი ხორბალი და 652 ათასი ფუთი ქერი, კერძოდ: იტალიაში 926 ათასი ფუთი; საბერძნეთში 915 ათასი ფუთი; საფრანგეთში 830 ათასი ფუთი; ინგლისში 690 ათასი ფუთი; თურქეთში 350 ათასი ფუთი; ასევე ბელგიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, ავსტრიაში და ა.შ. მარცვლეული კულტურების ყველაზე მსხვილი ექსპორტიორები იყვნენ **დრეიფუსი, ნეიფელდი, გარდნერი, ავგერინო, პილადი, ბურგარდი და რიხნერი და ა.შ.** პურეული ძირითადად გაჰქონდათ ფოთის ნავსადგურით იმის გამო, რომ აქ იყო უკეთესი და იაფი საწყობები.

თუკი XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ფარგლებიდან მეტი მარცვლეული გადიოდა, ვიდრე შემოჰქონდათ, XX საუკუნის პირველ მეოთხედში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა: ასე მაგალითად, 1909-1913 წლებში საქართველოდან წლიურად გაჰქონდათ 7 მლნ ფუთმდე მარცვლელული, ხოლო შემოჰქონდათ 9,4 მლნ ფუთამდე, ე.ი.პურეულის წლიური შემოტანა დაახლოებით 2,4 მლნ ფუთით აჭარბებდა. მოცემულ პერიოდში საქართველო დასავლეთ ევროპის ქვეყნების წინაშე სიმინდის გამყიდველად, ხოლო რუსეთის პურეულის მყიდველ-მომხმარებლად გამოდიოდა [21, 30-31].

ხორბლის მოყვანა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო საქართველოში მცხოვრები გერმანელი კოლონისტებისათვის, კერძოდ ალექსანდერსდორფში, მარიენფელდში, პეტერსდორფსა და ფრაიდენტალში. ხორბლის მოყვანას თბილისის ახლო მდებარე კოლონიებში ხელს უწყობდა საუკეთესო ნოყიერი შავმიწანიადაგიანი მიწები, სადაც ხორბლის თესვა 6-8 წლის განმავლობაში თავისუფლად შეიძლებოდა და კარგ მოსავალს იძლეოდა. შემდეგ მას ასვენებდნენ 1-2 წელიწადს და იყენებდნენ საძოვრებად. კოლონისტებს ძირითადად საშემოდგომო ხორბალი მოჰყავდათ, საგაზაფხულოს უფრო მცირე რაოდენობით თესავდნენ.

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში მარცვლეულ მეურნეობას აშკარად ემჩნევა სასაქონლო ხასიათი, მოყვანილი მარცვლეულის მნიშვნელო-

ფოტოზე გამოსახულია სანდრო მაჩვიანიძეთის საკუთარი მანქანა, რომელიც მუსიკიდან ალიაზენ გაღლის ქიბელოსა და ოფიცრები 1916-1920 წლებში.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკა - ეროვნული ბიბლიოთეკა.

ვანი რაოდენობა, დაახლოებით ნაწილი ბაზარზე გადის გასაყიდად [52, 23].

თბილისიდან 32 ვერსის დაშორებით, მდ. ალგეთზე მდებარეობდა კოტიში ანუ პატარა დურნუკი, სადაც **ბარათაშვილს** ჰქონდა გამართული მეურნეობა 1 500 დესეტინა მიწაზე. აქედან 50 დესეტინა წარმოადგენდა სარწყავ მიწებს, 650 დესეტინა-სახნავს, ხოლო დანარჩენი საძოვრებს. მეურნეობაში მისდევდნენ მემინდვრეობას, ითესებოდა ხორბალი, ქერი, მიწას ამუშავებდნენ გაუმჯობესებული ქართული გუთნით. ბარათაშვილს უცდია პურის სამკელი ნამგლის შეცვლა სალეწი მანქანით, მაგრამ უკმაყოფილო დარჩენილა. მანქანას ალაგ-ალაგ პური მთლიანად მოუმკელი დაუტოვია, გარდა ამის მომკილი პურის აღებას კიდევ დამატებით მუშახელი სჭირდებოდა, რაც ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ დაბრუნებულან ძველ ტრადიციაზე. მომავალში მას გამოუყენებია რანსონისა და სიმსის სისტემის პურის სალეწი მანქანები, რომელიც მოძრაობდნენ წყლის საშუალებით და 10 საათის განმავლობაში ლეწდნენ 10 ძნას. სალეწი მოთავსებული იყო ორსართულიან შენობაში, ზემო სართულში მოჰქონდათ ძნები, ხოლო ქვედა სართულში იფქვებოდა ხორბალი, ბზე კი მიდიოდა ცალკე. ლეწვაში მონაწილეობდა 15 კაცი, ისინი დაქირავებულნი იყვნენ დღიურად და იღებდნენ 40 კაპიკს [170, 91-95].

70 დესეტინა მიწაზე მეურნე თესავდა ორი განსხვავებული ჯიშის ხორბალს-თეთრს და შავი თავთუხისას. დესეტინა მიწის დამუშავების ხარჯი 59 მანეთს აღწევდა, მაგრამ მეურნება დიდ შემოსავალსაც იძლეოდა, ეს იყო-108 800 ფუთი ხორბალი და 2 000 ფუთი ქერი. ასეთი მოსავლიანობის გათვალისწინებით ბარათაშვილმა 1876 წელს მოაწყო წისქვილი, რომელსაც სამი ხარისხის ფქვილის მოცემა შეეძლო. ხორბლის გარდა მის მეურნეობაში ითესებოდა შავი ქერი ცხენების საკვებად.

XIX საუკუნის დასაწყისში **სიმინდი** წარმოადგენდა საქართველოში ერთ-ერთ მთავარ მარცვლეულს. 1830-იანი წლების პირველ ნახევარში სიღნაღის მაზრის მთელი სახნავ-სათესი ფართობი უდრიდა 42 ათას დესეტინას, აქედან სიმინდის ყანებზე მოდიოდა 500 დესეტინა. დუშეთის მაზრაში სიმინდი ითესებოდა 4 ათას დესეტინაზე.

XIX საუკუნის ბოლოს მოეწყო საცდელი სადგურები, რომლებიც ხელს უწყობდნენ სიმინდის ჯიშების შესწავლა-გაუმჯობესებასა და შერჩევას, ახალი ჯიშების შემოტანას და გამოცდა-გავრცელებას. 1880-იან წლებში სოხუმში დაარსდა ასეთი საცდელი სადგური, შემდეგ ქუთაისში.

ქუთაისის გუბერნიაში სიმინდი თითქმის ერთადერთ მარცვლეულს წარმოადგენდა. 1846 წელს დასავლეთ საქართველოდან სიმინდი დიდი რაოდენობით იქნა გატანილი ირლანდიაში. 1847 წელს რედუტ-კალედან და შეკვეთილიდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა 320 000 ფუთი სიმინდი-112 000 მანეთის ღირებულებისა. კიდევ უფრო გაიზარდა სიმინდის გატანა საზღვარგარეთ 50-იანი წლებიდან. იგი გაჰქონდათ მეზობელ თურქეთში, შოტლანდიასა და დიდ ბრიტანეთში. 1862 წელს გურიიდან და სამეგრელოდან ევროპაში გატანილ იქნა მილიონი მანეთის სიმინდი [52, 22-23].

საქართველოს სხვადასხვა მაზრებში სიმინდის მოსავლის და რეალიზაციის სტატისტიკა 1845 წელს (ჩეტვერტებში-ჩეტვერტი დაახლოებით უდრიდა 9 ფუთს)

წელი	ადგილი	რაოდენობა	გაყიდეს	ღირებულება
1845	ქუთაისის მაზრა	სიმინდი		
		59 000 ჩეტვერტი	7 600 ჩეტვერტი	17 500 მან.
		ღომი		
		50 000 ჩეტვერტი	3 000 ჩეტვერტი	15 000 მან.
	გურიის მაზრაში	სიმინდი		
		93 270 ჩეტვერტი	3 000 ჩეტვერტი	6 000 მან.
			ღომი	
		30 000 ჩეტვერტი	100 ჩეტვერტი	300 მან.

მონაცემები აღებულია ნაშრომიდან: დ.გოგოლაძე. „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში" (1813-1864 წ.) გვ 23

1860-იანი წლებიდან სიმინდის ექსპორტს რეგულარული ხასიათი მიეცა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ. სამტრედიაში ვაჭრებს სიმინდის უდიდესი საწყობები ჰქონდათ და ყოველღიურად გზავნიდნენ საზღვარგარეთ (უმეტესად ბათუმის გზით), საშუალოდ 20 ვაგონ სიმინს (ვაგონში 1000 ფუთი ეტეოდა). დაახლოებით ამდენივე სიმინდი იგზავნებოდა ოჩამჩირიდანაც გემებით [187, 173].

1862 წელს ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზე მაღალი შეფასება მიუღია სოფ. ყვარლიდან (თელავის მაზრა) წარდგენილ სიმინდს. 1884 წელს ქუთაისის გუბერნიაში აღებული 4 646 ათასი ჩეტვერტი სიმინდიდან ნახევარზე მეტი მხოლოდ სენაკისა და ზუგდიდის მაზრებზე მოდიოდა. თბილისის გუბერნიაში სიმინდი მოჰყავდათ თიანეთის, გორის, თბილისის და თელავის მაზრებში. თელავის მაზრაში 1886 წელს სიმინდს ეჭირა ნათესების საერთო ფართობის დაახლოებით 10%. მთელ საქართველოში ყოველგვარი პურეულით დათესილი ფართობებიდან სიმინდის ყანებზე მოდიოდა 1909-1920 წლებში 57%. 1909-1913 წლებში ქუთაისის გუბერნიაში იგივე მაჩვენებელი შეადგენდა-92%; სოხუმის ოკრუგში-99%; ბათუმის ოლქში-51%; თბილისის გუბერნიაში-13%.

სიმინდის ფასი საკმაოდ მაღალი იყო, 70 კაპ. ფუთზე, მიღებული მოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს მთის მოსახლეობა ყიდულობდა, ამიტომ მისი გაყიდვა წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს. XIX ს-ის 80-იანი წლებიდან სიმინდის ექსპორტი ქვეყანას აძლევდა ყოველწლიურად 6-7 მლნ. მანეთს. წვრილ თუ მსხვილ მწარმოებელთაგან საზღვარგარეთ გასაგზავნი სიმინდის შესყიდვას აწარმოებდა

რამდენიმე უცხოური ფირმა ბერძენი და ებრაელი აგენტების მეშვეობით. მემამულეები, **თავად დიმიტრი მაჭუტაძის** ინიციატივით, შეეცადნენ თავი დაეღწიათ უცხოური ფირმებისაგან და დამოუკიდებლად გაეტანათ უცხოურ ბაზარზე სიმინდი, მაგრამ უშედეგოდ. მოგვიანებით აგრარულმა კრიზისმა და მძაფრმა კონკურენციამ სიმინდის ფასი 40-50 კაპიკამდე დასწია, რამაც შეამცირა სიმინდის კულტურის სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი.

1881 წელს სოფ. ოსიაურის მკვიდრი **სვიმონ ვეზირიშვილი** ეცადა სანიმუშო ფერმერული მეურნეობა მოეწყო თავის მამულში. მას შესანიშნავი განათლება მიუღია ჰალესა და ლაიპციგის უნივერსიტეტებში, შეუსწავლია სოფლის მეურნეობა. იგი მთავრობისაგან იგი ითხოვდა სესხს 20 ათას მანეთს 15 წლიანი ვადით, რათა გაემართა სანიმუშო მეურნეობა. მისი მემკვიდრეობით მიღებული მამულები, 236 დესეტინა და 1 800 საჟენი, მდებარეობდა სურამთან ახლოს, ბორჯომიდან 28 ვერსზე. ეს იყო სახნავ-სათესი მიწები, სათიბი, საძოვარი და ტყე. მამულებს მდ. მტკვარი ასარწყავებდა. ითესებოდა ხორბალი, სიმინდი, ფეტვი, ლობიო, ქერი და სხვა ბოსტნეული. ოსიაურში ვეზირიშვილების მიწაზე ესახლა 14 კომლი დროებითვალდებული გლეხი და ხიზანი. მამულის შემოსავალი 5 081 მანეთს აღემატებოდა დიდი რაოდენობით ითესებოდა სიმინდი 480 ფუთი (1 ფუთი-60 კაპ.), 288 მან. ღირებულების [170, 95-96]. სვიმონ ვეზირიშვილი ევროპული ხედვის მემამულე იყო, დიდ ყურადღებას აქცევდა გაუმჯობესებულ ტექნიკას და ცდილობდა სოფლის მეურნეობაში ახალი მანქანა-იარაღების გამოყენებას. მას თავის მამულში გამოუცდია ჯონსონის სისტემის სავალი მანქანა

და კმაყოფილი დარჩენილა, ამიტომ წერდა სასოფლო-სამეურნეო თემატიკის სტატიებს „გუთნის დედაში", „მეურნეში", „დროებაში" და ურჩევდა ქართველ მეურნეებს შეეძინათ ახალი მანქანა-იარაღები მარტივი მექანიზმებით და პრაქტიკულად გამოეყენებინათ ისინი.

XIX საუკუნის 70-იან წლებში სიმინდის კულტურა ფართოდ ვრცელდება **აჭარაში**. სულ მალე იგი მოსახლეობის ძირითადი პურეული გახდა და შეამცირა წინანდელი ტრადიციული მარცვლელული კულტურების (ხორბალი, ჭვავი, ქერი, ღომი, ფეტვი) მოვლა-მოყვანის მასშტაბები. აჭარის მთისა და ბარის ზონაში სხვადასხვა ჯიშის სიმინდი მოჰყავდათ. ჭოროხის მხარეში მხოლოდ წვრილი სიმინდი მოჰყავდათ, შემდეგ იმდროინდელ ხელისუფლებას ბულგარეთიდან შემოუტანია უხვმოსავლიანი სიმინდი, რომელიც ჯერ დაბლობში დაუთესიათ, შემდეგ მთიან ზონაშიც გავრცელებულა. იგი სიმაღლით 2 საჟენამდე აღწევდა და იძლეოდა 2-4 ტაროს. ქობულეთის მხარეში სიმინდი ისეთი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ, რომ გასაყიდად თურქეთსა და იტალიაში გაჰქონდათ[198, 303-305].

აფხაზეთში სიმინდი პრიმიტიული მეთოდებით, მაგრამ დიდი ოდენობით მოყავდათ. ხდებოდა პროდუქციის ექსპორტი რუსეთში, თურქეთში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში. ოჩამჩირეში კვირაში ოთხჯერ შემოდიოდნენ გემები ამ პროდუქტის გასატანად, ძირითადად ვაჭრობდნენ მეგრელები და ლაზები, ყოველწლიურად აქედან გემით გაქონდათ მილლიონ ფუთამდე სიმინდი ოსმალეთსა და საფრანგეთში. სიმინდი წარმოადგენდა რეგიონის მნიშვნელოვან სასაქონლო პროდუქტს, რის გამოც აფხაზეთისა და სამურზაყანოს მემამულეებს მიულიათ გადაწყვეტილება შეექმნათ სიმინდით ვაჭრობის ამხანაგობა. თედო სახოკია ამის შესახებ წერდა, რომ აქედან სიმინდი გაჰქონდათ თურქეთში. დღესაც სამურზაყანოელნი ამ ჭირნახულის მეტს სხვას საზრდოს ვერას აძლევენ ვაჭრობას. ჩვენებურ სიმინდზე მოთხოვნილებისა და აქედან გამოწვეული ფასების დაცემის გამო, ოჩამჩირედან მკათათვის გასვლამდე 5000 ფუთი სიმინდი გაჭირებით გაიტანეს. წინა წლებში კი ამ დრომდე ორი მილიონი ფუთი სიმინდი იყო ხოლმე გატანილი.

XIX საუკუნის აჭარაში განსაკუთრებით ინტენსიურად მისდევდნენ **ბრინჯის** მოყვანას. ორი სახეობის ბრინჯი მოჰყავდათ: ჭაობის ანუ სარწყავი ბრინჯი და ხმელეთის, ანუ მშრალი ბრინჯი. ჭაობის ბრინჯის მოყვანას განსაკუთრებულად ინტენსიურად მისდევდნენ აჭარა-ლაზეთის ზღვის სანაპირო ზოლში, ქობულეთის, ჩაქვის, კახაბრის, გონიოს დაბლობებზე, მდინარეების-ბარცხნისა და ყოროლისწყლის ნაპირებთან. ბრინჯის პლანტაციების მფლობელები იყვნენ მაჭახელის, ზემო და ქვემო აჭარის, ბორჩხის ბეგები და აღები, რომლებიც აქ არ ცხოვრობდნენ, მაგრამ პლანტაციებს დაქირავებული მუშახელით ამუშავებდნენ. **ი.კლინგენის** ცნობით, XIX საუკუნის ბოლოს ბრინჯი, სიმინდის კულტურის გაბატონებული მდგომარეობის შემდეგაც, ჩაქვის დაბლობის მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საკვები ყოფილა. XIX საუკუნის ბოლოს ბრინჯის მოყვანა აჭარის ზღვის სანაპირო ზოლში შეიზღუდა ნიადაგის დაჭაობების პროცესის ხელშეწყობის გამო, რაც მალარიის გავრცელებას იწვევდა. დ.ბაქრაძის ცნობით, ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე ბრინჯის იმდენი მოსავალი მოდი-

ოდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა და საექსპორტო საქონელიც იყო. ბათუმიდან ყოველწლიურად 18 ათასი ოყა ბრინჯი გაჰქონდათ [198, 303-304].

ჩაის კულტურის შემოტანა საქართველოში ჩინეთიდან მოხდა. არსებობს განსხვავებული მოსაზრებები ამ ფაქტის ირგვლივ. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, იგი ერთ საინტერესო ისტორიას უკავშირდება. თავად **მიხა ერისთავს** ჩინეთში ყოფნისას უნახავს ჩაის ბუჩქები და მისი ნაყენი დაუგემოვნებია კიდეც. რამდენადაც იგი წარმოშობით გურიიდან იყო (ცხოვრობდა ოზურგეთის მახლობლად) და მისი მშობლიური კუთხის კლიმატი და ჰავა ძალზე წააგავდა ჩინეთის სუბტროპიკულ კლიმატს, თავადმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოში შემოეტანა და გაეშენებინა ჩაის ბუჩქები. იმ პერიოდის ჩინეთის კანონმდებლობით ქვეყნიდან ჩაის თესლის ან ნერგის გატანა სასტიკად იკრძალებოდა, ამიტომ თავადი იძულებული გახდა ჩაის თესლი გახვრეტილ ტროსტში ჩაეყარა და ისე შემოეტანა საქართველოში. მოგვიანებით, 1864 წელს, თავადმა ერისთავმა პირველმა წაიღო ქართული ჩაის ნიმუშები პეტერბურგში რუსეთის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც ის ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

სხვა ცნობით, ჩაის კულტურის შემოტანას საქართველოში მიანერენ მეფისნაცვალ **მ.ს.ვორონცოვს.** სწორედ მისი ინიციატივით XIX საუკუნის 40-იან წლებში იმპერატორის ბაღისათვის ჩაის ბუჩქები გამოიწერეს ყირიმიდან. ამ ბუჩქების გარკვეული ნაწილი მან 1847 წელს აკლიმატიზაციისათვის სოხუმის ბოტანიკურ ბაღში და ოზურგეთის სანერგეში გამოგზავნა. ნერგებმა კარგად გაიხარეს და ისინი გადაიტანეს ზუგდიდში და ჩოხატაურის მახლობლად სამეგრელოს მთავრისა და თავად **მ. ერისთავის** მამულებში ამ კულტურის დასანერგად. XIX საუკუნის 60-იან წლებში თავადმა ერისთავმა სცადა ამ ნარგავების ფოთლებიდან ჩაის დაყენება, მაგრამ იგი დაბალი ხარისხის აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მან არ იცოდა ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგია. სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ თავადმა ჩაის ბუჩქების მოვლას ნაკლები ყურადღება დაუთმო. 1845 წელს მეფისნაცვალ მ.ვორონცოვს პეკინიდან მიუღია ჩაის თესლი და დაურიგებია იგი კავკასიელი მემამულეებისათვის. საფიქრებელია, რომ აღნიშნული გზით ჩაის თესლი მიიღო ცნობილმა ქართველმა მეურნემ და საქართველოში ჩაის სამრეწველო გადამუშავების პიონერმა მიხეილ ერისთავმაც. ერისთავის მამულში, რომელიც ჩოხატაურის მახლობლად (სოფ. გორა ბერეჟოული) მდებარეობდა სრულმოსავლიანი ჩაის ბუჩქები იყო. ამავე პერიოდში მან დაამზადა პირველი ქართული ჩაი [265, 30-33]. რაც შეეხება სოხუმის ბოტანიკურ ბაღში არსებულ ნარგავებს, მათი რაოდენობა 1870 წლისათვის 18 აღწევდა, ამასთან ისინი კარგად ხარობდა და იოლად მრავლდებოდა. 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს სოხუმის ბოტანიკური ბაღი გაიძარცვა და 1906 წლისათვის იქ მხოლოდ ჩაის 3 ბუჩქილა შემორჩა.

საინტერესოა პროფ. პ.გუგუშვილის მოსაზრება საქართველოში ჩაის კულტურის შემოტანის შესახებ: ამიერკავკასიაში ჩაის კულტურის დანერგვის ინიციატორობა, როგორც ჩანს ეკუთვნის სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურული მრეწველობის თბილისის საზოგადოებას, რომელიც დაარსებული იყო იმპერიის ფინანსთა მინისტრის წინადადებით. ჯერჯერობით შეუძლებელი

გახდა დადგენა იმისა, თუ ამ საზოგადოების წევრთაგან სახელდობრ ვინ დასვა პირველად საკითხი ჩაის თესლის გამოწერის შესახებ [65, 161].

საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულია გადამდგარი გენერლის რაკინტის მიერ 1893 წლის 15 იანვარს, საუფლისწულო მამულების ინსპექტორისადმი მიწერილი წერილი შემდეგი სახელწოდებით „Об учреждении плантации чайных и оливковых деревьев в Закавказском край", სადაც საუბარია ჩაის ბუჩქებისა და ზეთის ხილის ნარგავებისათვის ხელსაყრელი ტერიტორიების შერჩევის შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია აფხაზეთზე, სამეგრელოზე და იმერეთზე. გენერალი ზედმიწევნით აღწერს ენგურის, ცხენისწყლის და რიონის ხეობებს. იგი ეყრდნობა ბოტანიკოს სრედინსკის 1872 წელს ჩატარებულ კვლევას, რომელსაც შეუსწავლია რიონის მიდამოები, ქუთაისიდან ონამდე. გენერალი აკეთებს დამაჯერებელ დასკვნებს, რომ მდინარე ენგურის, ცხენისწყლის, რიონისა და მისი შენაკადების ხეობაბში შესაძლებელია ჩაის პლანტაციების გაშენებაო, ქუთაისის გუბერნიაში გამოყოფს 120 ათას დესეტინას, სადაც ცხელი კლიმატია და წვიმების საჭირო რაოდენობაც. გენერალი საუბრობს იმის შესახებ, რომ მის მიერ მითითებულ ტერიტორიებზე ტყეები და ბუჩქნარებია, ამიტომ საჭიროა მათი განმენდა, მათი ფესვებიანად ამოყრა და ჩაის ბუჩქების დასარგავად ნიადაგის მომზადება. ამისათვის იგი სთავაზობს ამერიკული ქიმიური მეთოდის გამოყენებას. ხე მოიხერხება, გადაჭრილ კუნძში ჩაასხამენ მჟავას, რომელიც შეიწოვება ხის ფესვების მიერ, ალბობს მათ და იოლად ამოდის მიწიდან. გენერალი ასევე საუბრობს საქმის კარგად წარმართვისათვის ჩინეთიდან ამ საქმის კარგი სპეციალისტების ჩამოსახლებაზე, რათა აწარმოონ უმაღლესი ხარისხის ჩაი". . .[სცა, ფონდი 351, აღწერა 1, საქმე 3].

მეჩაიეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის არატრადიციული, ახალი დარგი იყო. აჭარაში მისი სამრეწველო განვითარება დაიწყო XIX საუკუნის 80-იან წლებში. ამ საქმის თაოსნები იყვნენ უცხოელი მოახალშენეები: **სოლოვცოვი, პოპოვი, ვუჩინო, ვერუ, სტოიანოვი, გაიდებუროვი და რომანოვების საიმპერიო სახლი.** პირველად ჩაის კულტურა გააშენეს ჩაქვის მიდამოებში, შემდეგ კი გავრცელდა ზღვისპირა ზოლის სხვა სოფლებში. თუ 1898 წელს აჭარაში მეჩაიეობას 7 მოახალშენე მისდევდა, 2 წლის შემდეგ მათი რიცხვი თითქმის გასამმაგდა. ჩაის კულტურების ფართობებმა 215 დესეტინას, ხოლო მოსავალმა-24 644 გირვანქას გადააჭარბა. 1901-1915 წლებში აჭარაში 74 ახალი პლანტაცია გააშენეს, რის შემდეგაც ჩაის ფართობი 3,3-ჯერ, ხოლო მოსავალი 11-ჯერ და მეტად გაიზარდა. ზოგიერთ წლებში (1906-1908, 1917-1920) ჩაის მოსავლიანობის შემცირება გამოწვეული იყო რევოლუციური მოძრაობით ან უცხოელთა ოკუპაციით.

ადგილობრივი მოსახლეობიდან ჩაი პირველად 1906 წელს მახინჯაურელმა **ალი მახარაძემ** გააშენა. 1910-იან წლებში მას მიბაძეს დაგვის, აჭყვის და სხვა სოფლების მცხოვრებლებმა, ძირითადად ბერძნებმა. 1920 წელს ადგილობრივი მოსახლეობის ჩაის პლანტაციების ფართობი 80 დესეტინას აღწევდა, რაც საერთო ფართობის 9,5 % შეადგენდა.

წლები	პლანტაციების რიცხვი	ფართობი (დესეტ)	მოსავალი (გირვანქ)
1901	20	248,0	14055
1903	28	312,0	252013
1905	39	378,8	638605
1907	64	446,5	278909
1909	95	568,8	798130
1911	112	644,2	822855
1913	146	788,7	1332866
1915	194	823,7	1570808
1917	– ----	837,0	956082
1920	– ----	837,0	1141614

ნედლეულის პირველადი გადამუშავება ადგილზევე ხდებოდა. 1899 წელს აქ ჩაის 2 ფაბრიკა იყო, 1907 წელს-4, ხოლო 1909 წელს-6. საოჯახო წესით დამუშავებული პროდუქცია 1900-1915 წლებში 0,7%-დან 2%-მდე აღწევდა. 1900-1915 წლებში ჩაის წარმოება 5 846-დან 389 432 გირვანქამდე, ანუ 66,5%-ით გაიზარდა.

აჭარაში 6 ხარისხის ჩაის ამზადებდნენ. 1915 წლამდე მაღალი ხარისხის (უმაღლესი, პირველი, მეორე) ჩაი სჭარბობდა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. საზღვარგარეთიდან ჩაის პროდუქციის შემოტანა შემცირდა და ქართული ჩაის ნაწარმი დაიჯავშნა არმიისათვის. ამის შედეგი იყო, რომ მესამე, მეოთხე და ე.წ. „ნამცეცა" ანუ „სოლდატსკი" ჩაის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ჩაის კულტურისადმი სერიოზული ყურადღება მეფის მთავრობამ გამოიჩინა 1884 წელს, როცა პეტერბურგში გამართულ „ბოტანიკისა და მებაღეობის საერთაშორისო კონგრესზე" მინათმფლობელებმა ჩაქვიდან **ა.ა.სოლოვცოვმა და ნ.კ.ზეიდლიცმა** წარადგინეს რეფერატი ჩაის კულტურის შესახებ. მათ კონკრეტული წინადადებით მიმართეს რუს ადმირალ ჩიხაჩოვს გამოეწერა ჩაის ბუჩქები ამ კულტურის განვითარებისათვის ჩაქვში. იგი თავისი პლანტაციის შესახებ მოგვითხრობს: 1882 წელს მე შევიძინე მინა ჩაქვში და ნ.კ.ზეიდლიცთან მოლაპარაკების შედეგად ვთხოვე ადმირალ ჩიხაჩოვს (რომელიც მაშინ შავიზ ზღვის სავაჭრო ნაოსნობას განაგებდა) ჩამოეტანა ხანკოუდან ჩვენთვის რამდენიმე ჩაის ბუჩქი და თესლი. რომლის ჩამოტანაზე ჩიხაჩოვმა უარი გვითხრა იმ მოსაზრებით, რომ ხანგრძლივი მოგზაურობის შედეგად იგი აღმოცენები უნარს კარგავსო, ხოლო დანარჩენი თხოვნა სიამოვნებით შეგვისრულა და მართლაც ხანკოუდან უფასოდ ჩამოგვიტანა სამწლიანი რამდენიმე ჩაის ბუჩქი, რომელიც ჩემს მამულში დავრგე. ჩაის ბუჩქებმა კარგად იწყეს ზრდა. დაიმედებული იმით, რომ ჩაისთვის დასავლეთ საქართველოს ჰავა შესაფერისი იყო, მე და ზეიდლიცმა მთავრობას მივმართეთ მხარდაჭერისათვის, მაგრამ უარი მივიღეთ. საქმე მაინც გავაგრძელე საკუთარი სახსრებით [315]. 1885 წლის ივლისში ჩაის ბუჩქები საქართველოში შემოიტანეს, თუმცა მათი დიდი

ნანილი ძლიერ დაზიანდა საბაჟოზე ჩატარებული სადეზინფექციო სამუშაოების გამო. გადარჩენილი ბუჩქების სათანადო ყურადღებითა და მოვლა-პატრონობით ჩაქვში გაშენდა ჩაის პირველი მცირე პლანტაცია. სოლოვცოვის მიერ ზემლერის მეთოდით მიღებული ქართული ჩაი ძალიან მაღალი საგემოვნო თვისებებით გამოირჩეოდა. „**ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სოლოვცოვი** იყო რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, სპეციალობით-სამხედრო ინჟინერი. თადარიგში გასვლის შემდეგ თბილისში ცხოვრობდა. 1882-1883 წლებში მან აჭარაში შეიძინა 300 დესეტინა მიწა. თავდაპირველად განზრახული ჰქონდა გაეშენებინა ხეხილი, ვაზი, ყვავილები და სხვ., მაგრამ მალე გადაწყვეტილება შეცვალა და ენთუზიაზმით შეუდგა ჩაის მეურნეობის მოწყობას. მან ჩინეთიდან შემოიტანა ჩაის ნერგები და მოანყო სანერგე. მეურნეობაში გაჩაღდა ფართო მასშტაბის სამუშაოები: გაიყვანეს გზები, ბილიკები, არხები, ააგეს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული შენობები. 300 დესეტინიდან დაამუშავეს 141 დესეტინა. აქედან ჩაის კულტურას 1899 წელს ეკავა 66 დესეტინამდე ფართობი. მეურნეობის მოწყობას ინგლისელი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. სოლოვცოვის მეურნეობაში ჩაის პირველი პროდუქცია დაამზადეს 1890 წელს [198, 151-152]. ალექსანდრე სოლოვცევმა უახლესი მანქანა-დანადგარებით აღჭურვა წარმოება, ტექნიკა ინგლისიდან გამოიწერა და იქიდანვე ჩამოიყვანა ამ ტექნიკის მცოდნე ოსტატებიც. იგი სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე (1889 წ.-თბილისში, 1891 წ.-პეტერბურგში, 1892 წ.-მოსკოვში) პოპულარიზაციას უწევდა თავის საქმიანობას, საიდანაც მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა. ცნობილია, რომ საუფლისწულო უწყებამ მას გადაუხადა 40 ათასი რუბლი 20 დესეტინა ჩაის პლანტაციის გაშენებისთვის ჩაქვში. ხარკოველი ჩაით მოვაჭრე **ველიტჩენკო** 1895 წელს სპეციალურად ჩამოვიდა აჭარაში სოლოვცოვის მეურნეობის დასათვალიერებლად, გააფორმა მასთან ხელშეკრულება და სესხად მისცა 63 ათასი რუბლი, რათა გაეზარდა ჩაის პლანტაციის ფართობი 90 დესეტინასმდე და აღებული სესხი დაეფარა ჩაის მიყიდვით (გირვანქა-75 კაპიკად). ცხადია, მწარმოებლის და კომერსანტის საქმიანმა ურთიერთობამ საუკეთესო პირობები შექმნა წარმოების გაფართოებისათვის: 1899 წელს მეურნეობაში აწარმოეს 250 ფუთი ჩაი, 1900 წელს-950 ფუთი, 1901 წელს-1 400 ფუთი, ხოლო 1902 წელს 1 700 ფუთი. სოლოვცოვის მეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 1902 წელს 51 ათასი რუბლი შეადგინა. ბოლოს სოლოვცოვის მეურნეობა საუფლისწულო მამულმა შეისყიდა [198, 152].

1896 წელს პროფესორმა **ვ.ო.სიმონსონმა** იმოგზაურა ჩინეთში, იაპონიასა და ცეილონზე. მოგზაურობის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ჩაის კულტურის შემოტანის ხელშეწყობა. მეცნიერი ხელცარიელი არ დაბრუნებულა, ჩამოიტანა ჩაის ნერგების დიდი პარტია. ამავე წელს საუფლისწულო მამულების წარმომადგენლმა **სნეუკოვმა** ცეილონიდან ბათუმში აგრეთვე შემოიტანა ჩაის ნერგები და ჩამოიყვანა ჩაის საქმის მცოდნე რამდენიმე იაპონელი და ჩინელი სპეციალისტიც. ამ დროისათვის ჩაქვის პლანტაციებში უკვე ითვლებოდა 140 000-ზე მეტი ჩაის ბუჩქი, რომელთაგან 45 000-ზე მეტი ჩინეთიდან ჩამოტანილი თესლიდან იყო აღმოცენებული, დანარჩენი კი გადმორგეს ა.სოლოვცოვის პლანტაციიდან [265, 30-33].

www.ourbaku.com

ВЪ МАГАЗИНАХЪ

ВАСОЧАЙШЕ утвержденнаго товарищества

чайной торговли и складовъ

БРАТЬЯ К. и С. ПОПОВЫ

ПОСТУПИЛИ ВЪ ПРОДАЖУ:

ЧАЙ съ острова **ЦЕЙЛОНА**, развѣшанный въ $^1/_8$ и $^1/_4$ фунта по 2 руб. за фунтъ;

КОФЕ (въ зернахъ), лично выбранный и купленный на островѣ Цейлонѣ и въ Аденѣ, 3-хъ сортовъ:

плоскій (мартиникъ) . . . . . 70 к. за фунтъ,
круглый (кофе) . . . . . 75 к. „ „
ливанскій. . . . . 80 к. „ „

Чай съ острова Цейлона рѣзко отличается своимъ качествомъ и свойствомъ от настоящаго китайскаго чая и, примѣшанный къ нему, совершенно измѣняетъ при сущія китайскому чаю достоинства, а потому чай съ острова Цейлона выпускаетс Правленіемъ Товарищества въ продажу въ чистомъ, не мѣшанномъ видѣ.

(1290) 8—1 *ПРАВЛЕНІЕ.*

ალექსანდრე სოლოვცოვის წამოწყებას მიმდევრები გამოუჩდნენ. მას მიბაძა **დიდვაჭარმა პოპოვმა** (იგი იყო ჩაით მოვაჭრე), რომელიც აჭარაში ფლობდა 300 ჰექტარ მიწას. იგი ჩაის კულტურის დანერგვის ერთ-ერთი პიონერი იყო ჩვენში. მან თავის ხარჯით რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია გაგზავნა აღმოსავლეთის ქვეყნებში. შეისწავლა ჩაის მეურნეობა და პრაქტიკულად იყენებდა მიღებულ ცოდნას. 1892 წლიდან 1902 წლამდე პოპოვმა თავის მამულში დააბანდა 2 მლნ. მანეთი [16, 139-140].

სწორედ სოლოვცოვის საქმიანობით აღფრთოვანებულება დაიწყო მან მიწების შესყიდვა, გამოიწერა ჩინეთიდან დიდი ოდენობით ჩაის თესლი და ნერგები. კონსტანტინე სიმონის ძე პოპოვმა მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა შექმნა XIX საუკუნის 90-იან წლებში. იგი მდებარეობდა ჩაქვში, სალიბაურსა და კაპრეშუმში. პოპოვი კომერსანტი იყო, რომელსაც მოსკოვში ჰქონდა ჩაით ვაჭრობის მსხვილი ფირმა. მისი ძირითადი კაპიტალი 1,5 მლნ. რუბლს შეადგენდა, წმინდა მოგება 1897-1898 წლებში 493 004 რუბლს, ხოლო 1910-1911

წლებში 601 709 რუბლს. პოპოვს საკმაო გამოცდილება გააჩნდა ჩაის ნაწარმით ვაჭრობაში, მას კარგად ჰქონდა გათვლილი მოგების ზრდის ფაქტორები. 1892 წელს მან ბათუმის შემოგარენში შეიძინა ნაყოფიერი მიწები (სალიბაურში-140 დესეტინა, ჩაქვში-100, კაპრეშუმში-60) და მომდევნო წელს დაიწყო ჩაის ნარგავების გაშენება, რაც 1901 წლის ბოლოს დასრულდა. ჩაის პლანტაციას ეკავა 127 დესეტინა, ხოლო სანერგეს-13 დესეტინა. დანარჩენ ფართობზე ხეხილი გააშენეს [198, 149-150].

აღმოსავლეთში მიღებული განათლება კარნახობდა მეწარმეს, რომ საქმის გასამართად და დაბანდებული კაპიტალის ამოსაგებად საჭირო იყო პროფესიონალების გუნდი. პოპოვის მეურნეობის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ჩინელი სპეციალისტები, რომელთა პირველი ჯგუფი (13 კაცი) 1893 წელს ჩამოიყვანა. მათ შორის იყო **ლაო ჯონ-ჯაუ** (რუსულ წყაროებში Ляо джень джау), რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის აჭარაში ჩაის მეურნეობის განვითარებაში. ჩინელი სპეციალისტების მეორე ჯგუფი (14 კაცი) 1897 წელს ჩამოვიდა ჩაქვში და მეურნეობის მოწყობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, დარჩა მხოლოდ ლაო ჯონ-ჯაუ.* [198, 149-150].

ლაო ჯონ-ჯაუს ყოველთვიური შემოსავალი შეადგენდა 500 მან. პოპოვი მას თვითონ უხდიდა მგზავრობის საფასურს, მას ემსახურებოდა ფაეტონი. ჩაქვში მდებარე პოპოვის მამულში მისთვის აშენდა კაპიტალური, კარგად მოწყობილი სახლი, ხოლო აგარაკი მწვანე კონცხზე შესთავაზეს, სადაც ოჯახი ზაფხულის პერიოდში ცხოვრობდა). განსხვავებული ვერსიით 1897 წელს პოპოვის მოწვევით ჩინეთიდან ბათუმში ჩამოვიდა 28 ჩინელი, მათ შორის 9 ქალი 2 ბავშვით. მათ ჩამოიტანეს 700 ფუთი ჩაის თესლი, რომელიც დაითესა ჩაქვსა და კაპრეშუმში [265, 30-33].

ჩაი მალე იქცა საქართველოსთვის მნიშვნელოვან ნედლეულად, თუმცა მოწინავე ტექნოლოგიების მცოდნე სპეციალისტებისა და შესაბამისი მანქანა-დანადგარების არ არსებობის პირობებში, ჭირდა მისი წარმოების წინსვლა.

---

* ამ საქმიანობის გამო მან 30 წელი იცხოვრა საქართველოში. მისი 7 შვილიდან 5 საქართველოში დაიბადა, რომელთაგან ნაბოლარამ ქართველ ქალბატონზე იქორწინა.





ამ მხრივ სასტარტო აღმოჩნდა 1898 წელი, რადგან ჩაის ფაბრიკების მშენებლობა ერთდოულად დაიწყეს საუფლისწულო მამულის მმართველობამ და დიდვაჭარმა პოპოვმა.

1898 წელს პოპოვი იწყებს ჩაის ფაბრიკის მშენებლობას. ამისათვის მან წარმოებისათვის საჭირო ყველა მანქანა-დანადგარი და სპეციალისტებიც ინგლისიდან ჩამოიყვანა, ააშენა საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობებიც, შექმნა გუნდი, გაანაწილა ფუნქციები, ჰყავდა გამგეები, მებაღეები, ექთანი. სეზონზე ასაქმებდა 600-ზე მეტ ნებით დაქირავებულს. თუ გადავხედავთ კონსტანტინე პოპოვის მიერ განხორციელებულ კაპიტალდაბანდებას, აშკარად დავინახავთ მისი ინვესტიციების მოცულობების სერიოზულობას:

პოპოვის მიერ გაწეული დანახარჯები:

დანიშნულება	რუბლებში
4-ჯერ ექსპედიციის მოწყობაზე	120 000
მინის ყიდვასა და ნასყიდობის საბუთების გაფორმებაზე	75 000
ჩაის ფაბრიკისა და სხვა ნაგებობების მშენებლობაზე	445 000
ნიადაგის დამუშავების, ჩაისა და ხეხილის გაშენების, სანერგესა და სათბურების მოწყობაზე	785 000
ჩაის მცენარის თესლისა და ცოცხალი ბუჩქების შეძენაზე და ა.შ.	145 000
სულ მეურნეობის შექმნაზე	1 855 000

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა III. სოფლის მეურნეობა. 2008. ჩვ.149-150

პოპოვმა, პროფესორ **ტიხომიროვთან** ერთად, 1889-1895 წლებში მოაწყო 4 ექსპედიცია აღმოსავლეთის სუბტროპიკულ ქვეყნებში (ჩინეთი, ჰიმალაი, ცეილონი, იაპონია, სხვ.). მასში მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები და ჩაის საქმის სპეციალისტები. სოლოვცოვისა და პოპოვის ინიციატივით არაერთხელ მოეწყო ექსპედიციები ინდოეთში, კუნძულ ცეილონზე ჩაის კულტურის შესწავლის მიზნით. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ პროფესორი **ა.ნ.კრასნოვი და აგრონომი ი.ნ.კლინგენი.** ექსპედიციის წევრებმა ინდოეთიდან, ჩინეთიდან და იაპონიიდან-ჩამოიტანეს „იანლოდუნის", „ნინჯოუს" და „კანგრას" ჯიშის ჩაის ბუჩქები. მოგვიანებით ეს დაგროვილი ცოდნა მან თავის მამულებში პრაქტიკულად გამოიყენა.

ჩაის პირველი მოსავალი (85 გირვანქა) მოკრიფეს 1895 წელს. 2 წლის შემდგ მოიწიეს 13 080, ხოლო 1893 წელს-15 342 გირვანქა ნედლეული. აქედან მიღებული ნაწარმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიგზავნა ხარისხის შესამოწმებლად. გამოკვლევის შედეგი საიმედო აღმოჩნდა. 1901-1917 წლებში მეურნეობაში ჩაის ფოთლისა და მზა ნაწარმის ოდენობა თითქმის 2,4-ჯერ გაიზარდსა. ჩაის ფოთლის ყველაზე მაღალი მოსავალი 1905 წელს მიიღეს (221 413 გირვანქა), მაგრამ პოლიტიკური მოვლენების გამო პოპოვი იძულებული



გახდა წარმოება შეეჩერებინა და პერსონალი დაეთხოვა. ჩაის ფოთლის კრეფა განაახლეს 1908 წელს, ხოლო ფაბრიკა 1911 წელს აამოქმედეს. 1908-1910 წლებში მოკრეფილი ნედლეული ჩაქვის საუფლისწულო მამულის ფაბრიკაში გადაამუშავეს. 1911-1917 წლებში მეურნეობა გამართულად მუშაობდა. 1916 წელს აქ მაღალი მოსავალიც მოიწიეს (258 802 გირვანქა).

პოპოვის მეურნეობაში მაღალი ხარისხის ჩაის პროდუქციას აწარმოებდნენ (1905 წელს მაღალი ხარისხისა იყო 85%, 1911 წელს-95,5%, 1915 წელს-84%).

საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთში მცხოვრებ მეცნიერს **ვ.პ.ვილიამსს**. აი რას წერდა 1895 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით „Кавказское сельское хозяйство“: „სარწმუნო წყაროებიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე პოპოვის ჩაის პლანტაციებიდან ჩაქვში დაიწყება ჩაის პირველი მასობრივი კრეფა და გადამუშავება. ამ პლანტაციების დირექტორი ვ.პ.ვილიამსი დღემდე ჩატარებულ საქმიანობას თვლის საუკეთესო მიღწევად და იმედოვნებს, რომ როგორც ტექნიკურ ისე ეკონომიკურ წარმატებებზე ასეთი ფართო მასშტაბის ცდები ჩვენთან ჯერჯერობით არავის ჩაუტარებია. ჩაის პლანტაციების დირექციას განზრახული აქვს მიმდინარე წლის შემოდგომაზე ცდები ჩაატაროს ალაზნის იქეთა კახეთში და

ლენქორანში [315].



ერმილე ნაკაშიძე

ჩიას კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მემამულეებმა **მარიამ და ივანე სინიცინებმა.** მათ ბათუმის მახლობლად სოფ. ყარადერეში (ამჟამად განთიადი) იყიდეს 19 დესეტინა მიწა და 1898 წელს დაიწყეს ჩაისა და ხეხილის გაშენება. მათ ჩაის პლანტაციას 1904 წელს 4 დესეტინა, ხოლო 1909 წელს-9 დესეტინაფართობი ეკავა. 1905 წელს სინიცინმა ააგო ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი საწარმო, რომლის მოწყობილობა ინგლისიდან შემოიტანა. 1909 წელს ფაბრიკას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რის შედეგადაც მისი სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაძლებელი გახდა 50 ათასამდე გირვანქა ჩაის ფოთლის გადამუშავება. სინიცინს ბათუმში ჰქონდა ჩაის გადამწონი საწარმო და სპეციალური მაღაზია. სინიცინის მეურნეობაში ჩაის ფოთლის პირველი მოსავალი 1902 წლეს მიიღეს." აქედან მოყოლებული 1918 წლამდე წარმოება არ შეჩერებულა [198, 152].

სინიცინების ჩაის ფაბრიკის წარმადობა წლების მიხედვით

წელი	მიღებული პროდუქცია გირვანქებში
1905	9 800
1906	11 853
1909	15 303
1913	21 650
1914	21 793
1916	26 000

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა III. სოფლის მეურნეობა. 2008. გვ.152

მზა პროდუქციას სინიცინები ჰყიდდნენ საქართველოში და გაჰქონდათ საექსპორტოდ. იმ პერიოდში ჩაი სასურველ სასმელად ითვლებოდა და ძვირადაც ფასობდა, ამან განაპირობა კიდეც ოჯახის მნიშვნელოვანი შემოსავლები. ფაბრიკისათვის დამხმარე პერსონალის სახით სინიცინები ადგილობრივ ნებითდაქირავებულებს იხმარდნენ. სეზონზე ისინი ასაქმებდნენ 30-40 მუშას, რაც

პოპოვის წარმოებასთან შედარებით მცირე მასშტაბებზე მიუთითებს.

გურულებს პირველად ჩაის ფოთლის გადამუშავება და ჩაის დაყენება **ერმილე ნაკაშიძემ** ასწავლა. იგი დაიბადა 1869 წელს ოზურგეთის მაზრის სოფ. მაკვანეთში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1883 წელს, როგორც ნარჩინებული გიმნაზისტი, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის სტიპენდიით სასწავლებლად გაემგზავრა პოლონეთში სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში. 1886 წელს დაბრუნდა სამშობლოში. იგი მოწადინებული იყო გურიაში მრავალი კულტურული მცენარე გაეშენებინა. ერმილე ნაკაშიძემ თავის ბიძაშვილთან ერთად სოფ. ზვანში ააგო ჩაის ფაბრიკა და დაამზადა ჩაი „ერმილიტა", რომელიც მისი და მისი მეუღლის ივლიტა ასათიანის სახელებისაგან შედგებოდა. (ფოტო აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის" ფონდებიდან)

ჩაის კულტურით დაინტერესებული მეწარმე **იური ივანეს ძე დიადიუში** სპეციალობით აგრონომი იყო და მუშაობდა ჩაქვის საუფლისწულო მამულის სანერგე მეურნეობის გამგედ. XIX საუკუნის ბოლოს მან ბათუმის შემოგარენში-სოფ. ფერიასა და სოუქსუზე შეიძინა მიწები და იქ მეურნეობა მოაწყო. ჩაის კულტურასთან ერთად გააშენა ციტრუსები. 1909 წელს დიადიუშმა ააგო ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავების საწარმო, გადამწონი საამქრო და სავაჭრო ფარდული. საერთო შემოსავალში ძირითადი იყო ჩაი, რომლის ფართობი 1905 წელს იყო 5, ხოლო 4 წლის შემდეგ 7 დესეტინა. ჩაის ფოთლის პირველი მოსავალი დიადიუშმა მიიღო 1905 წელს (116 გირვანქა). 1906 წელს დაკრიფა 814 გირვანქა ფოთოლი, 1909 წელს-2 836, 1910 წელს-5 998, 1916 წელს-10 ათასი გირვანქა. ჩაის პროდუქციის გირვანქის ფასი იყო 1,2-2 მან. ამ მონაცემების მიხედვით დიადიუშის შემოსავალი მეჩაიებოდან 1911 წელს-4 801 რუბლიდან 8 102 რუბლამდე აღწევდა. იგი ძირითადად იყენებდა დღიურ მუშახელს. 1909 წლის ცნობით, მის ფაბრიკაში 5 მუშა მუშაობდა [198, 152-153].

1900-1906 წლებში ჩაის წარმოების საქმე სოფ. მახინჯაურის მახლობლად წამოიწყო მეწარმე **ვასილ სტეფანეს ძე ბიხოვცევმა.** დიდი ალბათობით მასაც ეს საქმე საუფლისწულო მამულში ექნებოდა შესწავლილი. მან შეისყიდა ნაკვეთები, გააშენა ჩაის პლანტაციები და გამართა მეურნეობა. 1905-1913 წლებში ჩაის ფოთლის მოსავალი 2680 გირვანქიდან 13 831 გირვანქამდე, ანუ 5-ჯერ და მეტად გაიზარდა. სეზონზე 20-25 კაცი მუშაობდა. ბიხოვცევის მეურნეობიდან ჩაის ფოთოლს ყიდულობდა ჩაქვის საუფლისწულო მამული, გირვანქას 13 კაპიკად, ხოლო შემოსავალი 1913 წელს 1798 რუბლს შეადგენდა. 1918-1920 წლებში მეურნეობა სერიოზულ სიძნელეებს განიცდიდა, რის გამოც წარმოება მნიშვნელოვნად დაქვეითდა [198, 153].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად ინიშნება **ალექსანდრე ილიას ძე სტოიანოვი.** როგორც ჩანს, მას სურვილი გაუჩნდა კაპიტალდაბანდება განეხორციელებინა აჭარის მხარეში და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად მეწარმეობაც შეითავსა, ხელი მოჰკიდა იმ პერიოდისათვის ერთობ პოპულარულ ჩაის წარმოებას. ჩაქვში მოაწყო კაპიტალისტური მეურნეობა, რომლის ფართობი 20 დესეტინას შეადგენდა. გააშენა ჩაი, ხეხილი, ციტრუსი, ვაზი, ყვავილები, ააგო სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობე-

ბი. პირველი ეტაპის სამუშაოებზე 1890 წლისათვის დახარჯა 23 ათასი რუბლი. ძირითად სამუშაოებს სეზონურად დაქირავებული მუშები ასრულებდნენ (ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები და თურქები), რომელთაც დღიურად უხდიდა 60-80 კაპიკს. 20 დესეტინა ფართობიდან ჩაის კულტურას ეკავა 3 დესეტინა, სადაც მეწარმე საშუალოდ კრეფდა 7-8 ათას გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს. მეურნეობაში მოწყობილი ჰქონდა სანერგე, რომელიც მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა [198, 153].

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ახლოს **სობეცკი** აფუძნებს ჩაის წარმოების მეურნეობას. ჩაის კულტურას ეკავა 5 დესეტინა, დანარჩენზე მოწყობილი იყო სანერგე, გაშენებული იყო ხეხილი, ყვავილები, დეკორატიული მცენარეები და სხვ. მეურნეობის ყველა დარგი მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა. 1909 წელს სანერგეში ირიცხებოდა ციტრუსოვანთა 10 ათასი ნერგი და სანერგედან მიღებული შემოსავალი 8280 რუბლს შეადგენდა. ჩაის ფოთოლს სობეცკი დიადიუშის ფაბრიკაში ამუშავებდა და მზა ნაწარმს ასაღებდა როგორც ბათუმში, ისე თბილისში, პეტერბურგსა და პოლტავის გუბერნიაში, გირვანქას 1 რუბლად და 40 კაპიკად. ამდენად 5 დესეტინა ჩაის პლანტაციიდან მას შეეძლო მიეღო 2 ათასი რუბლი სუფთა მოგება [198, 153-154].

აჭარის ტერიტორიაზე მიღებული ჩაის ფოთოლის დიდი ნაწილი მუშავდებოდა პოპოვის ფაბრიკაში, სადაც დამონტაჟებული იყო ინგლისური ფირმა **„დავიდსონის“** მანქანა-დანადგარები. ფაბრიკის აშენება და საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფა მეწარმეს 40 000 მანეთი დაუჯდა. 1902 წელს ჩაის არსებული პლანტაციებიდან ქარხანაში შემოიტანეს 41 000 ფუთი ჩაის ფოთოლი, 1903 წელს კი 43 000 ფუთი. განსხვავდებოდა ჩაის ფასებიც-იგი მერყეობდა 60 კაპ-დან 2მან. 40 კაპიკამდე. შედარებით დაბალი ხარისხის ჩაით მარაგდებოდა ჯარის ნაწილები, ხოლო საუკეთესო ჩაი პეტერბურგსა და მოსკოვში იგზავნებოდა. 1895 წელს პოპოვის მიერ ბაიხის ჩაის პირველი პარტია გაიტანეს ბაზარზე, 1889 წლიდან მას მოჰყვა დაწნეხილი ჩაის პირველი პარტიების რეალიზაცია. 1896 წელს პოპოვმა ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით შეძლო ჩაის ერთჯერადი აბები შეექმნა, რომელიც წარადგინა მთელ რიგ გამოფენებზე ჯერ ნოვგოროდში, შემდგომ კი 1897 წელს სტოკჰოლმში, 1899 წელს პეტერბურგში, 1900 წელს პარიზში, 1901 წელს გლაზგოში. პროდუქციამ დიდი მოწონება დაიმსახურა. სწორედ ამიტომ პოპოვმა 1900 წელს ბაზარზე გასატანად 24 000 ცალი ჩაის აბი დაამზადებინა. სამწუხაროდ, საქართველოში დამზადებულ ქართულ ჩაის რუსული ჩაის ეტიკეტი ერტყა.

მომდევნო წლებში, როგორც ჩანს, მხოლოდ პოპოვის ჩაის ფაბრიკა ველარ აუდიოდა დიდი რაოდენობით დაგროვილი ჩაის ფოთლის გადამუშავებას, მაგრამ კონკრეტული მონაცემები ქარხნის მუშაობის დინამიკის შესახებ აღარ მოგვეპოვება.

ბათუმის ოლქში მსხვილი სუბტროპიკული მეურნეობის შექმნა **საუფლისწულო უწყებამ** დაიწყო XIX საუკუნის 90-იან წლებში. ამ მიზნით, ჩაქვში დაისაკუთრა 14 ათასი დესეტინამდე მიწა, სადაც გააშენეს ჩაი, ციტრუსები, ბამბუკი და სხვა კულტურები. ჩაის გაშენებას საფუძველი ჩაეყარა 1895 წელს. ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ ჩინელი და იაპონელი სპეციალისტები, რომელიც

საუფლისწულო უწყების აღმოსავლეთის ექსპედიციამ ჩამოიყვანა. 1898 წელს საუფლისწულო მამულის მმართველობამ გადაწყვიტა ჩაის ფაბრიკის აშენება, რისთვისაც პროფ.სიმონსონი მივლინებული იყო საზღვარგარეთ. იგი იმავე წელს დაბრუნდა და თან ჩამოიტანა „დევიდსონის" სისტემის ჩაის საშრობი ღუმელი, რომლის მწარმოებლობა დღე-ღამეში უდრიდა 1 500 გირვანქა ჩაის. იმავე წელს საუფლისწულო მამულის მმართველობის მოთხოვნით ჩამოვიდნენ პირველი ტიტესტერები* **ა.პ.სელივანოვსკი** და **ა.ა.როსტორგუევი.**

XIX საუკუნის ბოლოს ძირითადად დამთავრდა მამულის მოწყობის პირველი სამუშაოები. 1900 წელს დაამუშავეს 194 დესეტინა (საერთო ფართობის 1,6%). აქედან ჩაის პლანტაციას ეკავა 90 დესეტინა. ჩაქვის საუფლისწულო მამულის მოწყობაზე დაიხარჯა 662,055 რუბლი. მეურნეობაში ყველაზე შემოსავლიანი დარგი იყო მეჩაიეობა. მართალია, ამ დარგში მეტი იყო საწარმოო დანახარჯებიც, მაგრამ შემოსავალს და შესაბამისად, მოგებას იგი უფრო მოკლე დროში იძლეოდა, ვიდრე დანარჩენი სუბტროპიკული კულტურები [93, 118-126].

წლები	ფართობი (დესეტ)	მოსავალი (გირვანქ)	წლები	ფართობი (დესეტ)	მოსავალი (გირვანქ)
1901	110	102000	1914	500	1052508
1905	200	389899	1915	500	1266519
1910	400	781381	1918	500	431021
1913	500	1038476	1920	500	844545

მასალები მოტანილია ნაშრომიდან: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა III. სოფლის მეურნეობა". გვ. 147

საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულია დოკუმენტი სახელწოდებით Управления Инспектора Кавказских удельных имении по Чаквинскому земелию. დათარიღებული 1903 წლის 30 იანვრით. სადაც საუბარის იმის შესახებ, რომ ჩაის პლანტაციების ფართობების ზრდამ, პროდუქციის ქარხნულმა დამუშავებამ, მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზმის დონის გაუმჯობესებამ ზეგავლენა ვერ მოახდინა პროდუქციის ფასის დაწევაზე. მამულის შემმოწმებელი კომისიის წევრი საუბრობს ხარჯების ბევრი მიმართულებით შემცირებაზე, მაგრამ როგორც ჩანს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველი გ.სიმონსონი იჩენდა სიჯიუტეს მის შენიშვნებზე. წერილის ავტორი თავშეკავებას გამოხატავს ჩაის პლანტაციების ყოველწიური გაფართოებაზე, იგი ურჩევს, რომ სჯობს უფრო კარგად მოუარონ არსებულ ნარგავებს, რომელთა ფართობი 160 დესეტინას შეადგენს. მისი აზრით პლანტაციების 200 დესეტინამდე გაზრდის შემდეგ წერტილი უნდა დაესვას ამ საკითხს. ოქმში საუბარია იმის შესახებ, რომ ლაო ჯინ ჯაოს, რომელიც ამ საქმის სპეციალისტია ბევრ რამეს არ ეკითხებიან. იგი ასევე ურჩევს, რომ იყოლიონ კანტორის განსაკუთრებული მუ-

* ტიტესტერი-სპეციალისტი, რომელიც ჩაის საგემოვნო თვისებებს ამოწმებს, ჩაის დეგუსტატორი

შაკი, რომელიც აღრიცხავს სხვა მწარმოებლებისაგან შეძენილი მწვანე ჩაის ფოთლის რაოდენობას, ხოლო ზამთრის სეზონზე ივლის მაღაზიებში და აღრიცხავს ჩაის გაყიდვების მოცულობებს. წერილის ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ ჩაქვის საუფლისწულო მამულმა უნდა გამოუშვას მასიურად იაფი კარგი ჩაი და მცირე რაოდენობით უმაღლესი ხარისხის და თავის მოსაზრებას ცხრილის სახით გვთავაზობს:

უმაღლესი ხარისხის	16%	8 000 ფუნტი	გაყიდოს 2 მან.40კაპ.
I ხარისხის	35%	17 000 ფუნტი	2 მან.
II ხარისხის	25%	12 000 ფუნტი	1 მან. 60 კაპ.
III ხარისხი	24%	12 000 ფუნტი	1 მან. 20 კაპ.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს ჩაქვის საუფლისწულო მამულში იგეგმებოდა ჩაის სანერგე მეურნეობის გახსნა, როგორც ჩანს ეს საქმე გამოცდილი ადამიანისათვის, გ.დიადიუშისათვის უნდა მიენდოთ, მაგრამ ეს საქმე დიდ საწყის კაპიტალთან იყო დაკავშირებული, ხოლო მამულის ფინანსური მდგომარეობა იმ დროისათვის სახარბიელოდ არ გამოიყურებოდა. [სცა, ფონდი 351, ანაწერი 1, საქმე 41].

ჩაქვში საუფლისწულო უწყების მეურნეობის შესახებ პ.გუგუშვილი წერს: „1913 წელს საქართველოში მოქმედებდა ჩაის გადამამუშავებელი ხუთი ფაბრიკა: საუფლისწულო მამულისა, პოპოვისა, ნაკაშიძისა, სინიცინისა და დიადიუშისა. ამათ მიერ დამზადებული ჩაის მთავარი მომხმარებელი იყო შიდა რუსეთი“ [64, 115].

ცხრილში წარმოდგენილია ჩაის რეალიზაცია რუსეთის ბაზრებზე (გირვანქობით)

1903	71 285	1909	152 317
1904	161 036	1910	217 446
1905	122 983	1911	275 268
1906	138 070	1912	280 323
1907	113 615	1913	327 225
1908	108 172	1914	334 675

მასალა აღებულია ნაშრომიდან: გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941. გვ.115

ცხრილში მოცემულია ყველაზე მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის-ჩაქვში საუფლისწულო უწყების მეურნეობის ჩაის პლანტაციების ფართობები და მოწეული მოსავალი (გირვანქობით)

წლები	ჩაის პლანტაციის ფართობი (დესეტინობით)	მოყვანილი ჩაის ფოთოლი (გირვან-ქობით)
1905	200	389 822
1906	245	439 934
1907	250	262 051
1908	250	523 449
1909	350	635 031
1910	400	781 381
1911	410	722 825
1912	450	887 303
1913	500	1 038 476

მასალა აღებულია ნაშრომიდან: გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941. გვ.112

საუფლისწულო მამულში ჩაის კულტურის ფართობი გაიზარდა 5-ჯერ, ხოლო მოსავალი-1,8-ჯერ. ყველაზე მაღალი მოსავალი 1913-1915 წლებში მოინიეს. 1916-1920 წლებში ჩაის ფოთლის მოსავლის შემცირება გამოინვია მუშახელის სიმცირემ. მამულში უხვად იყო მოსაკრეფი ჩაის ფოთოლი, მაგრამ ადმინისტრაციამ საჭირო რაოდენობის სეზონური მუშები ვერ მიიზიდა. მუშახელის უკმარისობის გამო 1918 წელს მოკრიფეს ჩაის ფოთლის 35%, ხოლო 1919-1920 წლებში-60%. საუფლისწულო უწყება ჩაის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი იყო საქართველოში. აჭარის ჩაის პლანტაციების საერთო ფართობიდან ამ ერთ მეურნეობაზე მოდიოდა: 1902 წელს-50%, 1913 წელს-63%, ხოლო 1916 წელს-60%. ანალოგიური მახასიათებელი მოსავლის მიხედვით კიდევ უფრო მაღალი იყო. 1905 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულზე მოდიოდა აჭარის ჩაის საერთო მოსავლის 61%, 1915 წელს-80%, ხოლო 1916 წელს-77%. საუფლისწულო მამულში ჩაის ფაბრიკის სანარმოო სიმძლავრე მთლიანად საკმარისი იყო ნედლეულის გადამუშავებისთვის. 1900-იან წლებში მოხდა ფაბრიკის გადაიარაღება. 1905 ნლიდან იგი ემსახურებოდა გარეშე მეჩაიე პლანტატორებს. გირვანქა ჩაის გადამუშავება და შეფუთვა ღირდა 28 კაპ. საუფლისწულო უწყება გარეშე პირებისაგან ჩაის ფოთოლს 13 კაპ. ყიდულობდა, რითაც მნიშვნელოვან მოგებას იღებდა. ჩაის ფოთლის კრეფის ზრდასთან ერთად, ცხადია, გაიზარდა მზა პროდუქციის მოცულობაც, ფაბრიკამ აწარმოა:

1900 წელს-5000 გირვანქა ჩაი, 1905 წელს-10000 გირვანქა, 1910 წელს-205 000 გირვანქა, 1915 ნელს-321 000 გირვანქა, Aანუ 1900-1915 ნლებში ჩაის მზა ნაწარმის გამოშვება 64,2%-ით გაიზარდა. საუფლისწულო უწყებას ჩაის ნაწარმი გასაყიდად გაჰქონდა მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ხარკოვში, ვარშავაში, ოდესაში, ეკატერინოსლავში, ვილნიუსში და სხვ. 1914 წელს ჩაის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი 240 ათას რუბლს შეადგენდა. ეს მაშინ, როდესაც 500 დესეტინა პლანტაციიდან სრულმოსავლიანი იყო 276 დესეტინა

[94, 18-29].

XIX საუკუნის ბოლოს ჩაის სამრეწველო პლანტაციების მეპატრონეებს საინტერესო ინიციატივა ჰქონიათ-გადაუწყვეტიათ ერთმანეთში ფულის შეკრება ჩინეთსა და ცეილონზე ორი აგრონომის გასაგზავნად. სათანადო პრაქტიკის მიღების შემდეგ ეს აგრონომები დაბრუნდებოდნენ და უხელმძღვანელებდნენ „ჩაის საქმის სკოლას", რომლის დაარსებაც მათვე ჰქონიათ განზრახული [265, 30-33].

დასავლეთ საქართველოში ჩაის, როგორც სამრეწველო გადამუშავებისათვის საჭირო ნედლეულის, გავრცელება ძირითადად ჩინეთიდან ჩამოტანილი თესლით მოხდა, რომლის ტრანსპორტირება რთული იყო და საკმაოდ ძვირადაც ფასობდა. ხის ნახშირში და ნახერხში არეული თესლი გადმოჰქონდათ ზღვით ტომრებში სპეციალურად შეფუთული. 1 ფუთი თესლი ადგილზე 10 მან. ღირდა, ჩამოტანის ხარჯებით 20 მან. ჯდებოდა, აღმოცენება კი აღწევდა მხოლოდ 15-40%-ს [265, 30-33].

XX საუკუნის დამდეგს ჩაის კულტურა გასცდა აჭარის ფარგლებს, გავრცელდა გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გადაწყვიტა ჩაის საცდელი პუნქტების დაარსება სოხუმში, სამეგრელოსა და გურიაში. ამისათვის საზოგადოება უფასოდ იძლეოდა 100 ცალ ჩაის ნერგს. ამ საქმის ორგანიზაცია აგრონომ **ტიმოფეევს** (ქუთაისის გუბერნია) და თავად **ნაკაშიძეს** (ოზურგეთის მაზრა) დაევალა. 1900 წელს შემოდგომაზე ოზურგეთის მაზრაში შეიქმნა 8 ასეთი პუნქტი. უკვე 1904 წელს კი ოზურგეთის მაზრის სოფ.გომში გლეხ **მელუას** პლანტაციიდან მებაღე **დოლონაძის** ხელმძღვანელობით დამზადდა პირველი ჩაი. იმავე წელს გაზრახული ყოფილა სახაზინო ჩაის ფაბრიკის მშენებლობის დაწყებაც ოზურგეთში, მაგრამ არ განხორციელებულა [265, 30-33].

XIX საუკუნის დამდეგიდან გაფართოვდა ვაჭარ-მრეწველთა მხრიდან კაპიტალის დაბანდება სოფლის მეურნეობაში. ქვემო ქართლში მანთაშევმა იყიდა 5 200 ჰექტარი მიწა, არამიანცმა-8 700 ჰექტრი, რომელზეც მათ გამართეს მაღალი დონის მეურნეობები.

1850 წელს ბარონესა **სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაიმ** ვალდებულება აიღო ლოჭინში 10 წლის განმავლობაში მოეწყო სანიმუშო მეურნეობა: გაეშენებინა სხვადასხვა მცენარეები, ვენახი, ხეხილი და ა.შ.. მალე მეურნეობის მოწყობა თავს იდო სოფიოს ქმარმა **ბარონმა ნიკოლაიმ**. მოგზაურობის დროს დერბენტში იგი შეხვდა გერმანელ **ფივეგს**, რომელსაც კარგად ცოდნია ენდროს გაშენება. ბარონმა ნიკოლაიმ იგი თავისთან მიიწვია. 1851 წელს ლოჭინოში გაიყვანეს ნაკადული, რომელიც სათავეს სახაზინო სოფელ მარტყოფიდან იღებდა. მიწის პირველ ნაკვეთზე დახნეს 20 დესეტინა, ჩაყარეს დერბენტიდან გამოწერილი ენდროს საუცხოო თესლი და 1852 წელს მიიღეს პირველი მოსავალი.1852 წელს გააკეთეს სარწყავი არხი და დაიწყეს ენდროს მორწყვა, მაგრამ ამან ბალახი გაახშირა. 3 წელი ებრძოდნენ ბალახს, საბოლოოდ დახნეს და ხორბალი დათესეს [52, 57].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მხრივ ქართლი ისტორიულად წარმოედგენდა მაღალგანვითარებულ რეგიონს, სადაც განსაკუთრებუ-

ლი ყურადღება ეთმობოდა ხორბლის, ქერის, შვრიის, ფეტვის, სელის და სიმინდის მოყვანას. მარტო ქართლის მსხვილი სათავდოების ქსნისა და არაგვის საერისთავოებში-საამილახვრო, საყაფლანიშვილო, საციციშვილო და სხვ. „კოდის პურის" გადასახადი 2 621 კომლიდან იკრიფებოდა 10 484 კოდი ხორბალი და ქერი. განსაკუთრებული პრიორიტეტულობით გამოირჩეოდა უძველესი დარგები: მევენახეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა და სხვ. შიდა ქართლში ინტენსიურად მიმდინარეობდა ბაღ-ვენახების მშენებლობა, რომელთაგან გამოირჩეოდა მდინარეების: თეძმის, მეტეხ-სასირეთის, ატენის, სკრის, ხოვლეს, ლიახვის, ქსნის, არაგვის, მეჯუდის და სხვ. ხეობა-მდინარეების აუზები [180, 36].

სოფლის მეურნეობა გორის მაზრაში

გორისა და მისი შემოგარენის კლიმატურ-ნიადაგური თავისებურებები, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა ამ რეგიონის სოფლის მეურნეობის ხასიათზე. მთიანი ადგილები საუკეთესო ალპური საძოვრებით ხელს უწყობდა მეცხოველეობის განვითარებას, ბარში კი უკეთესი პირობები იყო ხვნა-თესვისა და სასოფლო კულტურების საწარმოებლად. XIX საუკუნეში გორის მაზრაში განსაკუთრებული გასაქანი მიეცა ხორბლის, სიმინდის, ვაზის, ხეხილისა და ბოსტნეულის მოყვანას. ამ მხრივ აღსანიშნავია მდინარე დიდი ლიახვის ხეობა-სოფ. ქვემო ნიქოზიდან ვარიანამდე. აქ მოყვანილ ხორბალს თავისი ხარისხით მოწინავე პოზიცია ეკავა მთელ საქართველოში.

სიმინდი ქართლში ძირითადად სარწყავ ადგილებში ითესებოდა, დაბლობში ფართოდ ინერგებოდა ვაზისა და ხეხილის კულტურა, ხოლო მთიან ადგილებში უფრო მეტად-მერძეული მეცხოველეობა.

1883 წელს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებული ნ. ურბნელის ცნობის თანახმად, ტირძნისელი მემამულე **ი.დ.სულხანოვი** (სულხანიშვილი) მაზრაში ის ერთ-ერთი მემამულე იყო, რომელიც ცდილობდა ევროპულად გაემართა საკუთარი მეურნეობა, შესაბამისად მისი ფერმა საუკეთესოდ ითვლებოდა ქართლში სადაც აგრონომი სტუდენტებიც კი ჩამოყავდათ პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად. მერნეობის გამართვას, რომელსაც 200 დესეტინა ფართობი ეჭირა, იგი შეუდგა 1851 წელს და 1865 წლისათვის მას:

– 150 დესეტინაზე ეთესა ხორბალი;
– 4 დესეტინაზე-ფეტვი, მუხუდო და ცერცვი;
– 8 დესეტინაზე-ინდიგო;
– 7 დესეტინაზე ჩაყრილი ჰქონდა ვაზი;
– საძოვრებს, რომლებიც ხელოვნურად ირწყვებოდა, ეჭირა 30 დესეტინა, მათ შორის მხოლოდ იონჯას ნათესებს -1 დესეტინა.

სამინათმოქმედო იარაღებიდან მან შეიძინა შუმანის სისტემის გუთანი, ცდილობდა სათანადო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დანერგვასაც. სულხანიშვილმა ასევე შემოიტანა ხორბლის მარცვლის საუკეთესო ჯიშები, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საღებავი მცენარეების მოყვანასა და მის რეალიზაციას, ამიტომაც ყოველწლიურად ზრდიდა ინდიგოს ნათესებს. თუ 1863 წელს მას ეს მცენარე 5 დღიურ სახნავზე ეთესა, 1865 წლისათვის ნათესის მოცულობა 15 დღიურ სახნავამდე გაზარდა. გაშენებუ-

ლი ჰქონდა სხვადასხვა ჯიშის ვაზი: საფერავი, მსხვილმარცვალა, ბუდეშური, ხორტივალი და ადრეული. მოჰყავდა მცირე რაოდენობით თამბაქოც, თუმცა სპეციალურად ამ საქმისათვის ოსტატი ტრაპიზონიდან ჩამოუყვანია. 1863 წელს თბილისში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ი.სულხანიშვილის წარდგენილმა პროდუქციამ ოქროს მედალი დაიმსახურა [170, 22-25].

სოფლის მეურნეობის განვითარებამ წინ წასწია მიწათმოქმედება. ამაზე მიუთითებს გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის დაარსება 1897 წელს, რომლის გამგეობის თავმჯდომარე თავადი **გ.ა.ბაგრატიონ-დავითაშვილი** ყოფილა, დირექტორ-გამგებელი კი-თავადი **ვ.გ.მაჩაბელი**. სადგურ გომში ამხანაგობა ყიდულობდა და ყიდდა უმთავრესად სოფლის მეურნეობის ნაწარმს, 1899 წლის სტატისტიკური მასალის თანახმა, ამხანაგობის სავაჭრო აქტივობები შემდეგნაირი იყო:

საქონლის დასახელება	ამხანაგობამ გაყიდა				დარჩა გასაყიდი			
	წონით		ღირებულებით		წონით		ღირებულებით	
	ფუთი	გირვანქა	მან.	კაპ.	ფუთი	გირვანქა	მან.	კაპ.
პური	33569	17	26928	7	29087	31	22397	59
ქერი	41705	14	27312	79	10343	29	6930	30
სიმინდი	19353	24	10784	57	3757	06	1878	57
ლობიო	450	38	272	79	421	36	232	05
თივა	-----	----	17483	73	-----	– ----	5185	80
შვრია	194	20	145	90	-----	– ----	-----	– ---
ხე-ტყის მასალა	– ----- 6294	– ----	3078	45	-----	– ----	1480	14
ნავთი	– -----	19	7628	16	459	– ----	619	65
სხვადასხვა სავაჭრო		– ---	29890	74	-----	– ----	11529	17

1905 წელს გორის მაზრაში მოუწევიათ შემდეგი რაოდენობის მოსავალი:
ხორბალი 3 165 834 ფუთი;
ქერი 1 113 539 ფუთი;
სიმინდი 668 143 ფუთი;
შვრია 17 631 ფუთი;
კარტოფილი 128 400 ფუთი;

მეხილეობაში წამყვანი ადგილი ეკავა ვაშლის, მსხლისა და კაკლის მეურნეობებს. მათი ნაყოფები კარგად უძლებდა ტრანსპორტირებას და დიდხანსაც ინახებოდა. შიდა ქართლში დიდი რაოდენობით მოდიოდა ალუბალი, ბალი, ატამი, ჭერამი, ქლიავი და სხვ. ხილის მოსავლის ძირითად რაოდენობას გლეხ-

ებისაგან ადგილზევე ყიდულობდნენ ხილით მოვაჭრეები, რაც მათ საგრძნობ მოგებას აძლევდა.

ხილის გაყიდვით მიღებული შემოსავალი შეადგენდა;

1882 წელს----------20 ათას მან.	1888 წელს----------29 793 მან.
1883 წელს----------25 ათას მან.	1889 წელს----------7 860 მან.
1884 წელს----------25 ათას მან.	1890 წელს----------30 448 მან.
1885 წელს----------24 ათას მან.	1891 წელს ----------27 376 მან.
1886 წელს----------32 ათას მან.	1892 წელს----------26 975 მან.
1887 წელს----------20 772 მან.	1893 წელს----------18 975 მან.

გორის მაზრის მეხილეობაში წამყვან კაპიტალისტურ წამოწყებას წარმოადგენდა სკრის ხეხილის სანერგეები და ბაღები, რომლებიც **ძმებ ფრიდონოვებს** ეკუთვნოდათ. თავისი დროის სამინათმოქმედო დარგის განვითარების შესაბამისად, ფერმას გამოჰყავდა ნერგები და ყიდდა როგორც მას, ისე ხილსაც. ფერმა რამდენჯერმე დაჯილდოვდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დიპლომებითა და ოქროს მედლებით (1899 წლიდან 1903 წლამდე სრულიად რუსეთის სხვადასხვა გამოფენებზე პეტერბურგში ოთხი ოქროს მედლი და საპატიო სიგელი) [127, 86].

გორის მაზრაში არსებულ ხეხილის ბაღებს შორის გამორჩეული იყო **კარლ ივანეს ძე გაუსმანის** ბაღი, მდ.მეჯუდის ნაპირზე, რომელსა ეკავა 6 დესეტინა, აქედან ხეხილს- 5 დესეტინა. ბაღი გააშენეს 1871-1872 წლებში. საიტერესოა ის სიახლე, რომელიც გაუსმანმა დაამკვიდრა-იგი ხეებს განსაკუთრებულ ფორმას აძლევდა, მაღლითა გვერდით ტოტებს აჭრიდა, დანარჩენებს კი ტოვებდა. ხე პირამიდის მსგავს ფორმას იღებდა, ეს კი ქარისაგან დასაცავად საუკეთესო საშუალება იყო, როცა სხვაგან ქარი ხეებს ამტვრევდა, აქ მათ ნაყოფებიც კი არ სცვიოდათ.

1900-იანი წლების დასაწყისიდან გორის მაზრაში ბევრი შემოსავლიანი ხეხილის სანერგე და ბაღი იყო, მათ შორის აღსანიშნავია:

სანდრო მაჩაბლისა-სოფ. ქურთაში 6-7 დესეტინა ფართობზე;

სიმონ ხეთაგურის-ცხინვალსა და ქვემო ნიქოზს შორის 5 დესეტინა ფართობზე;

ხიდისთაველების-ქალაქ გორის ახლოს;

ისაია ფურცელაძისა-სოფ.მერეთში 9 დესეტინა ფართობზე;

ა.ერისთავის-ატენის ხეობაში;

ნიკო კეცხოველისა-სოფ. ტყვიავში;

თარხნიშვილების-სოფ. ახალქალაქში;

მათ სანერგეებში დიდძალი ნერგი გამოჰყავდათ, რაც ქართლის სოფლებში იყიდებოდა. ბაღებისა და სანერგეების დამუშავების დროს იყენებდნენ უცხოეთიდან გამოწერილ რკინის გუთნებს, კულტივატორებსა და სხვა მანქანა-იარაღებს.

ერთ-ერთი ბაღის მფლობელი ხიდისთავში წარმატებით აწარმოებდა ცდებს ხილის კონსერვების დასამზადებლად. ქართლის მეხილეებს კავშირი ჰქონდათ

ყირიმის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სანერგეებთანაც.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ქართლის გლეხობა ხილს ტოტებიანად ინახავდა სხვენში ან მარანში, ხილის კონსერვაცია ხდებოდა ცვილითა და თათარით, მარილიან ან უმარილო წყალში ჩაყრით, მისი შენახვით ორმოში, ქვევრში და სხვ. [127, 74-89].

1913 წელს გაზეთი „ქართლში" გამოქვეყნებული გორის ბაზრის ფასები ასე გამოიყურება:

პროდუქციის დასახელება	ღირებულება
ფუთი ხორბალი	1 მან. 20 კაპ/1 მან. 15 კაპ.
ფუთი ფქვილი	1 მან. 15 კაპ./1 მან. 10 კაპ.
ფუთი ქერი	75 კაპ-დან 70 კაპ-მდე
ფუთი სიმინდი	70 კაპ-დან 60 კაპ-მდე
ფუთი შვრია	70 კაპ-დან 80 კაპ-მდე
ფუთი ლობიო	1,80 კაპ-დან 85 კაპ-მდე
ფუთი კარტოფილი	70 კაპ-დან 50 კაპ-მდე
ფუთი კომბოსტო	20 კაპ-დან 30 კაპ-მდე
ფუთი ჭარხალი	80 კაპ-დან 60 კაპ-მდე
100 კვერცხი	2 მან 50 კაპ/2 მან. 40 კაპ.
ჩარექი რძე ძროხისა კამეჩისა	15 კაპ 20 კაპ
ჩგირვანქა კარაქი	45 კაპ/50 კაპ
ჩგირვანქა ერბო	50 კაპ/48 კაპ

წყარო: გაზეთი „ქართლი" №75. 1 თებერვალი. პარასკევი. 1913 წ. გვ. 4

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მემამულე **ამილახვარს** სოფ. ორთაშენში, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის რჩევით, გაუშენებია იმ დროისათვის კარგი ბოსტანი, სადაც დაუთესია ბრიუსელისა და ფერადი კომბოსტო. ეს იყო სარისკო გადაწყვეტილება, მაგრამ მემამულე არ შეუშინდა ამ ნოვაციას და კარგი მოსავალიც მიიღო. თუმცა გორში (ალბათ, არა მარტო გორში) კომბოსტოსათვის გასაღების ბაზარი ვერ იშოვა, იძულებული გახდა ბოსტანში კამეჩები შაეშვა და ამდენი ნაშრომი გაენადგურებინა.

მსგავსი სიახლეები არაერთმა მემამულემ დანერგა ტყვიავში, მერეთში, ქურთაში, აჩაბეთში, ვანათში და სხვ. გააშენეს ევროპული ტიპის ბაღ-ვენახები თავიანთი სანერგე მეურნეობებით, შემოიტანეს უცხოური ჯიშის კულტურები,

დააარსეს სასოფლო-სამეურნეო სკოლები და ა.შ. ახლად დაარსებული სამეურნეო საზოგადოებები ხელს უწყობდნენ სოფლის მეურნეობის პროგრესულ მეთოდებზე გადასვლას. მაგალითად ერთ-ერთმა ასეთმა საზოგადოებამ, სოფ. ტყვიავში მებატონე **გაბუნიასაგან** შეიძინა 20 დესეტინა მიწა, შეადგინეს ბაღის გაშენების პროექტი თავისი ხარჯთაღრიცხვით, რომელიც მეხილეობის დარგის ინსტრუქტორმა დ.გორთამაშვილმა ითავა. პროექტის თანახმად 10 წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯი შეადგენდა 86 090 მანეთს, ხოლო შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი-105 100 მანეთს. სანერგე მეურნეობაში გამოჰყავდათ როგორც ადგილობრივი ჰიბრიდული ჯიშის, ისე უცხოური, უმთავრესად ევროპიდან შემოტანილი ხილის ნერგები [180, 235].

XIX საუკუნის II ნახევარში მეხილეობა-მევენახეობის განვითარება გორის მაზრის მეზობელ ტერიტორიულ ერთეულებშიც შეინიშნება, მაგალითად: 1894 წლისათვის ბორჯომის უბანი აერთიანებდა 41 სოფელს, სადაც 385 ხეხილის ბაღი 120 დესეტინა ფართობზე იყო გაშენებული, 84 ვენახი-35 დესეტინაზე, ბოსტნეული კი 120 დესეტინა ფართობზე მოჰყავდათ. სურამის უბანი აერთიანებდა 168 სოფელს, სადაც 718 ხეხილის ბაღი 800 დესეტინა ფართობს მოიცავდა, ვენახი-800 დესეტინაზე, ხოლო ბოსტნეული 60 დესეტინა ფართობზე იყო გაშენებული. ცხინვალის უბანი აერთიანებდა 178 სოფელს, სადაც 30 ხეხილის ბაღი 120 დესეტინას, 1075 ვენახი-1100დესეტინას, ხოლო ბოსტნეული 18 დესეტინა მიწის ფართობებს მოიცავდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთშიც შეეცადნენ სავაჭრო მეხილეობა-მებოსტნეობის განვითარებას. პოლკოვნიკ **ვედენსკის** მიუღია გადაწყვეტილება ქალაქ სოხუმის მაღლობლად მოეწყო ბოსტანი. მოწეული მოსავალი მთლიანად სოხუმის ბაზარზე იყო გათვლილი. ამავე წლებში სოხუმის ბაზარში **ნაზანსკის** მეურნეობიდანაც მიჰქონდათ ხილბოსტნეული. XIX საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში მეხილეობა-მებოსტნეობა სამრეწველო ხასიათს იღებს. **ჩგ.დ.შარვაშიძეს** ამ პროდუქციის გადასამუშავებლად აუმუშავებია საკონსერვო ქარხანა, სადაც დიდი რაოდენობით ამზადებდნენ სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის ნაწარმს. მსგავსი მეურნეობა ჰქონია **გერმან არციბუშევს,** რომელიც ამზადებდა და სოხუმის ბაზარზე ჰყიდდა ატმის, ქლიავის, შინდის, მარწყვის და ალუჩის კომპოტებს, ტომატის კონსერვებს.

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება

1850 წელს მეფისნაცვალ ვორონცოვის ინიციატივით დაარსდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, იგი წარმოადგენდა 1845 წელს დაარსებული „ამიერკავკასიის სასოფლო და მანუფაქტურული მრეწველობის და ვაჭრობის წახალისების საზოგადოების“ აღდგენას და მისი საქმიანობის გაგრძელებას. საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა:

– ქვეყანაში ხორბლის, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ხეხილის ჯიშების გაუმჯობესება და ახალი სახეობების შემოტანა, რაც მეტ მოგებას მოუტანდა მეწარმეებს.

– მებაღეობის, მებოსტნეობის, მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის განვითარება-გაუმჯობესება.

– სოფლის მეურნეობაში ახალი იარაღების შექმნა-შემოტანა.

– მეცხოველეობაში არსებული ჯიშების გაუმჯობესება და ამ დარგის განვითარება.

25-წლიანი არსებობის მანძილზე კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება ფლობდა მნიშვნელოვან თანხებს, ასევე ჰქონდა საწევრო შენატანებიც (170 წევრს ათ-ათი მანეთი შეჰქონდა წელიწადში), ის ყოველწლიურად იღებდა მთავრობისაგან სუბსიდიას 6 ათასი მანეთის ოდენობით. საზოგადოებამ სრულად გაამართლა მოლოდინი – 1852, 1857, 1860, 1861, 1862, 1863, 1869, 1889 წლებში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე უხვად იყო წარმოდგენილი კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მიერ შემოტანილი თუ საქართველოში დამზადებული და მოყვანილი 2 ათასამდე ნიმუში, მათ შორის: ხორბალი არნაუტკა, ჩინური ბრინჯი, რომელიც მშრალ ადგილებში მოდიოდა, გარეული შვრია, ჩირი, კაკალი, ბოსტნეული, ადგილობრივი, თუ იტალიური ამოხვევის აბრეშუმი, აბრეშუმის ქულა, აბრეშუმის პარკი, დართული და დაურთავი მატყლი, იონჯა, ხის ჯიშების 37 ნიმუში, ადგილობრივი, თურქული და ჰავანური (**ეიდაროვის**) თამბაქო, ბაღისა და გარეული ენდრო (საღებავი) დამუშავებული ადგილობრივი და ფრანგული მეთოდით, ადგილობრივი და ფრანგული დამუშავების ზაფრანა, ადგილობრივი გამოყვანის ინდიგო, ავინიონური მსხალი, ალისარჩული, ბაია, საღებავი ირმისთვალა, თრიმელი, ბროწეულისა და გარეული ვაშლის ხის ქერქი (საღებავებისათვის), ანგორის ჯიშის თხისა და ჩვეულებრივი თივთიკი, ესპანური მატყლი, სხვადასხვა ხარისხის მთრიმლავი ნივთიერებები, ადგილობრივი, ამერიკული და ეგვიპტური თესლებით მოყვანილი ბამბის (გრძელბოჭკოვანი) ბამბაზია, სელი, აბრეშუმის, ჩინური ჭინჭრის ბოჭკოები, ზეთოვანი მცენარეები: ქუნჯუტი, აბუსალათინი, კულტურული და ველური სელი, ნიგვზის, თხილის, ქუნჯუტის, კანაფის, სელის, აბუსალათინის ზეთები, სამედიცინო მასალები: ჯადვარი, სხვადასხვანაირი სამკურნალო მცენარეები, სპარსული ფხვნილი, ბეწვეული, ტყავეული და სხვ.

სოფლის მეურნეობის სიღრმისეული ცოდნის მისაღებად კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ გადაწყვიტა მოეწყო პრაქტიკული ფერმა თბილისიდან 15 ვერსის დაშორებით-ლოჭინში. ეს საქმე დაევალა კერძო პირს **ფივერგს** და მასთან გაფორმდა 10 წლიანი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ფივერგი იღებდა ვალდებულებას, მოწაფეებისათვის შეესწავლებინა მებაღეობა და მეურნეობის სხვადასხვა დარგი, მოეწყო ხის ჯიშების და ხეხილის სანერგე, მოეწყო საცდელი ნაკვეთი და გაეშენებინა ტყის ნარგავები. ამის შესასრულებლად მეფისნაცვლის განკარგულებაში არსებული თანხებიდან ეძლეოდა ხუთი ათასი მანეთი ყოველწლიურად. ამ საქმის უნარიანად წარმართვისათვის მას დამატებით მიეცა 20 ათასი მანეთიც. მოგვიანებით მთავრობამ სრულ საკუთრებაში შეიძინა ეს მამული და მოაწყო პირველი სამიწათმოქმედო სკოლა სამხრეთ კავკასიაში. ეს მოხდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაარსებიდან 21 წლის შემდეგ.

1865 წელს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ მოიწვია ინგლისელი მეწარმეების **რანსომისა** და **სიმსის** მექანიკური საწარმოს აგენტი სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების დეპოს გასახსნელად. მთავრობამ დააფინანსა ეს ღონისძიება, მაგრამ ამ წამოწყებას მნიშვნელოვანი შედეგები არ



იაკობ მარი (1793-1874)
James Patrick Montague Marr
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

მოჰყოლია.

1872 წელს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სხდომაზე გიორგი წერეთელმა დააყენა ადგილობრივ ენებზე (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) სასოფლო-სამეურნეო პრესის გამოცემის და საგარეუბნო და საერთო კავკასიური გამოფენების პერიოდულად მოწყობის საკითხები.

სოფლის მეურნეობის რენტაბელობის გასაზრდელად და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად აქტუალური ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება. თუ XIX საუკუნის 50-იან წლებამდე ქართულმა გუთანმა უდიდესი როლი შეასრულა სამეურნეო ყოფა-ცხოვრებაში, მალე დღის წესრიგში დადგა მისი კონსტრუქციული ნაკლოვანებების გაუმჯობესება. ქართველმა ოსტატებმა შექმნეს მუხრანული, ჯიმითული, სამგორული და კაკაბეთური გუთნები, რომლებსაც ნაკლები გამწევი ძალა სჭირდებოდა. XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საწყობების რაოდენობა, თანდათანობით გავრცელება დაიწყო სათესი, სამკალი, სალეწი, სათიბი, სიმინდისა და ბამბის მწკრივზე სათესმა მანქანებმა და სხვ.

მოცემული ცხრილი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სხვადასხვა დარგების როლზე სოფლის მეურნეობასა და ზოგადად საქართველოს ეკონომიკაში 1909-1913 წლებში:

№	მეურნეობის დარგები	ნათესებისა და ნარგავების ფართობები (დესეტინებში)	მთელი პროდუქცია (ფუთებში)	პროდუქციის ღირებულება (მანეთებში)
1	მარცვლეულის მეურნეობა(პური, წერი, სიმინდი, ლობიო და სხვ)	708 000	48 891 200	26 435 900

2	მეცხოველეობა	160 000 (საძოვრები)	21 000 000	18 264 800
	მეფრინველეობა	-	897 600	4 309 500
	მეაბრეშუმეობა	-	200 000	3 000 000
	მეფუტკრეობა	-	38 800	264 500
	სათიბები	100 548	14 896 000	1 787 500
3	მევენახეობა	45 000	10 260 000	12 312 000
4	მებაღეობა	15 000	4 930 000	3 451 000
5	მებოსტნეობა	6 800	3 575 000	1 609 000
	კარტოფილი	5 600	2 401 500	736 600
6	მეთამბაქოეობა	9 650	589 600	7 822 900
	სხვა ნაკლებ მნიშვნელოვანი დარგები და მათი პროდუქცია	-	-	1 283 800
7	ჯამი			84 806 500

წყარო: В.М.Четиркин, М.Н.Нерсесов. Продукция сельского хозяйства в Закавказье, Тифлис. 1925 г. გვ. 8-11

XIX საუკუნეში საქართველოში მოღვაწეობდა გამოჩენილი აგრონომი, **იაკობ მარი**. თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მან საქართველოში გაატარა. იგი შოტლანდიაში დაიბადა, უმაღლესი განათლება ლონდონში მიიღო, სადაც სასწავლებლად ჩასულ მიხეილ ვორონცოვს დაუახლოვდა, რომლის მამაც იმ პერიოდში რუსეთის ელჩის მოვალეობას ასრულებდა ბრიტანეთის სამეფოში. განათლების მიღების შემდეგ, იაკობ მარის ოჯახს პრობლემები შეექმნა ინგლისში და მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანა დაეტოვებინა. იაკობმა ესპანეთი აირჩია და კომერციით დაკავდა, შემდეგ გადმოვიდა ოდესაში, იქიდან თბილისში (საბოლოოდ გურიაში დამკვიდრდა).

სწავლულმა აგრონომმა იაკობ მარმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე საქართველოში გაატარა და ქართულ საქმეს ერთგულად ემსახურა. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც პრაქტიკულად იღვწოდა ევროპული საბაღო-საპარკო ხელოვნების დანერგვისათვის საქართველოში, მონაწილეობდა ქართველ პრაქტიკოს აგრონომთა პირველი თაობების აღზრდაში, ახალი სუბტროპიკული მცენარეების აკლიმატიზაციის საქმეში და ა.შ. ჯერ კიდევ ესპანეთში იყო იაკობ მარი, როცა შეუტყვია შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის შესახებ სამხრეთკავკასიაში, რაც რუსეთის მთავრობას 1821 წლის ბრძანებულებით

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსავალი გორის მაზრაში
XIX საუკუნის II ნახევარში (ფუთობით):

წლები	ვისია სახნავი	აღებულია (ფუთობით)			
		ხორბალი	ქერი	სიმინდი	კარტოფილი
1856	თავადაზნაურობის	244150	40890	3885	----------
	საბატონო გლეხების	492855	14616	4370	---------
	სახელმწიფო გლეხების	301140	15577,5	22750	---------
	საეკლესიო გლეხების	182965	127310	5320	---------
1862	თავადაზნაურობის	169450	--------	--------	2073
	საბატონო გლეხების	229760	--------	--------	1653
	სახელმწიფო გლეხების	119280	--------	--------	1387
	საეკლესიო გლეხების	151088	--------	--------	1287
1864	თავადაზნაურობის	646090	--------	--------	1900
	საბატონო გლეხების	941716	--------	--------	1566
	სახელმწიფო გლეხების	1364869	--------	--------	1889
	საეკლესიო გლეხების	429333	--------	--------	1070
1868	სულ	2776016	--------	--------	62340
1873	თავადაზნაურობის	570190	190240	--------	13865
	საბატონო გლეხების	1785145	206625	--------	30965
1876	თავადაზნაურობის	557460	159200	--------	12050
	საბატონო გლეხების	1473640	264625	--------	81685

1884	თავადაზნაურობის	665000	311750	--------	45400
	საბატონო გლეხების	1705150	699625	742425	65550
1890	დროებით ვალდ. გლეხები (სანედლო მიწებზე)	851447	323350	-------	5025
	მესაკუთრე გლეხები	264000	87725	-------	1045
	სახაზინო გლეხები (სახელმწიფო მიწაზე)	228200	197925	--------	475
	სახაზინო გლეხები (საეკლესიო მიწაზე)	291650	141375	65822	380
	თავადაზნაურობის მიწები:				
	ა) პირად სარგებლობაში	321000	84825	68300	950
	ბ) გაცემულია იჯარით	362700	150790	78550	2175
	გ) გაცემულია ღალით	724678	246355	218500	4750
1893	თავადაზნაურობის	562737	253162	190475	10469
	სახაზინო მიწები	497357	232725	145801	-------
	გლეხთა მიწები	907181	186180	343520	6732
	მოიჯარადრეების მიწები	673920	195025	641829	8640
1897	თავადაზნაურობის	535700	236350	218500	15100
	სახაზინო მიწები	500540	229452	201300	4270
	გლეხთა მიწები	910570	181250	332500	14250
	მოიჯარადრეების მიწები	901450	217500	610500	6650
1899	თავადაზნაურობის	440737	283968	290076	104210

	სახაზინო მიწები	436515	156572	141450	47500
	გლეხების	817950	273325	350892	71150
	მოიჯარადრეების	85400	36250	19000	-------
	მესაკუთრეების	128250	17390	28500	-------
1901	თავადაზნაურობის	1148393	250632	292033	105773
	სახელმწიფო მიწებზე	558552	167569	114864	44550
	გლეხთა მიწებზე	1152242	228386	206415	22023
	მოიჯარადრეთა მიწებზე	568703	94052	61408	67032

წყარო: გორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (XIX-XX სს პირველი მეოთხედი) გ. მაისურაძე. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. თბ. 1979. №2

ჰქონდა დაწესებული და აქეთკენ წამოსულა, სხვა უცხოელ ვაჭრებთან ერთად. იგი ოჯახით ჩამოდის ოდესაში და მუშაობას იწყებს ინგლისის სავაჭრო სახლ „ეტვუდში", რომელსაც, ოდესის გარდა, სავაჭრო ბაზები ჰქონდა საქართველოში. იაკობი სწორედ ამ სავაჭრო სახლის მეშვეობით უნდა სწვეოდა პირველად საქართველოს. გამბას იგი უნახავს რედუტკალეში 1822 წლის იანვარში, მაგრამ აქ იაკობი დიდხანს არ დარჩენილა. იმავე წლის მეორე ნახევარში იაკობ მარი თბილისში ვაჭრობდა-ბამბის თესლს, თუთის ხის ახალ ჯიშებს და აბრეშუმის ჭიის თესლს ჰყიდდა, მაგრამ აქ თბილისელი სოვდაგრები ამხედრებია: ბითუმად ვაჭრობის ნაცვლად საცალო ვაჭრობას ეწევაო, რითაც სავაჭრო წესებს არღვევსო. გენერალ ველიამინოვის ბრძანებით, იაკობ მარს თბილისში ვაჭრობა აუკრძალეს, რის შემდეგ იგი კომერციას აღარ დაბრუნებია-გურიაში გადასახლდა და თავისი ბედი მთლიანად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას დაუკავშირა [13, 3].

იმ პერიოდში საქართველოში განათლებული აგრონომი იშვიათად მოინახებოდა, ამიტომ მამია გურიელმა იგი დიდი სიხარულით მიიღო სამსახურში. იაკობ მარი საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა და გურიელების დიდი სიყვარული დაიმსახურა. როგორც ჩანს, იაკობ მარს ვენახების გაშენება განუზრახავს, მაგრამ ლანჩხუთთან ახლოს შესაფერისი ადგილი ვერ შეურჩევია, ამიტომ იგი საცხოვრებლად ჩოხატაურთან ახლოს სოფ. დაბლაციხეში გადადის მდ. სუფსის სანაპიროზე. მან გამართა შესანიშნავი მეურნეობა, უცხოეთიდან გამოიწერა ჩაის, ბამბის, ციტრუსების ნერგები, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო გაუმჯობესებული ტექნიკა, ამავე დროს წლების განმავლობაში გლეხებს ასწავლიდა მინის სწორად დამუშავებას, ჩუქნიდა მცენარეთა თესლებს, ეხმარებოდა ტექნიკით, ეწეოდა ველური ჯიშების კულტივირებას, სურდა შეექმნა ფრანგული ყაიდის სათბური ვაზის ჯიშების გასაუმჯობესებლად. 1841 წელს იაკობ მარის თავის მეურნეობაში უწარმოებია 400 ვედრო მაღალხარისხიანი ღვინო, რომელსაც ქუთაისში უკეთებდა რეალიზაციას. 1841 წელს იაკობ მარი საცხოვრებლად ქუთაისში გადადის, სოფ. დაბლაციხეში კი შვილს ტოვებს.

1844 წელს საქართველოში მეფისნაცვლის თანამდებობას იკავებს ბავშვობის მეგობარი მიხეილ ვორონცოვი. მისი უშუალო დავალებით იაკობ მარს დაევალა ფოთში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ქუთაისში და სოხუმში ეხელმძღვანელა ბაღების და ვენახების გაშენებისათვის .

ქუთაისის „ფერმის ბაღი" მდებარეობდა ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ადგილას. იგი ქალაქის გამგებლობაში აღირიცხებოდა 1851 წლიდან. მისი ფართობი იყო 4 დესეტინა და 600 კვ.საჟენი, ამოქმედდა 1852 წლიდან. აქ მეფისნაცვალ ვორონცოვის ინიციატივით გაშენებული იყო სანიმუშო ბაღი. მის შესანახად ხაზინა ყოველწლიურად იხდიდა 3 000 მან. 1861 წლიდან იაკობ მარი ქუთაისის „ფერმის ბაღის" გამგედ და მებაღეობის სკოლის მასწავლებლად ჩანს.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო ქუთაისის საქალაქო ბაღის (ბულვარის) მოწყობა-განაშენიანება. ვის დაევალა ამ სამუშაოების შესრულება დადგენილი არ არის, მაგრამ დოკუმენტური დასაბუთების გარეშე იაკობს ხშირად

მოიხსენიებდნენ „ბულვარის“ გაშენებაში დიდი ღვაწლის მქონე პიროვნებად. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვორონცოვმა თავის ძველ ნაცნობ აგრონომს სწორედ ამ პრობლემის მოგვარებისათვის გაუწია რეკომენდაცია. ქუთაისში იაკობ მარი 1861-1868 წლებში მუშაობდა. 1862 წელს მას მონაწილეობა მიუღია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამოფენაში, წარუდგენია საკუთარი თამბაქოს ნიმუშები, რისთვისაც იგი 1863 წლის 15 ივლისს ბრინჯაოს მედლით დაუჯილდოებიათ. „ფერმის ბაღსა“ და სკოლაში მუშაობის დროს იაკობ მარს ნაყოფიერად უღვაწია, დაურგავს და გაუხარებია 2 ათასი ცალი ორწლიანი ნარგავი, გაუშენებია თუთის ხეები, გამოუყვანია ბამბა, ხორბალი, ქერი, სიმინდი, ცალკე ნაკვეთზე მოუწყვია ბოსტანი, აგრეთვე საკუთარი ჯიშის მაღლარი (ხეზე აყოლილი) ვენახი [162, 240-243].

1874 წელს იაკობ მარი გარდაიცვალა. იგი სოფელ ბაკურციხის ეკლესიის ეზოშია დაკრძალული. ამ ფაქტის შესახებ გაზეთი „დროება“ წერდა; „მთელს გურიაში მარი ძლიერ პატივცემული იყო და ყველა პატიოსან და სასარგებლო კაცად იცნობდა. ის ცდილობდა, რომ ყოველგვარი ჩვენთვის სასარგებლო სხვა ქვეყნის მცენარე გაეშენებინა ჩვენში. . . საზოგადოდ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს კაცი“ [75].

მესაქონლეობა და მეფრინველეობა საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი)

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ეკავა მეცხოველეობის ნაწარმს. ამ პერიოდში საქართველოში ითვლებოდა 3 მლნ-მდე სული საქონელი (ცხენი, კამეჩი, ხარი, ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი და სხვ.). მეცხოველეობის პროდუქცია ძირითადად საშინაო ბაზარზე მოიხმარებოდა. მარტო თბილისი ყოველწლიურად 350-400 ათას სულ შინაური პირუტყვის ხორცს მოიხმარდა. მეცხოველეობის პროდუქციის იმპორტი მცირე იყო. მეცხოველეობის პროდუქტებიდან ძირითადად მატყლი და ტყავი გადიოდა საზღვარგარეთ. რთული იყო მესაქონლეობისათვის მყარი საკვები ბაზის შექმნა, რადგან ჭირდა პირუტყვისათვის ზამთრის საკვების მომარაგება. მეცხოველეობას უმთავრესად მისდევდნენ ის რეგიონები, რომელებსაც ზამთრის საძოვრებიც ჰქონდათ: დუშეთის, თიანეთის, ბორჩალოს, სიღნაღის და ახალქალაქის მაზრები, დასავლეთ საქართველოში კი მთიანი რაჭა, სვანეთი, აფხაზეთი და აჭარა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფულად-სასაქონლო ურთიერთობები ფართოდ განვითარდა მეცხოველეობაში. აქტიური ხასიათი მიიღო ვაჭრობამ რძით, ყველით, ხორცით, მატყლით, ტყავით და სხვა პროდუქტებით. საქალაქო ცხ-



ოვრების, მიმოსვლის და კავშირგაბმულობის განვითარების პირობებში, აქტუალური გახდა ადგილობრივი მესაქონლეობის გაუმჯობესების და უცხოური, უკეთესი ჯიშის პირუტყვის შემოყვანა-გამრავლების საკითხი.

XIX საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში ქართლში ადგილი ჰქონდა მერძეული მეურნეობების კაპიტალისტური კოოპერირების საფუძველზე მოწყობის ცდებს. თრიალეთში (ზაფხულის სეზონისათვის) და ქარელის სადგურიდან 7 კმ-ს დაშორებით (ზამთრის სეზონისათვის) გორის მაზრის შვიდმა მემამულემ მოაწყო რძის პროდუქტების წარმოება არტელური წესით. მათ ააგეს ყველის და ერბო-კარაქის დამამზადებელი საწარმოები, შეიძინეს რამდენიმე ათეული ძროხა. მემამულეთა ამ არტელმა 1873 წლის ზაფხულში 40 ფუთი ყველი და 15 ფუთი ერბო-კარაქი დაამზადა.

1887 წელს აღმოსავლეთ საქართველოში აღირიცხა 1,4 მლნ ცხვარი. ერთ კომლზე საშუალოდ ყველაზე მეტი ცხვარი ჰყავდათ თიანეთის, დუშეთის და სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებს. ამ დარგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თელავის (აქ შედიოდა თუშეთი), ბორჩალოსა და ახალციხის მოსახლეობისათვის. დასავლეთ საქართველოში მეცხვარეობა, როგორც გამოყოფილი დარგი, არ არსებობდა. 1887 წელს რეგიონის ყველა მაზრაში აღირიცხა 200 ათასი ცხვარი.



მსხვილფეხა რქოსანი საქონლის განაწილება თელავისა და სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხებს შორის (1842 წლის კამერალური აღწერის მასალებზე დაყრდნობით) თელავის მაზრაში შემდეგი იყო:

სოფლები	კომლი	საქონ-ლის რაოდე-ნობა	სავსებით არ ჰყავდათ საქონელი		1-დან 10 სუ-ლამდე		10 სული და მეტი		10 და მეტი სული საქონლის პატრონებს სულ ჰყავდათ	
			კომ-ლი	%	კომლი	%	კომლი	%	საქონლის რაოდე-ნობა	საერთო რაოდენო-ბა %
ენისელი	129	379	69	53,5	48	37,2	12	9,3	148	39,1
სანავარდო	64	205	31	43,3	23	36,6	10	15,1	117	57,0
ჭიკაანი	61	493	18	29,5	18	49,5	25	41,0	399	80,5
ტურისციხე	69	291	37	53,6	22	40,9	16	5,5	207	70,1
შილდა	19	71	6	31,7	9	47,3	4	21,0	48	67,6
შაქრიანი	116	496	43	34,8	49	44,5	24	20,7	198	76,6
ფშაველი	115	411	53	46,0	43	41,9	14	12,1	185	45,0
ქისტაური	57	396	22	38,6	17	29,9	18	31,5	296	74,8
გავაზი	161	1072	36	22,4	66	41,0	59	36,6	812	75,7
ზემო ხოდაშენი	75	307	34	45,3	30	40,0	11	14,7	151	49,2
ჯუჭატანი	85	394	31	36,7	41	46,9	13	16,4	216	54,9
შალაური	53	283	21	39,1	20	38,2	12	22,6	183	64,7
ურიათუბანი	91	565	34	37,5	36	39,5	21	23,0	383	67,6
ველისციხე	291	771	168	57,8	104	35,7	19	6,5	275	36,8

სიღნაღის მაზრა

სოფლები	კომლი	საქონ-ლის საერთო რაოდე-ნობა	სავსებით არ ჰყავდათ საქონელი		1-დან 10 სუ-ლამდე		10 სული და მეტი		10 და მეტი სული საქონლის პატრონებს სულ ჰყავდათ	
			კომლი	%	კომ-ლი	%	კომ-ლი	%	საქონლის რაოდე-ნობა	საერთო რაოდენო-ბა %
ანაგა	389	1054	257	66,0	95	24,1	37	9,5	654	62,2
ვაქირი	469	1895	263	54,5	149	31,6	57	12,1	1289	68,0
პატარა საქობიო	174	806	78	45,7	68	39,0	28	16,0	438	54,3
დიდი საქობიო	232	871	114	49,9	90	36,2	28	12,0	675	80,0
ჯუგაანი	221	1077	104	57,0	79	35,7	38	17,1	685	63,6
ფანიანი	84	451	47	55,9	22	26,2	15	17,8	847	76,2
ქვემო მაჩხაანი	203	1210	101	50,0	63	31,0	39	19,2	932	77,0
ტიბაანი	101	553	47	46,5	35	34,6	19	18,8	382	67,4
პრასიანი	35	125	22	62,9	8	22,9	5	14,2	60	48,0
ოზაანი	53	253	21	40,0	19	36,0	13	24,3	170	67,2
ცლუნკაანი	52	247	22	42,0	19	36,4	11	21,1	166	68,0
მირზაანი	240	1753	89	37,5	105	43,8	46	19,1	1329	75,9
კოტაანი	37	192	16	43,2	11	29,7	10	27,0	154	75,5
არბოშკი	112	689	37	33,0	55	50,0	20	18,7	387	56,2
ზემო მაჩხაანი	301	1855	140	46,5	97	32,2	64	21,2	1424	76,7
მაღარო	424	2260	202	77,6	142	33,5	80	18,8	1745	77,2
ჭოტორი	65	686	17	26,1	21	32,3	27	41,5	598	87,1
ნუკრიანი	173	1046	93	53,7	48	38,9	32	18,5	852	81,4

შედარების მონაცემები ასე გამოიყურება:

1887 წელს	დასავლეთ საქართველოში	
	ხარი	149 414
	კამეჩი	27 101
	ცხენი	58 188
	ძროხა	135 233
	ცხვარი	206 000
	თხა	123 ათასი
	ღორი	199 481

წყარო: Обзор Кутаисской губернии за 1887 г. გვ. 6-7

1899 წელს	ქუთაისის გუბერნიაში	
	ხარი და ძროხა	286 000
	კამეჩი	23 350
	ცხენი	65 330
	ცხვარი	147 000
	თხა	65 000
	ღორი	219 000
	თბილისის გუბერნიაში	
	ხარი და ძროხა	357 614
	კამეჩი	81 000
	ცხენი	52 807
	ცხვარი	1 278 000
	თხა	132 000
	ღორი	47 000

წყარო:სტატისტიკურ ცნობათა კრებული, რუსულ ენაზე, თბ. 1902. გვ. 174-175

1909-1913 წლებში	მთელ საქართველოში	
	ცხენი	134 800
	ხარი და ძროხა და ამ სახის ნამატი	1 268 800
	კამეჩი	178 400
	ღორი და გოჭი	700 000
	ცხვარი	2 145 000
	თხა	233 400

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: სტატისტიკურ ცნობათა კრებული, რუსულ ენაზე, თბ. 1909-1921 წწ. თბ. 1923. გვ. 26-27

დიდი რაოდენობით ადგილობრივი ჯიშის ცხვარი ჰყავდა ქართლის ზოგიერთ მემამულეს, იგი გამოირჩეოდა გემრიელი ხორცით, რბილი და გრძელი მატყლით. ზაფხულობით ცხვარს თრიალეთის მთიან საძოვრებზე მიერეკებოდნენ, ხოლო ზამთრობით ახლო-მახლო ჭალებში ამოძრავებდნენ. 1864 წელს პროფ. პელცოლდს გაუკეთებია ინგლისური და ქართული ცხვრების შედარება და განსაკუთრებული შეფასება მიუცია ამ უკანასნელისათვის. ქართლში ყავდათ 300-400 სულიანი ცხვრის ფარები, რაც მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა მათ მეპატრონეებს, განსაკუთრებით XIX საუკუნის ბოლო წლებში, როდესაც კავკასიიდან გასატანი საქონლის საშუალებები გაიზარდა. ყოველ 100 სულ სამატყლე ცხვარზე, თრიალეთის საძოვრებზე, 30-40 მანეთს ვერცხლით იხდიდნენ. თითოეული ზრდასრული ცხვარი საშუალოდ კვების კვალობაზე იძლეოდა 5-6 ფუნტ გაურეცხავ მატყლს, ხოლო ზამთარში კარგად კვებისას გაცილებით მეტს [180, 285].

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მთისწინა აჭარის სოფლის საშუალო შეძლებული ოჯახი ინახავდა 5-10 სულ მეწველ და მოზარდულ საქონელს, 1-2 უღელს ხარს, 3-5 ცხვარს, ცხენს და ა.შ. მაღალმთიან სოფლებში წვრილფეხა საქონლის სულადობა 15-20 სულს არ აღემატებოდა. მეწველი საქონელი აჭარაში ძირითადად ადგილობრივი ჯიშისა იყო [200, 320-321].

XIX საუკუნის 90-იან წლებში მარტო ბორჩალოს მაზრიდან სხვადასხვა ბაზრებში ყოველწლიურად იგზავნებოდა:

მსხვილფეხა რქიანი საქონელი	15 000 თავი
ცხვარი	30 000 ცალი
ღორი	15 000 ცალი
მატყლი	90 000 ფუთი
დაუმუშავებელი ტყავი	100 000 ცალი
ყველი	10 000 ფუთი

1894 წელს თიანეთის მაზრის მოსახლეობას გაუყიდია:

მატყლი	200 000 მანეთის
ყველ-კარაქი	45 000 მანეთის

დიდი რაოდენობით იძლეოდა სასაქონლო პროდუქციას სიღნაღის, დუშეთის, ახალქალაქის და სხვა მაზრები [20, 235].

XIX საუკუნის 80-იან წლებში მნიშვნელოვანი იყო სასაქონლო მატყლის წარმოებაც, მისი დიდი ნაწილის რეალიზაცია რკინიგზის საშუალებით ხდებოდა:

1898 წელს თბილისის სადგურიდან გაუგზავნიათ:

1898 წელს	63 159 ფუთი
1902 წელს	135 134 ფუთი
1906 წელს	205 570 ფუთი

ზემოთ მოტანილი მასალა არის ნაშრომიდან: ალ.ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ.სამსონაძე, ხ.ქოქრაშვილი, დ.ჭუმბურიძე, ო.ჯანელიძე. „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“. თბ. 2008. გვ. 235

მსხვილფეხა საქონლის მოშენებას საქართველოში ფართოდ მისდევდნენ გერმანელი კოლონისტები. ისინი ეწეოდნენ მეღორეობას, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი კოლონისტების ცხოვრებაში საკმაოდ თვალსაჩინო იყო. ისინი ამასთანავე ქართველებისა და სომხებისაგან შემოდგომაზე ხელსაყრელ ფასებში იძენდნენ ღორებს, ამზადებდნენ ლორს და სხვადასხვა სახის ძეხვეულს. ნარმოებული პროდუქცია ადგილობრივ ბაზრებზე იყიდებოდა.

XIX საუკუნის ბოლოს ოზურგეთის მაზრაში **ანტონ ლაზარეს ძე ნაკაშიძეს** თავის 300 დესეტინა მინაზე გაშენებული ჰქონია მეურნეობა, სადაც მოშენებული ჰყავდა 100 სული ღორი. მათი მოვლა-შენახვის შესახებ ნაკაშიძეს მინერ-მონერა ჰქონდა ციმერმანის ეკონომიკურ საზოგადოებასთან, რომლისგანაც საჭირო რჩევა-დარიგებებს იღებდა. თითოეული ღორის წონა კარგი მოვლის შედეგად 8 ფუთს აღწევდა. მესაქონლეობის უფრო დიდი მეურნეობა ჰქონდა **მიხეილ ნაკაშიძეს**, რომელსაც ჰყავდა 55 ძროხა, 20 ხარი, 12 ხბო და 40-მდე სამუშაო საქონელი. ზაფხულში საქონელს საძოვრებზე მიერეკებოდნენ, ზამთრობით კი ახლო ტყეებში. ღორების რიცხვი 80-ს აღწევდა. 18 იყო ინგლისური ჯიშისა, დანარჩენი ადგილობრივი. მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით მიხეილ ნაკაშიძე ითხოვდა სესხს, რომელიც მას სჭირდებოდა რუსული ჯიშის ძროხებისა და მეწველი კამეჩების შესაძენად, ფერმერს ასევე სურდა 50 სული მერინოსის ჯიშის ცხვრისა და 1000 სული ინგლისური ჯიშის ღორის შეძენა, რათა მერინოსის მატყლი და ღორის ხორცისაგან დამზადებული პროდუქტი გასაყიდად საზღვარგარეთ გაეტანა [170, 17-20].

მეღორეობას მისდევდნენ ქართლშიც. ადგილობრივი ჯიშის ღორი 3 წლისა ზრდასრულად ითვლებოდა. ზამთრობით ღორის ჯოგს მიერეკებოდნენ მუხით მდიდარ ტყეში, დაბლობებზე. ქართლური და ინგლისური ღორების შეჯვარების შედეგად მიღებულმა ჯიშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და გაზარდა მოსახლეობის ინტერესი, ამ საქმისათვის მოეკიდათ ხელი [180, 286].

ყველის პირველი ქარხანა კი დაარსდა 1862 წელს, კოლონია ალექსანდერსპილფში (ბორჩალოს მაზრა), **კოლუბიაკინის** მოწადინებით, რომელიც იყო ყოფილი უფროსი მმართველი სახელმწიფო ქონებისა, ტყეებისა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისა. მან შესთავაზა კოლონისტებს, მოეწყოთ ყველის ქარხანა, შეპირდა მათ შვეიცარიიდან გამოცდილი ყველის ოსტატების ჩამოყვანას, რომელსაც გადაუხდიდა სახელმწიფო თანხას სამი წლის განმავლობაში. სახელმწიფო თანხებითვე შეიძენდა ყველა აუცილებელ დანადგარს უცხოეთში

და საჭირო ჭურჭელსაც [308, 139-144]. გერმანელების 33 ოჯახი, ყველა წესის დაცვით, ამზადებდა შვეიცარულ ყველს. 1865 წელს საქართველოში მოიწვიეს ყველის დამზადების შვეიცარიელი ოსტატი **ჩაბოლდი** (თავდაპირველად ოთხი წლით, მაგრამ იგი დიდხანს დარჩა კოლონისტებთან). ისინი ყოველდღიურად აბარებდნენ რძეს ყველის საწარმოში, რაც უნაზღაურდებოდათ ყველის რეალიზაციიდან მიღებული თანხებიდან. როგორც ჩანს, დამზადებული ყველი საკმაოდ მაღალი ხარისხისა ყოფილა, პრესა წერდა, რომ იგი არ ჩამოუვარდებოდა „კუჩენბახის ყველს", ფუთი-12 მანეთად იყიდებოდა და კოლონისტებისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

ცხრილში მოცემულია კოლონია ალექსანდერსჰილფში ყველის ქარხნის მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოშვებული პროდუქციის დინამიკა:

წელი	გამოშვებილი პროდუქცია (ფუთებში)	გამოშვებული პროდ. ღირებულება (მანეთებში)
1875	334 ფ ყველი	
1881	1 306 ფ ყველი	18 233 მ 99 კაპ.
1882	1 094 ფ ყველი	13 047 მ
1883	1 117 ფ ყველი	11 299 მ
1890	2000 ფ ყველი	

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: С.Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тиф. Губернии. Историко-статистическое описание фабрик и заводов. 1888. Ст.144

სახელმწიფო ადმინისტრაცია მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა რძის პროდუქტების მწარმოებელ უცხოელ ფერმერებს. 1863 წელს, სოფელ კოჯრის მახლობლად პრუსიის ქვეშევრდომმა, **ალექსანდრე კუჩენბახმა** მოაწყო ფერმერული ყაიდის მეურნეობა. იმ პერიოდში საქართველოში შვეიცარიული ყველი რუსეთიდან შემოდიოდა და დიდი მოთხოვნილებითაც სარგებლობდა. ალბათ, ეს ფაქტი იქცა მენარმისათვის სტიმულის მიმცემად. მან იჯარით აიღო ორი მამული: ერთი კოჯრის მახლობლად და მეორე თრიალეთში-მაჰმუთლო. ამ უკანასკნელში შედიოდა 2500 დეს. საძოვარი. იჯარის ვადა თექვსმეტი წლით იყო განსაზღვრული, ხოლო წლიური ქირა-800 მანეთს შეადგენდა. შემდეგ მან იყიდა 7 ათასი დეს. მინა და წარმოება კიდევ უფრო გააფართოვა.

კუჩენბახმა შეიძინა ადგილობრივი (ოსური და თათრული) ჯიშის ძროხები, ასვე გამოიწერა შვიცის ჯიშის ძროხები და ბულა-მწარმოებლები საჯიშედ. მის ფერმაში თავდაპირველად 250-300 ჯიშიანი ძროხა ითვლებოდა, მოგვიანებით მათი რიცხვი 500-მდე გაიზარდა. კუჩენბახმა შვეიცარიიდან მოიწვია ყველის დამამზადებელი ოსტატები და გამოიწერა ყველა ის ტექნოლოგიური დანადგარი, რომელიც საჭირო იყო შვეიცარიული წესით ერბოსა და ყველის დასამზადებლად. ფერმასა და ქარხანაში 150 მუშა იყო დასაქმებული. მენარმემ გადაწყვიტა ჩვენს ქვეყანაში დაეფუძნებინა ინგლისისა და საფრანგეთის მსგავსი რძის დიდი ფაბრიკები. უცხოეთიდან პირუტყვის შეძენა და ჩამოყვანა

მთავრობის ხარჯზე მოხდა. კუჩენბახს გადაეცა 16 სული პირუტყვი მოვლა-პატრონობის გარკვეული პირობებით. ფერმის შემოსავალი 10 წლის მანძილზე კუჩენბახისა იყო, ნამრავლი პირუტყვი თანასწორად იყოფოდა ფერმერსა და ხაზინას შორის.

კუჩენბახმა ყველის ქარხანა გახსნა 1863 წელს, რისთვისაც მან მთავრობისაგან მიიღო უპროცენტო სესხი 5 ათასი მან. ოდენობით და 16 წლიანი იჯარით აიღო ანდრეევსკის მამული. სულ ბარონ კუჩენბახს მესაქონლეობის გაუმჯობესებისათვის და ყველის წარმოებისათვის შვეიცარიული მეთოდით, გამოეყო:

1863 წელს 3 000 მან;	1865 წელს 2 000 მან;
1863 წელს 2 000 მან;	1866 წელს 1 500 მან;
1864 წელს 2 000 მან;	1867 წელს 3 500 მან;
1864 წელს 3 000 მან;	1868 წელს 1 000 მან;
1864 წელს 2 000 მან;	1869 წელს 1 000 მან;"

სახელმწიფო ხარჯით გამოიწერეს შვეიცარიიდან მერძევე ძროხების საუკეთესო ჯიშები, რაც 4 794 მან. დაჯდა [308, 144-146].

კუჩენბახის დაწყებული საქმე წარმატებული აღმოჩნდა, შვეიცარული წესით დამზადებულ მის ყველზე დიდი მოთხოვნილება იყო მთელ საქართველოში. მის მეურნეობას ეჭირა 15 ათასი დესეტინა მინის ფართი, სადაც განთავსებული იყო ქვის შენობები უშუალოდ საწარმოსათვის, მუშებისათვის, რძისა და ყველის შესანახად, პირუტყვისათვის, სადაც 100 სულზე მეტი ძროხა ეტეოდა და სხვ. კუჩენბახი ყოველწლიურად აწარმოებდა ათას ფუთზე მეტ შვეიცარიულ ყველს და რეალიზაციას უკეთებდა როგორც მთელ სამხრეთ კავკასიაში, ისე საზღვარგარეთ. მეურნეობის გაფართოების მიზნით, ალექსანდრე კუჩენბახი მთავრობისაგან ითხოვდა სესხს, მაგრამ ამ საქმეში მან მხარდაჭერა ვერ მიიღო.

1882 წელს მოსკოვში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კუჩენბახის მეურნეობაში დამზადებულ ყველი არ დაუშვეს, რადგან მისი ხარისხი შვეიცარიულთან იმდენად მიახლოებული იყო, რომ არ დაიჯერეს საქართველოში მისი წარმოება. 1863 წელს თბილისში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კუჩენბახის წარმოებულ შვეიცარულ ყველს მაღალი შეფასება დაუმსახურებია. კერძოდ, ივანე სერებრიაკოვი წერდა: „ყველაზე შესანიშნავი იყო შვეიცარიის ყველი, პირველად გაკეთებული საქართველოში ბარონ კუჩენბახისაგან. შარშან ჩვენს გაზეთში დავბეჭდეთ ამბავი, რომ ბარონ კუჩენბახს მოეყვანა შვეიცარიიდამ ყველის გამკეთებლები და სურდა აქ ტფილისის ახლოს გამართვა შვეიცარიული ყველის ქარხნისა. ეს საქმე მოხერხდა ძალიან კარგად და ჩვენს მხარეში დაიბადა ახალი ხელობა" [70].

ფერმის დაარსებიდან ათი წლის შემდეგ მას დიდი ზარალი მიაყენა ჭირმა, მაგრამ ხაზინის დახმარებით კუჩენბახმა მაინც მოახერხა მეურნეობის აღდგენა. 1890-იან წლებში ბარონ კუჩენბახის ფერმას უკვე დიდი სახელი ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში. 1891 წლისათვის კუჩენბახს გამართული ჰქონდა სანიმუშო მეურნეობა. მამულში ჰყავდათ 250-300 ძროხა, XX ს-ის დამდეგისათვის მათი

ნინილებით მოვაჭრე
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

რაოდენობა 500-მდე გაზრდილა. მოქმედებდა შვეიცარული ყველის ორი და კარაქის ერთი ქარხანა, რომლებიც წლიურად 2 000 ფუთ შვეიცარულ ყველს და 300 ფუთ კარაქს ამზადებდა. გარდა ამისა სოლიდურ შემოსავალს იძლეოდა მეფუტკრეობა, მეღორეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა. 1893 წელს კუჩენბახის მეურნეობის შემოსავალი უდრიდა 31 000 მანეთს, გასავალი-20 000 მანეთს, სუფთა მოგება იყო 1 100 მანეთი [247, 55].

1870 წელს პარიზიდან ჩამოდის ახალგაზრდა სოლიდური სამეცნიერო მომზადების და კარგი მატერიალური შესაძლებლობების აგრონომი **თ.ხუდადოვი**, მას ჩაფიქრებული ჰქონდა თბილისის გუბერნიაში დაეარსებინა ყველის დამამზადებელი დიდი ქარხანა, რომელიც გამოუშვებდა არა მხოლოდ შვეიცარიულ, არამედ სხვა ევროპული ასორტიმენტის ყველსაც-როკფორსა და ჰოლანდიურს. მას გადაწყვეტილი ჰქონდა დაეინტერესებინა ადგილობრივი მწარმოებლებიც და შეექმნა საარტელო მეურნეობა. ტერიტორიულად არჩევანი შეაჩერა ყარაბულახის აგარაკზე, ე.წ. „სველი მთების“ მახლობლად, კუჩენბახის ფერმის ახლოს. შეიძინა მინა, ქარხნისათვის საჭირო მთელი ინვენტარი ჩამოატანინა შვეიცარიიდან. ყველაფერი უკვე მზად იყო, მაგრამ ამ საქმის თაოსანი ვერ მოურიგდა ძმას, რომლის საკუთრებასაც მინა წარმოადგენდა. დაპირისპირებამ ყველაფერი გააპარტახა, დანადგარები ნაწილ-ნაწილ გაყიდეს მეათედ ფასად [308, 146-148].

მოვლენები შემდგომში ასე განვითარდა. მინის მესაკუთრეს წარმოდგენა არ ჰქონდა ყველის წარმოებაზე და ზოგადად არ იცნობდა ფერმერული მეურნეობის წარმოების წესს, ამიტომ 1879 წელს ნახევრად გაპარტახებული ქარხანა იჯარით მისცა შვეიცარიელ ძმებს 12 წლით, რომლებიც ყოველწლიურად უხდიდნენ 1 500 მანეთს, მოიჯარეებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ ამ საქმეს, საწარმოო პროცესის გამართვა შეძლეს. 1883 წელს მათ

აწარმოეს 320 ფუთი შვეიცარიული ყველი, 1884 წელს-460 ფუთი, 1885 წელს-650 ფუთი, ხოლო 1886 წელს-600 ფუთი.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში ყველის დამზადებას მისდევდნენ მეწარმეები **ამეტერი, ნიდიგერი, დოსაევი და კეზელი.** ისინი ყოველწლიურად ამზადებდნენ დაახლოებით 1 200-დან 1 500-მდე ფუთ შვეიცარიულ ყველს და 200-260-მდე ფუთ კარაქს.

შვეიცარიელმა **ამეტერმა** იჯარით აღებულ მინაზე შექმნა მეურნეობა, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა. 1895 წელს მის ფერმაში 320 ძროხა ითვლებოდა, ქარხანა კი წლიურად 1 200 ფუთ შვეიცარიულ ყველს და 200 ფუთ კარაქს ამზადებდა.

ნიდიგერი (ნიდეკერი), რომელიც შვეიცარიიდან ჩამოიყვანა კუჩენბახმა, როგორც ყველის დამზადების კარგი სპეციალისტი 1880 წელს გამოეყო მას და მოაწყო საკუთარი მეურნეობა, სადაც ითვლებოდა 364 სული საქონელი, აქედან-250 მეწველი ძროხა და 10 უღელი ხარი. ნიდიგერის ქარხანაში ყოველწლიურად ამზადებდნენ 800-900 ფუთ ყველს და 150 ფუთ კარაქს. ყველს ადგილზე ჰყიდდნენ, ფუთს 12 მანეთად. მისი მეურნეობა ყოველწლიურად იძლეოდა 10 030 მან, გასავალი შეადგენდა 6 499 მან. მოგება 4 531 მან. [247, 56].

კეზელის ფერმაში 100 ჯიშიანი ძროხა ითვლებოდა. ქარხანა კი წლიურად 250 ფუთ ყველს და 70 ფუთ კარაქს ამზადებდა.

1890 წლიდან მალაკან, ძმებ **დოსაევებს** ორბელიანისაგან იჯარით ჰქონდათ აღებული 400 დესეტინა მიწის ნაკვეთი. მათი კომპანიონი იყო ბაქოელი მოქალაქე **ფ. კირილოვი.** მათ მოაწყვეს საქონლის ფერმა და ყველის ქარხანა. ამასთან ერთად გლეხებისაგან იძენდნენ რძეს, იჯარით იყვანდნენ ძროხებს და მიღებული პროდუქცია გაჰქონდათ ბაზარზე. მეწარმეებს დაქირავებული ჰყავდათ შვეიცარიული ყველის მკეთებელი სპეციალისტი. ქარხანა ყოველწლიურად უშვებდა 700 ფუთ ყველს და 120 ფუთ კარაქს. მეურნეობის ყოველწლიური შემოსავალი შეადგენდა 10 095 მანეთს, გასავალი უდრიდა 2 020 მანეთს, სუფთა შემოსავალი 8 075 მანეთს [247, 58-59].

საქალაქო ცხოვრების განვითარებასა და რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით მეცხოველეობა ქართლის მთაში სულ უფრო მეტად ვითარდებოდა. ოჯახს საშუალოდ 24 სული პირუტყვი ჰყავდა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ქართლის მთის ყველზე. იქ მცხოვრები ოჯახები, იმის მიხედვით, თუ რამდენი ძროხა ჰყავდათ (3-დან 20 სულამდე), ამზადებდნენ 5-დან 20 ფუთამდე ყველს. XIX საუკუნის ბოლოს ადგილზე ყველი ღირდა 15-20 კაპ. (ფუთი 6-8 მანეთი), ხოლო გორში, ცხინვალსა და სურამში გირვანქა 20-30 კაპ. (ფუთი 8-12 მან). ასევე მაღალი იყო ფასები მეცხოველეობის პროდუქტებზე. ცხვრის ხორცი ღირდა ფუთი-8 მან; ღორის ხორცი ფუთი-9 მან; ძროხის ხორცი ფუთი-4 მან.

მეცხვარეობის საქართველოში განვითარებას მრავალგვარი სარგებელი ჰქონდა-ის მატყლის სახით იძლეოდა ნედლეულს ტექსტილის პროდუქციის საწარმოებლად და საუცხოო მასალას წარმოადგენდა შინამრეწველობისათვის, ასევე იძლეოდა ხორცს და საქურქე მასალას, საკვებ პროდუქტებს რძისა და მისი ნაწარმის სახით. 1882 წელს **გენ.ერმოლოვმა** ქართლისა და კახეთის

მემამულეებს დაუგზავნა მერინოსის (ესპანური) ჯიშის ცხვრები. 1884 წელს თბილისთან ახლოს მოეწყო ამ ცხვრების სანიმუშო ფერმა, რომელსაც თავდაპირველად 300 სული ცხვარი ჰყავდა. ფერმამ 7 წელი იარსება. მემამულე **მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანმა** 1850 წელს თბილისში გამართულ გამოფენაზე ვერცხლის მედალი მიიღო „მოყვანილი ნაზბეწვიანი ცხვრის საკუთარი ფარის მატყლის წარმოდგენილი ნიმუშებისათვის". 1860 წელს მემამულე **ანანოვმა** ვარციხის მეურნეობაში სცადა მოეშენებინა მერინოსის ცხვრები, მაგრამ უშედეგოდ. მეცხვარეობა მომგებიანი ხებოდა მხოლოდ ისეთი მეურნეობებისთვის, რომელთაც ცხვრის დიდი ფარები ჰყავდათ. ფარის პატრონს ხშირად არ შეეძლო თვითონ გაჰყოლოდა ცხვარს იალაღზე და მას მწყემსს მიანდობდა, რომლის კეთილსინდისიერებაზე და უნარზე დიდად იყო დამოკიდებული ფარის გამრავლება-შემოსავლიანობა.

XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში მეფრინველეობას სამხრეთ კავკასიაში მისდევდნენ უმთავრესად საოჯახო მოთხოვნილებეთა დასაკმაყოფილებლად. ქათმის, ბატის, იხვის, ინდაურის ხორცი და კვერცხი და ბუმბული ფართო მოხმარების პროდუქცია იყო. 1860-იან წლებში საქართველოში უცხოური ჯიშის ქათმები შემოუყვანიათ. 1863 წელს თბილისში გამართულ სოფლის მეურნეობის ნაწარმთა გამოფენაზე უცხოური ფრინველების ექსპონატებს საზოგადოება აღფრთოვანებული შეხვედრია, თუმცა საუკეთესოდ მაინც ქართული ჯიშის ქათამი მიუჩნევიათ. უცხოური ჯიშის ქათმებს შორის სამხრეთ კავკასიაში შისამჩნევი რაოდენობით გავრცელებულა ჩინური ე.წ. კოხინხინის ჯიშის ფრინველი. 1868 წელს გაზეთი „გუთნისდედა" იუწყებოდა, რომ კოხინხინის ჯიშის ქათამი აქ ახლა ბევრმა გაიჩინა და კარგადაც მრავლდებაო.

1860-იან წლებში მეფრინველეობის პროდუქტები სისტემატურად მხოლოდ თბილისის ბაზრებზე იყიდებოდა. 1870-იანი წლებიდან ფოთსა და თბილისს შორის სარკინიგზო მიმოსვლა-ტვირთზიდვის გახსნის შემდეგ, სოფლად საგლეხო მეურნეობა იწყებს შინაურ ფრინველთა სასაქონლო მიზნით მოშენებას. 1890-1900-იან წლებში ქათამს ისევე დიდი გასავალი ჰქონდა ბაზარზე, როგორც ბატსა და ინდაურს, მაგრამ რაოდენობის მხრივ ქათმის მოშენება ბევრად უფრო იყო გავრცელებული, ვიდრე სხვა შინაური ფრინველებისა. გურია-სამეგრელოსა და ქვემო იმერეთში ყოველ კომლს საშუალოდ ჰყავდა 350-400 ფრთა ქათამი, ინდაური, ბატი და იხვი. ამ რეგიონებიდან მარტო თბილისში ყოველწლიურად 525 ათასი ქათამი და 90 ათასი ინდაური იგზავნებოდა. ამ პერიოდისათვის მეფრინველეობის პროდუქციის მთავრ მიმწოდებელ პუნქტებს წარმოადგენდნენ სენაკი, აბაშა, კულაში, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ქუთაისი, შორაპანი და განსაკუთრებით სამტრედია. სწორედ ეს დასახლებები ამარაგებდნენ სამხრეთ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრებს და კურორტებს ცოცხალი და დაკლული ფრინველითა და კვერცხით. 1880-იანი წლებიდან ფოთისა და ბათუმის პორტებიდან ქათმის კვერცხის გატანას იწყებენ საზღვარგარეთაც. გემებმა, რომელთაც წინათ საქართველოდან გაჰქონდათ მარგანეცი, ნავთი, მატყლი, სიმინდი და სხვა პროდუქცია, კვერცხის და მეფრინველეობის სხვა პროდუქტების გატანაც იტვირთეს, 1890-იანი წლებიდან მეფრინველეობის განვითარების მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში წინაურდებიან გორის,

თელავის და თბილისის მაზრები.

1909-1913 წლებში სამხრეთ კავკასიის რკინიგზებით გატანილი კვერცხის რაოდენობაში საქართველოზე 48% მოდიოდა. უფრო მეტად ქუთაისის გუბერნიიდან ქათმის კვერცხი გაჰქონდათ ევროპის ისეთ დიდ სამრეწველო ცენტრებში, როგორებიცაა ვენა, ჰამბურგი, ბერლინი, პარიზი, სამხრეთ საფრანგეთის სანავსადგურო ქალაქები და ლონდონი, რომელიც იყო კვერცხით ვაჭრობის მსოფლიო ცენტრი და საქართველოდან გატანილი კვერცხის უდიდესი ნაწილი იქ იყიდებოდა.

1897 წელს პეტერბურგელი ვაჭარი **ვასილი გილვაკი** დაინტერესებულა ბათუმიდან კვერცხის ექსპორტით. ამ პროცესს ყოველწლიური ხასიათი ჰქონდა, საშუალოდ 60 ვაგონი(8 640 000 ცალი). ერთ ვაგონში 100 ყუთი თავსდებოდა, ხოლო თითო ყუთში 1440 ცალი კვერცხი იდო. კვერცხის ექსპორტი ხდებოდა ჰამბურგში, მარსელში, ლონდონში და რუსეთში. მარსელში პროდუქცია მესაჟერის და პაკეს გემებით იგზავნებოდა. კვერცხის ექსპორტის სეზონი იწყებოდა 1 ოქტომბრიდან და გრძელდებოდა 15 მარტამდე. კვერცხს გლეხებისაგან ყიდულობდნენ ებრაელი, ქართველი და სომეხი ვაჭრები და ბათუმში, სპეციალური თივაჩაფენილი ყუთებით, ექსპორტიორებისათვის ჩაქონდათ.

1898-1900 წლებში ქუთაისის გუბერნიაში გამოჩნდნენ უცხოური საექსპორტო ფირმების აგენტები, რომლებიც სპეციალურად ეწეოდნენ კვერცხის ბითუმად შეძენას და საზღვარგარეთ გატანას. ასეთი ფირმები იყვნენ **„ჰაინრიხ მაგრულესი", „ძმ.ზაიფერტები"** და სხვ.

მათ დაბა-სოფლებში, რკინიგზის სადგურებში ჰყავდათ შემსყიდველ-დამხარისხებელნი, რომლებიც ერთ რაიონში შესყიდვის სეზონის დამთავრების შემდეგ გადადიოდნენ სხვა რაიონებში. მაგალითად ჰაინრიხ მარგულესის ფირმა მას მერე, რაც მარტში სამტრედიის რაიონში მორჩებოდა დამზადების საქმეებს, თავის აგენტებსა და შემსყიდველ-დამხარისხებლებს გადაიყვანდა თურქეთსა და ბულგარეთში. 1900 წელს ფირმისათვის, მარტო ქუთაისის გუბერნიიდან კვერცხის და ფრინველის გატანით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 200 ათასი მანეთი.

კვერცხით ვაჭრობის განვითარებამ გამოიწვია ჩასაწყობი ყუთების წარმოების აუცილებლობა. 1901 წელს სოფ. კულაშში მოუწვევიათ ოსტატები და გაუხსნიათ სახელოსნო, რომელიც სპეციალურად აწარმოებდა უცხოეთში და შორეულ ბაზრებზე გასაგზავნი კვერცხის ყუთებს.

ქუთაისის გუბერნატორის ყოველწლიურ ანგარიშებში მოცემულია კვერცხის საექსპორტო ოპერაციების შემდეგი სტატისტიკა:

1900 წელს მხოლოდ სამტრედიიდან უცხოეთში გაუგზავნიათ 800 000 მან. კვერცხი;

1901 წელს ქუთაისის გუბერნიიდან 18 000 000 ცალი კვერცხი;

1912 წელს მხოლოდ სამტრედიის, აბაშისა და ახალ-სენაკის სადგურებიდან გაუტანიათ 65 765 ფუთი კვერცხი, რასაც ემატებოდა კიდევ სხვა პატარა სადგურებიდან გატანილი 24 ათასი ფუთი, რომელთა რაოდენობა 31 მლნ. ცალამდე ადიოდა [329, 34].

სამხრეთ კავკასიიდან კვერცხი გაჰქონდათ ფოთისა და ბათუმის ნავსად-

გურებიდან, მაგრამ ამ პროცესებს აფერხებდა ის გარემოება, რომ გემებს, რომლითაც ეს ტვირთი მიჰქონდათ, არ გააჩნდათ სამაცივრე სისტემები, ამიტომ კვერცხის ექსპორტი ნარმოებდა უპირატესად მხოლოდ ოქტომბრიდან მარტამდე, ანუ სიცივეების პერიოდში.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX ს. დასაწყისში მეფრინველეობა ვითარდება შიდა ქართლშიც. 1910 ნელს გორში გამართულა მეფრინველეობის გამოფენა, სადაც ამ დარგის უკეთ განვითარებისათვის დაუჯილდოებიათ კაპიტანი **ელგენმანი,** მომრიგებელი-მოსამართლე **მ.ერისთავი, მ.მაჭავარიანი, ტერ-სტეფანოვი** და სხვები.

ხე-ტყის დამამუშავებელი წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი)

ხე-ტყის დამუშავება XIX საუკუნის პირველ წლებში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში (იქ, სადაც ტყის მასივები არსებობდა და საიდანაც მისი გამოტანა მდინარეების საშუალებით შედარებით იოლი იყო) ძირითადად ხელოსნური წარმოების სახით იყო წარმოდგენილი. ტივებად შეკრული ხე-ტყე დიდი რაოდენობით ჩამოდიოდა თბილისსა და ქუთაისში. ხე-ტყის დამამუშავებელი „ქარხნები" საქართველოში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩნდება. ასეთი იყო მაგალითად **თავ. ერისთავების** მიერ ატენის ხეობაში დაარსებული სახერხი ქარხანა, რომელშიც 2 ხერხი ჰქონდათ. XIX საუკუნის 40-იან წლებში ერისთავებს მეორე ქარხანაც დაუარსებიათ გორში (ასევე 2 ხერხით). 1850-იან წლებში ერისთავების ატენის სახერხი „ქარხანა" გაფართოებულა, დამონტაჟებულია 4 ხერხი. აღნიშნულ საწარმოებში ხერხების მოძრაობაში მოსაყვანად წყლის ენერგია იყო გამოყენებული. „ქარხნების" ნაწარმი ნაწილობრივ გორის მაზრაში იყიდებოდა, ნაწილი კი მტკვრით თბილისში ჩაჰქონდათ. 1889 წელს გორში დაუმზადებიათ და მტკვარზე თბილისამდე დაუცურებიათ 4 496 ტივი, რომლის ღირებულება შეადგენდა 742 ათას მანეთს.

XIX საუკუნის 50-იან წლებში თბილისში აღრიცხულია 2 სახერხი ქარხანა, რომლებიც წლიურად უშვებდნენ 3 ათასი მან. პროდუქციას. XIX საუკუნის 60-იან წლებში კი თბილისში უკვე 19 ანალოგიური ქარხანაა და ისინი წლიურად





აწარმოებდნენ 27 ათასი მან. პროდუქციას. 1865 წლის მონაცემებით, თბილისის გუბერნიაში უკვე 34 სახერხი ქარხანა მუშაობდა წელიწადში 60 ათასი მან. წარმადობით. ამ ქარხნებში 125 მუშა იყო დასაქმებული. მოქმედი სახერხი ქარხნების ნაწილი ისევ ხელით შრომას იყენებდა, თუმცა ზოგიერთში ორთქლის ძრავაც იყო დამონტაჟებული. საყურადღებოა, რომ ხშირად ერთ მეპატრონეს რამდენიმე სახერხი ქარხანა ეკუთვნოდა. მაგალითად, რაჭის მაზრის მცხოვრებ **ევტიხი ენუქიძეს** ერთდროულად ეკუთვნოდა 2 სახერხი ქარხანა.

ხის სახერხი ჰქონია ვინმე **ყორღანაშვილსაც**, რომელის საამქროშიც დამონტაჟებული იყო ინჟინერ-ტექნიკოს ლემკულის მიერ დამზადებული სახერხი, რომელიც დღეში 20-25 ცალ 4 საჟენი სიგრძის მორს, ხოლო გაუმჯობესების შემდეგ 30 მორს ხერხავდა. ამ სახერხმა ყორღანაშვილს 30 მუშა ჩაანაცვლა [238, 47].

ვაჭარ **ანანოვს** ვარციხეში 1860 წლიდან გაუმართავს მამული, რომელიც ცნობილია ანანოვის ფერმის სახელწოდებით. მისი საერთო ფართობი შეადგენდა 8 000 დესეტინას, აქედან 5 000 დესეტინა ტყე იყო, ხოლო 3 000 დესეტინა საყანე მიწა და ვენახი. მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი იყო ხე-ტყის დამუშავება. აჯამეთის სადგურიდან ანანოვის ტყეში შედიოდა 11 კმ. სიგრძის რკინიგზის შტო, საიდანაც განუწყვეტლივ იგზავნებოდა შპალებით, შეშით და სხვა მასალით დატვირთული ვაგონები. სეზონზე 60 ვაგონი მარტო რკინიგზის შპალი და 100 ვაგონი დაჭრილი შეშა იგზავნებოდა. ხე-ტყის დამზადებაზე 100-150 დაქირავებული მუშა მუშაობდა [187, 175-176]. ეს იყო აჯამეთის ტყე, რომელიც ანანოვამდე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობდა. როგორც ჩანს ანანოვი ამ ტყიდან იმდენ სარგებლობას ნახულობდა, რომ დაუქირავებია ახლო სოფლების გლეხობა და ტყისათვის ბარითა და ნიჩაბით შემოუვლია ისეთი



სიდიდის თხრილი, რომელზეც არა თუ პირუტყვი, ან კიდევ ურემი, თუნდაც ავტომანქანა, არამედ კაციც ვერ გადავიდოდა. ასე საიმედოდ დაუცავს ეს სიმდიდრე. დიდვაჭარი ხის საშენ მასალას ამზადებდა მუხისაგან, რომლითაც დასავლეთ საქართველოში იმერულ ოდა-სახლებს აგებდნენ [119, 2].

ანანოვს სახერხი ქარხნები ჰქონია თბილისშიც, კოლონისკის ქუჩაზე. ზოგადად ყველა სახერხი ქარხანა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ხანძრის გაჩენის თვალსაზრისით, რადგან შესაბამისი სამსახურები სათანადოდ მუშაობდნენ. სწორედ ამის შესახებ იუწყებოდა გაზეთი „ცნობის ფურცელი 1901 წლის 29 ივლისს: „როგორც გუშინ გვქონდა აღნიშნული, კოლონისკის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ტფილისის მოქალაქის **ნიკოლოზ იოსების ძე ანანოვის** სახერხავ ქარხანას... ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, როგორც თქვეს, მარტო ქარხანა და შიგ მოთავსებული სახერხავი მანქანები 50 ათასი მან. ღირდაო. ხეტყის მასალა თვით ნ.ანანოვისა და ფანერის მეპატრონეს **კოლმანოვისა** 20 ათასი მან. განადგურდა. ანანოვს ქარხანა დაზღვეული არ ჰქონია“ [262, 3-4].

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ხე-ტყის მესარეწეობის განვითარების მასშტაბებით პირველობდა ქართლი და ბორჯომის ხეობა, **მიხეილ რომანოვის, ციციშვილების, ჯავახიშვილების** წარმოება ამ მხრივ ყველაზე წარმატებული და მომგებიანი იყო.

საქართველოში ორთქლის ძრავით მომუშავე სახერხი ქარხნების დაარსება კაპიტალიზმის პირობებში სამშენებლო მასალაზე გაზრდილი მოთხოვნილების გარდა, უშუალოდ განაპირობა ფოთის ნავსადგურის მშენებლობამ და ბათუმის ნავთობის საექსპორტო ქარხნების მიერ ხე-ტყის დახერხილ მასალაზე მოთხოვნილების ზრდამ. 1866 წლისათვის ფოთში მოქმედებდა ორთქლის ძრავით

მომუშავე სახერხი ქარხნები, რომლებიც ნავსადგურის მშენებლობას ხის მასალით ამარაგებდნენ. ერთი მცირე სიდიდის სახერხი, რომელიც მდ.უკაპარჭეს ნაპირზე მდებარეობდა ეკუთვნოდა **გრაფ როზმორდიუკს** და წლიურად 6 ათას მან. ღირებულების პროდუქციას უშვებდა, რომლის ნაწილი ბაზარზე იყიდებოდა, ნაწილი კი რკინიგზისა და ნავსადგურის მშენებლობისათვის იყო განკუთვნილი. მეორე ასეთი საწარმო ინჟინერ **პოდპოლკოვნიკ შავროვს** ეკუთვნოდა, იგი ახალ პორტთან იყო აგებული. საწარმოში ორი ლოკომობილი მუშაობდა, რომელთაგან ერთი სახერხ სამუშაოებს ასრულებდა, მეორე კი ქარხნის სახელოსნოსთვის იყო განკუთვნილი.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ფოთში თანდათანობით მომრავლდა მცირე სიდიდის მექანიკური ქარხნები, რომლებშიც მეტწილად 10-12 მუშა იყო დასაქმებული და წლიურად დაახლოებით 8 ათას მანეთამდე ღირებულების პროდუქციას უშვებდა. 1871 წლისათვის ქალაქში 6 ასეთი ქარხანა მუშაობდა , 62 მუშით. მათგან ყველაზე ადრე ,პროპორშჩიკ **გუგუშვილის** ქარხანა დაფუძნდა, სადაც 14 მუშა იყო დასაქმებული. საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება წლიურად აღწევდა 18 888 მანეთს.

აღმოსავლეთ საქართველოს მშენებლობების ხე-ტყის მასალითა და რკინიგზის განძელებით მოსამარაგებლად თბილისში ჯერ კიდევ 1870-იან წლევში რამდენიმე სახერხი ქარხანა გაიმართა. 1872 წელს **ეჯუბოვმა** გახსნა სახერხი, რომელიც 12 ცხ.ძალის სიმძლავრის ძრავით მოქმედებდა და 9-10 მუშით 23 ათასი მან. ნაწარმს ამზადებდა. 1875 წელს **როტინოვმა** აამოქმედა სახერხი, რომელსაც 50 ცხ.ძალის ორთქლის მანქანა ამუშავებდა. საწარმო 10-12 მუშით წლიურად35 ათასი მან. ღირებულების დახერხილ მასალას ამზადებდა. 1878



წელს გაიხსნა **ცივიანოვის** სახერხი, რომელიც 15 ცხ.ძალის ორთქლის მანქანით მოქმედებდა და 14 მუშით 10 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა. იმავე წელს ამუშავდა **ტერ-ასატუროვის** სახერხი, რომელიც 25 ცხ.ძალის ორთქლის მანქანით მუშაობდა და 18 მუშით წელიწადში 46 ათასი მან. ნაწარმს უშვებდა. 1884 წელს გაიხსნა **ეგიაზაროვის** სახერხი, რომელიც 25 ცხ.ძალის სიმძლავრის ორთქლის ძრავით მოქმედებდა და 15 მუშით 26 ათასი მან. პროდუქციას ამზადებდა. 1885 წელს **ასრიევმა** გახსნა ასეთივე სახერხი, რომელიც 20 მუშით 59 ათას მან. პროდუქციას ამზადებდა [136, 232].

1880-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში ჩნდება სახერხი საწარმოები, სადაც ორთქლის ძრავებს იყენებდნენ. ასეთი წარმოება ჰქონდა სენაკის მაზრაში, სოფ. ჭალადიდში **დავით გამსახურდიას**, სადაც იდგა 1 ორთქლის ქვაბი და მანქანა. დასაქმებული იყო 5 კაცი, გამოშვებული პროდუქციის ღირებულება აღწევდა 3 ათას მანეთამდე. ანალოგიური საწარმო ჰქონდა **გენერალ ერისთავს** სოხუმის ოკრუგში, სოფ. გულრიფშში. საწარმოში იდგა 1 ორთქლის ქვაბი და მანქანა. დასაქმებული იყო 6 კაცი, გამოშვებული პროდუქციის ღირებულება აღწევდა 15 ათას მანეთამდე. ასეთი ტიპის 8 საწარმო არსებობდა ფოთში, სადაც დასაქმებული იყო 80 მუშა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის ღირებულება აღწევდა 80 ათას მანეთამდე.

სამურზაყანოელ მეგრელებს დიდი რაოდენობით ხე-ტყე გაჰქონდათ საქართველოდან, განსაკუთრებით ბზა, მუხა და წაბლი. მქუმელ და გუდაველ აზნაურებს ხელშეკრულებაც კი ჰქონიათ დადებული მრეწველ **ალ.ევგერინთან** მუხის ხეების მოჭრაზე.



ქუთისის გუბერნიაში სახერხი წარმოება ჰქონდა ნიკო ნიკოლაძის ოჯახში გაზრდილ **ყარამან დათეშიძეს**. მისი სახერხიდან დასავლეთ საქართველოს ყველა ქალაქი მარაგდებოდა. მამის დაწყებული საქმე ევროპაში განათლებამიღებულმა შვილებმა ბესარიონმა და რაჟდენმა გააგრძელეს. განსაკუთრებით გამორჩეული იყო **რაჟდენ დათეშიძე**. 1918-1919 წლებში მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილი თბილისის ოპერის თეატრის გადასარჩენად მას 25 ათასი ოქროს მანეთი გაუღია.

საფრანგეთისა და ბელგიის სააქციო საზოგადოებებმა რამდენიმე კაპიტალისტური ხე-ტყის სახერხი საწარმო მოაწყეს საქართველოში, მათ ყველა სახერხამდე სარკინიგზო მიმოსვლაც გამართეს და რკინიგზის ვაგონებისთვის საჭირო ხის მასალის დამზადება დაიწყეს, რომელიც უცხოეთში გაჰქონდათ. გაზეთი „მომავალი" იუწყებოდა ოჩამჩირის ხე-ტყის სახერხ საწარმოებზე: „რადგან რკინის გზისათვის შპალების მოთხოვნილება საზღვარ გარეთიდან ძალიან დიდია, ამიტომ აქ ხე-ტყის მასალაზე მუშაობამ იმატა. აქვე ამზადებენ ხე-ტყის სხვადასხვა მასალებს და გზავნიან რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში. მუშა ხალხი ბლომათ მოაწყდა სხვადასხვა კუთხიდან, უმთავრესად რაჭიდან. გაჩნდა ჩვეულებრივი მეტოქეობა მუშათა შორის, რამაც ხელფასი ძლიერ შეამცირა. ამ გარემოებით ისარგებლეს მოიჯარადრეებმა, დაიქირავეს მუშები ზოგი 20-25 მანეთად " [156, 4].

ამ სახერხებში დასაქმებული პერსონალის რიცხვი ათასს აჭარბებდა. ისინი



სამურზაყანოდან და სამეგრელოდან ჩამოდიოდნენ, ნავების დატვირთვაზე ლაზები იყვნენ დასაქმებულნი. სახერხების მფლობელებმა მუშებისათვის საერთო საცხოვრებელი და საწარმოებისათვის სხვა საჭირო ნაგებობები ააგეს. ტყეში მომუშავეებისათვის 3 დიდი შენობა იყო აშენებული. ერთ-ერთ ასეთ ქარხანას წარმოადგენდა სოფ.კალდახვარში **ბარონ დე-კასტესკუს** საწარმო, სადაც მხოლოდ ხე-ტყის მოჭრაზე 100 კაცი იყო დასაქმებული, 18 კაცი უშუალოდ სახერხში მუშაობდა. ქარხანა ყოველწლიურად 40 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა. ამუშავებდნენ ძირითადად ფოთლოვანი ხის ჯიშებს. ასეთი პროფილის საწარმო ჰქონდა **საფრანგეთის სინდიკატს „ბერნარი, გოტიე დე პერიკე"**, რომელიც ფოთლოვანი ჯიშის ხის მასალისაგან (ძირითადად მუხისაგან) პარკეტს ამზადებდა მარსელში გასაგზავნად. საწარმო მდებარეობდა მდ.კოდორის ხეობაში და მასში დამონტაჟებული იყო 2 ლოკომობილი და 11 დაზგა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში სოხუმისა და ფოთის სახერხების გარდა, დასავლეთ საქართველოში იყო კიდევ 4 მცირე სიდიდის საწარმო, 3 შორაპნის და 1 სენაკის მაზრაში.

1880-იან წლებში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის ტარის დამამზადებელი პირველი ქარხანა ააგეს ბათუმში **ინჟინერმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ**, იგი ეკუთვნოდა „კასპია-შავი ზღვის ნავთის გადამამუშავებელ და სავაჭრო საზოგადოებას", რომელიც 1886 წლიდან **როტშილდის** ხელში გადავიდა. ქ.ბათუმის სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა ზრდა და ქალაქის ინტენსიური



მშენებლობა-გაფართოება დიდი რაოდენობის ხის მასალას მოითხოვდა. ახლოს არსებული ტყეები უკვე გაკაფული იყო, ამიტომ სამშენებლო მასალა სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრებიდან შემოჰქონდათ. ბათუმელ მრეწველებს თავიანთი სახერხები ჰქონდათ ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, ბათუმის ნავთობის სამრეწველო წარმოება იმდენად დიდი რაოდენობით დახერხილ მასალას საჭიროებდა, რომ იგი საზღვარგარეთიდანაც შემოჰქონდათ. ძირითადი მომწოდებლები იყვნენ ავსტრია-უნგრეთი, შვედეთი, ფინეთი, კანადა და სხვ. ბათუმის სამრეწველო საწარმოთა მოთხოვნილების გათვალისწინებით დასავლეთ საქართველოში ამოქმედდა 2 მსხვილი სახერხი ქარხანა **მაქსიმოვისა** და **ოქრომჭედლიშვილის.** 1898 წელს **მაქსიმოვმა** სოფ. ადზიუბაში გამართა სახერხი ქარხანა, სადაც 200 მუშით 280 ათასი მან. ნაწარმი დამზადდა [136, 234].

1890 წელს სოფ. საჭილაოში გახსნილი ასეთივე საწარმო წელიწადში 1 მლნ.კუბურ ფუთ (1 ფუთი უდრის 16,38 კგ) მერქანს ამუშავებდა. ქარხანაში დამონტაჟებული იყო 3 სახერხი დაზგა და 30 ცხენისძალიანი ორთქლის ქვაბი. საწარმოში დასაქმებული იყო 60 კაცი, რომლებიც წლიურად 100 ათას მან. პროდუქციას უშვებდნენ.. მუშის დღიური ხელფასი 50-80 კაპ. მერყეობდა, ხოლო ერთი უღელი ხარ-კამეჩით მომუშავე დღეში 1 მან 60 კაპ. იღებდა.

1896 წელს მსხვილი სახერხი საწარმო გაიხსნა მეწარმე **ე.ჟოლკვერის** ინიციატივით მდ.კოდორის სახაზინო ტყეში, რომელიც შემდგომ მეორე გილდიის როსტოველი ვაჭრის **მაქსიმოვის** ხელში გადავიდა. ქარხანა სოფ. აძიუბჟაში მდებარეობდა. უშუალოდ წარმოების პროცესში დასაქმებული იყო 200-ზე მეტი კაცი, ხოლო ხე-ტყის დამზადებაზე და ქარხნის გარეთა სამუშაოებზე რამოდენიმე ათასი მუშა. მუშებისთვის ქარხანასთან და სატყეო უბნებში საცხოვრებელი სახლები და სასურსათო ფარდულები იყო აგებული. ქარხნის მეპატრონემ სოფ. ჩხალთაში გახსნა პატარა საავადმყოფო და აფთიაქი, აქვე მუშების სამეთვალყურეო კანტორა მოქმედებდა. საწარმოში დამონტაჟებული იყო 90 ცხენისძალის სიმძლავრის 3 ორთქლის ქვაბი. ქარხანს ჰქონდა მზა მასალის რამდენიმე საწყობი ბათუმსა და სოხუმში. **მაქსიმოვის მემკვიდრეთა** ქარხნები გამოირჩეოდა წარმოების მასშტაბებით. ამათ სატყეო დეპარტამენტისაგან კონტრაქტით აიღეს კოდორის ხეობის წიწვნარის სამრეწველო ექსპლოატაცია. იმ პირობით, რომ წელიწადში მოჭრიდნენ სულ მცირე 40 ათას მორს და არა უმეტეს 80 ათასი მორისა. პირველ საოპერაციო წელს 20 ათასი მორი დამზადდა, რომლის დიდი ნაწილი დაიხერხა, ბათუმში 400 ათასი ყუთის მასალა ჩაბარდა. მომდევნო წლებში მას ბათუმის ხის ყუთების საწარმოებისათვის უნდა ჩაებარებინა სულ მცირე 2 მლნ ყუთის მასალა, ანუ ბათუმის ნავთობის სატრანსპორტო ჭურჭლის საწარმოებისათვის საჭირო ხე-ტყის 1/5. რასაც ფირმა წარმატებით აუდიოდა [136, 235].

1895 წელს ბორჯომში დაარსდა ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც როგორც თავისი წარმოების მასშტაბებით, ისე დასაქმებული მუშახელის რაოდენობით განეკუთვნებოდა შედარებით მსხვილ წარმოებებს. ქარხანაში გამოყენებული იყო ლოკომობილი, ორთქლის ძრავი, დაზგები. 1895 წლის მონაცემებით, მუშათა რაოდენობა აღწევდა 29-ს, ხოლო პროდუქციის ღირებულება უტოლდებოდა 85 ათას მან. [27, 35]. საქართველოში მოქმედ ხე-ტყის სახერხ ქარხნებს

შორის მხოლოდ ამ საწარმოს არ შეხებია პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული შეფერხებები. ომის დაწყების შემდეგ, პირიქით, გააფართოვა წარმოება, მუშათა რიცხვი 74 მუშიდან 103-მდე, ხოლო წარმოება 30%-ით გაზარდა. 1915 წლის ოქტომბრისათვის კი საწარმოში 120 მუშა იყო დასაქმებული. ქარხანა სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა, რის გამოც მათ მოითხოვეს როსტოვიდან სამი ვაგონი ცეცხლგამძლე აგური და ერთი ვაგონი თიხა გამოეგზავნათ, რომ ჩაეტარებინათ გარკვეული სამშენებლო სამუშაოები [227, 37-38].

1897 წელს ოჩამჩირეში ამუშავდა **მაჭუტაძისა** და **ჩაჩავას** სახერხი ქარხნები, რომლებიც ძირითადად ნაბლის მასალას ამუშავებდნენ. საწარმოში დასაქმებული იყო 16 მუშა, რომლებიც წლიურად 19 ათასი მან. პროდუქციას უშვებდნენ. 1896 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი" პირველ გვერდზე აქვეყნებს სარეკლამო განცხადებას: „თავ.დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას ხე-ტყის ქარხანა, კოდორი, სოხუმის ოლქი. ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილი ხე-ტყის მასალების, ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვადასხვა მონყობილობა ამ საქმიასათვის. ერთადერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს ნაბლის ფიცრებს, ყოველგვარ ზომისას 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვადასხვა სისქის და განისას. ფასი მასალებისა მეტად იაფია. დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ.ბათომში. მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დ.მაჭუტაძეს" [263, 1].

სოხუმთან ახლოს მდებარეობდა **თელიას** სახერხი ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო 12 კაცი, საწარმო წლიურად 21 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა, ანაკლიაში-**ანთაძის** ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო 17 კაცი, საწარმო წლიურად 17 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა, ფოთში **ვოლფენზონის** ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო 22 კაცი, **ღოღობერიძის** ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო 12 კაცი, საწარმო წლიურად 11 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა **ძმები საბახტარიშვილების** ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო 11 კაცი, საწარმო წლიურად 98 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა.

თბილისის გუბერნიის ორთქლის ქვაბების მქონე საწარმოთა სიაში დაფიქსირებულია გორის მაზრაში არსებული **ზეზემანის** მსხვილი სახერხი ქარხანა, **ოთარიძის** ქარხანა (გორში), **ღოღობერიძის** (ქარელში), **ვილენკინის** (სოფ. გომში), **მოსესოვის** (ახალციხეში). 1886 წელს **ქართველიშვილმა** და **ზეზემანმა** გორის მაზრის სოფ. ატენში გახსნეს სახერხი, რომელიც 50 ცხ.ძალის სიმძლავრის წყლის ტურბინით მოქმედებდა და 30 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა. ეს საწარმო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონტრაგენტიც იყო და უკანასკნელს განძელებს აწვდიდა. იმავე წელს ხსენებულმა ფირმამ სოფ. ხანდისში აამუშავა სახერხი, რომელსაც 40 ცხ.ძალის სიმძლავრის ორთქლის ძრავი გააჩნდა [136, 232].

წარმოშობით ფინელმა მეწარმემ, პირველი გილდიის ვაჭარმა და ინჟინერმა **ავგუსტ იაგორის ძე ზეზემანმა* (ზოგან იხსენიება სიეზემანის გვარით),**

---

* ჩვენი აზრით ეს სწორედ ის ინჟინერი ზეზემანია, რომელიც იყო 1870 წელს დამონტაჟებული ავლაბრის ხიდის პროექტის ავტორი, [„1860-იანი წლების ბოლოს ლითონის ხიდები შეუკვეთეს

XIX საუკუნის ბოლოს ალექსანდრე ორბელიანისა და ზაქარია ერისთავისაგან 50-წლიანი ვადით იჯარით აიღო ატენის ხეობის ტყის მასივები. განსხვავებულად მოგვითხრობს ამის შესახებ ი.ქერდიყოშვილი „ტყე და ატენის ხეობა", მისი ვერსიით: „ატენის მებატონეებმა გიორგი ერისთავმა და საშიკო ორბელიანმა გაყიდეს ხეობა ტყის მასივებით. 1888 წელს ატენის ტყის მასივები შეიძინა ფინეთიდან ჩამოსულმა კაპიტალისტმა ავგუსტ იაგორის ძე ზეზემანმა" [234, 3]. ამ ამბის განსხვავებული ვერსიაა შემონახული სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში, სადაც ვკითხულობთ: „Дело по иску князей З.И.Эристовых к А.Зеземану. По арендному договору совершенному крепостным порядком 23-го сентября 1886 г. Ответчик Зеземан арендует у князей Эристовых наследственное общее недвижимое имение, состоящее в Гирийском уезде в сел. Атени, сроком с 1 октября 1886 г. Впредь на 18 лет и три месяца." [61, ფ. 8074/28].

ავგუსტ ზეზემანს ღირსეულ პარტნიორობას უწევდა „თბილისელი პირველი გილდიის ვაჭარი **გიორგი ქართველიშვილი,** (1827-1901 წწ) რომლის სახელი ცნობილია, როგორც 1888 წელს „ვეფხისტყაოსნის" შესანიშნავი გამოცემის გულუხვი დამფინანსებელი.* ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი მისი სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობა. სამშენებლო ხის მასალაზე სარკინიგზო უწყების დიდმა მოთხოვნილებამ, ატენის ხეობაში ტყეების სიუხვემ, რკინიგზის ხაზთან და ქ.გორთან მისმა სიახლოვემ განაპირობა მათი სამრეწველო საქმიანობის წარმატება [160, 121-122]. თავის პროფესიონალიზმში სრულიად დარწმუნებულმა მეწარმეებმა ჩაფიქრებულ საქმეში კაპიტალდაბანდება არ დაინანეს, შეუდგნენ ენერგიულ საქმიანობას და მოკლე დროში (გორიდან სოფელ ლევიტანამდე), მდინარე ტანას ხეობაში ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანეს (იგი დღევანდელ საავტომობილო გზას მიუყვებოდა).

ერთ-ერთ ინგლისურ ფირმას. 1870 წლის გაზაფხულზე ორივე ხიდის ნაწილები ჩამოტანილ იქნა ინგლისიდან და შეუდგნენ მათ დამონტაჟებას. მეტეხის ხიდი მზად იყო იმავე წლის ივლისში, ხოლო ავლაბრისა-აგვისტოში. მეტეხის ხიდის პროექტის ავტორი იყო ცნობილი ინგლისელი ინჟინერი **ორდიში**, ხოლო ავლაბრისა თბილისელი ინჟინერი **ზეზემანი.**" თ.გერსამია „ძველი თბილისის ხიდების მშენებლობის ისტორიიდან". [ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა" №10(454) 1986 წ. ოქტომბერი. გვ. 54-55]

* „გიორგი ქართველიშვილის სახელი უპირველესად უკავშირდება „ვერხისტყაოსნის" გამოცემას. „მისი სახსრებით წიგნის გასაფორმებლად მოინვიეს უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. იგი 1847 წლიდან პეტერბურგში ცხოვრობდა და საიმპერატორო კარის მხატვარი იყო. 1884 წლის 27 სექტემბერს გ.ქართველიშვილის ნინადადებით შედგა კომისია, რომლის წევრებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, პეტრე უმიკაშვილი და იონა მეუნარგია. გ.ქართველიშვილის დაფინანსება და კომისიის თავდადებული მუშაობა წარმატებით დაგვირგვინდა. 1888 წელს ქართველმა საზოგადოებამ მ.ზიჩის ილუსტრაციებით შემკული, მდიდრულად გაფორმებული „ვეფხისტყაოსნის" გამოცემა მიიღო. მისი მთელი ტირაჟი გ.ქართველიშვილმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" საკუთრებად გადასცა. გაზეთ „ივერიაში" ხშირად ქვეყნდებოდა გ.ქართველიშვილისადმი მიძღვნილი სამადლობელო სტატიები, მაგ: მისი დავალებით ფოტოგრაფ ერმაკოვის მიერ საქართველოს ისტორიული ალბომის შედგენა, ქართველი სტუდენტების დაფინანსება, ალექსანდრე ყაზბეგისადმი დახმარება და ა.შ. 1885 წელს გ.ქართველიშვილმა დააფინანსა გამოცემა-ვახუშტის „საქართველოს ისტორია" (დ.ბაქრაძის რედაქტორობით), მანვე თავისი ხარჯებით დაახატვინა თამარ მეფის ხატი და დიდუბის ეკლესიას შესწირა." [ქ.მუშკუდიანი „გიორგი ქართველიშვილი-მრეწველი და ქველმოქმედი".ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 2000 წ. №7-9 გვ. 121-122]

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი (1827-1901)
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

საექსპლოატაციო ტყის ფართობი 12 000 დესტინას უდრიდა. ლიანდაგისათვის საჭირო განძელები ნაწილობრივ ტყეშივე მზადდებოდა (რაზედაც ათასამდე კაცი იყო დასაქმებული), ნაწილობრივ ხანდისისა და ატენის სახერხ ქარხნებში. აქვე ტყის საექსპლოატაციო ფართობის სამ სხვადასხვა ადგილზე აგებული იყო რკინისსახურავიანი ხის საცხოვრებელი სახლები, მუშებისათვის ფარდულები (ხანდისში ორი სახლი, ექვსი ფარდული), ცხენებისათვის-თავლები, კამეჩების სადგომი, სახელოსნოები, სამჭედლოები, პურის, სურსათის შესანახი და სხვა მრავალი სათავსო [160, 121-122].

რკინიგზა ხის ხიდებზე გაივლიდა და 30 კმ სიგრძისა იყო. სარკინიგზო ხაზზე მოძრაობდა 144 პატარა ვაგონი და 3 ორთქმავალი, რომელსაც ვაგონები გორიდან სოფ. ზაოტისკენ მიჰყავდა, სადაც სახელოსნოები ფუნქციონირებდა, რომლებსაც ზეზემანის მიერ მოწვეული გერმანელი სპეციალისტი **კურტ მაიერი** ხელმძღვანელობდა. ზეზემანმა ადრევე მოიყვანა საზღვარგარეთიდან სპეციალისტ მუშები, რომლებსაც ხალხი „დოხაბურებს" ეძახდნენ, რომლებმაც სოფლის მცხოვრებნი მალე ჩაითრიეს შრომაში. გლეხები დაეუფლნენ ორთქლის ქვაბების, სახერხი დაზგების და სარკინიგზო მოწყობილობების მართვას. ატენელი გიორგი ჯიოშვილი, ვანო ონიაშვილი და ხინჩაგაშვილი მალე დაეუფლნენ ხის ხერხვას, ხოლო გ.ყველაშვილმა, დ.ბრიანსკიმ, მ.ჯებისაშვილმა კარგად გაართვეს თავი ორთქმავლის მართვისა და ხის მასალით დატვირთული ვაგონების ტარებას [234, 3]. სწორედ ზეზემანი იყო 1885 წელს გორში, დ.ერისთავისაგან იჯარით აღებულ „ქვაშავას" მინაზე, შპალსაჟღენთი ქარხნის აგების ინიციატორი. რომელიც სახაზინო პალატის მიერ შეფასდა 70 900 მანეთად. ქარხანა წარმოადგენდა ერთსართუალიან ქვის შენობას, სიგრძით 18, სიგანით 6 და სიმაღლით 3 საჟენს. შენობა 5 განყოფილებისაგან შედგებოდა. ერთ განყოფილებაში იდგა 2 ქვაბი (ცილინდრი) შპალების გასაჟღენთად, მეორეში-ორთქლის მანქანა, დანარჩენი 3 განყოფილება ეჭირა კანტორას, მემანქანესა და სხვა მომსახურე პერსონალს.

ხე-ტყის დამუშავება ემყარებოდა მანქანურ წარმოებას, რომელიც მოქმედებაში მოჰყავდა წყლის ენერგიას. ერთ-ერთ საამქროში მოქმედებდა ორთქლის ძრავაც, სადაც დამონტაჟებული იყო ჩარჩოიანი ხერხი. სანედლეულო ბაზად გამოიყენებოდა სოფლების-ბობნევის, ორმოცის, ბალვანის, ბოშურის და ტუსრების ხე-ტყე.

საქმე იმდენად კარგად მიდიოდა, რომ ზეზემანი და ქართველიშვილი სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებას აპირებდნენ. მოკლე ხანში სარკინიგზა ხაზის გაგრძელებასთან ერთად ერთი ორთქმავალისა და 100 ვაგონის დამატებას ვარაუდობდნენ. 25 ვერსის შარაგზაზე ტვირთის შესაბამისი აღალით 150 ცხენი და 20 უღელი ხარ-კამეჩი ეზიდებოდა. გარდა ამისა, მთიდან რკინიგზამდე განძელებს 51/2 ვერსის სიგრძის ღარებით უშვებდნენ, რომლის გაგრძელებასაც მომავალში აპირებდნენ. ამისათვის საწყობებში 350 000 მზა განძელი და დასახერხად გამზადებული 60 000 მორი იყო. 1900-ანი წლების დასაწყისში ატენის სახერხ ქარხანაში მუშაობდა 35 მუშა, იდგა 6 ორთქლის ქვაბი, 1 ტურბინა. ქარხანა წლიურად უშვებდა 125 000 მან. პროდუქციას. ქარხანას ჰქონდა აფთიაქი და ყავდა ექთანი [160, 121-122].

1889 წლის 3 ივნისს გაზეთი „ივერია" იუწყებოდა: „ატენი, 27 მაისი. მოგახსენებთ იმ საშინელ თქეშსა და ნიაღვარზე, რომელმაც თითქმის მთლიანად ააოხრა მშვენიერი, სამოთხის მსგავსი, ნაყოფიერი ატენის ხეობა. ბუნება განრისხდა და წამოვიდა ჯერ საშინელი სეტყვა, თითქმის ქათმის კვერცხის ოდენა, ბორჯღლიანი, რომელიც ორ დღემდის იდო რაზმითისა და დანახვისის მთებზედ. ამ საშინელ სეტყვას მოჰყვა თქეში და სულ ერთიანად წარღვნა ხეობა. სწორედ ამ დროს მატარებელი ატენის ხეობისა გავიდა ქ.გორიდამ თავის ბინაზე სოფ. იკნევში, რომელიც იქვე ატენის თავში მდებარეობს. მატარებელზე იყო მაშინისტი გერასიმე გაგუა, იმის თანაშემწე და რამდენიმე მუშა. სულ არ გაუვლია ნახევარი ვერსი სოფ. ატენიდამ, სახელდობრ იმ ადგილიდამ, სადაც სახერხი ქარხანაა, რომ საშინელი მთები წამოვიდა წყლისა და აივსო ღრმა საწყლე მდინარე ტანისა.....წყალმა გამოურეცხა რკინის გზის ლიანდაგს ძირი და მატარებელი თავისი ვაგონებით უფსკრულში გადავარდა. დაირჩო წყალში ორი კაცი ქართველიშვილი-ზეზემანისა: მაშინისტი გერასიმე გაგუა და მუშა ლეკი.

ზარალი ქართველიშვილ-ზეზემანის კომპანიისა საგრძნობელია. როგორც მოგეხსენებათ, ამ კომპანიამ დიდი ფული ჩააბნია ატენის ხეობაში შპალების სახერხ-სახარშ ქარხანებისათვის, შეისყიდეს რკინის გზის ლიანდაგისათვის ადგილები, გაიყვანეს გორიდამ ატენის ხეობაში გზა ოცდა-ათის ვერსის მანძილზედ, როგორც გაიმართნენ წელში და საქმე ისე დასდგა, რომ მოგება უნდა მოეცა, სწორედ ამ დროს უმუხთლა ბუნებამ. ს. ატენიდან ს. იკნევამდე ბევრგან კარგა მანძილზე რკინის გზის ლიანდაგი ისე მოჰგლიჯა, რომ ნაალაგევი ძლივსღა ეტყობა. მდ. ტანის ნაპირი, სადაც გაყვანილი იყო რკინის გზა და სადაც გააფუჭა, გამაგრებული იყო ღრმად ჩაყრილის და ერთმანეთზედ გადაბმულ-დაკეტილ კიდობნებითა, რომელბიც ავსებული იყო ქვა-კლდით. ეს კიდობნები სულ ძირიანად ამოიღო, დაშალა და წყალს მისცა, თვით რელსები დაამტვრია, დაგრიხა, დიდის ლოდებისა და კლდეების ხეთქებითა და დააზიანა ხეების სახერხი ქარხანა" [101, 2].

1905 წელს ზეზემანმა წამოწყებულ საქმეში დასახმარებლად ჩამოიყვანა თავისი ძმები **ალფრედი და ერნესტი**, მაგრამ მათ ვერ გაამართლეს ავგუსტის იმედები და იგი ისევ მარტო დატოვეს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ მეტი პრობლემები შეუქმნა ამ წამოწყებას, რადგან ხე-ტყეზე მოთხოვნა საგრძნობლად შემცირდა. ამავე დროს გაძნელდა საწარმოების მომარაგება სათადარიგო ნაწილებითა და საწვავით. ყოველივე ამას გაუცემელი ხელფასებიც დაემატა, რის გამოც მომსახურე მუშებმა საწარმოები მიატოვეს და ზეზემანი იძულებული იყო ქარხნები დახურულად გამოეცხადებინა. ყოველივე ამან და წყალდიდობით გამოწვეულმა კოლოსალურმა ზარალმა გავლენა იქონია ავგუსტ ზეზემანის ჯანმრთელობაზე, იგი 1918 წელს გარდაიცვალა. მუშებმა ტ.ქერდიყოშვილმა, გ.ჯიოშვილმა და ვ.ონიაშვილმა დაასაფლავეს იგი სოფ. ჯებირის სასაფლაოზე ეკლესიის წინ. ქარხნის დაზგები და ორთქმავლები გორში ჩაიტანეს და ქვაშავის ჭალაში მოაწყეს სამხერხაო ქარხანა [234, 3].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გორის მაზრაში აქტიურად მისდევდნენ ხე-ტყის დამუშავებას. მისგან ამზადებდნენ საშენ მასალას, შეშას, ყავარს, ნახ-

შირს, შპალებს. ხე-ტყის დამზადებას ეწეოდნენ აგრეთვე მდ. დიდი ლიახვის აუზში მდებარე ტყეებიდანაც. დაცურება ხდებოდა მდ.ლიახვზე წყალდიდობის დროს. ტივები გორში ან თბილისში იყიდებოდა. ტყის ექპლოატაციას ეწეოდნენ როგორც მემამულეები, ასევე ადგილობრივი მეწარმეები, რომელთა რაოდენობა მარტო ჯავის სასოფლო საზოგადოებაში 15-ს უდრიდა.

ბათუმი ხე-ტყის მასალას იღებდა **მიხეილ რომანოვის** ბორჯომის მამულის სახერხი ქარხნიდან და რკინიგზის სადგურებთან ახლოს მდებარე სხვა საშუალო და მცირე წარმადობის სახერხებიდან. ხე-ტყის მსხვილი სახერხი ქარხან ჰქონდა **მიხეილ რომანოვს** სოფ. გომთან, **გენერალ ალ. პეტერს** ბორჯომთან და თავად **პეტრე გრუზინსკის** მდ.თეძამის ხეობაში. 1885 წელს დიდი მთავრის ბორჯომის მამულის სამმართველომ სოფ. გომში სახერხი ქარხანა ააშენა, საწარმო, რომელსაც 8 ცხ.ძალის სიმძლავრის ორთქლის მანქანა გააჩნდა, 25 მუშით 40 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა, რითაც როტშილდის ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის საწარმოს ამარაგებდა. ხოლო ბორჯომში გახსნილი მექანიკური სახერხი ადგილობრივ ჩამოსხმული მინერალური წყლის სატრანსპორტო ყუთებს, აგრეთვე სამშენებლო ხემასალას ამზადებდა [136, 232].

XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა **„ფირალოვისა და ყარაბეგოვის ლიახვის სატყეო-სამრეწველო ამხანაგობა“**, რომელმაც მემამულე მაჩაბლისაგან შეიძინა ტყე სოფ. შიხანთურში და მოაწყო ხე-ტყის სახერხი საწარმო, რომელშიც 80-მდე კაცი იყო დასაქმებული.

გორის მაზრის ხე-ტყის დამამუშავებელ მრეწველობაში ნელ-ნელა ინერგებოდა შედარებით უკეთესი ტექნიკა. 1887 წელს მაზრის უფროსის ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ რკინიგზის სადგურ გომთან, ხე-ტყის სახერხ ქარხანაში საწვავ მასალად გამოიყენებოდა შეშა, მოგვიანებით კი ეს საწარმო უკვე მაზუთზე მუშაობდა.

1899 წლის „კავკასიის კალენდრის“ ცნობით, თბილისში 5 მსხვილი სახერხი და 54-ზე მეტი შედარებით წვრილი საწარმო ფუნქციონირებდა, სადაც ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული ორქლის ძრავაზე მომუშავე დანადგარები. მაგალითად, ასეთი საწარმო 1901 წელს ჰქონდა თბილისელ **ტერ-სარქისოვს**, სადაც 9 კაცი მუშაობდა, გამოშვებული პროდუქციის ღირებულება აღწევდა 7 ათას მანეთამდე. საწარმოში იყო 4 ხელის ხერხი და იგი წელიწადში მხოლოდ 162 დღე მუშაობდა. ხის მჭრელი და გადამამუშავებელი საწარმო არსებობდა „მადათოვის კუნძულზეც“, რომელიც ვინმე **ჯაგეტიანებს** ეკუთვნოდათ.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში მოქმედ სახერხ საწარმოთა შორის შედარებით მსხვილ კაპიტალისტურ ქარხნებს მიეკუთვნებოდა **გრაფ სერებრიაკოვის** ქარხნები სოფ. საჭილაოში და ფოთში, ასევე **გაგრის სახერხი** და **ალექსანდროვსკის საწარმო**. 1890 წელს ი.სერებრიაკოვმა სოფ.საჭილაოში (სენაკის მაზრა) მოაწყო სანიმუშოდ აღჭურვილი სახერხი ქარხანა, რომელიც მოქმედებაში მოჰყავდა 30 ცხ.ძალის სიმძლავრის ორთქლის ქვაბით მოძრავ ჰორიზონტალურ მანქანას. 50 მუშით 150 ათასი მან. პროდუქცია მზადდებოდა. სერებრიაკოვმა ასეთივე საწარმო გახსნა სოფ. მარანში [136, 234].

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში მექანიკური საწარმოების განვითარების გვერდით იწყება ხე-ტყის დამამუშავებელი წარმოების სრული-

ად ახალი მიმართულების განვითარება-საყოფაცხოვრებო საგნების დამზადება. 1846 წელს გერმანელმა **ფრიდრიხ ზაიტცერმა** თბილისში გახსნა ავეჯისა და პარკეტის საწარმო, რომელიც შემდგომ თანდათან გაფართოვდა და საბოლოოდ კაპიტალისტურ საწარმოდ ჩამოყალიბდა. საწარმოში დასაქმებული იყო 40 მუშა, ხოლო წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 40 ათას მან. საწარმო ამზადებდა მაღალი ხარისხის პარკეტს და ყველანაირ საყოფაცხოვრებო ავეჯს [238, 126].

XIX საუკუნის ბოლოს თბილისში არსებობდა ერთი ასანთის, ერთი ავეჯისა და ორი ფანერის ფაბრიკა. მათში დასაქმებული იყო 64 მუშა წლიურად და უშვებდა 972 ათასი მან. პროდუქციას [136, 236].

1877 წელს თბილისში იხსნება **რენცის** ავეჯის სახელოსნო, რომელმაც მუშაობა დაიწყო 6 კაცით, 1900 წლისათვის კი აქ 24 კაცი მუშაობდა. სახელოსნო ამზადებდა ყველაზე მოთხოვნად პროდუქციას კარ-ფანჯრებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს. ყოველწლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება 11 ათას მან.

XIX საუკუნის 90-იან წლებში მწყობრში ჩადგა **ი.კვერნაძისა** და **ი.გურგენიძის** სახერხი, რომელიც 10 ცხ.ძალის ორთქლის მანქანით მუშაობდა და 10 მუშით 20 ათასი მან. ნაწარმს უშვებდა. სახერხები გახსნეს **ბაბლუმოვმა, მოსესოვმა, ი.სუმბათაშვილმა** და სხვ. 1900 წელს აღმოსავლეთ საქართველოში უამრავი მცირე წარმადობის სახერხების გარდა 9 მსხვილი სახერხი ქარხანა მოქმედებდა, მათ დაახლოებით 230 მუშით 680 ათასი მან. პროდუქცია დაამზადეს [136, 233].

1895 წელს ხე-ტყის გადამამუშავებელი მსხვილი საწარმო მიიღო მემკვიდრეობით **ნესტორ მეთოდეს ძე კუციამ** (ხუციამ)(1876-1912), მასვე რგებია ხე-ტყის ტარისა და ფართლეულის მაღაზიები აბაშაში, ქუთაისში და ფოთში. როგორც ჩანს, იგი კარგად გაძღოლია საქმეს, შეუქმნია გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცის კი თურქეთში,საბერძნეთში, საფრანგეთში, ბელგიაში და რუსეთის იმპერიაში ახდენდა [164, 5].

XX საუკუნის დასაწყისში გარკვეულწილად შეიცვალა ხე-ტყის დამამუშავებელი წარმოების მასშტაბები საქართველოში. ამ საქმეში 1 500 ათასი გირვანქა სტერლინგის გაბანდება განიზრახა **„ქუთაისის სამთო და სატყეო-სამრეწველო საზოგადოების“** სახელით მოქმედმა ინგლისურმა ფირმამ, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა შორაპნის მაზრაში სოფ. ჭალის ტყის ექსპლოატაცია. 1905 წლის ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო კომპანიამ გადაწყვეტილება შეცვალა. გარდა მეწარმეებისათვის არასახარბიელო პოლიტიკური სიტუაციისა, პრობლემებს ქმნიდა ტყის მასივებამდე მისასვლელი მოუწყობელი გზები და რკინიგზის მაღალი ტარიფები. დამზადებული ხე-ტყის მასალის გადაზიდვის სიძვირე ზრდიდა თვითღირებულებას და უცხოური ფირმები კონკურენციის გარეშე რჩებოდნენ. უცხოური კომპანიების გარკვეულმა თავშეკავებამ ქართული კაპიტალი წაახალისა.

ქუთაისელმა ვაჭრებმა რუხაძეებმა, რკინეულობით და სამშენებლო მასალების რეალიზაციით დიდი სიმდიდრე დააგროვეს და შეუდგნენ მრეწველობაში კაპიტალის დაბანდებას. **სიმონ რუხაძეს**, რომელიც I გილდიის ვაჭარი იყო

2 დიდი სახერხი ქარხანა ჰქონდა, ერთი ქუთაისში და ერთიც სამტრედიაში. მის ქარხნებში ათეულობით დაქირავებული მუშა მუშაობდა. (საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სიმონ რუხაძეს ჩამოუყვანია ქუთაისში პირველი ავტომანქანა, რომლის გერმანელ მძღოლს რამდენჯერმე სცემეს თურმე ქუთაისელმა მეფაიტონეებმა) [187, 169].

ხე-ტყის მსხვილი სახერხი ქარხნები ჰქონია სოფელ ხონსა და მათხოჯში მდიდარ მრეწველს, **დიმიტრი ჩხიკვაძეს**. პ.რატიანი მას მილიონერად მოიხსენიებს. მის საწარმოები დაქირავებული მუშახელით მოქმედებდა.

სახელგანთქმული ყოფილა ზუგდიდში წითელი ხის ოსტატი **თეიმურაზ მესხია**. მის მამას **ამბაკო მესხიას** ობუჯში ჰქონია სახელოსნო, სახერხი ქარხანა და ავეჯის სახელოსნო. ხის სახერხები ყოფილა სოფ. ლიასა და ჯვარში. ავეჯისათვის ხმარობდნენ ცაცხვსა და თელას. წითელი ხე შემოჰქონდათ კონსტანტინოპოლიდან. გასაწყობ შავ ხეს იწერდნენ უცხოეთიდან. წითელი ხე სვანეთშიც იზრდებოდა, მაგრამ მას საგულდაგულოდ გახმობა უნდოდა. ხეს ტყეში წააქცევდნენ და დაახლოებით 15 წელი უცდიდნენ მის გახმობას. წითელი ხისგან მზადდებოდა კარადები, საწოლები, აკვნები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ავეჯი. ავეჯის გამკეთებელი მუშაობდა ხის დაგზაზე, რომელიც რცხილისაგან მზადდებოდა [2, 41].

1908 წელს თავად **დავით გულბაათის ძე ჭავჭავაძის მემკვიდრეებმა** გააგრძელეს სოფ. სიონში (თიანეთი) საწყებული სახერხი და პარკეტის ქარხნის მშენებლობა (საწარმოში კარ-ფანჯრის წარმოებაც იყო ნავარაუდევი). საწარმოს დაზგა-დანადგარები, სხვადასხვა დიამეტრისა და დანიშნულების ხერხები, 50 ცხ.ძალის სიმძლავრის „ჰერკულესის" სისტემის წყლის ტურბინი დამონტაჟდა [136, 238].

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში „საკმაოდ ფართოდ გაშალეს ხე-ტყის წარმოება ახალციხის მაზრაში. აქ მოქმედებდა **კ.მ.ბაინდურტეკოვის** ხე-ტყის ქარხანა, სადაც 8 მუშა მუშაობდა. **ლ.არუთინოვის** ქარხანაში კი 19 მუშა იყო დასაქმებული. აღნიშნული ქარხნები მხოლოდ „თავდაცვისათვის" მუშაობდნენ. 1917 წელს ახალციხეში სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა ხე-ტყის ორი ქარხანა: პირველი 23 მუშით და მეორე 16 მუშით [227, 38].

მოგვიანებით ხე-ტყის დამამუშავებელმა წარმოებამ მომსახურების სფეროს მოთხოვნების დაკმაყოფილებაც დაიწყო. 1909 წლიდან მოქმედებდა **კოლობოვის** „ამიერკავკასიის პირველი ფაბრიკა", რომელიც ფეხსაცმელის მოდელებს ამზადებდა. აქ 6 ცხ.ძალის ძრავი მოქმედებდა და 20 მუშა ირიცხებოდა. იმავე პერიოდში თელავში ამოქმედდა მანუფაქტურული ტიპის ორთქლის საკასრე [136, 240].

1917 წელს ინგლისური კაპიტალი კვლავ ერთვება საქართველოს ხე-ტყის დამამუშავებელ წარმოებაში. საქართველოს დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, **ადოლფ ბელსკის, ევგენი გეილერს** და დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომ **არტურ ტორნტონს** მიეცათ უფლება დაეფუძნებინათ „სამეგრელოს სამრეწველო სააქციო საზოგადოება" 5 მლნ მან. ძირითადი კაპიტალით. მისი მიზანი იყო:

– ნიკოლოზ მინგრელსკისაგან 1917 წლის 8 მარტის ხელშეკრულებით

ე.გეილერის მიერ იჯარით აღებულ მამულებში ხე-ტყის, ასევე ყოველგვარი წიაღისეული სიმდიდრის ექსპლოატაცია, ასეთივე საქმიანობა ქუთაისის გუბერნიის სხვა კუთხეებში.

– ხე-ტყისა და წიაღისეული სიმდიდრეების მექანიკური და ქიმიური დამუშავება. ხე-ტყის სამთო და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ნაწარმით ვაჭრობა რუსეთსა და უცხოეთში.

– ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მათ შორის რკინიგზების, ნავსადგურების, კურორტებისა და ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა.

– მინერალური რესურსების ექსპლოატაცია [136, 121].

სოფ. პარატა-ურუთში **ნიკოლოზ** და **გიორგი მელიქიშვილებს** გამართული ჰქონდათ სახერხი ქარხანა, 6 დიდი და 14 პატარა დანადგარით. ხერხები მოძრაობაში მოჰყავდა ორქლისძრავიან ლოკომობილს [247, 184].

XX საუკუნის 20-იან წლებში ინოვაციური წარმოება ამოქმედდა საქართველოში ასანთის დამზადების სახით. დამოუკიდებლობის წლებში დაარსდა ჩვენში ასანთის რამოდენიმე პატარა ქარხანა, რომელთაგან ერთმა სახელწოდებით „ასანთი" იარსება სულ უკანასკნელ დრომდის. მისი წარმოება უდრიდა 10-15 ათას კოლოფს დღეში [113, 96].

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში დასავლეთ საქართველოში (ფოთი, საჭილაო) მძლავრი ხე-ტყის სახერხი ქარხნები ქონდათ იტალიის მოქალაქეებს **ლუიჯი** და **ატტილა სბროიავაკებს**. ფირმამ ფართოდ გაშალა წარმოება და პირველ ხანებში დიდ წარმატებასაც მიაღწია. 1913 წელს სბროიაბაკას ფოთის ხე-ტყის ქარხანაში დასაქმებული იყო 312 მუშა. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ქარხანამ საქმიანობა შეწყვიტა, რადგან ფოთი ფრონტისპირა რაიონად იქცა. ომის შემდეგ სბროიავაკამ განაახლა წარმოება, ქარხანაში 150 მუშა დაასაქმა და წლიურად 180 000 მან. ნანარმი გამოუშვა. ტექნიკურ მოწყობილობას შეადგენდა 165 215 ცხ.ძალის „ვოლფის" ტიპის ლოკომობილი [227, 35-36].

საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ ხე-ტყის სახერხი ქარხნების საქმიანობამ აღორძინება დაიწყო. ფოთში ხე-ტყის სახერხ ქარხნებს ამუშავებდნენ **ბოლქვაძე, გ.ნ.დადიანი, საბახტარიშვილი და კომპ. ჭყონია და თელია, გ.კეკელიძე და კომპ. შ.ელიავა,** სოფ.ნატანებში **თავადი ნაკაშიძე** და ა.შ.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ხე-ტყის სახერხი ქარხნების დიდი რაოდენობა ფუნქციონირებდა. ისინი ძირითადად მტკვრის სანაპიროზე იყვნენ განლაგებულნი. 1914 წელს მარტო **პარასტაევის, ცხოვრებოვისა** და **ხაჩატურიანცის** და **გასპარიანის** სამ ქარხანაში 80-მდე მუშა იყო დასაქმებული. 1914 წელს ოქტომბერში ამუშავდა **ს.თ.სირაძის** ქარხანა კახეთის ქუჩაზე. თბილისის ბევრი ხე-ტყის ქარხნის მფლობელი გადავიდა სახედრო დაკვეთების შესრულებაზე, ან იჯარით გასცა თავის ქარხანა. 1915 წელს სამხედრო დაკვეთებს ასრულებდნენ ხე-ტყის შემდეგი ქარხნები: **სერებრიაკოვისა და ანდრეევის, ა.ტერ-ასატუროვის, ა.ჯაგეტიანცის, გ.ცხოვრებოვის, ა.პარასტაევის, გ.ვართანოვის, ნ.ჯიოევის და ნ.ხეთაგუროვის**. [227, 39].

ნიკო ნიკოლაძეს დიდად სასარგებლოდ ესახებოდა ქართული ხე-ტყის გონივრული ექსპლოატაცია. ამის შესახებ წერილებში შვილსა და დისშვილს ტყ-

ეების შესახებ რაც შეიძლება მეტი სანდო მასალის შეგროვებასა და მისთვის გაგზავნას სთხოვდა. იგი წერდა: „ახლა აქ დგება დიდი ტრესტი ბანკებისა და ერთი ამერიკელი (კანადელი) ბანკის მოღვაწე მპატიჟებს თნამშრომლად. ის აპირებს ჩრდილო რუსეთის ტყეების არენდას, მე კი მინდა და მირჩევნია ჩვენი ტყეებიც დავამუშავებინო. თუ მომიხერხებთ სრული და დანამდვილებით ცნობების მოწოდებას, ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ადვილად შევიძლებ დიდი საქმის გამართვას ჩვენში და დიდძალი ლესნიჩების, ტექნიკოსებისა და რაჭველებისათვის ბარაქიანი მუშაობის შოვნას. . . განსაკუთრებით საჭიროა ცნობები, თუ რა ღირს გზების დამუშავება, ჩამოზიდვა ფოთამდე, დახერხვა, ან თუ რა ფასებში საღდება ის ჩვენში და ბაქოს. . . მინდა ფულები ჩვენს ქვეყანას მოვახმარო. . . [288, 45].

ფოთის ნავსადგური. შ. ელიავას სახერხი ქარხნის მუშები
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობა XIX საუკუნის საქართველოში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების დაჩქარებისათვის აუცილებელი გახდა სარკინიგზო მშენებლობის დაწყება. სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობის საჭიროების საკითხი XIX საუკუნის 30-იან წლებში პირველად დაუყენებია **ნიკოლოზ სიმონის ძე მორდვინოვს.** მოგვიანებით, 1856 წელს **ინჟინერ ბ.ი.სტატკოვსკის** შეუგროვებია სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობისათვის საჭირო სტატისტიკურ-ეკონომიკური ცნობები და შეუდგენია მოხსენებითი ბარათი კავკასიაში მყოფი ჯარების მთავარი შტაბის უფროსის **დ.ა.მილიუტინის** სახელზე. ბარათი შეეხებოდა ნიჟნი ნოვგოროდიდან ტვირთების გადატანას ვოლგით, კასპიის ზღვით, მდ.მტკვრით სოფელ ზარდობამდე ან სარკიარამდე, შემდეგ კი თბილისამდე რკინიგზით, რომელიც დაახლოებით 180 ვერსამდე სიგრძის უნდა ყოფილიყო. მოხსენებითი ბარათის ავტორი წინადადებას იძლეოდა 180 ვერსის სიგრძის რკინიგზა აგებული ყოფილიყო თბილისიდან სადგერამდე, ალაზნისა და იორის შესართავთან. სოფ.სადგერიდან კასპიის ზღვამდე მტკვარი სანაოსნო იყო და ამ პუნქტამდე ტვირთების მოზიდვა სამდინარო ტრანსპორტით შეიძლებოდა [29, 39-44]. მოხსენებით ბარათშიჩგანხილული ყოფილა რკინიგზის გაყვანის ორი მიმართულება. ერთი ითვალისწინებდა მტკვრის მარჯვენა მხარეს, მეორე კი სილნაღს, ელდარის ველს, იორს ან ალაზნის ნაპირებს და თბილისს. თბილისამდე 180 ვერსი რკინიგზის მშენებლობისათვის თავისი პროექტის ეკონომიკურობის დასამტკიცებლად სტატკოვსკის მოაქვს შემდეგი მონაცემები:

საჭირო მასალა	ღირებულება
რელსები 700 000 ფუთი	1 470 000 მანეთი
ქვედები 70 000 ფუთი	147 000 მანეთი
მიწის ვაკისი, 2 საჟენის სიფართის, ყოველი კუბური მეტრი 10 მანეთი	900 000 მანეთი
მიწის ვაკისის მოწყობილობა	200 000 მანეთი
განივი და გრძივი ჩანაწყობები 400 ტონა,	740 000 მანეთი
მუხის რელსების დაწყობა	180 000 მანეთი
ხიდები (ხისა) და გადასასვლელები 16	228 000 მანეთი
მოძრავი შემადგენლობა (14 ლოკომოტივი, 15 სამგზავრო და 40 სატვირთო ვაგონი, 15 ბაქანი)	540 000 მანეთი

10 სადგურისა და 15 ყაზარმის მშენებლობა	12 000 მანეთი
მშენებლობის დირექციის შენახვა	50 000 მანეთი
რკინიგზის მშენებლობის საჭიროებისათვის გზატკეცილების მშენებლობა	545 000 მანეთი
გაუთვალისწინებელი ხარჯები	1 000 000 მანეთი

მასალა აღებულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებიდან, ვ.გურგენიძე. 1965 12/V

ყოველ ვერსზე ნაანგარიშევი იყო 40 000 მანეთი ხარჯი. რკინიგზის საერთო შემოსავალს ტვირთების გადაზიდვებით უნდა შეედგინა 150 000 მანეთი, ხოლო საექსპლოატაციო ხარჯების გამოკლებით სუფთა მოგება უნდა დარჩენილიყო 30 000 მანეთი. სამგზავრო გადაზიდვებიდან შემოსავალი სტატკოვსკის არ ჰქონია ნაანგარიშევი. იგი მხოლოდ მიუთითებდა, რომ სახალხო რკინიგზა მთელი შემოსავლების 70%-ს იძლეოდა, ხოლო საბარგო - 30%-ს" [280, ფ 12/V].

სტატკოვსკის პროექტს მხარი დაუჭირა ჯერ სამხრეთ კავკასიის ოკრუგის სამხედრო ნაწილების მთავარსარდალმა **კოლოსოვსკიმ,** ხოლო შემდგომში-**შმიდტმა.** ანიჭებდა რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოდგენილ პროექტს, სამხრეთ კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობამ 1857 წელს საზღვარგარეთ მიავლინა სტატკოვსკი და კაპიტანი ბოგუშევიჩი (შვეიცარიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და ინგლისში), რათა შეესწავლათ გვირაბებისა და მთიან ადგილებში რკინიგზების მშენებლობის საქმე.

1857 წლის 21 ივლისს კავკასიის სამხედრო ნაწილების მთავარი შტაბის უფროსს **მილიუტინს** ინჟინერთა ჯგუფმა **ვ.ზგურსკიმ და ი.ჩერევინმა** წარუდგინეს მოხსენებითი ბარათი ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შესახებ (ქუთაისისა და გორის გავლით). ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ რკინიგზის აგება მრავალმხრივ სასარგებლო იქნებოდა. ჯერ-ერთი, იგი საშუალებას მისცემდა საქართველოში ვაჭრობის განვითარებას, საქართველოს და დონის ვაჭრების დაახლოებას, ამასთან მკვეთრად გაუმჯობესდებოდა სამხედრო მოქმედების წარმოებას ქვეყანაში. პროექტის ავტორები თავიანთი ეკონომიკური გათვლებით ასკვნიდნენ, რომ ფოთიდან თბილისამდე რკინიგზის მშენებლობა(-სულ 320 ვერსი), დაჯდებოდა 27 200 000 მან, ე.ი. ყოველ ვერსზე 85 000 მანეთი.

იმავე წელს წამოყენებულ იქნა მესამე წინადადება-შავი და კასპიის ზღვების რკინიგზით დაკავშირების, ე.ი. ფოთი-ბაქოს რკინიგზის აგების შესახებ [29, 39-44].

1857 წლის 28 ივლისს სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობის კიდევ უფრო თამამი გეგმა წარუდგინა მეფისნაცვალს გენერალ-ლეიტენანტმა **ხნულევმა.** გეგმა ითვალისწინებდა რკინიგზის მშენებლობას ფოთი-თბილისი-ბაქოს მთელ ხაზზე. გეგმა ეკუთვნოდა მოსკოველ კომისიონერ **ვ.ა.კოკორევს.** იგი სთავაზობდა ხელისუფლებას, რომ შეექმნა ამ გეგმის განხორციელებისათვის

სააქციონერო საზოგადოება. ეს პროექტი უფრო რეალური იყო, რადგან ითვალისწინებდა ადგილობრივ პირობებს. შემოთავაზებით დაინტერესდა მეფის ხელისუფლება. მეფისნაცვლის წინადადებით შეიქმნა რკინიგზების მშენებლობის სპეციალური დროებითი კომიტეტი. მის ხელმძღვანელად დანიშნეს კავკასიის მხარის მეფისნაცვლის სამოქალაქო სამართველოს უფროსი **ა.ი.ბებუთოვი.**

„1857 წლის 2 აგვისტოს ჩატარდა დროებითი კომიტეტის პირველი თათბირი. კომიტეტმა გადაწყვიტა შეეკრიბა ცნობები მხარის ეკონომიკური მონაცემების შესახებ და დაუყოვნებლივ ეწარმოებინა კვლევა ტრასაზე, რომელიც 6 უბნად იქნებოდა დაყოფილი: ბაქო-შემახა, შემახა-მინგეჩაური, მინგეჩაური-თბილისი, თბილისი-გორი, გორი-ქუთაისი, ქუთაისი-ფოთი. კვლევა-ძიებისათვის განისაზღვრა 1 წელი, ხოლო ამ სამუშაოების შესასრულებლად გამოიყო 75 000 მანეთი. სამხრეთ კავკასიაში რკინიგზის მშენებლობის საკითხი იმდენად აქტუალური გახდა, რომ 1857 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ა.ი.ბარიატინსკიმ ამის თაობაზე იმპერატორს წარუდგინა მოხსენება. მისი გეგმით გათვალისწინებული იყო ფოთი-თბილისი-ბაქოს 830 ვერსიანი რკინიგზის აგება. მშენებლობის საერთო ღირებულება შეადგენდა 60 მლნ. მანეთს“ [280, ფ 12/V].

სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხმა მაშინვე მიიქცია იმ დროის მსხვილი კაპიტალისტების ყურადღება. 1858 წლის 12 თებერვალს პეტერბურგში ეს საკითხი განხილეს მსხვილი კაპიტალისტის და მეფის კომერციული მრჩევლის **ვ.კოკორევის** თათბირზე. მან გამოთქვა სურვილი თავისი კაპიტალიდან ამ სამუშაოებისათვის კავკასიის ადმინისტრაციის განკარგულებაში გაეცა 25 000 მანეთი. თათბირში მონაწილეობდნენ კოკორევის კომპანიონი **ბარონი ნ.ტორნაუ** და ფინანსური მრჩეველი **ხარიტონოვი.** მოგვიანებით, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, კოკორევმა უარი განაცხადა რკინიგზის მშენებლობაში მონაწილეობაზე.

კავკასიის მეფისნაცვლის ინიციატივით, პროექტის სარეალიზაციოდ მოწვეულ იქნენ რუსი და ევროპელი ინჟინრები: **ვ.ზგურსკი, ი.ჩერევინი, ფოლკენგაგენი, კიპრიანოვი, ბელგიელი და ინგლისელი სპეციალისტები: ბელი, რელიანი და ბერნარი, გაბი, პელგამი, კერელსი.** დროებითმა კომიტეტმა ჩერევინს განსაკუთრებული დავალება მისცა, გამოეთვალა სამხრეთ კავკასიის რკინიგზის შემოსავლები მომავალში. ჩერევინის გაანგარიშებით, პირველივე წელს რკინიგზა სახელმწიფოს მისცემდა შემოსავალს 2 526 880 მან. ვერცხლით. აქედან სუფთა მოგება შეადგენდა 631 820 მან. ჩერევინი ფიქრობდა, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზა ამ თანხას მიიღებდა შემდეგი გზით:

მომსახურების სახე	ღირებულება
სამგზავრო და საბარგო გადაზიდვებით	300 000 მან.
რუსული და ევროპული საქონლის გადაზიდვებით (დაახლოებით 2 მლნ ფუთი)	500 000 მან.
საქართველოს სამხედრო გზიდან მიღებული ტვირთების გადაზიდვებით (ფოთის ან ბაქოს მხარეს)	400-500 000 მან.

სამხედრო გადაზიდვებით	387 000 მან.
სხვადასხვა კერძო ტვირთების გადაზიდვებით	300 000 მან.
ადგილობრივი გადაზიდვებით	500 000 მან.
სატრანზიტო გადაზიდვებით (1 მლნ ფუთი)	310 000 მან.

სანამ ინჟინრები და დარგის სპეციალისტები თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულნი, კავკასიის მხარის ადმინისტრაცია მიმოწერას აწარმოებდა იმ სხვადასხვა კერძო კომპანიებთან და მეწარმეებთან, ვინც თანხმობას გამოთქვამდა მონაწილეობა მიეღო სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობაში. ასეთები იყვნენ: **თავ. ვლ.დოლგორუკოვი, გენერალ-მაიორი ლამბერტი, გენერალ ადიუტანტი პატკული, დიდვაჭარი ლატკინი, ინჟინერი პეტრე უსოვი, ოტრეშოვი, ინჟინერი ძმები ანანოვები** და სხვები. 1858 წლის ბოლოს ფაქტობრივად შემუშავდა სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობის რამდენიმე კონკრეტული წინადადება. დღის წესრიგში იდგა მშენებლობის დაფინანსების საკითხი. მეწარმეების გარკვეულმა ნაწილმა გამოთქვა მშენებლობის დაფინანსების სურვილი საკუთარი კაპიტალით, მხოლოდ შემდეგი პირობები მოითხოვა:

ნება დაერთოთ თავიანთ მიერ აშენებული რკინიგზის მფლობელები ყოფილიყვნენ 80 წლის მანძილზე.

დაკმაყოფილებულიყვნენ მშენებლობის დასრულებისათვის იმ საშუალო თანხებით, რაც საჭირო იყო რუსეთის რკინიგზებისათვის.

1859 წლის 13 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა ფრანგი სპეციალისტი **ბლანშერი** და მეფისნაცვალს შეატყობინა, რომ საფრანგეთის რკინიგზის მშენებლობის საზოგადოების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ მზადყოფნას მონაწილეობა მიეღოთ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში და სურდათ გაერკვიათ, თუ რა თანხა იქნებოდა საჭირო რკინიგზის მშენებლობისათვის.

1858 წლის სექტემბერში თავადმა **დოლგორუკოვმა** ჰამბურგის გენერალურ კონსულთან **ბერტოსთან** ერთად მეფისნაცვალს სთხოვა მონაწილეობა მიეღო რკინიგზის მშენებლობაში. იმავე ინიციატივით გამოდიოდა უნგრელ ინჟინერთა კომპანია და სხვები.

1861 წლის დასაწყისში კვლევა-ძიება, გაანგარიშებები და მშენებლობის პროექტზე მუშაობა დამთავრდა, რის შემდეგაც იმპერატორმა განიხილა სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხი და გასცა მისი დაწყების თანხმობა. სამხრეთ კავკასიის მხარის ადმინისტრაციას უკვე გააჩნდა ინჟინერ ბელის პროექტი, რომლის შესაბამისად, 6 წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო 47 მლნ. მან. სამუშაოები ფოთი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობაზე. რაც შეეხება შავი ზღვის სანაპიროზე პორტის მშენებლობას, საჭირო თანხები განისაზღვრა 49 მლნ. მანეთით. სათანადო ფინანსირების მოსაპოვებლად საზღვარგარეთ გაგზავნეს მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საფინანსო დეპარტამენტის დირექტორი **ა.ხარიტონოვი.** უცხოელმა კაპიტალისტებმა გაითვალისწინეს მეფის ხელისუფლების მძიმე ფინანსური მდგომარეობა და

მოითხოვეს სესხის დაბრუნების გარანტია. შეთანხმება ვერ შედგა და შესაბამისად, ხარიტონოვის მისიაც ჩაიშალა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იგი მოლაპარაკებებს აწარმოებდა **როტშილდთან.** ხარიტონოვს საზღვარგარეთელმა ბანკირებმა, პირდაპირი დაფინანსების სანაცვლოდ, შესთავაზეს 50 მლნ. მან. საგარეო სესხი, რაც აშკარად არახელსაყრელი აღმოჩნდა მაშინდელი ხელისუფლებისათვის.

„რკინიგზის მშენებლობის წარმართვისათვის მნიშვნელოვანი კვლევები ჩაატარა ბელგიელმა სპეციალისტმა **ბელმა**. მან სწორად გამოიანგარიშა, რომ თუ რკინიგზა გაივლიდა მდინარე მტკვრის გასწვრივ, ფოთი-თბილისის სიგრძე იქნებოდა 776 ვერსი, ხოლო თუ იგი გაივლიდა ალაზნის ველზე, იგი მიაღწევდა – 798 ვერსს. პირველი ვარიანტის მიხედვით, მშენებლობა დაჯდებოდა 46 785 მანეთი, ხოლო მეორე ვარიანტის მიხედვით – 50 695 მანეთი. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ხარჯები საკმაოდ ძვირი იყო, პროექტი იმ მხრივ იყო საინტერესო, რომ ბელის გათვალისწინებული ჰქონდა გვირაბის მშენებლობა სურამის ქედზე“ [280, ფ 12/V].

საბოლოოდ მიიღეს და დაამტკიცეს **ინგლისელი ინჟინრის გაბის** პროექტი, რომლითაც რკინიგზის მშენებლობის ხარჯები შემცირდა 30 მლნ. მანეთამდე. გადაწყდა, რომ პირველ რიგში აშენებულიყო ფოთი-თბილისის რკინიგზა, რადგან ეს მონაკვეთი წარმოადგენდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვან უბანს დასავლეთ ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების სრულყოფის თვალსაზრისით და ასევე მას დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ენიჭებოდა.

1864 წლის 11 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსმა **ბარონმა ნიკოლაიმ** წერილი მისწერა იმპერიის ფინანსთა მინისტრს **რეიტერს**, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის ერთი ნაწილი უნდა აშენებულიყო ჯარისკაცების დახმარებით, მეორე-ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით, რაც 1/4-ით შეამცირებდა მშენებლობის ხარჯებს. ნიკოლაი ასევე თხოულობდა 2 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბანკიდან 1 მლნ. მანეთის გამოყოფას. 1865 წლის 11 თებერვალს იმპერატორმა დაამტკიცა კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვის და ბარონ ნიკოლაის წინადადება რკინიგზის მშენებლობაზე ჯარისკაცების და ადგილობრივი მუშების გამოყენების თაობაზე. ამრიგად, 1865 წლის 1 მაისიდან დაიწყო ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა. პირველად სამუშაოები წარიმართა სადგურ ყვირილადან (ზესტაფონი) გრაკლამდე. 1865 წლის 15 ივნისს კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით, რკინიგზის მშენებლობისათვის ყოველწლიურად გამოიყო 0,5 მლნ. მანეთი. განკარგულებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობდა მშენებლობისათვის საჭირო კონცესია (რადგან კაპიტალისტებმა სათანადო გარანტიების მიუცემლად არ აიღეს ხელში მშენებლობის საქმე), საჭირო იყო დამატებითი თანხები.

სამხრეთ კავკასიის მხარის ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ მიწის ვაკისის სამუშაოების დამთავრების შემდეგ დანარჩენი სამუშაოებისათვის გამოინახებოდა სათანადო კერძო კაპიტალი. ერთ-ერთი სერიოზული განცხადება მართლაც გაჩნდა 1865 წლის აპრილში, რომლის ინიციატორები იყვნენ თბილისელი მოქალაქეები ძმები **ალექსანდრე** და **ივანე ანანოვები**. მათ გამოიან-

გარიშეს, რომ ყოველ ვერსზე უნდა დახარჯულიყო 79 286 მან (ანდა 97 426 მან. საკრედიტო ბილეთების სახით). ეს მაშინ, როდესაც გზათა მიმოსვლის სამმართველოს ანგარიშით, იგი არ უნდა ყოფილიყო 81 615 მან. საკრედიტო ბილეთზე მეტი. სამშენებლო ხარჯების ასეთი ზრდის გამო ძმებ ანანოვებს უარი უთხრეს კონცესიის მიცემაზე.

1865 წლის ნოემბერში ფინანსთა სამინისტრომ განაახლა მოლაპარაკება უცხოელ კაპიტალისტებთან. შემოსული იყო 4 წინადადება: **ოფენგეიმის, ლევის და ბრაუნის, ბუკესი, ბელვალეტისა და სტიფელიასი.** უკანასკნელი ორის წინადადება უფრო მისაღებად ცნეს.

რკინიგზის მშენებლობის საკითხი დიდხანს ირჩეოდა მეფის რუსეთის სამინისტროებში. 1865 წლის 13 მაისს სამუშაოთა დასაწყებად 1 მლნ მანეთის გამოყოფის შემდეგ ოფიციალური ნებართვის გაცემამდე დაიწყო მიწის სამუშაოები ახლანდელ ზესტაფონში. ნოემბრის თვეში ნებადართულ იქნა 3 210 ათასი მანეთის გაღება გასხვისების ზოლში მოხვედრილი მიწების შესასყიდად, მიწის ვაკისის მოსაწყობად და ხელოვნურ ნაგებობათა ასაგებად [29, 40].

რკინიგზის მშენებლობაში ყოველდღიურად მონაწილეობდა 4 120 ჯარისკაცი. ადმინისტრაცია ფიქრობდა, რომ სამუშაო სწრაფ ტემპებში შესრულდებოდა და იაფი დაჯდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ყოველი კუბური საჟენი მიწის სამუშაოები დაჯდა 6 მან. 64 კაპ. 1869 წლის 11 აგვისტოს მეფისნაცვალმა კავკასიის კომიტეტს მოსთხოვა სამუშაოების საწარმოებლად დამატებითი ასიგნებანი 2 716 792 მანეთის ოდენობით. გზათა მიმოსვლის სამინისტროში ამ საქმის განხილვის შემდეგ დადგინდა, რომ სამუშაოებს სულ დასჭირდებოდა 4 956 670 მან. გზათა მიმოსვლის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა **გრ. ბობრინსკიმ** და ფინანსთა მინისტრმა **რეიტერმა** მიიღეს გადაწყვეტილება დანარჩენი სამუშაოები შეესრულებინა ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის საზოგადოებას. მოლაპარაკებების დროს საზოგადოების დირექტორმა **პაუერმა** განაცხადა, რომ საზოგადოება თანახმა იქნება, თუ ამ სამუშაოებისათვის გამოყოფილი იქნება 5,5 მლნ. მანეთი. ზუსტმა გაზომვებმა აჩვენა, რომ 285-ის ნაცვლად უნდა გაყვანილიყო 289,5 ვერსი რკინიგზა ე.ი. 4,5 ვერსით მეტი, ამიტომ საზოგადოებამ სულ მოითხოვა 5 963 000 მან. განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა, 1870 წლის 7 აპრილს კავკასიის კომიტეტმა მიიღო საზოგადოების წინადადება და დაამტკიცა ფოთი-თბილისის რკინიგზის კონცესიის დამატებითი პირობები.

1871 წლის 14 აგვისტოს ექსპლოატაციაში შევიდა ფოთი-ყვირილას უბანი, 1872 წელს კი მწყობრში ჩადგა მიხაილოვო (ხაშური)-თბილისის უბანი. ფოთი-ყვირილას უბანზე მოძრაობდა საფრანგეთში „ბონეფონდის" (Ch.Bonnefond-presParis) ქარხანაში დამზადებული მატარებელი. პირველი ხაზი სურამის ქედს კვეთდა ღია ხაზით, რომელიც ქედის დასავლეთი ფერდობით (სოფელ ფონაზე გავლით) ადიოდა უღელტეხილის უმაღლეს წერტილზე, ქოჩორას მთაზე აქედან კი აღმოსავლეთით ეშვებოდა სადგურ სურამში, შემდეგ კი მიემართებოდა ხაშურისკენ. იმდროინდელი მატარებელი, რომელსაც მუდამ მძიმე პირობებში უხდებოდა მოძრაობა, შედგებოდა 4 ვინრობაზიანი ორლერძიანი ვაგონისაგან, რომელიც ყოველთვის მგზავრებით იყო გადატვირთული. ყველა ვაგონს ჰქონ-

და მუხრუჭი ხის სამუხრუჭე ხუნდებით. იგი აღმართზე „ფერფლის" სერიის 4 ორთქმავალს ძლივს აჰყავდა და ისიც 10-12 კმ. სიჩქარით. მატარებელი ძალზე არაკომფორტული ყოფილა, ვაგონებში საკმაოდ ციოდა. სურამისა და ყვირილას სადგურებში ფოთიდან და თბილისიდან მომავალ მგზავრებს უხდებოდათ ჯერ სპეციალურ მატარებელში გადაჯდომა, ხოლო შემდეგ მგზავრობის გაგრძელება ჩვეულებრივი მოძრავი შემადგენლობით [264, 34-63].

„გზის გახსნას წინ უძღოდა მისი შემოწმება კომისიის მიერ. ამ კომისიაში შედიოდა გამოჩენილი ქართველი ინჟინერი **მიხეილ გარსევანიშვილი (გარსევანოვი).** გზის მოძრავი შემადგენლობა შეიცავდა 10 სამგზავრო და 21 სატვირთო ორთქმავალს, 67 სამგზავრო და 479 სატვირთო ვაგონს. მატარებელი საატში 22 ვერსის სიჩქარით დადიოდა.

1872 წლის 27 ოქტომბერს გაზეთი „დროება" (№42) აქვეყნებს ფოთი-თბილისის რკინიგზის გამგეობის განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ: „რადგანაც ფოთი-თბილისის რკინიგზის სურამის ქედის გადასავალზე დაბრკოლება აღმოჩნდა, ამის გამო 28 ოქტომბრიდან დაწყებული თბილისიდან სურამამდის და ბეჟათუბნიდან ფოთამდის რკინიგზა შემდეგი წესით ივლის:

თბილისიდან სურამამდე თითო კაცზე:

პირველი კლასი ---------- 5 მანეთი და 22 კაპიკი

მეორე კლასი ---------- 3 მანეთი და 92 კაპიკი

მესამე კლასი ---------- 2 მანეთი და 18 კაპიკი

ბეჟათუბნიდან ფოთამდე:

პირველი კლასი ---------- 7 მანეთი და 11 კაპიკი

მეორე კლასი ---------- 5 მანეთი და 33 კაპიკი

მესამე კლასი ---------- 2 მანეთი და 96 კაპიკი

სურამიდან ბეჟათუბნამდე დაიარება ეკიპაჟები. ამ ეკიპაჟებში თითო კაცის ადგილი ღირს:

პირველი კლასი ---------- 3 მანეთი

მეორე კლასი ---------- 2 მანეთი

მესამე კლასი ---------- 1 მანეთი

სულ თბილისიდან ფოთამდე ერთ კაცზე:

პირველი კლასი ---------- 15 მანეთი და 33 კაპიკი

მეორე კლასი ---------- 11 მანეთი და 25 კაპიკი

მესამე კლასი ---------- 6 მანეთი და 14 კაპიკი

მალე გაიზარდა ტვირთბრუნვა და რთული საუღელტეხილო გზა ვეღარ უძლებდა დიდ დატვირთვას. წარმოიშვა სურამის საუღელტეხილო უბნის გეზ-ნიშნის შეცვლის აუცილებლობა უფრო რბილი პროფილის გეზ-ნიშნით. მის განსახორციელებლად საჭირო გახდა სურამის გვირაბის გაჭრა და დიდი დაქანების მქონე საუღელტეხილო უბნის რეკონსტრუქცია. ამ მიმართულებით პირველი კვლევა XIX საუკუნის 70-იან წლებში ინგლისელმა ინჟინერმა **გაბმა** აწარმოა, ხოლო 1874 წელს ინჟინერ **მიშენკოვის** მიერ წარმოდგენილი იქნა ახალი გეზ-ნიშნის ვარიანტები, მაგრამ აღნიშნული პროექტები ვერ განხორციელდა.

1883 წელს სამხრეთ კავკასიის რკინიგზის სამმართველომ გზათა მიმოსვლის სამინისტროს წარუდგინა რკინიგზის ხაზის ახალი მიმართულება: მოლითი-წი-

ფა-ბელლითი-ტეზერი-მიხაილოვო (ხაშური). აღნიშნული პროექტით გვირაბი უნდა გაყვანილიყო ყველაზე რთულ უბნებზე, მაგრამ მცირდებოდა ექსპლოატაციის ხარჯები.

მიხეილ გარსევანიშვილი
წყარო:საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

მრავალი განხილვის, განსჯის, დამატებებისა და შესწორებების შემდეგ 1886 წლის 9 ივლისს პროექტი დაამტკიცეს. ჩგვირაბის მშენებლობის უფროსად დაინიშნა პოლონელი ინჟინერი **ფერდინანდ რიძევსკი**. მშენებლობა დაიწყო 1886 წლის დასასრულს. სურამის გვირაბის მშენებლობა მიმდინარეობდა, იმდროინდელი რუსეთის სინამდვილეში პირველად, შვეიცარული სამშენებლო გამოცდილების გათვალისწინებით.

სურამის ქედის ორივე მხარეს ერთმანეთის შესახვედრად გაყვანილი იქნა წოლხვრელები. სამუშაოები სრულდებოდა ხელით, კლდე მუშავდებოდა ბრანდტის სისტემის ჰიდრავლიკური ბურღებით. ჩგვირაბს ერთდროულად ორივე მხრიდან დიდი სიზუსტით ჭრიდნენ. როდესაც ორივე მხარე შეერთდა, გამოირკვა, რომ მშენებლები ერთმანეთს აცდნენ ჰორიზონტალში მხოლოდ 128 მილიმეტრით, ხოლო ვერტიკალში 43 მილიმეტრით. ეს მაჩვენებლები ტექნიკური მონაცემებით გათვალისწინებულზე ნაკლები იყო.

მშენებლობაზე მუშაობდა 2 000-მდე მუშა. სამუშაოები მიმდინარეობდა ორ ცვლად (დღე-ღამე). „სამშენებლო მასალები გვირაბისათვის მიტანილ იქნა სხვადასხვა ადგილებიდან: გრანიტი გელათიდან და წიფის კარიერიდან; კირი-ბელაგორის, ამჟამად ხარაგაულია, სურამის და წიფის კარიერებიდან; ცემენტი- ნოვოროსიისკის ქარხნიდან; ხე-ტყე უმეტესად ბორჯომის ხეობიდან; სილა-ძეგვის კარიერიდან" [280, ფ 12/V].

1888 წელს გვირაბის მშენებლობის სამუშაოები დაუთვალიერებია რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე მეორეს. მისი სურამში ყოფნასთან დაკავშირებით თბილისელი სოვდაგრების ინიციატივით და სახსრებით გადაწყვეტილა სურამის გვირაბთან ობელისკის აღმართვა. 1893 წლის 22 ივლისს ობელისკი საზეიმო ვითარებაში გახსნილა.

1890 წლის 16 სექტემბერს დასრულდა გვირაბის მშენებლობა და პირველმა მატარებელმაც გაიარა. დიდი. იყო სიხარული, ქართველ მამულიშვილებს ეს



სურამის გვირაბის ინჟინრები

დიდ საქვეყნო საქმედ მიაჩნდათ. „ნაშუადღევს საგანგებო მატარებელი, რომელზეც იმყოფებოდა ინჟინერი ფ.რიძევსკი, დაიძრა სადგურ წიფიდან გვირაბისკენ, შევიდა გვირაბში, რომელიც მთელ სიგრძეზე ბრწყინვალედ იყო ილუმინირებული სხვადასხვა ფერის ბურთებით. მატარებელმა გვირაბი გაიარა 12 წუთში. ზეიმი გაგრძელდა საღამოს 7 სთ-მდე. 1890 წლის 16 სექტემბრის დღეს უწოდეს „გონებისა და ტექნიკის გამარჯვების დღესასწაული ბუნების ძალებზე" [280, ფ 12/V].

გვირაბის გიგანტური ნაგებობის დამთავრების აღსანიშნავად მოჭრილი იქნა ბრინჯაოს მედალი, რომლის ერთი ეგზემპლარი ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახებოდა, ამჟამად დაკარგულია (ობიექტური მიზეზების გამო).*

* ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცულია ერთი საინტერესო ცნობა. „ხაშურის რ-ნის სოფ. იტრიის საშუალო სკოლის ყოფილმა დირექტორმა, კარლო ნადირაძემ, მუზეუმის კორესპონდენტმა, სპეციალურად ჩაატარა მასწავლებელთა და მოსწავლეთა კრება. ესაუბრა მათ სამუზეუმო მნიშვნელობის ნივთების ან დოკუმენტების გამოვლინების შესახებ, განუმარტა უძველესი მონეტების შესახებ. მისი საუბრის შემდეგ ნამოდგა მეექვსე კლასის მოსწავლე და განაცხადა, რომ ვენახში იპოვეს დიდი მრგვალი ნივთი, რომელზეც ორთქმავალია დახატულიო.....გამოირკვა, რომ ეს ნივთი არის ბრინჯაოს მედალი, მოჭრილია სურამის (წიფის) სარკინიგზო გვირაბის დამთავრების აღსანიშნავად. მედალი ინონის 220 გრ. შუბლზე გამოსახულია სურამის გვირაბის აღმოსავლეთის პორტალი, მისგან გამომავალი ორთქმავლით, გარშემო წარწერაა: „სურამის გვირაბის გახსნის აღსანიშნავად, რომელიც დაიწყო 1886 წელს და დამთავრდა 1890 წელს." მედლის მეორე მხარეზე წერია: „სამუშაოები შესრულებულია გზათა მიმოსვლის სამინისტროს მიერ, სამუშაოთა უფროსი რიძევსკი." (ვ.გურგენიძე. 1965 12/V)



Паровоз типа 35 (заводской №1001, 1887г.)

Для производства работ по проходке Сурамского тоннеля Закавказских железных дорог на Коломенском заводе в течение 1886-1887 годов были построены двухосные танк-паровозы колеи 900 мм.

იოსებ ქიმერიძე და მარიამ ხოხობაშვილი

1876 წლის აგვისტოში მიხაილოვოში (ხაშურში) გაიხსნა რკინიგზის მთავარი სახელოსნო, რომელიც ერთ-ერთ დიდ საწარმოდ ითვლებოდა არა მარტო იმდროინდელ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. პირველ ხანებში სახელოსნოებში 400-ზე მეტი კაცი მუშაობდა, უკვე 1881 წლისათვის კი აქ დასაქმებული იყო 1000 კაცზე მეტი. მიხაილოვოს რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მოქმედ ძრავათა სიმძლავრე უდრიდა 210 ცხენისძალას, ხოლო გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 1 მლნ. მანეთს.

1883 წლამდე მიხაილოვოს მთავარ სახელოსნოებში მოქმედებდა რამდენიმე საამქრო: ორთქმავალ-შემკეთებელი, სახარატო, სამჭედლო და სამსხმელო. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს მიხაილოვოს და მუშათა სახელოსნოების მდგომარეობას აღწერს სოფრომ მგალობლიშვილი 1888 წლის 22 იანვრის გაზეთ „ივერიაში": მიხაილოვო პატარა ქალაქს ჰგავს, სადაც ბლომად არის ფაბრიკები, სხვადასხვა სახელოსნოები და ქარხნები, სადაც მუშა ხალხს ჭიანჭველასავით გაუდის ფუსფუსიო.

პროფ. ნინო ქიმერიძე მოგვითხრობს: „იოსებ ქიმერიძე საქართველოს რკინიგზის ერთ-ერთი პირველი მემანქანე იყო, იგი აზერბაიჯანი-საქართველოს ხაზზე მართავდა ორქთმავალს. მას მემანქანედ მუშაობა ბორჯომის ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაუწყია. იოსებ ქიმერიძის ოჯახს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია ბაქოს ქართულ სათვისტომოსთან. ფოტოზე გამოსახულია იოსებ ქიმერიძე მეუღლესთან მარიამ ხოხობაშვილთან ერთად. ფოტო გადაღებულია ცნობილი ფოტოგრაფის ი.ს.ზელინსკის მიერ XX საუკუნის დასაწყისში."*

მოგვიანებით მიხაილოვოს საამქროთა უმეტესი ნაწილი თბილისში გადაიტანეს. მსგავსი სახელოსნოები ფუნქციონირებდა სამტრედიასა და ფოთში. ყველაზე მსხვილი, მუშათა რიცხვისა და წარმოების მოცულობის მიხედვით

* დიდ მადლობას ვუხდით პროფ. ნინო ქიმერიძეს გაწეული დახმარებისათვის საოჯახო ფოტოს მოწოდებასთან დაკავშირებით (ქვეყნდება პირველად).



ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება გვირაბის გამყვან ინჟინერთა ჯგუფის ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია 1888 წელს (გვირაბის ორივე მხრიდან შეერთების ზეიმის დროს). ფოტოსურათის მეორე მხარეს იკითხება მშენებლობის ხელმძღვანელ ინჟინერთა გვარები: **კასიასი, რიძევსკი, ბრანდაო, ალექსანდრეოსი და როიტი.**





გვირაბის გიგანტური ნაგებობის დამთავრების აღსანიშნავად მოჭრილი იქნა ბრინჯაოს მედალი



მისი ერთი ეგზემპლარი ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახებოდა, ამჟამად დაკარგულია

იყო ამიერკავკასიის თბილისის მთავარი სახელოსნო, რომელიც გაიხსნა 1874 წელს. ამ სახელოსნოს მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი მონაცემები:

წლები	შეკეთებული ორთქმავლების რაოდენობა	შეკეთებული ვაგონების რაოდენობა		
		სამგზავრო	საქონლის	სულ
1885	24	91	837	928
1890	51	111	1045	1156
1895	45	105	1474	1579
სულ	120	307	3356	3663

როგორც ცხრილიდან ჩანს, ორთქმავლების შეკეთების ხაზით სახელოსნოს წარმოების მოცულობა 1885 წელთან შედარებით 1890 წელს გაიზარდა ორჯერ, ვაგონების შეკეთების ხაზით წარმოების მოცულობა გაიზარდა 1,2-ჯერ და 1,7-ჯერ [224, 29-30].

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში მოქმედი ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნო უმსხვილეს საამქროს წარმოადგენდა, აქ ხდებოდა მატარებლების მოძრავი შემადგენლობების შეკეთება და განახლება. 1913 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოში 3 760 მუშა ირიცხებოდა, ძრავთა სიმძლავრე 450 ცხ.ძალას, ხოლო წლიური პროდუქციის ღირებულება 5 840 000 მან. შეადგენდა. სამხედრო დაკვეთებმა, რომელიც რკინიგზის სახელოსნომ 1915 წლის ბოლოს მიიღო, საწარმოს მუშათა რიცხვის გაზრდა გამოიწვია. 1914 წლიდან საწარმო სამხედრო ნაღმებისა და ხელყუმბარების დამზადებაზე გადავიდა, თუმცა მოძრავი შემადგენლობის შეკეთებასაც განაგრძობდა. 1915 წლის სექტემბერში ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოების მესვეურებმა მიიღეს გზათა სამინისტროს რკინიგზის განყოფილების სპეციალური დადგენილება, რომ



ნიკო ნიკოლაძე (1843-1928)

დაემზადებინათ „48 линейных фугасных бомб". [227, 31].

საქართველოში რკინიგზების მშენებლობაში დიდი წვლილი შეუტანია **ნ.ნიკოლაძეს**. გარდა იმისა, რომ იგი შემოქმედებითად მონაწილეობდა გზის გაყვანაში, ეხმარებოდა მშენებლებს საჭირო მასალების შოვნაში, კალმითაც ცდილობდა ქართველი მკითხველისათვის მიეწოდებინა ამ საქმესთან დაკავშირებული საინტერესო მასალები. 1871 წლის 12 აგვისტოს „დროებაში" იგი წერდა: „ღმერთს გეფიცებით დღევანდელი ჩემი კორესპოდენციისათვის მე კარგი სამახარობლო მერგება. აი, რა ჩინებულ ამბავს გამახარობლებთ: აგვისტოს თოთხმეტს იკურთხება და გაიხსნება ჩვენი რკინისგზა ფოთიდან ყვირილამდე. დამეთანხმებით, რომ ამაზე უკეთესი ამბავი ქვეყანაზე ძვირი საშოვარია" [74, 3].

საქართველოში პირველი რკინიგზის მშენებლობა დამთავრდა 13,5 თვეში და 1871 წლის 14 აგვისტოს სადგურ ყვირილადან ფოთისაკენ გავიდა საზეიმოდ მორთული მატარებელი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიის რკინიგზის „დაბადების დღედ" ითვლება 1872 წლის 10 ოქტომბერი, როცა ფოთოდან თბილისში ჩავიდა პირველი მატარებელი. პირველი მაგისტრალის გახსნის აღსანიშნავად დამზადებულ იქნა ოქროს ჟეტონი, რომლითაც ნიკო ნიკოლაძე დააჯილდოვეს გზის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

1871 წლის 30 სექტემბრიდან დღე-ღამეში დაინიშნა 4 წყვილი მატარებელი. მატარებლების საშუალო სიჩქარე საათში შეადგენდა 22 ვერსს. გადაზიდვების ტარიფს, რუსეთთან შედარებით, ემატებოდა 50%, მაგრამ 1871 წლის ბოლოდან ძალაში შევიდა მტკიცე რუსული ტარიფი.

ფოთი-თბილისის რკინიგზა შენდებოდა 14 წლის განმავლობაში, გზის საერთო სიგრძე შეადგენდა 189,518 ვერსს და მასზე განლაგებული იყო 21 სადგური. ძირითადი ტექნიკა, სხვა საჭირო მანქანები და დანადგარები ინგლისიდან იყო გამოწერილი.

XIX საუკუნის ბოლოს დღის წესრიგში დადგა სამხრეთ კავკასიის რკინიგზის გადაცემა სახელმწიფოსათვის (კერძო კონცესიონერების მიერ აგებული ცალკეული ხაზების მშენებლობის გადასვლა სახელმწიფოს ხელში). 1889 წლის 20 აპრილს დამტკიცდა სახელმწიფო საბჭოს შეხედულება სამხრეთ კავკასიის რკინიგზის საერთო სისტემაში გაერთიანების შესახებ. ფაქტიური გადაცემა მოხდა 1889 წლის 1 აგვისტოს [240, 35-46].

ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანით საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად დანინაურდა. აღმოსავლეთ საქართველოს დაკავშირებამ დასავლეთ საქართველოსთან დინამიური გახადა სავაჭრო-სამრეწველო პროცესები და იაფი ნედლეულითა და სასარგებლო ნიაღისეულით მდიდარ მხარეში აღორძინება დაიწყო კაპიტალისტურმა წარმოებამ.

1875 წლისათვის ფოთი-თბილისის რკინიგზის საერთო შემოსავალი შეადგენდა 1 347 294 მან. და 95 კაპ, გასავალი – 1 303 319 მან. და 57 კაპ. სუფთა მოგება იყო 43 975 მან. ე.ი. ყოველ ვერსზე შემოსავალი იყო 4 661 მან. და 92 კაპ. გასავალი- 4 509 მან. და 75 კაპ.

საერთო შემოსავალი ასე ნაწილდებოდა:

შემოსავლის წყარო	ღირებულება
სამგზავრო მოძრაობიდან შემოდიოდა საბარგოდან	513 710 მან. და 60 კაპ. 778 839 მან. და 20 კაპ.

1882 წლის ანგარიშში მოცემულია შემდეგი მონაცემები:
საერთო შემოსავალი 2 225 775 მან. 24 კაპ.
გასავალი 2 190 917 მან. 75 კაპ.
1887 წლის ანგარიშში მოცემულია შემდეგი მონაცემები:
საერთო შემოსავალი 9 032 771 მან. 54 კაპ.
გასავალი 6 472 882 მან. 02 კაპ.

მომდევნო წლებში სულ უფრო იზრდებოდა ფოთი-თბილისის მაგისტრალის ფინანსური მაჩვენებლები:

წლები	საერთო შემოსავალი (მლნ მანეთებში)	გასავალი (მლნ მანეთებში)	+ მოგება - წაგება
1871	92,3	------	+
1872	1 397,3	1 322,9	+74,4
1880	2 549,3	2 315,3	+234,0
1884	506,3	4 368,6	+137,7
1890	14 885,6	6 578,3	+8 307,3
1895	16 834,3	8 072,8	+8 761,5
1900	26 621,3	13 665,8	+12 955,5
1910	28 555,1	20 903,9	+7 651,2
1913	35 515,3	22 076,2	+13 439,1
1916	37 645,8	39 261,9	– 1 616,1

კახეთი დიდხანს იყო სამხრეთ კავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის მიღმა. სასაქონლო პროდუქციის გადაზიდვა ხდებოდა შარაგზებით, ცხენებითა და სხვა ტიპის საზიდარებით, რაც აძვირებდა ამ პროდუქციის ღირებულებას



ქახეთის რკინის გზა. ხიდი ალაზანზე.



ქახეთის რკინის გზა. ლოკინის ხიდი. ტფილისიდან 17 ვერსის მანძილზე; მარტყოფისა და ნორიოს ბოლოს.

და ამცირებდა მის კონკურენტუნარიანობას. რუსეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ რკინიგზიდან მიღებული შემოსავლები ვერაფრით ვერ დაფარავდა ხაზის გაყვანის ღირებულებას. კახეთის მოსახლეობა აყენებდა რკინიგზის გაყვანის საკითხს და ამ იდეას მხარი დაუჭირა საზოგადოებრივმა აზრმა. 1892 წლის 21 დეკემბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ დაადგინა:

– კახეთის რკინიგზის ხაზის ტექნიკური გამოკვლევისათვის ასიგნებულ იქნას 150 ათასი მან.-კახეთის რკინიგზის მშენებლობის კონცესიის მიცემის თაობაზე აღიძრას შუამდგომლობა გზათა სამინისტროს წინაშე თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობისათვის.

– დამუშავდეს კახეთის სარკინიგზო ხაზის გაყვანის ტექნიკურ-ფინანსური პროექტი.

– ჩატარებულ სამუშაოზე პასუხისმგებლობა დაეკისროს თავადაზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლს და სპეციალურ კომისიას.

კახეთის რკინიგზის ხაზის მშენებლობის ნებართვამ დიდი ხნით დაიგვიანა. 1909 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წოდებრივმა თვითმმართველობამ მიიღო საქმის დაწყების და მთავრობის მიერ გარანტირებული საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა. 1910 წელს დამტკიცდა კახეთის



რკინიგზის სააქციო საზოგადოების წესდებაც. გამოიცა 1,8 მლნ მანეთის აქცია და 12 მლნ მანეთის ობლიგაცია, მათ რეალიზაციაში აქტიურად ყოფილან ჩართულები პეტერბურგელი ბანკირები. კომპანია კაპიტალით უზრუნველყოფილი იყო, ამიტომ უკვე 1911-1914 წლებში თბილისიდან ჩალაუბნის გავლით თელავამდე მონაკვეთის გაყვანა დასრულდა (178 ვერსი). მშენებლობაზე განეულმა დანახაჯებმა 17,8 მლნ. მანეთი შეადგინა.

1894 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ხაშური-ბორჯომის სარკინიგზო ხაზი. ამ პროექტის ინიციატორებად რომანოვები გამოვიდნენ, რადგან ბორჯომის მინერალური წყლის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა მათ პირად ინტერესებში შედიოდა. 1897 წელს გაგრძელდა ბორჯომი-ბაკურიანის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. რთული რელიეფური და კლიმატური პირობების გამო მშენებლობა 4 წელს გაგრძელდა. 1902 წლის იანვარში სპეციალურად მაღალმთიანი ზონის სარკინიგზო მიმოსვლისათვის ინგლისიდან ჩამოტანილ იქნა „პორტერის" ფირმის ორთქმავალი.

საპნის, სანთლის და ზეთის წარმოება საქართველოში (XIX ს. –XX ს. დასაწყისი)

საპნის დამზადების ტექნოლოგია უცხო არ იყო საქართველოსათვის. XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში საპნის დამზადებას დიდი ხელოსნური გაწაფვა და რთული მოწყობილობა არ სჭირდებოდა, ქალაქში გასაყიდ საპონს შინაურულადაც ამზადებდნენ, რაც კანონით აკრძალული იყო. ქალაქში არალეგალურად 1 800 ფუთამდე საპონი მზადდებოდა [196, 122]. ეს დარგი განსაკუთრებით განვითარდა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. ჩულურეთის საპნის სახარში დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთი იყო თბილისში და იგი **თ.ამათუნს** ეკითვნოდა, რომელიც მოიჯარადრეებს, **იაგორ ლორის მელიქოვს და დავით ტატოევს** ამუშავებდა. საწარმოში იდგა 6 ქვაბი, 200 ჩაფი და საპნის გასაციებელი 25 ყუთი. წარმოება ჯერ კიდევ არ იყო მანქანური. იგი ამზადებდა ორგვარ საპონს: ა)პირველი ხარისხის საპონს, რომლის თითოეული ფუთი 2 მან.70 კაპ. ღირდა და ბ)მეორე ხარისხის საპონს, რომლის თითოეული ფუთის ფასი 1 მან.80 კაპიკი იყო. წარმოებული პროდუქციის წლიური მოცულობა 2 500 ფუთს შეადგენდა, აქედან 1 000 ფუთი პირველი ხარისხის, 1 500 ფუთი კი მეორე ხარისხის იყო. საწარმო ყოველწლიურად უშვებდა 4 500 მან. ღირებულების პროდუქციას. წარმოების პროცესი გრძელდებოდა 7 თვის განმავლობაში-აპრილიდან ოქტომბრამდე და მისი რეალიზაცია უმეტესწილად თბილისში ხდებოდა. სახარში მდებარეოვდა მტკვრის პირას, დიდხევის ახლოს, საიდანაც საპნის ნახარში მდინარეში იღვრებოდა და აბინძურებდა. ალბათ ამის გამო ქალაქის მომწყობი კომისიის მოთხოვნით ამათუნმა საწარმო ქალაქის ბოლოში (კონკრეტულად არაა ცნობილი, შესაძლოა თავის კუთვნილ მამულში, სუბ-კარაპეტას ხევში) გადაიტანა.

1841 წელს თბილისში კიდევ ერთი საპნის ქარხანა გაიხსნა, რომელიც **სტეფანე მელვინოვს** ეკუთვნოდა. არც ამ საწარმოში იყო მანქანური წარმოება. საწარმო წლიურად უშვებდა 1 300 ფუთ საპონს, ნახევარს პირველი ხარისხისას (ფუთი 3 მან.) და ნახევარს მეორე ხარისხისას (1 მან. 50 კაპ.). ყოველწლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება აღწევდა 3 000 მანეთამდე. 1843

წლისათვის ამ საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ შეადგინა 27 000 მან, ხოლო 1844 წელს კი 15 000 მან.

თბილისში საპნის წარმოებით უცხოელებიც დაინტერესდნენ. 1843 წელს **ფრანც შულცმა** მოაწყო ევროპული ყაიდის საპნის ქარხანა. ეს იყო მანქანური წარმოება და საწარმო, საპნის გარდა, ამზადებდა ქონისა და სტეარინის სანთლებს [190, 77].

1844 წელს მეწარმემ მთავრობისაგან ითხოვა მიწის ნაკვეთები კუკიის გარეუბანში, ზუბალაშვილების შაქრის ქარხნის მახლობლად. იმავე წელს შულცთან საქმიანი პარტნიორობა წამოიწყო თბილისელმა მოქალაქემ **იაგორ ხატისოვმა**. ამ უკანასკნელმა წარმოებაში ჩადო 5 000 მანეთი, პარალელურად შულცმა მთავრობისაგან ითხოვა 5 წლიანი პრივილეგია, რომელიც დააკმაყოფილეს. ასევე შეუფერხებლად გამოუყვეს მათ მიწის ნაკვეთი დიდუბეში



საპნის წარმოების ტიპიური მანუფაქტურა
XIX საუკუნის გრავიურა

კასტელას ყოფილი აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მახლობლად. 1846 წელს მეწარმე პარტნიორებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რამაც გარკვეულწილად შეაფერხა დაწყებული საქმე.

ს.გულიშამბაროვის ცნობით **ბარონმა დეზოლმმა** თბილისში მოაწყო საპნის და სტეარინის სანთლების დამამზადებელი ქარხანა, მაგრამ მისი გათვლების ვერ გამართლდა [308, 107-109].

1846 წელს თბილისი მოქალაქეებმა **გ.რაზიზოვმა, სტ.მანთაშოვმა, დანიელ ჯინჯიხაძემ, დავით მატინოვმა, როსტომ კოსტანოვმა** და სხვებმა სანთლისა და საპნის წარმოების კომპანია დააარსეს.

1846 წელს **იაგორ ხატისოვმა სტეფანე ხატისოვთან** ერთად ავლაბარში მოაწყო საპნის საწარმო და დამოუკიდებლად დაიწყო საპნისა და სანთლების წარმოება. 1848 წლის აგვისტოში ხატისოვების საწარმომ დაიწყო საპნისა და სანთლების წარმოება. საწარმოს შენობა ქვისა იყო. საწარმოსთან მოაწყვეს დუქანი, ნაწარმის გაყიდვისათვის. 40-იან წლებში თბილისში არსებულ საპნის საწარმოებს შორის ხატისოვის საპნის ქარხანა ყველაზე უკეთესი იყო [52, 167-168].

თბილისში წარმოებული საპნის რეალიზაცია ვერ ხერხდებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით, ამიტომ ეს საქმე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც წამოიწყეს. ახალციხის მაზრაში ფუნქციონირებდა საპნის 5 საწარმო,

რომლებიც წლიურად აწარმოებდნენ 1 000 მან. პროდუქციას.

მომდევნო წლებში საპნის საწარმოების ზრდის დინამიკას შემდეგი სახე ჰქონდა:

1851 წელს თბილისში ითვლებოდა საპნის 3 საწარმო 24 050 მან. ღირ. წლიური პროდ.

1857 წელს-საპნის 7 საწარმო;

1858 წელს-საპნის 8 საწარმო 31 250 მან. ღირ. წლიური პროდუქციით;

1860 წელს-საპნის 9 საწარმო;

1865 წელს-საპნის 11 საწარმო;

1866 წელს თბილისში ფუნქციონირება დაიწყო **სასულიერო ეპარქიის სანთლის საწარმომ.** 1871 წელს საწარმოს სრული მექანიზაცია მოხდა, დამონტაჟდა 16 ცხ. ძალის სიმძლავრის ორი ორთქლის ძრავი. საწარმოში დასაქმებული იყო 8 მუშა, ხოლო წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 120 ათას მან. საწარმო მომდევნო წლებში უფრო გაძლიერებუ ჩანს, 1900 წელს აქ მუშაობს 23 მუშა, ხოლო წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენს 103 ათას მან.

1872 წელს თბილისში ფრანგმა მეწარმეებმა **ტოლეებმა** სტეარინის სანთლისა და საპნის ქარხანა გახსნეს. 1877 წელს ქარხანასთან ფუნქციონირება დაიწყო ზეთსახდელმა საწარმომაც. ქარხანა სრულად იყო მექანიზირებული, მოქმედებდა 80 ცხ. ძალის სიმძლავრის ორი ორთქლის მანქანა. ქარხანაში მოქმედებდა 4 ჰიდრავლიკური წნეხი, სანთლის ჩამომსხმელი 5 დაზგა, სანთლის საჭრელი 2 დაზგა, საპრიალებელი მანქანა და 5 სასაპნე ქვაბი. ქარხანა მალე იქცა საპნის მწარმოებელ მთავარ კერად თბილისში. პროდუქციამ 1882 წელს მოსკოვში გამართულ გამოფენაზე ჯილდოც კი დაიმსახურა [190, 77]. ქარხანა



ასაქმებდა 30 მუშას და წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 113 ათას მან. პროდუქციას.

წელი	გამოშვებული პროდუქცია ცალობით
1883	3 400
1884	3 500
1885	4 460
1886	5 000

მასალა მოტანილია ნაშრომიდან: С.Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тиф. Губернии. Историко-статистическое описание фабрик и заводов. 1888. Ст. 107-109

ტოლეს ქარხნის საშიში კონკურენტი იყო **ი.კ.ბაინდუროვის** ქარხანა, რომელიც 1878 წელს დაარსდა თბილისში და რომელმაც თავისი წარმოება გააფართოვა 1882-1884 წლებში. იგი აწარმოებდა 25 ათას ფუთ საპონს, მაგრამ ამხანაგებს შორის წამოჭრილმა უთანხმოებამ გამოიწვია ზოგიერთების საქმიდან გამოსვლა და წარმოება გადავიდა **ი.შ. ახნაზაროვის** ხელში, თანაც წარმოება შემცირდა 50%-მდე და საპნის ხარისხიც გაფუჭდა. ის იყიდებოდა 10-15%-ით უფრო იაფად ვიდრე ტოლეს ნაწარმი [308, 107-109].

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში თბილისში ფუნქციონირებდა მეორე გილდიის ვაჭრის **კაზარ შახნაზაროვის** საპნის ქარხანა, რომლის მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება აღემატებოდა 40 ათას მანეთს. მოგვიანებით ასეთი ტიპის საწარმოები გახსნეს სხვა ვაჭრებმაც: **ავეტიკ შახნაზაროვმა. ნერსეს შახნაზაროვმა, გრიგოლ ბაინდუროვმა, მოსე ტერ-არაქელოვმა, არტემ შაუმოვმა, საფარ ბუდაგოვმა, ავაკიმ ტერ-მინასოვმა და სხვ.**

1880 წელს თბილისში მეწარმე **ტაიროვისა** და **ალიხანოვის** თაოსნობით დაფუძნდა ზეთსახდელი ქარხანა, რომელიც შემდგომ გაფართოვდა, ქარხანასთან დამატებით ამოქმედდა თეთრეულის სარეცხი საპნის საწარმო.

1880 წელს თბილისში გაიხსნა მეწარმე **მღებროვის** ზეთსახდელი საწარმო, რომელიც მექანიზირებული იყო, დანადგარები მოძრაობაში მოჰყავდა 25 ცხ. ძალის სიმძლავრის ძრავს. 1886 წელს საწარმოს დასაქმებული ჰყავდა 10 მუშა და აწარმოებდა 39 ათასი მან. პროდუქციას. მხოლოდ თბილისში იყო ერთი კეთილმოწყობილი ორთქლის ზეთსახდელი ქარხანა, რომელიც ეკუთვნოდა ს.მღებროვს. ეს ქარხანა 1880 წელს ააგეს და იყო მსგავსი მარსელის ქარხნებისა. იქიდანვე იღებდნენ წნეხებს, ორთქლის მანქანებს და ქარხნისათვის საჭირო სხვა დანადგარებს. მიაჩნდათ, რომ სოფლიდან ჩამოტანილი ზეთი ვერ გაუწევდა კონკურენციას ქარხანაში წარმოებულ ზეთს და ადგილს დაუთმობდა ახალ, ცივი დაწნეხვით მიღებულ ზეთს, მაგრამ მოხდა სხვაგვარად. ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც შეჩვეული იყო ძველებურ ზეთს, რომელსაც ქონდა სპეციფიური სუნი და ოდნავ მოტკბო გემო, საერთოდ არ ყიდულობდა მღებროვის შესანიშნავ ზეთს, რომელსაც მოსკოვის გამოფენაზე

1882 წელს, მიაკუთვნეს ბრინჯაოს მედალი [308, 119-124]. 1889 წელს აღნიშნული საწარმო **ტაიროვმა** და **ალიხანოვმა** შეიძინეს.

1883 წელს თბილისში ამუშავდა **კაზაკოვის,** ხოლო 1884 წელს **ვოლოხის** სანთლის საწარმოები.

1886 წელს თბილისში ამოქმედდა **ძმ.ბასენცოვების** საპნის საწარმო, რომელიც უშვებდა წლიურად 88 858 მან. პროდუქციას. მომდევნო წლებში საწარმო ბევრად გაძლიერებული ჩანს, 1912 წელს აქ 337 ათასი მან. პროდუქციას აწარმოებდნენ. საწარმოში დამონტაჟებული იყო ორი ორთქლის ქვაბი და დიზელის სისტემის 66 ცხ. ძალის სიმძლავრის ძრავი. 1915 წლიდან საწარმო თავდაცვითი უწყებების დაკვეთებზე მუშაობდა. „1916 წელს ზეთისსახდელი საწარმოს წლიურმა საბრუნავმა თანხამ 30 800 მან. შეადგინა, საწარმოში 9 მუშა ირიცხებოდა. ქარხანაში მოქმედებდა დიზელის სისტემის 66 ცხ. ძალიანი ძრავი.

საწარმო წელიწადში 6 000 ფუთ ბამბის ზეთს ამზადებდა, ფუთს 4-12 მანეთად. ფირმას გააჩნდა საპნის სახდელი ქარხანაც. 1915 წელს საწარმოს წლიურმა საბრუნავმა თანხამ 82 500 მან. შეადგინა. საწარმოში 10 მუშა იყო დასაქმებული. ქარხანაში ორი ორთქლის ქვაბი მოქმედებდა, საწარმო წელიწადში 10 000 ფუთ საპონს ამზადებდა, ფუთს 6-12 მანეთად [227, 77].

1900-იან წლებში თბილისში ფუნქციონირებდა **მთვარაძის** სანთლის საწარმო, რომელსაც დასაქმებული ჰყავდა 8 მუშა და აწარმოებდა 22 ათასი მანეთის პროდუქციას.

1900-იან წლებში წარმოების ამ სფეროში ადგილი ჰქონდა საწარმოთა შემდგომ კონცენტრაციას. ორი მნიშვნელოვანი ფირმა ფრანგული **„ძმ. ტოლეების**





საპნის და სანთლის ქარხანა“ და **ო.ტაიროვის** და **დ.ალიხანოვის ზეთსახდელი და საპნის ქარხანა“** გაერთიანდა **„ტაიროვის, ალიხანოვის და ტოლეს ზეთსახდელი, საპნისა და სანთლის ქარხნების სააქციო საზოგადოების“** ფორმით. გაერთიანებულ საწარმოს სერიოზული გეგმები ჰქონდა, მის საკუთრებაში აღმოჩნდა 488 დესეტინა მიწის ფართობი ირმიშლიში(ელიზავეტპოლის გუბერნია), სადაც განთავსებული იყო კუნჯუტის, სელისა და ბამბის პლანტაციები. ამ ნედლეულზე დაყრდნობით ფირმა ამზადებდა კუნჯუტის, სელისა და ბამბის ზეთს, საპონს, სტეარინს, სანთელს, გლიცერინს, სამკურნალო ზეთს და ა.შ. საწარმოო პროცესი მთლიანად მანქანურ შრომას ემყარებოდა, წარმოებისათვის საჭირო ტექნიკა უცხოეთიდან იყო ჩამოტანილი. ქარხანაში დამონტაჟებული იყო 125 ცხ. ძალის სიმძლავრის ხუთი ორთქლის ქვაბი და 80 ცხ. ძალის სიმძლავრის ორთქლის ოთხი მანქანა. სააქციო საზოგადოება ასაქმებდა 120-ზე მეტ მუშას, გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა მთელ კავკასიაში, რუსეთის ევროპულ რაიონებში, კასპიისიქითა ოლქებში და ირანში. პროდუქცია იყო მაღალი ხარისხის, რასაც მოწმობს სხვადასხვა გამოფენებზე მიღებული 5 ოქროს, 2 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 500 000 მან. შეადგენდა. 1915 წლიდან საზოგადოება ჩადგა თავდაცვის სამსახურში და სამხედრო უწყების საპნით მომარაგება დაიწყო, რამაც წარმოების გაზრდის შესაძლებლობა მისცა. სამხედრო საინტენდანტო სამსახურმა მათზე შეკვეთები გაზარდა (გირვანქის ფასი 5 კაპიკიდან 15 კაპიკამდე გაიზარდა). საზოგადოებამ სწორად შეაფასა ქვეყანაში შექმნილი სიტუ-

აცია და დაიწყო ქარხნის ტექნიკური აღჭურვა, მისი მატერიალურ-ტენიკური ბაზის გაფართოება თუ 1913-1914 წლების საანგარიშო პერიოდში 338 530 მან. ღირებულების სხვადასხვა მოწყობილობა შეიძონეს, მომდევნო წელს ამ თანხამ 349 956 მან. მიაღწია.. 1915 წელი საზოგადოებამ აღმავლობით დაიწყო, მარტში წარმოებაში დასაქმებული იყო 60 მუშა, დღეში სამი ვაგონი ბამბის თესლი მუშავდებოდა. 1916 წლის პირველ იანვარს წარმოებაში მუშები ასე იყვნენ განაწილებულნი: ზეთის ქარხანაში 32 მუშა მუშაობდა, გლიცერინის საამქროში-8, საპონის გამოხდაზე-23 მუშა. საზოგადოება, როგორც თავდაცვაზე მომუშავე საწარმო, შესაფერისი პრივილეგიებით სარგებლობდა [227, 73-74].

„ტაიროვის, ალიხანოვის და ტოლეს ზეთსახდელი, საპნისა და სანთლის ქარხნების სააქციო საზოგადოების“ ეკონომური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი“ 1864-1917. თბ. 1976 გვ 312)

თარიღი	გამოშვებული პროდუქცია (მანეთებში)
1901	620 000
1911	343 000
1913	104 712
1914	863 063
1915	1 013 000

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან საპნის, სანთლის და ზეთსახდელ საწარმოებს მთელი რიგი პრობლემები შეექმნათ საწარმოო პროცესთან დაკავშირებით, გაძვირდა ნედლეული, განსაკუთრებით გაჭირდა სოდის შეძენა, რომელსაც ადრე მოსკოვიდან **„ლიუბიმოვ სოლოვესა და კომპანიისაგან“** იწერდნენ. მთელი დატვირთვით მხოლო საპნის ქარხანა მუშაობდა. 1915 წელს ნავთობის გაძვირებამ შედარებით გამოაკეთა სანთლის წარმოების მდგომარეობა. ამ პერიოდიდან ფირმა იწყებს თავდაცვითი უწყებების დაკვეთებზე მუშაობას. იგი დიდი რაოდენობით საპონს და ზეთს აწვდიდა საინტენდანტო უწყებას.

1911 წელს თბილისში ფუნქციონირება დაიწყო **ძმ. კარლინსკებისა და კომპ.** საპნისა და ზეთსახდელმა ქარხანამ, სადაც დასაქმებული იყო 65 მუშა, რომლებიც წლიურად 121 ათასი მანეთის პროდუქციას აწარმოებდნენ. საწარმო იმ პერიოდის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ტექნიკურად საუცხოოდ იყო აღჭურვილი, ჰქონდა ორთქლის ქვაბები, ძრავები, საპნის სახარში ქვაბი, სეპარატორი, ჰიდრავლიკური ტუმბო და სხვ. პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული მოვლენების გამო 1915 წლიდან ეს საწარმოც თავდაცვითი უწყებების დაკვეთებზე მუშაობს.

საპნის, სანთლის და ზეთსახდელი მსხვილი საწარმოების შეფერხებით მუშაობის გამო საპნისა და ზეთსახდელი მცირე საწარმოები იხსნება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში. ბორჩალოს მაზრის სოფ. ვორონცოვკაში კარგად მოწყობილი საპნის საწარმო ჰქონდათ **ძმ. ზლატოგორსკებს,** ქუთაისში **ა.ავალიშვილს** და სხვ.

ტანსაცმლის და ფეხსაცმლის წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი)

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტანსაცმლის და ფეხსაცმლის წარმოების საქმეში წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებს ძირითადად უცხოელ ოსტატთა მიერ დაარსებული სახელოსნოები წარმოადგენდნენ. 1866 წლისათვის თბილისში მათ მიერ გახსნილი ფეხსაცმლის 17 და ტანსაცმლის დამამზადებელი 28 სახელოსნო იყო. ზოგიერთ მათგანში მარტო ოსტატი ან მასთან ერთად 1-2 ქარგალი და 2-3 შეგირდიც მუშაობდა. სახელოსნოში მომუშავეთა რაოდენობა რამდენიმე ათეულ ადამიანს ითვლიდა.

XIX საუკუნის საქართველოში მამაკაცის ეროვნულ კოსტუმს ჩოხა წარმოადგენდა, რომელიც ძირითადად თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისში, ხონში, კულაშში, საჩხერეში, ზუგდიდსა და სოხუმში იკერებოდა. ამავე ქალაქებში ხელოსნები ამზადებდნენ ქართული ეროვნული ტანსაცმლის სხვადასხვა ელემენტებსაც [2, 11].

1893 წლის თბილისის გუბერნიის ხელოსნურ საწარმოთა აღწერილობაში მოხსენიებულია **შარიმანოვის, ტერ-ზახაროვის** სახელოსნო, სადაც 8 ქარგალი და 1 შეგირდი მუშაობდა, **სტეპანიკოვის** სახელოსნო, სადაც 6 ქარგალი და 1 შეგირდი მუშაობდა და სხვ. ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წვრილი საქონლური წარმოების გვერდით გვხვდება კოოპერაციის და ზოგ შემთხვევაში მანუფაქტურული ტიპის საწარმოებიც.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი ყოფილა „ვარშავის“ ტყავის ფეხსაცმელი, რომელიც მეტად ძვირად ფასობდა, ამიტომ ხარაზების შეკერილ წუღებს დიდი გასავალი ჰქონდა ხალხში. თელავში იკერებოდა ყურიანი და კილიტებიანი მაღალპირიანი წუღები. მამაკაცის მაღალპირიანი წუღი იჭრებოდა თარგით და იკერებოდა კალაპოტში. ქუთაისში იკერებოდა მოხდილი, გურული, ყურიანი, თასმებიანი, ქალისა და ბავშვის წუღები, უძირო და საცვეთი. ქალის წუღა მოხდილი იყო, წინ გაჭრილი, ბავშვისაც ასეთი იყო, ოღონდ ყელიანი. გურულ წუღას ერთი კალაპოტი ჰქონდა, ხოლო ყურიანის მარჯვენა და მარცხენა

ფეხის კალაპოტები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. კალაპოტს მისი მოხ-ელე-მეკალაპოტე ამზადებდა. ქუთაისში მათი 7-8 სახელოსნო იქნებოდა [2, 16-17].

1880-1890-იან წლებში თბილისში მოქმედი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის დამამზადებელი შედარებით მსხვილი სახელოსნოები მანქანურ წარმოებაზე გადადის. 1900-იანი წლისათვის თბილისში იყო ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის 20 წვრილი საწარმო, თითოეული 2-8 მუშით, ამ საწარმოებში მზადდებოდა 81 ათასი მანეთის პროდუქცია, პერსონალის რაოდენობა მერყეობდა 78-80-მდე.

ტანსაცმლის, ფეხსაცმლის წარმოებასა და ჰიგიენური საქმით დაკავებულ ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა რაოდენობა 1912 წელს თბილისში

ტანსაცმელი და ტუალეტი	ოსტა-ტი	ქარ-გალი	შეგირ-დი
მამაკაცის ევროპული ტანთსაცმლის დამზადება	197	406	157
მამაკაცის აზიური ტანთსაცმლის დამზადება	88	55	62
ქალის ტანთსაცმლის დამზადება	170	225	326
ევროპული ქუდების დამზადება	45	57	52
აზიური ქუდების დამზადება	32	22	19
ევროპული ფეხსაცმელების დამზადება	497	502	424
აზიური ფეხსაცმელების დამზადება	91	111	104
ხარაზობა	26	29	11
დანარჩენი სახის ფეხსაცმლის წარმოება	41	67	48
სამრეცხაო საქმე	14	55	13
სამღებრო საქმე	14	36	9
მეძველეობა	49	39	37
საპარიკო და სადალაქო საქმე	208	195	163

მასალები აღებულია ნაშრომიდან: ხელოსნობა ტფილისში. გ.გამყრელიძე. პროფ. ფ.გოგიჩაიშვილის ხელმძღ. 1926 გვ. 26-27

საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული მასალებიდან ვიგებთ, რომ 1905 წელს თბილისში მოქმედებდა პოლონური საქსოვ-სახელოსნო, რომელ-საც ანტონ ნოსოვსკი ამუშავებდა. „მე ქვემორე ამის ხელის მომწერმა, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკონტროლო განყოფილების მოანგარიშემ შამშე ასათიანმა, ქალაქის ცენტრალური საწყობის გამგის პოლკ. ფირალოვის, ქალაქის ტრამვაის წარმომადგენლების პროფილე მუხუზლას და გიორგი ქო-ჩიშვილის თანდასწრებით მივიღეთ ამა აპრილის 9-ში პოლონურ საქსოვ-სახე-ლოსნოს წარმომადგენლისაგან ანტონ ნოსოვსკისაგან ტრამვაის მოძრაობის მოსამსახურეთათვის საზაფხულო საშარვლე მატერია-ნაწარმოები აღნიშნულ სახელოსნოსა შავი ფერის 748 3/4¾ არშინი". . . [სცა, ფონდი 192, ანაწერი 10, საქმე 37].

XX საუკუნის დასაწყისში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დამამზადებელი

სახელოსნოები გაიხსნა ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. გაზეთი „სახალხო საქმე" იუწყებოდა: „ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას ვაუწყებთ, რომ ქ.ქუთაისში ტფილისის ქუჩაზე ფიზიკის სახლის ზედა სართულში გაიხსნა სამკერვალო „ქალთა სალონი", სადაც მიიღება ყოველგვარი ქალთა ტანსაცმელების შეკვეთა და რომელიც შესრულებული იქნება ტფილისიდან მოწვეული საუკეთესო ხელოსნების მიერ" [207].

ქალის ფეხსაცმელი იკერებოდა ქუსლიანი, უკეთდებოდა ტყავის დაბალი და მაღალი ქუსლი, ცხვირი გრძელი ჰქონდა, იყო უცხვიროც. მეწაღე მუშაობდა ფაბრიკულ ტყავზეც. ეს იყო „ვარშავის" ტყავი, რომელიც ლოძიდან მოჰქონდათ დიდვაჭრებს თბილისში, ჩექმას მეწაღე სამ დღეში კერავდა და იგი 12-15 მანეთი ღირდა, ფეხსაცმელს კი ორ დღეში და იგი 8 მანეთად იყიდებოდა. მზა პროდუქციას მყიდველი ადგილობრივ მეწაღის სახელოსნოში ყიდულობდა, ხელოსანს თავისი ნაწარმი ბაზარზე არ გაჰქონდა, რაც ძირითადად დამკვეთის დიდი ოდენობით იყო გამოწვეული [2, 22].

1875 წელს **გრ.ადელხანოვმა** თბილისში გახსნა ტყავის დამამუშავებელი ქარხანა. ქარხანა თავისი არსებობის საუკეთესო წლებში უშვებდა 72 000 ცალ მსხვილ და 100 000 მცირე ზომის ევროპული ყაიდის დამუშავებულ ტყავს. პროდუქციის ნაწილი მოიხმარებოდა საკუთრივ ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში ან საღდებოდა მთელ სამხრეთ კავკასიასა და კასპიის მხარეში.

გ.ადელხანოვის ტყავის ქარხანა 80-იანი წლებიდან ნედლეულით ამარაგებდა მის მიერვე 1885 წელს დაარსებულ ფეხსაცმლის სახელოსნოს, რომელიც 1891-1892 წლებში „ფეხსაცმლის მექანიკურ ფაბრიკად" გარდაიქმნა და ტექნიკურად სანიმუშოდ იყო მოწყობილი. ის ამუშავებდა ტყავის ქარხნის მიერ

გამოშვებულ ნაწარმს, ასევე უცხოეთიდან შემოტანილ ნედლეულს. ამზადებდა ყველა სახეობის ტყავის ფეხსაცმელს, მათ შორის ჯარისკაცის ჩექმა, ნაბდის თბილ ფეხსაცმელს, ბავშვის ნაბდის ფეხსაცმელს, კალოშებს, „ბოტებს", აზიურ „ჩევიაკებს", ასევე ევროპულ ფეხსაცმელებს. ფეხსაცმლის ფაბრიკის მთელი მოწყობილობისა და უძრავი ქონების ღირებულებამ 1894 წლისათვის 50 497 მან. შეადგინა [136, 267-268].

ადელხანოვის ქარხანა ვაჭრობდა მოსკოვთან, პეტერბურგთან, ვარშავასთან, ტაშკენტთან, ეკატერინბურგთან, ერევანთან და ა.შ. 1879 წელს დადებული კონტრაქტის მონაცემებით დასტურდება, რომ წარმოადგენდა ტყავის პროდუქციის უმსხვილეს მიმწოდებელს სამხრეთ კავკასიის რუსული არმიისათვის. აქ წარმოებული ჩექმა საუკეთესო ხარისხისა იყო, ამიტომ უპრობლემოდ იღებდა სამხედრო ოლქის შეკვეთებს. აღნიშნული კონტრაქტი ითვალისწინებდა წლიურად 500 ათასი მან. პროდუქციის დამზადებას საინტენდანტო უწყებისათვის. 1884 წელს მოხდა ქარხნის გადაიარაღება, გაუმჯობესდა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რასაც წინა წლებში არაერთხელ აკრიტიკებდნენ.

ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკის საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 268-269)

წლები	დაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (მენეთებში)
1895		140 000
1898		630 800
1900	527	590 600
1902	507	862 900
1908	327	535 250
1909	348	800 000
1913	540	640 000

XIX საუკუნის თბილისში ჭონები კერავდნენ ქართულ ქურქებს-ტყავებს და ბენვის ქუდებს. ტყავს ბენვი შიგნით ქონდა, ქუდს გარედან. სახმარად ყველაზე მოსახერხებელი ბატკნისა და ცხვრის ტყავი იყო, რომელიც იკერებოდა მოკლე და გრძელი, სახელოებიანი და უსახელო. ჭონი კერავდა გალიბანდის ჩაკეცილ ქუდს კრაველისაგან, ფორმით მრგვალს. იმ პერიოდის ჩაცმულობას და სტილს ქმნიდნენ დერციკებიც. დერციკი კერავდა აზიურ ტანსაცმელსაც, ჩოხა-ახალუხს, ხონჯრიან შარვალს, ქულაჯას, ნაბადს, ყაბალახს, ფაფანაკს და სხვ. ტანსაცმელს სხვადასხვა ქსოვილით გააწყობდნენ, იხმარებოდა ჩაფარიშ-ყაითანი. იგი კარგად ფასობდა დიდი მოწონებით სარგებლობდა ვანციანის ჩაფარიში [2, 16-17].

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი)

საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის უძველეს კერადაა აღიარებული, რომლის განვითარების ისტორიული ძირები უნდა ვეძიოთ არა მხოლოდ ვაზის კულტურისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში, არამედ ქართველი ხალხის წარსულსა და სამეურნეო ტრადიციებში. ამ შესანიშნავ კულტურას საქართველოს მოსახლეობისათვის ჰქონდა როგორც მნიშვნელოვანი სამეურნეო-ეკონომიკური, ასევე სულიერი ფუნქციაც. ალბათ, ამიტომაც აძლევდა ვაზის კულტურას ასეთ მაღალ შეფასებას ილია ჭავჭავაძე, როცა წერდა: „ვენახს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა, ამიტომაც ჩვენებურ გლეხკაცს მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მამაპაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ." [268, 16].

საქართველოში მეღვინეობა XIX საუკუნემდე ოჯახური მრეწველობის დარგი იყო და იგი წარმოადგენდა ქართველი ხალხის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს. ფულად-სასაქონლო ურთიერთობის, ქალაქების მოსახლეობის ზრდისა და ბაზართან კავშირის გაფართოების შედეგად მევენახეობა-მეღვინეობა სულ უფრო აქტიურად იღებდა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათს. საექსპორტოდ ღვინო მზადდებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. საქართველოში და შეიძლება ითქვას ამიერკავკასიაში ღვინის შემსყიდველის ტიპის განვითარებამ, ალბათ ყველაზე უფრო დასრულებულ ფორმას მიაღწია სირაჯის* სახით. სირაჯების ძირითადი ბუდე თბილისი იყო, მათი სარდაფები თბილისის ყველა უბანში იყო განლაგებული. თბილისელ სირაჯებს ღვინო და არაყი შემოჰქონდათ ქართლიდან, კახეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. სირაჯებით ცნობილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებიც: თელავი, სიღნაღი, გურჯაანი, გორი და ცხინვალი [219, 289].

XIX საუკუნის ფრანგი მევენახის **ჟულიენის** შეფასებით, ქართული ღვინო მაგარია, სხეულიანია და ძალიან სასიამოვნო გემოსი არის. ქუთაისთან ახლოს მოჰყავთ ძალიან მაგარი ღვინოები, რომლებიც იხმარებიან კუპაჟისათვის. მუკუზანის ღვინო კი ჰგავს მედოკის ღვინოს, ხოლო შირვანის ღვინოს აქვს თვისება და სურნელობა ბორდოს საუკეთესო ღვინოებისაო [188, 11].

მევენახეობა-მეღვინეობის დარგების ცნობილი მკვლევარი **მიხაილ ბალასი** (1851-1918) მაღალ შეფასებას აძლევდა კახურ ღვინოებს, მან ერთგვარი კლასიფიკაცია მოახდინა, რომლის მიხედვითაც საუკეთესო ღვინოებად თვლიდა თეთრთა შორის წინანდლისას, მისი მეზობელი ადგილებისას და სოფ. ახმეტისას, წითელთა შორის სოფ. ყვარლისას. სიღნაღის მაზრაში საუკეთესო ღვინოებს ღებულობენ სოფ.კარდანახში, ბაკურციხეში, გურჯაანში და ველისციხეში. თუმცა ამ საქმეში უფრო შეგნებულსა და პირუთვნელ მიდგომას და

---

* **სირაჯი**-ღვინის შემსყიდველია, რომელიც არა მხოლოდ ჩარჩ-ვაჭარია, არამედ იმავე დროს არის მევახშეც, მიმწოდებელიც, მაგალითად ვაზის შესანამლი პრეპარატებისა, მეღვინეც, მიკიტანიც, მეტიკეც, შუამავალიც, კომისიონერიც. ერთი სიტყვით იგი მრავალგვარ ფუნქციას ასრულებს [ორბელიანი ს.ს., ქართული ლექსიკონი, 1928.]

ადგილებზე გაცნობას შეუძლია გვიჩვენოს, რომ წინანდლის ღვინოებს გარდა **(საუფლისწულო მამული, თავადი ზ.ჭავჭავაძე და სხვ.)** თეთრი ღვინოები სოფ. გურჯაანიდან **(თავადების ივანე დავითისძისა და ივანე რამაზისძე ანდრონიკაშვილებისა)** და სოფ. ბაკურციხიდან (მრავალწლიანი ღვინოები **ზ.ანდრონიკაშვილისა)** განსხვავდებიან ისეთი მაღალი ღირსებით, რომ ასეთები ამჟამად ევროპაშიც ძალიან ნაკლებად მოიპოვებიანო, ხოლო წითელი ღვინოებიდან პირველხარისხოვანი ღვინოების დამსახურებული რეპუტაციით სარგებლობენ ღვინოები სოფ. ყვარლისა და სხვა ადგილებისა [298, 76

გაცნობია რა ქართული ღვინოების უპირატესობებს, ბევრ უცხოელ მეწარმესა და ვაჭარს გასჩენია სურვილი ხელი მოეკიდა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის საქმისათვის. **ფრანგი ჟერვე, რუსი ვაჭარი ეზოვი, ქრისტიანე ბელი, მორენასი, იუნკერი** და სხვანი საქართველოში მეღვინეობის განვითარების ათასგვარ გეგმებს ადგენდნენ და სურდათ ფრანგული წესით დაემზადებინათ ქართული ღვინო.

ილია ჭავჭავაძე წერდა; „ჩვენი ქვეყანა ღვინის სმას ჩვეულია, ეგ ჩვეულება ისე აქვს გამჯდარი სულსა და ხორცში, რომ თითქმის პირველ საჭიროებად ჩაითვლება." [268, 18].

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვანი რაიონი იყო კახეთი.

ვენახის ფართობები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის 70-იან წლებში (დესეტინებში):

შიდა კახეთში	12 000
გარე კახეთსა და ქართლში	6 252

სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ დასავლეთ საქართველოს ღვინოებსაც. XIX საუკუნის 40-იან წლებში გურია-სამეგრელო საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონად იქცა. იგი წარმოადგენდა მაღლარი ვენახის ერთიან ბაღს, ამიტომ ვერ დგინდება ვენახის საერთო ფართობი, მაგრამ ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გურია-სამეგრელოში ამ პერიოდში აყენებდნენ ჩხავერის და ოჯალეშის მაღალხარისხოვან ღვინოებს, უმეტესად გასაყიდად.

ვენახის ფართობები დასავლეთ საქართველოში (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) XIX საუკუნის 70-იან წლებში (დესეტინებში):

იმერეთში	19 570
ლეჩხუმში	1 800
რაჭაში	1 274
გურია-სამეგრელოში	15 500

სასაქონლო ღვინის წარმოება დასავლეთ საქართველოში (აჭარა-აფხაზ-

ეთის გამოკლებით) XIX საუკუნის 70-იან წლებში (ვედროებით – ვედროში 3 თუნგია ანუ 16 ბოთლი, დაახლოებით 12,3 ლიტრი):

იმერეთში	1 907 000
რაჭა-ლეჩხუმსი	767 800
გურია-სამეგრელოში	250 100

ვაზის სხვადასხვა სოკოვანი დაავადებების გავრცელებამ მოსახლეობა მიიყვანა დაბლარი ვაზის გაშენების აუცილებლობამდე, სწორედ ასე მოხერხდა უძველესი ქართული ჯიშების გადარჩენა. XIX საუკუნის 70-იან წლებში იმერეთის მოსახლეობას ჰქონდა: 12320 დეს.დაბლარი და 7250 დეს.მაღლარი ვენახი; ლეჩხუმის მოსახლეობას: 1000 დეს. დაბლარი და 800 დეს. მაღლარი ვენახი; რაჭის მოსახლეობას: 1274 დეს. დაბლარი ვენახი; გურია-სამეგრელოში: 15500 დეს. დაკნინებული მაღლარი ვენახი; შესაბამისად იმერეთში წლიურად აყენებდნენ საშუალოდ 1907000 ვედრო ღვინოს, ლეჩხუმში-450000 ვედროს, რაჭაში-317800 ვედროს, გურია-სამეგრელოში-25000 ვედრო ღვინოს.

1836 წელს ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს მეღვინეობის კომპანია", რომლის მთავარმა მეღვინემ **კეგსგოლმელმა** და **ი.ლენცმა** სოფ. რუისპირში (კახეთი), დაიწყეს შამპანური ღვინის წარმოება.

1859 წელს **თავად ბარიათინსკის** დაუწყია მშენებლობა ევროპული მარნისა, სარდაფებისა და სხვა შენობებისა სასწავლებლისათვის კახეთში, ძველ ნასოფლარ ჩობახურში, კონდოლისა და კისისხევს შუა. ადგილი ყოფილა ჯაგიანი, გაუჩეხავთ, გაულამაზებიათ და საუცხოო შენობები აუგიათ. მშენებლობა დამთავრდა 1863 წელს და იმ წელსვე დაუპირებიათ ევროპული წესით ღვინის დაყენება [69].

ქართველი მეღვინეების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა პროდუქციის ტრანსპორტირება და ტრანსპორტირებისას ხარისხის შენარჩუნება, აუცილებელი

იყო ისეთი ღვინის მიღება, რომელიც ამ დაბრკოლებას გაუძლებდა და არ გაფუჭდებოდა. **სოლომონ გურგენიძის** მეურნეობაში, სოფ. შილდაში, აშენებული იყო სპეციალური მარანი, სადაც სამსართულიან ქვევრებში ხდებოდა პირველი ხარისხის ღვინის დაყენება. ქვევრები ერთმანეთს შორის ონკანით იყო დაკავშირებული და ერთი ქვევრიდან მეორეში და მეორედან მესამეში ღვინის გადაღება მექანიკურად ხდებოდა, ისე, რომ ნალექი არ შერეოდა ღვინოს, რაც მისი ხარისხის გაუმჯობესებას უწყობდა ხელს. მესამე სართულის ქვევრში გადაღებული ღვინო უკვე დადუღებული იყო და ვიდრე გასაყიდად გადაასხამდნენ სხვა ჭურჭელში აქ ინახებოდა. ასეთი წესით დაყენებული ღვინო კარგად უძლებდა შორი გზით გადატანას. თავის მეურნეობაში სოლომონ გურგენიძეს ჰქონდა სპეციალური ქარხანა, სადაც ამზადებდნენ გაუმჯობესებული ხარისხის კუპრს ტიკების დასამუშავებლად. გურგენიძეების ქარხანაში გაკეთებული კუპრით დამუშავებულ ტიკებში ღვინის გადატანა შორ მანძილზე ხერხდებოდა, ისე, რომ ღვინის ხარისხი არ ზარალდებოდა. გურგენიძის მეურ-

ნეობაში ღვინის გადასატანად კასრების დამზადებაც დაუწყიათ, ამისათვის სპეციალური ხელოსნები ჰყავდათ მოწვეული [178, 47]. სოლომონ გურგენიძის მეურნეობაში გაშენებული ყოფილა 500 ათასი ძირი ვაზი. გურგენიძეს სურდა ღვინის ფართო მასშტაბით გაყიდვა მოეწყო. ამ მიზნით თბილისში მოაწყო სამსართულიანი სარდაფი. თბილისის მოსახლეობას დაბეჭდილი განცხადებებეით აუწყებდა თავისი ღვინის გაყიდვას. ამავე დროს განიზრახა მოეწყო ღვინის „მუდმივი" გასაღება რუსეთში. 1838 წელს სტავროპოლელმა ვაჭარმა **პოვალევმა** გურგენიძის ღვინო გაიტანა რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში. ღვინო სარფიანად იქნა გასაღებული. გურგენიძის მეურნეობაში არსებობდა ღვინის ჭურჭლის წარმოება, სადაც აკეთებდნენ ღვინის შესანახ ქვევრებს [52, 53].

სოლომონ გურგენიძის გამოცდილება გაიზიარა **გიორგი ანდრონიკაშვილმა,** მისი დაყენებული ღვინოც კარგად უძლებდა ტრანსპორტირებას. 1864 წელს სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ანდრონიკაშვილის მიერ გაგზავნილმა კასრით ღვინომ, რომლის

ხარისხზეც შორეულმა მგზავრობამ ოდნავადაც არ იმოქმედა, გამოფენაზე ხარისხისა და კარგი სავაჭრო თვისებებისათვის ოქროს მედალი დაიმსახურა [178, 47].

საქართველოს მაშინდელი მმართველობა სამეფო ხელისუფლების გავლენით ეჭქვეშ აყენებდა ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა-უნარებს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეში და იწუნებდა ვაზის ქართულ ჯიშებსაც., სწორედ ამიტომ მეფისნაცვალი ვორონცოვი დიდად ყოფილა

დაინტერესებული საქართველოში ვაზის ევროპული ჯიშების შემოტანით. XIX საუკუნის 50-იან წლებში ყირიმიდან შემოტანილ ვაზის ევროპულ ჯიშებს ვაზის ავადმყოფობა იოდიუმი (ობი), მილდიუ (ნაცარა) და ფილოქსერა შემოჰყვა. გურია-სამეგრელოს კლიმატურმა პირობებმა, სინესტემ და სითბომ, ძალიან სწრაფად გაავრცელა ეს დაავადებები. მაღლარი ვენახის მკურნალობა შეუძლებელი აღმოჩნდა, რამაც თითქმის მთლიანად გაანადგურა ოჯალეშისა და ჩხავერის მოსავალი. ვაზის სოკოვანმა დაავადებებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ვენახებსაც. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია XIX ს-ის 70-90-იან წლებში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში. ვაზის დაავადებებთან საბრძოლველად იმდროინდელი ხელისუფლების ინიციატივით XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომლის მთავარ მიზანს ვაზის ფულოქსერასთან ბრძოლა წარმოადგენდა. არაერთი სხდომის შემდეგ, მხარადაჭერილი იქნა სტაროსელსკის და ანდრონიკაშვილის წინადადება მომხდარიყო ქართული ვაზის გადაყვანა ამერიკულ საძირეზე. 1891 წელს სოფ. საქარაში გამართეს კიდეც ამერიკული მწარე ვაზის სანერგე, რომელმაც მალე დაიწყო დამყნობილი და დაფესვიანებული ვაზის ნერგების გავრცელება. აღნიშნული სანერგე მეურნეობის მსგავსად საკუთარი სანერგეები მოაწყვეს ანანოვმა, მიურატმა და სხვა მევენახეებმა.

1902 წელს იმერეთში აღირიცხა 1000 დეს. ახალი ვენახი;

1908 წელს ქუთაისის მაზრაში-4389 დეს, შორაპნის მაზრაში-6100 დეს, სამეგრელოში-276 დეს, გურიაში-150 დეს, რაჭაში-50დეს, ლეჩხუმში-35 დეს.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას ხელი შეუწყო სარკინიგზო მშენებლობამ. მისი საშუალებით ხდებოდა საქართველოს დაკავშირება ევროპასთან, სამხრეთ კავკასიასთან და რუსეთთან. ამან მეტი ღვინის გატანის შესაძლებლობა შექმნა. თბილისი, ბაქო, ბათუმი, ფოთი, რკინიგზის ხაზით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რამაც შეცვალა რკინიგზის ხაზთან ახლოს მდებარე გორის, შორაპნის, ქუთაისის, თბილისის მაზრებში ღვინის ექსპორტისათვის ხელსაყრელი პირობები. განსაკუთრებით დაწინაურდა შორაპნის მაზრა, საიდანაც XIX საუკუნის 80-იან წლებში სხვადასხვა ბაზრებზე რკინიგზით ყოველწლიურად 250 ათასი ვედრო ღვინო იგზავნებოდა.

ვენახების ფართობები საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების (მაზრების) მიხედვით 1892 წელს (დესეტინებში):

ადმინისტრაციული ერთეულები	ვენახის ფართობები		
	აბსოლუტური მონაცემები (დესეტინობით)	%-ში ჩგუბერნიების მიხედვით	%-ში საქართველოს მიმართ
თბილისის მაზრა	5 000	14,5	8,4
თელავის მაზრა	13 800	41,3	22,1

სიღნაღის მაზრა	5 750	17,3	9,2
გორის მაზრა	4 800	14,3	7,7
დუშეთის მაზრა	1 800	5,4	2,8
ბორჩალოს მაზრა	1 625	4,8	2,6
თიანეთის მაზრა	800	2,4	1,2

1887 წლის 17 თებერვალს გაზეთ „ივერიაში" ი.ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც გვაწვდის საინტერესო ცნობებს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესახებ, მასში მოცემულია ღვინის მოხმარების სტატისტიკაც:

მოსავალი	შინ მოუხმარიათ	გაუყიდიათ
შავი ზღვისა და რიონის ნაპირები - 3 252 5000	2 276 750	975 750
კახეთი – 2 915 080	728 770	2 186 310
მტკვრის ნაპირები – 1 420 910	850 546	570 364
არაქსის ნაპირები- 959 200	575 520	383 680
შემახა-გეოკჩაი – 94 937	23 934	71 003

მასალა აღებულია ნაშრომიდან: სონღულაშვილი ჯ. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის. წიგნი II. თბ, 1974. გვ.11

1890-1895 წლებში საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მიხაილ ბალასის მიერ შედგენილი ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია ვენახების ფართობები 1894-1895 წლების მდგომარეობით და წარმოებული ღვინის ოდენობა 1889-1895 წლების მიხედვით:

№	მაზრების დასახელება და ვენახების ფართობები (დესეტინებში)	ღვინის მოსავალი ვედრებში (ვედროში 3 თუნგია ანუ 16 ბოთლი, დაახლოებით 12,3 ლიტრი)
1	თელავის მაზრა – 6,783	166 500-დან 1 085 280-მდე
2	სიღნაღის მაზრა – 5, 232	127 986-დან 837 120-მდე
3	თიანეთის მაზრა – 475	7 000-დან 77 320-მდე
4	თბილისის მაზრა – 3 105	69 795-დან 983 600-მდე
5	ბორჩალოს მაზრა – 1 800	59 883-დან 270 522-მდე
6	გორის მაზრა – 4 400	133 500-დან 625 362-მდე
7	დუშეთის მაზრა – 2 200	42 500-დან 407 000-მდე
8	ახალციხის მაზრა - 2	----------

9	ახალქალაქის მაზრა - 22	----------
10	ზუგდიდის მაზრა – 2 829	37 895-დან 96 339-მდე
11	სენაკის მაზრა -1 460	101 937-დან 31 300-მდე
12	ოზურგეთის მაზრა – 1 240	194 651-დან 96 281-მდე
13	ქუთაისის მაზრა – 7 227	966 682-დან 355 965-მდე
14	შორაპნის მაზრა – 14 371	921 204-დან 923 291-მდე
15	რაჭის მაზრა – 3 000	158 147-დან 137 625-მდე
16	ლეჩხუმის მაზრა – 2 129	134 442-დან 221 905-მდე
17	გუდაუთის მაზრა – 1 483	59 955-დან 210 733-მდე
18	გუმისტის მაზრა - 153	
19	სოხუმის მაზრა – 51	
20	კოდორის მაზრა -383	
21	სამურზაყანოს მაზრა - 468	

მევენახეობა-მეღვინეობა გორის მაზრაში განსაკუთრებით განვითარდა ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ, რადგან ამ ფაქტორმა მნიშვნელოვნად გააიაფა ღვინის ტრანსპორტირების ხარჯები. მაზრაში წარმოებული ღვინის 2/3-ის რეალიზაცია ბაზარზე ხდებოდა. ყველაზე დიდ მომხმარებლად თბილისი რჩებოდა. 1880-1890 წლებში რკინიგზით გორის მაზრის სადგურიდან ღვინის გატანის სტატისტიკა (ფუთებში):

წლები / სადგურები	1890	1891	1892	1893	1894
ხაშური	427	1 400	640	1 470	220
სურამი	649	317	72	286	--------
გომი	101	674	428	2 241	646
ქარელი	176	403	2 2846	3 673	252
გორი	6 089	14 806	34 866	53 104	12 519
გრაკალი	762	5 530	12 164	22 773	2 249
კასპი	1 169	10 616	26 097	19 363	2 739
სკრა	---------	450	78	21	18

XIX საუკუნის 80-იან წლებში გორის მაზრას ვენახების ფართობებით მესამე ადგილი ეკავა საქართველოს მასშტაბით თელავისა და სიღნაღის მაზრების შემდეგ. ამაზე ღვინის მოსავლის სტატისტიკური მონაცემების დინამიკაც მიუთითებს:

1887 წელს გორის მაზრაში აწარმოებდნენ --------- 158 400 ვედრო ღვინოს;

1888 წელს ---------- 160 000 ვედრო ღვინოს;
1889 წელს ---------- 43 600 ვედრო ღვინოს;
1890 წელს ---------- 133 500 ვედრო ღვინოს;
1891 წელს ---------- 465 110 ვედრო ღვინოს;
1892 წელს ---------- 625 362 ვედრო ღვინოს;
1893 წელს ---------- 416 670 ვედრო ღვინოს;
1894 წელს ---------- 350 000 ვედრო ღვინოს;
1895 წელს ---------- 150 000 ვედრო ღვინოს;
1896 წელს ---------- 145 000 ვედრო ღვინოს;
1897 წელს ---------- 243 500 ვედრო ღვინოს;
1900 წელს ---------- 411 670 ვედრო ღვინოს;
1901 წელს ---------- 233 000 ვედრო ღვინოს;

ვენახის გაშენება საკმაოდ რთული იყო და დიდ დანახარჯებს მოითხოვდა. 1 დესეტინა ვენახის გასაშენებლად დაახლოებით 800 მანეთი იყო საჭირო, შესაბამისად გაშენებული ვენახიც საკმაოდ ძვირად ფასობდა, მაგრამ დამუშავებული ვენახებიდან მიღებული შემოსავალი ფარავდა მასზე გაწეულ წლიურ ხარჯებს და იძლეოდა მოგებასაც გაწეული ხარჯების 40%-ზე მეტს. ცხრილში მოცემულია 1 დესეტინა ვენახის ფასი გორის მაზრაში:

	უმაღლესი ფასი	უმცირესი ფასი	საშუალო
ქ. გორი	2 500 მან.	1 000 მან.	1 750 მან.
მეჯვრისხევი	2 500 მან.	900 მან.	1 700 მან.
ატენი	4 000 მან.	1 400 მან.	200 მან.
ხიდისთავი	3 000 მან.	900 მან.	1 600 მან.
ლამისყანა	2 500 მან.	1 000 მან.	1 200 მან.
მეტეხი	2 000 მან.	800 მან.	1 300 მან.
ქვიშხეთი	900 მან.	400 მან.	600 მან.
სურამი	1 000 მან.	500 მან.	600 მან.

მოცემული მასალა ცხადყოფს, რომ ატენის ღვინო ადრიდანვე ცნობილი ყოფილა თავისი საუკეთესო თვისებებით, სწორედ ეს განსაზღვრავდა აქაური ვენახების მაღალ გასაყიდ ფასს.

XIX საუკუნის საქართველოში ღვინო იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საექონლო პროდუქტად როგორც საგარეო, ისე შიდა ვაჭრობაში. როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის შუა ხანებში ღვინის ყველაზე დიდი მომხმარებელი თბილისის მოსახლეობა იყო, ყოველწლიურად მოიხმარებოდა 500 ათასი ვედრო ღვინო და 50 ათასი ვედრო არაყი, რაშიც იხარჯებოდა 1 მლნ. 250 ათასი მანეთი ვერცხლით. ღვინო იყიდებოდა თათრის, სეიდ-აბადის, ავლაბრის და ერევნის მოედნებზე.

1876-1880 წლებში სამხრეთ კავკასიიდან საზღვარგარეთ გაუტანიათ 195 932 ფუთი (აქედან უდიდესი წილი ქართულ ღვინოს ეჭირა), ხოლო 1891-1894

წლებში კი 1 036 574 ფუთი ღვინო.

XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დასავლეთ საქართველოში (ძირითადად ქუთაისსა და შორაპნის მაზრებში) უწარმოებიათ 4 800 ათასი ვედრო ღვინო, აქედან 2 362 ათასი ვედრო სარეალიზაციოდ. თავის მხრივ დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს ღვინოებისათვის გასაღების ბაზარს.

1894 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში უწარმოებიათ 5 837 445 ვედრო ღვინო, აქედან ბაზარზე სარეალიზაციოდ გასულა 3 253 797 ვედრო, ღვინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი უდრიდა 5 331 053 მან. ამ დროისათვის საქართველოს ყველა ქალაქსა თუ დაბაში მრავლად იყო ღვინით სავაჭრო სახლები (სარდაფები), მაგალითად:

თბილისში 215 ღვინის სარდაფი ყოფილა 1 350 600 მანეთამდე წლიური საქონელბრუნვით;

ბათუმში ---- 58 ღვინის სარდაფი ------ 260 000 მან-მდე საქონელბრუნვით;
ფოთში ------- 19 ღვინის სარდაფი ----- 52 900 მან-მდე საქონელბრუნვით;
სოხუმში ----- 15 ღვინის სარდაფი ------ 43 600 მან-მდე საქონელბრუნვით;
დაბა ყვირილაში 3 ღვინის სარდაფი ---- 20 000 მან-მდე საქონელბრუნვით;
აბაშაში ------ 6 ღვინის სარდაფი ------- 6 000 მან-მდე საქონელბრუნვით;
ახალსენაკში 13 ღვინის სარდაფი ------- 25 800 მან-მდე საქონელბრუნვით;
ზუგდიდში --- 6 ღვინის სარდაფი -------- 4 800 მან-მდე საქონელბრუნვით;
გორის მაზრაში 38 ღვინის სარდაფი ---- 77 400 მან-მდე საქონელბრუნვით;

XIX საუკუნის 80-იან წლებში იმ მემამულეებს, რომლებიც მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას, საკუთარი სავაჭრო სახლები ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მემამულე **ზ.ჯორჯაძის, ნიკოლოზ აბა-მელიქოვის, მამულოვის, ივ. მუხრან-ბატონის** და სხვათა ამხანაგობები დამოუკიდებლად ახერხებდნენ საკუთარი ღვინის რეალიზაციას. ისინი ყიდდნენ არა მხოლოდ საკუთარი ვენახებიდან დაყენებულ ღვინოებს. XIX საუკუნის 90-იან წლებში **ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა** და **ვახვახიშვილის** ინიციატივით სააქციო საზოგადოების ფორმით, დაფუძნდა ღვინით მოვაჭრე მსხვილი ფირმა **„კახეთი."** როგორც ჩანს, საზოგადოებას ბევრი მხარდამჭერი აღმოაჩნდა. დაფუძნებიდან ერთ წელიწადში იგი 164 წევრს ითვლიდა. საზოგადოებას განყოფილებები ჰქონდა მოსკოვში, პეტერბურგში, ბაქოში, აშხაბადსა და ტაშკენტში.

მოგზაურ **გამბას** ცნობით, XIX საუკუნის პირველ ნახევარში 1 ვედრო კახური ღვინო (ვედროში 3 თუნგია ანუ 16 ბოთლი, დაახლოებით 12,3 ლიტრი) ღირდა 24-დან 80 კაპიკამდე. 1820-იან წლებში ქუთაისში 1 ბოთლი საკმაოდ კარგი ღვინო იყიდებოდა 4 კაპიკად, ხოლო სამეგრელოში 1 ბოთლი ხარისხიანი ღვინის შეძენა შეიძლებოდა 2 კაპიკად. 1890-იან წლებში იზრდება ღვინის ექსპორტი, რასაც ფასების მატება ახლავდა თან. მაგალითად ამ პერიოდში:

სოხუმში 1 ვედრო „მწვანე" ღვინო ღირდა ---------- 2 მან. 50 კაპ.
ოჯალეში ---------- 3 მანეთამდე;
იზაბელა (ადესა) ---------- 1 მან. 20 კაპ-დან 1 მან. 80 კაპ-მდე;
საფერავი ---------- 3 მან. 50 კაპ.
კაჭიჭი ---------- 2 მან. 50 კაპ.

იმავე წლებში 1 საპალნე კახური ღვინო ღირდა 80 მანეთი (კახური საპალნე, მ.ბალასის განმარტებით, 45 ვედროს შეადგენდა ე.ი. 33 ფუთს, იმერეთში საპალნე შეადგენდა 12 ფუთს). [44, 87].

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქართლ-კახეთში არსებული ვენახების 24-26% თავადაზნაურობას ეკუთვნოდა. ბევრი კახელი და ქართლელი მემამულის ზვრები 40-50 დესეტინაზე იყო გადაჭიმული. გამოიყენებოდა მოიჯარე და ვალდებული გლეხების შრომა. მსხვილი მევენახეები დაქირავებულ მუშახელსაც იყენებდნენ. მაგალითად კახელი მემამულეები ყოველ 4 დესეტინა ვენახზე დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულ ერთ მუდმივ მუშას ქირაობდნენ. „მეზვრედ" წოდებული ამ მუშების წლიური ანაზღაურება 60-100 მანეთამდე მერყეობდა. ასეთ შრომაზე დამყარებულ მეურნეობებში ერთი დესეტინა ვენახის მოვლა-დამუშავების საფასური წლიურად 152 მანეთამდე აღწევდა., ხოლო მიღებული შემოსავალი 400-500 მანეთს შეადგენდა.

XIX საუკუნის საქართველოში განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ღვინოს ამზადებდნენ **ჭავჭავაძეები (წინანდალში, მუკუზანსა და ყვარელში), ანდრონიკაშვილები (გურჯაანსა და ბაკურციხეში), ამატუნი, აფხაზი და ვაჩნაძე (კარდანახში), ჯანდიერი (ვაჩნაძიანში), ვახვახიშვილები (კურდღელაურში), ჩოლოყაშვილები (ახმეტაში), შ.ერისთავი (ატენში), ყიფიანები (რაჭაში), ივანე მუხრანბატონი (სოფ.მუხრანში), მსხვილი მეურნე სალომე დადიანი-მიურატისა (სამეგრელოში), თავადი ზ.ჯორჯაძე (საბუეში), გ.კობიაშვილი, ნ.ფორერი (კახეთში), ანანოვი (ვარციხეში), ა.ოლდენბურგი (ქუთაისში) და სხვ.**

ქართული სამარკო ღვინოების ისტორია **ალ.ჭავჭავაძისა და ყიფიანების** მოღვაწეობის დროიდან იწყება. XIX საუკუნის საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობის დარგის საუკეთესო სპეციალისტებად გვევლინება თავად ჭავჭავაძეების საგვარეულო კახეთში. ჭავჭავაძეთა გვარის ისტორია იწყება XV საუკუნიდან. მათი ერთ-ერთი წინაპარი ფაროდი ჭავჭავაძე 1438 წელს საქართველოს მეფის ალექსანდრე I-დიდის (1412-1442წწ) მიერ გაცემულ სიგელში მოხსენიებული. ჭავჭავაძეთა გვარში ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო **გარსევან ჭავჭავაძე**-ერეკლე II-ის დესპანი რუსეთის საიმპერატორო კარზე.

მისი ვაჟი, ცნობილი პოეტი-რომანტიკოსი **ალექსანდრე ჭავჭავაძე** სოფლის შესანიშნავი მეურნე გამოდგა. იგი ხელს უწყობდა მეღვინეობის განვითარებას, ავრცელებდა ვაზის ახალ ჯიშებს, სავენახე მიწის დამუშავებას და ვაზის დარგვას ასწავლიდა გლეხობას წინანდალში, მუკუზანსა და ნაფარეულში. 1829 წელს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ალექსანდრე ჭავჭავაძემ წინანდალში წყალსადენი გაიყვანა, ხოლო 1831 წელს თავისივე მამულში საცხოვრებელი სახლიც ააგო.

1832 წელს მენარმის წლიურმა შემოსავალმა 6 000 მანეთს გადააჭარბა. მის საწარმოო სექტორში დასაქმებული იყო 600 კაცი. ცნობილი გეოგრაფი ელიზე რეკლიუ წერდა: ა.ჭავჭავაძემ თავისი მევენახეობა ისე გააუმჯობესა, რომ მისი ღვინო ევროპაშიც იყო განთქმული. კახურ ღვინოს შეუძლია ტოლობა გაუწიოს დასავლეთის ღვინოებს. ჭავჭავაძეების მამულში ერთგვარი ჯიშის ყურძენია, რომლისგანაც შამპანურის გაკეთებას აპირებდნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძე თანხებს არ ზოგავდა მეურნეობის უკეთესად მოწყობისათვის. ერთ წერილში იგი აღნიშნავდა: ჩემი შემოსავალი ამ მოკლე ხანში უნდა გაორკეცდეს, ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს მე დიდი თანხა დავხარჯე მეურნეობის გასაუმჯობესებლად. 1835 წელს ა.ჭავჭავაძემ ბანკიდან 20 წლის ვადით 1 მილიონ მანეთამდე სესხი აიღო წინანდლის მამულების გასაუმჯობესებლად. 1840 წელს ნაფარეულის მამული დააგირავა და სესხად აიღო 6 ათასი მან.(ვერცხლით).

ფულის დიდი ნაწილი მამულების გაუმჯობესებას მოახმარა. მოგვიანებით იგი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ალავერდის სპილენძის ქარხანასთან 6 000 ფუთი სპილენძის შესასყიდად, რომელიც სჭირდებოდა არაყსახდელი ქარხნის მოსაწყობად და წყალსადენისათვის.

ალექსანდრე ჭავჭავაძე გლეხობას აძლევდა თავის სანერგედან ვაზის ნერგებს. ყოველ ვენახთან ცალკე მარანი და მეზვრეებისათვის ბინები ჰქონდა აშენებული. ჭავჭავაძეების მამულებში კერძო მესაკუთრე და დროებით ვალდებული გლეხობის გარდა, 576 კომლი ხიზანი ცხოვრობდა. ყველა მათგანი დასაქმებული იყო. მათ დროებით სარგებლობაში ჰქონდათ 111 დესეტინა მიწა და ა.ჭავჭავაძეს წლიური მოსავლის 1/4-ს ნაწილს უხდიდნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის მამულში ააგებინა ორსართულიანი, 150 000 ვედროიანი ღვინის სარდაფი, პეტერბურგიდან მოიწვია **არქიტექტორი ვ.ნიკოლა, მშენებელ-ინჟინერი გ.გერცი და შტერნი**. წინანდლის სარდაფის პირველი მეღვინე იყო შვედი **დიკენსონი**, ხოლო 1891 წელს ქ.ბორდოდან მოიწვიეს ფრანგი სპეციალისტი **მერლ ანტუან მასანო,** რომლის გამოცდილება ფასდაუდებელია საქართველოში მეღვინეობის განვითარების საქმეში, მან პირველმა დანერგა ჩვენში ადგილობრივი ჯიშის ყურძნისაგან ევროპული ტიპის ღვინოების დაყენება.

დავით ჭავჭავაძე (1818-1884)

1892 წელს ჩიკაგოს საერთაშორისო გამოფენაზე გაგზავნეს წინანდალში დაყენებული სუფრის საუკეთესო ღვინოები: 1888, 1889, 1890 წლების წინანდლის საფერავი, 1886 წლის წინანდლის მწვანე, 1887 წლის „დედოფლის ზვრის“ რქაწითელი, 1889 წლის მუკუზნის ღვინო და სხვა მრავალი ნიმუში, რომლებმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს. 1900 წელს პარიზის საერთაშორისო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კი გადასაგზავნად მოითხოვეს ვაზის ჰერბარიუმები, ტიკები, რუმბები, ქვევრები, ვარდის ზეთი და ვარდის წყლის ნიმუშები. წინანდლის მამულებიდან წარდგენილმა ყველა ნიმუშმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1841 წელს ალექსანდრე ჭავ-







ჭავაძემ თბილისში ააგო ორსართულიანი შენობა. პირველ სართულზე განთავსებული იყო რვა დუქანი, სახლის სარდაფი კი ღვინის შესანახად გამოიყენებოდა. ზედა სართულის 18 ოთახი გაქირავებული ჰქონდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ (1846 წ) მთელი ქონება მემკვიდრეობით 28 წლის პოლკოვნიკმა **დავით ჭავჭავაძემ** მიიღო, რომელმაც მეურნეობის მიმართ დიდი ინტერესი არ გამოამჟღავნა. 1848 წელს მან გაყიდა მამის აშენებული ორსართულიანი სახლი თბილისში **ნიკიტა მახმუდაროვზე,** რომელმაც იგი სასტუმროდ გადააკეთა (შედგომ შამილთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების გამო ჭავჭავაძეების ზარალი 106 ათას მანეთად ოქროთი შეფასდა). 1885 წლიდან ჭავჭავაძეების მამულსა და ქონებას კავკასიის სამეურვეო სამმართველო მეურვეობდა, შემდეგ ქონება მოიჯარეებზე გაანაწილეს, ხოლო 1886 წლიდან ჭავჭავაძეების მთელი მამული, რომელიც 15 089 დესეტინას შეადგენდა, ერთ მილლიონ ნახევარ მანეთად საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა შეიძინა. როცა საუფლისწულო უწყება იბარებდა ამ მეურნეობას, დავით ჭავჭავაძემ ვერ შეძლო მეურნეობის სააღრიცხვო მასალების მოძებნა, ამიტომ მოხელენი იძულებულნი იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ მეურნეობის გამგებელთა მიერ მოწოდებული ცნობებითა და უკანასკნელი წლის (1885)მოსავლით განესაზღვრათ ამ მეურნეობის შემოსავალი [165, 45-47]. ნასყიდობა სანოტარო წესით დამტკიცდა. ამ პროცესს ესწრებოდნენ საუფლისწულო მამულისა და სამეურვეო სამმართველოს წარმომადგენლები. მეურვე **ბარონი ნიკოლაი** და საუფლისწულო მამულის მმართველი **პეტრე რიხტერი.** მთელი მამული მიწებით, ვენახებით, ნაგებობებით, მინათმოქმედებისა და მეღვინეობისათვის განკუთვნილი იარაღებით საუფლისწულო უწყებას გადაეცა. ანა ჭავჭავაძეებს დროებით სარგებლობაში დარჩათ მხოლოდ წინანდლის საცხოვრებელი სახლი [248, 41]. აქ წლების განმავლობაში უფროს მეღვინედ მომუშავე **მერლ ანტუან მასანო** 1892 წლიდან განაგებდა მევენახეობასა და მეღვინეობას კავკასიის ყველა საუფლისწულო მამულში. ცხოვრობდა და ძირითადად მუშაობდა კახეთში, წინანდალში. მასანომ შემოიღო ვაზის გასხვლის ფრანგული წესები, მისი ინიციატივით კახეთში პირველად იქნა გამოყენებული ვაზის საყრდენის ახალი სახე-მავრთულის შპალერი, რამაც საუკეთესო შედეგი გამოიღო. ასე გამართულ ვენახებში 10-15 მტევანი იყო უკლებლივ ყველა ძირზე. მასანომ წინანდლის სარდაფისათვის საფრანგეთში შეუკვეთა „მაბილეს" სისტემის სამკალათიანი წნეხი, რომელსაც „ტრიპლექსის" წნეხების სახელით მოიხსენიებდნენ. თანდათანობით ივსებოდა ევროპული მანქანა-დანადგარებით საუფლისწულო მამულების მარნები, აქ იყო: ყურძნის საჭყლეტი მანქანა 25 ცალი, კლერტსაცლელი-3 ცალი, წნეხი-24 ცალი, ტუმბო-13 ცალი, პასტერიზატორი-1 ცალი, კასრების ასაწევი ჭალამბარი-3 ცალი, ორთქლის ქვაბი-4 ცალი. სარდაფებს გააჩნდათ საცობის დამხურავი, ჩამოსხმის და სარეცხი მანქანები, ლაბორატორიული ხელსაწყოები, აერომეტრები, სპირტომეტრები და სხვ. ღვინის დასადუღებლად, დასაძველებლად, შესანახად და ტრანსპორტირებისათვის იყენებდნენ მხოლოდ მუხის კასრებს. 1898 წლისათვის წინანდალში ირიცხებოდა 168 ცალი მუხის ბუტი, 20-50 ვედროიანი 4 285 ცალი მუხის კასრი. მუხის ყველანაირი ჭურჭელი მზადდებოდა წინანდლის მამულის

წინანდლის ღვინის მარნის მუშები წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

სახელოსნოში [106, 127].

1892 წელს გაზეთი „ივერია" (№71) იუწყებოდა, რომ წინანდლის საუფლისწულო მამული საუკეთესო ღვინოებით ამარაგებდა ხელმწიფის სასახლეს.

საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულია დოკუმენტი სახელწოდებით Управления инспектора Кавказских удельных имении по Кахетинскому удельнему земелию, რომელიც თარიღდება 1904 წლის 13 მაისით, საიდანაც ვიგებთ, რომ ამ პერიოდში წინანდლის მამულის ზედამხედველი ყოფილა გ.გოგოლ-იანოვსკი, ხოლო ღვინის მარანში მოღვაწეობდა პროფესიონალი მეღვინე გ.ჟოფრიო. „Считаю долгом ходатайствовать об увеличении жалования заведывающему Цинондальским подвалом Г.Жоффрио. Образцовый порядок в подвале в высшей степени добросовестное и аккуратное отношение г.Жоффрею к делу были причиной того, что Управляющий имении Г.Гоголь-Яновскийнеоднократно высказывались о нём" . . . [სცა, ფონდი 351, ანაწერი 1, საქმე 48].

1911-1912 წლებში ევროპიდან მოწვეული სპეციალისტების **სოვიონის, ბოლტოვისა და ადგილობრივი სპეციალისტების ბერეჟიანის, ბელენკოვის, საგინაშვილისა და დავითაშვილის** მონაწილეობით წინანდალში ამოქმედდა კონიაკის ქარხანა, სადაც დააყენეს სპირტსახდელი აპარატები, მაცივრები, სატუმბავი მანქანები და ა.შ.

ევროპული წესით ღვინის დაყენებას მიჰყო ხელი აფხაზური ჩამომავლობის კახეთში მცხოვრებმა თავადმა **დიმ.აფხაზმა**. 1860 წელს „ცისკრის" რედაქტორს **ივანე კერესელიძეს** უმოგზაურია კახეთში, დაუთვალიერებია დიმიტრი აფხაზის მეურნეობა და თავისი შთაბეჭდილებები ჟურნალში დაუბეჭდავს: „აფხაზის ჩამომავლის თ.დიმიტრის თავისი მეცადინეობით და მხნეობით ისეთი ზვარი გაუკეთებია, რომ მთელს წინა მხრის კახეთში კაცი უკეთესს ვერას ნახავს. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ზოგიერთ გარემო სოფლების მებატონეებს მოებაძათ ამ მამულის მაგალითისათვის" [253, 234].

1875 წელს გამოცემულ „კავკასიის მეღვინეობის ნარკვევში" ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რაჭაში საუკეთესოდ ყიფიანების წითელი ღვინო ითვლებოდა, რომელსაც **ყიფიანები** აწარმოებდნენ სოფელ ტოლასა და ხვანჭკარაში. მას ძირითადად ალექსანდროულისგან ამზადებდნენ. ეს იყო მუქი შავი ფერის, მაგარი და მწკლარტე გემოსი, ბადაგი ღვინდებოდა მოკრეფიდან ნახევარი წლის შემდეგ, დიდხანს ინახებოდა და ადვილად არ ფუჭდებოდა. ღვინის რეალიზაცია ძირითადად ხდებოდა ქუთაისის ბაზრებზე, ვედრო-2 მანეთი ღირდა.

რაჭაში ღვინის წარმოების შესწავლით მრავალი მეცნიერი დაინტერესდა (ე.დანდუროვი, კ.მოდებაძე, ვ.ბერიძე, ვ.დემეტრაძე, შ.ავალიანი ა.ბენდიანიშვილი), თითქმის ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ ყიფიანების მეურნეობა ერთ-ერთი პირველი კაპიტალისტური მეურნეობა იყო რაჭაში.

ყიფიანები რაჭის თავადები იყვნენ, განაგებდნენ „საყიფიანოს" მდ.რიონის მარჯვენა სანაპიროზე. გადმოცემით, მათი წინაპრები სვანეთიდან გადმოსახლებულან ჯერ კიდევ XVIII საუკუნემდე. საყიფიანო აერთიანებდა სოფლებს: პირველი ტოლა, მეორე ტოლა, ხვანჭკარა, პატარა ჩორჯო, დიდი ჩორჯო, ბოსტანა და ღვიარა. გარდა ამისა, ყიფიანების დაქვემდებარებაში იყო ბუგეულის ხიდთან მდებარე ჭალები, სადაც ცნობილი „იარმურკობა" იმართე-

კაკი წერეთელი სოფელ ხვანჭკარაში, დიმიტრი ყიფიანის მარანში, 1912 წლის 30 ივლისი

ბოდა. (ბუგეულის „იარმურკობა" 1880 წელს გახსნილა. აქ თავს იყრიდა 12 000-მდე მოვაჭრე, სავაჭრო ბრუნვა 10 000 მან. აღწევდა. სხვა პროდუქციასთან ერთად უხვად იყიდებოდა ღვინო. ბაზრობაზე 30 სამიკიტნო ვაჭრობდა). ხვანჭკარელ და ტოლელ ყიფიანებზე, როგორც მეწარმეებზე, მწირი მასალა არსებობს, რადგან ისტორიული დოკუმენტების დიდი ნაწილი რევოლუციის პერიოდში რეპრესიების შიშით გაუნადგურებიათ. რაც ვიცით, ისიც რაჭის მხცოვანი მოსახლეობის მონათხრობიდან. ცნობილია, რომ კონსტანტინე ყიფიანს სოფ. მეორე ტოლაში ქვით ნაგები კარგად მოწყობილი მარანი ჰქონია, ხოლო ქაიხოსრო ყიფიანს თავისი ღვინო დეგუსტაციაზე პარიზშიც კი გაუგზავნია და კავკასიის მეფისნაცვლისთვისაც მიურთმევია. **კონსტანტინესა** და **ქაიხოსროს** შემდეგ ადგილობრივი ღვინის პოპულარიზაციას **ლუარსაბ** და **დიმიტრი ყიფიანები** ეწეოდნენ, რომლებიც რევოლუციამდე რჩებოდნენ მსხვილ მემამულეე-



„გრანპრი“ (დიდი ჯილდო), რომელიც 1907 წელს მიენიჭა ყიფიანების ღვინოს ბელგიის ქალაქ ოსტენდეში საერთაშორისო გამოფენაზე, ასევე გადაეცა სამახსოვრო ჟეტონი ბელგიის მეფის ლეოპოლდ II-ის გამოსახულებით. ჯილდო ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

№ 06
КИПИАНОВСКОЕ ВИНО
Кипиановское Вино
КУТАИС
Б. БУАДЗЕ

Имеретинское Натуральное
ВИНО
МАРКА ФИРМЫ
ФИРМА СУЩЕСТВ. съ 1890 ГОДА
Рачинское
М. Г. Костава
ПЕТРО-ПАВЛОВСКАЯ УЛ. СОБСТВЕН. Д.
въ КУТАИСѢ

ბად და ყიფიანების ღვინის მეწარმეებად. ბოლოს მეწარმეები დაუბრუნდნენ ტრადიციულ მეთოდებს და წარმოებული პროდუქციის საფირმო სახელწოდებად საკუთარი გვარი გამოიყენეს (მიუხედავად იმისა, რომ მას ძირითადად ადგილობრივი ჯიშის ვაზისაგან-ალექსანდროულისაგან ამზადებენ), რამაც გაამართლა კიდეც და სწორედ მათ პირველებმა შეძლეს დიდი რაოდენობით გაეტანათ ბაზარზე რაჭული ღვინო.

ყიფიანების ღვინის პოპულარიზაციას ხელი შეუწყეს **ნესტორ ტარიელის ძე წერეთელმა და ვარლამ სარდიონის ძე პაპუაშვილმა,** რომლებიც ყიფიანებთან

მომუშავე ღვინით მოვაჭრეები იყვნენ და 1897 წლიდან თავკაცობდნენ ქუთაისში მოქმედ სავაჭრო ფირმას (თბილისის ქ№25-ში). ისინი ახდენდნენ ყიფიანთა მამულებისა და საყიფიანოს გლეხთა ღვინოების რეალიზაციას, ფირმას ფილიალი ჰქონია ჩრდილო კავკასიის ქალაქ მაიკოპში. რაჭიდან ჩატანილ ღვინოებს ქუთაისის სარდაფში ასვენებდნენ, ახარისხებდნენ, საჭიროების შემთხვევაში დააწმინდავებდნენ ევროპული წესით და ასხამდნენ ეტიკეტებიან ბოთლებში სარეალიზაციოდ. შემონახულია ნ.წერეთლისა და ვ.პაპუაშვილის შეკვეთით დაბეჭდილი განცხადება, საიდანაც ირკვევა, რომ ადგილი ჰქონდა ყიფიანების ღვინის ფალსიფიკაციის შემთხვევებს ბათუმში. მიხაილ ბალასის ცნობით, პარიზში გაგზავნილ „ყიფიანების ღვინოს" ჯილდო ვერ დაუმსახურებია, მაგრამ 1900 წელს ბათუმში გამართულ პირველ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე რაჭიდან წარდგენილ ლუარსაბ ყიფიანის ღვინოს მიუღია მედალი წარწერით „სანაქებო". 1907 წელს „ყიფიანების ღვინო" საერთაშორისო გამოფენისათვის გაგზავნეს ბელგიის ქალაქ ოსტენდეში, სადაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და მიენიჭა „გრანპრი"(დიდი ჯილდო), ასევე გადაეცა სამახსოვრო ჟეტონი ბელგიის მეფის ლეოპოლდ II გამოსახულებით. ეს ჯილდო ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.ყიფიანებს კონკურენტული გარემო შეუქმნა **მევენახეთა საზოგადოებამ „ალექსანდროულის"** სახელწოდებით. 1915 წელს თბილისში კერესელიძის სტამბაში დაბეჭდილი ამ საზოგადოების წესდებიდან ვიგებთ, რომ მისი მიზანი იყო ხვანჭკარისა და სვირის ღვინოებით ვაჭრობა, საზოგადოების წევრთა შორის „სატექნიკო დარგების და ვაზის უკეთესი ჯიშების" გავრცელება. საზოგადოებას მიზანს ასევე წარმოადგენდა წიგნებისა და ჟურნალების გამოცემაც, მაგრამ ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა. [81, 14].

მეღვინეობის დარგის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, **ივანე მუხრანბატონი,** თბილისის გუბერნიის ერთ-ერთი მემამულე იყო. მისი მეურნეობა გამოირჩეოდა მრავაფეროვნებით, ყოველწლიურად იგი იღებდა 7-8 ათას ფუთ ხორბალს, 40-50 ათას ფუთ თივას, ყავდა 300 მსხვილფეხა პირუტყვი, 8 ათასამდე ცხვარი. მისი მამულების უდიდეს ნაწილს ზვრები შეადგენდა, მისი ვენახი კი 430 დესეტინაზე იყო გადაჭიმული მისი ზვრები და ღვინის სარდაფები მუხრანსა და დიღომში იყო ჩინებული ორგანიზაციითა და აღჭურვილობით. 1876 წელს მან საფრანგეთში იმოგზაურა, გაეცნო იქაურ ღვინის სარდაფებს და სამშობლოში დაბრუნებულმა ქარხანა-მარანი ააშენა. იგი უშვებდა ქართლისა და ევროპული ტიპის 12 მარკის მაღალხარისხოვან ღვინოს.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ი.ბაგრატიონ-მუხრანელის მამულში დაწ-

ივანე მუხრანბატონი (1812-1895)

ყებულ იქნა მაღალხარისხოვანი შამპანურის დამზადება (20-30 ათასი ბოთლი წელიწადში).

საუფლისწულო უწყება მუხრანის მამულიდან აბრაუ-დიურსოში აგზავნიდა დიდი რაოდენობით საშამპანურე ღვინომასალას (ალიგოტე, პინო, რქაწითელი) [24, 22].

მეურნეობის ევროპულ წესზე მოწყობაში ივანე მუხრანბატონს დახმარება გაუწია ფრანგმა აგრონომმა-**ოდანმა**, რომელიც მანმადე ქუთაისში სამეურნეო სკოლის ზედამხედველი იყო. სოფ. მუხრანში გადმოსვლის შემდეგ მან აიღო მიწა სოფლიდან 5 ვერსის დაშორებით 12 წლიანი იჯარით და საკუთარი მეურნეობა მოაწყო. ივ.მუხრანბატონის მეურნეობაში მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქონლის მოვლასა და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის წარმოებას, მიწის დამუშავებას და სხვ. [165, 59-60].

1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე ი.მუხრან-ბატონის ღვინომ მიიღო უმაღლესი ჯილდო-სახელმწიფო ღერბი. 1886 წელს მემამულეს 30 000 ვედრო ღვინისა და 470 ვედრო არყის გაყიდვით მიუღია 424 570 მან. (საქართველოში არყის ძირითადი მომხმარებელი რუსეთის ჯარის ნაწილები იყო). XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს მემამულე მარტო მევენახეობა-მეღვინეობიდან იღებდა 223 ათას მანეთ შემოსავალს, მაგრამ მეურნეობას ხარჯიც დიდი ჰქონდა.

მუხრანბატონის მეურნეობის შესახებ ნ.ნაცვლიშვილი წერს: „მუხრანის მეურნეობა წარმოადგენდა ეკონომიკურად ძლიერსა და შესანიშნავი ღვინოების დამამზადებელ წარმოებას, რომლის შემოსავალი 1886 წლისათვის უდრიდა 244 700 მან. ვენახების საერთო ფართობი შეადგენდა 400 დესეტინას, თითოეულ დესეტინაზე მოდიოდა 200 ვედრო ღვინო. ეს ვენახები მდებარეობდა თბილისის, გორისა და დუშეთის მაზრებში, სოფ. მუხრანში, საზედგინიძეოში, დამპალოში, ძალისში, ვეძისში, ნიჩბისსა და ხანდაკში, მეურნეობის მთავარ პუნქტებს წარმოადგენდა მუხრანი და დიღომი, სადაც მდებარეობდა ღვინის მთავარი საწყობები“ [165, 45-46].

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასთან ერთად ბუნებრივია დადგე-

მუხრან-ბატონის სასახლე სოფ. მუხრანში



ივანე მუხრანბატონი

ბოდა საღვინე ჭურჭლის აუცილებლობაც. როგორც ჩანს მუხის მასალა დეფიციტური ყოფილა იმ რეგიონისათვის, ამიტომ ივანე მუხრანბატონმა კასრების წარმოების მოწყობას მათი შეკვეთა ამჯობინა. ყირიმში შრაიდერს შეუკვეთა 50 ათასი კასრი, რომელიც ერთად მოიცავდა 10 ათას ვედროს. ამ კასრების შეძენა მას 6 000 მან. დაუჯდა [165, 46]. ივანე მუხრანბატონი ვენახის გასაშენებელად მინას განსაკუთრებული ყურადღებით არჩევდა, ერთ-ერთი პირველი მოთხოვნა მზიანობა იყო, კეთდებოდა სარწყავი სისტემა, კარგი ამინდები პირობებში რთველს 15 ოქტომბერს იწყებდნენ. ყურძენი იკრიფებოდა ხარისხის მიხედვით. ყო ყურძენი, რომელიც არ იკრიფებოდა მანამ, სანამ არ დაჭკნებოდა, საიდანაც დაყენებული ღვინო ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა მუხრანბატონის მეურნეობაში [165, 45-47].

ნ.ნაცვლიშვილი საინტერესოდ აგვიღწერს რთველს მუხრანბატონის მეურნეობაში: „დახარისხებული ყურძენი ურმებით მიდიოდა დასაწურად საწარმოში, სადაც ხდებოდა ყურძნის გადარჩევა. თუ ყურძენი ნაწვიმარი იყო, მაშინ საჭირო იყო მისი გაშრობა, რისთვისაც ანთებდნენ საამისოდ მოწყობილ ღუმელებს, რომლის ტემპერატურაზე მარცვლებში დაგროვილი წვიმის წვეთი ამოშრებოდა. ასე გამზადებული ყურძენი იყრებოდა უზარმაზარ რეზერვუარში, რომელსაც შიგ ჰქონდა მუხისაგან გაკეთებული ბადე. ბადეში გადიოდა მარცვლები და ყუნწები ზევით რჩებოდა. ყუნწებს აშორებდნენ ჭაჭას, რადგან ის ღვინოს მწკლარტე გემოს აძლევდა, რაც არ ახასიათებდა ევროპულ ღვინოებს. ეს რეზერვუარი მთლიანად მოცემენტებული იყო და მისი ყურძნით ავსების შემდეგ მოძრაობას იწყებდა ფარცხი, რომელიც ფრთხილად ჭყლეტდა მარცვლებს, რათა ყურძნის კურკები მთელი დარჩენილიყო და ტკბილისათვის გემო არ შეეცვალა. დაწურული ტკბილი მიქონდათ სადუღებელ ქვაბებში. თეთრი ყურძნის ჭაჭა იქვე იწნეხებოდა თუჯის წნეხებში, რომელიც სახელურის საშუალებით მოძრაობაში მოჰყავდა ერთ მუშას. თეთრი ყურძნის ტკბილი ასადუღებლად ისხმებოდა 120 ვედროიან კასრებში. შავი ყურძნის ტკ-

ბილს კი ჭაჭასთან ერთად ასხამდნენ განსაკუთრებულ ქვევრებში. მას არ აშორებდნენ ჭაჭას, რადგან წითელი ღვინო მისგან იღებს განსაკუთრებულ გემოსა და ფერს. დულილის რეგულაციისათვის ქვევრებს ჰქონდათ სათანადო მოწყობილობა, რომლის საშუალებით თვალყურს ადევნებდნენ დულილის პროცესს. ამგვარად მოწეული და დაყენებული ღვინო მზად იყო გასაყიდად მხოლოდ ორი წლის შემდეგ. თეთლი ღვინო სუფთავდებოდა თევზის წებოთი, წითელი კი ჟელატინით, რის შემდეგაც ღვინოები გამჭვირვალე ხდებოდა" [165, 47-48].

ივანე მუხრანბატონმა ფრანგულ მოდელზე მოწყობილ ღვინის ქარხნისათვის საფრანგეთიდან მოიწვია ღვინის სპეციალისტები. იგი მეურნეობაში ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს იყენებდა. სანიმუშოდ ჰქონდა მოწყობილი სარდაფები მუხრანში, დიღომში, დამპალოსა და ხანდაკში ცემენტის აუზებით, საწნეხებითა და ყურძნის საჭყლეტი მანქანებით, აძველებდა ღვინოს, რომელიც პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავისა და ევროპის სხვა ქვეყნების ბაზრებზე გაჰქონდათ. საქვეყნოდ იყო ცნობილი მისი ღვინის შესანახი სარდაფები მუხრანში და დიღომში. მუხრანის ღვინის სარდაფს ეჭირა 804 კვ.საჟენი* მიწის ფართობი, 100 ათასი ვედრო ღვინის ტევადობით. სარდაფი დაყოფილი იყო ოთხ განსხვავებულ სეგმენტად. პირველი განყოფილება წარმოადგენდა ქართულ მარანს, რომელშიც 10 ქვევრი იდგა, აქ ღვინოს ქართული წესით აყენებდნენ. სხვა დანარჩენ განყოფილებებს, თითოწულს ცალ-ცალკე თავისი დანიშნულება ჰქონდა და გათვალისწინებული იყო ღვინის ევროპული წესით დაყენების პირობები, აქ იყო ჰოლანდიური ფილტრატი, რომელიც ღვინოს თხესა და ნალექისაგან ასუფთავებდა, აქ იყო ფეხის მანქანა, რომლის საშუალებითაც ბოთლები ირეცხებოდა და ა.შ. [165, 48].

1888 წელს ივანე მუხრანბატონს სარდაფებში ჰქონია:

სოფ. მუხრანში	48 000 ვედრო
სოფ. დიღომში აქვე ქართულ ქვევრებში	29 991 ვედრო 18,5 საპალნე
სოფ. ხანდაკში	1 540 ვედრო
თბილისის სარდაფსა და მაღაზიაში	1 814 ვედრო
ჩგარდა ამისა ივ. მუხრანბატონონს ღვინოები ჰქონდა მოსკოვის ღვინის სარდაფებშიც	

მონაცემები აღებულია ნაშრომიდან: ნაცვლიშვილი ნ. მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია აღმოსავლეთ საქართველოში. თბ. 1971. გვ. 48-49

საქმის კარგად გამართვის შემდეგ ივ.მუხრანბატონმა დამხმარე მეურნეობები გამართა, გახსნა საღვინე კასრების სახელოსნო და საზეინკლო. სამასალე ხე იმერეთიდან და კახეთიდან შემოჰქონდათ. ასევე გააკეთა სპირტის გამოსახ-

* საჟენი- 7 ინგლისური ფუტით იყო განსაზღვრული, ეს იყო 213,36 სმ. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ 9, გვ, 97, 1985)

დელი საამქრო, სადაც ჭაჭისაგან და ღვინის ნარჩენებისაგან ხდიდნენ სპირტს და ამზადებდნენ სხვადასხვა სპირტიან სასმელებს.

დიდი კაპიტალის მფლობელი იყო ივ.მუხრანბატონი, კერძოდ მისი საკუთრება იყო:

უძრავი ქონება	
სახლი ეზოთი და შენობებით, არხითა და სარდაფით	250 000 მან.
ღვინის დასამზადებელი ცემენტის შენობა	15 000 მან.
ღვინის დამამზადებელი ორქლის ქარხანა	3 000 მან.
სპირტის დამამზადებელი ორთქლის ქარხანა	2 000 მან.
საორთქლე განყოფილება	1 200 მან.
სახელოსნო	1 000 მან.
სოფ.დიღომში ღვინის შესანახი საწყობი	25 000 მან.
ღვინის დამამზადებელი ქარხანა	1 000 მან.
სულ	2 248 200 მან
მოძრავი ქონება	
სოფ.მუხრანში ღვინის სადუღებელი თავისი კასრებითა და ქვევრებით, წნეხებითა და სხვ. მოწყობილობით	23 000 მან.
კასრები 20 000 ვერდო ღვინისათვის	თითო ვერდრო 35 კაპ
ლაბორატორია	1 800 მან.
ჯკასრების დამამზადებელი სახელოსნო	50 000 მან.
სოფ.დიღომში ქვევრები	4 800 მან.
კასრები	2 800 მან.
სულ	59 400 მან
მთელი ქონება შეადგენდა	2 307 600 მან.

მონაცემები აღებულია ნაშრომიდან: ნაცვლიშვილი ნ. მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია აღმოსავლეთ საქართველოში. თბ. 1971. გვ. 51

ივ.მუხრანბატონის მეურნეობის ხარჯებს შეადგენდა:

დაქირავებული მუშახელი	44 000 მან.
ყურძნის მკრეფავებისა და მეღვინეების დაქირავება	3 000 მან.
სარები, ბაღების ყოველწლიური რემონტისათვის	10 664 მან.
ყურძნის მოზიდვა	1 200 მან

ჯებირების შეკეთება	400 მან.
სპირტის გამოხდა და რატიფიკაცია	800 მან.
აქციზი	2 365 მან.
ღვინის წარმოების ადმინისტრაცია	13 400 მან.
ვაჭრობის ადმინისტრაცია	16 446 მან.
ღვინის გატანა 1 ვედრო 80 კაპ.	24 000 მან.
კასრი	7 000 მან.
სულ	121 423 მან.

მონაცემები აღებულია ნაშრომიდან: ნაცვლიშვილი ნ. მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია აღმოსავლეთ საქართველოში. თბ. 1971. გვ. 50-51

1886 წელს ივ.მუხრანბატონის მეურნეობის შემოსავალმა 244 700 მან. შეადგინა. მისი ღვინოები იყიდებოდა როგორც ცალობით, ასევე ბითუმად: თბილისში-გოლოვინის პროსპექტზე, მოსკოვის ორ მაღაზიაში ტვერსკისა და მიასნიცის ქუჩებზე და პეტერბურგში „ბოლშაია მორსკაიას" ქუჩაზე. ღვინოებზე დაწესებული ფასი სხვადასხვა იყო ხარისხის მიხედვით. ბოთლებს იძენდნენ თბილისსა და მოსკოვში [165, 54].

ივ.მუხრანბატონის მეურნეობის შესახებ იონა მუნარგია ხშირად წერდა ნიკო ნიკოლაძეს. მუხრანბატონს სურვილი გაჩენია წარმოებული პროდუქცია ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში გაეტანა და თავისი წარმოებით დაეინტერესებინა როტშილდების დინასტია (**აარონ როტშილდი**). ნიკო ნიკოლაძეს ცდა და მონდომება არ დაუკლია ამ საქმისათვის, იგი წერს: „მუხრანსკის საქმეზე დამიჯერე სრულებით საჭირო არ იყო ის დეზები, რომელსაც შენ მე მახვედრებ, უშენოთაც კარგად მესმის, რამდენად საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის ამ საქმის ხეირიანად გარიგება" [173, 64-68]. პარიზში ხშირად იმართებოდა სასოფლო სამეურნეო გამოფენები და კონგრესები, ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე ივ.მუხრანბატონის მეურნეობაში დამზადებული ძვირფასი ქართული ღვინო მართლად დაუგემოვნებიათ როტშილდებს და მათ ახლობლებს, ყველანი აღტაცებულნი დარჩენილად. ნ.ნიკოლაძე წერს: „მარტო ერთმა არონმა მიგინა ეს ღვინოები, გროშად არა ღირანო. ეს გახლავთ უმჯობესი ნიშანი, რომ როტშილდი ამ საქმეს აიღებს, არონს მარტო არ უნდა ბევრი ვთხოვოთ, სწორედ ასე აგინებდა ის ნავთის საქმესაც" [173, 64-68]. გამართლებულა მისი მოლოდინი, როტშილდი მართლაც აპირებდა თავისი სპეციალისტების გამოგზავნას მუხრანბატონის მამულებისა და ღვინის სარდაფების დასათვალიერებლად. შემდეგი მიმოწერიდან ირკვევა, რომ ივ.მუხრანბატონს სიჩქარე და სიძუნწე გამოუჩენია და მხარეები ვერ შეთანხმებულან. უკმაყოფილო ნ.ნიკოლაძე წერს იონა მეუნარგიას: „ეხლა ხომ ხედავ, რომ ხანდახან ეკონომია მეტისმეტად საზარალო რამ გამოდის. ის ურჩევნოდა ივანეს, რომ ასიოდე ცხვარი გაემეტებინა და გაეყიდა, ვინემ ის მომხდარიყო, რაც მოხდა." [173, 64-68].

XIX საუკუნის ბოლოს ი.მუხრანბატონს ჰქონია მეურნეობის კიდევ უფრო გაფართოების გეგმა-პროექტი და კომპანიონებსაც ეძებდა თურმე, მაგრამ 1893 წელს იგი გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ, კონსტანტინემ ვერ გამოიჩი-

ნა მეურნეობის გაძღოლის მამისეული უნარი და ზვრების უდიდესი ნაწილი (8 456 დესეტინა მიწა), აგრეთვე ღვინის ქარხანა და სარდაფი იქ დაცული 65 ათასი ვედრო ღვინით საუფლისწულო უწყებას მიჰყიდა.

მუდმივი მუშების ხელფასი	44 000 მან.
მელვინეობის სპეციალისტებზე	13 400 მან
ვაჭრობის ადმინისტრაციაზე	16 446 მან
პროდუქციის გამსარებელ ბაზრებამდე გადატანა (ი.მუხრან-ბატონს სასანყობო მაღაზიები ჰქონდა თბილისში, მოსკოვსა და პეტერბურგში)	24 000 მან
მელვინეობის მთელი ხარჯები	123 277 მან
სუფთა შემოსავალი	121 423 მან

მასალები აღებულია წყაროდან: ნ.ნაცვლიშვილი „მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია საქართველოში (ივანე მუხრან-ბატობის მეურნეობა)" ისტ. ინსტ. შრომები. თ VI ნაკვ. I. თბ. 1961 გვ. 59-60

სალომე დადიანი და აშილ მიურატი
Salome Dadiani and Achille Murat

სამეგრელოში, სოფ. სალხინოში, ღვინის მსხვილი მეურნეობა ჰქონდა **სალომე დადიან-მიურატს,** რომელიც გამოირჩეოდა სიდიდითა და მაღალი აგროტექნიკური აღჭურვილობით. მამულებში ვენახს 425 ჰექტარი ეკავა. მეურნეობის გაძღოლაში დედას აქტიურად ეხმარებოდა ვაჟი, პრინცი მიურატი, რომელმაც ლონდონში ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოება, 5 მლნ. მანეთი ძირითადი კაპიტალით. ამ სააქციო საზოგადოებამ სენაკის მაზრაში დადიანების, წულუკიძეებისა და სხვა მემამულეებისაგან იყიდა 20 300 ჰა მიწა და შექმნა გრანდიოზული მეურნეობა. პრინც მიურატის მამულებში დამზადებული „ოჯალეში" პარიზის არისტოკრატიულ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, 1912 წელს პარიზში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე „ოჯალეშის"

ღვინო საუკეთესოდ ცნეს და ოქროს მედლით დააჯილდოვეს

XIX საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი მემამულეები იყვნენ **რომანოვების საგვარეულოს** წარმომადგენლები, ისინი ფლობდნენ 90 000 დესეტინა მინას, მათი დავალებით მოქმედებდა ე.წ. საუფლისწულო უწყება. მათ საკუთრებაში ირიცხებოდა ჭავჭავაძეების, მუხრანბატონების, ორბელიანების და სხვა ქართველ თავადთა მამულების დიდი ნაწილი, უმეტესს ზვრები წარმოადგენდა, სადაც მუშაობდნენ დაქირავებული კვალიფიციური სპეციალისტები, აგრონომები, ტექნოლოგები, ბუღალტრები და ა.შ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულის მმართველად საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა კამერგერი **ბაგოუტი** დანიშნა. შეძენილ ტერიტორიაზე ვაზს 237 დესეტინამდე ფართობი ეკავა და 5 მამულში იყო განლაგებული. 1875-1879 წლებში ჭავჭავაძეთა მთელი მამული იჯარით ჰქონდათ აღებული თავადებს **ჯორჯაძეს და მირიმანოვს.** მოიჯარეები 24 ათას მან. უხდიდნენ მეპატრონეებს. დეპარტამენტის ბრძანებით, შენყდა მამულების იჯარით გაცემა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მთლიანად შეცვლილიყო მამულების დამუშავების წესი. გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტორი, რომ მამული კახეთის ერთ-ერთ ყველაზე კარგ ადგილას მდებარეობდა, ჰქონდა სარწყავი არხი, საჭირო იყო ინვესტირება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. მამულებიდან მიღებული ღვინომასალით უნდა დაეყენებინათ ევროპულის მსგავსი სამარკო ღვინო. საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით განისაზღვრა ჩასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა. პირველ რიგში აუცილებელი იყო ხუთივე მამულში ისეთი ღვინის სარდაფების მშენებლობა, რომელიც სულ ცოტა 4 წლის მოსავალს დაიტევდა. საჭირო იყო 130 ათასი ვედრო ღვინის ტევადობის სარდაფი, რასაც 286 ათასი მან. სჭირდებოდა.

1886-1887 წლებში საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის ბრძანებით, წინანდალში აიგო 2 სართულიანი სარდაფი-ქარხანა, რომელიც 150 ათას ვედრო ღვინოს იტევადა. მშენებლობაზე 15625 მან. დაიხარჯა, 1894 წელს აქვე საკასრე სახელოსნოც გაიხსნა. ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საუფლისწულო უწყება თავის მეურნეობებში საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაზეც ზრუნავდა, ამ მიზნით 1895 წელს წინანდლის მამულში გაუყვანიათ ტელეფონი, აქვე დაუმონტაჟებიათ ცენტრალური სატელეფონი სადგური, რომელიც ნაფარეულისა და მუკუზანის მეურნეობებს უკავშირდებოდა. სადგური მოწყობილი ყოფილა ერიქსონის სისტემის აპარატურით.

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის საერთაშორისო კონტაქტები წარმოადგენდა მის საკუთრებაში არსებული მეურნეობების საუკეთესოდ მოწყობის გარანტიას. მათ კავშირი ჰქობდათ მოსკოვის **ე.ტრინდინის** მანქანა-იარაღების სავაჭრო სახლთან და ძმების **ნ.ი.კოსტეროვების** შუშის ქარხანასთან, ვარშავის **ალფრედ გროზკის** მიწათმოქმედების საწყობთან, რიგის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა "Самопомощь"-თან, ჰამბურგის **ბოლდტისა და ფომალის** სოფლის მეურნეობის მანქანების ფირმასთან, ბერლინის **დანნბერგისა და კვანდტოს** ფირმებთან, რომლებიც ამზადებდნენ მრეწველობისათვის საჭირო აპარატურას და ხის დამამუშავებელ მანქანებს, ბერლინის სააქციზო საზოგადოებასთან, რომელიც ამზადებდა მეღვინეობისათვის განკუთვნილ

მანქანებს პრაღის **ჰუტერისა და ბრანცის** ქარხანაში, ასევე რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურის მწარმოებელ ამხანაგობებთან **პილხაუსა და ბრანტის** სავაჭრო სახლთან, **შიპოვსკის** ქარხნებთან, საიდანაც მონიკელებული მავრთულის იმპორტს აწარმოებდნენ. სავენახე მიწების ღრმად მოსახვნელად საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი საფრანგეთიდან იწერდა **„გიკიოს"** სისტემის გუთანს და ამერიკიდან ლოკომობილებს (მოძრავ ორთქლძალურ დანადგარებს, რომლებსაც იყენებდნენ სხვადასხვა მანქანების ასამოქმედებლად), შეიძინეს ღვინის კასრების ამწევი დანადგარები, ვაზის შესაწამლი ცხენით სატარებელი მანქანები. ამრიგად, მეურნეობებში ხელით სამუშაოები ჩაანაცვლა მანქანურმა შრომამ. კავკასიაში პირველად სწორედ კახეთის საუფლისწულო მამულებში გამოყენებულ იქნა ორთქლისძრავიანი ტრაქტორი. აღსანიშნავია, რომ უწყების მიერ კახეთში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო იარაღების არაერთი მაღაზია, სადაც მოსახლეობა იძენდა ვაზის შესაწამლ აპარატებს და სხვა საჭირო ინვერტარს.

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი საჭირო ადამიანურ რესურსზეც ზრუნავდა. 1895 წელს 3 თვიანი ვადით საფრანგეთში მიავლინეს მთავარი მეღვინე ფრანგი **მასონო და** კახეთის საუფლისწულო მამულების მმართველი **ბლანკი,** რომელთაც საუკეთესო მეღვინე-მევენახე სპეციალისტების მოძიება და მოწვევა ევალათ.

კახეთის რეგიონში მევენახეობის განვითარებას სერიოზულ პრობლემას უქმნიდა კლიმატური საფრთხეები, ამისათვის საუფლისწულო მამულებში შექმნილი იყო სეტყვის საწინააღმდეგო სასროლი სადგურები. 1902 წელს ასეთი რამდენიმე სადგური არსებობდა, რომლებსაც მევენახე სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. ყველა სადგური 1 აპრილისათვის მზადდებოდა და ოქტომბრის ბოლომდე ფუქციონირებდა. არსებობს სეტყვის საწინააღმდეგო გასროლათა სტატისტიკაც, მაგალითად 1903 წელს ნაფარეულში 8465-ჯერ მოუხდენიათ გასროლა, თელიანში და წინანდალში 6144-ჯერ.

1887-1890 წლებში კახეთის საუფლისწულო მამულებში ვაზის ადგილობრივი ჯიშების: რქაწითელის და საფერავის გვერდით უცხო ჯიშები და ახალი ვენახები გაშენდა: კაბერნე, რისლინგი, პინო, ბალბეკი, ალიგოტე, პინობლანი, პინოფრანი, სემილიონი, სავინიონი და სხვ. 1892-1894 წლებში კახეთის საუფლისწულო მამულების სხვადასხვა მარკის ღვინოები საერთაშორისო გამოფენებზე უმაღლესი ჯილდოებით შეაფასეს. ჩატარებულმა სამუშაოებმა შესაბამისი შედეგი გამოიღო, მოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდებოდა.

წლები	1901	1902	1903	1904	1905	1906	1907	1908
ფუთი ყურძენი	20243	29032	29865	37189	33617	33886	53018	53019

დღის წესრიგში დადგა წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. საუფლისწულო დეპარტამენტმა პირველ რიგში რუსეთის ბაზარი გამოიყენა. კახ-

ეთის მამულებში მოყვანილი ღვინო იყიდებოდა პეტერბურგში, ვარშავაში, ხარკოვში, ოდესაში, იალტაში, კიევში, ეკატერინოსლავსი, ვოლოგდაში, სარატოვში.

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი აფართოებდა თავის ტერიტორიებს. 1888 წელს თელავში **ბახუტოვებისაგან** შეიძინეს 341 დესეტინა მამული, სადაც განთავსებული იყო აგურის ქარხანაც. 1893 წელს **ივანე, სულხან, კონსტანტინე, მიხეილ, ირაკლი, ლევან, დიმიტრი ჭავაჭავაძეებისაგან და დარია ანდრონიკაშვილისაგან** შეიძინეს მამულები 371 დესეტინა ფართობით. 1907 წელს **ზურაბიშვილისაგან** იყიდეს 44 დესეტინა ვენახი, სადაც თითოეულ დესეტინაზე 966 ფუთ ყურძენს იღებდნენ. დეპარტამენტმა ასევე შეიძინა წინანდლის მამულის ახლოს მდებარე **როტინიანცის, თავად ზ.ჭავჭავაძისა და აზნაურავის** ვენახები.

1913 წელს თავადმა **ჩიჯავაძემ**, მდინარე კისისხევის სამხრეთ ნაწილში მდებარე 329 დესეტინა მამული შესთავაზა საუფლისწულო სამმართველოს. საუფლისწულო უწყების განკარგულებით მამულები შეიძინეს დასავლეთ საქართველოშიც, კულაშში, ქუთაისში, აჯამეთში, ზესტაფონში და შორაპანთან **ვაჭევის** მეურნეობა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საუფლისწულო მამულების უწყებამ ღვინის ქარხნის ასაშენებლად შეისყიდა მინის ფართი (მელიქიშვილისა და პეტრიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე). შენობა 1894-1896 წლებში აშენდა, დავით სარაჯიშვილის დაფინანსებით. ქარხანაში განთავსებულ კაპიტალურ სარდაფებში ხდებოდა ღვინის დაძველება, დღემდე აქ ინახება ორსაუკუნოვანი 40 ათასზე მეტი ბოთლი ღვინო, არაყი, ლიქიორი, შამპანური და კონიაკი.

XIX საუკუნეში გორის მაზრაში დიდი ვენახები ჰქონდა **თავად შ. ერისთავს. სოფ. ატენში** მის ზვრებს 40 დესეტინა, ხოლო სოფ. თეზში-50 დესეტინა ეჭირა. დიდი ვენახების მფლობელები ასევე იყვნენ **თავადები: ამილახვარი სოფ.ქვემო ჭალაში, დიმიტრი ქიტიაშვილი სოფ. ხიდისთავში (8,5 დესეტინა), ნიკოლოზ სტეფანოვი და ლევან ოქოაშვილი სოფ. ხიდისთავში (3 დესეტინა) და ა.შ.** XIX საუკუნის ბოლოს გორის მაზრაში ფართოდ ყოფილა გაშლილი ღვინითა და ძლიერი ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა. ჩამოყალიბებული იყო ე.წ. საფეოდალო მამულები, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო ატენ-ხიდისთავის **ერისთავების, ორბელიანებისა** და **ამილახვრების** ზვრები. ამ მხრივ ხეობა ორ ზონად წარმოგვიდგება, რამდენადაც მდ. ტანას მარჯვენა მხარე ეჭირა მებატონე ერისთავს, მარცხენა-ორბელიანს, ხოლო წედისის ხევი მდ. ათრევას აუზი-ამილახვრებს. მიუხედავად იმისა, რომ ატენი ბუნებრივად რთული და სახნავ-სათესი ფართობებით შეზღუდული ხეობაა, აქ მევენახეობა-მეღვინეობა მდიდარ ტრადიციებს ეფუძნებოდა [180, 455].

მევენახეობა-მეღვინეობა განსაკუთრებით ყოფილა განვითარებული პატარა ლიახვის ხეობის ქვედა წელის ბოლო სოფელში-შერთულში. ეს განპირობებული იყო სოფლის განსაკუთრებული მიკროკლიმატური პირობებით. სოფელს კარგი ჭალებიც გააჩნდა, რაც ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა სავენახე სარების წარმოებისათვის. მევენახეობა-მეღვინეობით განთქმული იყო აგრეთვე სოფელი ფლავისმანი, სანაქებო ღვინოთი „დუდური", სადაც ეს

ვენახებია გაშენებული სააგარაკო ადგილს წარმოადგენს და მთელ ქართლ-შია ცნობილი. მევენახეობას მისდევდნენ სოფ. დირბში, ამ სოფელს ქართლში პატარა კახეთსაც ეძახდნენ. აქაური ყურძნის ჯიში „დირბულა" შემდგომში მთელ ქართლში გავრცელებულა. ვაზის ეს ჯიში ადვილად იტანს დაავადებას, მაღალი მოსავლიანობით და შესანიშნავი გემოვნებით გამოირჩევა. ქართლის დანარჩენ ღვინის მწარმოებელი სოფლებში: მეჯვრისხევში, ხიდისთავში, ატენ-ში, მუხრანში, საგურამოში, დამპალაში, თეზი-ოკამში და სხვ. გავრცელებული იყო: გორული მწვანე, შავკაპიტო, ბუდეშური, ხარისთვალა და სხვა ჯიშები [180, 235-241].

კარგი გემოვნების ღვინოებით იყო ცნობილი დიდი და პატარა ლიახვის ხეობები. აქ სამეფო-სადედოფლო ზვრებიც ყოფილა (ცხინვალში). ხეობის მიკრორაიონები მაგალითად თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა ცნობილი იყო ხალ-ისიანი და საამო წითელი ღვინის დაყენებით. ამ ხეობის სოფლებში ძველად გავრცელებული იყო თავკვერი, დანახარული, გორული მწვანე, ბუდეშური, მუხიქერქა და სხვ. [218, 14].

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კაპიტალისტურ ყაიდაზე მოწყობილი მეურ-ნეობა ჰქონდა **ახალი ათონის მონასტერს,** რომლის საკუთრებაშიც იყო 3 898 დეს. მიწა. მონასტერი XIX ს-ის 70-იან წლებში დააარსეს თურქეთიდან ჩამო-სულმა ქართველმა ბერებმა. მათ სულ მალე მონასტრის გარშემო გაუვალი ბუჩქნარი და საძოვარი ძლიერ მეურნეობად გადააქციეს. მათ საკუთრებაში იყო ვენახები-40დესეტინა, ბაღები-107 დესეტინა, ბოსტანი-15 დესეტინა, სახ-ნავ-სათესი-143 დეს, სათიბი-210 დეს. ახალი ათონის მეურნეობაში ყოველწლი-ურად კრეფდნენ 3-5 ათას ფუთ ყურძენს. საფრანგეთის კონსული რუსეთში **ჟაკ ფრანსუა გამბა** აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის ნაყოფიერი მიწები გამოსადეგარი იყო ბამბის, თამბაქოს და ინდიგოს მოსაყვანად. ენდრო და ვაზი აქ ყველგან ველურად იზრდებოდა. რეფორმის შემდგომ პერიოდში აფხაზეთში ვითარდე-ბა კაპიტალისტური ტიპის მევენახეობა, მოსახლეობა ყურძენს ყიდდა ძირით-ადად ბაზარზე, მისი შესყიდვა ხდებოდა ბითუმად, მყიდველები შესყიდული მასალისაგან აყენებდნენ საუკეთესო ხარისხის ღვინოს. აფხაზეთში მევენახეო-ბა-მეღვინეობის განვითარების მასშტაბების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შემდეგი სტატისტიკური მასალა: ყოველწლიურად სოხუმიდან ქერჩში და ანაპაში საშუალოდ გაჰქონდათ 5600 ვედრო ღვინო, ხოლო ბომბორიდან ღვინო გადიოდა ნოვოროსიისკში. კულტურული ჯიშის ვაზების მოშენებას მის-დევდნენ აფხაზეთის მცხოვრებნი: **გერმანი** (ინჟინერ **ატციბუშევის** მამულის მმართველი), **ვაჭარი გოგრიჩიძე, მალანი და პოლკოვნიკი ნიკიტინი.** მათ მიერ დაყენებული ღვინო ადგილზე იყიდებოდა, ბოთლი 60 კაპიკად. XIX საუკუ-ნის 90-იან წლებში აფხაზეთში ვენახის ფართობებს ეჭირა 3117 დესეტინა, საიდანაც 1,456 215 ფუთ ყურძენს კრეფდნენ.

XIX საუკუნის 70-იან წლებში კახეთში ცნობილი მეღვინეები იყვნენ **ჯორჯა-ძეები,** კერძოდ: ალექსანდრე ჯორჯაძე, ი.ე.ჯორჯაძე, ი.ი.ჯორჯაძე, ზ.ა.ჯორ-ჯაძე და ლევან ჯორჯაძე. (ამ უკანასკნელმა 1876 წელს გამოსცა წიგნი მეღვი-ნეობაზე).

ქართული მეღვინეობის განვითარების საქმეში უმნიშვნელოვანესია **ზაქა-**

რია ჯორჯაძის წვლილი. ცნობილი ქართველი მეღვინე, საზოგადო მოღვაწე და წარმატებული მეწარმე, ზაქარია ჯორჯაძე დაიბადა 1847 წელს ყვარლის მაზრის სოფ. საბუეში. მამამისი შეძლებული ოჯახის პატრონი იყო და შვილი სასწავლებლად ავსტრიაში, ვენის მახლობლად, ავსტრიის მეღვინეობის ცენტრში, კლოსტერ-ნეიბურგის უნივერსიტეტში გააგზავნა. ეს სასწავლებელი ერთ-ერთი სანიმუშო იყო დასავლეთ ევროპაში, რომლის დამთავრების შემდეგ ზაქარია ჯორჯაძე მუშაობას იწყებს ვენის მახლობლად ქ. დიუბლინგის ღვინის მარანში, შემდგომ სწავლა ქ.მონპელიეს (საფრანგეთი) უნივერსიტეტში გააგრძელა და 1882 წელს დაბრუნდა სამშობლოში [110, 168-171].

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისი პირველი პრაქტიკული საქმიანობა ივანე მუხრანბატონის მამულებში შედგა, სადაც მან საფრანგეთიდან მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ვენახების გაშენებასა და საქართველოში პირველი ევროპული ტიპის ღვინის ქარხნის დაფუძნებაში. Aმის შემდეგ ზაქარია ჯორჯაძემ მამულში ღვინის მარნის მშენებლობა დაიწყო, 100-ზე მეტი ქვევრი ჩაყარა მიწაში და მეღვინეობისათვის საჭირო მოწყობილობები საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა, გამართა ევროპული ღვინის ქარხანა. როდესაც ამ მეურნეობას ვათვალიერებდი, წერდა მ.ბალასი, ჩვენ თვალს ახარებდა სანიმუშოდ და ფართოდ დაყენებული მეღვინეობის საქმეო. თავადმა ჯორჯაძემ პირველმა დაიწყო კახური ღვინოების დამზადება ევროპული წესით. „იგი ამზადებდა როგორც კახურ, ესე ევროპულ ღვინოებს, მარანში ასევე მოწყობილი ჰქონდა საკონიაკე სპირტების სახდელი ფრანგული შარანტის ტიპის აპარატები. რომელითაც რქაწითელის ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული ღვინისაგან შესანიშნავი საკონიაკე სპირტები მზადდებოდა. მისმა ღვინოებმა „პორტვეინი №95", „კაგორი", „მადერა №85" და ა.შ. 1888-1889 წლებში სხვადასხვა გამოფენებზე უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურა [110, 168-171]. ზ.ჯორჯაძემ აიძულა საფრანგეთი სერიოზული ყურადღება მიექცია კახური ღვინოებისადმი და ისინი თავისი მაღალი თვისებებით დაეყენებინა ბურგუნდიული ღვინოების გვერდით. 1886 წლიდან ზაქარია ჯორჯაძის ღვინის ეტიკეტზე დატანებული იყო რუსეთის გერბი, ორთავიანი არწივი, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი საკუთარი წარმოების ღვინით



КНЯЗЬ ЗАХАРІЙ АЛЕКСАНДРОВИЧЪ
ДЖОРДЖАДЗЕ.

1863.

რომანოვების სამეფო კარს ამარაგებდა. „1889 წელს პარიზში ზ.ჯორჯაძეს გადაეცა უმაღლესი ჯილდო „გრანპრი" ერთადერთ მეღვინეს რუსეთის იმპერიიდან. მან აგრეთვე ოქროს დიდი მედალი დაიმსახურა ბრიუსელის მეღვინეობის მსოფლიო გამოფენაზე [110, 168-171].

1890 წელს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა მას და **მეღვინე შვედ დიკენსონს** გამოუყო 1888, 1889 და 1890 წლების ღვინომასალა, საიდანაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, კუპაჟების საშუალებით, უნდა დაემზადებინათ სამარკო ღვინოები. სამუშაოს შესრულების შემდეგ, ღვინის ნიმუშები გადაეგზავნა სპეციალურ დეპარტმენტს, რომელიც კომისიამ შეამოწმა და დაასკვნა, რომ ჯორჯაძის მიერ დამზადებული ღვინოების ნიმუშები გაცილებით უკეთესი იყო დიკენსონისაზე. ყველაზე საუკეთესოდ კომისიამ მიიჩნია ღვინო „თამარი". 1888 წელს ბრიუსელის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარდგენილი პროდუქციისათვის ზ.ჯორჯაძემ ოქროს მედალი დაიმსახურა.

ზაქარია ჯორჯაძემ, დავით სარაჯიშვილთან ერთად, დიდი შრომა და ენერგია მოანდომა საკონიაკე საქმის განვითარებას, მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა მეპაიეთა საზოგადოება, რომელიც ყურძნისა და ღვინომასალების გარდა, ჭაჭის არაყსა და სპირტებს ყიდულობდა. მეღვინეობასთან დაკავშირებით არცერთი საკითხი არ წყდებოდა ზაქარია ჯორჯაძის გარეშე, რომელიც იმავდროულად სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების ვიცე პრეზიდენტიც იყო. იმისათვის, რომ ღვინოსთან დაკავშირებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულიყო, ზაქარიამ თბილისში, გოგოლის ქუჩაზე, სადგურთან ღვინის ქარხანა გახსნა, სადაც ძირითადად ჩამოსხმა-დაძველება ხდებოდა, ხოლო ღვინის დამზადება და დამუშავება საბუეში მიმდინარეობდა.

ზაქარია ჯორჯაძე სრულიად ახალგაზრდა 1895 წელს 48 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია სოფ. საბუეში, წმ.ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში. მისი საფლავის ქვაზე დატანებულია ეპიტაფია-„აქ განისვენებს მუშა-თავადი ზაქარია ალექსანდრე ძე ჯორჯაზე [110, 168-171].

ჯორჯაძეების დიდ საგვარეულოს გვირგვინს ადგამს თავადი **ალექსანდრე ჯორჯაძე,** სახელგანთქმული მეღვინე, მისი ოჯახის სიამაყეს წარმოადგენდა თეთრი კახური ღვინო გუნაშაური, რომელსაც ასხამდნენ ლიტრიან ბოთლებში, აკრავდნენ ეტიკეტს, ახურებდნენ ჰერმეტულ საცობს და ლუქავდნენ.. ეს ღვინო მზადდებოდა განსაკუთრებული ტექნოლოგიით და, მიუხედავად მაღალი ფასისა, მომხმარებელი არასოდეს აკლდა. გასაბჭოების წლებში ალექსანდრე ჯორჯაძე დახვრიტეს და მოხდა მისი ქონების ექსპროპრიაცია.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ღვინის ცნობილი მწარმოებლები იყვნენ **ანანოვები** (ცნობილი ვაჭრის ალექსანდრე ანანოვის ვაჟები **მურხანი** და **აბგარი**). მათ ქუთაისის გუბერნიაში, სადგურ რიონის ახლოს ჰქონდათ 3 000 დესეტინა საყანე მიწა და ვენახი. ანანოვების მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი მევენახეობა-მეღვინეობა იყო, სადაც 200-მდე დაქირავებული მუშა იყო მუდმივად ჩართული. ანანოვებმა მამულში გააშენეს ევროპული შამპანურის ჯიშის ვენახი. ყურძენს წურავდნენ ქარხნებში (ვარციხე, ფერსათში, ზესტაფონში). საკუთარი ყურძნის გარდა, ისინი ნელი-

წადში 50 ათას ფუთამდე ნაყიდ ყურძენს წურავდნენ. მეურნეობაში იყენებდნენ ევროპიდან შემოტანილ უახლეს მანქანებს. საფრანგეთიდან მოიწვიეს მეღვინე სპეციალისტები. ანანოვებს ღვინის სავაჭროები ჰქონდათ პეტროგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, ოდესაში, ბაქოში, თბილისსა და სხვა ქალაქებში. ანანოვის მამული წმინდა კაპიტალისტური მეურნეობა იყო. 1918 წელს ეს მეურნეობა 3 მლნ მან. იყო შეფასებული (ოქროთი) [187, 175-176].

ანანოვებს ღვინის სარდაფები ჰქონდათ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში **(ვარციხეში, ქუთაისსა და დაბა ყვირილაში)** და ყოველწლიურად მათი ღვინის ქარხნები აწარმოებდნენ 600-700 ათას ლიტრ სუფრის ღვინოს და 150 000 ბოთლ შამპანურს. ანანოვების ცენტრალური საწყობი წარმოადგენდა სამსართულიანი შენობის სიდიდის უშველებელ სარდაფს, რომელიც დაყოფილი იყო რვა განყოფილებად. არსებულ 40 მუხის კასრში გასაყიდად დამზადებული ღვინო ინახებოდა. ასეთივე საწყობები ანანოვს ჰქონდა ბაღდათში, მიწისქვეშა ორსართულიანი შენობის სიდიდის სარდაფში, ღვინო ინახებოდა ორმოცვედროიან ხის ჭურჭლებში, ასევე იტალიელი და ფრანგი სპეციალისტების მიერ აშენებულ, ჰერმეტულად დახურულ ცემენტის აბაზანებში, რომლებშიც თავსდებოდა 15-დან 18 ათას ლიტრამდე ღვინო. ღვინის შესანახი მესამე საწყობი ანანოვს ჰქონდა ყვირილას მიდამოებში. ეს იყო მიწისქვეშა ერთსართულიანი სარდაფი 850 ათასი ლიტრი ღვინოს ტევადობით ცემენტის აბაზანებში და ხის ჭურჭლებში. ანანოვის ღვინის ქარხანა სარგებლობდა საკმაოდ მაღალი რეპუტაციით, რის დასტურიცაა წარმოებული პროდუქციის მიერ მოპოვებული საპატიო სიგელები და ოქროს მედლები.

თავადი ალექსანდრე ჯორჯაძე ოჯახთან ერთად

მ.ანანოვი თავის ქარხნებსა და სარდაფებში ამუშავებდა და აძველებდა მეზობელი წვრილი მევენახეებისაგან შესყიდულ 40-60 ათასამდე ფუთ ღვინოს. ვარციხის მამულებში მევენახეობა-მეღვინეობას განაგებდა სპეციალური სამმართველო 40-45 კაციანი საშტატო პერსონალით. მარტო ვარციხის ღვინის სარდაფებიდან მეწარმეები ყოველწლიურად რუსეთში აგზავნიდნენ 20-30 ათას ვედრო ღვინოს, 30-40 ათას ბოთლ შამპანურს და 60 ათას ბოთლ კონიაკს. მ.ანანოვს ღვინის გასაღების მთავარი კანტორა ჰქონდა თბილისში, საბითუმო სარდაფ-საწყობები და მაღაზიები პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, ბაქოსა და ბათუმში. მ.ანანოვი დიდი ქველმოქმედიც იყო. მან საკუთარი სახსრებით ააშენა სპეციალური სახლი ყრუმუნჯი ბავშვებისათვის, ასევე სხვადასხვა გამოფენებიდან მიღებულ ფულს უშურველად რიცხავდა უსახლკაროებისა და ობლების დახმარების ფონდებში.

ანანოვის მამულის გვერდით, სოფ. ვარციხეში არსებობდა გერმანელი მემამულის, გვარად **მელმანის** ასეთივე ტიპის, ოღონდ ცოტა ნაკლები სიდიდის მეურნეობა. სეზონზე მელმანის მეურნეობაში 500-600 დაქირავებული მუშა მუშაობდა [187, 176].

1876 წელს **გერმანელმა შოტემ** ააშენა სარდაფი, სადაც მოაწყო ცქრიალა ღვინოების წარმოება და იმერეთში გავრცელებული ვაზის ციცქას, ძელშავისა და ცოლიკაურისაგან ღვინოების დამზადება, რომლებმაც მოწონება დაიმსახურა. წარმოება იმ დროისათვის თავისი მასშტაბებით საკმაოდ სერიოზული იყო, რადგან წლიურად ამზადებდა 20 ათას ბოთლს, რომელიც მთლიანად ქართულ ბაზარზე იყიდებოდა. ამ საწარმოთი დაინტერესესდა პრინცი ოლდენბურგი,

Тиражъ или разливка шампанскаго въ бутылки въ присутствіи владѣльца М. А. АНАНОВА.

რომელმაც 1884 წელს შეიძინა შოტეს სარდაფი და ღვინის წარმოება გააფართოვა [111, 181-182].

XIX საუკუნის ბოლოს **პრინც კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგის** ინიციატივით ქუთაისში დაიწყო შამპანურის ტიპის ღვინოების წარმოება. ქუთაისში ბალახვანის (ამჟამად წერეთლის) ქუჩაზე მან იყიდა დიდი ფართობი და გახსნა კონიაკისა და შამპანურის ქარხანა, მოიწვია ფრანგი მეღვინეები და საქმე კარგად ააწყო. ქარხანა წლიურად 200 ათასი მანეთის შამპანურ ღვინოს ამზადებდა. შორაპნის მაზრა წარმოადგენდა ამ ქარხნის საშამპანურე ღვინომასალის მთავარ მიმწოდებელს. წარმოებული პროდუქცია წარმატებით იყიდებოდა რუსეთის იმპერიის მრავალ ქალაქში.. მან ცოლად შეირთო აგრაფინა ჯაფარიძე, ქუთაისში ცოლ-ქმარმა 14 წელი იცხოვრა, ოლდენბურგის მიერ აშენებულ ორსართულიან სახლში ანგლისკაიას ქუჩაზე, რომელსაც მის პატივსაცემად ოლდენბურგის სახელი ეწოდა (ახლანდელი ტაბიძის ქუჩა №20).

შადაც საბჭოთა პერიოდში ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა იყო განთავსებული. იქვე ახლოს (№27-ში), ოლდენბურგმა ააგო ადმინისტრაციული შენობა თავისი მეურნეობისთვის, რომელშიც ქუთაისის დატოვების შემდეგ, ქუთაისის გუბერნატორები ჩერდებოდნენ.

XIX საუკუნის ბოლოს ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებმა **ბიბიკოვმა** და პრინცმა გახსნეს ახალი ქარხნები, სადაც კონიაკი ფრანგული ტექნოლოგიით დაამზადეს. 1902 წელს ბიბიკოვის ქარხანა ოლდენბურგმა შეიძინა და განაახლა სპირტების გამოხდა, ხოლო 1904 წელს ააშენა კონიაკის შესანახი სარდაფი [111, 181-182].

XIX საუკუნის ბოლოს საუკეთესო ღვინოს აწარმოებდა ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფ. ასკანაში **სოლომონ ჭეიშვილი**. მან კომერციული საქმიანობა თხილით ვაჭრობით დაიწყო, სოფ.ფიჩხიჯვრიდან გლეხების მთელი მოსავალი გაჰქონდა ტრაპიზონში და ვლადიკავკაზში, სადაც დიდი მოთხოვნა იყო. თურქეთში თხილი ახალციხის გავლით გაჰქონდა. ღვინის წარმოება განიზრახა. საქმის შესასწავლად საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც ქ. ბორდოში და

შამპანის პროვინციაში ორი წელი დაჰყო. სწავლის პერიოდში დაეუფლა მეღვინეობა-მევენახეობას, გაიარა პრაქტიკული მეცადინეობანი. სამშობლოში დაბრუნების წინ იქვე შეიძინა მუხის კასრების ტკეჩები, ყურძნის წნეხი, შეუკვეთა ბოთლი და ეტიკეტი და ეს ყველაფერი გემით, მარსელიდან ბათუმის გავლით ასკანაში ჩამოიტანა. თავის სახლში მოაწყო მარანი და ხელი მიჰყო ვაზის გაშენებასა და ღვინის დამზადებას. ერთმანეთს შეუხამა ქართული და ევროპული წესით თვინის დამზადება და ღვინოს „ძმები ჭეიშვილების" მარკით ყიდდა, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ: ტრაპიზონში, ვლადიკავკაზში, ოდესაში და თვით საფრანგეთშიც, სადაც ბევრი ნაცნობი და კოლეგა ჰყავდა. სოლომონ ჭეიშვილი საკუთარე სავაჭრო სახლებს ფლობდა თბილისში, ოდესაში, მოსკოვში, ვლადიკავკაზში [112, 172-175].

პრინცი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგი

სოლომონ ჭეიშვილი-ასკანელი მეღვინე
წყარო: საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მხრივ საქართველოს დანარჩენ კუთხეებს არ ჩამოუვარდებოდა აჭარა. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი **ვახუშტი ბატონიშვილი** ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში წერდა: "და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა. აქ არს ვენახი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან სუნიანი მრავლად" [82, 134-176].

XIX საუკუნის ბოლოს აჭარის მთიანეთში უმოგზაურია ქართველ მწერალს და ეთნოგრაფს **თედო სახოკას**, რომელიც წერდა:„აქ დაბლარი არ იციან, სულ მაღლარია, როგორც გურია-სამეგრელოში" [206, 222].

თედო სახოკიას აჭარაში 17 სახელწოდების მაღლარი ვაზის ჯიში აღურიცხავს, ხოლო ივანე ჯავახიშვილს ოცდათხუთმეტზე მეტი. მაღლარი მევენახეობის განვითარებას აჭარაში ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებიც უწყობდა ხელს. მცირემიწიანობისა და მთაგორიანობის პირობებში, საუკეთესო მიწები მთლიანად მემინდვრეობას ეთმობოდა და ასეთ მიწებზე დაბლარი ვენახი ვერ გაშენდებოდა. დაბლარისათვის ვერც აქაური მკაცრი და ყონვიანი ზამთარი იქნებოდა ხელსაყრელი, მაღლარის ჯიში კი ასეთ პირობებს ადვილად იტანდა [201, 313].

1880 წელს გურიის სოფელ ასკანაში მშვენიერი მარანი გაუმართავს **ანთიმოზ ჩხაიძეს.** როგორც ჩანს, იგი წინაპრების მიერ დაგროვილი გამოცდილებით საუკეთესო

ღვინოს ამზადებდა, მის მიერ წარმოებული ღვინოები საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში იგზავნებოდა. დღეს ანთიმოზ ჩხაიძის დაწყებულ საქმეს კომპანია „ძმები ასკანელები" ღირსეულად აგრძელებენ.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში საეკლესიო ღვინოს ამზადებდა **ვლადიმერ დანელია**. მისი კომპანია 1907 წლიდან ფლობდა მაღაზიების ფართო ქსელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე ღვინის ქარხანას ბათუმში. კომპანიის პროდუქცია რუსეთსა და სხვა ქვეყნებში საზღვაო გზით ბათუმის სავაჭრო ნავსადგურიდან იგზავნებოდა. მეწარმე საეკლესიო ღვინოებს ამზადებდა და საგვარეულო ტექნოლოგია ჰქონდა შემუშავებული. საეკლესიო ღვინომასალას იგი თაფლითა და ფუტკრის ფიჭით ამუშავებდა. 1913 წელს ბათუმში ჰქონდა 30-მდე სავაჭრო ობიექტი, ამის გარდა ობიექტები ჰქონდა ხოფაში, რიზეში, ტრაბზონში. ვლადიმერ დანელიას მინიჭებული ჰქონდა მრეწველის და დიდი გილდიის ვაჭრის ტიტული [108, 178].

XIX საუკუნის ბოლოს ბაღ-ვენახები უხვად ყოფილა გორში. გარჯით ეკიდებოდნენ შრომატევადი ვენახების მოვლა-დამუშავებას. ყურძნის მრავალსახეობებს აწარმოებდნენ: საფერავი, გორული მწვანე, თაკვერი, ადრეული, რქაწითელი, ბუდეშური, ჩინური, ხარისთვალა, ქიშური, თითა და ა.შ. საშუალოდ ერთი დესეტინა ვენახი ორი ათასად ფასობდა. წლიურად ამ ფართობის დამუშავება 150 მან. ღირებულა... ღვინოს სხვადასხვა ტევადობის ქვევრებში ინახავდნენ. **ზუბალოვის** და **ხითაროვის** ქვევრები 360 ვედრომდე ღვინოს იტევდა. დადუღების შემდეგ ღვინოს ხის კასრებშიც ინახავდნენ. ამით და რუმბებით ხდება მისი გადაადგილება. პატრონები ღვინის მოსავლის ერთ მესამედს თუ იყენებდნენ საკუთარი მოთხოვნილებისათვის, დანარჩენი ან ადგილზე ან თბილისში იყიდებოდა. ღვინის საშუალო მოსავალი დესეტინიდან 40 კოკა 280 ვედრო (400 ყუთი) არისო. ვედრო ღვინის საშუალო ფასი 1 მან, თუნგი (5 ბოთლი) 60 კაპ. ღირდა. ფუთი ყურძენი 1 მან. და 40 კაპ. ღირდა. ვენახებს სარს უყენებდნენ. ვენახის რაიმე შეწამვლები გორში არ ყოფილა. 1 დესეტინა ვენახიდან მეპატრონეს რჩებოდა დაახლოებით 130 მან. მოგება [62, 3-4].

XIX საუკუნის საქართველოში მევენახეობა მეღვინეობა საეკლესიო სამონასტრო მეურნეობის დარგსაც წარმოადგენდა. დავითგარეჯის, შიომღვიმის, ქვათახევის, ბეთანიის, არჩილის ლავრის მონასტრების მამულებში ვენახებს მეზვრეები ამუშავებდნენ სანახევროდ. მოსავლის აღებაში ბერები იღებდნენ მონაწილეობას და კუთვნილ ტკბილს მონასტრის მარნებში ასხამდნენ, რომელიც ყველა სამონასტრო ზვარში იყო. ასეთი მარნები იყო ხაშმში, საგარეჯოში, ნინოწმინდაში, ძეგვში, იდლეთში, კავთისხევში, დიღომში და სხვაგან. იდლეთის ლავრის მონასტრის ზვარს მრავალი წლის განმავლობაში **მათია (ტილურა) ჯანჯალაშვილი** უვლიდა და კარგი მეზვრის სახელითაც სარგებლობდა [218, 256].

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას საქართველოში თან ახლდა **სპირტის გამოხდაც**, რაც თავდაპირველად შინამრეწველური მეწარმეობის დარგს წარმოადგენდა, მოგვიანებით კი უფრო მსხვილი წარმოების სახე მიიღო. სპირტის შინამრეწველობის მასშტაბებზე ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მასალა მეტყველებს:

წლები	სპირტსახდელი დანადგარების რიცხვი	საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (ვედროებში)
თბილისის გუბერნია			
1894	334	2638	134935
1895	712	2590	89948
1896	562	1929	124064
1897	420	1486	122260
1898	475	1564	100203
ქუთაისის გუბერნია			
1894	717	2320	55899
1895	637	2070	53875
1896	399	1395	25334
1897	437	1480	55056
1898	376	1315	57778

XIX საუკუნის საქართველოში ღვინის, არყის, სპირტის და კონიაკის სამრეწველო წარმოების განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა მათი შესანახი და ყურძნის ბაზარზე გასატანი, გადასაზიდი ჭურჭლის დამზადების აუცილებლობა. მაშინდელი საქართველოს გზებს თუ გავითვალისწინებთ, ყველაზე იოლად გადასაზიდი და მოსახერხებელი რუმბები და ტიკები იყო, არ ტყდებოდა და იოლი იყო მისი ურმებით გადაზიდვა, ამიტომ ღვინო რუმბებითა და ტიკებით, ხოლო არაყი ტიკჭორებით გადაჰქონდათ. ღვინის წარმოების გაფართოებამ და ბაზარზე მოთხოვნილების ზრდამ ნამოჭრა განსხვავებული ჭურჭლეულის დამზადების აუცილებლობა.

1822 წლის ზაფხულში ინგლისელ მოგზაურს **რობერტ ლაიელს*** უმოგზაურია საქართველოში, რის შესახებაც მოგვითხრობს: „ტფილისის ქუჩებში სიარულისას გაგვაოცა კამეჩების, ტახებისა და თხის წამომჯდარმა, ნამდვილად სავსე ტყავებმა და ვიხალისეთ, როცა ვნახეთ თუ როგორ ჩამოასხმადნენ ამ სათავსიდან მშვენიერ კახურ ღვინოს. ადგილობრივები ამ მხარეში ღვინოს ინახავენ მიწაში ჩაფლულ უზარმაზარ თიხის ჭურჭელში, ხოლო გადატანისას

* **რობერტ ლაიელი**-შოტლანდიელი ბოტანიკოსი და მოგზაური, (1789-1831), 1822 ლის აპრილ-აგვისტოში, როგორც ექიმი და მდივანი ახლდა მარკიზ პუჩის, გრაფ სალაზარს და ედუარდ პენრინს რუსეთის სამხრეთ პროვინციებში. ჩნობები თბილისის შესახებ მოცემულია მის წიგნში „მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში."

(ტრანსპორტირებისას) იყენებენ ამ ტყავებს. მათი ბეწვიანი მხარე გაპოხილია ნავთით და შიგნითაა შებრუნებული. ეს ღვინოს აძლევს უსიამოვნო არომატს და გემოს, რასაც ქართველები შეჩვეულნი არიან, მაგრამ საკმაოდ არასასიამოვნოა უცხოელთათვის. ასე დამზადებულ ტყავებს უწოდებენ „ბურდუკს" (საუბარია რუმბებსა და ტიკებზე). კასრებს სრულებით არ იყენებენ, მცირედ ბოთლებს. ეს უკანასკნელი ექვს ან რვამაგად მეტი ღირს ღვინოზე. გენერალმა **ჰოფენმა** გვითხრა, რომ ხშირად უფიქრია ტფილისის ახლოს ბოთლების მანუფაქტურის დაარსებაზე, მაგრამ ვერ მოძებნეს ამ საქმისათვის საჭირო კარგი სილა. ღვინოს აქ ჰყიდიან თუნგობით, ესაა დაახლოებით შვიდი კარგი ზომის ბოთლი. ერთი თუნგი ჩვეულებრივი კახური ღვინო ღირს 60-80 კაპიკი, ხოლო საუკეთესო 100-120 კაპიკი, ე.ი. შვიდი ბოთლი იყიდება 6 პენსიდან 1 სტერლინგამდე, ამდენად არაა გასაკვირი, რომ ხალხი რეგულარულად სვამს ღვინოს, როგორც ინგლისელები პორტვეინს" [46, 323].

XIX საუკუნის 50-იან წლებში პენზისა და კრასნოდარის მხარიდან საქართველოში ჩამოიყვანეს მეკასრე ხელოსნები. ასეთი სახელოსნოები გაიხსნა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში. 1894 წლის „Вестник виноделия"-ს ფურცლებზე ვკითხულობთ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ პერიოდის საქართველოში ხის კასრები ღვინის გადასაზიდი ყველაზე გამოყენებადი ჭურჭელი ყოფილა. იქვე აღნიშნულია, რომ არყის და ღვინის ქარხნების მეპატრონეებს ჰქონიათ საკუთარი საკასრე სახელოსნოები, მაგალითად სიღნაღში-სტეფანოვს,



„ოფიცერი" ალეთოფიტეს ბიბლიოთეკიდან ალეგორია ეკლესიის იერუსალიმი: ხელნაწერი ფურცელი XIII საუკუნიდან

თელავში-გუკასოვს, მუხრანში-ი.მუხრან-ბატონს, ა.სოლომონოვს, ს.მელვინოვს და სხვებს. საკასრე სახელოსნო ჰქონია დავით სარაჯიშვილსაც.

კონიაკისთვის კასრებს ამზადებდნენ სპეციალურად შერჩეული მუხისაგან. კასრს მუხის მერქნისათვის დამახასიათებელი სურნელება რომ შერჩენოდა, მას არ უტარებდნენ ორთქლში გამოხარშვის და დამდუღვრის ოპერაციებს. რაც შეეხება ყურძნის ბაზარზე გატანას, XIX საუკუნის საქართველოში მის მრავალი საინტერესო წესი ყოფილა. ერთ-ერთის თანახმად თბილისის ახლოს მცხოვრები მეზვრე-მებაღეები მოსავლის შემოსვლის დროს ჩალვადრად აიყვანდნენ ჯამაგირით საშოვარზე მოსულ მუშას ან ადგილობრივ ახალგაზრდას. მის მოვალეობას შეადგენდა, მეზვრე-მებაღესთან ერთად მოემზადებინა ბაზარზე გასატანი საპალნე, ანუ მოეკრიფა ყურძენი, გადაერჩია და გოდრებში ჩაელაგებინა, შემდეგ სახედრისთვის აეკიდებინა და მიეტანა ბაყალთან, რომელიც თითო საპალნეში თითო შაურს აძლევდა საჩუქრად, (იგივე „საჩალვადროს"). XIX საუკუნის საქართველოში ღვინის შემსყიდველის ტიპიური მაგალითი იყო სირაჯი. მათი თავშეყრის ძირითადი ადგილი თბილისი იყო, სარდაფები განლაგებული ჰქონდათ ქალაქის თითქმის ყველა უბანში.

თბილისელ სირაჯებს ღვინო და არაყი შემოჰქონდათ ქართლიდან, კახეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. სირაჯებით ცნობილი იყო აღმოსავლეთ საქართველოც: თელავი, სიღნაღი, გურჯაანი, გორი და ცხინვალი.



წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"



კასრების სახელოსნო წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

ს.ტიმოფეევის ცნობით თბილისის გუბერნიაში 1890 წლისათვის სირაჯებს ჰქონდათ კარგად ორგანიზებული კავშირები. სოფელში მისული სირაჯები დადიოდნენ ეზო-ეზო, სინჯავდნენ და აფასებდნენ ღვინოს, აწარმოებდნენ ჩაწერას და ვაჭრობდნენ, სანამ სასურველ დონემდე არ დაიყვანდნენ ფასს.

რაც შეეხება ღვინის შესანახ ჭურჭელს, ქვევრი წარმოადგენდა უძველეს ქართულ ორიგინალურ საღვინე ჭურჭელს საქართველოში. ღვინის სპეციალისტი **გ.ლენცი,** რომელიც ემსახურებოდა ადგილობრივი ტრადიციების და ვაზის ჯიშების ევროპულით შეცვლის პოლიტიკას საქართველოში, 1846 წელს აღიარებდა ქართული ქვევრის უპირატესობას ევროპულ კასრებსა და ჩანებთან შედარებით. მექვევრეობით განთქმული ყოფილა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოფლები: საირმე, ცხავათი, უწლევი, ანაგა, ბოდბისხევი, ჩხიროულა და სხვ. XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში მექვევრეობით განთქმული ყოფილა სოფელი ანთოკი (კახეთში), რასაც მოწმობს თავად ჯორჯაძის ცნობა: როგორათაც უწინდელს, ეგრეთვე ახლანდელს დროებში, თფილისის უეზდში სართიჭალის უჩასტკაში სოფელ ანთოკში გაკეთებული ქვევრი ყველა სხვა ადგილების ქვევრზე კარგი გამოდის და ვისაც ამ ადგილიდან აქვს წაღებული ქვევრი, იგინი ყველანი კმაყოფილნი არიან და ამბობენ, რომ ღვინოს კარგ'ად და დიდხანს ინახამსო.

XIX საუკუნის ბოლოს ღვინის, სპირტის, არყისა და კონიაკის ქარხნებში ფართოდ გამოიყენებოდა მინის ჭურჭელიც. მინის ბოთლებში სარეალიზაციოდ გამზადებულ მზა პროდუქტს ასხამდნენ. ისინი ზომით ვედროს 1/40, 1/20, 1/16, 1/10, შეადგენდნენ. 1882 წელს ბორჩალოს მაზრაში ამოქმედდა კუჩენბახის მინის დიდი ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად 300 ათას ღვინის ბოთლს ამზადებდა და სრულიად აკმაყოფილებდა იმ პერიოდის საქართველოს ბაზრის მოთხოვნებს.

კახეთში, სოფელ რუისპირში, გერმანელ **ლენცს და კომპანიას** ჰქონდათ ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი ღვინის დიდი ქარხანა. უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ უცხოელი მეწარმეების სხვადასხვა საქმიან წამოწყებათა შესახებ XIX საუკუნის საქართველოში. ისინი ან თვითონ იყვნენ კონკრეტული დარგის პროფესიონალები, ან უცხოეთიდან იწვევდნენ ოსტატებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში დიდი ხნით რჩებოდნენ საქართველოში, აოსტატებდნენ ადგილობრივ მუშახელს და ფასდაუდებელ საქმეს აკეთებდნენ ქვეყნის მწარმოებლური პოტენციალის გაზრდაში.

მევენახეობა-მეღვინეობას მისდევდნენ საქართველოში მცხოვრები **გერმანელი კოლონისტებიც**. ვენახების გაშენებას მათ ჩამოსახლებისთანავე მიჰყვეს ხელი (XX საუკუნის 20-იანი წლები) მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურის დამუშავების ტრადიციული ცოდნა არ გააჩნდათ, მთელი კოლონიის ვენახები ერთად იყო თავმოყრილი, ცალკეული ოჯახების ნაკვეთები გამოყოფილი იყო კვლებით. კოლონისტებმა ძირითადად ქართული ვაზის ჯიშები გააშენეს, ქართული სახელწოდებები მათ პირდაპირ თარგმნეს თავის ენაზე. გაშენებულ იქნა ე.წ. „სპარსული“ ჯიშის რამდენიმე სახეობაც, მხოლოდ სახილედ. XIX ს-ის 50-იან წლებში გერმანელმა კოლონისტებმა გააშენეს ევროპული ჯიშებიც: მუსკატი, მადერა, იზაბელა. ქართველებისაგან შეისწავლეს ვენახების გაშენ-

ება-დამუშავების წესები. ღვინის დასაყენებლად გერმანელი კოლონისტები იყენებდნენ ადგილობრივისაგან განსხვავებულ ჭურჭელს-ხის კასრებს და როფებს. ვენახებს ძირითადად თვითონ ამუშავებდნენ, ამაში მონაწილეობას იღებდა ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრი რთველი ზეიმად იქცეოდა ხოლმე, სკოლები იხურებოდა, კოლონიის მთელი მოსახლეობა ვენახებში მუშაობდა. თავდაპირველად ყველა სახეობის ყურძენს ერთად წურავდნენ, რაც იწვევდა ღვინის ხარისხის გაფუჭებას. შემდგომ ეტაპზე დაიწყეს ყურძნის ჯიშების გამორჩევა და ცალ-ცალკე დაწურვა. ღვინოს წურავდნენ შემდეგნაირად: დიდ როფზე დგამდნენ უფრო მომცრო გადასატან როფს, რომელსაც ქვემოთ ნახვრეტი ჰქონდა წვენის გამოსასვლელად. პატარა როფში ყრიდნენ ყურძენს და წურავდნენ შიშველი ფეხებით, მოგვიანებით კი სპეციალური, ლურსმნით შემოჭედილი იუფტის ჩექმებით. შავ ყურძენს უფრო გულდასმით წურავდნენ ფერის გამოსაცემად, რადგან ბაზარზე მუქი ფერის ღვინო მეტად ფასობდა. დიდ როფში ჩასულ წვენს უმატებდნენ ჭაჭას, ხოლო პატარა დასაწური როფი გადაჰქონდათ მეორე დიდ როფზე, სადაც თავიდან იწყებოდა ეს პროცესი. როფებში მაჭარს 2-3 დღეს გულდასმით ურევდნენ, აჩერებდნენ კიდევ 3-4 დღე, ვიდრე ჭაჭა ზემოთ არ ამოიწევდა. დიდი როფების ფსკერზე გაკეთებული ნახვრეტიდან სითხეს სპეციალური ხის ჭურჭლით ასხამდნენ სარდაფში მდგარ კასრებში, სადაც ღვინოს გაჩერება ხდებოდა ადუღებამდე. კასრებს საცობის ნაცვლად ადებდნენ სპეციალურად შეკერილ ქვიშით სავსე პატარა ტომრებს. დუღილის დამთავრების შემდეგ კასრებს პირამდე ავსებდნენ და ჰერმეტულად ხურავდნენ. ასე ტოვებდნენ იანვრამდე, შემდეგ ღვინოს ახალ კასრებში გადაიღებდნენ და უკვე მზად იყო გასაყიდად. ჭაჭისაგან გერმანელი კოლონისტები არაყს ხდიდნენ, ასევე გასაყიდად. XIX ს-ის 80-იან წლებში ზოგიერთმა გერმანულმა კოლონიამ თბილისში საკუთარი ღვინის სავაჭრო სარდაფები გახსნა.

მაზრები	მევენახეთა რიცხვი	ყურძნის მოსავალი (ფუთებში)	მიღებული ღვინის რაოდენობა (ვედროებში)
სიღნაღისა	11 745	355 750	272 800
თელავისა	7 663	279 750	235 700
დუშეთისა	1 800	33 860	29 650
თიანეთისა	525	300	200

წყარო: „სახალხო გაზეთი". 1920. 7 მაისი №819

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ვაზისა და ღვინის რაოდენობის ზრდას ცალკეულ გერმანულ კოლონიებში XIX ს-ის მეორე ნახევრის 4 სხვადასხვა წლის მიხედვით:

	წლები	სულ							
		ალექსანდერსდორფი	მარიენფელდი	პეტერსდორფი	ეკატერინენფელდი	ფრაიდენტალი	ელენენდორფი	ანენფელდი	ელიზავეტალი
ვაზის	1853	34050	110200	28800	196600	371600	15300	216300	41800
რაოდენობა	1863	41600	113400	26600	345600	717099	22850	259500	67320
(ცალობით)	1870	47400	128265	31400	308600	866100	43700	481000	88980
	1873	42600	133475	46400	321900	905600	45000	481000	90780
მიღებული	1854	2113	7374	-	26880	97700	-	37350	7290
ღვინის	1863	6350	16200	7150	59620	58100	2050	57100	1400
რაოდენობა	1870	3700	17750	6400	72960	146400	4230	137000	5490
(თუნგობით)	1873	1900	18650	6600	66010	164600	3680	135000	3910

სასტამბო საქმე საქართველოში
(XIX ს. –XX ს. დასაწყისი)

XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში წინ წავიდა სამკინძაო საქმის, პოლიგრაფიული საწარმოების და სტამბების ჩამოყალიბება-განვითარება. ამ პერიოდში თბილისში, შედარებით მსხვილი სახაზინო სტამბების გარდა, ხუთიოდე უცხოელი ოსტატის და რამოდენიმე ადგილობრივი ხელოსნის სამკინძაო საწარმო იყო. მართალია, შეგირდების და ქარგლების რაოდენობა ამ საწარმოებში ერთეულებს წარმოადგენდა, მაგრამ საქალაქო ცხოვრების ზრდასთან ერთად, იზრდებოდა მოთხოვნა ამ საქმეზეც. წვრილ სამკინძაოთა გვერდით ჩნდება შედარებით მსხვილი სახელოსნოებიც, სადაც დასაქმებული იყო 6-8 მუშა. საგამომცემლო საქმე ერთობ შემოსავლიანი აღმოჩნდა, მაგალითად 1892 წელს გაზეთ **„ივერიია"**-ს მთელი წლით გამოწერა 10 მან. ჯდებოდა, საზღვარგარეთ მიწოდება 17 მან. 1896 წელს გაზეთ **„ცნობის ფურცელი"**-ს მთელი წლით გამოწერა 6 მან. ჯდებოდა, ნახევარი წლით 4 მან, სათითაო ნომრის გასაყიდი ფასი კი 3 კაპ. იყო. ყოველდღიური გაზეთი **„სახალხო საქმე"** თვიურად ღირდა 75 მან. ერთი ნომრის შეძენა 3 კაპ. დასახელებულ გაზეთში საჭირო განცხადებას პირველ გვერდზე 5 მანეთად დაგიბეჭდავდნენ, მეოთხე გვერდზე 4 მანეთად. ყოველთვიურად ჟურნალ **„მოამბე"**-ს გამოწერა 1 წლით რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში ჯდებოდა 10 მან, საზღვარგარეთ მიწოდება- 13 მან. სამეცნიერო-სალიტერატურო გაზეთის „კვალი"-ს გამოწერა 1 წლით ადგილობრივ 7 მან. ღირდა, საზღვარგარეთ მიწოდება 8 მან. საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი" 1897 წელს თბილისში დატარებით ღირდა 4 მან, თბილისს გარეშე გაგზავნით 5 მან, ცალკეული ნომრის შეძენა თბილისში 50 კაპიკად შეეძლოთ. დამდეგი 1897 წლისათვის მომზადდა საქართველოს კალენდარი დასურათებული მრავალი ნახატით და ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათებით, რომლის ღირებულება 5 მან. განისაზღვრა. ამას ემატებოდა შეკვეთები კერძო მეწარმეებისაგან, დამზადებული პროდუქციის

ეტიკეტებისა და სარეკლამო ბროშურებისათვის, და ა.შ.

1870 წლისათვის ადრე არსებული პოლიგრაფიული საწარმოებიდან სამი შემორჩა, მათ შორის იყვნენ: **კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის და როტინიანცის** სტამბები. უკრაინელი პოეტისა და მთარგმნელის **გნედიჩის** ცნობით, XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისში 17 სამკინძაო სახელოსნო და სტამბა-ლითოგრაფია ყოფილა-407 მუშით და 358 ათასი მან. გამოშვებული პროდუქციით. თბილისის გუბერნიაში გნედიჩი 10 ნვრილი სტამბის არსებობაზეც მიუთითებს, სადაც მუშაობდა 69 მუშა, პროდუქციის ღირებულება კი 36 ათას მან. შეადგენდა. მათ შორის იყვნენ **ფელდშტეინის, ნამურაზოვის, ხაჩატურიანის და ცომაიას** სამკინძაოები, **დიუსტერდიკის, შახბაზიანცის, იაკშატის, პეტროვის, ხელაძის** საწარმოები, სადაც 5-12 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქცია 4-9 ათას მანეთს შეადგენდა. ამავე მასშტაბის საწარმო იყო **მადერის** ასოთჩამომსხმელი საწარმო, სადაც 53 მუშა მუშაობდა, პროდუქციის მოცულობა კი 42 400 მან. შეადგენდა. ზოგიერთ მათგანში ხელის მანქანებთან ერთად მექანიკური ძრავის გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი. შედარებით მსხვილი სამკინძაოები ეკუთვნოდათ **აკოპოვს, პასეგოვს და რეგერისს**, 10-15 მუშით და 4-10 ათასი მან. პროდუქციით.

თბილისში, ქაშუეთის ჩასახვევში, წმინდა გიორგის ქუჩაზე ბუკინისტები ვაჭრობდნენ, მათ შორის ცნობილი იყო **სოსიკო მერკვილაძის** მაღაზია „ცოდნა".

იმავე პერიოდში ქუთაისის გუბერნიაში 17 ასეთი საწარმო არსებობდა 124 მუშით და 73 ათასი მან. პროდუქციით. ბათუმში ასეთ საწარმოებს წარმოადგენდა **მახარაძის** სტამბა 7 მუშით და 26 ათასი მან. პროდუქციით და **თავ-**



ართქილაძის სტამბა 3 მუშით და 3 ათასი მან. პროდუქციით.

მიხეილ გაჩეჩილაძეს 1893 წელს ბათუმში დაუარსებია ქართული ბეჭდვის ამხანაგობა „გლეხი", ხოლო 1895 წელს მასვე სტამბა და წიგნების მაღაზია დაუფუძნებია ზესტაფონში. ამ დროიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში". 1907 წელს მიხეილ გაჩეჩილაძე აფუძნებს საქართველოში პირველ „ჟურნალ-გაზეთების აგენტურას", აქ მომუშავე აგენტების მეშვეობით ავრცელებდა ჟურნალ-გაზეთებს. საკუთარ სტამბაში მას 200 დასახელების წიგნი და უამრავი დასახელების ჟურნალ-გაზეთი დაუბეჭდავს.

XIX საუკუნის ბოლოს თბილისის მაღაზიები რუსულ, დასავლეთევროპულ და ქართულენოვან ლიტერატურას აწვდიდნენ მკითხველს.

1896 წელს თბილისში წიგნების მაღაზიები ჰქონდა **კ.ბეგიჩევს**, რომლის საკუთრებაშიც მაღაზია 1890 წელს გადასულა, მანამდე კი **ბერენშტამის** მფლობელობაში იყო. აქ იყიდებოდა კავკასიისმცოდნეობასთან დაკავშირებული უახლესი რუსული და უცხოური ლიტერატურა, ხდებოდა ხელმოწერა რუსულ და უცხოენოვან ჟურნალ-გაზეთებზე. მაღაზია მდებარეობდა გოლოვინის პროსპექტზე. აქვე მდებარეობდა „წიგნების ცენტრალური სავაჭრო" და „ბიბლიის საზოგადოების" წიგნების მაღაზიები.

გოლოვინის პროსპექტზე მდებარეობდა აგრეთვე **ხიდდეკელის** წიგნების მაღაზია, 1888 წლიდან კი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" და „სომხური წიგნის გამავრცელებელი თბილისის საზოგადოების" მაღაზიები. მიხაილოვის ხიდზე 1870 წლიდან მდებარეობდა „ქართული გამომცემლობის ამხანაგობისა" და **ზ.გრიქუროვის** წიგნების მაღაზიები.

XIX საუკუნის ბოლოს ინგლისელმა ქართველოლოგებმა **მარჯორი** და **ოლივერ უორდროპებმა**, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობის შთაბეჭდილებები დღიურებში ასახეს, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ოზურგეთში ისინი ყოფილან ცნობილი მესტამბის **კ.თავართქილაძის** წიგნის მაღაზიაში და შეუძენიათ ისეთი წიგნები, რაც თბილისში ვერ ეშოვათ.

1852-1853 წლებში, გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით, თბილისში, **პატკანოვის სტამბაში,** იბეჭდებოდა ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნა-

ლი „ცისკარი“, როგორც „ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი“, ხოლო 1857-1875 წლებში, ივანე კერესელიძის ხელმძღვანელობით, როგორც „ქართული სალიტერატურო ჟურნალი იბეჭდებოდა ჯერ **მ.მარტიროსიანის** და შემდეგ **ექვთიმე ხელაძის** სტამბაში.



1898 წელს პოლიგრაფიული წარმოების მსხვილი სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბება სცადეს ბაქოელმა პირველი გილდიის ვაჭრებმა **გ.ტუმაევმა, ი.ადამოვმა** და სხვებმა. მათ შემუშავებული ჰქონდათ „კავკასიის ქაღალდის პირველი ფაბრიკის“ სააქციო გაერთიანების პროექტი 500 ათასი მან. ძირითადი კაპიტალით. საზოგადოება იმავე წელს დამტკიცდა, მაგრამ დამფუძნებლებმა არ შეასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

1902 წელს გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს ასეთი შინაარსის განცხადებას: „ამხ.**ვერმიჩევი და კარმენმახერი**, ღირს-ქმნილნი თავისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის მედალისა და გაზეთ „Тифл.Лист“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა, აუწყებს ყველას, რომ მიხ-ეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაპმართა სტამბა და სახაზავი, რომელნიც მოწყობილია ტექნიკის ყოველ მოთხოვნილებასა თანახმად და ამიტომ შეეძლება ყოველგვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურს ენაზედ“ [96].

„XX საუკუნის 20-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ფუნქციონირებდა **ნ.ხვიჩიას, ე.მახარაძისა, გ.თავართქილაძის და სხვათა** სტამბები, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში, თელავში, სოხუმში და ა.შ. მათ შორის 16 მანქანურად იყო მოწყობილი. ისინი 900-მდე მუშით 750 ათასი მან. ღირებულების სამუშაოს ასრულებდნენ [136, 319].

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში პოლიგრაფიულ საწარმოებს აშუშავებდნენ **ხ.მ.შმაევსკი, დ.ლ. კაპელი, ნ.ი.ხვინგელია, გ.ს.თავართქილაძე, გ.ი. პუტკინი.** მარტო ხ.მ.შმაევსკის ტიპოგრაფიაში 32 მუშა იყო დასაქმებული, მაგრამ პოლიგრაფიული საწარმოების მუშათა რიცხვის დადგენა რამდენადმე ძნელდება, იმის გამოც, რომ ხშირად ბევრი მუშა, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანები სიაში არ შეჰქონდათ [227, 78].

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმ-

ნა საქართველოში პოლიგრაფიული საწარმოების საქმიანობას, კვალიფიციური კადრების დიდი ნაწილი მოქმედ არმიაში გაიწვიეს, გაჭირდა ქაღალდის მიღება, შემცირდა ალკოჰოლურ სასმელებსა და მინერალური წყლების ეტიკეტებზე მოთხოვნა. ერთადერთი შემოსავალი სამხედრო უწყებების დაკვეთების შესრულება იყო.

1914 წლის ნოემბრისათვის თავიანთი წარმოება შეამცირეს „ლიბერმანის ადა კომპანიის " საწარმომ, რომელშიც მუშათა რიცხვი 55-დან 25-მდე შემცირდა, წარმოება კი 50%-ით. **გ.ი.დემუროვის** ხრომოლიტოგრაფიაში 34 მუშიდან 19 მუშა დარჩა, **ს.ი.ბიხოვის** საწარმოში 26 მუშიდან 18, **კ.ი.მესხიევის** ტიპოგრაფიაში 25 მუშიდან 17 დატოვეს. აღნიშნულმა სტამბებმა მუშაობა შეამცირეს. ისინი უკვე არ ღებულობდნენ დაკვეთებს ღვინის, არყის, თამბაქოს ეტიკეტებზე [227, 79].

1917 წელს აფხაზეთში **ახალი ათონის მონასტრის სტამბა და სამკინძაო** სოხუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ხელში გადავიდა. ომის წლებში ამუშავდა **ა. მთვარელიძის** ქაღალდის ფაბრიკა, შეფერხებებით განაგრძობდა მუშაობას **ძმ.მახმუდბეგოვების** ქაღალდის ფაბრიკა, **ლ.ბეკმანის** კონვერტების და **მადე-**

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა" (ქუთაისი)
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი

ე. ბაბიჩეაძისა.

გამოცემული ე. კაციტაძისაგან.

ნაწილი პირველი.

ფასი ექელგან ორი შაური. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს იყიდის, ან დაიბარებს, ეგზემპლიარი რვა კაპეიკად დაეთმობა და ფოსტითაც გაეგზავნება.

საწყობი: თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზია, ქუთაისში, ი. მურადოვთან. ედანთან იყიდება ლითოგრაფიაში დაბეჭდილი ქართული წერის რეფულებიც თითო შაურად (3—1)

რის ასოთჩამომსხმელი საწარმოები.

ახალი სტამბის გახსნის ცდა ჰქონდა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ გლეხ **ილია ბასილას ძე ცაგურიას.** ქ..თელავში მოქმედებდა სტამბა, იგი ეკუთვნოდა **გაიანე გეურქოვას**, საწარმო იჯარით ჰქონდა გაცემული და ახლა სურდა თვითონ ჩასდგომოდა სათავეში [227, 79].

გორში სტამბის პირველი მეპატრონე და ასოთამწყობი **არსენ კალანდაძე** ყოფილა. იგი მოხსენიებულია ზ.ჭიჭინაძის მიერ 1913 წელს აღწერის ნაშრომში „ნიკოლოზ ბესარიონის ზე ღოღობერიძე და ქართული სტამბა“, რომელსაც მთელი მოწყობილობები თბილისელი მოქალაქე ჩარკვიანისაგან შეუძენია. აქ ეს ახალი საქმე იყო, არნახული, მაგრამ სტამბისათვის საჭირო იყო ასოთამწყობი და პირველ მუშაკად თვით არსენი იყო, რომელმაც თბილისში ისწავლა ეს საქმე. პირველად იგი ასდიოდა საქმეს, როგორც სტამბის მესაკუთრე და როგორც ასოთამწყობი. მანქანის დასატრიალებლად ყოველდღიურად ქირაობდა ღონიერ, კუნთმაგარ ახალგაზრდას, მაგრამ მალე სამუშაო გაიზარდა, შემკვეთელთა რაოდენობა გამრავლდა და ერთი კაცი ვერ ასდიოდა საქმეს. კალანდაძის სტამბაში ჩნდებიან გამოცდილი ასოთამწყობი ზაქარია კოტეტიშვილი „პაპაშად“ წოდებული და გიორგი ბერძნიშვილი. სტამბასთან მოეწყო სამკინძაო საამქროც, რომელსაც უძღვებოდა ეს უკანასკნელი [283, 2].

მომდევნო წლები სასტამბო საქმიანობის პრიმიტიულობას ველარ ითავსებს და დგება საკითხი გორში ბევრად უფრო გაუმჯობესებული სტამბის გამართვის შესახებ. ამ საქმის ინიციატორად გამოდის მოქალაქე **დავით მაჭავარიანი,**



რომელიც ასევე მოხსენიებულია ზ.ჭიჭინაძის მიერ 1913 წელს აღწერის ნაშრომში „ნიკოლოზ ბესარიონის ზე ღოლობერიძე და ქართული სტამბა". ეს მოხდა 1900 წელს. მან უფრო სრულყოფილი სტამბა მოაწყო, ვიდრე იყო არსენ კალანდაძისა და გორული გაზეთის „ქართლის" რედაქტორმა მისი ბეჭდვა კალანდაძის სტამბიდან გადაიტანა მაჭავარიანის სტამბაში. ამ გარემოებამ დაისაჭიროვა ახალი კადრები ასოთამწყობთა. სტამბაში მოვიდნენ შალვა ჯოჯიშვილი, სტამბის პატრონის ნათესავი, გიორგი ინოზემცევი, ვანო ურუშაძე, კაპიტონ კალანდაძე და მისი ძმა ვლადიმერი [283, 2].

1915 წლისათვის თბილისში ახალი სტამბები იხსნება. სტამბა **„კულტურა"** მ.ი.ვინტეზენსა და **ა.ე.ლიშტერბს** ეკუთვნოდა. სტამბაში 11 მუშა ირიცხებოდა, გამოშვებულმა პროდუქციამ 9 000 მან. შეადგინა. 1916 წელს საწარმოში კვლავ 11 მუშა იყო დასაქმებული, მაგრამ მისი დაკვეთების რაოდენობა მკვეთრად გადიდდა და გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 25 000 მან. გადააჭარბა. სტამბა **„პროგრესში"**, რომელიც **ე.მ.პოღოსოვს** ეკუთვნოდა, დასაქმებული იყო 7 მუშა, წარმოებულმა პროდუქციამ 8 000 მან. მიაღწია. **ე.ე.მოჩკოვსკის** სტამბაში 1915 წელს დასაქმებული იყო 15 მუშა. 1916 წელს საწარმომ მუშათა რიცხვი 11-მდე შეამცირა, გამოუშვა 29 996 მან. პროდუქცია. **მ.მ.როტინიანცის** სტამბამ 1915 წელს 9 მუშით 34 800 მან. პროდუქცია გამოუშვა. **ამხანაგობა „მამულის"** სტამბაში 1916 წელს დასაქმებულმა 17 მუშამ 3 500 მან. პროდუქცია დაამზადა. **ი.გ.აგიანცის** სტამბამ 1916 წელს 13 მუშით 22 500 მან. პროდუქცია აწარმოა. **კ.მ.ალიხანოვისა** და **ი.მ.დელიხანოვის** სტამბაში 42 მუშა იყო დასაქმებული, საწარმოს წლიურმა საბრუნავმა ტანხამ 17 468 მან. შეადგინა, წარმოებაში ხუთი ელექტროძრავი მოქმედებდა [227, 82-83].

საქართველოში სტამბების ჩამოყალიბება-განვითარება XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში (ცხრილის მონაცემები ემყარება ზ.ჭიჭინაძის მიერ 1913 წელს აღწერის ნაშრომს „ნიკოლოზ ბესარიონის ზე ღოლობერიძე და ქართული სტამბა“ გვ.131-217)

წელი	ადგილმ-დებარეობა	სახელწოდება	დამფუძნებელი	საქმიანობა
1805	ტფილისში	რუსულ-ქართული სტამბა	ქალაქის მმართველობა	ქართული წიგნების გამოცემა
1825	ტფილისში	ყიზლარის მდიდარი სომხ-ების	ძმებ არზანოვების	ამ სტამბაში პ.იოსელიანმა ჩახრუხაძის და შავთელის ლექსები დასტამბა
1827	ტფილისში	პირველი სომხური სტამბა	ნერსეს კათალიკოსი	სტამბაში ქართული ასოებიც აქვნდათ
1828	ტფილისში	ქართული სტამბა	სოლომონ დოდაშვილი	გამოიცა პირველად ქართული გაზეთი „თფილისის უწყება“
1830	ტფილისში	მარტიროსიანცის სტამბა	მეპატრონე	სტამბაში გამოიცა ძვირფასი გამოცემა „ვეფხის-ტყაოსანი“, სხვა წიგნებიც
1846	ტფილისში	მთავარმართებლის სტამბა	ქალაქის მმართველობა	ქართულ ენაზედ იბეჭდებოდა გაზეთი „კავკაზი“
1846	ტფილისში	ებრაელის ტამბა	დუბლერი	------
1850	ტფილისში	ჩგიორგი ერისთავის სტამბა	ვორონცოვის ბრძანებით	დაიწყო ყოველთვიური ჟურნალის „ცის-კრის“ გამოცემა
1855	ტფილისში	ბულდან მუნთოევის სტამბა	მეპატრონე	ქართული ენის და წერა-კითხვაის კარგად მცოდნე ქართულსაც ბეჭდავდა
1856	ტფილისში	ივანე კერესელიძის სტამბა	მეპატრონე	იყიდა გიორგი ერისთავისაგან, განაახლა და ბეჭდა „ცისკარი“
1860	ტფილისში	ფიანჯიანცის და როტინოვის სტამბა	მეპატრონეები	აქ გამოიცა პირველად ჟურნალი „საქართ-ველოს მოამბე“ ილ.ჭავჭავაძის რედ.

1864	ტფილისში	სტ.მელიქიშვილის და ამხანა-გობის სტამბა	ვახ.თულაძვილი, დ.ბაქრაძე, სტ.მელიქიშ-ვილი	გამოიცა კვირის გაზეთი „დროება“
1869	ტფილისში	ჟურნალ „მნათობის“ სტამბა	ნიკოლოზ ავალიშვილი	გამოცა ყოველთვიური სამეცნიერო ჟურ-ნალი „მნათობი“
1870	ტფილისში	ჟურნალ „კრებულის“ სტამბა	გიორგი წერეთელი	სტამბაში გაზეთი „დროება“ და სხვა ქარ-თული წიგნებიც იბეჭდებოდა.
1870	ტფილისში	ავლაბრის სტამბა	რუსი კრამარენკო	იბეჭდებოდა ქართული წიგნები მრავლად
1875	ტფილისში	ექვთიმე ხელაძის სტამბა	მეპატრონე	მრავლად იბეჭდებოდა ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
1877	ტფილისში	მ.ვართანიანცის სტამბა	მეპატრონე	აქვნდა ქართული ასოები, მე ვბეჭდე აქ ქართული წიგნები
1878	ტფილისში	სტამბა „სინათლე“	--------	იბეჭდება ქართული გაზეთი „დროება“
1880	ტფილისში	ჩგრიგოლ ჩარკვიანის სტამბა	გრიგოლ ჩარკვიანი, არს-ენ კალანდაძე, ალექსან-დრე დრევიჩი, ანთიმოზ ჯუღელი	მრავლად იბეჭდებოდა ქართული წიგნები
1896	ტფილისში	ვალერიან გუნიას სტამბა	მეპატრონე	----------
1903	ტფილისში	სტამბა „შრომა“	ოთხი ქართველი და რუსი ებრაელი	მხურვალედ მოკიდეს ხელი ნამეტნურ ქარ-თული წიგნების ბეჭდვას
1905	ტფილისში	სტამბა ბორის ესაძისა	გუნიასი დადიასამიძი-სეული სტამბა ბოლოს ბორის ესაძემ შეიძინა	----------
1906	ტფილისში	სტამბა „სორაპანი“	მიხეილ გაჩეჩილაძე	----------
1906	ტფილისში	იმედის სტამბა	კონია თავართქილაძე	დიდად უწყობდა ხელს ქართული წიგნების და გაზეთების გამოცემას
1906	ტფილისში	გუტენბერგის სტამბა	მეპატრონე	ეს პირი რუსულ ენაზეც მწერლობს, წერს სხვადასხვა ისტორიულ წერილებს საქართ-ველოზე

1906	ტფილისში	სტამბა „იდეალი“	მიხეილ კიკნაძე	მის სტამბაში ბევრი რამ ჩინებული ქართული წიგნი დაიბეჭდა
1912	ტფილისში	სტამბა „ესპერანტო“	ტერ-ელიმე ტერ-ასტვაცატურიანცის შვილი	მესტამბე ბეჭდავდა სომხურ სურათებიან გაზეთს „არფს“
1915	ტფილისში	სტამბა „პროგრესი“	ბართლომე კილაძისა და გ.თავართქილაძისა	ქალაქში ეს სტამბა ითვლება პირველხარისხოვან სტამბად
1830	ქუთაისში	ჩგუბერნიის სტამბა	ქალაქის ადმინისტრაცია	1863 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა „ნაპოლეონ იმპერატორის მესამეს ცხოვრება“
1860	ქუთაისში	ჩგუტენბერგის სტამბა	ებრაელი გუტენბერგი	ქართულ ასოებსაც დიდი ადგილი დაუთმო, რაც ქართველობას დიდად ესიამოვნა
1880	ქუთაისში	ფერაძის სტამბა	მეპატრონე	შესაფერისად უძღვებოდა ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეს
1890	ქუთაისში	სტამბა იოსებ ხელაძისა	მეპატრონე	ქართულ წიგნებს და გაზეთებსაც მრავლად ბეჭდავდა
-	ქუთაისში	სტამბა ბაგრატ კურცხალიასი	მეპატრონე	ვ.ჭილაძისაგან შეიძინა სტამბა და აწარმოებს მის საქმეებს
1897	ქუთაისში	სტამბა ილია ჭყონიასი	მეპატრონე	აქ იბეჭდებოდა მრავალი ქართული წიგნი
1878	ბათუმში	სტეფანე გრიგოლის ძე მელიქიშვილი	ცოლის ძმა სერგეი მესხი	სტამბას დიდი ძალი მუშაობა უჩნდებოდა რუსულ და უცხოურ ენებზე
1904	ბათუმში	კონია თავართქილაძის სტამბა	მეპატრონე	დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა
1910	ბათუმში	ნიკო ხვინგიას და ვახტანგ ჩანტლაძის სტამბა	მეპატრონეები	დაიწყეს ქართული წიგნების და გაზეთების გამოცემა
1890	ბათუმში	მღვდელი ღამბაშიძე	მეპატრონე	იბეჭდებოდა გაზეთი „მწყემსი“
1903	ბათუმში	ყვირილის სტამბა	მიხეილ გაჩეჩილაძე, ვანო არდიშვილი, ილია მაღლაკელიძე	მრავლად იწყეს ქართული წიგნების ბეჭდვა
1910	ბათუმში	ყვირილის მეორე სტამბა	პლატონ თეიმურაზის ძე კიკნაველიძე	ბეჭდავენ ქართულ წიგნებს, წიგნები სუფთად არის ნაბეჭდი
1890	ოზურგეთში	ფოთის სტამბა	გლავრენტი ტუღუში	----------
1897	ოზურგეთში	კონია ჩითანის ძე თავართქილაძე	მეპატრონე	----------

1898	ოზურგეთ-ში	ხონის სტამბა	ალექსანდრე თომას ძე მაჭარაძემ	----------
1912	ოზურგეთ-ში	სამტრედიის სტამბა	ვ.ხარებავამ და ვ. ჟულელმა	1913 წლიდან ქართულ წიგნებს უკვე ბეჭ-დავენ
1890	თელავში	თელავის სტამბა	ექვთიმე ხელაძე	აქამდე კახეთში ვერც ქართული გაზეთები ვრცელდებოდა და ვერც წიგნები
1893	სიღნაღში	სიღნაღის სტამბა	ექვთიმე ხელაძე	----------
-	სოხუმში	სოხუმის სტამბა	არჩილ მგელაძე და პავ-ლე კალანდაძე	ესენი აწარმოენებ დღესაც სტამბის საქმეს
-	ახალციხე-ში	ახალციხის სტამბა	სომეხია	მას თავის სტამბაში ქართული ასოებიც მოუთავსებია
1889	გორში	გორში ქართული სტამბა	არსენ კალანდაძემ	აქ გამოსცეს „მიბაძვა ქრისტესი" თომა კემპელისა და ზოგნიც სხვა წიგნი
1907	გორში	ჩგორის მეორე სტამბა	დავით იოსების ძე მაჭა-ვარიანმა	ეღირსა გორს აქ დაბეჭდილი ქართული გაზეთის „ქართლის" გამოცემა
	გორში	ჩგორის მესამე სტამბა	მიხეილ ირაკლის ძე ცი-ციშვილი	სტამბის შემოსავალი და მოგება გორში ქა-რთული გაზეთის საქმეს უნდა მოხმარდეს
1912	ხაშურში	ხაშურის სტამბა	იოსებ ფილიპეს ძე ყა-ჭეიშვილმა	სტამბაში მოაწყო ქართული ასოები და ქა-რთული წიგნების გამოცემა დაიწყო. Iოსებ ყაჭეიშვილის შნოთი და ცდით ხაშურშიც გაისმის ქართული წიგნების ბეჭდვის მანქანის გუგუნი

1900 წელს აღრიცხულ 27 პოლიგრაფიული საწარმოდან (სადაც არასრული ცნობით 590 მუშამ 443 940 მან. ღირებულების სამუშაო ჩაატარა) მანქანურად მხოლოდ შემდეგი 8 იყო მოწყობილი

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917.
თბ. 1976 გვ 316)

საწარმოთა დასახელება	დაარსების დრო	ძრავი	საბეჭდი მანქანები	მუშათა რიცხვი	პროდუქციის ღირებულება (ათას მანეთებში)
კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის	1820	ბენზ.	4	35	18
კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის	1844	ბენზ.	4	60	27
როტინიანცის	1862	ბენზ.	4	30	15
კოზლოვსკის	1874	ბენზ.	4	34	16
ა.გ.ჯაბადარის საგმომცემლო ამხანაგობა	1888	ბენზ.	15	186	203
ლიბერმანის	1891	ელექტრ. ბენზ.	15	60	69
კ.მესხის	1883	ბენზ.	2	19	20
მარტიროსიანცის	1893	ბენზ.	4	18	14

1908 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 32 პოლიგრაფიული საწარმო, რომელთა 800 მუშა 700 ათასამდე მან. პროდუქციას ქმნიდა. მათ შორის მანქანურად მოწყობილნი მხოლოდ შემდეგი საწარმოები შეიძლება ჩაითვალოს: (ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 316)

საწარმოს დასახელება	ძრავი	მუშათა რიცხვი	პროდუქციის ღირებულება (ათას მანეთებში)
ა.გ.ჯაბადარის საგმომცემლო ამხანაგობა	ბენზ/ნავთ.	210	219,4
კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ნ.აგაიანცის	ნავთ.	59	33
ა.ბიხოვის	ელექტრ.	23	18,5
კ.კოზლოვსკის	ნავთ.	18	14
ლიბერმანის ამხანაგობა	ნავთ.	48	16,5
ს.ლოსაბერიძის	ბენზ/ნავთ.	35	50
ბ.მიჩკოვსკის	ბენზ.	18	16
კ.მესხის	ბენზ/ნავთ.	18	28
კავკასიის სამოქალაქო ნაწილის	ელექტრ/ნავთ.	17	28,9
მთავარმართებლის	ბენზ.	78	85,3
ხ.ხაჩატუროვის			
შაპსონის „პროგრესი"	ელექტრ.	43	53
ამხ. „შრომის"	ელექტრ.	21	13
ა.მუგდუსპიკოვი	ელექტრ.	14	15
კ.ქავთარაძის ამხანაგობა „სინათლე"	ელექტრ.	14	10
	ნავთ.	14	10

ჩემოთვლილ საწარმოთა შორის გამოირჩეოდა **ჯაბადარის** საგამომცემლო ამხანაგობა, რომლესაც სტამბასთან ერთად ჰქონდა ასოთჩამომსხმელი განყოფილება, სამკინძაო, სამანქანო, სადაც ყოველთვის იყო დასაქმებული 200-მდე მუშა. 1917 წელს ეს საწარმო, ასევე **ლიბერმანის** სტამბა იჯარით აიღო **ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ.**



მირზოევის ქაღალდის ფაბრიკა, ხედი ავლაბრიდან

უალკოჰოლო სასმელების წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს, პირველი ოცწლეული)

საქართველო ყოველთვის მდიდარი იყო ხეხილის მრავალფეროვნებითა და სიუხვით, სოფლის მოსახლეობა ვერ უკეთებდა რეალიზაციას საუკეთესო ხილის ჭარბ მოსავალს, რომელიც იყიდებოდა მხოლოდ თბილისში, ისიც მცირე რაოდენობით და თანაც იაფად. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნემდე თითქმის არ არსებობდა ხილის გადამუშავების და მისგან გამაგრილებელი სასმელების დამზადების მცდელობა. მიუხედავად საქართველოში ხეხილის მრავალფეროვნებისა და ხილის სიუხვისა, თითქმის არ არსებობდა დაკონსერვების საქმე, არ არსებობდა გამაგრილებელი სასმელების, ან თუნდაც ხილისაგან დამზადებული ბურახის წარმოება, რაც რუსეთში დიდად პოპულარული იყო. ეს იმ პირობებში, როცა სოფლის მოსახლეობა მოჭარბებული ხილისაგან ხშირად უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა. ხილი, ისიც მხოლოდ მაღალი ხარისხის, იყიდებოდა მხოლოდ თბილისში, საქართველოს სხვა რეგიონებში მას ფასი თითქმის არ ჰქონდა [238, 38].

XIX საუკუნის 90-იან წლებში გორში ფუნქციონირებდა **კ.შეპფის** აფთიაქი. აქ წამლებთან ერთად წარმოდგენილი ყოფილა ხილის მაღალი ხარისხ-

ვანო საური მეუღლესთან ერთად

ის ვაჟინები, მშრალი, გრანურირებული ესენციები. წვენების დასამზადებლად. **სტ. გულიშამბაროვის** ცნობით, ამ ნედლეულს მოიხმარდა თბილისელი **ყაზაროვი** და აწარმობდა უალკოჰოლო გამაგრილებელ სასმელებს.

კომპოზიტორი არჩილ მშველიძე თავის მოგონებებში იხსენებს: „რევოლუციამდელ გორში საუკეთესო ხარისხის ლიმონათები მზადდებოდა, რომელსაც უშვებდა **ვანო საურისა*** და **„შეფის"** ქარხნები [163, 4].

1879 წელს გერმანელმა კოლონისტმა, ლუდის წარმოებაში დახელოვნებულმა **მადერმა** დაიწყო ლიმონათის წარმოება, ეს იყო მცირე ზომის ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო 6 მუშა, ხოლო წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგნდა 7 500 მან.

XX საუკუნის დამდგს მინერალური წყლების წარმოებას ეწეოდა **„თ.გენადი და კომპ"**. მას გააჩნდა ლიმონათის საწარმო, რომელიც 13 მუშით წლიურად 35 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა [136, 295-296].

ვგენი ზემელი უცნობ პირებთან ერთად (მარცხნიდან ზის ევგენი ზემელი)
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისში ცნობილი ფარმაცევტი **ევგ.ზემელი** სახელგანთქმულ მინერალურ წყლებს ამზადებდა, სახელწოდებებით: ვიში, კარლსბადი, ობერზალცბურგი, ემი, მწარე უნგრული, მეავე რკინა-პიროფოსფორი, ზელტერის სამკურნალო, ნიტროლითიუმის მმინერალური წყალი. საწარმო მცირე ზომისა იყო, დასაქმებული იყო 5 მუშა, ხოლო წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 6 ათას მან. [238, 131].

XX საუკუნის პირველ ათწლეულში ზემელის ლიმონათის საწარმო გაძლიერებული ჩანს და იგი წლიურად 17 მუშით 44 320 მანეთის ღირებულების ხელოვნურ მინერალურ წყალს ამზადებდა. მასვე ჰქონდა ცდები დაემზადებინა

* დიდ მადლობას ვუხდით პროფ. ციური დურულს გაწეული დახმარებისათვის საოჯახო ფოტოს მონოდებასთან დაკავშირებით (ქვეყნდება პირველად).

ხილის წყლები ანანასის, მსხლის, ლიმონის, ვანილის და ჟოლოსი. გამოცოცხლდა ეგრეთ წოდებული ლიმონათის ქარხნების მიერ შუშხუნა სასმელების გამოშვება. უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარი ცოდნის და გამოცდილების გარეშე ამზადებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მაინც ნელ-ნელა ეჩვეოდა ამ სასმელების მიღებას [308, 136-137].

საწარმოს მფლობელები	დგილ მდებარეობა	დაფუძნების თარიღი	გამოშვებული ბოთლების რაოდენობა	დასაქმებულთა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (მანეთებში)
ი.ე.აკოევი	თბილისი	1874	40 000	5	2 400
ფ.დ.გენნადი	თბილისი	1876	60 000	4	3 000
ფ.მადერა	თბილისი	1879	120 000	6	7 500
გასპაროვი	თბილისი	1879	60 000	4	3 000
ე.ი.დოლანოვი	თბილისი	1879	15 000	2	1 500
ე.ზემმელი	თბილისი	1881	75 000	5	6 000
გ.ი.ვენაგელი	თბილისი	1882	60 000	4	3 000
ხ.აბგარიანცი	თბილისი	1883	50 000	4	3 000
ა.პ.აკოფოვი	თბილისი	1883	50 000	5	3 000
ა.საამოვი	თბილისი	1884	50 000	3	3 000
ლ.გ.შპელცერი	თბილისი	1884	50 000	3	2 500
აკოევი	გორი	1884	20 000	2	1 500
კ.ი.შეპფი	გორი	1886	არ	არ	არ
კ.ი.სრიბოვი	ახალციხე	1878	მუშაობდა 15 000	მუშაობდა 3	მუშაობდა 1 200

წყარო: С.Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тиф. Губернии. Историко-статистическое описание фабрик и заводов. 1888. Ст. 136-137

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ზაფხულობით ყოველთვის მაღალი ტემპერატურაა, რაც ხელს უშლიდა სხვადასხვა პროდუქტების შენახვის საქმეს, იმ

დროს ჯერ კიდევ არ ხდებოდა სამაცივრე ტექნოლოგიების ათვისება. ცდები ყინულის წარმოებისა ფარმაცევტ ზემელსაც ჰქონდა, რომელმაც მიზნის მისაღწევად დადგა ორთქლის ქვაბი, გამოიწერა ორთქლის მანქანა და ამზადებდა ყინულს სუფთა, გაფილტრული წყლით, მაგრამ საქმე ვერ აეწყო. თუმცა ის ყიდდა თავის სუფთა ყინულს ფუთს 50-60 კაპიკად, ზაფხულის თვეებში ქარხანა აწარმოებდა ყინულს 2 ათასი მან. ღირებულებამდე [308, 137-138].

ამ საქმის პროფესიონალურ დონეზე აყვანა უკავშირდება **მიტროფანე ლალიძის** სახელს, რომელიც მეწარმემ დიდი გარჯითა და ადამიანური კეთილშობილებით მოიპოვა. იგი დაიბადა 1869 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ჭოლევში,

ქუთაისი. ვაჭარ პეტრე კოკოჩაშვილის მიერ აშენებული სახლი, სადაც 1860 წელს ქალაქში პირველი აფთიაქი გაიხსნა

ღარიბი აზნაურის ოჯახში. 14 წლის მიტროფანემ ქუთაისში **კოკოჩაშვილისა** და **ივანოვსკის** აფთიაქში დაიწყო მუშაობა. **ცეზარ კარლოს ძე ივანოვსკი,** წარმოშობით პოლონელი, პოლიტიკური მოტივების გამო გამოსახლებული იყო ქვეყნიდან. იგი იყო ფარმაკოლოგიის მაგისტრი და ქუთაისში ჰქონდა ლიმონათის წარმოება, სადაც მიტროფანე ლაღიძემ მეწარმის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ახალგაზრდა მიტროფანემ შესანიშნავად შეისწავლა ხილეული წყლების-უალკოჰოლო სასმელების წარმოების მეთოდები და ივანოვსკის გარდაცვალების შემდეგ ამ წარმოებას თვითონ ჩაუდგა სათავეში.

1900 წელს მან შექმნა ხილეული წარმოების ამხანაგობა და პირველმა გადაჭრა საქართველოში უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად ნატურალური წვენების გამოყენების საკითხი. მეწარმე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნედლეულის ხარისხს და ტექნოლოგიის მკაცრად დაცვას. იგი უფრო მეტად დაინტერესებული იყო ქართული სასმელების ხარისხითა და სახელით, ვიდრე ამხანაგობის მოგებით. მან კარგად იცოდა, რომ როგორც კვების პროდუქტი, გამაგრილებელი და წყურვილის დამაკმაყოფილებელი საშუალება, უალკოჰოლო სასმელები ფართოდ მოიხმარება წლის ნებისმიერ დროს გარდა ამისა, მას ფართოდ იყენებენ კვების სხვადასხვა პროდუქტების, საკონდიტრო ნაწარმის, ლიქიორების, კისელის, ნაყინის და სხვათა დასამზადებლად. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები გახლდათ ამ ბიზნესის წარმატების საიდუმლო.

1902 წელს მიტროფანე ლაღიძე გაემგზავრა გერმანიასა და საფრანგეთ-

მირტოფანე ლაღიძე (1869-1960)
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

ში, სადაც უკეთ გაეცნო უალკოჰოლო წყლების წარმოების მოწინავე ტექნოლოგიებს. პარიზში მან შეისწავლა ხილეული წყლების წარმოების ფრანგული ტექნოლოგია და შემდგომ გამოიყენა თავის წარმოებაში. ქუთაისის იმდროინდელი ბანკის მმართველის **კირილე ლორთქიფანიძის** დახმარებით და ხელშეწყობით საფრანგეთის ერთ-ერთი კომპანიისაგან მან მიიღო კრედიტი ელექტროსადგურისათვის საჭირო დანადგარების შესაძენად. 1904 წელს ქუთაისში პირველად აშენდა ელექტროსადგური, რომლითაც ჯერ ქუთაისის თეატრი განათდა, შემდეგ ქალაქის ქუჩებიც. რიონჰესის ამოქმედებამდე მიტროფანე ლაღიძის თაოსნობით აშენებული ელექტროსადგური ემსახურებოდა ქუთაისს და მის მრეწველობას.

ფრანგული კონტაქტების გამოყენებით მიტროფანე ლაღიძემ საფრანგეთიდან მიიღო მაცივარ-დანადგარები ხელოვნური ყინულის მისაღებად და ნელ-ნელა ჩამოაყალიბა დიდი სიმძლავრის ქარხანა, რომელიც მაღალი ხარისხის პროდუქციით ამარაგებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს.

1902 წელს მიტროფანე ლაღიძის თაოსნობით ქუთაისში, ყოფილ არქიელის გორაზე, აიგო წყლის მილის მთავარი აუზი, რომელიც რიონის სილა-წყლის ნაცვლად ქალაქს ამარაგებდა ანკარა წყლით. 1902 წელს გაზეთი „ივერია“ მკითხველს მოუთხრობდა: არქიელის გორაზე გაცხარებული მუშაობაა, გაჰყავთ წყლის მილები, კეთდება აუზი, მუშები მახლობელი სოფლებიდან ხარ-ურმით ეზიდებიან ვინ სილას, ვინ კირს, წყალს, ცემენტს, ხე-ტყეს და სხვას. ქუთათურებს ახლა კი იმედი მოგვეცა, რომ ახლო მომავალში რიონის სილა-წყალი ბროლოვით ანკარა წყალზე შეიცვლება [51, 2].

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ახალი ისტორიის განყოფილების ხელნაწერი დოკუმენტების ფონდში დაცულია „ხილეულ-მადნეულ წყლის, ხელოვნური ყინულის ქარხნებისა და ელექტრონის სადგურის მ.ე.ლაღიძისა და ამხანაგობის მიერ“ მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისადმი მიწერილი წერილი, სადაც ვკითხულობთ:

„თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რომ ქალაქ ქუთაისში აგერ წელიწადზე მეტია რაც არსებობს ჩვენი ამხანაგობა, რომლის უმთავრეს მიზანს სხვათა შორის შეადგენს ქუთაისში ელექტრონის განათების საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება. ამხანაგობამ მოიპოვა უფლება ქალაქის გამგეობისაგან ქუთაისის ქუჩების, კერძო სადგომების, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების ელექტრონით განათებისა. ამისათვის ამხანაგობა აშენებს ქალაქ გარეთ გიდრავლიკურ სადგურს, ელექტრონის მანქანების წყლის ძალებით ასამუშავებლად. ყოველივე ელექტრონის მანქანები და მოწყობილობანი დაიკვეთა ამხანაგობამ ცნობილ გერმანელ ფირმებისაგან-**შუკკერტ-გალსკე** და კომპანიისაგან 68 ათასი მანეთის საღირალით. გიდრავლიკური სადგურის მანქანები, ტურბინები და მოწყობილობანი კი ცნობილ საფრანგეთელ ფირმის **სენგრიუნ** და ამხანაგობისაგან 10 ათასი მანეთის ღირებულების. ამ ფირმებს ჩვენმა ამხანაგობამ მისცა საჭირო ბეები ნაღდ ფულად და შესაფერისი გარანტიები. ყველა ამ მანქანებს და მოწყობილობას მოკლე ხანში მიიღებს ამხანაგობა და ყოველივე სამუშაოც ამხანაგობას ისე აქვს მოწყობილი, რომ ელექტრონის განათების საქმე ამ ზაფხულზედვე იქნება სრულად დამთავრებული. ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრებაზე, ცხრა მარტს ამ წლისა, სხვათა შორის იყო აღძრული კითხვა ამის შესახებ, რომ ეს საქმე არ უნდა იყოს მარტო ამხანაგობის ერთი ჯგუფისა, არამედ ამ საქმეში ყოველივე მოქალაქე და უმთავრესად კი მკვიდრნი მცხოვრებნი და ყველა სახის მოპატრონენი უნდა ღებულობდნენ მახლობელ მონაწილეობას: განკარგება, გამშვენება, კეთილგანწყობილება ქალაქისა უნდა შეადგენდეს ქუთაისის ყველა მცხოვრების მახლობელ საზრუნავ საგანს და ამ მოსაზრებით ამხანაგობის საგანგებო კრებამ დაადგინა მოგმართოთ თქვენ და გთხოვოთ რომ ეს საქმე ჩასთვალოთ თქვენ საკუთარ საქმედაც და მიიღოთ მახლობელი მონაწილეობა, შემოუერთდეთ ჩვენს ამხანაგობას და ამ საქმით ხელი შეუწყოთ როგორც საზოგადოდ ქალაქის კუტურულად წინსვლას და რიგიანად მოწყობის საქმეს, ისე კერძოთ თქვენი საკუთრების განმშვენებას და წარმატებას.

ამხანაგობის წევრთა ამავე კრებაზე ამ საქმეებზე თვენთან მოსალაპარაკებლად საგანგებო კომისიაში არჩეულნ იქნენ შემდეგი პირნი: **პეტრე გოკიელოვი, ნიკიფორე ჯანელიძე, კოტე ქელბაქიანი, იაკობ ფილიპოვი და ალექსანდრე თაბაგარი,** რომელნიც ამხანაგობის გამგეობის წევრთან ერთად იქონიებენ თქვენთან მსჯელობას და სრული იმედი გვაქვს, რომ შემოგვიერთდებით ამ თქვენთვისაც საჭირო და სასარგებლო საქმის განხორციელებაში.

პატივის ცემით, ამხანაგობის საგანგები კრების მონდობილებით, ამხანაგობის თავმჯდომარე ფარნა გაბუნია.

ქ. ქუთაისი, მარტი, 1908 წ“ [286, 203-204].

მიტროფანე ლალიძის სამეწარმეო საქმიანობაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მან პირველმა, უალკოჰოლო სასმელების საწარმოებლად ფართოდ გამოიყენა საქართველოში არსებული ადგილობრივი ხილ-კენკრის ნედლეული მიკრორაიონების მიხედვით. კენკრას განსაკუთრებით ბორჯომი-ბაკურიანის ხეობისას არჩევდა, ხილს ქართლიდან და ა.შ. ხილის წვენების ჯადოქარს როგორ უნდა სცოდნოდა საქართველოს ყველა მიკრორაიონი, რომ ისეთი სურნელოვანი, ჰარმონიული, განსაკუთრებული ხიბლის მქონე სასმელი მიეღო,

საქვეყნოდ გამორჩეული რომ იქნებოდა, გუმანი და ალღო, დეგუსტატორული ნიჭი უტყუარი აღმოჩნდა. ლაღიძისეული სასმელი აღიარეს საიმპერიოდა საერთაშორისო გამოფენებზე [57, 4].

ქართული უალკოჰოლო სასმელების მაღალი ხარისხი მხედველობიდან არ გამორჩენიათ საზღვარგარეთ. 1913 წელს პეტერბურგსა და ვენაში სასმელთა საერთაშორისო გამოფენაზე ქართულმა, მიტროფანესეულმა უალკოჰოლო სასმელებმა პირველი ადგილები დაიკავა და ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა. ლაღიძის პროდუქცია საქართველოს საზღვრებს გარეთაც იგზავნებოდა. თბილისში მყოფი ირანელი ვაჭრები ირანის დიდებულებსა და წარჩინებულ პირებს, როგორც განსაკუთრებულ საჩუქარს, „ფეშქაშად" უგზავნიდნენ ლაღიძის ლიმონათებს [51, 2]. თვითონ მეწარმეს არაერთხელ მიუღია მიწვევა რუსეთიდან, ირანიდან, ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან, მაცდუნებელ პირობებსაც სთავაზობდნენ, მაგრამ არცერთი ქვეყნის საქმიანი წინადადება არ აღმოჩნდა მისთვის მიმზიდველი.*

XX საუკუნის დასაწყისში, როცა მიტროფანე ლაღიძემ სამეწარმეო საქმიანობა დაიწყო, თბილისში უკვე ფუნქციონირებდა ე.ზემელის და ვ.მამულოვის უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ქარხნები, მაგრამ ამას მიტროფანე ლაღიძე არ შეუშინებია და 1906 წელს თბილისში დააარსა ლიმონათის ქარხანა, წარმოებული პროდუქცია მაღალი ხარისხით აშკარად სჯაბნიდა ბაზარზე უკვე არსებულს. 1914 წლისათვის თბილისში არსებობდა ხილის წყლების სამი ქარხანა-მ.ლაღიძის, ე.ზემელის და ვ.მამულოვის. მათ შორის ყველაზე უკეთესი ხარისხის ლიმონათს უშვებდა მ.ლაღიძის ქარხანა, რომლის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება იყო საზღვარგარეთ.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ინფექციური დაავადება ქოლერა გავრცელდა, რამაც განსაკუთრებული სისუფთავისაკენ უბიძგა მეწარმეს. ამის შესახებ 1908 წელს გაზეთი „სავაჭრო გზა" იუწყებოდა. [194].

1921 წელს ლაღიძის ქარხნის ზედა სართულებში ხანძარი გაჩნდა. სახანძრო რაზმმა დაიწყო ცეცხლის ჩაქრობა. ამ დროს გამოცხადდა განგაში ოპერაში ხანძრის გაჩენის თაობაზე. მეხანძრეებმა მიატოვეს ქარხანა და ოპერისაკენ გაიქცნენ. განგაში ცრუ აღმოჩნდა, მაგრამ მეხანძრეები უკან აღარ დაბრუნებულან. მიტროფანე ლაღიძის მეგობრები: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები მეხანძრეებისაგან მიტოვებულ ცეცლწაკიდებულ ქარხანას შიშველი ხელებით აქრობდნენ, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. მოგვიანებით მიტროფანე ლაღიძემ თავისი ქარხანა აღადგინა.

მიტროფანე ლაღიძე მუდამ სიახლეების ძიებაში იყო და საფუძველს უყრიდა ნოვატორულ წამოწყებებს. მაგალითად, იგი დაინტერესდა სამთო და ქიმიური მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგით, როგორიცაა ბარიტის მოპოვება. მან იცოდა, რომ იგი საღებავების წარმოებაში მნიშვნელოვანი შენაერთი იყო. მას ბარიტი შემოჰქონდა ქუთაისთან ახლოს მდებარე სოფელ ჟონეთის საბა-

* მიტროფანე ლაღიძის ბიოგრაფიისა და საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობები მოგვაწოდა ქალბატონმა ლამარა სიდამონიძემ, რომელიც წლების განმავლობაში იყო ლაღიძის წყლების დირექტორი. განეული დახმარებისათვის ქალბატონ ლამარას დიდ მადლობას მოვახსენებთ.



ცნობილი მთელს ამიერკავკასიაში ხილეულ-ძადნ

ხელოვნური წყლები

„მ. ლაღი ე და ამხანაგობა" თფილისში კეთდ
ველთვის და კეთდება ახლაც მაშინით გაწმენდილი წყალით ЧИСТЫЙ
ВОДОЮ. ბოთლები კი თფილისში ხოლერის ნიშნების აღმოჩენამდი
ფილტრაში გაწმენდილი წყლით; მხოლოდ შემდეგ ამ გარემოებისა ბო
შინით გაწმენდილი წყლით ორეცხება.

სისუფთაეე და ძასალის სიკარგე უ'ხრუნველეოფილია ეოველ
რის სინამდვილეში ყველას შეუძლია დარწმუნდეს. აქვე ვაცხადებთ,
ვინაც აღმოაჩენს ჩვენს წყლებში რაიმე სიყალბეს, ადმინისტრაცია ა
პასუხისმგებელია, როგორც ზნეობრივად, ისე მატერიალურადაც. ს
უძლია აიღოს ყოველ დღე ქარხანაში დამზადებულ წყლებიდან რამოდ
ლი ჩვენის დასწრებით. დაებეჭდოთ ისინი წესიერად და შემდეგ გა
ანალიზი. ასეთ შემთხვევაში თუ ანალიზი რამე სიყალბეს აღმოაჩენს ა
ცია 500 მანეთით პასუხს აგებს.

ამიტომაც ჩვენ შეგვიძლია გაბედულათ ვურჩიოთ ყველა წყლის ხმ
მოითხოვონ ჩვენი ქარხნის „მ. ლაღიძე და ამხ.", ხილეულ-ბადნ
ლოვნური წყლები, რომელიც სრულიად უშიშარია სახმარებლად და
ცხოვა გემო და სურნელოვანება.

ქარხნის გამგე და ადმინისტრატორნი: მ. ე. ლაღიძე და იასე რაშვილი-შ

დოდან. დამუშავებისა და გამდიდრების შემდეგ პროდუქცია სარეალიზაციოდ მზადდებოდა. რ.ლაღიძე წერს: „ნურავინ იფიქრებს, რომ თითქოს მისი ინტერესების სფერო მარტო ამ საქმით იყო შემოფარგლული. დასავლეთ საქართველოს მრეწველობის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ამ მხარეში მამაჩემის ინიციატივით აგებულმა პირველმა ელეტრო სადგურმა და ქუთაისის მახლობლად ჟონეთის ბარიტის მადნის წინასწარ გადამუშავების წარმოებამ. ბარიტი საჭირო იყო ლითოფონის-ფართო გამოყენების თეთრი საღებავის წარმოებისათვის" [87, 5].

მიტროფანე ლაღიძე მრავალი დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმის ხელმძღვანელი და წამომწყები იყო, კერძოდ იგი აფინანსებდა წიგნების გამოცემას, რომელიც მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა ეკონომიკური თვალსაზრისით. იგი ბეჭდავდა წერილებსა და კორესპონდენციებს: „ივერიაში", „კვალში", „სახალხო გაზეთში", „დროებაში", „ცნობის ფურცელში" და ა.შ.

ლაღიძეს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა აკაკი წერეთელთან, ვალერიან გუნიასთან, პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, ილია ჭავჭავაძესთან, თედო სახოკიასთან, ვასო აბაშიძესთან, კოტე მაყაშვილთან, შალვა დადიანთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, გალაკტიონ ტაბიძესთან. 1900 წელს აკაკი წერეთელს ქუთაისში მიტროფანე ლაღიძის უალკოჰოლო სასმელების მაღაზიის გახსნისას ექსპრომტად ასეთი ლექსი წარმოუთქვამს:

სასმელების მეტოქე ვარ,
ღვინის, ლუდის, წყლის და რძისა-
ხილეულთა ესენცია-

მიტროფანე ლაღიძისა.
ჩგემოცა მაქვს, სუნიცა მაქვს,
გთხოვთ, ორივე გამისინჯოთ,
თორემ ისე რად მინდიხართ
მოხვიდეთ და გადიბრინჯოთ.*

ლიმონათის წარმოებას **სურამშიც** მისდევდნენ. **ვახტანგ ჯობაძე** იხსენებს: „პაპაჩემი ნიკოლოზ გიორგის ძე ჯობაძე 1900 წლიდან იყო მამასახლისი, სახალხო მსაჯული (Статский советник), მას ჰქონდა საკონდიტრო და ლიმონათის ქარხანა, რომელიც დაარსდა 1890 წელს. ბებიაჩემი და პაპაჩემი შეძლებული მოქალაქეები იყვნენ, მათ ჰქონდათ დიდი, კარგად მოვლილი შუშაბანდიანი ორსართულიანი სახლი, რომლის პირველს სართულზეც იყო საკონდიტრო, სადაც არა მხოლოდ ნამცხვრები იყიდებოდა, არამედ შესაძლებელი იყო აგრეთვე ნაყინის, მაწვნისა და კისელის მირთმევა ან ჩაის დალევა, ხოლო საკონდიტროს უკან ლიმონათის და ნაყინის ქარხანა იყო“ [292, 16-17].

1908 წელს გაზეთი „სავაჭრო გზა“ იუწყებოდა თბილისში, დიდი მთავრის ქუჩაზე №25-ში **ფ.გენატის** საუკეთესო ლიმონათების ქარხნის შესახებ. როგორც სარეკლამო განცხადებიდან ჩანს ქარხანა 1874 წელს დაფუძნებულა. [192].


ფ. გენატისა.
დიდი მთავრის (ყაზიოენტასკი) ქუჩ., № 25.
ქარხანა დაარსებულია ამ ფირმით 1874 წელში.
ღღეს ფრიად გაუმჯობესებულია ყოველ სახეობ წყალი, ეშვენიერი გემოსი და არომატიანი.
უმორჩილესად გსთხოვ საზოგადოებას მოითხოვონ ყველგან გენატის წყალი.
(15—1)

* მიტროფანე ლაღიძის ნყლების მაღაზია ქუთაისში მოთავსებული იყო ქუთაისის ცნობილი ბულვარის მოპირდაპირე მხარეს, სადაც მეზობლად კვიცარიძის წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების მაღაზია ყოფილა. სნორედ ამ მაღაზიის წინ იკრიბებოდნენ თავადაზნაურთა ფენის წარმომადგენლები, რომლებიც აკაკის ლექსში მოხვდნენ.

ლიმონათის ქარხნის ეტიკეტი, რომელიც იწარმოებოდა სურამში.
ლიმონათის მწარმოებელი იყო ნიკოლოზ ჯობაძე, სურამის ამქრის წინამძღოლი

ნიკოლოზ ჯობაძე ოჯახით

უალკოჰოლო სასმელების წარმოებას მისდევდნენ აფხაზეთშიც. 1914 წელს სოხუმში ხელოვნური წყლების შვიდი საწარმო მოქმედებდა. ისინი ეკუთვნოდა: **ძმ.მგელაძეებს, შენგელაიებს, ტუსკიებს, ლადარიებს, ცქვიტინიძეებს, მასხარაშვილებს**. ამ სარეწებში 50-მდე მუშა ითვლებოდა. 1916 წელს საწარმოებმა მუშაობის მასშტაბები გაზარდეს, რადგან ხელოვნურ წყლებზე მოთხოვნილება გაიზარდა. მუშათა რიცხვი ზაფხულობით 80-90 კაცს აღწევდა. ლიმონათი, რომლის ერთი ბოთლი 4 კაპ. ღირდა, 1916 წელს 18 კაპიკად იყიდებოდა [227, 60].

ბორჯომის მინერალური წყლების აღმოჩენისა და მისი გამოყენების დრო დღემდე საკამათოა. რევოლუციამდელი წყაროები ბორჯომის მინერალური წყაროების „აღმოჩენის" თარიღად მიიჩნევს XIX საუკუნის 30-იან წლებს და უკავშირებს ხერსონის გრენადერთა პოლკის უფროსს **პ.პოპოვს**. 1912-1913 წლებში ბორჯომის მინერალური წყაროს №1 საკაპტაჟო სამუშაოების ნარმოების დროს ინჟინერ **ა.კონშინის** გადმოცემით, ნაპოვნი იქნა რამდენიმე ქვის აბაზანის ნაშთი, რომელიც ეკუთვნოდა „წინა ეპოქებს". ხალხური გადმოცემით კი ბორჯომის მინერალური წყლები XVII-XVIII საუკუნეებში ადგილობრივ მკვიდრთათვის კარგად ყოფილა ცნობილი. XVIIIს-ის ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „აღნერა სამეფოსა საქართველოსა", არაფერს ამბობს ბორჯომში სამკურნალო მინერალური წყლების არსებობის შესახებ [174, 173].

წყაროების ხელახალი აღმოჩენა უკავშირდება ხერსონის გრენადერთა შენაერთის ჯარისკაცებს, რომელთა ძირითადი ნაწილი გორში იდგა, ხოლო სამეურნეო ნაწილი 1829 წელს განთავსდა ბორჯომში. სწორედ ამ პოლკის ჯარისკაცებმა, მდინარე ბორჯომულას მარჯვენა სანაპიროზე, აღმოაჩინეს მინერალური წყლის საბადო. პოლკოვნიკი **პ.პოპოვი** დაინტერესდა ამ ფაქტით და უბრძანა მათი წყაროს სათავის განმენდა, რის შემდეგაც მინერალურ წყალს ბოთლებით ნაწილში ეზიდებოდნენ.



პოპოვი კუჭნაწლავით დაავადებული იყო და თავის თავზე გამოსცადა წყლის სიკეთე, რის შემდეგაც მინერალური წყლის სათავესთან ახლოს გააკეთებინა ქვის სააბაზანო და პატარა სახლი. 1837 წელს ხერსონის შენაერთი ქართველი გრენადერებით ჩაანაცვლეს. შენაერთის **ექიმი ამიროვი** დაინტერესდა მინერალური წყლით და დაიწყო მისი შემადგენლობის გამოკვლევები. მანვე მინერალური წყლის სასინჯი ეგზემპლარები გაგზავნა მოსკოვსა და პეტერბურგში.

1841 წელს ბორჯომის მინერალური წყალი უკვე იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ კავკასიის მეფისნაცვალს გენერალ **ევგენი გოლოვინს** ბორჯომში სამკურნალოდ ჩამოუყვა-

ნია თავისი ქალიშვილი ეკატერინე. მართალია, წყაროებში არ კონკრეტდება მისი დაავადება, მაგრამ ცნობილია, რომ სამკურნალო წყალს მასზე დადებითი შედეგი მოუხდენია. სწორედ ამის გამო მეფისნაცვალს მინერალური წყლის პირველი საბადოსთვის ქალიშვილის სახელი უბოძებია, ხოლო მეორისთვის საკუთარი. 1850 წელს ბორჯომში გაიხსნა მინერალური წყლების ბაღი, ამავე წელს ბორჯომის სამხედრო ლაზარეთში მივლინებით ჩამოდის აფთიაქარი **ზახაროვი.** სრულად დარწმუნებული ამ სამკურნალო წყლის სიკეთეში იგი 1 300 მინის ბოთლში ასხამს მინერალურ წყალს, ხის საცობებით უზრუნველყოფს მათ ჰერმეტულობას და გააქვს გასაყიდად საზღვარგარეთ, თითო ბოთლი შეფასებული იყო 25 კაპიკად. სწორედ ეს ფაქტი წარმოადგენს ბორჯომის მინერალური წყლის კომერციული მიზნებით ჩამოსხმისა და რეალიზაციის პირველ მცდელობას [34, 20-22].

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ იმპერიაში სპირტიანი სასმელების გასაღება აიკრძალა, რაც ერთგვარი ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა სხვადასხვა მინერალური წყლების წარმოება-გასაღების გასაფართოებლად. 1851 წელს სახელმწიფო ხაზინამ ბორჯომის ხეობა ავალიშვილებს თავის სასიკეთოდ დაათმობინა და უწოდა „ბორჯომის მამულები".

ამ ისტორიულ პერიოდში ეს ადგილები სუსტად დასახლებული სჩანს, ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში არ თვლიდა ბორჯომის მცხოვრებლებად ჯერ კიდევ ავალიშვილების ბატონობის დროს სურამიდან გადმოსახლებულ ვაჭარ-ხელოსნების ოჯახებს. ალბათ სწორედ ამან აიძულა მეფისნაცვალი **ვორონცოვი** და მასთან დაახლოებული პირები **ანდრეევსკი, ფადეევი, მურავიოვი** და სხვები, რომ კოლონისტების ჩამოსახლებაზე ეფიქრათ.

„მეფისნაცვალ ვორონცოვის ხელშეწყობით პოლტავისა და ჩერნიგოვის

გუბერნიებიდან სახელმწიფოს ხარჯზე ჩამოიყვანეს 764 კაცი და 611 ქალი, რომელიც შემდეგ ჩაასახლეს სადგერში, დაბაში, ნალვერში, ბაკურიანსა და ციხისჯვარში. ადგილზე მათ მიეცათ ფულადი დახმარება და სხვა შეღავათები. ბორჯომში მუდმივი ცხოვრების უფლება ჰქონდა 12 კომლს, ესენი უმეტესად ეროვნებით რუსები იყვნენ. მოგვიანებით მათ მიემატა თურქეთიდან გადმოხვეწილი ბერძენთა 25 ოჯახი" [34, 23-25].

ბორჯომის მინერალური წყლები მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა სახელმწიფო სალაროს, ამიტომაც ხელისუფლების მხრიდან შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო სამსახურები, რომლებსაც უშუალოდ დაევალათ „ბორჯომის მამულების" კონტროლი. 1861 წლის 11 დეკემბერს გენერალ **ა.ბარიატინსკის** ბრძანებით შეიქმნა მინერალური წყლების განსაკუთრებული სამმართველო, რომლის მმართველად დაინიშნა გენერალი **ზინოვიევი.** ისტორიულ წყაროებში დაცული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს ბორჯომის მინერალური წყლების შემოსავლიანობას:

წელი	გაიცა აბაზანის ბილეთი	გაიცა წყლის დალევის ბილეთი	მიღებული თანხა
1860	1738	70	577 მ 40 კაპ
1861	1213	16	316 მ 70 კაპ
1862	1425	74	490 მ 60 კაპ
1863	1732	57	586 მ
1866	565	29	594 მ 20 კაპ

მასალა აღებულია ნაშრომიდან: ბორჯომის მინერალური წყლების წარმოება (ისტორიულ-ეკონომიკური ნაშრომი). ა.ბრეგვაძე. თბ. 1964 გვ 28

მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად იმატა ბორჯომის მინერალური წყლებით ბალნეოლოგიური მკურნალობის მსურველთა რიცხვმა რუსეთიდან, თეირანიდან, თავრიზიდან, კონსტანტინოპოლიდან და ა.შ. არსებული სტატისტიკით:

1895 წელს ბორჯომში ისვენებდა	1 799 კაცი
1896 წელს ბორჯომში ისვენებდა	2 188 კაცი
1898 წელს ბორჯომში ისვენებდა	3 292 კაცი
1899 წელს ბორჯომში ისვენებდა	3 125 კაცი
1900 წელს ბორჯომში ისვენებდა	3 253 კაცი
1901 წელს ბორჯომში ისვენებდა	3 159 კაცი

მასალა აღებულია ნაშრომიდან: ბორჯომის მინერალური წყლების წარმოება (ისტორიულ-ეკონომიკური ნაშრომი). ა.ბრეგვაძე. თბ. 1964 გვ 46

1862 წელს იმპერატორი ალექსანდრე II-მ კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე თავისი ძმა მ.რომანოვი დანიშნა, ხოლო 1870 წელს აჩუქა ბორჯომის მამული. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბორჯომში უმაღლესი წარჩინებული წოდების ადამიანთა შესაფერისი ინფრასტრუქტურის

განვითარება. ამისათვის კავკასიის საერთო შემოსავლებიდან და საიმპერატორო ხაზინიდან მნიშვნელოვანი თანხები გამოიყო, დაიწყო რკინის ხიდის მშენებლობა მდინარე მტკვარზე, საზღვარგარეთიდან მოიწვიეს ტყის ექსპლოატაციისა და სანადირო ნაკრძალთა მოწყობის სპეციალისტები, რკინის ხიდები და საიმედო ჯებირები გაკეთდა მდ.ბორჯომულაზე, მოეწყო სასეირნო პარკი, ბილიკები ფეხით მოსიარულეთათვის და ა.შ. ლიკანში რომანოვების ინიციატივით ცნობილი არქიტექტორის ბენუას პროექტით იწყება სასახლის მშენებლობა, რომლესაც კაპიტალისტები **იზმიროვი, მედვედევი, აკოფოვი, სპარსეთის კონსული რუსეთში და სხვ.** აფინანსებდნენ. იქვე გამართეს საჯინიბო, სამრეცხაო და სხვა საყოფაცხოვრებო ნაგებობები. პარალელურ რეჟიმში გრძელდება ბორჯომის მინერალური წყლის მეცნიერული კვლევა. ამ მიზნით 1888 წელს ბორჯომი ინახულეს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორებმა **ვ.მარკოვნიკოვმა, მ.ჩერნიშოვმა** და პროფესორის ასისტენტმა დოცენტმა **ა.შერბაკოვმა.** ჩამოისხა რამოდენიმე ასეული ბოთლი მინერალური წყალი და გაიგზავნა მოსკოვში, პროფესსორ **მ.ჩერნიშოვის** კლინიკაში, სადაც 47 ავადმყოფზე წარმოებდა დაკვირვება ბორჯომის მინერალური წყლის მოქმედების შესახებ. მიღებული შედეგები მოხსენდა პეტერბურგში **პირაგოვის** მესამე ყრილობას, რამაც ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, ამით დიდად დაინტერესდა სამეფო კარი. დიდი მთავარი მ.რომანოვი ბორჯომის მამულის სამმართველოს ავალებს დაუყოვნებლივ შეიმუშაოს გეგმა ბორჯომისა და მისი ახლო მდებარე გარემოს საკურორტო მშენებლობის შესახებ და მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმოს მინერალური წყლების სამრეწველო ჩამოსხმის საკითხებს [34, 33]. რადგან სამეფო კარზე დასაქართველოში ბალნეოლოგიური მკურნალობის და მითუმეტეს წყლების სამრეწველო ჩამოსხმის არანაირი გამოცდილება არ არსებობდა, საზღვრაგარეთ, ცნობილ ევროპულ კურორტებზე-კარლსბადში, ვისგიუბლიში და ტემპლიც შენაუში გააგზავნეს ექიმი **ვიხოდცევი,** რომელმაც კარგად იცოდა რა წარმოადგენდა

მის მიზანს. 1891 წლის შემოდგომაზე ვიხოდცევი ბრუნდება საქართველოში და იწყებს ბორჯომის მინერალური წყლების ბოთლებში ჩამოსხმისათვის ტექნიკურ მზადებას, რაც გულისხმობდა იმას, რომ ჩამოსხმა მიმდინარეობდა თეთრ გამჭვირვალე ბოთლებში, მდინარე ბორჯომულას საბანო აუზის შენობასთან, რომელიც ბორჯომის წყაროსთან ახლოს მდებარეობდა. ტექნიკურად ყველა პროცესი წარმოებდა ხელით, ბოთლების ჰერმეტიზება ხდებოდა საცობებით, ისინი სათითაოდ იფუთებოდა და ხის ყუთებში თავსდებოდა. პროცესი იყო საკმაოდ შრომატევადი, ამის გარდა აუზში მინერალურ წყალს ნიადაგიდან გამოჟონილი წყალიც ერეოდა, რაც მის ქიმიურ შემადგენლობას არღვევდა. 1892 წლისათვის მოხდა წყაროს მთლიანი გადაკეთება, ბოთლებში ჩამოსასხმელად პარკის ტერიტორიაზე აშენდა სპეციალური ხის შენობა, ხოლო ბორჯომის მინერალური წყლის სტაბილური ქიმიური შემადგენლობის უზრუნველსაყოფად პეტერბურგიდან ბორჯომში ჩამოდის ევროპის მინერალური წყლების ჩამოსხმის ტექნოლოგიის კარგად მცოდნე ქიმიკოსი **მოლდენგაუერი,** მან საფუძვლიანად შეისწავლა ევროპის მინერალური წყლების ჩამოსხმის ტექნოლოგია, არაერთი ცდა ჩაატარა ადგილზე და შესაბამისი დასკვნაც დადო, რომლის თანახმადაც აუცილებელი იყო ბორჯომის მინერალური წყლისათვის ხელოვნური ნახშირმჟავა გაზის დამატება. მხოლოდ ამ გზით შეინარჩუნებდა უცვლელად ბოთლებში ჩამოსხმული სასმელი თავის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს [34, 35].

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საუფლისწულო მამულის სამმართველომ მიიღო გადაწყვეტილება მინერალური წყლების ტერიტორიაზე დაეწყო ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა იმ დროისათვის უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიით, 85 ათასი მანეთის ღირებულების მანქანა-დანადგარები პეტერბურგიდან გამოიწერეს, მათ შორის იყო ჩამომსხმელი 2 მანქანა, ინგლისიდან ჩამოიტანეს ნახშირმჟავა გაზი.1896 წელს დასრულდა ორსართულიანი ქვის შენობის მშენებლობა და მოქმედება დაიწყო მთელ რუსეთის იმპერიაში მინერალური წყლების ჩამომსხმელმა პირველმა ქარხანამ გარდა ქარხნის ტექნიკური მხარის გაუმჯობესებისა, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას და მოეწყო ბოთლების შესაფუთი ყუთების საწარმო.

1894 წელს მოხდა ხაშური-ბორჯომის სარკინიგზო ხაზის გაყვანა, რამაც ეს კუთხე დანარჩენ საქართველოსთან დააკავშირა და შექმნა ხელშემწყობი პირობები ბორჯომის წყლის წარმოებისათვის. ბორჯომის მინერალური წყალი აღმოჩნდა მოთხოვნადი პროდუქტი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, რამაც სწრაფად გაზარდა მისი. წარმოების მასშტაბები.

ბორჯომის მინერალური წყლების რელიზაცია იმპერიის 180 ქალაქში ხდებოდა, რუსეთის დიდ ქალაქებში: პეტერბურგი, მოსკოვში, ხარკოვში, კიევში, ოდესაში, თბილისში და ა.შ. შეიქმნა ბორჯომის მინერალური წყლების გამსაღებელი კანტორა-სააგენტოები. დადგენილი წესით ყველა ის პირი, რომელიც დაუკვეთავდა 1000 ბოთლზე მეტ მინერალურ წყალს ეძლეოდა შეღავათი და მისი 1 ბოთლის ღირებულება მერყეობდა 12 კაპ-დან 18 კაპ-მდე. მასში არ იყო გათვალისწინებული ყუთებისა და შეფუთვის ღირებულება. 1895 წლისათვის რუსეთის ქალაქებში ბორჯომის მინერალური წყალი იყიდებოდა არა



ნაკლებ 35-40 კაპიკისა. ამ პერიოდისათვის ბორჯომის მინერალური წყალი გაზიდულ იქნა პოლონეთში, ინგლისში, იტალიასა და ალჟირში.

მინერალურ წყალს დიდი რაოდენობით იღებდა პეტერბურგის სამეფო კარი. 1895 წელს მარტო აქ მიზიდულ იქნა 41 250 ბოთლი ბორჯომი. ასევე იმავე წელს მოსკოვის 5 სააგენტოში გაიყიდა დაახლოებით 25 ათასი ბოთლი [34, 36]. ასეთი სააგენტოები ჰქონდა პეტერბურგელ **შასკოლსკის სავაჭრო სახლს, კელერს, შნურკოვს და სხვ.** რომლებიც პროდუქციის რეალიზაციას ევროპისა და აზიის ქვეყნებშიც ახდენდნენ.

ბორჯომის მინერალური წყლების გამსაღებელი დიდი კანტორა-სააგენტო ჰქონდა ოდესაში თავად **გაგარინს** ხოლო პეტერბურგში აფთიაქარ **ოპენგეიმს.** ბორჯომის მინერალური წყალი აღმოჩნდა იმპერიის მასშტაბით კონკურენტუნარიანი პროდუქტი და თავისუფლად მოახერხა რუსეთის ბაზრიდან განედევნა ვიშის მინერალური წყლის პროდუქცია.

ვფიქრობთ ისევ ქიმიკოს **მოლდენგაუერის** გამოცდილებით ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანაში დაიწყეს მინერალური წყლის მარილის დამზადება საკმაოდ რთული ტექნოლოგიით. სამკურნალო წყალი უჰაერო სივრცესა და დაბალ ტემპერატურაზე იხარშებოდა ბლანტი კონსისტენციის მიღებამდე, შემდეგ იფილტრებოდა და თავსდებოდა სპეციალურ აპარატში, საიდანაც მიიღებოდა თეთრი მარილი. სარეალიზაციოდ პროდუქცია თავსდებოდა1/4, 1/2 ან 1 გირვანქა წონის მინის ჭურჭელში. ასევე მზადდებოდა ხელოვნური აბაზანის მისაღები მარილი(ფასი-1მან50კაპ) და ტკბილად შეზავებული სურნელოვანი ეთერზეთებიანი კვერები(ფასი-20 კაპ).

ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნისათვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა მინის ჭურჭელი, ამ პერიოდის საქართველოში მინის წარმოება ნაკლებად იყო განვითარებული. მოქმედი მინის ქარხნები ვერ იძლეოდა საჭირო ხარისხის და ასორტიმენტის პროდუქციას, ამიტომ ქარხანას

საჭირო პროდუქცია ფინეთიდან შემოჰქონდა. ბუნებრივია, რომ მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის ამოქმედებისთანავე დღის წესრიგში დადგა ბორჯომში მინის ქარხნის მშენებლობის საკითხი, რაც განხორციელდა კიდეც.

ბორჯომის მინის ქარხანა არ წარმოადგენდა ერთადერთ დამხმარე მეურნეობას მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნისათვის, ასეთ საწარმოდ ჩამოყალიბდა ახალდაბის სახერხი ქარხანა, ბოთლების შესაფუთი, სატრანსპორტო და სასაწყობო მეურნეობები.ახალდაბის სახერხ ქარხანაში მზადდებოდა ხის ყუთები ევროპული სტანდარტით, ასევე აქედან მოჰქონდათ ნახერხი და ბურბუშელა ბოთლების შესაფუთ მასალად. მინერალური წყალი ხის ყუთებში ჩაწყობილი იგზავნებოდა. ყუთის ზომა და მოყვანილობა ანალოგიურად ისეთივე იყო, როგორც ვიშის ფრანგული ფრიმისა. ყუთებში ნაკლები იყო ბოთლების ერთმანეთზე დაწოლის ძალა, რაც უზრუნველყოფდა ტრანსპორტირების დროს ბოთლების დაუმსხვრევადობას. თუ მინერალური წყალი იგზავნებოდა შორ მანძილზე, ყუთებს სიმტკიცისათვის უკეთბედნენ რკინის სალტეებს. ბოთლების შეფუთვისათვის საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა პურეული ბზა, რომელსაც რუსეთიდან იღებდნენ და ბურბუშელა-ნახერხი. ერთი კონა ბზა ადგილზე მიტანით ჯდებოდა 1/2 კაპიკი, ხოლო ნახერხს იღებდნენ ახალდაბის სახერხიდან [34, 44].

ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმის დინამიკას 1890-1900 წლებში შემდეგი სახე ჰქონდა:

	1890	1891	1892	1893	1894	1895	1896	1897	1898	1899	1900
მინერალური წყლის ჩამოსხმის რაოდენობა (ბოთლებში)	3350	6055	6552	147983	193949	319225	481708	653267	812722	900052	1132562
იმ ქალაქების რაოდენობა სადაც იყიდება მინერალური წყალი	11						51	129	167	173	180

მასალა აღებული ნაშრომიდან: ბრეგვაძე ა. „ბორჯომის მინერალური წყლების წარმოება“ (ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი) თბ. 1964 გვ 36

1897 წელს მიხეილ რომანოვი ბორჯომში აშენებს 3 ათასი ცხენისძალის სიმძლავრის პირველ ელექტროსადგურს, რომელიც ელეტროენერგიით ამარაგებდა არა მხოლოდ ბორჯომს, არამედ მის მოსაზღვრე სამ რაიონს. მან მუშაობა დაიწყო 1899 წლის 15 იანვარს და 1958 წლამდე იფუნქციონირა. პროექტი შეადგინა **მოლდენგაუერმა** და თვითონვე ხელმძღვანელობდა მშენებლობის წარმოებას. მდინარე ბორჯომულადან წყალი გადაგდებულ იქნა სადერივაციო არხში, რომლის სიგრძე 10 ვერსს შეადგენდა. არხი იწყებოდა ნადარბაზევიდან და მოდიოდა სადგერის გამოვლით ბორჯომის მთის პლატოზე, ზოგან იგი

კლდეებზე იყო ჩამოკიდებული. არხით მოსული წყალი პლატოზე გროვდებოდა ქვის დიდ აუზში. აქედან მძაფრად დაქანებული წყალი თუჯის მილებით ეცემოდა ცენტრალურ ელექტროსადგურში, ხოლო ნამატი წყალი ელსადგურის მცირე მოშორებით დიდი სიმაღლიდან ვარდებოდა მდ.ბორჯომულაში, რომელსაც „ბორჯომულას წყალვარდნილს" უწოდებდნენ [34, 47].

თვით ელექტროსადგური დაპროექტდა არქიტექტორ ვ.შენგარდტის მიერ. გი განთავსებული იყო ერთსართულიანი ქვის შენობაში მდინარე ბორჯომულას მარჯვენა მხარეს. ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე შეადგენდა 60 კვ. იგი პეტერბურგისა და ახალი ათონის მცირეძალიანი ჰიდროელექტროსადგურების შემდეგ ერთ-ერთი პირველი იყო მთელ რუსეთის იმპერიაში. ენერგია ხმარდებოდა რომანოვების სასახლეს და მის სამეურნეო დაწესებულებებს, შემდეგ იგი ეძლეოდა მინერალური წყლების ჩამოსასხმელ ქარხანას, პარკს და სხვა წარმოებებს.

ბორჯომის მინერალური წყლის რეალიზაციას ანხორციელებდნენ იმ დროისათვის მთელი რუსეთის იმპერიაში ცნობილი სავაჭრო სახლები. პეტერბურგში **შასკოლსკის** სავაჭრო ფირმის რწმუნებულები გაცხოველებულ მუშაობას ანარმოებდნენ სამედიცინო წრეებში, მათ ეგზავნებოდათ ბორჯომის მინერალური წყალი უფასოდ. ღუსულ და ევროპულ ენებზე გამოიცა ბორჯომის მინერალური წყლის შესახებ მრავალი ცნობარი, რულა და ღია საფოსტო ბარათი. მას შემდეგ, რაც ბორჯომის მინერალურმა წყალმა საერთაშორისო გამოფენაზე 1907 წელს მიიღო დიპლომა, ხოლო 1909 წელს ყაზანში დიდი ოქროს მედალი, შასკოლსკის სავაჭრო ფირმამ შეძლო ამ პროდუქციის მტკიცე ექსპორტის შექმნა ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში. ამის პარალელურად ქარხანაში შეიქმნა საექსპორტო განყოფილება [34, 55].

ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმის დინამიკას 1901-1913 წლებში შემდეგი სახე ჰქონდა:

წელი	ბოთლების რაოდენობა	წელი	ბოთლების რაოდენობა
1901	1 900 000	1908	4 800 000
1902	2 160 000	1909	5 100 000
1903	2 160 000	1910	6 500 000
1904	2 580 000	1911	7 920 000
1905	2 880 000	1912	9 660 000
1906	2 820 000	1913	10 800 000
1907	3 840 000		

მასალა აღებული ნაშრომიდან: ბრეგვაძე ა. „ბორჯომის მინერალური წყლების წარმოება" (ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი) თბ. 1964 გვ 54

1914 წელსბორჯომის მინერალური წყლების ქარხანამ გასაგზავნად 11 მლნ ბოთლი გაამზადა, მაგრამ მსოფლიო ომის დაწყებამ საწარმო დიდი სიძნელეების წინაშე დააყენა. ამის მიუხედავად, ის დიდი მთავრის მფარველობით შეუნელებლად ცდილობდა საქმიანობის გაგრძელებას. 1914-1917 წლებში ბორჯომის წყ-



ლის ჩამოსხმა მცირდება. ასე მაგალითად:

1914 წელს ჩამოასხეს 11 მლნ ბოთლი;

1915 წელს-7 321 ათასი ცალი ბოთლი;

1916 წელს-7 260 ათასი ცალი;

1917 წელს-6 120 ათასი ცალი ბოთლი [136, 295-299].

ბორჯომის წყლის ჩამომსხმელ ქარხანას ყოველთვის ჰქონდა რომანოვების მფარველობა, ამიტომ 1917 წლის პოლიტიკურ ბატალიებს ქარხნის ინტერესებიც შეეწირა. საქართველოს მენშევიკურ მთავრობას რუსეთთან არანაირი ეკონომიკური კავშირები აღარ აინტერესებდა, ავტომატურად გაუქმდა იმპერიის სავაჭრო სახლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რამაც სერიოზული სიძნელეები შეუქმნა მინერალური წყლების რეალიზაციას. ცნობილი პოლიტიკური მოვლენები გამო მოხდა რომანოვების უძრავი და მოძრავი ქონების საკუთრების უფლებების შეცვლა. შეიქმნა რომანოვების ყოფილი „მამულის" დირექცია, რომელსაც დაექვემდებარა ამ ფართობზე განთავსებული მთელი ქონება. 99 600 მან. შეფასდა ქარხანაში განთავსებული ინვენტარი, ეს თანხა მალიშევისა და ბერგმანის ინტერებიდან გამომდინარე, ნაწილობრივ იქნა დაფარული. მომდევნო წელს რომანოვების უძრავი და მოძრავი ქონების საკუთრების უფლებები სახელმწიფო ქონების სამმართველომ და მიწათმოქმედების სამინისტრომ გადაიბარა. 1918 წლის17 მაისს სამინისტრომ შეძლო ბორჯომის მინერალური წყლების რეალიზაციით დაინტერესებულ პირებთან **ა.ბუკიასთან, ვ.კილაძესთან და დ.ქებაძესთან** ხელშეკრულებების დადება. მათ სამინისტროსაგან შეძენილი 1 136 000 ბოთლი მინერალური წყალი უნდა გაეტანათ ბორჯომიდან არა უგვიანეს 6 თვის განმავლობაში, მაგრამ დ.ქებაძემ შეძლო მხოლოდ 426 700 ბოთლის გატანა [34, 68].

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოებისა,XIXს.–XXს პირველ ოცწლეულში საქართველოში ხელოვნური წყლის ქარხნები ჰქონდათ:**აკოევს, გენნადის, მადერას, გასპაროვს, დოდანოვს, ზემელს, ვენნაგელის, აბგარიანცს, აკოფოვს, საამოვს, შპელტერისს, სიბოევს** და სხვ.

ლუდის წარმოება XIX საუკუნის საქართველოში

ცნობილია, რომ ლუდს კავკასიაში უკვე ჩვ/წ.აღ-მდე IV ს-ში იცნობდნენ. ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს ბერძენი ისტორიკოსი და მოგზაური ქსენოფონტე, რომლის თხზულებაში „ანაბაზისი" დაცული ცნობის თანახმად, სომხეთზე გავლის დროს ბერძნებს ევფრატის სათავის მიდამოების სიახლოვეს და ხალიბების მეზობლად უნახავთ ჭურჭლებში ჩასხმული ქერის ღვინო, ანუ ლუდი*. საქართველოში თავდაპირველად ლუდის დამზადებამ ფეხი მოიკიდა მთიან ზოლში, რომელმაც ქართველი მთიელების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა-აქ მიმდინარე ყველა დღესასწაული თუ საკულტო რიტუალი ლუდთან იყო დაკავშირებული და ლუდით იყო გაპატიოსნებული, ადგილობრივი მცხოვრებნი ტრადიციულ დღესასწაულებზე თავისი გამოხდილი ლუდით უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს. სამრეწველო-კომერციული ხასიათი ლუდის წარმოებამ საქართველოში უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნის დასაწყისში მიიღო და ეს წარმოება გერმანელი და რუსი კოლონისტების ჩამოსახლებას უკავშირდება. ისინი ლუდის აქტიური მომხმარებლები იყვნენ და საქართველოში ამ პროდუქციის არარსებობის გამო გარკვეული დისკომფორტი ექმნებოდათ.

სამხრეთ კავკასიაში გერმანელთა ჩამოსახლება ცარიზმის უშუალო ხელშეწყობით მოხდა, რაც განპირობებული იყო ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებებით. კოლონისტთა პირველი ნაკადი საქართველოში ჩამოვიდა 1817 წელს (181 სული), ხოლო მომდევნო წელს მათ დაემატა კიდევ 500 გერმანელის ოჯახი, რომლებიც თბილისის გუბერნიის სხავადასხვა ადგილას დაასახლეს. შემდგომშიც გერმანელების ჩამოსახლება საქართველოში პერიოდულად მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. მათში ჭარბობდნენ ხელოსნები. მათ მიერ წარმოებული პროდუქციით თბილისის მოსახლეობა უხვად მარაგდებოდა, რომელთა შორის გერმანულ ლუდს თვალსაჩინო ადგილი ეკავა.

ლუდის დასამზადებლად ნედლეულად იყენებდნენ ქერს, რომელიც ძირითადად მთაგორიან ადგილებსა და ზეგანებზე მოჰყავდათ, მაგალითად ახალქალაქში, ალექსანდროპოლში, გორის მაღლობებზე, გოგჩის ტბის მიდამოებში. აქ ძირითადად ორი სახის ქერი მოჰყავდათ: ე.წ. „ახალთესლი" და „ძველთესლი", მათ შორის პირველი ორჯერ უფრო ძვირად ფასობდა. XIX საუკუნის 90-იან წლებამდე მისი ღირებულება ფუთზე 25 კაპ. იყო, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისისათვის მისი ფასი გაორმაგდა. საშუალოდ ერთი ფუთი „ახალთესლის" ჯიშის ქერის თბილისამდე ჩამოტანა 80 კაპიკამდე ჯდებოდა. იგი ქარხნებს ჩენჩოიანად მიეწოდებოდათ, სადაც შემდეგ ხდებოდა გასუფთავება. ხარისხიანი ქერის გასუფთავების შემდეგ რჩებოდა 70% ალაო, ხოლო 1 ფუთი ალაოსაგან მიიღებოდა 4,5 ვედრო საშუალო ხარისხის ლუდი. რაც მეტი ლუდი გამოიხდებოდა, მით უფრო წყალწყალა იქნებოდა სასმელი და პირიქით 4 ვედროზე

* ოთხთავისა და დაბადების ქართულ თარგმანებში ამ დამათრობელი სასმელის სახელად თაფლუჭი-თაფრუჭი გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში კი ასე მოიხსენიებს: „ლუდი ქერის თაფლუჭი არის". ივ.ჯავახიშვილის განმარტებით, თაფრუჭი ძველ დროში ადუღებულ, აქაფებულ თაფლს ნიშნავდა, რაც შეეხება „ლუდს", იგი წარმომდგარი უნდა იყოს ამ სასმელის ჩრდილოევროპული სახელისაგან „ალუტ"(იხ. ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ V, თბ, 1986, გვ. 676-677)

თუში ლუდის კასრთან, სოფელ ფარსმიდან

ნაკლების გამოხდით კარგი ხარისხის ლუდი მიიღებოდა [238, 41].

საქართველოში 4 მცირე სიდიდის ლუდსახარში XIX საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა, მაგრამ ღვინის სასმელებს კონკურენცია ვერ გაუწია და დაიხურა. წარმოშობით გერმანელმა **ზალცმანმა,** რომელიც სასტუმროს მეპატრონეც იყო თბილისში 1832 წელს საკუთარი ლუდსახარში გახსნა და სასტუმროში შეჩერებულ სტუმრებს ლუდით უმასპინძლდებოდა, მაგრამ მისი წამოწყებაც წარუმატებელი აღმოჩნდა.

1850 წელს დიდი მოცულობის ლუდსახარში ქარხანა საქართველოში დააარსა გერმანელმა კოლონისტმა **ოტო მადერმა.** თუმცა ამ საწარმოში მხოლოდ მუქ(შავ) ლუდს ხარშავდნენ, რომელიც არ გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით და მხოლოდ კოლონისტები მოიხმარდნენ. 1892 წელს გაზეთ „ანონსი"-ს №232 ნომერში იუწყებოდა ლუიზა მადერის(ოტტო მადერის მეუღლის) ლუდსახარშ ქარხანაში გაჩენილი ხანძრის შესახებ, რომელმაც გაანადგურა ქარხნის მთელი ინფრასტრუქტურა, ზარალმა 200 ათასი რუბლი შეადგინა. წლების განმავლობაში ამ ქალბატონმა შეძლო ქარხნის აღდგენა, წარმოების გამართვა და უკვე 1900 წლისათვის გაზეთებში გამოჩნდა მადერის ფირმის წარმოებული ლუდის სარეკლამო განაცხადები.

1865 წელს დაარსდა **ფრიდრიხ კარლ ვეტცელის(ვენცელის)** ლუდის რამდენიმე ქარხანა, სადაც მაღალი ხარისხის ბავარიულ ლუდს ამზადებდნენ. საწარმოო პროცესი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ 3 წლის შემდეგ ვეტცელმა ააშენა ქვის დიდი ახალი შენობა, გამოიწერა გერმანიიდან გამოცდილი ოსტატი და დაიწყო სხვადასხვა მარკის საუკეთესო ლუდის წარმოება, მათ შორის: „პილზენის", „შავი", „მიუნხენის", „საიუბილეო", „ექსპორტი". მთავარი ქარხანა დიდი მთავრის ქუჩაზე, ვორონცოვის სანაპიროზე (შემდგომ უზნაძის ქუჩა) მდებარეობდა და ყველაზე მნიშვნელოვანი ლუდის ქარხანა იყო მთელ სამხრეთ კავკასიაში [190, 81]. მაშინდელი ლუდის მწარმოებლების



კეთილსინდისიერ მუშაობაზე მეტყველებს პროდუქციის მაღალი ხარისხი, რომლის დამადასტურებელია ის ჯილდოები, რომლებსაც ისინი იღებდნენ სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე. ცნობილია, რომ 1882 წელს მოსკოვში ჩატარებული სრულიად რუსეთის შემოქმედებითი-სამრეწველო გამოფენაზე თბილისში დამზადებულმა ლუდმა მაღალი შეფასება დაიმსახურა: საექსპერტო კომისიის მიერ შედგენილ დასკვნაში (არსებობს 6 ტომი, რომლის ავტორია **ვლადიმერ ბეზობრაზოვი** (1828–1889 წწ), გამოჩენილი რუსი ეკონომისტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) წერია, რომ სწორედ ამ გამოფენაზე იღებდა მონაწილეობას ვეტცელი(ვენცელი) და საექსპერტო კომისიის მიერ დაჯილდოვდა კიდეც (Ветцель Фридрих Каспарович. Пивоваренный завод в Тифлисе. За хорошее пиво и за развитие этого производства на Кавказе до 60 000 вёдер). იაკობ ვეტცელი შეძლებული და მიზანდასახული პიროვნება იყო, მას ეკუთვნოდა სასტუმრო მიხეილის გამზირზე (იგი ფლობდა სასტუმროების ქსელს მთელი რუსეთის იმპერიაში), რომლის შენობა, საგანგებოდ აშენდა 1897-1900 წლებში სასტუმროს ჰქონდა ორი რესტორანი და თეატრი. გარდა ამისა, მან აამუშავა ყინულის ქარხნული წარმოებაც თბილისში. „ყინულის შედარებით მსხვილი მომხმარებლები იყვნენ სახედრო ჰოსპიტლები, საავადმყოფოები და ლუდსახარშები. ისინი ცდილობდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ იმ ყინულით, რომელსაც იმარაგებდნენ ზამთრის თვეების განმავლობაში. მხოლოდ ერთმა ლუდისმწარმოებელმა, ვეტცელმა გადაწყვიტა, არ ყოფილიყო დამოკიდებული ამინდზე და თავისი სარდაფებისათვის შეეძინა ყინულის მუდმივი მარაგი. Aამისათვის მან შეიძინა ყინულის დამამზადებელი მანქანა სრული მოწყობილო-

ბით და დაიწყო წარმოებაც [308, 137-138].

ვეტცელის წარმატება მისაბაძი აღმოჩნდა და მალე გერმანელთა იმავე კოლონიაში კიდევ ლუდის ორი ქარხანა გაიხსნა. ლუდსახარში ქარხნები გახსნეს გერმანელმა **გუტბროდმა** და **რიჰარდ დიტრიხმა**. 1885 წელს გაზეთ „კავკაზის' №274-ში რიჰარდ დიტრიხი წერს: „ჩემს მიერ წარმოებულ ლუდს ვყიდი საკუთარი სახლის ეზოში და დიდუბეში, მუშტაიდის ბაღთან ახლოს იმ იმედით, რომ თბილისის პატივსაცემი საზოგადოება ღირსად ჩამთვლის მიირთვას უმაღლესი ხარისხის ლუდი ჩემთან" [104].

1884 წელს თბილისის ლუდსახარში ქარხნის ერთ-ერთმა ოსტატმა **კ.კირიშჩევმა** საკუთარი ლუდსახარში ქარხანა გახსნა ახალციხეში. წარმოება იყო ნაკლებად მასშტაბური, საწარმოო პროცესში დასაქმებული იყო 3კაცი.

მოგვიანებით ერთ-ერთი ლუდსახარში გუტბროდისაგან შეუძენია ვინმე **ლორთქიფანიძეს**, რომელიც ტრამვაების მფლობელი ყოფილა. მას დიდუბეში ჰქონია გრძელი ფიცრული, მაღალი ჩარდახებით, ჰყიდდა ლუდს და გასართობ საღამოებსაც მართავდა ხოლმე კვირაში ერთ დღეს. არც მისი წარმოება გამოირჩეოდა მასშტაბურობით, საწარმოო პროცესში დასაქმებული იყო 16 კაცი. მან ქალაქის ბაღში მოაწყო ღია პავილიონი, სადაც დაიწყო ლუდის გაყიდვა. თბილისური ზაფხულის სიცხეებში ბაღში მოსეირნეებსა და ლუდის მოყვარულებს საშუალება ეძლეოდათ ლუდხანების მაგივრად ცივი ლუდი პირდაპირ ღია სივრცეში დაეგემოვნებინათ. გარდა ამ სიკეთისა, ხალხს მუსიკითაც იზიდავდნენ. სიახლემ განსაკუთრებით საშუალო და დაბალი ფენა მიიზიდა. ამგვარად ლორთქიფანიძემ უზარმაზარი მოგება მიიღო და მას თანდათან ლუდის სხვა მწარმოებლებს შორის მიმბაძველებიც გამოუჩდნენ [238, 41-42].

ლუდის დასამზადებელი სანედლეულე მასალა, ადგილობრივი რესურსის გარდა, შემოჰქონდათ ყარსის ოლქიდან და ერევნის გუბერნიებიდან, სადაც პროდუქტი უხვად ინარმოებოდა და იაფადაც იყიდებოდა, ფუთი 20-30 კაპიკად. სანვავის სახით ლუდის ქარხნები შეშას მოიხმარდნენ, XIX საუკუნი ბოლოს საქართველოში სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ შეშა ჩაანაცვლა ნავთობპროდუქტებმა.

ფრიდრიხ კარლ ვეტცელი

ქარხნების სრული მენეჯმენტი თავის თავზე ჰქონდათ აღებული მეპატრონეებს, რომლებიც არ ფლობდნენ სპეციალურ განათლებას, პრაქტიკული დაკვირვებებით მიაღწიეს მნიშვნელოვან მიღწევებს, მაგრამ იყო პრობლემებიც.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში მოქმედ 5 ლუდსახარშში ერთად მუშაობდა 59 მუშა. ვეტცელთან-17, მადერთან-16, დიტრიხთან-7, ლორთქიფანიძესთან-16, კირიშჩევთან-3. დასაქმებული მუშახელი საწარმოების ტერიტორიაზე ცხოვრობდა, არც თუ სახარბიელო პირობებში. მათი ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 15-25 მან. მათი სამუშაო პირობებიც არ იყო კარგი, ამიტომ მუშები ხშირად ავადმყოფობდნენ. ინჟინერ-ტექნოლოგის სტ.გულიშამბაროვის მიერ 1888 წელს შედგენილ ფაბრიკა-ქარხნების აღწერაში ვკითხულობთ მოქმედი ლუდსახარში ქარხნების შემდეგ დახასიათებას: Справедливость требует сказать, что у Дитриха, Мадера и Ветцеля пивоварение ведётся хорошо, прочных каменных зданиях, с прекрасными подвалами и холодильниками.Что же касается заводов Кирищева и Лорткифанидзе, то первый ешё только начинает расширять своё дело и пока не имеет правильно организованного устройства, а последний пришёл уже в такую ветхость и содержится так грязно, что в пору бы было его закрить, в видах охраны общественной безопасности. [308, 35-40].

შესაძლებელია ეს ვითარება იმითაც ყოფილიყო გამოწვეული, რომ გერმანელ კოლონისტებს ხელისუფლებისაგან ფინანსური და ადმინისტრაციული ხელშეწყობა ჰქონდათ, ამას ემატებოდა დისციპლინისა და წესრიგის მოყვარულობის გერმანული ხასიათი და ყველაფერი ასახვა პოვებდა საწარმოო პროცესში.



ფრიდრიხ კარლ ვეტცელის მიერ 1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე მიღებული მედალი: Ветцель Фридрих Каспарович. Пивоваренный завод в Тифлисе. За хорошее пиво и за развитие этого производства на Кавказе до 60 000 вёдер

XIX საუკუნის ბოლოს თბილისში დიდი ოდენობით ლუდი იწარმოებოდა. მისი რეალიზაცია ხდებოდა ადგილობრივ ბაზრებსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში: ბორჯომში, აბასთუმანში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში. მხოლოდ 1886-1887 წლებში 2-ჯერ გაიზარდა ლუდის წარმოება, პროდუქციის უდიდესი ნაწილი ვეტცელის ქარხანაზე მოდიოდა. ვედრო ლუდის ღირებულება 1,2-დან 1,6 მანეთამდე მერყეობდა. ლუდის ჩამოსხმა ბოთლებშიც ხდებოდა და მისი ღირებულება შედარებით მაღალიც იყო, 10-12 კაპიკით მეტი. ადგილობრივ წარმოებულის გარდა, საქართველოს ბაზრებზე იმპორტირებულ ლუდსაც ნახავდით, შემოდიოდა ლუდი როსტოვიდან, ოდესიდან და ვარშავიდან, მაგრამ მისი ღირებულება იმდენად მაღალი იყო, სერიოზულ კონკურენციას ვერ უწევდა ადგილობრივ პროდუქციას.

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მოქმედი ლუდის ქარხნების საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა

მეწარმეები	1884 (ვედრო-ებში)	1884 (მან-ეთებ-ში)	1885 (ვედრო-ებში)	1885 (მან-ეთებში)	1886 (ვედრო-ებში)	1886 (მანეთებ-ში)
ვეტცელი	57 516	15 187	51 935	11 600	57 354	100 000
ადერი	30 000	8 925	32 000	9 539	40 000	70 000
ლორთქი-ფანიძე	26 000	6 048	27 000	6 000	35 000	50 000
დირტიხი	არ მუშაობდა	–	6 000	891	7 000	12 000
კირიშჩევი	260	21	1 000	836	4 000	7 000

მასალა აღებულია ნაშრომიდან: С.Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тиф. Губернии. Историко-статистическое описание фабрик и заводов. 1888. Ст. 35-40

1900 წლისათვის თბილისში მოქმედებდა ლუდის 9 საწარმო 118 მუშით და 525 ათასი მან. წლიური პროდუქციით. მათ შორის მანქანურ ყაიდაზე იყო მოწყობილი ოთხი ქარხანა. ფ.ვეტცელის ქარხანა 51 მუშით წლიურად ამზადებდა 150 ათასი მან. პროდუქციას, რ.დიტრიხისა-20 მუშით ამზადებდა 52 200 მან. პროდუქციას, ლ.მადერისა-33 მუშით ამზადებდა 50 ათასი მან. პროდუქციას. მომდევნო პერიოდში ამუშავდა ლუდის მომცრო ქარხნები: **ფ.ტიუმისა**-ბორჩალოში, **ს.კოლესნიკისა** ახალციხეში და **ვეინერისა**-თბილისში [136, 295].

საქართველოში ლუდის რეალიზაციის საქმეში ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა მისი ცივად შენახვა. სარდაფები ვერ უზრუნველყოფდნენ გაციებას, მაცივრები კი ამ დროს არ გამოიყენებოდა, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ყინული იყო. ლუდის გასაცივებლად ხელოვნური ყინულის გამოყენება პირველმა ვეტცელმა სცადა. თავდაპირველად იგი ხელოვნურ ყინულს ყიდულობდა ე.ზემელისაგან(მან დანერგა თბილისში პირველად ხელოვნური ყინულის წარმოება). შემდეგ ვეტცელმა მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებლად ეწარმოებინა ეს მასალა, რაშიც დანარჩენმა ლუდის მწარმოებლებმაც მიბაძეს. 1906 წელს გაზეთი „კავკაზი"№226-ში იუწყებოდა, რომ ხელოვნური ყინულის შეძენა შეეძლოთ რიჰარდ დიტრიხის ლუდსახარშ ქარხანაში.

ვენახისა და ღვინის ქვეყანაში ლუდზე არც თუ ისე დიდი მოთხოვნილება იყო, რის გამოც ლუდის ქარხნების წარმადობა ნელა იზრდებოდა. განსაკუთრებით ძნელდებოდა ლუდის გასაღება შემოდგომა-ზამთრიის თვეებში. 1913 წელს ლუდის 8 ქარხანამ, რომლებშიც 180 მუშა იყო დასაქმებული დაამზადა 600 ათასი მან. პროდუქცია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ლუდის წარმოება ჯერ ძლიერ შემცირდა, 1916 წლიდან კი თითქმის მთლიანად შეწყდა [136, 295].

საკონდიტრო საქმის განვითარება საქართველოში (XIX ს. XX ს-ის დასაწყისი)

XIX საუკუნის ბოლოს თბილისში და ზოგადად საქართველოში საკონდიტრო წარმოება მნიშვნელოვანი მოცულობის პროდუქციას და შემოსავალს იძლეოდა. 1854 წელს გაზეთი „Кавказ"-ი წინასააღდგომოდ იუწყებოდა ვინმე **გილეს** საკონდიტროს შესახებ და წერდა „в кандитерской Гилье на николаевской площади в дом Сербинова по случаю наступающих праздников будут продаватся различныя печения, баби,куличи и пр. А также сахарния яица с украшениями, бамбонерки и весь предметы кодитерскаго исскуства" [320].

საკონდიტრო წარმოება XIX საუკუნის თბილისში უპირველეს ყოვლისა პურის საცხობებით და სხვა პურ-პროდუქტების (მაკარონისა და ვერმიშელის) წარმოებით იყო წარმოდგენილი.

თბილისში არსებული პურის საცხობების მოუწყობლობამ და მათ მიერ დიდი რაოდენობით შეშის მოხმარებამ (საჟენში იხდიდნენ 30-35 მან.), აიძულა **ონიკოვი** და **ი.ზუბალოვი** გერმანიიდან გამოეწერათ პერკინსის პურის საცხობი ორი შეუწყვეტლივმოქმედი ღუმელი. მათი საცეცხლურები მოწყობილი იყო თხევადი სათბობის გამოსაყენებლადაც. ღუმელების სრული მოწყობილობის თბილისში ჩამოტანა მეწარმეებს 15 ათასი მან. დაუჯდათ (ამ თანხაში არ შედიოდა თვით ღუმელების ღირებულება). გერმანიიდან ვე გამოიწერეს პურისმცხობელი ოსტატებიც, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად საქმე ძნელად აეწყო [308, 129-133]. 1883 წელს ქარხანამ დაიწყო ფუნქციონირება და მომხმარებელმა სრულიად განსხვავებული ხარისხის პური მიიღო, ეს იყო ჩვეულებრივზე უფრო მძიმე პური, რომელიც მცირე ოდენობით უნდა მოხმარებულიყო. ალბათ, ასეთმა განსხვავებულობამ ტრადიციულისაგან განაპირობა ამ პროდუქციაზე ნაკლები მოთხოვნა. წარმოება თანდათან შემცირდა და საბოლოოდ შეჩერდა.

XIX საუკუნის თბილისში დიდი მოთხოვნილება არსებობდა ისეთ პურ-პროდუქტებზე, როგორიცაა მაკარონი და ვერმიშელი, ყოფილა კიდეც ცდები ამ პროდუქციის საწარმოებლად. ვაჭარ **ა.თეიმურაზოვის** ფაბრიკას ვერც კი ვუწოდებდით მაკარონისას. ის მდებარეობდა პოპკოვის წისქვილში, ეჭირა ერთი ოთახი მზა ნაწარმის საწყობისათვის და კიდევ ერთი ბნელი გასასვლელი, სადაც მოთავსებული იყო ცომსაზელი და ფორმის მიმცემი მანქანები. ორივე მანქანა მოძრაობაში მოჰყავდა წყლის წისქვილის ბორბლის მუშაობას. საქმე წარმოებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშაობდა წისქვილი და როდესაც იყო შეკვეთები მაკარონზე. პროდუქტის წარმოება ხდებოდა ყოველგვარი ცოდნის გარეშე, რაც აისახებოდა მაკარონის ხარისხზე. ფაბრიკა წელიწადში აწარმოებდა დაახლოებით 300 ფუთ ვერმიშელსა და მაკარონს, რაც იყიდებოდა საშუალო ფასად-ფუთი 3 მან. 50 კაპ. [308, 133-134].

მოგვიანებით თბილისში მაკარონის ფაბრიკას აფუძნებს ვინმე **ფარინი**, იტალიის მოქალაქე, რომელმაც, როგორც ჩანს მალევე მიატოვა საკუთარი წამოწყება. მისგან იტალიიდან ჩამოტანილი დანადგარები შეუძენია **ცარუმბეკოვს**, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ჩაფიქრებული ჰქონდა თბილისში დიდი

მასშტაბის მაკარონის ფაბრიკის გახსნა. ამ მიზნით მან საფრანგეთის ქვეშევრდომ, ქალბატონ ვაშესაგან შეიძინა წყლის ნისქვილი სხვადასხვა მიშენებით, წყლის ძრავა შეცვალა ორთქლის ძრავით და 1887 წელს ქარხანა აამუშავა [308, 133-134].



XIX საუკუნის საქართველოში საკონდიტრო წარმოება სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა, ეს იყო ნამცხვრები, ტორტები, კულიჩები და ა.შ. ამისათვის კი ბაზარზე გაჩნდა სახამებლის წარმოების აუცილებლობა, რაც მანამდე საოჯახო საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა, ამიტომ მზადდებოდა მცირე რაოდენობით. ქარხნული მასშტაბებით ეს საქმე 1882 წელს წამოიწყო ინჟინერ-ტექნოლოგმა **ი.კეტხოდოვმა, ტერ-მიქელოვთან** ერთად თბილისში. მათ მიერ დაარსებულ ქარხანაში სახამებელს ამზადებდნენ სიმინდისაგან, მაშინ, როდესაც ყველგან მას ამზადებდნენ ხორბლისაგან. სიმინდისგან იღებდნენ შესანიშნავ სახამებელს, რომელიც ადგილზე 3 მან. 50 კაპ. დაწყებული 4 მან-მდე იყიდებოდა. ყოველდღიურად ამზადებდნენ 10 ფუთს. ქარხნის საქმეები კარგად აეწყო, რომ არა გაუთვალისწინებელი გარემოება. მიწა, რომელზეც იდგა ქარხანა, მესაკუთრის მიერ ბანკში იყო დაგირავებული. ეს მიწა გაიყიდა საჯარო ვაჭრობით და ახალ მეპატრონეებთან ქარხნის მფლობელები ვეღარ შეთანხმდნენ. მოწყობილობები გაიტანეს, მაგრამ ახალი ქარხნის მშენებლობისათვის ფინანსები აღარ ეყოთ [308, 134-136].

1902 წლისათვის მანქანურ ყაიდაზე იყო მოწყობილი **ზაკშევსკისა** და **მასოუს** (ყოფილი **რენიეს**) საკონდიტროები. პირველს დაქირავებული ჰყავდა 17 მუშა და წლიურად 23 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა, მეორე 18 მუშით 34 ათასი მან ნაწარმს ამზადებდა.

საკონდიტრო წარმოების განსხვავებულ მიმართულებას წარმოადგენდა კანფეტების წარმოება. თბილისში არსებობდა შოკოლადის ფაბრიკა, რომელიც ეკუთვნოდა **ფრანგ დიუფურს,** მაგრამ ამ ფაბრიკაში ამზადებდნენ უფრო კანფეტებს და სხვადასხვა ორცხობილებს, ვიდრე შოკოლადს, მუშაობდა 10 ადამიანი და მზადდებოდა ნაწარმი წელინადში ათას ფუთამდე 25 ათასი მან. ღირებულების.

ასეთივე დაწესებულება ჰქონდა მეორე ფრანგ ქვეშევრდომს ლოტს.



ვ.ლოტის კანფეტის ფაბრიკა, რომელშიც 16 მუშა ირიცხებოდა, წლიურად 27 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა [308, 139].

ა.ატოვენიანისა 18 მუშით 28 ათასი მან. ნაწარმს ამზადებდა, ხოლო **გოზალიშვილი** 36 მუშით 51 690 მან. კანფეტს. 1902 წელს პირველად აღირიცხა **პ.ფრიდონოვისა** და **ა.ამირაგოვის** კანფეტის ფაბრიკები. პირველი 45 მუშით, ხოლო მეორე 22 მუშით 15-16 ათასი მან. პროდუქციას უშვებდა [136, 253-257].

ქუთაისში საკონდიტრო საქმის ოსტატებად ითვლებოდნენ ახალციხიდან გადმოსული ვაჭრები, ძმები **პეტრე** და **იოსებ ჩილინგაროვები**. ვაჭრობაში დადროვილი კაპიტალით (ასი ათასი მანეთი ოქროთი) მათ შეუძენიათ, სალომე მიურატის კუთვნილი ქონება ქუთაისის ცენტრში, ეს იყო ორსართულიანი ქვის შენობა მიწითურთ, რომლის პირველ სართულზე განთავსებული ყოფილა ათი მაღაზია და საკონდიტრო საამქრო.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებულ დასახლებულ პუნქტებში არაერთი საკონდიტრო ფუნქციონირებდა და ისინი ეკუთვნოდა ცნობილი ქართველი მეწარმისა და მეცენატის, აკაკი ხოშტარიას სიმამრს, ფოთის სახელმწიფო ბანკის მმართველს, **თურქიას***.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში გორში დიდი რაოდენობით ფართო ასორტიმენტის საკონდიტრო ნაწარმი იყიდებოდა, ესენი იყო სხვადასხვა სახის კანფეტები, შოკოლადები, კარამელები, კრემიანი ნამცხვრები, ტორტები, კულიჩები და სხვ. პირველი კონდიტერები გორში თბილისიდან, რუსეთის ქალაქებიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულები იყვნენ. მათ შორის აღსანიშნავია **ჟაკ ოვანიანი,** რომელიც ტრაპიზონიდან ჩამოსული თურქი-სომეხი იყო, რომელმაც ხელობა საზღვარგარეთ შეისწავლა და პატარა, კარგად მოწყო-

* მინადორა თურქია იყო დიდი მრეწველის, ფოთის სახელმწიფო ბანკის მმართველის ქალიშვილი. მამამისს ეკუთვნოდა მთელი შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ყველა საკონდიტრო მაღაზია თუ სანარმო. [ლალი მიქელაძე „აკაკი ხოშტარია" გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" №40 (2716) 6 ოქტომბერი, პარასკევი. 1989 ნ. გვ. 10-11]

ბილი საკონდიტრო ჰქონდა ჭავ-ჭავაძის ქუჩაზე, რომანოვის სახლთან (სადაც შემდეგ წლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი იყო). საკონდიტრო, რომელსაც მეპატრონის სახელი „ჟაკი" ერქვა, ორი განყოფილებისაგან შედგებოდა: დახლისა და საცხობისაგან. ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე სიმეტრიულად იყო განლაგებული წონით გასაყიდი კანფეტებით სავეს მუცლიანი შუშის ქილები, მეორე განყოფილებაში კი საფუნთუშე და საცხობი, სადაც ყოველდღე ახალ-ახალი ნაწარმი ცხვებოდა. ჟაკ ოვიანიანი თავისი ოჯახით აქვე ცხოვრობდა, ჰყავდა ორი კონდიტერი და დამტარებელი. მას ყოველდღიურად დილას და საღამოს, მომხმარებლისათვის ცხელ-ცხელი ფუნთუშეული უნდა მიეწოდებინა, წინასწარ აკურატულად ცალაგებული და ტილოგადაფარებული კალათით [130, 200]. ამავე წლებში გორში ფუნქციონირებდა მეორე საკონდიტროც მეფის ქუჩაზე, ამილახვრების სახლის პირდაპირ, ხახანაშვილების სახლში. [130, 200]. საკონდიტრო ეკუთვნოდა **კაკოევს,** რომელსაც კარგი პროდუქცია და დამტარებელიც შეუთავაზებია მომხმარებლებისათვის, მაგრამ როგორც ჩანს „ჟაკის" პროდუქციისათვის კონკურენცია ვერ გაუწევია.

გორის ცნობილი კონდიტერი სერგო როსტომოვი მეუღლესთან ერთად

შემდეგ წლებში გორში საკონდიტრო საქმიანობას მისდევდნენ **ალიმბაროვები** და **ზაქარიანები.** მათაც ვერ გაუძლეს ჟაკთან კონკურენციას და გაკოტრდნენ. ჟაკი ძალზე გამდიდრდა, გორი მიატოვა, ბათუმში გადავიდა და დიდი საკონდიტრო გახსნა [130, 201]

ამავე პერიოდში გორში საკონდიტროს ამუშავებდნენ **როსტომოვები.** მათი წინაპრები დღესაც ცხოვრობენ გორში, რომელთა საოჯახო ალბომებში შემონახულია სერგო როსტომოვის და მისი მეუღლის, დარო მიხეილის ასულის ფოტოები.*

1902 წელს გაზეთი „ივერია" აქვეყნებს შემდეგ განცხადებას: „თუმცა პასკებს (ბაბკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრს კი არა აქვს შესწავლი-

* დიდ მადლობავ ვუხდით ქ-ნ თამარ როსტომაშვილს განეული დახმარებისათვის საოჯახო ფოტოების მოწოდებასთან დაკავშირებით

ლი ნამდვილი ხელობა პასკების კარგათ გამოცხობისა, რის გამოც მსყიდველი ხშირად ტყუვდება. ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ **არ.ივ.ალიხანოვის** საკადიტეროში სააღდგომოდ მზადდება დიდი ძალი პასკები და კულიჩები. ღირსება ჩემს სახელოსნოში მომზადებულ პასკებისა, რომელიც საუკეთესო მასალიდგან კეთდება ხოლმე, ყოველთვის საუცხოო გემოშია, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება [101, 4].

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში, ზემელზე საკონდიტროს ამუშავებდა **ვლადიმერ ძნელაძე**.

ქუთაისში ცალკე ამქარი ჰქონდათ მეკონდიტრეებს, ეს უკანასკნელი ხელოსნობის შედარებით ახალი დარგი იყო, მანმადე კი ქალაქს ასამდე მეპურე ემსახურებოდა. 68 წლის ვარლამ ანდროს ძე ჭოლაძის ცნობით (ქუთაისი, 1969 წ.) მეპურეები აცხობდნენ ლავაშს, მრგვალ პურს, შოთს და სხვადასხვა სახის ფუნთუშეულებს. ქუთაისში **ძმებ ჩილინგაროვებს** ჰქონდათ საკონდიტრო. ჭურის ფქვილს ყიდულობდნენ კიკიტელაშვილსა და ელიგულაშვილთან, რომელთაც ფქვილი რუსეთიდან მოჰქონდათ, ხოლო ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმისათვის საჭირო ნედლეულს ჩილინგაროვები გერმანიიდან იწერდნენ. თბილისში მეპურეები რაჭველები იყვნენ. მეპურეს რამდენიმე დამხმარე კაცი ჰყავდა: ცომის მომზელი, ცომის გამშლელი, ჩამკვრელი. დღეობებისა და სამლვთოს დროს ცხვებოდა „ჯვარის მამის ლავაშები", რომლებსაც თოკზე გადაფენდნენ და ისე ყიდდნენ. ხაში-საფუარი უფროს ქარგალს უნდა დაემზადებინა. ხაში „ფშალას" ყვავილისაგან კეთდებოდა. ფშალა ვაზის მსგავსი მცენარეა, იზრდება წყალტუბოს რაიონში. ჯარგ არომატს აძლევს პურს. ყო ხაშის სახეობა „კოჭიკი", რომელიც ზამთრობით იხმარებოდა [2, 50].

სამშენებლო მასალების წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი)

XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს ქალაქებისა და განსაკუთრებით თბილისის სწრაფი განაშენიანების გამო მოთხოვნილება აგურზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც გამოიწვია მისი წარმოების გაფართოება. ადრეულ ეტაპზე იგი წარმოადგენდა წვრილი სასაქონლო წარმოების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დარგს. აზნაურ გაბაევის მიწაზე საკმაოდ მოზრდილი სარეწი ჰქონდა ვინმე **ოსიპოვს**. 1840 წლისათვის მას საწარმო გაუფართოებია. „ქარხანაში" ედგა აგურის გამოსაწვავი, სამეთუნეო ღუმელი. მისი მოწყობა 880 მან. დამჯდარა ვერცხლით [196, 162].

ცხრილში მოცემულია აგურის ქარხნების რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით

წელი	მდებარეობა	რაოდენობა
1846		41
1847		44
1849	თბილისში	52
1851		80
1864		93

წყარო: მ.სამსონაძე „სამრეწველო განვითარება XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში. თბ. 1968. გვ.164

წელი	მდებარეობა	რაოდენობა	დასაქმება	წარმოებული პროდ. ღირებ. (მან-ში)
1880		95	300 კაცი	63 000
1885	თბილისში	52	300 კაცი	98 000
1890		38	300 კაცი	188 000

წყარო: ნ.როდონაია „XIX ს-ის 70-80-იანი წლების თბილისის მრეწველობის ხასიათის საკითხისათვის. ისტ.ინსტ.შრომები. ტ VI. ნაკვ. I. 1961. გვ. 77

1840 წელს თბილისში ფუნქციონირებას იწყებს **სამხედრო უწყების საზახინო აგურისა და კრამიტის ქარხანა,** რომლის მთავარი დამკვეთს, რა თქმა უნდა, სამხედრო და სახაზინო სამმართველოები წარმოადგენდა. ქარხანა კერძო შეკვეთებზე არ მუშაობდა. მას ხელმძღვანელობდა **არტილერიის პოლკოვნიკი, გაბრიელ ივანეს ძე ყორღანოვი.**

1865 წლის მონაცემებით, თბილისის გუბერნიაში 154 აგურის „ქარხანა" ფუნქციონირებდა. აქედან 95 საწარმო იყო თბილისში. მათში დასაქმებულთა

რაოდენობა 2 480 კაცს აღემატებოდა, ხოლო წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 394 ათას მანეთს. ისინი ამზადებდნენ ადგილობრივი ფორმის აგურს.1880-1890-იან წლებში თბილისში იყო აგურის 44 შედარებით წვრილი და 4 მსხვილი ქარხანა, სადაც ამუშავებდნენ გოფმანის სისტემის უწყვეტად მოქმედ ღუმელს. ქარხნებში დასაქმებული იყო 200-ზე მეტი მუდმივი მუშა და 70-მდე ოსტატი. წარმოებული პროდუქციის ღირებულება 100 ათას მან. აღწევდა. საწარმოთა მეორე ნაწილში ხელით შრომა გამოიყენებოდა, ეს საწარმოები სეზონურად (მაისიდან სექტემბრამდე) მუშაობდნენ და მუშების დაქირავების სანარდო სისტემას იყენებდნენ). აგურის ქარხნები არსებობდა ახალციხეში, ქუთაისში, ოზურგეთში, სოხუმში და სხვ.

1855 წლისათვის ქუთაისში ფუნქციონირებდა აგურის 4 ქარხანა, რომლებიც უშვებდნენ 8 400 მანეთის პროდუქციას. 1860 წელისათვის მათი რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა, ხოლო დამზადებული პროდუქციის ღირებულებამ 5 680 მანეთს მიაღწია. მომდევნო წლებში წვრილი ობიექტების გვერდით შედარებით მსხვილი საწარმოებიც ჩნდება. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნოდა **მაქსიმე გაბაევს.** ამ საწარმოში მუშაობდა 2 ოსტატი და 4-6 მუშა. ქარხანა ყოველწლიურად ამზადებდა 800 მანეთის ღირებულების პროდუქციას, 100 ათას ცალ აგურს. აგურის საკმაოდ მომგებიანი ქარხანა ასევე ეკუთვნოდა **ივანე ნაცვალოვს**, რომელიც ტიპური მანუფაქტურა იყო, სადაც ყოველწლიურად იწარმოებოდა 1 600

მანეთის ღირებულების 200 000 ცალი აგური. ასეთივე საწარმოები ჰქონდათ **აზნაურ აბულაძესა** და გლეხ **დადუნაშვილსაც,** რომლებიც გამოიმუშავებდნენ 1 600 მან. ღირებულების პროდუქციას. ამ პერიოდში აგურის ქარხნის მეპატრონე ასევე იყო აზნაური **ფირან ვარდანაშვილი.** აგურის ქარხანა უშვებდა 240 მან. ღირებულების 30 000 ცალ აგურს.

ზოგიერთ შემთხვევაში აგურის ქარხნის მეპატრონეებს ორ-ორი ქარხანა ეკუთვნოდა, ზოგჯერ კი სამ-სამი. თითოეულ მათთაგანში 2-4 მუშა მუშაობდა. მაგალითად თბილისელ მოქალაქე **არტემ შახმურადოვს** ეკუთვნოდა აგურის 3 ქარხანა, ორ-ორი მუშით, **აზიზ ნაზაროვს** 3 ქარხანა, თითოეული ოთხ-ოთხი მუშით, ხოლო თადარიგის პოლკოვნიკ **ხანცინსკის** კუთვნილ 4 ქარხანაში-ცალ-ცალკემუშაობდა ორ-ორიმუშა. როგორც ირკვევა, თითოეული მეპატრონის კუთვნილ ქარხნებში 4-დან 12-მდე მუშა იყრიდა თავს, რაც ამ ტიპის წარმოებას მარტივი კოოპერაციის ხასიათს აძლევდა.

1858 წელს მეფისნაცვლის ინიციატივით **არქიტექტორი რაისი** თბილისში დიდი სამშენებლო საწარმოს მოწყობას იწყებს, მას ქალაქი აგურით, კრამიტითა და სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების კრამიტის მილებით უნდა მოემარაგებინა. რაისს განზრახული ჰქონდა, მოეწყო აგურის მანქანური წარმოება, ჩამოეტანა საზღვარგარეთიდან ორთქლის მანქანა (ლოკომობილი), სამხერხაო სახელოსნოსა და სხვა მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად. იგი ვალდებულე-

ბას იღებდა, რომ საზღვარგარეთიდან 12-15 ხელოსანსაც ჩამოიყვანდა. საწარმო უნდა მოეწყოთ გერმანელთა კოლონიასთან ახლოს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. 1858 წელს რაისს 10 წლით 20 ათასი მან. სესხი გამოუყვეს. 1859 წელს მას ოსტატები და მანქანა-იარაღები ჩამოუვიდა და იმავე წელს უკვე მოწყობილი ჰქონდა სრული საწარმო ყველა ხარისხის აგურის, კრამიტის და თიხის წყალსადენი მილების დასამზადებლად. წარმოება ამზადებდა მოზაიკის იატაკის ფილებს, რაც მეტად იშვიათი ყოფილა რუსეთის იმპერიაში და პეტერბურგის გარდა არსად არ იწარმოებოდა. 1859 წელს რაისს კიდევ გამოეყო სამთავრობო სესხი 17 090 მან. ოდენობით, ხოლო 1863 წელს დამატებით 10 ათასი მან. 1863 წელს საშინელმა ხანძარმა მისი წარმოება თითქმის მთლიანად გაანადგურა. ზარალი 72 ათას მანეთზე მეტი იყო. მთავრობამ შეისწავლა უბედური შემთხვევა და 1864 წელს რაისს კვლავ გამოეყო 20 ათასი მან. სესხი საწარმოს აღსადგენად. 1865 წელს ბორჯომის სასახლის მშენებლობისათვის რაისმა 15 ათასი მან. ღირებულების რუსული ფორმის აგური დაამზადა, მაგრამ წარმოება წელში ვერ გასწორდა, რადგან მეპატრონემ ვალები დროულად ვერ გადაიხადა და დაიხურა. 1869 წელს ქარხნის კუთვნილი მოწყობილობები მთავრობის ხელში გადავიდა [196, 169-170].

რაისის პარალელურად, ჰანოვერის მკვიდრმა **ტანერმა,** თავის კომპანიონებთან ერთად, სამშენებლო მასალების დიდი მანქანური საწარმო მოაწყო. იგი ამზადებდა აგურს, კრამიტს, თიხის ნაწარმს. ტანერსა და სამხედრო უწყებას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, ქარხანას მოქმედება უნდა დაეწყო 1862 წლიდან, მეწარმეს უფლება ეძლეოდა ქარხნისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობები საზღვარგარეთიდან უბაჟოდ შემოეტანა, ხაზინას უნდა გადაეცა მისთვის ტერიტორის ქარხნის ასაშენებლად, თუმცა კომპანიაზე სესხის გაცემა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა 1863-1865 წლებში იგი თბილისში ერთ-ერთ წარმატებულ მანქანურ წარმოებად ითვლებოდა [196, 171].

1873 წელს პოლკოვნიკმა **კოლობოვმა,** კაპიტანმა **გოტოვცევმა და** არქიტექტორმა **სიმონსონმა** მიიღეს გადაწყვეტილება დაეფუძნებინათ **„აგურის ქარხნების თბილისის საზოგადოება“** 75 ათასი მანეთის ძირითადი კაპიტალით. მათი მიზანი იყო თბილისში და სამხრეთკავკასიის ხვადასხვა კუთხეებში აგურის, კრამიტის, კაფელის, თიხის მილების, არქიტექტურული სამკაულებისა და ამ პროფილის სხვა ნაწარმის მანქანურად და ხელით დამზადება, კირის გამოწვა, ალებასტრისა და გაჯის წარმოება.

1874 წელს ქალაქ ფოთში, გენერალ-მაიორ **ნ.გრაბეს,** ვაჭარ **ფ.განზენის,** პოლკოვნიკ **ნ.შავროვისა** და **ვ.ლენჩევსკის,** მრჩეველ **ვ.ნენინგერის** ინიციატივით დაფუძნდა **„კავკასიის სამშენებლო საზოგადოება“**, 1,5 მლნ მანეთის ძირითადი კაპიტალით, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კავკასიის სამეფისნაცვლოს სხვადასხვა კუთხეებში სამშენებლო სამუშაოების წარმოება. კერძო ან სახელმწიფო შეკვეთების საფუძველზე ნაგებობების აშენება-გადაკეთება, ჯებირების და სანაპიროების მოწყობა, წყალსადენების, გზების და ხიდების მშენებლობა, დაუსახლებელი ადგილების განაშენიანება.

1880-იანი წლების ერთადერთი ტექნიკურად გაუმჯობესებული საწარმო

იყო არტილერიის პოლკოვნიკის **გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილის** აგურის ქარხანა, რომელშიც 20 მუშა მუშაობდა, ხოლო წლიურად გამოშვებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 8 400 მან. ქარხანაში მაზუთით გოფმანის სისტემის ღუმელი უწყვეტმოქმედი ქურით მუშაობდა, დამონტაჟებული იყო 8 ცხ.ძალის სიმძლავრის ორთქლის ძრავი და თუჯის 3 დაზგა. ქარხანა ყოველწლიურად ამზადებდა 600 ათას ცალ ე.წ. „რუსულ აგურს". ასეთივე ტიპის საწარმო ჰქონდა **ავერიანოვს,** სადაც 20 მუშა მუშაობდა, ხოლო წლიურად გამოშვებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 4000 მან.

1890-იანი წლებიდან აგურის წარმოებაში ტექნიკური სიახლეები შემოდის. შეშის ნაცვლად ხდება თხიერი საწვავის-ნავთობის გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად აიაფებს წარმოებას. თხიერ საწვავზე გადასვლასთან დაკავშირებით მოხდა ორთქლის ქვაბების გამოყენება ამ წარმოებაში. ისინი დაიდგა აგურის საწარმოთა უმრავლესობაში, მაგრამ არ იყო დაკავშირებული აგურის საწარმოს მასშტაბებზე, იგი არ ამცირებდა ხელით შრომას, მხოლოდ ტექნიკურ მომენტთან იყო დაკავშირებული. ასეთი მოწყობის აგურის ქარხნები ჰქონდათ თბილისის გუბერნიაში **ბაბლუმოვს, ელჩიევს და ყაჩარმეზის კომპანიას,** ხოლო გორში **არქიტექტორ შიმკევიჩს.**

1890 წელს თბილისში **ა.კასპაროვი** ამუშავებდა „აგურ-კრამიტისა და სპეციალური დანიშნილების თიხის ქარხანას" 35 მუშით. ქარხანა ყოველწლიურად უშვებდა 37 ათასი მან. პროდუქციას.

1899 წელს **ი.პითოევის სავაჭრო სახლის,** მეწარმეების **ი.ტაიროვის** და **მ.დოლუხანოვის,** გენერალ-მაიორ **ი.რეიტნერის, ნ.სტურვესა** და **ა.შიმკევიჩის** ინიციატივით შეიქმნა „თბილისის სამშენებლო საზოგადოება" 600 ათასი მანეთი ძირითადი კაპიტალით.

1900 წელს **„პ.ანდრეევისა და კომპანიის"** თაოსნობით დასავლეთ საქართველოში, შორაპნის მაზრის სოფ. შროშაში ფუნქციონირება დაიწყო აგურისა და ცემენტის ქარხანამ, რომელიც ასაქმებდა 17 მუშას. ამავე პერიოდში ცემენტისა და მოზაიკური ქვის საამქრო ჰქონდა **ნ.ფანდეევს** ბათუმში.

1900 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა აგურის 35 საწარმო (**მ.ჯავახიშვილის, მ.ვადაჭკორიას, ა.სოდამონიძისა** და სხვ.) რომელთაგან ზოგი კრამიტსაც ამზადებდა, ამ საწარმოთა ნაწილი გოფმანის სისტემის უწყვეტმოქმედ ღუმელებსა და ორთქლის ქვაბებს იყენენაბდა. უმრავლესობა კი აგურს ხელით ამზადებდა. 1900 წელს აგურის ყველა საწარმომ, რომლებშიც 334 მუშა იყო დასაქმებული, 210 900 მან. პროდუქცია დაამზადა. აქედან 7 ქარხნის წილად მოდიოდა 138 მუშა და 124 200 მან. პროდუქცია [136, 245].

1901 წელს ქუთაისის მახლობლად დაფუძნდა **„აგურ-კრამიტისა და კერამიკული წარმოების კავკასიის საზოგადოება"** 375 ათასი მანეთი ძირითადი კაპიტალით. საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ ფრანგი მეწარმეები **ალფონს გიდო, ემილ მალარი, დიოგენ მორისი** და **ჰენრი მარსელი.** საზოგადოებას ქუთაისის მახლობლად, რკინიგზის სადგურთან ახლოს 36 წლიანი იჯარით, ჰქონდა აღებული ივ. წერეთლის თიხნარი მიწა (16 დესეტინა), რომლის ექსპლოატაციასაც აპირებდნენ აგურის, კრამიტის, კედლისა და იატაკის ფილების, თიხის მილების დასამზადებლად.

გიორგი ხიმშიაშვილი
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"



საზოგადოებას განზრახული ჰქონდა ქარხნის მშენებლობა, რომელიც წინასწარი ანგარიშით 100 ათასი მან. ჯდებოდა, ამას ემატებოდა 85 ათასი მანეთი წარმოების პროცესისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისათვის. მეწარმეებს გათვლილი ჰქონდათ ქარხნის მიერ წლიურად წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და ეს უნდა ყოფილიყო სულ მცირე 3 მლნ ცალი კრამიტი, 15 მლნ სამშენებლო აგური, 1,5 მლნ იატაკის ფილა და სხვ.

1905 წელს „აგურის ქარხანას" ამუშავებდა ბარონი **ა.ფონ კუჩენბახი,** უშუალოდ საწარმოო პროცესებს მისი შვილი **კურტ კუჩენბახი** უძღვებოდა.

ახტალაში აგურის ქარხანას ამუშავებდა ქვემო ქართლის უმსხვილესი მემამულეები **ნიკოლოზ** და **გიორგი მელიქიშვილები**, გარდა ამისა მათ ახტალაში ჰქონდათ სპილენძის საბადოები და ამუშავებდნენ ნებითდაქირავებულებს [247, 182].

1908 წელს საქართველოში სამშენებლო მასალათა წარმოებით იტალიელები ინტერესდებიან. სკულპტურული მარმარილოსა და მოზაიკურ საწარმოს აფუძნებს იტალიელი **ა.ანდრეოლიტი,** 35 მუშით და წლიურად აწარმოებს 40 ათასი მან. პროდუქციას. ქვის სკულპტურულ და მოზაიკურ სარეწებს ამუშავებენ ასევე სხვა იტალიელი მეწარმეებიც-**მ.ვილისა** და **ა.რული** 17 მუშით და წლიური 3 270 მან. პროდუქციას. ამავე პერიოდში ცემენტისა და ასფალტის ქარხანას ამუშავებდა **ე.გოფმანი** 8 მუშით და წლიურად აწარმოებდა 10 600 მან. პროდუქციას.

1913 წელს საუცხოოდ აღჭურვილი „აგურის ქარხანა" აამუშავა **რ.დოლუხანოვმა.** რომელსაც დასაქმებული ჰყავდა 59 მუშა, ხოლო წლიურად აწარ-





მოებდა 8 მლნ ცალ აგურს. ქარხანამ საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე შეწყვიტა მუშაობა.

1914-1915 წლებში პირველი მსოფლიო ომის დაწყები გამო დუშეთის მაზრის სადგურ კასანკას ახლოს მოქმედებდა იტალიელების **ძმებ ანჯელო და ჯიობანნი ანდრეოლიტებისა** და კომპ. აგურის ქარხანა, სადაც მუშაობა ორ ცვლად მიმდინარეობდა. საწარმო სეზონურად მოქმედებდა. 1915 წლისათვის მუშაობა შეწყვიტა **რ.ა.მარტიროსიანცის** აგურის ქარხანამ, რომელიც 48 მუშით წლიურად 36 000 მან. ღირებულების პროდუქციას აწარმოებდა. მუშაობა შეწყვიტა **მ.ა.საგატელოვის** აგურის ქარხანამ, რომლის 29 მუშა წლიურად 21 600 მან. პროდუქციას ამზადებდა. მუშაობა შეწყვიტა **ბ.გ.აივაზოვის** აგურის ქარხანამ, რომელიც 46 მუშით წლიურად 36 000 მან. ნაწარმს უშვებდა. მიუხედავად საომარი მოქმედებებით შექმნილი მდგომარეობისა 1915 წლის ზაფხულში თბილისის გუბერნიაში შემორჩა აგურ-კრამიტის 15 ქარხანა, სადაც 420 მუშა იყო დასაქმებული, მუშათა აბსოლუტური უმეტესობა სპარსეთის ქვეშევრდომნი იყვნენ [227, 41].

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში სამშენებლო მასალათა საწარმოს სოფ. ძირულაში ამუშავებდა **ი.სოსინი,** რომელიც ასაქმებდა 80-მდე მუშას, ამის გარდა მეწარმეს ჰქონდა მინერალური საღებავებისა და ალებასტრის ქარხანაც, რომელიც იმ დროისათვის მოწინავე ტექნიკით იყო აღჭურვილი.

1915 წელს საწარმომ 39 765 მან. პროდუქცია დაამზადა, აქ დასაქმებული იყო 12 მუშა. 1916 წელს ქარხანამ გააფართოვა წარმოება, დაასაქმა 14 მუშა, და აწარმოა 89 796 მან.. პროდუქცია [227, 41-42].

სატრანსპორტო საშუალებების განვითარება საქართველოში (XIX ს. XX ს-ის დასაწყისი)

XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე საქართველოში გადაადგილებისა და გადაზიდვის საშუალებები დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, გამოიყენებოდა ცხენი, ხარი, კამეჩი, სახედარი, აქლემი და სამდინარო ტრანსპორტის საშუალებები. შესაბამისად, უმთავრეს ტრანსპორტს წარმოადგენდა ურემი, ჩარდახი, ფაეტონი, ეტლი, „პოვოზკა", „დროჟკა", ომნიბუსი და აქლემების ქარავანი, მტკვარზე კი ხან ბოსტნეულით და ხან ხილით დატვირთული ტივები დაცურავდნენ, რომელთაც ჰქონდათ თავისი სადგომი უბნები, ე.წ. „სასატივები". მდ.მტკვარზე გადასვლა ძველად ბორნის საშუალებით წარმოებდა. ბორნები ქალაქს დიდ შემოსავალს აძლევდა, მაგრამ ისინი ხიდების აგებასთან დაკავშირებით თანდათანობით ქრებოდნენ [29, 39-44].

აღნიშნულ პერიოდში თბილისი ბევრ უცხოელ სტუმრს უწევდა მასპინძლობას, მათ მოგონებებში ხშირადაა აღნერილი აქ არსებული გადაადგილების საშუალებები. მათი ცნობების თანახმად გადაადგილება ეტლებით ხდებოდა, კერძოდ ეს იყო ე.წ. „დროშკა", რომლებიც ჩამწკრივებილები იდგნენ ბაზრის, მადათოვის მოედნებზე და სხვა ხალხმრავალ ადგილებში. ურმის შემდეგ ჩნდება გადაუხურავი ერთცხენიანი ეკიპაჟი რკინის შინებით, რომელსაც ხუმრობით „ლაზარს დროჟკა" უწოდეს. ეს ეკიპაჟი იტევდა მხოლოდ ორ მგზავრს. შემდეგ იგი გაუმჯობესებულ იქნა ცუდი ამინდისაგან თავის დაცვის მიზნით. მას





ქონა ფოთში. 1904 წელი ნაყარი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (ეროვნული ბიბლიოთეკა "ეროვნული"

ბრეზენტით ან ტყავით გადახურავდნენ ხოლმე. შემდეგში ეს ეკიპაჟი შეცვალა ორცხენიანმა ეტლმა, რომელსაც ქალაქიდან შორს წასვლის შემთხვევაში გვერდებზე უმატებდნენ კიდევ ორ ცხენს. შორს წასვლის დროს ეტლის რვილზე მიმაგრებული იყო პატარა ზარები, ეტლი მორთული იყო ფერადი ქსოვილებით. ყალაქის თვითმმართველობის დადგენილებით, ზარებიანი ეტლით ქალაქის ფარგლებში მიმოსვლა აკრძალული იქნა და მხოლოდ ქალაქიდან გასვლის შემდეგ სარგებლობდნენ. ამ სახის ეტლს ოთხი დასაჯდომი ადგილი ჰქონდა. ორ-ორი ერთმანეთის პირდაპირ, ზოგიერთ შემთხვევაში მეხუთე მგზავრი მეეტლის გვერდით ჯდებოდა. ეტლს ჰქონდა რკინის შინები და ქვაფენილიან გზაზე ხმაურობდა. XX საუკუნის დასაწყისიდან ისინი შეცვლილი იქნა რეზინით, რამაც ქალაქში ხმაური შეამცირა [29, 39-44].

საცხენოსნო ტრანსპორტის ამ მრავალფეროვნებას, ბუნებრივია, გარკვეული მომსახურება სჭირდებოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ეკიპაჟების რამდენიმე სახელოსნო გაიხსნა: **სლავიცკის, იბრაგიმბეკოვის, კოტრინის** და **მაიერისა**. მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) გამზირზე მდებარეობდა **რიხარდ მადერის** კარეტების სახელოსნო. **ვილჰელმ მადერის** ასეთივე სახელოსნო გაიხსნა პეტერბურგის ქუჩაზეც. რიყეზე მუშაობდა **კადმანის, აღამოვების, კარუნოვის** სახელოსნოები [140, 10].

70 წლის მჭედელ ბაგრატ მიხეილის ძე იასამანოვის (გორი 1967 წ.) ცნობით მჭედლებთან ამქარში შემოდიოდნენ აგრეთვე მეფაიტონეები, ანუ როგორც მთხრობელები უწოდებენ „კარეტნიკები" და ხის ბორბლების მკეთებელნი-„კალესნიკები". ეტლს „ფაიტონს" ექვსი ოსტატი აკეთებდა. ჯერ დურგალი დაამზადებდა ეტლის ხის ნაწილებს, შემდეგ მჭედელი დააჭედებდა, შემდეგ მღებავი შეღებავდა, გადამკვრელი ტყავს გადააკრავდა, დამვერცხლავი ლითონის ნაწილებს დაამუშავებდა, გარდა ამისა, აღნიშნულ ამქარში ფაიტონის „ფარნების" გამკეთებელიც შემოდიოდა [2, 28].

სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესების პროცესი გაგრძელდა და მალე ეტლი ე.წ. „დილიჟანმა" და „ომნიბუსმა" შეცვალა, განსაკუთრებით ქალაქის გარეუბნებში კოჯორში, მანგლისში ან სხვა მიმართულებით მოძრაობისას. ადრეულ პერიოდში თბილისიდან ვლადიკავკაზამდე მგზავრები უმთავრესად საფოსტო ტროიკა-ომნიბუსით გადაჰყავდათ. მასში 8 კაცი თავსდებოდა-6 ომნიბუსის შიგნით და ორიც წინა კოფოზე, სადაც მეეტლეს („იამშჩიკის") გარდა კონდუქტორიც იჯდა, რომელიც გზაზე შემხვედრ ტრანსპორტს და სხვა დაბრკოლებებს ბუკის დაკვრით ეხმიანებოდა. ვარშავაში დამზადებული ომნიბუსი გათვალისწინებული იყო პოლონეთის გზებისათვის და არა მთის პირობებში გამოსაყენებლად. საქართველოს სამხედრო გზაზე მგზავრებით სავსე ეს მძიმე სამგზავრო ტრანსპორტი მეტად ძნელი სამართავი იყო. მეეტლეს დიდი ჯაფა ადგა, რათა ეკიპაჟი უმართავი არ გამხდარიყო, რომლის მოძრაობის გრაფიკს ზედმიწევნით იცავდნენ, მისი დარღვევა რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, ყოვლად დაუშვებელი იყო. გზის სხვადასხვა ადგილზე მოწყობილი იყო დასასვენებელი სადგურები, სადაც ცხენები იცვლებოდა, ხოლო მგზავრები ისვენებდნენ. გზა მგზავრობისთვის ვარგისი იყო მაისიდან ნოემბრამდე. თბილისიდან დილით გასული მგზავრები საღამო ხანს ყაზბეგში უნდა ყოფილი-

ფიეცზონეების სახელოვანი ძველი თბილისში

КАРЕТНАЯ ФАБРИКА

Рихарда Падера

Михайловская ул. № 96.

ИЗГОТОВЛЯЕТЪ ВСЯКАГО РОДА ЭКИПАЖИ

ПОВѢЙШИХЪ ФАСОНОВЪ

Починка и передѣлка экипажей, дрожекъ, фаэтоновъ и пр.

ИСПОЛНЕНІЕ АККУРАТНОЕ.

ЦѢНЫ УМѢРЕННЫЯ.



თბომავალი „ვოლგა“

ყვნენ, სადაც ღამეს სასტუმროში ათენებდნენ, დილაადრიან კი გზას ვლადიკავკაზამდე აგრძელებდნენ [35, 113]. თბილისიდან ვლადიკავკაზამდე გზა იყო რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი უმთავრესი არტერია, ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, ე.წ. „საქართველოს სამხედრო გზა“, რომელსაც პოლიტიკურთან ერთად უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნული გზის მშენებლობა აწარმოა გენ. **პ.ციციანოვმა**, მან შეადგინა დიდი ხარჯთა ნუსხა, რომელიც ითვალისწინებდა 200 ათას მან. საჭირო იყო არა მარტო გზის საფუძვლიანი შეკეთება, არამედ მიმოსვლის უშიშროების დაცვაც. 1814 წლისათვის საქართველოს სამხედრო გზა უკვე იმდენად იყო გამართული, რომ მასზე თავისუფლად შეეძლო მოძრაობა მძიმე ეტლებს. საქართველოს სამხედრო გზაზე ბარონ როზენის 1837 წლის ბრძანებით დაწესებული იყო შემდეგი გადასახდელი:

√ ერთ ცხენიან საზიდარზე 50 კაპ;
√ ყევარხარებიან ურემზე 75 კაპ;
√ ეტლის თითოეულ ცხენზე 25 კაპ;

1856 წლისათვის ასეთი შემოსავალი შეადგენდა 21 749 მან. ვერცხლს [245, 382].

საქართველოს სამხედრო გზის გარდა დატვირთული იყო ქვეყნის შიდა გზებიც, კერძოდ:

√ იმერეთის სამხედრო გზა, რომელიც თბილისიდან გორისა და ქუთაისის გავლით რედუტ-კალესა და ფოთში მიდიოდა;
√ თბილისიდან ახალციხეში მიმავალი გზა;
√ თბილისიდან გუმბრში მიმავალი გზა;
√ თბილისიდან ბაქოში მიმავალი გზა;
√ თბილისიდან თელავში, სიღნაღში და საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრამდე მიმავალი გზა;
√ თელავიდან ჩეჩნეთზე მიმავალი გზა;

√ თბილისიდან მანგლისში მიმავალი გზა;
√ სურამიდან ბორჯომის გავლით ახალციხეში მიმავალი გზა და ა.შ.

გზატკეცილებს ჰქონდა თავისი მოსაკრებელი, რომლითაც უნდა დაფარულიყო გზის შეკეთებისა და გაუმჯობესების ხარჯები. გადასახდელი ეხებოდა ყველა დილიჯანს, ფურგონს, საზიდსა და მგზავრთა გადამყვან საშუალებებს, სახაზინო და კერძო საზიდითა და საპალნით ყველა გადაზიდულ ტვირთსა და ამ გზებით გარეკილ პირუტყვს. დაწესებულებათა ეტლებში საფასური გადაიხდებოდა არა ცხენთა რაოდენობის მიხედვით, არამედ ადგილების მიხედვით.

მაგალითად დუშეთის გზატკეცილზე დაწესებული იყო მოსაკრებელი:

	ზამთრის პერიოდში	ზაფხულის პერიოდში
საპალნიან ცხენზე	8 კაპ.	6 კაპ.
საპალნიან აქლემზე	12 კაპ	10 კაპ.
ოთხთვალა ეტლსა ან საზიდარზე თითოეულ ცხენზე	8 კაპ.	6 კაპ.
ორთვალა ურემზე თითოეულ ხარსა ან კამეჩზე		
ეტლებზე, საზიდებსა და ურმებზე უტვირთოდ	12 კაპ	10 კაპ.
თითოეულ ცხენზე, კამეჩსა ან ხარზე		
ცხენოსანზე	5 კაპ.	4 კაპ.
გარეკილ პირუტყვზე:		
აქლემზე	4 კაპ.	3 კაპ.
მსხვილფეხა საქონელსა და ცხენზე		
ცხვრებზე	4 კაპ	4 კაპ.
	3 კაპ.	2 კაპ.
	2 კაპ.	1 კაპ.

მონაცემები აღებულია ნაშრომიდან: ვასილ ჩანტლაძე „სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.)" საქ.სსრ. მეცნ.აკადემია-ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ V, 1951. გვ. 382

გზის სახაზინო შემოსავალი საგზაო ქირის სახით შეადგენდა:

წელი	თანხა (მანეთებში)
1817	500
1823	1 939
1840	2 372
1842	2 500
1853	5 384
1857	6 800
1862	10 666

მონაცემები აღებულია ნაშრომიდან: ვასილ ჩანტლაძე „სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.)" საქ.სსრ. მეცნ.აკადემია-ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ V, 1951. გვ. 383

„ოქროფაფუჩა“ ანუ „ოქროს ბალიში“

XIX საუკუნის საქართველოში გადაადგილების ან გადაზიდვის კიდევ ერთი საშუალება განიხილებოდა-ეს იყო წყალგზა. იგი, სხვა სატრანსპორტო საშუალებებისაგან განსხვავებით ყველაზე ძვირი დაჯდებოდა, მაგრამ მნიშვნელოვნად შეამცირებდა სამხედრო ნაწილების მომარაგების ხარჯებს, ასევე რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული და საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის ღირებულებას, ყოველივე გააძლიერებდა ვაჭრობას და გაზრდიდა შემოსავლებს. 1813 წლის 7 აგვისტოს გენ. რტიშჩევი მიმოსვლის გზათა VI განყოფილების მმართველს პოლკ. აპუხტინს ატყობინებდა, რომ შესაძლებელია იმპერიის ცენტრთან თბილისის დასაკავშირებლად წყალგზაც ყოფილიყო გამოყენებული. ასეთ გზად გამოდგებოდა მტკვარი, თბილისი-ბაქო-ასტრახანი და ვოლგით შელმა შიგა რუსეთისკენ. ის ასაბუთებდა, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება საქართველოდან გაიზიდოს რუსეთსა და ირანში სპილენძი, აბრეშუმი, საუკეთესო მატყლი, კახური ღვინო, თაფლი, სანთელი, ტყავი და კარგი ხეტყე. 1814 წლის 9 დეკემბერს, შესწავლის შედეგთა თანახმად, გადაწყდა, რომ მტკვარი ვარგისია სანაოსნოდ სამუხამდე, სადაც მტკვარს ერთვის ალაზანი და ამ გზით შეიძლება კახეთიდან ტყის ჩამოზიდვაო [245, 383-384].

აღნიშნულ გადაწყვეტილებას გაგრძელება აღარ მოჰყოლია, როგორც ჩანს, საიმპერატორო კარზე ამ იდეამ მოწონება ვერ პოვა, ამიტომ საქართველოში წყალგზის განვითარება წარსულს ჩაბარდა. იდეა აღორძინდა მიხ. ვორონცოვის მმართველობის პერიოდში. 1846 წელს ნამესტნიკ **მიხ.ვორონცოვის** მიერ მტკვრის შელმა გაგზავნილი **გემი „ვოლგა“** მივიდა მინგეჩაურის გადასასვლელამდე. 1850 წლიდან ნამესტნიკის დაჟინებული მოთხოვნით, ხელმეორედ დაიწყეს მდინარის შესწავლა. 1851-52 წლებში გაწმინდეს მდინარის ფარვატერი მინგეჩაურამდე 15-20 საჟენის სიგანეზე.

აწარმოეს ტრიგონომეტრიული გადაღება 220 ვერსის მანძილზე. აღმოჩნდა, რომ ზარდაბიდან მინგეჩაურამდე სიღრმე ყველგან უდრიდა 41 ფუტს. კომიტეტმა შეუკვეთა გემი ნიჟე-გოროდის მანქანათმშენებელ ქარხანას. გემის სიგრძე უნდა ყოფილიყო 105 ფუნტი, სიგანე 18 ფუტი, წყალში უნდა მჯდარიყო სიღრმეზე არა ნაკლები 3 ფუტისა, უნდა ჰქონოდა ტვირთზიდაობა 7 ათასიდან 8 ათას ფუთამდე. გემი მტკვის შესართავთან იყო 1852 წლის 1 დეკემბერს. 29 დღის ნელი სიარულის შემდეგ მივიდა მინგეჩაურში 8 ათასი ფუთი ტვირთით. მინგეჩაურიდან თბილისამდე ყოველგვარი ტვირთის გადმოსაზიდ ცდისათვის შესყიდულ იქნა 20 ცხენი და ორი პოვოზკა. გადმოზიდვა გაგრძელდა 1853 წლის თებერვლიდან ნოემბრამდე. გემმა სახელწოდებით „თავადი ვორონცოვი“ განრიგიანი რეისები დაიწყო 1853 წლის აპრილში, ნაოსნობა გრძელდებოდა ივნისამდე, გარდა სახაზინო სურსათისა გადმოიზიდა აგრეთვე კერძო ტვირთიც, რაშიაც მიიღო 3 130 მან. 20 კაპ.

- √ გემით გადაზიდულ იქნა 1855 წლის 15/XI-მდე 33 401 ჩეტვერტი პური;
- √ გემის ხარჯებისათვის 1853 წელს დაწესდა თვიურად 2 ათასი მან. ვერცხლი;
- √ 1854 წელს-1 600 მან.
- √ 1855 წელს-1 450 მან.
- √ 1852 წლის ნოემბრიდან 1855 წლის ივნისამდე გემის მოსაწყობად და

მოვლა-შენახვისათვის დაიხარჯა 94 007 მან.

მტკვარზე გემი დადიოდა 600 ვერსის მანძილზე მინგეჩაურამდე. შემდეგ უნდა მოწყობილიყო მიმოსვლა მინგეჩაურსა და თბილისს შორის 250 ვერსზე. 1854 წლის 13 დეკემბერს უმაღლესი ბრძანებულებით ნებადართულ იქნა მტკვარზე სანაოსნოდ კიდევ ორი გემისა და 10 ბარჟის აგება. 3 წლის განმავლობაში გემის „თავადი ვორონცოვი" შემოსავალი იყო 77 198 მან. [245, 384-385].

დასავლეთ საქართველოში წყალგზის განვითარების შესახებ პ.გუგუშვილი წერს: „შავ ზღვაზე, მდინარე ხობის შესართავთან, 1804 წელს გახსნილი იქნა ნავსადგური ყულევი, საიდანაც თბილისამდე მიიმართებოდა სახმელეთო და სამდინარო გზა. ყულევიდან მდ.ხობით, ამის შემდეგ მდ.ცივათი, ეს უკანასკნელი 1805-1806 წლებში გაყვანილი არხით შეერთებული იქნა მდ. რიონთან. რიონთან სატვირთო ნავები ამოდიოდნენ მარანამდე (ორპირამდე). ყულევსა და მარანს შორის (100 ვერსტამდე) იყო სახმელეთო გზაც. სურამამდე მარანიდან ხმელეთის გზით უნდა წასულიყო აქამდე მდინარით მოტანილი ტვირთიც. სურამიდან თბილისამდე და აქედან კასპიის ზღვამდეც-კი, გარდა სახმელეთო გზისა, მტკვარიც სანაოსნო იყო (მინგეჩაურამდე მხოლოდ პატარა ნავებისთვის)" [64, 64].

XIX ს-ის 30-იან წლებში მნიშვნელოვანი ნაოსნობა წარმოებდა მდ.რიონზე ჯერ ყულევიდან (ხობი-ცივათი და არხით), და თვით შესართავიდან მარანამდე. რიონ-ცივას შემაერთებელი არხი უკანასკნელად 1864 წელს გაუწმენდიათ. XIX საუკუნის 50-იან წლებში დღის წესრიგში დადგა მდ. რიონზე ორთქლის გემების მიმოსვლის საკითხი.

ფოთიდან რიონით ორპირამდე (მარანამდე) შემდეგი ოდენობის სამხედრო სურსათი იქნა ამოტანილი:

1849	4 275 ჩეტვერტი
1853	2 422 ჩეტვერტი
1857	5 004 ჩეტვერტი

მონაცემები მოტანილია ნაშრომიდან: გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ, 1941. გვ.67

1858-1872 წლებში ფოთიდან ორპირამდე, კვირაში ორჯერ, მიმოდიოდნენ ორთქლის გემები: „თავ.ბარიატინსკი" (45 ცხენის ძალის), „აკკერმანი" 935 ცხენის ძალის), „გოლუბჩიკი" (70 ცხენის ძალის) და „ნოვოსელსკი" (120 ცხენის ძალის). გემთსადგომი პუნქტები იყო: ქ. ფოთი, ს.ჭალადიდი, ს.სირიაჩქონი, ს.კოდორი. 1872 წლიდან, რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ისედაც ტექნიკურად ჩამორჩენილი ორთქლის გემების მიმოსვლა წყდება [64, 69].

თბილისის განვითარებამ (გაიზარდა ქალაქის საზღვრები და მოსახლეობა) დღის წერიგში დააყენა შიდა სატრანსპორტო მიმოსვლის გაუმჯობესების საკითხი და ქალაქის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო საცხენოსნო რკინიგზა, ანუ ე.წ. „კონკა". ტრანსპორტის ეს სახეობა ამერიკული



თბილისის ტრამვაის სარემონტო სახელოსნო (დეპო)

წარმოშობისაა და იგი XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გავრცელდა, სწრაფად მოედო ევროპას (1854 წელს იგი გამოჩნდა პარიზში, 1860 წელს-პეტერბურგში) და ბოლოს საქართველოშიც ჩამოაღწია.

საისტორიო ცენტრალურ არქივში ინახება, 1870 წლით დათარიღებული, დიდი ბრიტანეთის ქვეშემვრდომების კარლ ლიუალის და უილიამ პრეტიმანის მიერ მიწერილი წერილი თბილისის გუბერნატორისადმი, სახელწოდებით: Проект Устава Товарищества конно-железных дорог в Тифлись, სადაც საუბარია ამერიკის და ევროპის ქალაქებზე, მათ განვითარებაზე. პირველ რიგში ისინი ითხოვენ მოანყონ კონკას სისტემა ქალაქში. „. . .от Александровского сада, чрез Воронцовский мост и кукии, линия Александровская и вторая-для соединения Эриванской площади с пунктов за зданием Почтового дома-линия Головинская." წერილია ავტორები ითხოვენ გარკვეულ შეღავათებს და ამ სახეობის ტრანსპორტის 50 წლიან მართვის უფლებას [სცა, ფონდი 192, ანაწერი 3, საქმე 13].

თბილისში ის 1883 წლის 26 თებერვალს კერძო მენარმის **შევცოვის** თაოსნობით ამუშავდა. უკვე 1885 წელს იგი „ტფილისის ტრამვაის ბელგიური სააქციო საზოგადოების" ხელში გადავიდა. 1889 წლის 15 ოქტომბერს გაიხსნა **ყორლანოვის** კერძო ხაზი, რომელიც რამდენიმე წელიწადში ისევ ბელგიელების კომპანიამ შეიძინა. პირველმა ხაზმა ვაგზლის მოედანი ვორონცოვის მოედანს დაუკავშირა. მოგვიანებით კონკის გზა გაგრძელდა, ვორონცოვისა და ნიკოლოზის (მშრალი) ხიდების, ბაზრის (ორბელიანის) მოედნისა და პუშკინის ქუჩის გავლით კონკა ადიოდა ერევანსკის (თავისუფლების) მოედნამდე, საიდანაც სასახლის ქუჩის (დღევანდელი რუსთაველის გამზირის მონაკვეთი თავისუფლების მოედნიდან მეფისნაცვლის (ამჟამად მოსწავლე ახალგაზრდობის) სასახლემდე, გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტისა და ვერის დაღმართის მეშვეობით კირხის (მარჯანიშვილის) მოედანს აღწევდა, ბოლოს მიხეილის (დავით აღმაშენებლის) გამზირისა და ვაგზლის ქუჩის (თამარ მეფის გამზირის) გავლით ისევ ვაგზლის მოედანზე ბრუნდებოდა [140, 12]. ტრანსპორტის ეს სახეობა საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევდა ქალაქის მმართველობას. კონკით მგზავრობა 3-5 კაპიკამდე ღირდა და თბილისის უდიდესი ნაწილის დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის ყველაზე სასურველ ტრანსპორტს წარმოადგენდა.

1883 წელს თბილისში პირველად გაიხსნა კონკის ვაგონების მოძრაობა. ეს მანძილი მხოლოდ 2 419 მეტრს შეადგენდა. კონკის ვაგონები წარმოადგენდა გადახურულ ბაქანს საფეხურებით ვაგონის მთელ სიგრძეზე. ამ ბაქანს ეზიდებოდა წყვილი ცხენები, კონდუქტორი კი მგზავრებს ბილეთებს აძლევდა. კონკამ თბილისში 1910 წლამდე იარსება [30, 39-44].

XX საუკუნის პირველ წლებში თბილისის ქალაქის მართველობის სხდომაზე არაერთხელ დაისვა კონკის ელექტრული ტრამვაით შეცვლის საკითხი. 1885 წელს ბრიუსელში დაარსდა **„თბილისის ცხენის რკინიგზის სააქციო საზოგადოება"**. მისი დამფუძნებლები იყვნენ **ე.ბურსონი, კ.ვირდეკენი, მ.მიულერი, როპსი-შანდორი, კ.ეცბახერი, პ.გამელრატი, ვ.ლომოჟი, ა.ლუკასი, კ.პფანკუხი, მ.რინძიუნსკი, ი.შერნბიურნი** და სხვ. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 8 481 800 ფრანკით განისაზღვრა, ხოლო სათადარიგო კაპიტალი 755 936 ფარნკით. ფირმა 1888 წელს იქნა დაშვებული თბილისში საქმიანობის 1931 წლამ-



ტრამვაის ხაზის მშენებლობა თბილისში

დე გასაგრძელებლად. მან თბილისის საქალაქო თვითმმართველობისაგან 600 ათას მანეთად შეიძინა „თბილისის ცხენის რკინიგზა". ბელგიურმა ფაერთიანებამ ვალდებულება აიღო, რომ თბილისის ტრამვაის (11,5 კმ) ელექტროწევაზე გადაიყვანდა და ახალ გზას გამართვადა 10,5 კმ. სიგრძეზე [136, 130].

თბილისის ცხენის ტრამვაის" (კონკას) და ასევე „თბილისის ელექტრონული ფუნიკულიორის საზოგადოების" დამაარსებლად ითვლება ბელგიური საზოგადოება „ტრამვაელთა კავშირი", მაგრამ ეს უკანასკნელი ბერლინის ბანკის დახმარებით ხელთ იგდო ოფიციალურმა გერმანულმა ელექტროტექნიკურმა საზოგადოებამ „ზინგერმა", რომელმაც მოგვიანებით ბელგიური საზოგადოებაც და მისი თბილისური საწარმოებიც სხვა გერმანულ ელექტროტექნიკურ საზოგადოებას „ჰელიოსს" დაუთმო [129, 91-95]. ფირმასთან დადებული კონტრაქტი ითვალისწინებდა ქალაქის მმართველობის უფლებას შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ გამოესყიდა ტრამვაი. ფირმამ ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა: ელექტროტრამვაი გამართა და მის ექსპლოატაციას 1915 წლამდე ეწეოდა (შემდეგ ის თბილისის თვითმმართველობამ გამოისყიდა). ბელგიურმა საზოგადოებამ ტრამვაის შეუფერხებელი ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად სარემონტო სახელოსნოები (დეპო) მოაწყო, სადაც მოძრავი შემადგენლობის რემონტი წარმოებდა. 1905 წელს დეპოში 134 მუშა ირიცხებოდა, „სამრეცხაოში" კი 80, ვატმან-კონდუქტორების რიცხვი 600-ს აღემატებოდა. 1913 წლისთვის ფირმის ყველა საწარმოში 1 200-ზე მეტი მუშა შრომობდა [136, 321]. 1900 წელს ფირმა საბოლოოდ ჩამოყალიბდა „თბილისის ტრამვაის ბელგიური საზოგადოების" სახელწოდებით. აღსანიშნავია, რომ ფირმა აქტიურად თანამშრომლობდა აზოვ-დონისა და ვოლგა-კამის ბანკების თბილისის ფილიალებთან.

ტრამვაის დირექციამ მოძრავი შემადგენლობის შესაკეთებლად გახსნა მექანიკური და სხვა სახელოსნოები, სადაც ძრავიანი და მისაბმელი ვაგონების შეკეთებას და თვით ურთულესი ნაწილების გამოცვლას ეწეოდნენ. სახელოსნო თავის სამუშაოების შესასრულებლად სხვადასხვა სახის საჭირო დაზგა-დანადგარებსა და მონყობილობას, როგორც ევროპის ქვეყნებიდან, ისე რუსეთის, კერძოდ პეტერბურგისა და მოსკოვის ქარხნებიდან იღებდა. სახელოსნოს ჰქონდა ვაგონების შესაღები სააქრო, ვაგონების სარეცხი სააქრო, სადაც 80-მდე მუშა იყო დასაქმებული. თბილისის ტრამვაის წელიწადში საშუალოდ 40 მილიონი მგზავრი გადაჰყავდა. 1915 წლის დეკემბერში თბილისის ტრამვაის ყველა დაწესებულებაში მუშაობდა 857 მუშა [227, 85-86].

თბილისის ელეტროტრამვაის სარემონტო სახელოსნოს საქმიანობის

სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 175)

წელი	მუშათა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)
1900	60	24
1908	190	170 363
1913	210	198 420

„თბილისის ტრამვაის ბელგიური საზოდაგოების" საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები

(ცხრილის მონაცემები ემყარება გ.მარგიანის ნაშრომს „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი" 1864-1917. თბ. 1976 გვ 361)

წლები	საწარმოთა ბრუნვა (მლნ ფრანკი)
1901-1902	8
1903-1904	18
19012-1913	30

თბილისის ტრამვაი „კონკაზე" მაღალშემოსავლიანი სატრანსპორტო საშუალება აღმოჩნდა, თითქმის ყოველთვის სავსე დადიოდა. 1917 წლის სტატისტიკური მონაცემებით ტრანსპორტის ამ სახეობით 1 მლნ-მდე მგზავრს უსარგებლია.

1886 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: „როცა ქალაქში ცხენის რკინის-გზის გამართვასა ჰფიქრობდნენ, ჩვენებურმა სოვდაგრებმა ვერ შეჰბედეს ამ საქმეს. ჯერ შებედვა კიდევ არაფერია, საქმე ის არის, რომ მაგ გზის საქმე სიცილადაც არ ეყოთ, ასე შორსმჭვრეტელნიც არიან. „რასაც მოიგებენ, ჩვენ წილს ნუ დაგვიდებენო", იძახოდნენ უმეცრების კმაყოფილებითა და დაცინვით ჩვენი ფულიანი კაცები. როცა ცხენის რკინის გზა სხვა ქვეყნიდამ მოსულებმა გაჰმართეს და ნახეს, რომ ამ საქმეს კაი მოგება აქვს, მხოლოდ მაშინღა წამოაჭყიტეს თვალები და წუწუნებდნენ „ვა, ეს საქმე ხელიდამ როგორ გავუშვითო" [269, 256-259].

პირველად ფუნიკულიორის გაყვანის იდეა 1896 წელს ქალაქ თბილისის „კონკი"ს მმართველს, ბელგიელ ინჟინერს, **ალფონს რობის** გაუჩნდა, თუმცა მოგვიანებით მისი პირვანდელი პროექტი უარყვეს და მშენებლობა ფრანგი ინჟინრის **ა.ბლანშის** პროექტით განახორციელეს [140, 20]. ხელშეკრულებას ქალაქის მმართველობასთან 1900 წელს მოეწერა ხელი. სწორედ ეს დოკუმენტი გახდა „თბილისის ელექტროფუნიკულიორის სააქციო საზოგადოების" ჩამოყალიბების საფუძველი. ფუნიკულიორის მშენებლობა 1903 წლის სექტემბერში დაიწყო და 1905 წლის მარტში დამთავრდა. მასში არაერთმა უცხოელმა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა, კერძოდ სადგურების მშენებლობაში აქტიურად მონაწილებდნენ ფრანგი ინჟინერი **ა.ბლანში, შიმკევიჩი,** გზის მშენებლობას უძღვებოდნენ ბელგიელი და იტალიელი ინჟინრები **ი.რაგოლერი და ა.ფონტანა-როსი.** ფუნიკულიორის მშენებლობის უდიდესი მხარდამჭერი იყო **ნიკო ნიკოლაძე,** სწორედ მისი თაოსნობით შესრულდა რკინაბეტონის ურთულესი სამუშაოები ესტაკადისათვის.

ალფონს რობის მიერ დაარსებული „თბილისის ელექტროფუნიკულიორის სააქციო საზოგადოების" ძირითადი კაპიტალი მთელი აქციები, ხელთ იგდო „თბილისის ტრამვაის ბელგიურმა ანონიმურმა საზოგადოებამ", მაგრამ ზარალი განიცადა. დარწმუნდა რა ფუნიკულიორის არარენტაბელურობაში 1914 წელს ა.რობის ფირმასთან კავშირი გაწყვიტა და მთელი აქციები ადგილობრივ

და რუს საქმოსნებს გადასცა [136. 322].

თბილისში საავტომობილო ტრანსპორტის გამოჩენის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებები თბილისში XX საუკუნეში შემოვიდა, განსხვავებული მოსაზრებით, 1901 წლის სექტემბერში თბილისის ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის მათი გამოჩენა განსაკუთრებულ მოვლენას არ წარმოადგენდა, ვინაიდან თბილისის ქუჩებში იმ დროს უკვე 10-მდე ავტომობილი მოძრაობდა. მათ შორის უმეტესობა ამიერკავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციულ მმართველობას და სამხედრო უწყებებს ეკუთვნოდა [136, 322].

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რუსეთის იმპერიის გზათა მინისტრმა, თავადმა **მ.ხილკოვმა** მიიღო გადაწყეტილება, საფრაგეთიდან გამოწერილი 3 ავტომობილი საქართველოს სამხედრო გზაზე გამოეცადა. ამის შესახებ ვრცელი საუბარია ჟურნალ „Русский турист"-ში (Ж. `Русский турист-1902 г. Стр. 16-20). ეს იყო ერთგვარი ავტორალი, ავტომობილების გადარბენის პირველი მცდელობა საქართველოში. უსაფრთხოების მიზნით მიიღეს გადაწყვეტილება ავტომობილების წინ ევლო „საფოსტო ტროიკას", ამით ავტომობილების სიჩქარეც რეგულირებადი ხდებოდა. 1901 წლის 19 სექტემბერს, დილის 7 საათზე (როგორც კი მინისტრი ჩამოვიდა მატარებლიდან) ავტოკოლონა გავიდა ტრასაზე. „ტროიკას" მიჰყვებოდა ორადგილიანი ავტომობილი დე Dion-Bouton* 3,5 ცხ. ძ. ამ ავტომობილს გადარბენის ბოლომდე პირადად მართავდა თავადი **მ.ხილკოვი,** მეორე ოთხადგილიან 1,4 ცხ. ძალიან ავტომობილს Pancford-Sevasos (ჩვენი აზრით სწორია Panhard & Levassor Phaeton Tonneau-ავტორების შენიშვნა) ინჟინერი მარკიზი **პასხანო,** მესამე ავტომობილის (პირველი ავტომობილის კონსტრუქციის) მძღოლი იყო გრაფი **ს.შულენბურგი**. მთელ გზაზე (210 კმ.) ავტომობილების სიჩქარე 25 კმ.-ს არ აღემატებოდა. ავტომობილები არ დაზიანებულა და არც არანაირი შეფერხება არ შეხვედრია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ თუ სამ შემთხვევას (საბურავების დაშავება ლურსმნით). 1901 წლის 19 სექტემბერს დღის 3 სთ-სა და 26 წთ-ზე ავტომობილების კოლონა მცირე ხნით შეჩერდა მცხეთაში. ამრიგად, წარმატებით დამთავრდა რელიეფურად მეტად რთულ გზაზე ავტომობილების გადარბენის ცდა [35, 112-115].

რუსეთის სამეფო კარისათვის ავტომობილების ასეთი დაინტერესების მიზეზი ევროპულ ცივილიზაციასთან დიდი სიახლოვე გახლდათ. რუსეთის იმპერიის გზათა მინისტრის, თავად მ.ხილკოვის ექსპერიმენტებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, დიდ მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვს 1901 წელს საფრანგეთში შეძენილი „Automobiles Mors"** ფირმის 10 ცხ.ძალის ოთხადგილიანი ავტომობილი (ბათუმის სარკინიგზო ხაზით) ბორჯომის მამულში ჩამოუყვანია. ეს სატრანსპორტო საშუალება მისთვისაც დიდ სიახლეს წარმოადგენდა, ამიტომ მუდმივად ემსახურებოდა მძღოლ-მექანიკოსი ლეონ რენოლდსი. 14

---

* ავტომობილების მწარმოებელი ფრანგული ფირმა De Dion-Bouton დაფუძნდა 1882 წელს და 1899 ნლისათვის ავტომობილების მასიური წარმოება დაიწყო, რამაც კომპანიას დიდი ნარმატება მოუტანა. 1900-იანი ნლებისათვის კომპანიას გამოშვებული ჰქონდა 400 ავტომანქანა და 3 200 მოტორი, რომლებზე დიდი მოთხოვნა იყო სხვა ავტომწარმოებლებში

** ავტომობილების მწარმოებელი ფრანგული ფირმა „Automobiles Mors" ავტომობილებს უშვებდა 1895 ნლიდან 1925 ნლამდე. შემდეგ კომპანია Citroën-ის ხელში გადავიდა.

ივნისიდან 5 აგვისტომდე თითქმის ყოველდღე დიდი მთავარი ავტომობილით მოგზაურობდა ბორჯომ-ხაშურის, ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმნის მიმართულებით, სერიოზული საგზაო შემთხვევები არ მომხდარა. გადაწყდა ბორჯომიდან გოდერძის უღელტეხილის გავლით ბათუმში გამგზავრება. 1901 წლის 19 ივნისს დილის 5 საათზე დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, მექანიკოსი ლეონ რენოლდსი, აგრეთვე მოწვეული ორი მგზავრი ავტომობილით ბათუმისკენ გზას გაუდგნენ. დილის 8 საათზე ისინი უკვე ზარზმის მონასტერთან იმყოფებოდნენ, ხოლო 11 საათზე გოდერძის უღელტეხილის უმაღლეს პუნქტში.

ეს მეტად რთული გზა, სადაც არ იყო ტელეგრაფი, საფოსტო ცხენები და მჭიდროდ დასახლებული სოფლები, მგზავრებს დაბრკოლების გარეშე გაუვლიათ. იმავე დღეს 17 საათზე ბათუმის მცხოვრებნი უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ. თვითმავალ ტრანსპორტს მიჰყავდა 4 დამტვერილი მგზავრი, რაც მათ მიერ გავლილი მანძილის სიშორეზე მეტყველებდა. ბათუმიდან ავტომობილი სპეციალური ვაგონით ბორჯომში გაიგზავნა [36, 56-59]. როგორც ჩანს ამ მოგზაურობის შესახებ ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვს სტატია გამოუქვეყნებია ფრანგულ ჟურნალში, რომლის რუსული ვარიანტი ჟურნალმა „Русский турист"-მა დაბეჭდა. [333].

XX საუკუნის შემოსვლამ იოლად დაარწმუნა ყველა ცხენშებმულ ეკიპაჟთან შედარებით ავტოტრანსპორტის უპირატესობაში, ამიტომ თბილისში ამ სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრების გადაყვანის ბევრი მსურველი გამოჩნდა. განსაკუთრებით მოთხოვნადი იყო ხაშური-ბორჯომი-აბასთუმნის, თბილისი-ვლადიკავკაზის და ქუთაისი-ხონის გზები. 1902 წელს საქართველოში მცხოვრებმა ორმა პიროვნებამ ავტომობილით მგზავრების გადაყვანის ნებართვა მოითხოვა ბორჯომი-ახალციხე-აბასთუმნის მიმართულებით. ერთ-ერთ მათგანს **კაჩაროვს** უკვე ჰქონია ასეთი „ვიზა" და ავტომობილით მგზავრები გადაჰყავდა ევლიხი-შუშის ტრასაზე [35, 112-115].

XX საუკუნის დასაწყისში ამერიკული და ევროპული პრესა იუწყებოდა არაერთი ფირმის შესახებ, რომელთა მთავარ საქმიანობას სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრების გადაყვანა წარმოადგენდა. მათი უდიდესი ნაწილი ავტომობილებს ქირაობდა მათი მწარმოებლებისაგან, დროებით სარგებლობისა და გამოყენების უფლებით, საიჯარო ქირის საფასურად, საბოლოოდ გამოსყიდვის უფლებით. ასე იწყებდა ჩამოყალიბებას მსოფლიოში სალიზინგო ურთიერთობები. ამ მიზანს ისახავდა 1902 წელს ვარშავაში შექმნილი ევტოტრანსპორტის ექსპლოატაციის საზოგადოება, მისი მთავარი ორგანიზატორები იყვნენ გრაფი **ა.პოტაცკი,** პოლკოვნიკი **გოლოვინი** და თავადი **ნ.ნაკაშიძე**. ამ ბიზნესისათვის გათვალისწინებული იყო საფრანგეთში დამზადებული ავტომობილების გამოყენება [333, 303].

1903 წელს გაზეთი „ივერია" [97]. იუწყებოდა ვინმე **ჯამასპაშვილისა** და **ბეკავაქოვის** შესახებ, რომლებსაც თხოვნით მიუმართავთ თბილისის საქალაქო გამგეობისათვის ავტომობილებით მგზავრების გადაყვანის ამხანაგობის შექმნის თაობაზე.

1904 წელს თავადები **გ.შერვაშიძე, ა.ლებედინსკი, კ.ერისთავი** და **დ.ორ-**

ჯონიკიძე კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას სთხოვდნენ ნება დაერთოთ, რომ მოეწყოთ ავტომობილებით მგზავრების გადაყვანა ქუთაისიდან ხონამდე, აგრეთვე რკინიგზების სადგურ ნატანებიდან ოზურგეთამდე. ქუთაისში მცხოვრები **ი.კაკაბაძე** და ვაჭარი **ს.რუხაძე** კი ქალაქ ქუთაისსა და დაბა ხონს შორის მგზავრების გადაყვანის ნებართვას ითხოვდნენ. [324, 29-30].

1909 წელს გაზეთი „მომავალი" იუწყებოდა: „კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო შვეიცარიის მოქალაქეს **რ.ვ.მეიერს** მოაწყოს ავტომობილით მიმოსვლა თფილისიდან სიღნაღ-თელავამდე და მანგლისიდან დჯელადი-ოღლიმდე." [157, 3].

თბილისში ავტომობილების მომრავლებამ ქალაქის მმართველობა დააფიქრა დამატებითი გადასახადის შემოღებაზე. გაზეთი „მომავალი" იუწყებოდა: „ქალაქის სასარგებლოდ ავტომობილებზე გადასახადების დაწესების შესახებ ქალაქის საბჭოს მდივანმა განცხადება შეიტანა საბჭოში, რაც წლიურად ქალაქს 2 500 მან. შესძენს. ამ გადასახადისაგან თავისუფლდებიან კონსულები და სახაზინო დაწესებულებანი." [158, 3].

პირველი ავტომობილი სოხუმში, საჭესთან ზის ალექსანდრე შერვაშიძე
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

არჩილ მშველიძე იხსენებს: „გორში მრავალი ეტლი იყო, რომლებსაც „ფაეტონს" ეძახდნენ. ყველაზე კარგი ეტლი **ვაჭარ მამინოვს** ჰქონდა. დიდი თოვლიანობის დროს მეეტლეს მარხილიც ჰქონდა. გორში პირველი ავტომობილი ჩამოიტანა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა **თავზარაშვილმა.** მანქანა იყო ღია და ჩარდახიანი. მანქანა იმიტომ შეეძინა, რომ გამოეყენებინა საექსპლოატაციოდ გორი-ცხინვალის გზაზე, მაგრამ იგი იმდენად მოძველებული იყო, რომ ხშირად ფუჭდებოდა. ალბათ მისი უვარგისობით აიხსნება, რომ მანქანა მალე გაქრა გორიდან. ამის შემდეგ გაჩნდა დახურული კარეტის ფორმის ავტომობილი."[163, 4].

დანართები:
უცხო სიტყვათა მოკლე ლექსიკონი

ასიგნაცია – (ლათ.Ffrang. Assignacion), ქაღალდის ფულის ნიშანი, ქაღალდის ფული ძველ რუსეთში, [ენციკოპედიური ლექსიკონი. ა.ელერდაშვილი. თბ. 2006]

აპეური-ტყავის თასმა ან თხის ბეწვისაგან დაგრეხილი თოკი, რომლითაც ხარის ქედზე დადებული უღლის ტაბიკები ყელთან შეიბმება. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 35]

ალაო-დაფუებული ნებოსავით ცომი ხორბლისა, რომელსაც გამოიყენებდნენ მოზელილი ცომის ასაფუებლად. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 28]

ალისარჩული-ერთგარი ჯიშის მცენარე, რომელიც გამოიყენებოდა სამღებრო საქმიანობაში. საგანგებოდ თესავდნენ და მის მოყვანას მისდევდნენ იმერეთში, რაჭაში, კახეთში... [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 29]

ამქარი-ერთი და იმავე ხელობის ხელოსნურ-ვაჭრული გაერთიანება. შიტყვა „ჰამქარი" მომდინარეობს სპარსულიდან და ნიშნავს თანამოსაქმეს. თითოეულ ამქრულ ორგანიზაციას გააჩნდა თავისი დროშა, ჰქონდა საკუთარი საერთო ხაზინა ამქრის წოდებრივი ორგანიზაცია სამსაფეხურიანი იყო: ოსტატი, ქარგალი და შეგირდი. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 33]

აპეური-ტყავის თასმა ან თხის ბეწვისაგან დაგრეხილი თოკი, რომლითაც ხარის ქედზე დადებული უღლის ტაბიკები ყელთან შეიბმება. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 35]

არტაშანი-პურის თავთავის საკრეფი იარაღი, რომელსაც გამოიყენებდნენ აჭარაში „ხასი პურის" კრეფის დროს. ესაა ორი გრძელი ჯოხი, რომლის ბოლოები თოკით მოძრავად იყო გაბმული. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 36]

არშინი-ზომის ერთეული, დაახლოებით 71 სმ. უდრის, აქედან არშინის სახელწოდება მიიღო ხელსაწყომაც, რომელზეც არშინის დანაყოფები იყო გამოსახული. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 38]

აჯამეთი-სოფელი ზესტაფონის რაიონში, მდინარე ყვირილას მარცხენა ნაპირას. აჯამეთი პირველად წყაროებში მოხსენიებული აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს XI ს-ის II ნახევარში. ვახუშტის ცნობით: „აჯამეთს არს სანადირო მეფეთა, აღვსილი დიდ-მცირეთა ნადირთა."

ბაზაზი-(არაბ. ბაზაზ მეწვრილმანე), ძირითადად ფართლეულით და საქსოვ-საკერავიძაფებით მოვაჭრე. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 52]

ბათმანი-საწყაო მასის ერთეული, რომელიც ირანიდანაა შემოსული საქართველოში. გამოიყენებოდა მარცვლეულის ასაწყვლელად. ირანული ბათმანი უდრიდა 3 კგ. ხოლო ოსმალური 7,3 კგ. მარცვლეულის საწყაოდ ხმარობდნენ ხის ჭურჭელს, დროთა განმავლობაში თავად ჭურჭელმაც ბათმანის სახელწოდება მიიღო. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 55]

ბურნუთი-ნვრილად დაფქული და გაცრილი საყნოსო თამბაქო. [ენციკოპედიური ლექსიკონი. ა.ელერდაშვილი. თბ. 2006]

ბიდონი-თავსახურიანი ლითონის ჭურჭელი სითხეებისათვის. [ენციკოპედიური ლექსიკონი. ა.ელერდაშვილი. თბ. 2006]

გეჯა-ერთ ხეში ამოღებული ან თავბოლო გამოყენებული მორი, რომელიც იხმარება წყლისათვის ან ცხოველთა საჭმლის ჩასაყრელად. მთიანეთში გეჯას ფუტკრის სკასაც უწოდებენ. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 81]

გილდია-სხვადასხვა (პოლიტიკური, რელიგიური, სავაჭრო, თავდაცვითი და ა.შ.) გაერთიანებანი შუა საუკუნეების დასაცლეთ ევროპის ქალაქებში. [ენციკოპედიური ლექსიკონი. ა.ელერდაშვილი. თბ. 2006]

გალანტერეა-(ფრანგ. ჩალანტერიე) სხვადასხვა პირადი მოხმარების ნივთების წარმოებაა, კერძოდ: ძაფები, ლენტები, ქინძისთავები, ღირელები, სავარცხლები, ხელთათმანები და ა.შ.

გოჯი-უძველესი ქართული სიგრძის საის საზომი, შინაარსობლივად გოჯი წარმოადგენს მანძილს ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე. გოგებით იზომებოდა სახვნელი იარაღების ნაწილები, მიწის ხნულის სიღრმე. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 55]

დაბაღები-მეტყავე, ტყავის დამამუშავებელი ხელოსანი. თბილისელი დაბაღების მიერ დამზადებული ტყავი სრულიად აკმაყოფილებდა მეწაღეების, მეჩექმეების, ქართული, აზიური, ევროპული ფეხსაცმლის მკერავთა, მეუნაგირეთა და სირაჯების მოთხოვნებს. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 105]

დარაია/მერდინი-აბრეშუმის თხელი ქსოვილი, იქსოვებოდა ორ ან ოთხ დგიმიან ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგაზე-საფეიქროზე. ქსოვისათვის გამოყენებული იყო გასანთლული ან გახამებული შულოები ან საპონში გამოხარშული ძაფი. ძირითადად იყო სადა თეთრი ფერის. მას ხმარობდნენ მამაკაცის პერანგის, ახალუხის, ყაბალახისათვის, დასავლეთ საქართველოში ქალის თავსაფრებად და საკაბედ. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი.

თბ. 2013. გვ. 108]

დესეტინა-რუსული წარმოშობის ძველებური მიწის საზომი ერთეული, უდრის 2 400 კვადრატულ საჟენს, ანუ 1,09 ჰექტარს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

დერციკი-ტანსაცმლის მკერავი. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მცხოვრებ მამაკაცთა უმეტესობა ისევ ტრადიციული ჩოხა-ახალუხით იმოსებოდა, ამიტომ ამ ტანსაცმლის დამამზადებელ დერციკთა რაოდენობა საგრძნობლად დიდი იყო, განსაკუთრებით ქალაქებში. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 119]

დამბაჩა-ცეცხლსასროლი იარაღი XVI ს-დან, როცა ხმარებაში შემოვიდა კაჟიანი ჩახმახები, რამაც საშუალება მისცა იარაღის კონსტრუქტორებს თოფის ზომების ისე შემცირება, რომ გასროლა ერთი ხელით ყოფილიყო შესაძლებელი. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 107]

დისტილატი-(ლათინ. Distillatus) წვეთებად ჩამოსული თხევადი პროდუქტი.

დემური-დაბაღის იარაღი, ტყავის საფხეკი, ოდნავ მოხრილი ნამგალივით, აქვს რკინის პირი და ხის ტარი. აქეთ-იქით წაავლებდნენ ორივე ხელს და ისე ფხეკდნენ ტყავს. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 118]

ვარცლი-პურის ცომის მოსაზელი ნავისებური ხის ჭურჭელი, ძირითადად ორი სახისაა: ერთი დიდი ზომის, სადაც ერთდროულად 30-40 კგ. ცომი მოიზილებოდა დიდ ოჯახში, ასევე ქორწილისა და ქელეხის დროს. ვარცლის მეორე ტიპს ხელვარცლი ეწოდებოდა და ყოველდღიურად მოიხმარებოდა. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 147]

ზარაფხანა-მონეტების, ორდენების, მედლებისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელი სახელმწიფო საწარმო, რომელიც ფართოდ იყენებს მოვერცხლისა და საიუველირო მინანქრით ლითონის ნაკეთობათა დაფარვის ხერხებს. ძარაფხანა შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად, როცა მონეტების მოჭრა სახელმწიფო მონოპოლიად იქცა. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 149]

ზოვრეთი-სოფელი ზესტაფონის რაიონში მდინარე ძუსის (ჩოლაბურის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. ისტორიულ წყაროებში ზოვრეთი პირველად მოიხსენიება XV საუკუნეში.

თულუხჩი-წყლის მზიდავი. დიდი ხნის მანძილზე თბილისი მარაგდებოდა მტკვრის წყლით, დამტარებლები კი თულუხჩები იყვნენ. ისინი ან თვითონ ატარებდნენ წყლით სავსე თულუხებს ან ცხენს, ვირს ან ჯორს აჰკიდებდა. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 178]

თოქმაჩი-თითბერზე მომუშავე ხელოსანი, რომლებიც ამზადებდნენ ქვასანაყებს, შანდლებს, საეკლესიო ნივთებსა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო

საგნებს. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 176]

თალათინი-ძვირფასი ტყავი, რბილი და მოქნილი. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 166]

იაგუნდი-მინერალთა გარკვეული ჯგუფის ზოგადი სახელწოდებაა. ზოგჯერ იაგუნდის ქვეშ საერთოდ ძვირფასი ქვები იგულისხმებოდა. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 183]

კევრი-ხორბლეულის სალენი. მზადდებოდა უპირატესად ფიჭვის ხისაგან, რომელიც ადვილი სათლელია და კოხებსაც კარგად იჭერს. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 203-204]

კომპრადორი–(ესპ. ჩომპრადორ) აღმოსავლეთის კოლონიურ ქვეყნებში ადგილობრივი ვაჭარი, რომელიც შუამავლობს უცხოეთის კაპიტალსა და ადგილობრივ ბაზარს შორის

კონდიცია-(ლათ. ჩონდიტიო) დადგენილი ნორმა, სტანდარტი, რასაც უნდა შეესაბამებოდეს ესათუ ის საგანი, საქონელი ან ხელშეკრულების პირობები, რომელიც განსაზღვრავს საქონლის ხარისხს.

ლიტრა-ა)წყლის ან ღვინის დასალევად განკუთვნილი თიხის ჭურჭელი, გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. ყელის სივიწროვის გამო წყალი რაკრაკით გადმოედინება. ბ) მასისა და სითხის საზომი ერთეული, ერთი ლიტრა უდრის 1000 გრამს. ვიტრა საწყაოდაც გამოიყენება. ლიტრით აიწყვოდა მარცვლეული და სითხე. XIX საუკუნის მოცამეებით საწყაო ლიტრა თბილისის მაზრაში 3,2 კგ-ს უდრიდა. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 240

ლაინი-შინაური წესით ოთხი დგიმით დამზადებული ბამბის ქსოვილი-ნარმა შეღებული მუქლურჯად ლილაში. წმინდად დართულით იკერებოდა ახალუხი, ასევე საცვლები და პერანგები. Iგი მოიხმარებოდა საბნის და ლეიბის პირებადაც. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 228]

მათარა-პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი, რომელსაც ჩვეულებრივ იკიდებენ ქამარზე. მას მეცხვარეები ხმარობდნენ. მათარა ერქვა ასევე ქამარზე დასაკიდ ტყავის ჭურჭელს. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 246]

მაფრაშა-ხალიჩური ნაწარმის ერთგვარი ტიპის სათავსი, რომელიც ძირითადად მართკუთხედად იყო მოქსოვილი და გამოიყენებოდა თეთრეულის საოჯახო არგისა და მისთანათა შესანახად. შემკული იყო სხვადასხვა სახის მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 259]

მეთუნეობა-კერამიკული ჭურჭლის დამზადება. თავდაპირველად ხელით ნაძერნი თიხის ჭურჭელი ღია ცეცხლზე იწვებოდა, შემდეგ გაჩნდა

სამეთუნეო იარაღი-მორგვი, რაზედაც ჭურჭელი კეთდება. ჩარხის გაჩენამ შეამსუბუქა ხელოსნის შრომა და მეთუნეობა პირველ მექანიზებულ დარგად აქცია. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 265]

მელასა-(იტალ. Mellasa) შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე.

ნართი-თითისტარზე ან ჯარაზე დართული მატყლი, რომლისაგანაც მიიღებოდა საქსოვი ძაფი. თანაბრად დართული და დაგრეხილი ნართისაგან კარგი ხარისხის ქსოვილი მზადდებოდა. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 297]

ნაბადი-მოთელილი მატყლისაგან დამზადებული წინ გახსნილი უსახელებო წამოსასხამი. XIX საუკუნის ქართველ და კავკასიის სხვა ხალხთა ეროვნული კოსტიუმის ელემენტია. ქვს მთლიანი ზურგი და კალთები, ამოღებული ყელი და განიერი მხრები. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 292]

ნალბანდი-საქონლის რკინის ნალის დამჭედავი. იმისათვის, რომ საჯდომ და მუშა საქონელს საჯაფო სამუშაოთა შესრულებისას ჩლიქები არ დაუცვდეს, ლურსმნებით აჭედებენ რკინის ნალებს. მუშა საქონელი წელიწადში 4-5-ჯერ იჭედებოდა, რაც განაპირობებდა სანალბანდო საქმიანობის შეუწყვეტელ ხასიათს. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 295]

პაიჭი-წვივის შესამოსელი, მზადდებოდა ტყავის და ქსოვილისაგან, ძირითადად მეცხვარე და მესაქონლე ხალხი ხმარობდა. ძველად ორი სახის პაიჭებს ხმარობდნენ. ერთ მათგანს სამუხლეს უწოდებდნენ, ჩამცმელს მუხლებს ზემოთ სწვდებოდა და მას ზამთარში იყენებდნენ, მეორეს უფრო მოკლეს ახალგაზრდები იცვამდნენ. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 320]

როფი-ხეში ან ქვის მასივში ამოჭრილი ორმო, სადაც ასხია წყალი საქონლისა და ფრინველთა დასარწყულებლად. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 334]

სარაჯი-უნაგირისა და ცხენის საკაზმის ოსტატი. თბილისელი ხელოსნები უხვად ჰყიდდნენ ცხენის აღკაზმულობას. ხარაჯები ხარაზების ამქართავნ იყვნენ გაერთიანებულნი და ცხენის აღკაზმულობის საჭიროების გამო მათი შემოსავალი ხელოსნობის სარფიან დარგს მიეკუთვნებოდა. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 365]

ტკეჩი-ზოგიერთი ხის, თხილის, შინდის, სწორი წვრილი ტოტის სიგრძივ ანახეთქი, იხმარება გოდრის, გიდელის, ხახალის, კალათის და მისთანას სუფთად საწნავად. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 412]

ქარვასლა-დიდი სავაჭრო-სახელოსნო სახლი. ვაჭართა განსასვენებელი, მექარავნეთა სრა-სახლი, ქალაქისათვის დამახასიათებელი ნაგებობა.

ქარვასლაში შორიდან მომავალი ვაჭრები ისვენებდნენ და მათი საქონელიც დროებით აქ იყო დაცულ-შენახული. მეტ-ნაკლები სიდიდის ქარვასლები საქართველოს ყველა მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქში არსებობდა. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 454]

ქეჩა-უხეში მატყლისგან გაკეთებული საფენი [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 459]

ქულაჯა-მამაკაცის ზედა ტანსაცმელი. XIX ს-ის II ნახევარში გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და იმერეთში. თავადაზნაურები ახალუხს ზემოდან იცვამდნენ. ჩხენოსნები ბრძოლის, ჯირითის ან თამაშის დროს უჩოხოდ იცვამდნენ. ქულაჯა წელში გადაჭრილი და ნაოჭასხმული იკერებოდა, ჰქონდა სწორი, გრძელი, ზოგჯერ იდაყვებამდე დაშვებული სახელოები. კერავდნენ ძვირფასი (უმეტესად ხავერდი) და ფერადი (შინდისფერი, ლურჯი) ქსოვილისაგან. ზამთარში ეცვათ ბეწვსარჩულიანი, სხვა დროს აბრეშუმის. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 472]

ყაითანი-ფერადი ძაფისაგან დაწნული ბრტყელი ზონარი, რომელიც გაკერილებში ედებოდა ტანსაცმელს. იყენებდნენ კაბების ბოლოებისა და გულისპირების მოსავლებად. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 487]

ყაჭი-აბრეშუმია ამოხვევის დროს მეორეხარისხოვანი, ნარჩენი პარკიდან ამოხვეული ძაფი. ყაჭის ძაფს შემდეგნაირად ამზადებდნენ: დაალბობდნენ თბილ წყალში, მერე გამოხარშავდნენ, ნაჭერში გამოხვეულ პარკს ხვედით ან ფილთაქვით დაბეგვავდნენ. დაწეწილი ყაჭიდან ძაფს თითისტარზე დაართავდნენ, დაძახავდნენ, დახვეწდნენ და გორგლებად ამოახვევდნენ. ყაჭის ძაფი იხმარებოდა საქსოვად, ჩურჩხელისათვის, ძველმანების დასაკერებლად და სხვ. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 492]

ყაზაზი-აბრეშუმის ხელოსან-ფეიქარი, ძაფის დამამზადებელი. იგი ხელოსანიცაა და მაღაზია-დუქანიც აქვს. მის საქმიანობაში შედიოდა ძაფის ამოხვევა, გრეხა, ძახვა. ყაზაზთა შორის გამოიყოფოდა ოქრომკერდის ხელობის მცოდნე ოსტატები. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 487]

ყავარი-ხისგან დამზადებული ფიცრები, სახლის ან რაიმე ნაგებობის დასახურავი. საყავრედ საუკეთესოა ნაძვი. მშრალ ხეს დამორავდნენ, გაჭრიდნენ ოთხად, ნაოთხალს კიდევ ოთხად და მიიღებდნენ „ბელეშს", ფეხზე დააყენებდნენ, ნაჯახით გაუკეთებდნენ პირს, სადაც ჩადებდნენ საყავრე დანას, დაარტყამდნენ ხვედა და აყრიდნენ ფურცელს. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 485]

ყაბალახი-მამაკაცის თავსაბურავის სახეობა, მასალად გამოიყენებოდა შინნ-

აქსოვი შალი, თივთიკი, შალ-აბრეშუმი. ეაბალახებს ამკობდნენო-ქრომკერდისა და სირმის ქარგულობებით. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 484]

ჩითა-თუში ქალისა და კაცის ნაქსოვი ფეხსაცმელი, მასალად გამოიყენებდნენ შალის ფერად ძაფებს, ხმარობდნენ ორწვერი ბაწრით მოქსოვილს, რომ გამძლე გამოსულიყო. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 530]

ჩაფარიში-ერთგვარი ფერადი ზონარი, იხმარებოდა ჩოხის და საერთოდ ყოველგვარი ტანსაცმლის შიგნითა ნაკერების დასამაგრებლად და დასამალავად. მას უკეთებდნენ ქალის კაბებსაც. ჩაფარიშები იყო სახიანი, ყვავილიანი, ჭრელი, ოქრომკერდის, მოქარგული და სხვ. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 521]

წალდი-რკინისპირიანი და ხის ტარიანი იარაღი, რომლის მრავალნაირი ფორმა არსებობს, გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში, არის სანიადაგო იარაღი ტოტებისა და ბუჩქნარების საკაფავად. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 552]

ჭონი-ბეწვეულის „მკერვალი", მექუდე. ჭონების ამქრული გაერთიანებები არსებობდა საქართველოს ქალაქებში და მათ ჰქონდათ მისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 573]

ჭილობი-ჭილისგან მოქსოვილი საფენი, გამოიყენებოდა იატაკზე დასაგებად, საფენად, საწოლად. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 569]

ხარაზი-ქალისა და მამაკაცის აზიური ფეხსაცმელების მკერავ-ხელოსანი (წუღა, ჩუსტი, მესტი, ქოში, ფლოსტი, ჩექმა, ქალამანი). ხარაზები იყვნენ როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში. ცალაქელ ხარაზებს ჰქონდათ თავისი ამქარი და ყველა ის ატრიბუტი, რომელიც ამქრული ორგანიზაციისთვის არის დამახასიათებელი. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 583]

ხურო-ხის ხელოსანი, ძველ ქართულში გვხვდება ტერმინები „ხურონი ქვათანი" და „ხურონი ხისანი", რაც იმის დამადასტურებელია, რომ ხურო ორივე დარგის ხელოსანთა საერთო სახელი ყოფილა, მოგვიანებით უფრო ხისხუროს მანიშნებლად იქცა. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 600]

ხურჯინი-მხარსა და ცხენის უნაგირზე გადასაკიდებელი სურსათ-სანოვაგის სატარებელი ორთვლიანი აბგა. ამ ტიპის ხალიჩური ნაწარმი, როგორც სანიადაგო ნივთიც შემკულია ორნამენტებით, გამოირჩევა ფერადოვნებით და ზოგადად, ესთეტიკური თვალსაზრისით ძალზე კარგადაა შესრულებული. [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2013. გვ. 600]

რუსული მმართველობა და მისი წარმომადგენლები საქართველოში
(XIX ს. – XX ს. დასაწყისი)

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII. ვითარების გარკვევამდე, მისი ვაჟი დავითი შეუდგა მეფის მოვალეობის შესრულებას, მაგრამ 1801 წლის მაისში საქართველოში რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მიერ გამოგზავნილმა გენერალმა **კარლ კნორინგმა** დავით ბაგრატიონი მმართველობიდან გადააყენა და „დროებითი მმართველობა" დააარსა, რომლის თვმჯდომარე გახდა გენერალი **ივანე ლაზარევი.** ამ „დროებითმა მმართველობამ" ერთი წლის განმავლობაში შეამზადა ნიადაგი რუსეთისათვის ხელისუფლების საბოლოოდ გადასაცემად. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და დაამტკიცა „საქართველოს მმართველობის" დებულება, რომლის თანახმადაც ძალაუფლება გადაეცა „საქართველოს უმაღლეს მმართველობას", რომელიც ოფიციალურად გაიხსნა თბილისში 1802 წლის 8 მაისს.

უმაღლესი მმართველობის სათავეში აღმოჩნდა საქართველოს პირველი მთავარმართებელი (მთავარსარდალი) **გენერალი კარლ კნორინგი,** რომელსაც 1802 წლის სექტემბრამდე ეს თანამდებობა ეკავა.

შემდგომში საქართველოს უმაღლესი მმართველობის სათავეში იდგნენ ქვემოთ ჩამოთვლილი მთავარმართებლები და მეფისნაცვლები:

გენერალი პავლე ციციანოვი (1802 - 1806 წწ)
გენერალი ივანე გუდოვიჩი (1806 - 1809 წწ)
გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი (1809 - 1811 წწ)
გენერალი ფილიპე პაულუჩი (1811 - 1812 წწ)
გენერალი ნიკოლოზ რტიშჩევი (1812 - 1816 წწ)
გენერალი ალექსი ერმოლოვი (1816 - 1827 წწ)
გენერალი ივანე პასკევიჩი (1827 - 1831 წწ)
გენერალი გრიგოლ როზენი (1831 - 1837 წწ)
გენერალი ევგენი გოლოვინი (1837 - 1842 წწ)
გენერალი ალექსანდრე ნეიდგარდტი (1842 - 1844 წწ)
პირველი მეფისნაცვალი, გენერალი მიხეილ ვორონცოვი (1844 - 1854 წწ)
მეფისნაცვალი ნიკოლოზ მურავიოვი (1854 - 1856 წწ)
მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი (1856 - 1862 წწ)
მეფისნაცვალი (იმპერატორის ძმა) მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1862 - 1882 წწ)

1881 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ მეფისნაცვლობა კვლავ მთავარმართებლობით შეცვალა და ამ პოსტზე დანიშნა:

გენერალი ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი (1882 - 1890 წწ)
გრაფი შერემეტიევი (1890 - 1896 წწ)
გენერალი გიორგი გოლიცინი (1896 - 1904 წწ)

1905 წლიდან მთავარმართებლობა ისევ გაუქმდა, კვლავ აღდგა მეფისნაცვლობა. ეს პოსტი დაიკავა:

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა (1905 - 1915 წწ)
კავკასიის უკანასკნელი მეფისნაცვალი იყო დიდი მთავარი ნიკოლოზი (1915 - 1917 წწ)

თბილისის ფაბრიკა-ქარხნები
(XIX ს. XX ს-ის დასაწყისი)

მასალა წარმოდგენილია წყაროში მითითებულ ენაზე

Бумаго-прядильная фабрика Махмудбековыхъ Воронцовск., 115.
Ватно-хлопко-очистительная фабрика Золотогорскаго Воронцовск., 104.

Водочные заводы:
Д. З. Сараджева Ольгинск. ул.
Сесевы Бр. и Kj, Вокзальн., 6.
Т-во Смирнова Петра, Михайлов, пр., 137.
Шаграрскій Сепекеримъ Еноков., Милютинск., 2.

Гончарный заводъ Стыпульковскаго Михайловскй пр., 137.
Дрожжевое заведение Шуръ Александров.. 60.
Кирпичные заводы:
Ельчеева, Мартирузова, Машади Мухтара, Пондоевам. Ваке.
Суренанца Ольгинск., 90.
Эйвазова Лоткисъ-гора.
Долуханова за полотномъ ж. дор.

Кишечный заводъ Дюрешмидта Скотобойн., 12.

Кожевные заводы:
ВасенцовыхъВоронцовск., 121,
Т-ва Заргарянцъи Kj Воронцовск., 120.

Конфектныя фабрики:
Атовмянца Петхаинск., 10.
Гозалъ Аргутинск., 5.

Каретное заведене Котрини Михайловск пр., 52-54.
Коробочная фабрика Гудева Михайловск. пр., 52.

Литографи:
Быхова Головинск. пр., д. Окоева
Месхевъ Баронск., 8;
Шахбазянца Барятинская, 6.

Лесопильные заводы:
Джагетьяна Мадатовскй островъ.
Джова Великокняж., 6.
Ельч1евъ Великокняж., 30.
Квернадзе Верйск. сп. 29.
Теръ-Асатуровой Мадатовск. островъ.

Маслобойные заводы:
Васенцовыхъ Воронцовск., 121.
Таирова и Алиханова Воронцовск. ул.

Заводы минеральныхъ и фруктовыхъ водъ:
Земмель (старый заводъ Земмель) Великокняж.. 40.
Лагидзе М. Е. Т-во и Kj Головин, пр., 6.

Мыловаренные заводы:
Васенцовыхъ Воронцов. 121,
Таирова п Алиханова Воронцовск. ул.

Пивоваренные заводы:
Ветцель Великокияж., 68.
Дитрихъ Дидубйск., 2.
Мадеръ Елизавет. 152.
Мадеръ Андреевск., 41.

Ректификационные заводы:
Т-ва Арго» Николаевск, пл., 13.
Сараджева Ольгинск.,
ШаграрскагоЧеркезовск.

Сапожныя мастерскя:
Бояджанцъ Дворцов, ул.
Харатянцъ Степ. Кеворк. Михайловск. пр., 12.
Саакянцъ Сололакск. ул.
Теръ-Захаровъ Агасй Кирочная, 10.

Скульптуро-мраморныя издьля и памятники:
Андреолетти Михайловск. пр., 79.
Вилла и Рицци Михайловск. пр., 42.

Слесарно-механическя заведения:
Бепле Гоголев., 41.
Вахнянскаго Пирогова, 1.
Гауфа уг. Андреевск. и Таможенной.

Столярныя мастерскя:
Кесснеръ Ольгинск., 70.
Мартиросянцъ Верйскй спускъ.

Табачныя фабрики:
Бозарджанцъ Т/Д. Ольгинск. 75.
Комета» Т-ва Авчальск. пл., 8.
Миръ» Розовая пл. (Авлабаръ).
Сейлановыхъ Александ., 42.
Энфаджанца Вокзальная 8.

Типографи:
Канцеляри Наместника Лорисъ-Меликовск., 14.
Штаба Кавказскаго Военнаго округа Лорисъ-Меликовская, 3.
Хачатурова Крузенштернск., 4.
Козловскаго Головинск. пр., 12.
Петровъ И. Крузенштернск., 3.
Ротинянца Головинск. пр., 39.
Гермесъ» Графск., 6.
Грузинскаго Издательскаго Товарищества» Большая-Ванкск., 12.
Печатн. Дело» Вельяминовск., 6.
Аганянцъ Полицейск., 7.
Мартиросянцъ М. Пушкинск., 3.
Шяркъ» Воронцовск., 7.
Саропань» Мадатовск. остр., д. Мухранскаго.
Трудъ» Михайловск. пр., 71.
Фототипя Месхева Баронская, 8.

Фанерныя фабрики:
Еганова Баронск., 22.
Егазарова Елисавет., 186.

Электрическя станци:
Городская Великокняжеская, соб. д.
Адамова Михайловк. пр., 111.

Камоева Ив. Як. Николаевск, мость.
Коргановыхъ Ант. Алдр. и Леонъ Вас. Милютинск., 13.
Рамендика Елисавет., 148.
Т-во Амперъ» Сурпъ-Саркискй пер., 2.
Т-во Двигатель» Жуковск., 17. Т-во Сила и Светь»Анчисхатская, 17.
Полакъ Бебутовская ул.,
Шуккертъ Елисаветин. ул.
Электрическая Сила» Ольгинск., 29.

Магазины.
Азатске товары:
Акоповъ Арш. Ник. Армянск. базаръ гост. дв. Манташева.
Аминтаевъ М. А. Железный рядъ карав.-сарай Шадинова.
Ходорскй П. С. Елисаветинская, 170.
Беручевъ С. Д. Дворцовая, 2.

Аптекарск. склады и магазины:
Аристаковы бр. М. и М. Михайловск. пр., 86.
Зурабовъ В. Г. Головинск. пр., 14.
Кавказское Т-во торг. аптекарск. тов. Эриванск. пл.
Цатурянцъ М. А. подъ фирмой А. 3. Ростомова дочь» Пушкинская, 13.
Шихиновъ А. Б. Михайловск. пр., 146.

Асфальтъ и цементъ. Кацъ А. П. Елисаветинск., 172.

Бакалейно-колональныя съ ренсковыми погребами.
Гургеновъ П. И. Сололакская 2.
Назарбеговы А. Я. и В. Н. Дворцовая, д. груз. двор.
Шашевъ Б. Н. Сололакская, 6.
Шиканянцъ бр. М. и А. Головинск. пр., 16.
Поповъ 3. Д. Уголъ Московской и Ольгинск.
Дзамагавили Д. С. Михайловск. 104.

Вина.
Удельное ведомство уг. Цхнетск.и Удельн. ул.
Т-во Вера» Казбекская, 25.
Вермишевы бр. М. и Х. Ав. и кн. Абамеликъ Елисаветинск., 1.
Мамуловъ В. Г. винный под., 19.
Огановъ И. Е. Чавчавадзевск., 9.
Степановъ В. Н. Михайловск., 39.

Тумановъ Н. ¶. Дзмоба» Головинск., 18.
Форерь бр. Михайловск., 129.

Водопровод. принадлежности.
Бельзицманъ I. I. Михайловск., 67.
Гершовъ С. С. Головднск., 26.
Лоладзе Д. И. Михайловск., 102.

Галантер. Торговля.
Евтевъ Э. Г. Сололакск., 4.
Ерамовъ Н. Г. Эриванск. пл. гор. домъ.
Кукуджановъ А. и Харигдаровъ А. Дворцовая, д. дворянства.
Куркчишвили Х. Д. Головинск., 14.
Пугиновъ В. Г. Армянск. баз., 11.
Чавчанидзе Е. и Гвелесани I. Армянск. баз. гостин. д. Манташева.

Готовое белье.
Гавриловъ А. С. съ с-ми т./д., Эриванск. пл. д. Сумбатова.
Дорожновъ П. С. 1) Сололакская и 2) Михайловск., 85.
Киршбаумъ и Теръ-Арутиновъ Головинск., 8.
Граммофоны.
О-во Граммофонъ» Тайлеръ Фрид. Головинск.,9.
К` Граммофонъ» Давыдовъ Г. С. Головинск. 6.
Атомянцъ Г. Ф. Михайловск., 90.

Гробы.
Кикнадзе Г. Б. Большая Ванкская, 12.
Майеръ Г. И. и Ростомовъ С. Г. Михайловск., 30.
Мерабовъ К. I. Михайловск., 10.

Дамске Наряды.
Волкова А. М. Сололакск., д. Сумбатова.
Насибовъ В. А. Караванъ-Сарай бр. Тамамшевыхъ
Зели Меассонъ ул. Петра Великаго, 5.

Дорожныя вещи.
Непомнящй М. В. Головнск., 34.

Земледельческе машины и орудя.
Шрадеръ Х. Х. Десимововск. пл., 14.

Утцъ А. А. Десимоновск. пл., 4.
Ауферманъ Э. Ф. Михайловск., 87.
Краузе К. А. Михайловск., 53.

Золотыя и серебрян. вещи и металлическ. изделя.
Арутиновы Гр. и Ст. Серг. Армянск. баз., 14.
Гогичадзе Д. А. Серебряная, 4.
Майзельсонъ М. А. Дворцовая, д. Церковный.
Пивоваровъ Ш. Я. Дворцовая д. Сараджева.
Рабиновичъ Д. А. Эриванская пл. д. Тамамшева.
Цейтлинъ М. Г. Дворцовая, 2. Чилингаровы А. и В. Мел. Головинск., 9.
Читаевъ К. Г. Дворцовая, 4.

Игрушки.
Левченко И. Д. Михайловск., 81.
Погосовъ А. Е. Дворцовая, 4.
Пугиновъ В. Г. Сололакская, 7.

Керосинъ.
А. Б. Джаани Михайловск., 12.
Отулевичъ Б. А. Навтлугъ, соб. д.
Поповъ К. Д. ул. 19 февраля, 74.

Книжныя торговли.
Гуттенбергъ» Дворцовая ул., д. грузинок, дворянст.
Гиръ» Вельяминовская 7.
Грикурова С. И. Мадатовская, д. Зубалова.
Кикнадзе И. Д. Головинскш, 22.
Т-во Культура Эриванск. пл., 3.
Хиддекель Л. В. Головинск., 11.
Мерабовъ А. Е. (букинистъ) Георгевск., 5.
Пичковъ Г. С. (букинистъ) Мадатовск., 5/7,.
Матинянцъ Н. Г. (коскъ) Эриванск. пл.
Экономя» Чикиджянцъ В. Н. (коскъ) Воронцовск. пл.

Ковры, шелкъ и шерсть.
Аласкаровъ Мирза Яхя Армянск. баз., 1.
Аронанъ А. Х. Карав.-сарай. Хосроева.
Самедовы А. Б. и А. Карав. сарай Шадинова.
Гюльбекянъ С. С. Армянск., баз. д. Манташева.

Касимовъ А. А. Сонская, карав. сарай Ананова.

Линолеумъ.
Викандеръ и Ларсонъ Головинск., 9. Т-во Проводникъ» Сололакск. и Михайловск. пр.

Лесной матералъ.
Алоевъ Д. Ф. Елисаветинск., 127.
Вартанова М. А. Мадатовск. островъ.
Дидя Г. Н. Мадатовск. островъ.
Оганезовъ А. И. Великокняжеск. 30.
Алоевъ Д. Ф. Судебная, 25.
Банцадзе А. П. Николаевск., 65.
Джалаловъ А. Н. Грибоедовск., 29.
Кананов А. Л. Андреевск., 87.

Мануфактурныя.
Амираговъ Х. Г. Манташевске ряды, 96/97.
Африкянцъ А. Е. и Т. II. Сонск. ул., соб. д.
Багдасаровы А. Е., и С. Гариб. Армянск. баз. пас. Манташева.
Григорянцъ М. и И. Георг. уг. Михайловск. и Кирочн. ул.
Джаваховы Л. и А. Дм. Армянск. баз.
Н. Кафевы бр. С. и Н. Гер. Эриванск. пл., 3.
Киракозовъ С. М. и Огановъ Б. Г. и К` 1) уголъ Михаил, и Еироч. 2) Армян, базаръ, гост. дв. Манташева.
Миловъ Г. С. Ватный рядъ.
Миловы бр. А. и А. 1) Ватный рядъ, кар. сарай Шадинова и 2) Головинскй д. Арафелова.
Миримановъ И. А. Петербургск., с. д.
Чилингаровъ Г. М. и К` Армянскй баз., 73.

Машины швейныя.
Ауферманъ Михайловск., с. д.
К` Зингеръ Головинск., 9.

Мебель.
Галумовы Е. и А. Михайловск., 55.
Уманске И. и Д. Абр. Михайловск., 29.

Мельхоровыя изделя.

Норблинъ, бр. Бухъ и Т-во Вернеръ Дворцовая, 3.
Фраже ¶. Дворцовая, д. Лалаева.

Молочныя.
Шадиновъ Г. Г. Содолакская, 12.
Меликъ-Бахтамянцъ Я. Б. Пушкинская 3.
Чичкинъ А. В. 1) Пушкинская, 5; 2) Головинск. 18, 3) Михайловск. и ул. Пирагова.

Музыкальн. инструменты.
Кереръ П. Г. Михайловск. 52.
Коппъ А. Г. Михайловск., 112.
Сузанаджанцъ И. А. Эриванск. пл.,
Шуманъ К. Е. Военная, 6.

Мучныя.
Аветисовъ С. О. Ул. 19 февраля, 13.
Бояджанъ т./д. Таможенная, 4.
Гершензонъ Е. И. Соломоновск., 4.
Имамовъ Г. А. Железн. рядъ, 13.
Ладифянъ В. А. Разъезжая, 9.

Меховыя.
Бабевъ Ш. Х Армянск. баз., 81.
Довлашеровъ Е. Д. Армянск. баз., 74.
Квезерели-Копадзе Г. Ы. Армянск. баз., 86.

Нефтян. склады и продукты.
Назаровъ М. В. Кахетинск., соб. д.
Назаровы бр. ¶. и А. Георг. Кахетинск. шоссе.
Теръ-Абрамовъ Гр. И. и К` Мазутная, 5.

Обои.
Тарнополь М. ¶. Головинск. пр., 21.
Цатуровъ Е. А. Дворцовая, д. Цовьяновыхъ.

Обувь.
Абовьянцъ И. В. Эриванск. пл.
Алавердовъ С. Г. Эриванск. пл., 1.
Бояджянъ С. И. Дворцовая, д. груз, дворянст.

Гиргидова Е. Х. Дворцовая, 3.
Карапетянцъ А. А. Головинск., 8.
Теръ-Антонянцъ М. А. Эриванск. пл. д. город.

Оптическя, химическ. и физическ. принадл.
Горнигъ Г. Г. Головинск., 11.
Клебанскй А. С. Елисаветинск., 50.
Мюльманъ А. Г. Головинск., 9.
Т-во Химикъ» Молоканск., 6.

Оруже.
Гегеле Г. Х. Головинск., 19.
Степанянцъ А. С. Сонская, 30.

Офицерскя вещи.
Шафрановъ М. С. Мадатовск., 5.
Шнайдеръ А. Л. Николаевск, мостъ, д. Мартиросова.

Склады пива.
Т-во Вейнеровскаго пивовареннаго завода Елисаветинск. д. Гутбротъ.
Вакано А. и К` Елисаветинск., д. Ротинова.
Цитогцевы П. и Х. Ник. Николаевск., 9.

Писчебумажн. и канцелярск. принадлежности.
Бр. Абовьянцъ Мадатовская, 1.
Гайдамакинъ И. Е. Головинск., 6.
Матинянцъ С. Я. Николаевск. Мостъ, д. Камаева.
Мясниковъ Дворцовая, д. груз, дворянст.
Хрхрянцъ С. Г. Эриванск. шт., д. Тамамшевыхъ.

Готовыя платья.
Акопджановой А. Э. Головинск. пр., д. Манташева.
Сафарянцъ и Теръ-Сааковъ Головинск. пр., 11.

Портныя.
Германъ Х. Ц. Барятинск., 6.
Кишельгофъ В. И. Михайловск., 44.
Шереметьевъ И. М. Дворцовая, 4.

Посуда.

Дандуровъ Я. А. Головинск., 12.
Симонянцъ А. М. Головинск. 10.
Эриванцевъ И. Н. Дворцовая, д. Дворянства.

Резиновыя изделя.
Т-во Проводникъ» 1) Сололакская, 2) Михайловск., 61.
Т-во Треугольнике Десимоновск., 18.

Театры, клубы, кино, кафешантаны.

Театры:
Артистическаго О-ва, Головинскй пр., с. д. Тлф. 807.
Грузинскаго Дворянства, (зимнй и летнй), Дворцовая, Тлф. 795.
Казенный, Головинск. пр., Тлф. 63.
Народный домъ имени К. В. Зубалова, уг. Кирочн. и Великокняж. Тлф. 843.
Авлабарскй, Кахетинская площадь.
Авчальская аудиторя, Черкезовская ул., гор. здане (бывшая Авчальская столовая, построенная во время холерной эпидеми 1892 года И. И. Цинамзгваровымъ на доброхотныя пожертвованя и затемъ переданная въ собственность города).
Надзаладевская аудиторя, въ конце, Черкезовской улицы, гор. домъ, бывшй Березовскаго; передана обществу Надзаладеви» въ безвозмездное пользоване для устройства спектаклей.
Харпухская аудиторя, Майданъ, Банная улица.

Клубы.
Артистическое Общество. Зимнее помещене Головинск. пр., Тлф. 240.
Новый» (грузинскй). Дворцовая, б., Тлф. 795.
Кружокъ Тифлисскй. Зимнее помеещ. Головинск. пр., 10; летнее Кирочная ул., у Верйскаго моста., Тлф. 384.
Общественный. Абасъ-Абадск. пл., 7.
Общественный на Авлабаре, уг. Лазаревск. ул. и Кахетинск. площ., 1. Тлф. 521.
Русскй. Михайлов. пр., 123. Тлф. 597.
Тифлисское Собране. Зимнее помещ. Головинск. пр., 6: летнее Михаиловск. пр. Тлф. 156.
Немецкое Собране. Михайлов, пр., 129.

Теннисъ-Клубъ. Ул. Петра Вел.
Туристовъ. Летнее помещене Михайловск. пр.

Кинематографы.
Модернъ», Михайловск. пр., 93.
Лира», Михайловск. пр., 103.
Одеонъ», Михайловск. пр., 106, (только летомъ).
Апполо», Михайловск. пр., 129, Тлф. 1130.
Мулэнъ-Электрикъ», Михайловск. пр., 143 (зимн. помещене).
Мулэнъ-Электрикъ», Михайловск. пр., 145 (летн. помещене.).
Сатурнъ», Михайловск. пр. 163.

Театръ-варьете.
Клубъ туристовъ Михайловск. просп.
Горгиджановъ Михайловск. пр., 182.
Муштаидъ (открытая сцена).
Апполо» Михайловск. пр., 143.

Рестораны.

Аннона» Головинскй пр., 21. Телеф. 227.
Бо-Мондъ» уг. Елизаветинск. и Некрасовск., с. д. Телеф. 1214.
Азатскй» Воронцовская пл., 2. Телеф. 103.
Ротъ Ал. Ник Головинск., 9. (гостин. Орантъ»).
Лондонъ», Кавказъ», Ветцельk (при гостинницахъ - см.)
Кафе-Парижъ, Дворцовая ул., д. Грузин. Дворянства (во дворе).

Загород, рестораны (въ садахъ) на Вере:

Фантазия» Военно грузинск. шос, 82, Телеф. 271.
Эдеми» Военно-грузинск. шос, Телеф. 296.
Даралъ» Военно-грузинское шоссе.
Въ Ортачалахъ:
Майская Роза» Воронцовск., 89.
Друзья» Воронцовск., 90.
Надъ Курой» Воронцовск., 92.
Монплезиръ» Воронцовск., 94.
Семейный» Воронцовск., 99.
Эльдорадо» Воронцовск. 102.
Аргентина» Воронцовск., 109,

Кондитерскя, Кофейни.

Алиханова: около памятника Воронцова.
Довере»: Михайловск. пр. 1!4.
Гене: Кирочная, 17.
Лотъ (Lauth): Дворцовая улица.
В. Гене: Головинск. пр. 8,
Массiу: Дворцовая, 3.
Науменко: Головинск. пр. 12.
Саганеловъ: Пушкинская 5.
Сакаянцъ: Сололакская 3,
Салакая: Сололакская 1.

Рынки и базары.
Въ 1-омъ участке Верйская площ.
Въ 3-емъ уч. во дворе Мухранскаго уг. Баронской и Кузнечной ул.
Въ 3-емъ уч. во дворй Армянской семинарина Русской ул.
Въ 7-омъ уч. во дворе Нунупарова уг. Авлабарской пл. и Кабгеровской ул.
Въ 5-омъ уч.Татарскй майданъ.

Средня цены на пищевые продукты.

Пшеница (1 р. 20 к. 1 р. 40 к. пуд.), Мука крупчатая привозная (2 р. 40 к. 2 р. 60 к.), Мука местная (1 р. 40 к. 1 р. 60 к. пуд.), Крупа (7 к. 12 к. фун.), Печеный хлебъ (3 к. 5 к. фун.), Соль (5 к 10 к. фун.), Мясо (12 к. 20 к. фун.), Птица (35 к. 1 р. 80 к. шт.). Рыба (15 к. 75 к. фун.), Молоко (5 к. кружка). Масло коровье (45 к. 60 к. фун.) Масло цветное (1.7 к. 80 к фун.). Сыръ (20 к. 40 к. фун.). Зелень (40 к. 1 р. пуд.). Сахаръ (13 к 16 к. фун.), Чай (1 р. 40 к. 6 р. фун.). Дрова (30 р. 50 р. саж.). Уголь (30 к. 60 к. пуд.). Керосинъ (4 к. фун.), Фуражъ: ячмень, овесъ, сено, саманъ (90 к., 1 р., 40 к., 30 к).

Гостиницы, меблированные комнаты.

Лондонъ» противъ Александровскаго сада. Телеф 196.
Гостиница Ветцель» Михайловскй пр., 103. Телеф. 380.
Бо-мондъ» у намят, кн. Воронцову. Телеф. 418.
Грандъ-Отель» на Николаевск. мосту, противъ Александровскаго сада. Телеф. 154.

Орантъ»-Головинскй пр., противъ военнаго собора. Телеф. 261.
Северные номера» Дворцовая площадь.
Кавказъ» Эриванская пл., 1. Телеф. 358.
Эрмитажъ» Эриванская площадь, уг. Дворцовой.
Франция» противъ Пушкинскаго сквера.

Средня цеЬны: -ръ (одна комната) 1 р. 3 руб. въ сутки.

ლიტერატურა

1. აბზიანიძე გ, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ; 1959.
2. აბესაძე ნ. ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, თბ, 1986.
3. ავდალიანი ე. ჭიათურის მანგანუმი-ქართული „შავი ოქროს" ისტორია, ჟურნალი ფორბეს ჩეორგია, 10 ივლისი. 2013.
4. ავდალიანი ე. დიდი ფინანსური ომი საქართველოში: ნობელები, როტშილდები და როკფელერები, ჟურნალი ფორბეს ჩეორგია, №17, აპრილი, 2013.
5. ათანელიშვილი თ. ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში(1918-1921 წწ), დისერტაცია, თსუ, თბ, 2006.
6. აკოფაშვილი გ, მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა, კრებული კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ; 1966.
7. ამირხანაშვილი ივ. თეთრი ჯვრის ხეობა, წიგნიდან „ელიზბარ ერისთავი", თბ, 1997.
8. ანჩაბაძე ზ. К вопросу о роли торгового-растовщического капитала дореформенной Грузии. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკ.30. 1954.
9. „ანონსი"- გაზეთი, 1892 წ. №232
10. ბაბილოძე კ. აგრარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში XIX-XX სს. მიჯანაზე. ბათუმი 1952.
11. ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათუმი, 2001, (ნ.კარიძის, უილიამ ჯიფორდ პალგრევი ბათუმის შესახებ, ნ.ჩელებეძე, ბათუმი ე. ერიქსონის ნაშრომის მიხედვით, ალ.თვალჭრელიზე, ბათუმი და ნავთობი, თ.ტუნაძე, ბათუმი და ნავთობმრეწველთა ამხანაგობა „Брانობელ")
12. ბალასი მ, მელვინეობა რუსეთში, ნაწილი II (რუსულ ენაზე), 1887.
13. ბალანჩივაძე ნ, არ დავივიწყოთ იაკობ მარი, გაზეთი „ქუთაისი" №105 (15688) ხუთშაბათი 2 ივნისი.
14. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათ. 1987
15. ბედუკაძე ს. სამების ამქარი. თბ. 1942.
16. ბენდიანიშვილი ალ, საქართველოს ისტორია, (1801-1921 წწ), თბ, 1999.
17. ბენდიანიშვილი ალ. ქართული ეროვნული ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი ჭიათურის სამრეწველო რაიონში (1879-1921), საზოგ.მეცნ.განყ, „მოამბე", 1963, №2
18. ბენდიანიშვილი ალ, რაჭის მაზრის სოფელი 1900-იან წლებში, თბ, სადისერტაციო ნაშრომი 1952.
19. ბენდიანიშვილი ალ, კაპიტალისტური მეურნეობები საქართველოს სოფელში XIX-XX სს მიჯნაზე, მაცნე, ისტორიის სერია, №1, 1968
20. ბენდიანიშვილი ალ. დაუშვილი ალ. სამსონაძე მ. ქოქრაშვილი ხ. ჭუმბურიძე დ. ჯანელიძე ო. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბ. 2008
21. ბენდიანიშვილი ალ. სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში, თბ, 1971.

22. ბენდიანიშვილი ალ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა III. თავი II ბათუმის ოლქის მრეწველობა, ბათუმი, 2008.
23. ბერაძე ნ. ჩიქოვანი ლ. გიორგი ტარსაიძე, თბ 1957.
24. ბერიძე გ. ღლონტი თ. ქართველი მეღვინეები, თბ, 1974.
25. ბერძენიშვილი ნ, სამღვბროთა შესახებ XVIII ს-ის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV. თბ 1967.
26. ბერძენიშვილი ნ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი III, თბ, 1955.
27. ბერძენიშვილი ლ. აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო და-ბა-სოფლები 1865-1917 წლებში, თბ, 1990.
28. ბერძნიშვილი მ. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, წგნ. 1-2, თბ 1980, 1983.
29. ბეჟანიშვილი გ. ფოთი-თბილისის რკინიგზის 80 წლისთავი, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", №4, 1953.
30. ბეჟანიშვილი გ. თბილისის ტრანსპორტის ისტორიიდან, ჟურნალი-მეცნიერება და ტექნიკა, №4, 1953.
31. ბიწაძე ლ. არდავინყება მოყვრისა (ცნობილ ჭიათურელთა ბიოგრაფიები), ქუთაისი, 2004.
32. ბოცვაძე ლ. სკოლა და ოჯახი და ამხანაგები, თბ, 1890.
33. ბოჭორიშვილი ლ. მასალები კახეთის ქალაქების ოქრომჭედლების შესახებ. თბ. 1956.
34. ბრეგვაძე ა. ბორჯომის მინერალური წყლების წარმოება (ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი), თბ, 1964
35. ბრეგვაძე ა. საქართველოში ავტოტრანსპორტის სერვისის წარმოქმნის ისტორიიდან, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", №4-6, 2000.
36. ბრეგვაძე ა. საქართველოში ავტომობილებით მოგზაურობის პირველი ცდები, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", №11 (455) ნოემბერი, 1986.
37. გაბისონია კ. აფხაზეთის სოფელი XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში. შოხუმი. 1973.
38. გაბლიშვილი ნ, მემამულურ მეურნეობათა განვითარება XIX ს-ია 30-60-იან წლებში საქართველოში, საქ.სსრ.პედინსტიტუტის შრომები, №4, თბ, 1978.
39. გაბლიშვილი ნ, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა XIX ს-ის 30-60-იან წლებში, თბ. საქ.მეცნ.აკადემიის მაცნე, №12, 1974.
40. გაბლიშვილი ნ, ღვინის პროდუქციის წარმოება და მისი მნიშვნელობა XIX ს-ის 30-60-იანი წლების საქართველოში, საქ.მეცნ.აკადემიის მაცნე, №3, თბ, 1973.
41. გაბუნია გ. ქუთაისის ისტორიული წარსულიდან. თბ. 1973.
42. გავაშელი ალ. ჭიათურის მარგანეცი, ჟურნალი „მეცნიერებე და ტექნიკა", №8, 1953.
43. გამყრელიძე გ, ხელოსნობა ტფილისში, თბ, 1926.
44. გამბა ფ. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, 1987.
45. გერსამია თ. ძველი თბილისი. თბ. 1984
46. გელაშვილი გ. ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი თბილისის შესახებ,

იხ. კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 15(2), თბ, 2014.
47. გვათუა ნ. ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა(X-IX-XXსს). თბ. 1967.
48. გიორგაძე გრ. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე (1864-1905), თბ, 1928.
49. გიცბა თ. სტანისლა მონიეს მოგონებანი თბილისზე (XIX ს. 90-იანი წლები). საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბ. 2006 წ.
50. გიუნაშვილი ჯ. აკაკი ხოშტარია რეზა-შაჰის ინაუგურაციაზე, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". №85 (6451) 7 მაისი, პარასკევი. 2010.
51. გივიშვილი გ. წყლის საიდუმლო სამუდმოდ გაჰყვა ლაღიძეს, გაზეთი „ქუთაისი", №133-134. 12 ივლისი, ოთხშაბათი, 1989.
52. გოგოლაძე დ. კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1813-1864), თბ, 1959.
53. გოგოლაძე დ. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ, 1966.
54. გოგოლაძე დ. საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ, 1971.
55. გოგოლიშვილი ო. ფრანგები ბათუმში, სოხუმის უნივერსიტეტის შრომათა კრებული-ზურაბ პაპასქირი 60, 2010-2013.
56. გოგოლიშვილი ო, ნიკოლოზ ლენდერი, კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 15 (2), თბ. 2014.
57. გოგუაძე ნ. ერთი იმ მარავალვარსკვლავთაგანი, გაზეთი „სოფლის ცხოვრება", №179 (11644). 3 აგვისტო, ხუთშაბათი.
58. გოზალიშვილი გ. შეთქმულების მეთაური, წიგნიდან „ელიზბარ ერისთავი", თბ, 1997.
59. გომართელი თ. სახალხო თეატრის ფარდასთან, თბ, 1976.
60. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები. მასალები ადელხანოვის ქარხნის შესახებ. მუზეუმის ფონდები 8074-19/1,2
61. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის ფონდები 8074/28, Тифлис. Листок I/X-1889 г. №320. Судебний отдел.
62. გოცირიძე ბ. გორზე 111 წლის წინათ, გაზეთი „გორი", №141(8255) 5 დეკემბერი, შაბათი. 1992.
63. გრიშაშვილი ი. ლიტერატურული ნარკვევი, თბ, 1952.
64. გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ, 1941.
65. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. I-V, თბ, 1949-1962.
66. გუგუშვილი პ. შინამრეწველური მეღვინეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წწ, ტ-III თბ, 1945.
67. გუგუშვილი პ, მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წწ, ტ-IX. თბ, 1951.
68. გუგუშვილი პ. „მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკა-

სიაში", თბ, 1938.
69. „გუთნისდედა" -გაზეთი, 1865 წლის 15 იანვარი / №14, 1863.
70. „გუთნის-დედა"-გაზეთი, 1862. 15 ნოემბერი №22, / №24, №1, 1864.
71. „დავით სარაჯიშვილის სახსოვრად", კრებული, 1911 წ.
72. დაუშვილი რ. საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები 1860-1920-იან წლებში, იბერია გუშინ, დღეს, ხვალ, 25 იანვარი 2011.
73. დონაძე ვ. ნიკო ნიკოლაძე ბათუმის შესახებ-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა. ტ. IX თბ, 1981.
74. „დროება"-გაზეთი, 12 აგვისტო. გვ 3. 1871.
75. „დროება"- გაზეთი, 1872 წ. №24/ ასევე №421, 1874.
76. ედილი ზ. საინგილო თბ, 1997.
77. ელიზბარ ერისთავი, კრებული, ლ.ორბელიანის საზოგადოება, თბ, 1997.
78. ეფრემიძე მ. საქართველოს ვაჭრების როლი ამიერკავკასია-ჩრდილო ირანის ევროპული საქონლით მომარაგების საქმეში, (1821-31 წწ). გორის პედ. ინსტ. შრ.VIII, 1963.
79. ეძგვერაძე ლ. ხელოსნობა საქართველოში მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან(XIX ს.), თბ, 1973.
80. ეძგვერაძე ლ. ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ევოლუცია (თბილისის ხელოსნური წარმოება), თბ. 1978.
81. „ეშმაკის მათრახი"-გაზეთი, დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება „ალექსანდროული", №10. გვ. 14, 1915.
82. ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". თბ. 1941.
83. ვახტანგიშვილი თ, თავადაზნაურთა წოდების ბურჟუაზიული ევოლუცია. თსუ შრომები, 1997.
84. ვაჭრიძე გ. ქუთაისის ეკონომიკური განვითარება „ქუთაისის საქალაქო მმართველობის" ფონდში დაცული მასალების მიხედვით. Aქუთაისი. აკ.წერეთლის სახ. უნ. 2013 წ.
85. ზაქარიაძე გ. XIX საუკუნის მე-2 ნახევრის საქართველოს მოკლე სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები, თბ, 1955.
86. ზარიძე გ. მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების საკითხები მე-19 საუკუნის აფხაზეთში. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. თბ. 2006.
87. „თბილისი" - „სიტროდან ღვინისამდე". №276 (10194) 2 დეკემბერი, სამშაბათი. 1986 წ. გვ 5. თარგმნილია ვ.სტანცო „Химиа и Жизн" 1986 წლის №10-დან.
88. თაყაიშვილი, კრებული, თბ, 1966.
89. თაყაიშვილი ე, რჩეული ნაშრომები, ტ-I, თბ, 1968.
90. თბილისი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, ავტორთა კრებული, თბ, 1989.
91. თვალჭრელიძე ალ. ბათუმი და ნავთობი. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2009.

92. თოფურია ნ, მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, თბ, 1953.
93. თურმანიძე ო. სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, სოფლის მეურნეობა, 2008.
94. თურმანიძე ო. აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, ბათუმი, 1973.
95. იაშვილი ს. მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის, თბ, 1958.
96. „ივერია"-გაზეთი, №190, 1903. ასევე გაზეთი „ივერია"№73, 4 აპრილი, გვ 4 1902.
97. „ივერია"-გაზეთი, №243. 1903.
98. „ივერია"- გაზეთი, №257, 1889.
99. „ივერია"- გაზეთი, №265, 1893.
100. „ივერია" -გაზეთი, №161. 1891.
101. „ივერია" -დაბა და სოფელი (მოწერილი ამბები). №113. 3 ივნისი(თიბათვე), 1894.
102. იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, .ა.გაწერელიას რედაქციით, თბ, 1936.
103. „კავკაზი"-გაზეთი, 1906 წ. №226
104. „კავკაზი'- გაზეთი, 1885 წ. №274
105. კაკაბაძე ს. ქართველი ხალხის ისტორია, (1783-1921 წწ), თბ, 2003.
106. კალანდაძე ბ. ბონდოს არაყი. დავით სარაჯიშვილი-სპირტის, ლიქიორ-ქრყის და მაგარი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი, თბ, 2013.
107. კალანდაძე ბ. ძმები სოლომონოვებიდან ძმებ დუგლაძეებამდე, თბ, 2013.
108. კალანდაძე ბ.ბონდოს არაყი. ბათუმელი მეწარმეები, თბ. 2013.
109. კალანდაძე ბ. ბონდოს არაყი. ივანე კვეზერელი-კოპაძე, თბ, 2013.
110. კალანდაძე ბ. ზაქარია ჯორჯაძე, თბ, 2013.
111. კალანდაძე ბ. ერთი სურათის ისტორია, თბ, 2013.
112. კალანდაძე ბ. სოლომონ ჭეიშვილი, თბ, 2013.
113. კანდელაკი კ. საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე-დამოუკიდებელი საქართველო, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, PARIS, 1960.
114. კარბელაშვილი პ. სარაჯიშვილის სახსოვრად, გაზ. „საქართველო", 24.08.1916.
115. კარბელაშვილი ა. ძმები სიმენსები საქართველოში. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", №7, 1981.
116. კაშმაძე შ. ვანო სარაჯიშვილი, თბ, 1962.
117. კვერენჩხილაძე რ. სამხრეთ ოსეთი, ცხინვალი, 1968.
118. კიკვიძე ა. საქართველოს ისტორია, (1801-1890 წწ), თბ, 1977.
119. კიკნაძე ვ. აჯამეთის ნაკრძალი, გაზეთი „ქუთაისი". №135 (15968) 18 ივლისი, ხუთშაბათი.

120. კობახიძე ე. თბილისის ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბილისი მსხვილი სამრეწველო ქალაქი, თბ, 1989.
121. კოჭლავაშვილი ალ. საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბ,B 1962.
122. კოჭლავაშვილი ა. მანქანათმშენებლობის ისტორია საქართველოში, თბ, 1966.
123. ლაისტი ა. ილია ჭავჭავაძე თბილისში, ჟურნალი „განათლება", №1 თბ, 1919.
124. ლასხიშვილი გ. მემუარები, თბ, 1934.
125. ლაშხი ა. კონიაკის წარმოება, თბ, 1967.
126. ლობჟანიძე მ. ისტორიის ფურცლები, გაზეთი „ხაშურის მოამბე" 10.10.1997.
127. მაისურაძე გ. გორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (XIX-XX სს პირველი მეოთხედი), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №2, თბ, 1979.
128. მგალობლიშვილი ს. მოგონებები, ტფ, 1938.
129. მანჯგალაძე გ. გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში (1860-1918 წწ), თბ, 1991.
130. მამისთვალიშვილი ე. გორის ისტორია, ტ II, (1801-1921). გორი, 1999.
131. მამისთვალიშვილი ე. ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ, 1995.
132. მამისთვალიშვილი ე. ელიზბარ ერისთავი-დიდი მამულიშვილი, წიგნიდან „ელიზბარ ერისთავი", თბ, 1997.
133. მანსვეტაშვილი ი, მოგონებანი, ნახული და გაგონილი, თბ, 1936.
134. მარგიანი გ. სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატ რევოლუციამდელ საქართველოში. თბ. 1968
135. მარგიანი გ. მანგანუმის მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბ, 1973.
136. მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი (1864-1917), თბ, 1976.
137. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი III, თბ, 1955.
138. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტომი II, თბ, 1973.
139. მაჯდ-ოს-სალტანე. „ქალაქ თბილისის აღწერა" თბ. 1971.
140. მახარაძე ნ. ა.სარალიძე, თბილისის საქალაქო ტრანსპორტის განვითარების ისტორიიდან, ტფილისის ჰამქარი, თბ, 2012.
141. მგალობლიშვილი ს. მოგონებანი, თბ, 1938.
142. მევენახეთა საზოგადოება „ალექსანდროულის" წესდება", ტფილისი, 1915.
143. მესხია შ. გვრიტიშვილი დ. დუმბაძე მ. სურგულაძე ა. თბილისის ისტორია, თბ. 1958.
144. მეტრეველი რ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ, 1982.

145. მეუნარგია ი. „სამეგრელო დავით დადიანის დროს“, ტფ, 1939.
146. „მეურნე“- გაზეთი , №5, თებერვალი. 1897.
147. „მეურნე“ - გაზეთი , №12-13, ივლისი, 1897.
148. მეურნეობა და სამეურნეო ყოფა-მემუნდვრეობა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ავტორთა კოლექტივი, აჭარა, ტ. II, 2009.
149. მირიანაშვილი ვ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბ, 1980.
150. მირიანაშვილი მ. სააქციზო სისტემის შემოღების ისტორიიდან ამიერკავკასიაში, საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (XIX ს.), თბ, 1973.
151. მირიანაშვილი მ, მუშკუდიანი ქ, სასმელების შესანახი და გადასაზიდი ჭურჭელი XIX საუკუნის საქართველოში, მეცნიერება და ტექნიკა, №11, 1981.
152. მირიანაშვილი მ. დ.სარაჯიშვილის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების ისტორიიდან (ქართული კონიაკის განვითარება XIX ს. 80-იან წლებში. ფუძემდებელი დავით სარაჯიშვილი). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ 28-B. თბ. 1969.
153. მიქელაძე ლ. აკაკი ხოშტარია, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №40 (2716) 6 ოქტომბერი, პარასკევი, 1989. ასევე დასახელებული ავტორი-აკაკი ხოშტარია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №4, 1992.
154. მოდებაძე კ, ღვინო „ხვანჭკარა“ და მისი ტიპის ჩამოყალიბება-გაუმჯობესების შესაძლებლობანი, თბ, 1946.
155. „მომავალი“ - გაზეთი, 2 დეკემბერი. №80. 1909.
156. „მომავალი“-გაზეთი, მუშათა შორის-ოჩამჩირე (სოხუმის ოლქი), 3 სექტემბერი №7. გვ. 4. 1909.
157. „მომავალი“-გაზეთი, 11 სექტემბერი. №13. 1909.
158. „მომავალი“-გაზეთი, 6 ნოემბერი. №59. 1909.
159. მსხილაძე რ. „მამულიშვილები, რომლებიც ჩრდილიდან უნდა გამოვიყვანოთ“. თბ. 4 ნოემბერი გაზეტიაჯარა.გე 2001.
160. მუშკუდიანი ქ. გიორგი ქართველიშვილი-მრეწველი და ქველმოქმედი, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, №7-9, 2000.
161. მჭედლიძე გ. ქუთაისის მე-19 ს-ის ბოლო მეოთხედში. ქუთაისი. 2011 წ.
162. მჭედლიძე გ. ქუთაისის ფერმის ბაღი და იაკობ მარი, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“ №5. ქუთაისი. 2011 წ.
163. მშველიძე ა. გორი, ჩემი მშობლიური ქალაქი-საწარმო ობიექტები, პირველი თვითმფრინავის ჩამოფრენა გორში. გაზეთი „გამარჯვება“ 11.04.1981 წ.
164. ნაკაშიძე თ. ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიის მოჭირნახულე: თამარ კუცია-ღვალაძე, თბ, 1992.
165. ნაცვლიშვილი ნ. მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია საქართველოში (ივანე მუხრან-ბატონის მეურნეობა), ისტ. ინსტ. შრომები,

თ VI, ნაკვ. I, თბ, 1961.
166. ნანობაშვილი ი. ტყავის დამუშავების ისტორიიდან, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, №10, 1957.
167. ნანობაშვილი ი. თბილისის დაბახანები. თბ. 1959.
168. ნანობაშვილი ი. ტყავის დამუშავების ხალხური ხერხები საქართველოში. თბ.1975.
169. ნანობაშვილი ი. საამქრო ნაგებობანი თელავში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №2, 1963.
170. ნაცვლიშვილი ნ. მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია აღმოსავლეთ საქართველოში, თბ, 1971.
171. ნიკოლაძე ნ. თხზულებანი, ტ II, 1870-1871, ი.ბოცვაძის შენიშვნებითა და კომენტარებით, თბ, 1960.
172. ნიკოლაძე ნ. თხზულებანი, პროფ. დ.მ.გამეზარდაშვილის რედაქციით, თბ, 1960.
173. ნიკოლაძის ნ-ის არქივი. ნიკოლაძე ნ. იონა მეუნარგიასადმი-1888 წ. ზუგდიდის სახ. ისტ.ეთნოგრაფ. მუზეუმის შრომები, თბ, 1947.
174. ნიორაძე გ. არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქ. სახელმწ. მუზეუმის „მოამბე“ ტ XIII.
175. ოთარაშვილი ა. უცხოური კომპანიები და მათი საქმიანობა საქართველოში (ძმები ნობელები, როტშილდები კომპანია), ჟურნალი-საქართველო და მსოფლიო, გვ. 143
176. ოთარაშვილი ალ. უცხოური კომპანიები და მათი საქმიანობა საქართველოში (ძმები ნობელები, როტშილდები კომპანია), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ისტ. და ეთნოლ. ინსტ. თბ, 2014.
177. ორჯონიკიძე ე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ, 1992.
178. ორჯონიკიძე ე. სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება XIX საუკუნის რეფორმამდელი საქართველოს საბატონო მეურნეობაში, ისტ. ინსტ. შრომები, ტ VI, ნაკვ. I, თბ. 1961.
179. პავლიაშვილი დ. კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარების ისტორიისათვის საქართველოში, თბ, 1998.
180. პავლიაშვილი დ. შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები, თბ, 2012.
181. პეტრიაშვილი ვ, ღვინის დაყენება, ტფ, 1895.
182. ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ. 1962.
183. ჟანი, საუბარი მევენახეობაზე, სახალხო გაზეთი, №262, ტფ, 1913.
184. ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. თბ. 1987
185. ჟორდანია გ. დაბრუნებული საუნჯე, თბ, 1983.
186. ჟორდანია ნ. თხზულებანი, ტ I, 1920.
187. რატიანი პ, მასალები საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისათვის, ისტორიის ინსტიტუტის კაპიტალიზმის ხანის განყოფილების 1956 წლის ექსპედიციის ანგარიში, ტ VI, ნაკვ. I, თბ, 1961.
188. რეხვიაშვილი ჯ. ქართული ღვინო, 2013.
189. როდონაია ნ. თბილისის მრეწველობა XIX საუკუნის II ნახევარში, თბ,

1961.
190. როდონაია ნ. XIX ს-ის 70-80-იანი წლების თბილისის მრეწველობის ხასიათის საკითხისათვის, ისტ. ინსტ. შრომები, თ VI ნაკვ. I. 1961.
191. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა,(რუსულ ენაზე), 1897ა
192. „სავაჭრო გზა". გაზეთი, №3 კვირა, 7 სექტემბერი. გვ. 3, 1908. Aასევე №5. 14 სექტემბერი, 1908.
193. „სავაჭრო გზა"- გაზეთი, №26, 19 ოქტომბერი, კვირა. გვ.1, 1908.
194. „სავაჭრო გზა"- გაზეთი, №2, ხუთშაბათი, 4 სექტემბერი. 1908.
195. საინფორმაციო-სამეცნიერო ჟურნალი „მუდმივი კავშირის სამყარო", №3, 2002.
196. სამსონიძე მ. თბილისის სამრეწველო განვითარება XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, თბ, 1968.
197. სამსონაძე მ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ, 1980.
198. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ III, 2008 წ. (ჩვენთვის საინტერესო თავების ავტორები არიან: ბენდიანაშვილი, სიორიძე, თურმანიძე).
199. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, თავი V, მეურნეობა და სამეურნეო ყოფა, ხელოსნობა და შინამრეწველობა, ბათუმი, ნ.ბერძენიშვილის ს/კ ინ-ტი, 2007.
200. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თავი V, მეურნეობა სა სამეურნეო ყოფა, მესაქონლეობა, ბათუმი, 2009.
201. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თავი V, მეურნეობა და სამეურნეო ყოფა, მევენახეობა-მეღვინეობა, ბათუმი, 2009.
202. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ V, თბ, 1970.
203. „საქართველოს მოამბე". №2, 1863.
204. „საქართველოს რესპუბლიკა". 1918 წლის 28 სექტემბერი.
205. „სახელმძღვანელო წიგნი სხვა და სხვა ხელოსნობისა", შედგენილი მიხეილ ახპატელოვისაგან, ტფილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1876.
206. სახოკია თ. მოგზაურობანი-გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, ბათუმი, 1985.
207. „სახალხო საქმე". №812, 28 აპრილი, 1910.
208. სიგუა ა. იშვიათი ბუნების კაცი, თბ, 1985.
209. სიორიძე მ. ბათუმის საბაჟო, ბათ, 2003.
210. სიორიძე მ. სამთო-მეტალურგიული მრეწველობა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბათუმი, 2008.
211. სირბილაძე ა, ქართული კონიაკი, თბ, 1973.
212. სიჭინავა ვ. ბათუმის ისტორიიდან, Bთბ, 1958.
213. სიჭინავა ვ, მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ, 1960.
214. სტეფანიშვილი ა. დავით სარაჯიშვილი, თბ, 1988.
215. სტეფანიშვილი ა. ვახტანგ ციციშვილი, თბ, 1974.

216. „სტალინელი“ -გაზეთი, №142 (611) 28 აგვისტო, ორშაბათი, 1939.
217. „სტალინელი“-გაზეთი, №151 (620), 16 სექტემბერი, შაბათი, 1939.
218. სონღულაშვილი ჯ, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, წიგნი II, თბ, 1974.
219. სონღულაშვილი ჯ, აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ, 1969.
220. „სტალინელი“ №142 (611) 28 აგვისტო, ორშაბათი. 1939 წ. გვ. 3
221. „სტალინელი“ №151 (620) 16 სექტემბერი. შაბათი. 1939 წ. გვ.2
222. ტუნაძე თ. მუავანაძე ე. ევრაზიულ ამერიკული ნავთობის კონკურენციის ისტორიიდან, IV საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში, ქუთ, 2008.
223. ტუნაძე თ. ბათუმი და ნავთობმრეწველთა ამხანაგობა „Вранобел. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი 2009.
224. ტყეშელაშვილი ნ. ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან 1864-1920 წწ, თბ, 1958.
225. უზუნაძე რ. ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი, 2001.
226. უთურაშვილი ი. თბილისის გუბერნატორის ანგარიშები მინათმოქმედების მდგომარეობის შესახებ XIX საუკუნის მიწურულში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ VI, ნაკვეთი I, თბ, 1961.
227. ფარსადანიშვილი ა. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1914-1917 წლებში, თბ, 1974.
228. ფეიქრიშვილი ჟ, ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ, 2011.
229. ფერაძე ლ. ალექსანდრე სარაჯიშვილი, თბ, 1983.
230. ფირანაშვილი პ. საქართველოს ისტორია, თბ, 2004.
231. ფრუიძე ლ, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). წიგნი I, რაჭა, თბ, 1974.
232. ქართული ხალხური ტრანსპორტი, სახლმელეთო საზიდი საშუალებანი, თბ, 1956.
233. „ქართლი“-გაზეთი, 1 თებერვალი №75. გვ. 1., 1913.
234. ქერდიყოშვილი ი. ტყე და ატენის ხეობა, გაზეთი „გამარჯვება“, 17 აპრილი, სამშაბათი, №46 (6320), 1973.
235. ქოიავა ნ. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართ-კახეთში, თბ, 1963.
236. ქუთაისი XIII ს-ის 60-იანი წლებიდან XX ს-ის 20-იან წლებამდე. ქუთაისი 2013 წ.
237. ქორქია ბ. ძველი თბილისის სასტუმროები, გაზ. „თბილისი“, 1986 წლის 29 მარტი.
238. ღუდუშაური მ, თბილისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნეში, თბ, 2009.
239. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში-გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960.
240. შანიძე ნ. ამიერკავკასიის რკინიგზების წარმოშობა, განვითარება და

მათი გავლენა მხარის ეკონომიკაზე, თბ, 1968.
241. შარაძე გ. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე. უორდროპები და საქართველო. თბ. 1984 წ.
242. შველიძე ნ. საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, თბ, 1967.
243. შუბითიძე ვ. დავით სარაჯიშვილი-ევროპული ტიპის პირველი ბიზნესმენი საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი, თბ, 2012.
244. ჩაგელიშვილი გ. საქართველოს მევენახეობის განვითარების მოკლე ეკონომიკური მიმოხილვა, თბ, 1960.
245. ჩანტლაძე ვ, სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864წწ.), საქ. სსრ. მეცნ. .აკადემია-ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ V, 1951.
246. ჩხეიძე რ. მის იმედისა დიდისა, წიგნიდან „ელიზბარ ერისთავი", თბ, 1997.
247. ჩხეიძე თ. კაპიტალიზმი აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეუნეობაში 1880-1917 წწ. თბ, 1978.
248. ჩხეიძე თ. საუფლისწულო მამულები კახეთში. 1885-1921 წწ. თბ, 1968.
249. ცინცაძე დ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, თბ, 1979.
250. ცინცაძე დ. თამბაქოს ფაბრიკები საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში, აკ.ს.ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. მოამბე, XXV-B, თბ, 1968.
251. ცინცაძე კ. ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში, თბ, 1994.
252. „ცისკარი". №12, 1861..
253. „ცისკარი" №11. გვ. 234, 1861.
254. ცოტნიაშვილი მ. ცხინვალის ისტორია, გამ. „ირისთონი", ცხინვალი, 1986.
255. ცნობის ფურცელი. №283 გვ.2, 1897.
256. ცნობის ფურცელი. №64 გვ.2, 1891.
257. ცნობის ფურცელი. №877 გვ.2, 1899.
258. „ცნობის ფურცელი" №41 გვ. 4 1896.
259. „ცნობის ფურცელი" №45 გვ.1 1896.
260. „ცნობის ფურცელი" 15 მაისი. №1809 გვ. 2, 1902.
261. „ცნობის ფურცელი" №43 გვ. 3, 1896.
262. „ცნობის ფურცელი" 29 ივლისი. №1438. გვ. 3-4 1901.
263. „ცნობის ფურცელი". №66 გვ.1, 1896.
264. ძინძიბაძე ს. ამიერკავკასიის რკინიგზის 100 წლისთავისადმი, ხაშური, 1972.
265. ძნელაძე დ. საქართველოში ჩაის გაშენებისა და გადამუშავების ისტორიისათვის, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", №8, 1956.
266. წერეთელი ა. დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე, ჟურნალი „ჯეჯილი", 1916 წლის №8.
267. წოწკოლაური ავ. ქართველი მეცენატები, კრებული „დიდნი საქმენი", თბ, 2010.

268. ჭავჭავაძე ი. ღვინის ქართულად დაყენება, ნარკვევეი, თბ, 1887.
269. ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, ტ VIII, პუბლიცისტური წერილები, 1886 წ. მაისი-დეკემბერი, თბ, 2007.
270. ჭანიშვილი გ. მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბ, 1960.
271. ჭანიშვილი ვ. ნიკო ნიკოლაძე და ტყიბულის ქვანახშირის საბადო. „მეცნიერება და ტექნიკა". 1954 №9
272. ჭანიშვილი გ. ტყიბულის ქვანახშირის საბადოების დამუშავების ისტორიისათვის საქართველოში, თბ, 1956.
273. ჭანიშვილი ვ. აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცის საბადო, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", №11, 1956.
274. ჭანიშვილი ჭ. ი.ჭავჭავაძე და ჭიათურის მანგანუმის მადნის მრეწველობა, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", №11, 1962"
275. ჭიჭინაძე ზ. მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში, ტფ, 1911.
276. ჭიჭინაძე ზ. მრეწველობის წარმომადგენნი და ზუბალაშვილების გვარის ისტორია, თფილისი, 1903.
277. ჭიჭინაძე ზ. საქართველოს ცხოვრება, ტფ, 1913.
278. ჭიჭინაძე ზ. ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, ტფ, 1914.
279. ჭუმბურიძე დ. შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის I ნახევარში. კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. მე-2, თბ, 2013. ასევე ჭუმბურიძე დ. რუსეთის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს-ის I ნახევაეი). კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 15(2), თბ. 2014.
280. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები. ვ.გურგენიძე. 1965 12/V
281. ხოშტარია დ. „თბილისის ძველი სასტუმროები", თბ, 2013.
282. ხოშტარია ე. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბ, 1966.
283. ხუციშვილი ს. გორში ბეჭდვითი სიტყვის საწარმო, გაზეთი „სტალინელი", №89 (4379) 6 მაისი, პარასკევი, 1960.
284. ჯავახიშვილი ზ. საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების მრეწველობის ისტორიიდან, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", №1, 1970.
285. ჯანელიძე ო. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ, 2009.
286. ჯანაშია ს. სახ. საქ. სახ. მუზეუმი. „მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (XIX-XX ს-ის დასაწყისი). თბ. 1989.
287. ჯანელიძე ო. უკანასკნელი თერგდალეული, თბ, 2010.
288. ჯანელიძე ო. ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ, 1993.
289. ჯაოშვილი ვ. აჭარის ქალაქები, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტეს შრომები, ტ. IX, თბ, 1962.
290. ჯაოშვილი ვ. ქუთაისის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა, თბ,

1962.
291. ჯორჯაძე ე. „მევენახეობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება ხელთმძღვანელობისათვის კახური ღვინის მყენებელთა," 1876.
292. ჯობაძე ვ. ჩემი თავგადასავალი, (გიორგი სუმბაძე, ზურაბ ფოცხიშვილი, ივანე ჯაფარიძე). თბ, 2009.
293. Абих Г.В. Отчёт по исследованию месторождений нефти в Закавказском крае и на Таманском полуострове, Тиф, 1867.
294. Антелава И.Г. Орджоникидзе Э.А. Хоштария Э.В. К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб, 1967.
295. Анчабадзе Ю.Д. Волкова Н.Г. Старый Тбилиси, М. 1990.
296. Аргутинский-Долгоруков.ИсториясооруженияиэксплоатацииЗакавказской железной дороги. 1871-1896. Тифл.1896.
297. Баллас М, Виноделие в России, т III, 1897.
298. Баллас М, Историко-статистический очерк виноделия в России (Кавказ и Крым) сб, 1877.
299. Бурнашов _ Картина Грузии, 1896.
300. Бакрадзе Г. _Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в. ТБ. 1958 г.
301. Брукс М. Нефть и внешняя политика. М. Изд. Ёиностр. Лит. 1949 г. Стр.107-108
302. Вестник виноделия, №123, 1894.
303. Вацадзе Е.И, Виноделие в Имерети, Тиф, 1896.
304. Гамрекели В.Н _ Торговые связи восточной Грузии с Северным Кавказом XVII в, Тб. 1968.
305. Гарсеванов М.Н, Очерк виноделия Кавказа, Сборник сведений о Кавказе. Т-III, Тифлис
306. Гулишамбаров С, Виноградное вино в России в XIX столетии, Одесса, 1896.
307. Гугушвили П.-Сельское хозяйство и аграрные отношения, Т-1, Тб, 1937.
308. С.Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тиф. Губернии. Историко-статистическое описание фабрик и заводов. 1888.
309. Дзизария Г._ Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX веке Сухуми, 1858 г.
310. Джавахов А, Город Гори, 1882.
311. Дзюбенко П.А, Виноделие на Кавказе, Тиф, 1886.
312. Исаева Г.Г .Даушвили Г.Д _ Проблемы и стимулы развития Энергетики северной африки и ближнего востока. Иран, Саудовская аравия, Алжир, Ливия (Борьба за концессию в северном Иране). М. 1976.
313. Кандуралов П, Очерк виноградства и виноделия в Карталинии, Сборник сведений по виноградству и виноделию, 1897
314. Кавказский календарь на 1853 г. Стр 313-314
315. Кавказское сельское хозяйство за 1897 г. №181/ за 1895 г. №68.

316. Кавказ 1862 №9
317. Кавказ 1858 г. №77
318. Кавказ. 1849. №20
319. Кавказ. 1862 г. №69
320. `Кавказ~ #14. 1854.
321. Крижановский Г. Каменный уголь в селе Сацири. Горнвй журналь №8. 1830.
322. Коцовский И.В. Медьное дело на кавказе. 1908.
323. Косторниченко В.Н. Северный Иран, Советский Союз и западные нефтяные корпорации. Ежегодный выпуск центра региональных исследовании Волгоградского государственного Университета №1 2001. Стр.85 Мачавариани К._ Очерки и рассказы Батуми. 1909.
324. Лоркипанидзе И.А. Военно-грузинская дорога. Краеведический очерк. Тб. 1954. Стр. 29-30
325. Месхия Ш._Города и городской строй феодальной Грузии. Тб 1959.
326. Натадзе Г._ Экономическое положение Грузии в конце XVII в.
327. Наниташвили. Н.Л Экспансия иностранного капитала в Закавказье (конец XIX-начало XXвв) Изд. ТУ Тбилиси, 1988 г, Ст. 256-363.
328. Отчёти В.Джифорда Пальгрева о провинциях Анатолии за 1867-68, 1869 и 1872 годы-Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области, Приложения к VII тому, Тиф, 1882.
329. Обзор кутаийской губерний за 1906.
330. Панцхава А.Я._ Очерки аграрной истории феодальной картл-кахети конце XVII в. 1965.
331. Путеводитель по Закавказским железным дорогам. Под. Ред. Б.Буменко. 1914.
332. Рибинский Г.А. Абхазия в сельскохозяйственном и бытовом отношении. Тиф. 1894.
333. `Русский турист- Ж. 1902 г. Октябрь. Aaseve Ж. `Русский турист-. Февраль. 1902.
334. Семашкович Н. Три недели на Алавердском заводе. Газ. Кавказ. №128. 1875/Горный журналь. №7. 1887. Стр. 42
335. Сборник сведений по виноградству и виноделию на Кавказе, Вып VII, 1896.
336. Сохадзе А.К. Типы Грузинской верхней одежды-чоха. Тб. 1974.
337. Статистическое описание Тифлисскои губернии. Тиф.1901.
338. Тимофеев С. Сбыт кавказских вин, Тифлис, 1895.
339. Указатель действующих в империи акционерных обшеств и торговых домов. Под ред. В.А. Мамонтова. 1905.
340. Церетели Н.В. Очерк торгово-промышленного развития г.Батуми и его окрестности. Батуми. 1906.
341. Экспансия иностранного капитала в Закавказье (конец XIX-начало XXвв) Изд. ТУ, Тбилиси, 1988 г, Ст. 256-363.

342. Эсадзе С._ Очерк истории горного дела на Кавказе, Тб, 1903.
343. Эристов Р.`Очерк Имерети в сельскохозяйственном отношении` 1876, Тифлис .
344. Чхетия Ш. Тбилиси в XIX в, Тб, 1942.
345. Чхетия Ш. Армяне в Тбилиси в шестидесятых годах XIX в, Историко-фололог. Журнал АН. Арм.ССР, Ереван, 1958.
346. Чиджавадзе К, Виноградство и виноделие Лечхумского и Рачинского уездов, Тиф, 1903.
347. А.П. Берже Акти собранные кавказской архиографичесской комисиею. 1866-1888. Тип. Главного Управления Наместника Кавказского. Тифлис.
348. Батум и его окрестности к 25-летию присоединения гор. Батуми к Российской Империи. Батум. Типография В.Киладзе и Г. Таварткиладзе. 1906.

ინტერნეტრესურსები:

349. http://24saati.ge/index.php/category/culture/2012-01-10/23966.html
350. http://www.beercult.ru/profiles/blogs/moscow1882
351. www.diaokh.wordpress.com
352. www.tsu.edu.ge
353. www. http://noev-kovcheg.ru/mag/2011-07/2514.html
354. http://www.vokrugsveta.ru/encyclopedia/index.php
355. http://zaurmargiev.sitecity.ru/stext_3110142657.phtml
356. http://natalinagata.livejournal.com/119980.html
357. www.alanazi.ge
358. www.mtavari.ge
359. www. forum.archangels.ge
360. http://www.angel.ge/index.php?newsid=64541
361. http://ermonia.blogspot.com/2010/07/i-old-kutaisi.html
362. http://fai.org.ru/forum/topic/31238-zheleznyie-dorogi-gruzii-i-zakavkazya-postroennyie-v-1872-1913-gg/
363. https://tamartavadze.wordpress.com/2014/08/17/
364. http://www.batsav.com/pages/caucasian-extracts-from-the-1914-baedeker-guide-to-russia.html

ფოტომასალის ინტერნეტმისამართები:

365. http://humus.livejournal.com/3089755.html
366. http://vk.com/wall-46778320?own=1&offset=300
367. http://osinform.ru/51451-godonimy-chinvala.html
368. http://www.noev-kovcheg.ru/mag/2013-16/4060.html
369. http://tamricosha.livejournal.com/285933.html
370. http://mytbilisi.narod.ru

371. http://jadu.de
372. http://prokudin-gorsky.ru
373. http://tiflis.clan.su
374. http://liveinternet.ru
375. http://flickr.com
376. http://dzd-ussr.
377. http://rusbibliophilr.ru
378. http://nypl.org
379. http://golos.ru
380. http://kvkz.ru
381. http://vostlit.info
382. http://starosti.ru
383. http://fotki.yandex.ru
384. http://allrus.info
385. http://pastvu.com
386. http://akcia-antique.ru
387. http://videocentury.ru
388. http://club.foto.ru
389. http://georgiaabout.com
390. http://altrnathistory.org.ru
391. http://nobility.pro
392. http://vk.com
393. http://kommersant.ru
394. http://www.gettyimages.co.uk/search/more-like- http://www.this/501381533?-family=editorial&excludenudity=true&page=1&sort=best
395. https://www.flickr.com/photos/39631091@N03/15545764862/in/album-72157645898486744/lightbox/
396. http://www.liveinternet.ru/tags/%F1%F2%E0%F0%F-B%E5+%EE%F2%EA%F0%FB%F2%EA%E8/page9.html
397. http://www.luminous-lint.com/__phv_app.php?/v/_PHOTOGRAPHER_Dmitry__Ermakov_01/
398. http://matsam.livejournal.com/1185961.html
399. http://gallery.balticrailpics.net/displayimage.php?album=92&pid=14080#top_display_media
400. https://cont.ws/post/126583
401. http://ru-travel.livejournal.com/31543345.html
402. http://www.delcampe.net/items?language=E&catLists%5B0%5D=6485&-searchString=&page=1&useAsDefault=N&layoutForm%5Blistitemsperpage%5D=50Q

ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე (1854-1931)-ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

1912 წელი, ფოტო გადაღებულია ორთაჭალაში, მაისურაძის უსტაბაშობის 30 წლისთავის აღსანიშნავ დღეს. მეორე რიგში ზის უსტაბაში მაისურაძე.
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

თელაველ მეწაღეთა ამქარი. ცენტრში თეთრ ჩოხაში აბრამ გიორგის ძე ჯავახიშვილი
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

Гостинницы Бельвю и Оріенталь — Hôtels: Belle-Vue et Oriental

Батумъ 6.18 Batoum

B Golikoff 1384

www.pastvu.com | Gan/Gan | 7626196

The Nobels oil tanks in Batumi

NefteBlog.Ru

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

XIX საუკუნის II ნახევარში ქუთაისი სტუმრისათვის სასიამოვნოდ აღსაქმელი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა, პატარა ორსართულიანი სახლები ერთის მხრივ წააგავდა ევროპულს, რომლებსაც ქართული ორნამენტებით მორთული აივნები ჰქონდა
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

ქუთაისში მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა ყურძნის ბაზარი, რომელიც განთავსებული იყო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

1870 წელს ქუთაისში თიხის ჭურჭლის გაყიდვის მთავარ ადგილს წარმოადგენდა „პატარა ყაფანი", აქ იყო ბაზრის მოედანი, რომელსაც 300-400 კვ. მეტრი ფართობი ეკავა წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

XIX საუკუნის გორში ითვლებოდა 600-მდე სახლი.
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

Старый Цхинвал 1924 Еврейский квартал

დ.სარაჯიშვილმა სოლოლაკში, მამა-პაპეული სახლის ადგილას არქიტექტურის უკანასკნელ მიღწევათა გათვალისწინებით, ახალი ააგო (ამჟამად ამ შენობაში საქართველოს მწერალთა სახლია განთავსებული).

დავით სარაჯიშვილის სახლის შიდა ინტერიერი



ამ ულამაზესი სახლის აქტიტექტორად დავით სარაჯიშვილმა მოიწვია ცნობილი გერმანელი არქიტექტორი კარლ ცაარი, რომელმად დააპროექტა შენობა, მშენებლობის ზედამხედველობას კი ანხორციელებდნენ იმ პერიოდის ორი ცნობილი არქიტექტორი თბილისში კორნელი ტატიშჩევი და ალექსანდრე ოზეროვი

დავით სარაჯიშვილის სახლის შიდა ინტერიერი

ХУДОЖЕСТВЕННО-ПРОМЫШЛЕННАЯ
ВЫСТАВКА
Д.З САРАДЖЕВЪ
ТИФЛИСЪ
Коньякъ
Павильонъ Д. З. Сараджева.
ОДЕССА
1910 г.

КІЕВСКІЯ НАЛИВКИ
РЕКТИФИКАЦІОННАГО И ВОДОЧНАГО ЗАВОДА Д.З. САРАДЖЕВА
ТИФЛИСЪ
РАТАФІЯ
ВИШНЕВАЯ

დავით სარაჯიშვილი. „ის იყო პირველი ქართველი მრეწველი ევროპული ტიპისა. მის პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა“. . . [ნოე ჟორდანია]

სახალსო სახლის (დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრი) მშენებლობისა და მოწყობისათვის იაკობ ზუბალაშვილმა 350 ათასი მანეთი გაიღო

მთაწმინდაზე, ყოფილი ათარბეგოვის ქუჩაზე მდებარე ბავშვთა პირველი კლინიკური საავადმყოფო, რომლის მშენებლობა ძმებმა ზუბალაშვილებმა დააფინანსეს 1902-1906 წლებში და ქალაქს საჩუქრად გადასცეს, როგორც უპოვართა თავშესაფარი

ძმები ზუბალაშვილების ქველმოქმედებით 1893 წელს აგებული
ბათუმის კათოლიკური ეკლესია

1827 წელს იაკობ ზუბალაშვილმა შეიძინა მიწის ნაკვეთი, სადაც არქიტექტორ ბერ-ნარდცის პროექტით ააგო შენობა (დღევანდელი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი)



წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

Походная телеграфная карета в г. Озургети

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბ-ლიოთეკა „ივერიელი"

სოლომონ ანდრონიკაშვილი
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

ზაქარია ანდრონიკაშვილი
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

სიღნაღის მემამულე, შტაბს-კაპიტანი
თავ. დავით აფხაზი
წყარო: საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკაციფრული ბიბ-
ლიოთეკა „ივერიელი“

ნიკოლოზ შავროვის ინიციატივით
1887 წელს თბილისში დაარსდა კავკა-
სიის მეაბრეშუმეობის სადგური

შუშის ქარხანა ბორჯომში



გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი

ივანე (კიტა) აბაშიძე

სერგი მესხი

პეტრე წულუკიძე

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

დავით ბაქრაძე

არტემ ღვალაძე

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



ზაურ მარღიევის ფოტოარქივიდან


НАСТОЯЩІЯ ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ЗИНГЕРЪ
THE SINGER MANFG CO
КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ


КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ

ზაურ მარღიევის ფოტოარქივიდან



№ 281 Окрестн. Батума. Нижніе Заводы Александровскихъ рудниковъ
Ĉirkaŭaĵo de Batum. Malsupraj fabrikejoj de Aleksandraj minejoj



ძანსულის მაღარო, ბათუმის მახლობლად



ბათუმი სამტეხლოები. წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

№ 161 Окрестн. Батума. Заводъ Александр. мѣдн. рудниковъ и воздушная дорога.
Ĉirkaŭaĵo de Batum. Fabrikĉio de Aleksandraj kupraj minejoj kaj Aera vojo.

ზაურ მარღიევის ფოტოარქივიდან



სოხუმი, თამბაქოს გადაზიდვა საპალნეებით
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

ПАПИРОСЫ
„УСПѢХЪ"
ЦѢНА 20 ШТУКЪ 6 КОПѢЕКЪ
№ 16.
ВѢСЪ ТАБАКУ ¼ 1000 ш. 1 ф. 32 З.
ПАПИРОСЫ 3го СОРТА
ТАБАЧНАЯ ФАБРИКА
Л. БИНІАТЪ-ОГЛЫ
ВЪ БАТУМѢ

ВЫСШАЯ НАГР. ВЪ ЧИКАГО
КУРИТЕЛЬНЫЙ ТАБАКЪ 2го СОРТА
¼ ФУНТА ЦѢНА 46 КОПѢЕКЪ
ТАБ. ФАБРИКИ
А. ЭНФІАДЖІАНЦЪ
ВЪ
ТИФЛИСѢ.
ВОКЗАЛЬНАЯ УЛИЦА СОБСТВ. ДОМЪ.
МАГАЗИНЪ НА ЭРИВАНСКОЙ ПЛОЩАДИ ПОДЪ ГОСТИН. „КАВКАЗЪ"

„УСПѢХЪ"
№16
№16
ПАПИРОСЫ 3го СОРТА
ТАБАЧНАЯ ФАБРИКА
Л·БИНІАТЪ-ОГЛЫ
ВЪ БАТУМѢ

ТАБАЧНАЯ ФАБРИКА
А·ЭНФІАДЖІАНЦЪ
въ Тифлисѣ
Николаевская Площ.
Советв. Домъ.
МАГАЗИНЪ
Эриванская площадь
подъ гостинницей Кавказъ

Казбекъ
Табачная фабрика
Торговаго дома
Ив. Бозарджіанцъ

Курительный табакъ высшаго сорта А.
Акц. о-во
Табачной фабрики
„Энфіаджіанцъ"
въ Тифлисѣ
Турецкій табакъ ¼ ф.
На основаніи 940 статьи устава объ акцизныхъ сборахъ эти издѣлія запрещается продавать дороже выставленной на помѣщеніи цѣны.

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

ადელხანოვის ტყავის ქარხანა

Батумъ – Batoum. № 83. Пожаръ нефт. – завода Манташева.
Incendie à la fabrique de pétrole de Mantascheff..

www.delcampe.com | CartyTom | #251657



www.delcampe.com | CartyTom | #263345



ცეცხლი როტშილდის ბათუმის ქარხანაში.—კადამწვარი ადგილი მეორე დღეს დადას.

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"



აკაკი ხოშტარიას სასახლე სოფ.სუჯუნაში

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



ზაურ მარღიევის ფოტოარქივიდან, მისივე ნებართვით



ЧАЙ
ТОВАРИЩЕСТВА
БРАТЬЯ К и С ПОПОВЫ
ВЪ МОСКВѢ.

БРАТЬЯ
К и С
ПОПОВЫ

სამეგრელო, სოფელი მარანი-სერებრიაკოვის სახერხი ქარხანა
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



სამეგრელო, სოფელი მარანი-სერებრიაკოვის ხე-ტყის სახერხი ქარხნის სამანქანე განყოფილება, წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

სამეგრელო, სოფელი მარანი, ხე-ტყის დასატვირთი ხაზი ფოთის რკინიგზის 57-ე ვერსზე წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



წიფის გვირაბის ინჟინერთა ჯგუფი, წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

პ/ა ჩკინიგზის საბჭოთაშორისო პირველი შეხვედრა 1909 წელს.
ცენტრში - გზის უფროსი ზუბაბოვი

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



ბორჯომ-ბაკურიანის სარკინიგზო მონაკვეთზე არის ერთი საინტერესო უბანი, წაღვერსა და ცემს შორის არსებული სარკინიგზო ხიდი. ეს ხიდი რომანოვებმა სპეციალურად დაამზადებინეს ცნობილ ფრანგ ინჟინერს გუსტავ ეიფელს. კონსტრუირებული ხიდი 1902 წელს ჩამოიტანეს საქართველოში და დაამონტაჟეს ცემისწყალზე.



რკინიგზის ხაზის დაგება შავი ზღვის გასასვლელთან წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



ამიერკავკასიის რკინიგზა. ციხისძირის გვირაბი, შესასვლელი თბილისის მხრიდან
წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

ВИНОТОРГОВЛЯ
фирмы
„МЕЛААНИ"
КНЯЗЬ І. З. АНДРОНИКОВЪ и К°,
въ Тифлисѣ.

Съ 9-го февраля открыто отдѣленіе въ г. БАКУ, на Парапетѣ, въ д. Красильникова, гдѣ имѣются въ продажѣ вина

ТОЛЬКО КАХЕТИНСКІЯ
КРАСНЫЯ И БѢЛЫЯ:

въ 30, 40 и 50 к. за бут. урожая 92 г.
» 60 — — — 91 »
» 1 руб. и 1 руб. 50 коп. старыя.
131 б—1 **(Ведрами въ 16 бутылокъ дешевле)**

www.ourbaku.com

имеретинскія, шампанскія, столовыя и
ликерныя выдержанныя вина
винодѣлія
Ф.Н.ЧЕЛИДЗЕ
Кутаисъ

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

ღვინის ქარხანა. 1894-1896 წლები. ქარხანაში განთავსებულ
კაპიტალურ სარდაფებში ხდებოდა ღვინის დაძველება

ზემელის აფთიაქი თბილისში

Митрофанъ
Лагидзе

ქარხნის
ნიშანი
1900
ВОДЫ
Г. М. ЛАГИДЗЕ
ЗАВОДЫ:
въ ТИФЛИСѣ и КУТАИСѣ
Г. ЗАЗІЕВЪ и КОТЕ

Боржомъ - Лекани Дворецъ — Borjom - Château de Lekani.

Боржомъ.—Borgeom. № 50.



Боржомъ.
Паркъ Минеральныхъ водъ. Екатерининскій Источникъ.







ТИФЛИСЪ. Мекдонский проспектъ Гостиница
и Театръ Вогеля.




ПИВОВАРЕННЫЙ ЗАВОДЪ
Е. А. ГУТБРОДТЪ
РЕКОМЕНДУЕТЪ СВОЕГО ПРОИЗВОДСТВА
ПИЛЬЗЕНСКОЕ ПИВО
LAGER BIER
Ф. К. ВЕТЦЕЛЯ.
Паровой
ПАРОВОЙ ПИВОВАРЕННЫЙ ЗАВОДЪ
Л. МАДЕРЪ
ЦАРСКОЕ ПИВО
ПИВОВАРЕННЫЙ ЗАВОДЪ
ТИФЛИСЪ
Рисовое пиво
Р. ДИТРИХЪ

Конфектная фабрика
Г. З. Гозалова
въ
Тифлисъ
собств. домъ
фирма сущ. съ 1874 г.
фабрика
основана 1894 г.
марка
miriantugheli.com

Вѣсъ 20 фунт.
Кистовая карамель
Конфектная фабрика
подъ фирмою
„Гозалъ"
Тифлисъ
Аргутинская ул. 5 собств. домъ
Телефонъ № 235.
„Гозал"
کوزل
„Гозалъ"

Конфектная фабрика
Гавр. Захар. Гозалова
въ Тифлисѣ
Карамель

Конфектная фабрика
Л. Г. Ѳ.
Ѳтовмьянц
въ Тифлисѣ

Тифлисъ. Трамвай на Цициановскомъ подъемѣ.
Tiflis. Station du tramway à la pente de Ziziranoff.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“



წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი"

Тифлисъ—Фуникулер. Нижняя станція. — Tiflis—Funiculaire. Station inférieure.

golema.livejournal.com

Тифлисъ. Автомобили французской компаніи.
Tiflis. Automobiles de la Compagnie française.

ავტომობილების მწარმოებელი ფრანგული ფირმა De Dion-Bouton-ის მიერ 1900-იან წლებში დამზადებული ავტომობილები

საფრანგეთში წარმოებული „Automobiles Mors"-ის ფირმის 1900-იან წლებში დამზადებული 10 ცხ.ძალის ოთხადგილიანი ავტომობილები

შინაარსი

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნესა და XX საუკუნის I ოცწლეულში 5
2. სპირტიანი სასმელების წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი) 58
3. შაქრის წარმოება XIX საუკუნის საქართველოში.....92
4. სიმენსები და სატელეგრაფო ხაზის მშენებლობა საქართველოში (XIX ს).....105
5. აბრეშუმის წარმოება საქართველოში (XIX ს.-XX ს. დასაწყისი).....110
6. ბამბისა და მატყლის პროდუქციის წარმოება საქართველოში (XIX ს. XX ს-ის დასაწყისი) 126
7. მინის წარმოება საქართველოში (XIX ს. XX ს-ის დასაწყისი) 136
8. მანგანუმის, მარგანეცის და ქვანახშირის წარმოება საქართველოში (XIX ს. XX ს-ის დასაწყისი) 149
9. მექანიკური, ლითონგადამამუშავებელი (რკინის, თუჯის და სპილენძის) ღა ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების საწარმოები საქართველოში (XIX ს.-XX ს. I ოცწლეული) 173
10. თამბაქოს წარმოება საქართველოში (XIX ს.-XX ს. დასაწყისი) 202
11. ტყავის წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი) 227
12. ნავთობპროდუქტების წარმოება და ტრანსპორტირება საქართველოში (XIX ს. – XX ს. I მეხუთედი) 239
13. სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი) 271
14. მესაქონლეობა და მეფრინველეობა საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი) 311
15. ხე-ტყის დამამუშავებელი წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი) 325
16. სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობა XIX საუკუნის საქართველოში 344
17. საპნის, სანთლის და ზეთის წარმოება საქართველოში (XIX ს. –XX ს. დასაწყისი) 363
18. ტანსაცმლის და ფეხსაცმლის წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი) 370
19. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი) 375
20. სასტამბო საქმე საქართველოში (XIX ს. –XX ს. დასაწყისი).....424
21. უალკოჰოლო სასმელების წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს, პირველი ოცწლეული).....438
22. ლუდის წარმოება XIX საუკუნის საქართველოში 458
23. საკონდიტრო საქმის განვითარება საქართველოში (XIX ს. XX ს-ის

დასაწყისი) 466
24. სამშენებლო მასალების წარმოება საქართველოში (XIX ს. – XX ს. დასაწყისი) 471
25. სატრანსპორტო საშუალებების განვითარება საქართველოში (XIX ს. XX ს-ის დასაწყისი) 480
26. დანართები 499
27. ლიტერატურა 521

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com